

1976/4

გეოგრაფია



4

1976



ენათობი

საქართველოს
წიგნების
და პრესის
მინისტრის
გამართავი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მსახივრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუკრანობი

წელიწადი 52-ე

№ 4

აპრილი, 1976წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

შინაარსი

ივანე თარგა — ჩემი სოფლის ბარბარტი. ლირიკული პოემა. ფეხაურდიან თარგმანი ზურა გაგუამ	3
ნოდარ წულუხიძე — ლოკიოზაშიაშვილის სსსიშმ. მოთხრობა	9
ნაზი კილასთენია — ჩემი თემატიკა — მამოქრია. ლექსი	25
რამაზ კობიძე — გვიგინის ფოთლები. რომანი. გაგრძელება	28
ზონდოთ აფთხაშვილი — იმეზ იმ, სამაც დასრულდა ურთობა ლექსი	66
გივი ქვიციანი — ლექსები	68
ნიკოლოზ გაბაშვილი — აივნიანი ბაღი. რომანი. გაგრძელება	71
ლადო სულავერიძე — ლექსები	117
ლალი ცაჭავაძე — სივარდი. მოთხრობა	121
ანდრეი პლატონოვი — „ამ მშვენიერსა და უღმრთესსა წითისოფელში“ თარგმანი ვივი კიკელიძისა	128

პრიტიკა და კუბლიცისტიკა

გაბია მუხამბაზა — ხელოვნების პროგრესის პრობლემა	135
გურამ გვარამია — მართლაც დავუფიქრებთ ვის ვართმევთ სიულს	147
ვლადიმერ ჯიბუტი — ჩემი დღეების მთავარი	152
ალ. ჩაბუციანი — საბჭოთაობი და ცნობითი პრობლემა. ურთი- ერთობის საკითხისათვის	156

მეცნიერება

რამაზ კობიძე — ბავშვული წარმართული ბალნეოლოგი. გაგრძელება	164
ვიტორი გოგალაშვილი — შიშობები „ღირსების აკრიტასის“ ირგვლივ	174

წიგნების
და პრესის
მინისტრის
გამართავი



ნუნუ სოჟარია — ცოცხალი ხასიათები	გარეგნულად	184
ხ. ჩიბაური — ბარდასულ დღითა გახსენება	გაბაშვილი	186
ნოდარ გვილდაძე — „მე ვარაზლიანი“		189

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. აბაშუაძე (პ/შგ მდიანი), ხ. ბარკაძე, თ. გვიგინიშვილი, ვ. ლაბა-ნიძე, ლ. მგელაშვილი, ზ. ძლანდი, ბ. სულაიაური, ა. ქუთათალი, ს. შანთიაშვილი, დ. შანთიაშვილი, ნ. წულუციანი, ვ. წულუაძე, თ. ვილახე, ზ. ხაბანაული, კ. ჯაფარიძე, ზ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაპოვნაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/შგ. მდიანის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 17/III-76 წ. ხელმოწერილი დაბეჭდვად 19/IV-76 წ. ანაწილების ზომა 71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღ-სავამომცემლო თაბახი 16,58 უე 00116. ტირაჟი 13.000. შეკვ. № 1048 საქ. კვ ც-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ჩემი სოფლის ბარძიხაჟი

ღირსი პოეზია

განცხრომით სძინავთ ხეივნებს ჯერაც,
სმენად ქცეულა

სიჩუმე შუკის,
და ვარსკვლავების შემკრთალი მზერა
სავსეა წითელ-ყვითელი შუქით.

ნისლი ფერდობზე დასაყრდენს ეძებს.
არ შედგომია ჯერ კიდევ აღმართს
დილის მნათობი,

რომელიც მთებზე,
ცოტა ხანიც და, გასკდება ნაღმად.

ნიავე გრილი და ოდნავ სველი
ფრთების ტლაშუნით
აფხიზლებს ბალახს,
და ცვარს რძესავით ისრუტავს ველი,
საგანთიადოდ რომ იკრებს ძალას.

ბიბინა მოლი ცვარში ბანაობს —
ჩემს სოფელს მუდამ სწყალობდა ნამი,
რომელიც უკვე ეძებს ამოდ
სიცხით გათანგულ
და დამსკდარ ყამირს.

აქ მიმზიდველად შრიალებს ჩაის
მწვანე ბურჭი და ხეხილის ბადი,
რომ შეაგებოს

ვარდისფერ აისს
სოფელმა შრომის სიმღერა ლადი.

და მერვენება —
შენდობას ითხოვს,

რომ ისევ ცრემლად იფრქვევა ცვარი:
ის ყამირ მიწებს მისტირის თითქოს,
რომელიც იყო და აღარ არის.

ციურო ნამო, მადლობა დიდი,
არ მომწყინდება მე შენი ქება —
ყოველ ცისმარე
ველსა და მინდვრებს
მაცოცხლებელი ნექტარით კვებავ

შენი წყალობით ისევ და ისევ
შრიალებს ყანა,
ბიბინებს კორდი,
და შენი სულის ასლივით მიმზერს
თვალახელილი კვირტი და ყლორტი.

სოფელს კი სძინავს ტკბილად და მშვიდად,
ჯერ კიდევ სძინავს, მდუმარებს არე,
რომელსაც,
ვხედავ,

უღრუბლო ციდან
კეთილი მზერით დაჰყურებს მთვარე.

იგი აშიშვლებს ნაპრალებს, ხრამებს,
ადვილს იცვლის და
იღვრება შუქად,
თითქოს არ უნდა დაუთმოს ღამეს
ბადი,
ორღობე,
ხევი თუ შუკა.

ჩემო სოფელო, მე ადრეც მოთქვამს,
რასაც ჩურჩულებს ახლა ბავენი:
შენი მშვენიერების დამტკევი სიტყვა
ვეძებ —

და დღემდე ვერ მივაგენი.

მე მაინც მზად ვარ,
გიცქირო დიდხანს
და საყვედურით თუ არ ამავსებ,
ვეცდები, ისევ უბრალოდ გითხრა:
ვერ შეველიე შენს სილამაზეს!

შენი ბალები და ვენახები,
სადაც კი ფეხი გადავდგი,
ყველგან,
ვით საყვარელი ქალის სახება,
არ მშორდებოდა, სულ თვალწინ მედგა.

გაგიხსენებ და,
მგონია,
ცაზე
უმალ გაჭრება შავი ღრუბელი.
შენი სითბოთი ყელამდე სავსე
ვამაყობ, რომ ვარ ბესლახუბელი.

მე ახლაც ვხედავ სიზმარში ხშირად
მთლად გაწუწული ჩემი ბავშვობა
მოუსვენარი ღალიძგის პირას
მზუზე
სველ პერანგს შლის გასაშრობად.
აქ ყველა ჩრდილი ჭადრის თუ მუხის
ჩემს დანახვაზე

თითქოს იგონებს
პირველ სიხარულს და პირველ წუხილს —
ჩემი პირველი ლექსის სტრიქონებს.

ო, სიყვარულის პირველი ცრემლი!
კვლავ იმავე გრძნობით
ვეხვევი ჭადრებს,
რომლებსაც ახსოვთ ბავშვობა ჩემი,
დაკაცებული ძალიან ადრე.

საით წასულა,
უწყის უფალმა,
ჩემი ბავშვობის ლამაზი წლები;
თითქოს მინდორი თოვლს დაუფარავს,
ან ღამის ბინდში დანთქმულან გზები.

შორიდან ვილაც
გარკინული
ჯიუტად მიმწერს, ლირიკულად
ასე ღრუბლებში კრთება ვარსკვლავი...
და მე ბალებში დავდივარ ისე,
ვით დადის გლეხი — ხელში სასხლავით.

მე აქ პირველად გავშალე ფრთები
მერცხლის ბარტყივით,
და უმალ ვიგრძენ:
თუმცა ფარავდა მაღალი მთები,
თავისკენ შორი მიხმობდა სივრცე.

მე აქ გამიღვამს მძლავრი ფესვები
და მიყვარს შენი ღრუბლის ქულებიც.
გაჯეროდეს,
არსად არ დავეცემი
სანამ ამ ქვეყნად შენ მეგულები.

შენ ახლა გძინავს,
შრომისგან დაღლილს,
მე კი მიტომ ვარ ჩემი,
ვით ჩრდილი,
რომ არ აყუფდეს ეზოში ძაღლი
და არ დაგიფრთხოს ანაზდად ძილი.

ბუტბუტებს დეღე.
თვლემენ სერები.
და თუმცა მინდვრად
ჯერ არვინ არ ჩანს,
აქ ყველამ იცის, რომ დასვენებას
ატკბილებს მხოლოდ შრომა და გარჯა.

და, აი, სადღაც გაიღო კარი,
ამოფრთხიალდა ჩიტი
ბუჩქიდან,
და ხრამში ისე ჩაეშვა მთვარე,
თითქოს ვილაცის ხმას შეუშინდა...

ჩემი პოემის სტროფი ყოველი
რომ არ მოვეუძღვნა,
არა მაქვს ნება,
მას, ვინც გამრჯეა, დაუცხრომელი
და მზის ამოსვლას ყანაში ხვდება.

მე მინდა ვუთხრა ქება-დიდება
ყველას,
ვინც ჩვენგან წაიდა,
ყველას.



მათი ბახელი არ იბინდება,
მათი სახელი მწესავით ელავს.

დრო, აღბათ, ყველა ჩვენთაგანს შეცვლის,
ოღონდ ჩვენს მიზნებს შეცვლის ვერაფერს,
მათ რომ დაანთეს,

იმ დიდი ცეცხლით
რამეთუ დღესაც ვთბებით ყველანი.

აქ ყვავილებიც თავს ხრიან დაბლა,
როცა უბრალო ბალახის ღერიც
მათი კაცობის და შრომის ამბავს
სულში ჩამწვდომად
და ნაწად მღერის.

ფრთები ესხმება ჩემს ყველა სურვილს,
მაშინაც, როცა ყრანტალებს ყვავი;
მგონია,

მათი მგზნებარე სული
ატმის წითელი ტოტივით ჰყვავის.

დღეს ბევრი ბაძავს იმით მაგალითს,
რომელიც დღემდე ყველას ალაღებს.
მათი შიშველი და კუნთმაგარი
ფეხების სითბო
ახსოვთ ბალახებს.

ჩუ! უკვე ნისლი ეცლება მინდვრებს,
სადაც ნაცნობი ხმები ირხვევა.
მაშ ჩვენც იქითკენ გავწითოთ,

ვიდრე
მზე დაგვასწრებდეს, ჩემო სიმღერავ!

გულით დავლოცოთ მათი მარჯვენა,
ვინც იალაღზე ფარას მიდენის,
და დღევანდელი
დღის გამარჯვებას
სჭედავს და ახსოვს დღეც ხვალინდელი.

მათი მარჯვენაც დავლოცოთ გულით,
უარმყოფელი ამოყების,
ვინაც გაავლო პირველი ხნული —
ერთი სტრიქონი
ჩემი პოემის;

ვისაც ამხნეებს ცისკრის ზარები,
როგორც დამთრობი სურნელი მინდვრის,
ვისთვისაც შრომა დაუხარული

არის ზეიმი,
ყველაზე დიდი.

მეც მკლავი მერჩის და გულიც მიცემს,
ვიცი, სიკეთეს

არა აქვს მიჯნა,
როგორც გლეხებმა იციან მტკიცედ —
უსაქმურობა ლაჩრობას ნიშნავს.

უსაქმურობა არის ლალატი
ბრძოლის ველიდან გაპარულ კაცის,
ვისი ვედრებაც
ცამდე არ ადის,
და განაჩენიც მოელის მკაცრი.

დღეს სოფლად აღარ დაიარება
აღარც ლაჩარი,
არც მოღალატე...
აგერ, ფარდულში ცლიან ქალები
ჩაის ფოთლებით საესე კალათებს.

თქვენ გაიხარეთ, ტკბილო დედებო,
რომ არაფერში არ ჩამორჩებით,
რომ ხვალინდელი დღის იმედები
მალლა ასწიეთ,
როგორც დროშები...

კვლავ მაგონებენ პეპლების ფარფატს
ჭილის ქუდები და თავსაფრები.
ქალიშვილებო,
მოგვედები აღბათ,
თქვენს ღიმილს თუ არ დავეწაფები.

მეც თქვენი მზერის შუქს ვერიოთმები,
როცა ბუჩქებზე
თავგამეტებით
აცეკვდებიან თლილი თითები,
როგორც აპრილის წვიმის წვეთები...

მაგრამ, ღმერთო, რა იქნა,
ხაით გაუჩინარდა,
ვინც ახლასან ჩუმ-ჩუმად
ზაიარა ჩინართან?

თვალი რად ამარიდა?
თავი რატომ დახარა?
გული ხომ არ ატკინა,
ნეტა, ჩემმა, ქალარამ?

ვაი, თეთრი თებერვლის
ულმობელმა ფიქრებმა
მისი გრძელი ნაწნავიც
არ დაინდეს იქნება?

და თვალსა და ხელს შუა,
მიტომ გაუჩინარდა,
ვინც ასლახან ჩუმ-ჩუმად
ჩაიარა ჩინართან?

მასაც ფარფლებიანი
დიდი ქუდი ეხურა...
ნუთუ სხვისი ხმა იყო,
შორით რომ მომეყურა?

იქნებ იცით, ცირებო,
ჩემი გრძნობა პირველი
გალიაში ვის უვის,
როგორც თეთრი ფრინველი.

მაგრამ... ეს ხომ ის არის —
ჩემი ლალი ოცნება,
ყვავილივით ხელახლა
თვალწინ რომ აღმოცენდა!

თუ ეს მოლანდებაა,
მხოლოდ მირაჯი არი,
ყურში რატომ ჩამესმის
ჭრელი კაბის შრიალი?..

ხულ ერთია, ფესდაფეს
ის მომდევს, თუ მე მივდევ,
სიყვარულო, შეუნდე,
სიყვარულო, შემინდე!..

კმარა, გულო, მოვეშვათ
ამ უცნაურ ზმანებებს,
ასე რომ გვეძალება
და თავს აღარ გვანებებს.

ჩქარა, ჩემო სიმღერავ,
ჩქარა, თორემ
თანდათან
დილის მანათობელი
სკვე ამოთავთავდა.

მორჩა, უკანასკნელი
დაიფურფლა ვარსკვლავიც
და მზე მაღლა იხროტუნ
მთებმა პურის ძნასავით.

აჰა, წელში სწორდება,
სულიერი რაც არის,
ირდილოეთი,
სამხრეთით,
აღმოსავლით,
დასავლით.

თეთრი ტყემლის ხეები
ტოტებს შლიან აფრებად,
ისე, თითქოს სწყუროდეთ
ლაქვარდებში გაფრენა,

მომღერის ნაკადი,
მთიდან გადმოდენილი,
რომ მდუმარე შინდორ-ველს
დაუართ დენივით.

ო, ეს დილა ღვთიური
ისე ნაზად თენდება,
თუნდაც გრძნობა წამერთოს,
მაინც გამახსენდება,

როგორც მწვანე ფერდობზე —
ცისკენ ხელაპყრობილი,
გარინდული მეცხვარის
ბიბლიური პროფილი;

როგორც მზნე შეძახილი
მეზრისა და მეგუთნის...
ვინც მომავალს აშენებს,
მეც მათს ჯილავს ვეკუთვნი.

ჰეი, ბერიკაცებო,
სოფელს ისე პატრონობთ,
დღემდე არ გამიცია
თქვენთვის ხმა უბატონოდ.

მიტომ გბაძათ, მგონია,
სოფლის ყველა ქალ-ვაჯი,
ლექსი რომ არ დამიჭენეს,
ვით მცენარე — გვალვაში.

დროს კვლავ უნდა გაეუსწროთ,
როგორც დღემდე ვუსწრებდით,

ამას გულიც გვაგალებს
და გვკარნახობს ხუთწლედიც...

შრომის ჰიმნი ზეცას წვდება,
გულის გამამხნეებელი;
ჩემი სოფლის
მღერის ხალხი,
კომუნისმის მშენებელი.

გმადლობთ, ხალხო, რომ მაშინაც
არ ყოფილხარ შურიანი,
როცა ოჯახს არ გააჩნდა
პურიც და შაურიანიც;

რომ მრავალჯერ მშვიერისთვის
ბოლო ლუკმაც დაგიტომაი;
რომ სიკეთე,
კარგად იცი,
კაცს და დროსაც ვადით მიაჭეს.

შენ ყოველთვის გძულდა კაცი,
ბოროტი და ღვარძლიანი.
რაც დათესე, ის მოიმაგე —
ეხვეც შენი ღვაწლი არი...

იზარდე და იდღვეგრძელე,
შენს გულისთქმას მეც მხარს ვუბამ,
დიდ საქმეში ჩაბმული ხარ,
შენც, პატარა ბესლახუბავ.

იხე მიხმობს და მეძახის,
კვლავ ახლოდან ვნახო მინდა
ჭალა,
სერი,
ხევი,
შუკა,
რომ მიყვარდა ბალოლობიდან.

მიხარია და მეც ვმღერი,
დუმილს როდი ვურიგდები,
როცა ასე ბუბუნებენ
ჩემი მშობლიური მთები;

როცა გლეხკაცს გულს უხარებს
ვაზის ლერწი საყვარელი,
და კვლავ მისი იმედი აქვს, —
ღვთის წყალობას აღარ ელის.

მოკამკამე ცის ლაფვარდო,
ვენახო და ბაღია-ბაღო,
რომ ამ ცისქვეშ დავიბადე,
ესეც მყოფნის სატრაბახოდ.

აქ ისეთი სამოთხეა,
აქ ისეთი ედემია,
ასს რომ გადასცილდებიან,
კაცნი მაშინ ბურდებიან.

ერთხელ ნახავ ცის ტატნობზე
შუის კოცონის გაჩაღებას,
მე შენ გეტყვი, დაიძინებ
და სიზმარში არ ჩაგვცევა.

მე შენ გეტყვი, სხვა ცის ნამი —
ბალახების სამკაული —
ტანში უფრო გაგაჟრყოლებს,
ვიდრე ნამი აქაური.

უჩინარი დილის სიოც —
ჩემი ჩუმი თანამგზავრი —
აღტაცებას აღარ მალავს,
ისევ მზეს რომ დავასწარიტ.

როცა იგი აატოკებს
ტყველისა და ატმის ტოტებს,
უნებურად მიიხედავ,
რომც სრულებით არ გინდოდეს.

თვალებს ვეღარ დაუჯერებ,
ისე მღერის საამურად,
მგალობელი ფრინველივით
რაიც მოგესალამურა...

სხვას არაფერს ვინატრებდი,
ოღონდ სადმე, ამ მთის ახლოს,
ერთხელ,
როცა თვალს გაეხუჭავ,
წინაპრებთან დავიმარხო.

და მჯეროდეს: მთვარე მთიდან
ვკლავ ამოვა, ვით ამოდის,
მობიბლული ჩემი სოფლის
მოსრიალე მიდამოთი.

როცა გამოეთხოვება
სიზმარეულ მინდვრებს მთვარე,
გულზე ხელეზდაკრეფილიც
შუის ამოსვლით ვინეტარებ...

ჩემო მხარეც, მიხარია —
 აქ ისეთი დილა დგება,
 სულ პატარა ბილიკიდან
 დიდი გზები ილანდება.

მიხარია — ყველა სტუმარს
 ეგებები ხელგაშლილი,
 ისე თითქოს ქალაქიდან
 დაუბრუნდა დედას შვილი.

გან მარტო მე მამღერებს,
 განა მარტო მე მახარებს,
 რომ ასეთი გულუბვი და
 კეთილი ხარ, დედა მხარე!

დიდ მამულში ყველგან ძმა და
 მეგობარი გვეგულება;
 ერთურთს ხელი გავუწოდეთ
 და შევფიცეთ ერთგულება.

ამ სოფლიდან კამჩატკამდე
 მეგობრობის ხიდეზია, —
 შენ რომ რამე გაგიჭირდეს,
 მხარში ამოგიდგებიან:

უმალ შენკენ მოაშურებს
 როგორც კარის მეზობელი,
 ვინც არ უნდა იყოს იგი,
 უზბეკი თუ ესტონელი.

შენი მძლავრი გულისცემა
 მოსკოვამდე მიტომ აღწევს,

იგი, იგი შენზეც ზრუნავს
 და ხალხების მშვიდობაზე.

შენებურად მიდი ისევ,
 ჩარხი წალმა ატრიალე,
 გაამდიდრე ერთი ფურცლით
 ამ დღეების მატრიანე.

...განცხრომით სძინავთ ხეივნებს ჯერაც,
 სმენად ქცეულა

სიჩუმე შუკის,
 და ვარსკვლავების შემკრთალი მზერა
 სასესეა წითელ-ყვითელი შუქით.

ნისლი ფერდობზე დასაყრდენს ეძებს.
 არ შედგომია ჯერ კიდევ აღმართის
 დილის მნათობი,
 რომელიც მთებზე,
 ცოტა ხანიც და, გასკდება ნაღმად.

გასკდა კიდევაც!.. თვალს ვაჩვევ
 ფრთხილად
 ელვარე ლავას და ვღელავ, რადგან,
 მე უკვე ვხვდები,
 ეს ერთი დილაც
 მევალესავით კარებზე მადგას,

რომ გაეამართლო იმედიც ზვალის
 ჩემი კაცობით, ჩემი წიგნებით,
 და იმ დღეს,

როცა აღარ ვიქნები,
 თქვან: მოიხადა პირნათლად ვალი.

აღსაზურადან თარგმნა ხუტა ბაბუნაძე

ლობიოჭამიების სასიძო

მთხრობა

1

ცალ ფეხს აიკარწახებდა მეზლამდე. შარვლის გრძელი ტოტები ბურთის თამაშში ხელს შემოშლისო, ძონძორა მიხვრა-მოხვრით, თითქოს კოკლობსო. კელანაობით შემოჭენდებოდა მოედანზე, საითაც ბურთს ვააგორებდნენ, იქით გაქანდებოდა თვალების ბრიალით, გაუშვით, გაუშვითო, პატარა ბიჭებს დასკუივლებდა შესაშინებლად, თუმცა მისი არავის ეშინოდა, ჭვარტია მოდის, ჭვარტია მოდისო — შეჩოჩქოლდებოდნენ, ერთი მათგანი ბურთს აიღებდა ხელში და ჭვარტიას მიართმევდა, შემალლებულ ადგილას დაუდებდა, ჭვარტიაც უკან-უკან დაიხევდა, გულდაგულ მოეშაადებოდა, ბიჭებს ამყად გადახედავდა, ახლა ნახეთ რა მაგრად დავარტყაო, ხელზე დაიფურთხებდა: ჰაეო-ჰოეო, შესძახებდა გაურკვეველად, გაქანდებოდა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცერულად დავარტყამდა. დავარტყამდა და ბურთს კარსაც გადააძღუნდა, მინდორსაც და ვინმეს ეზოში ჩააგდებდა. ეს იყო და ეს ამის შემდეგ ჭვარტია თავის ვზით მიდიოდა, არ აინტერესებდა ვინ იგებდა, ვინ აგებდა, ბურთთან თამაში არ

იცოდა და არც მოწონდა. როცა ატყუებდნენ, ბურთს ფეხებში რომ გაუქვრენდნენ, ან მის ნაცვლად ვინმე სხვას რომ გადააწოდებდნენ, ბუზღუნებდა — მოტყუება რა ვაქვაცობაო. კეთილი გულისა იყო, პირი სულ მუდამ უცინოდა. არც ზუმრობა წყინდა, არც დაცინვა. მთელი ღღე სოფელ-სოფელ დადიოდა, სწავლა ეზარებოდა და შინიდან გარბოდა, ქვაქვალა ბებიას ემალებოდა. ქვაქვალა თვითონ უსწავლელი ქალი გახლდათ, ოცნებად გადაქცეოდა შვილი ან შვილიშვილი ჰყოლოდა ნასწავლი. ერთადერთმა ქალიშვილმა ნინუმ არ ისწავლა, ცბონებულ მამამისს დაემსგავსა. მისი ბედი ღმერთმა ამოროს და თვალადაც გამოზოხებულნი მამააო, ფიჭრობდა ხოლმე ქვაქვალა, როცა ქალიშვილს დააკვირდებოდა, ჭვარტიაც იმათი ჭიშისა გამოდგა: წამოიზარდა თუ არა, წიგნი დედაპისივით თვალის დასანახად არ ინდომა. ქვაქვალას სიძეც ვერ ჰყავდა დიდი მწიგნობარი. ნინუს ქმარი სოფელში კარგად ცნობილი მთოხნელი ყაძახი ციღე გახლდათ. მეხუთე კლასს იქით ციღეც

არ წასულა, ცილეს წინაპრებიც ოდითგანვე მწყემსები და მიწის მუშები ყოფილან. თვითონ ცილუ სწავლა-განათლებას, სიდედრისგან განსხვავებით, დიდად არ აფასებდა, მაგრამ შინაურები ხანდახან აიყოლიებდნენ და ჰვატიას ერთობლივად შეუტყველდნენ — უფროსი შვილი ხარ, შე არდასაცალეხლო, ისწავლე, იქნება აღამიანი გამოხვიდე, ბავშვების აღზრდაში დაგვეხმარეო.

ჰვატია წიგნს გადაშლიდა, მშობლების დასანახავად, ცოტა ხანს შიგ ჩაიხედავდა, მერე გადააბრუნებდა, გადმოაბრუნებდა, ერთს ამოიხეწებდა, ამოიოხრავდა, თვალსა და ხელს შუა სადღაც გაძვრებოდა და დაიკარგებოდა. დაუწყებდნენ ძებნას, ეძახდნენ, ეძახდნენ, ყელს დააგლეჯდნენ, წყევლიდნენ, ემუქრებოდნენ, ლანძღავდნენ. ჰვატია სამზადის სსკენში მტვერსა და აბლაბულებში იწვა გატრუნული და, ვითომ აქ არაფერიაო, მაღლიდან უთვალთვალებდა აწრიალებულ მშობლებს.

არ უნდა ამ ბავშვს სწავლა და თავი გავანებოთო, — იტყოდა ცილუ. ნინუც აპყვებოდა ქმარს, — ჯანდაბას, წამოვიდეს ხვალ ჩაიში, სასუქი უნდა შევიტანოთ, მომეხმაროსო.

ჰვატიას ჩაიში წასვლაც არ ეხატებოდა გულზე. ჩაის ისევ სკოლა ერჩია, ოღონდ სწავლა არ უნდოდა. მასწავლებლები არ აწუხებდნენ, გაკვეთილს არ ეკითხებოდნენ, მაინც არ ეცოდინებოდა, ფიქრობდნენ. ჰვატიასაც ეს უნდოდა, იჭდა უკან რიგში, წლიდან წლამდე, ამორჩეულ ადგილას, თავის მერხზე. არც არაფერს აშავებდა, არც არაფერს აკეთებდა. თითო კლასში ორჯერ რჩებოდა, ჰვატეალა ბებიას დაყინებით სკოლაში მაინც დადიოდა, როგორმე ათწლედი დაამთავროსო — საშველს არ აძლევედა ბებია მასწავლებლებს. ოროსანი მოსწავლე მასწავლებლებს არ უყვართ, აღბათ მთელ ჰვეყანაზე ერთადერთი ოროსანი იყო ჰვატია, მასწავლებლებს რომ არ სძულდათ; გაკვეთილზე ჩუმად იჭდა, არავის ხელს არ უშლიდა, როცა მასწავლებელი ლანძღვას დაუწყებ-

ბდა, ამხელა ბიჭი ხარ და როგორ არა გრცხვენია, სკოლაში ტყუილად უნდადიხარო, ჰვატია თავს ჩალუნუნდა და თვრსებურად კეთილად ილიმებოდა. მასწავლებლებს უყვირდათ რა წყნარი და მშვიდი ყმაწვილიაო. თავიანთი საქციელის თვითონვე რცხვენოდათ: რატომ გავლანძღეთ ეს ბიჭი, არ შეუძლია სწავლა და რა ქნასო.

კეთილი უქნარა გინახათ? თავზიანი ხარმაცი შეგვკედრიათ?.. ვერც მთლად უქნარასა და ჯიბიდან გავარდნილს ეტყოდით, — არ იყო ასეთი, თუ მეზობელი თხოვდა, მოსახმარებლად გარბოდა, მთელი დღე ჯარასავით ტრიალებდა სხვის კარ-მიდამოში. როგორც სოფელში ამბობდნენ, კაციც გულისთვის ყელამდე წყალში ჩადგებოდა, ერთს არ დაიჩივლებდა, არ დააყვედრიდა, არც სამაგიეროს თხოვდა არავის. ცხადია, ჰვატიას კეთილშობილსა და რაინდსაც ვერ დაუძახებდით, მაგრამ მთლად ბრიყვი და ლენჩიე არ იყო, სოფელს რომ ხელი ჩაეჭინა — ამისგან კაცი არ დადგებო. ერთი სიტყვით, ჰვატია იყო და მეტი არაფერი. არავის ის არ ჰგავდა, არავინ მას ჰგავდა. ბობრი უფრო ეთქმოდა ვიდრე წითური, მარტი თვალები ჰქონდა, ეშვებოვით ყვითელი კბილები. აწოწილი ბიჭი იყო, რომ გელაპარაკებოდათ, ხან ცალ მხარს სწევდა მაღლა, ხან მეორეს, თვალები აქეთიქით გაურბოდა. სიტყვებაც ეფანტებოდა, ხან ერთ სიტყვას წამოროშავდა უადგილოდ, ხან მეორეს, ყველა სიტყვას ამბინჯებდა. ან თავს წააკვეცავდა ან ბოლოს, ეშინოდა სიტყვის წარმოთქმისა და რალაცას დედღუნებდა ცხვირში.

ცილეს და ნინუს სად ეცალათ ჰვატიას სადევნად. მის გარდა ხუთი შვილი ჰყავდათ, ორთვალა სამზადში ცხოვრობდნენ, მართალია, სამზადი ერქვა, მაგრამ იატაკიც დაეგოთ, ჰერიც თხელი ფანერით აკვედათ. სახურავიც გამოცეცალათ და შიფერით გადაეხურათ. სამზადისათვის ცალკე ჰქონდათ კიდევ ორი თვალე ფიცრული. იქ ერთ თვალში სა-

ქონელს და ღორს აბინაებდნენ, მეორეში კი შუა ცეცხლს ანთებდნენ, ნამდვილი სამზადი იქ იყო. კოხტა კარ-მიდამო ჰქონდათ, თთხასი ძირი ვენახით, ვაშლის, მსხლის, ლეღვისა და ხურმის ხეებით დაყურსული. ყველაფერი ეს ქვაქვალს მონაგარი იყო, ცილუ ქვაქვალს ოჯახში ჩასიძებული გახლდათ. ცილუ თავის მხრივ ორსართულიანი სახლის აშენებას ჰპირდებოდა ცალსა და სიდედრს, მაგრამ თავი ვერ მოაბა, ხან ფული ვერ იშოვა, როცა წელზე ფეხი დაიდგა და ორ კაპის თავი მოუყარა, მაშინ მასალა გაწყდა ქვეყანაზე, ხანაც ავად გახდა, — ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, ამასობაში ექვსი შვილი გაუჩნდათ და ექვსეფერ ექვსი საზრუნავი მოემართათ, ვერ გაიმართნენ წელში, დარჩნენ და დარჩნენ ქვაქვალს სამზადში. რა უჭირსო — ფიქრობდნენ, ოღონდ ჯანმრთელობა იყოს და სიღარიბეს მოვითმენთო. მართლაც, ნინუც, ცილუც და ქვაქვალაც ბედს არ ეძღუროდნენ, ოღონდ ბავშვების ჯარი სჭირდათ, — ბავშვებს როგორმე უნდა ესწავლათ, მათი აზრით ეს იყო მთავარი. მაგრამ ჰვატია იმედს სულ არ იძლეოდა. მერვე კლასში მესამედ არ დატოვებდნენ, არ მოუთმენდნენ, არ აბატებდნენ. დღეს თუ ხვალ სკოლიდან გამოაგდებდნენ და ხელში თთხი უნდა აედო. ასე ფიქრობდა ქვაქვალა ბებია, მაგრამ ჰვატია ასე არ ფიქრობდა. ჰვატიას თთხი არ უყვარდა, თვალი მანქანისაგან ეჭირა. სულ იქ, მეურნეობის მანქანების გარაგის წინ ტრიალებდა, მძღოლებთან „მეგობრობდა“ თავის ჰკუთით, სინამდვილეში მძღოლები ჰვატიას კეთილ გულს იყენებდნენ, მანქანას არეცხინებდნენ, ძრავას აზეთინებდნენ, ჰვატია კმაყოფილი იყო, მანქანის საქმე არ ეზარებოდა. თუ სკოლიდან გამოაგდებდნენ, ჰვატიას ფიქრად ჰქონდა რაიონში საშოფრო კურსებზე წასულიყო. წიგნაკს აიღებდა, დაჭლებოდა მეურნეობის მანქანაზე და ჰაიდა, ირბენდა აღმა და დაღმა სოფლის გზებზე. ამდენ ყურება-ყურებაში მან ხომ თითქმის იცოდა მანქანის ტარე-

ბა! ერთი-ორჯერ მძღოლებმა დასვეს კედეც საქესთან. მარტო მძღოლებთან კი არ „მეგობრობდა“, გაკვეთილების შემდეგ, სოფლის შარა-გზას რომ დაადგებოდა, საცა ორ-სამ გლეხკაცს ნახავდა თავშეყრილს (გლეხებმა ღობის ძირას იციან ჩაყუნცვა, პაპაროსის ბოლება და ქუჭქუჭი), ჰვატიაც შორი-ახლოს დადგებოდა, მთლად ახლოს მისვლას და უფროსებთან გარეჯავს ვერ ბედავდა, იდგა თავისთვის გაბირინებული და ყურს უგდებდა ქალების ამბავს, კაცების ამბავს, ქალაქელი ბოზებისა და სოფელი ბიჭების ამბავს. როდის-როდის შეამჩნევდნენ ჰვატიას და ან წყლის მოტანას დაავალებდნენ, ან პაპაროსისთვის გაავაზვნიდნენ ღუქანში, ჰვატიასაც ეს უნდოდა, ნაადრევად დაკაცებული, გრძელი ბავშვური ნაბიჯებით საქმიანად მიდიოდა პაპაროსის მოსატანად. მთელი დღე ასე ეკარგებოდა.

გადმოდგებოდა ქვაქვალა ბებია ალაგზე და ო, ჰვატია უუუო, მთელი ხმით გაჰკოოდა. ჰვატიას ესმოდა ბებია რომ ეძახდა, მაგრამ ყურისობდა, გვიან მიწერჩეტდებოდა შინ. ბებია ჯოხით გამოუდგებოდა, ჰვატია იცინოდა და ბებიას ეთამაშებოდა, ხან იმ ჯოხს წაართმევდა, ხან ხელებს დაუჭერდა, ეხვეოდა, კოცნიდა, ქვაქვალასაც გული მოუბრუნდებოდა და შერიგდებოდნენ. ბებიას ხათრით აიღებდა წიგნს ხელში, იჭდა და უყურებდა.

ასეთი იყო ჰვატია. ასეთად იცნობდა მას მთელი სოფელი, მაგრამ ერთხელ მოხდა სასწაული...

ჰვატია შინ ჩვეულებრივად გვიან დაბრუნდა. ჩანთა სამზადში შეავლო, არც საჭმელი უქამია, არც არაფერი, ქის თავზე სალეს ქვას მიუჭდა და დანის ლესვას შეუდგა. ქვაქვალა ბებიას გაუკვირდა, რად უნდა დანაო და თავზე დაადგა. ჰვატია მ ყურადღება არ მიაქცია, ლესვა განაგრძო.

— რად გინდა, ბებია, ეს დანა? — ჰკითხა ქვაქვალამ, არ მოეწონა შვილიშვილს. საქმედა და, ცოტა არ იყოს,

შეშინებულმა ჰკითხა. ჰკვამბ ხმა არ ვასცა.

— წამოდი, შენ შემოგვევლოს ბებია, მთელი დღე პირში ლუქმა არ ჩავსვლია, მერე ლესე დანა, — დაუყვავა ბებია.

ჰკვამბ ბებიას ზიზლით შეხედა.

ჰკვამბალას თავზარი დაეცა.

სამზადში შებრუნდა ბავშვებს დაუძახა, შეეშინდა თუ რა იყო, ყველანი შიგნით შერეკა, კარი გამოუტყეტა, და ჰკვამბასთან თავისი ჰკუთით, უფრო ყოჩაღად მივიდა.

— რად გინდა, შე მაიმუნო. დანა! — ფეხები დაუტყავუნა შესაშინებლად, — ახლავე მომეცი, თორემ მამაშენს ვეტყვი!

ჰკვამბით თავი აიღო, ბებიას მკაცრად შეხედა და ცხვირში ჩაიდუღუნა თავისებურად:

— მინდა ალბათ, რომ ვლესავ!

უცხო აღამიანს შესაძლოა ვერ გავგო ჰკვამბიას ნათქვამი, მაგრამ ჰკვამბალას, არც ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა, უსიტყვოდაც კი უგებდა შვილიშვილს. კოვზისა და ქოთნის არ იყოს, ჰკვამბიას ამბავი ჰკვამბალაზე უკეთესად ვის ეცოდინებოდა?

— ისადილე და მერე ლესე, — უთხრა ბებია.

— არ მინდა თქვენი არაფერი! — ჰკვამბით ამჯერად გარკვევით გამოთქვა სიტყვები, მაგრამ დრენისებურად თქვა სიტყვა „არაფერარი“.

— კარგი, სადილი არ გინდა, დანა რად გინდა, ის მაინც მითხარი, — კვლავ დაუყვავა ბებია.

— დანა რად მინდა? — თვალები აენთო და ფეხზე წამოიჭრა ჰკვამბია, აღესილი დანა ჯერ ჰაერში გაიჭნია, შემდეგ დანისტარიაში მუშტი თავის ჰკამბუტურ ვიწრო მკერდზე დაიბაგუნა და დაიღრიალა — რად მინდა დაააპ!.. — თვალები გადაატრიალ-გადმოატრიალა უზაროდ, ბოროტად მიაჩერდა ბებიას და საშინელი სიტყვები უთხრა:

— ყელი უნდა გამოგჭრათ ყველას! ის გოგონანი ბაღნებიც უკან უნდა მოგაყოლოთ! — სამზადისაქენ გაიშვირა

ხელი, თავის და-ძმებზე თქვა გოგონანი ბაღნები.

— დიდუპ! — შეჰკვივლა ჰკვამბალა ბებია და გულშემოყრილი ჯერ მიწაზე დაჯდა მოსმით, შემდეგ ნელა გაწვა ბალახში, კაცს ეგონებოდა მოკვდაო.

ჰკვამბია სამზადში შევიდა, ახალი კოსტუმი ჩაიცვა, ფეხსაცმელები კობტად გაიპრიალა, ქოჩორი დაისველა და გვერდით გადაივარცხნა დიდი მონდომებით. გაფერილ-გალესილი მოელვარე დანა ხელში აიღო და, ვითომ აქ არაფერი მონდარაო, სადღაც წასვლა დააპირა. ჰკვამბალა ბებია ხომ გულწასული ეგდო მის თავზე, ნელ-ნელა გონს მოეგო, თვალი გაახილა, შვილიშვილი გამოწყობილ-გალამაზებული რომ დაინახა, გაუკვირდა, წელან რაც ბავშვმა თქვა, ალბათ იხუმრაო, იფიქრა და შვილიშვილს ნაძალადევად მოესიყვარულა, მოეფერა.

— უი, შე მამაძალლო, როგორ შემეშინე და გამიხეტქე გული... ხომ ტყუილი მითხარი, ბებია?... წამოგცდა ხომ?..

— ტყუილი კი არა, მართალი ვითხარი, თუ ჰკუთით არ იქნებით, ყველას დაგზოცავთ!... — გაიმეორა ჰკვამბიას ყინჩად წელან ნათქვამი.

— უი, უი, უი! — კივილი ატება ჰკვამბალამ.

— ჩუმად! — შესძახა ჰკვამბიას, შეეშინდა — კივილზე მეზობლები შეიყრებიაო და ბებიას უფრო მაგრად შეუტია.

— ჩუმად-მეთქი, თორემ ახლავე ავასრულებ ნათქვამს! — მოელვარე დანა ბებიას მოუღერა. ჰკვამბალას სიკვდილის კი არ შეშინებია, შვილიშვილი გამიგიჟდაო — ამან შეაწუხა, იფიქრა, იქნება როგორმე დავამშვიდოო, ჯერ შორიდან უყურა გაღიმებულმა, მერე ახლოს მივიდა და ხმადაბლა უთხრა:

— კი, ბებია, მომკალი, თუ ძალიან გინდა; მაგრამ არ მეტყვი რატომ მკლავ?

— რატომ და ცოლი უნდა მოვიყვანო! — თქვა მკაცრად, წავიდა და თუთის ძირას დადგა რატომღაც თავჩაღუნული იდგა, ბებიასკენ არც იყურებოდა.

— ცოლი?... — გაოცდა ქვაქვალა, ახლოს მივიდა და შვილიშვილს ყურება დაუწყო.

— ჰო, ცოლი.

— მერე?... — გაეცინა ქვაქვალას.

— რა გაეცინებს...

— ამისთვის მკლავ, ბიჭო? ამისთვის გვემუქრები ყველას დახოცვით?...

— რა ექნა აბა!..

— ამისთვის არ მომკლა, ბებია... ცოდვა ვარ, — იცინოდა ქვაქვალა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, ვინმეს ხომ არ ესმის ჩვენი საუბარიო. ისინი თავიანთი სამზადის წინა ეზოში, ბეჟოლის ძირას იდგნენ და ერთმანეთს გაკვირვებულუბი უყურებდნენ. ჭვატის ვერ გაეგო რატომ იცინოდა ბებია, ვერც ბებია მიმიხვდარიყო ჭვატის გაბოროტების მიზეზს.

— უთხარი დედას და მამას, არ მათხოვებთ იმ გოგოს და დაგხოცავთ ყველას, მორჩა და გათავდა!

— აღარ ხუმრობ, ბიჭო? მეღირსა შენი ცოლი? — გულწრფელად გაუხარდა ქვაქვალას, — მომესწარი საცოლედ? შე კუდიანი! შე ეშმაკის ფეხო და ქაჯიკიანე! — ქვაქვალამ გაბედა, ახლოს მივიდა და შვილიშვილს ქეჩოში ხელი წაუბოტინა წამორტყმისათვის. ჭვატის ეგონა, თუ ცოლის თხოვაზე სიტყვას დიძრავდა, ქვეყანა დაიქცეოდა. ძალიან გაუკვირდა, ბებია რომ ასე გახარებული შეხვდა, თან არ სჯეროდა და უნდობლად უყურებდა.

— სარძლო ვინ არის, ბებია, გამიხარე გული!..

— მზევინარი.

— მზევინარი?... რომელი მზევინარია ეს?

— ჯონდოს მზევინარი.

— ჯონდოს? რომელი ჯონდოს?

— ლობიოკამიძისი.

— უი, ამხელა გოგო ჰყავს ჯონდოს? კარგი ბებია, ძალიან კარგი, წამოდი. შევიდეთ შინ, მოვილაპარაკოთ...

— მივდივარ მე...

— სად მიდიხარ? ჯერ დედას ვუთხრაო, მამას ვუთხრაო, გადავწყვიტოთ...

— მაგი გადაწყვეტილია, არ შეაღწეო შე.

— მოიცა, ბიჭო... იქ მიდიხარ, იმათ სახლში?..

— ის მე ვიცი.

— მოიცა-მეთქი! — უკან გამოუდგა ქვაქვალა, შვილიშვილს მკლავში ხელი წაავლო და გააჩერა, — კარგი, წადი, სადაც გინდა, მაგრამ დანა? დანა მომეცი, რად გინდა ეს ოხერი!..

— ეგენიც უნდა დავხოცო! — ევლავ შესძახა ჭვატიმ გაბოროტებით, ბებიას მკლავი გამოსტაცა და ელვისუსწრაფესად ალაგეზე გადახტა, გადახტა და ქვაქვალაც გადაჰყვა, ვინ ეგენი ბიჭო, კი მიაძახა უკან, მაგრამ ბიჭი ისარივითი გავარდა მოსახვევში და ხელად თვალს მიეფარა. გამშრალი, გახევებული ქვაქვალა ალაგესთან დატოვა.

საღამო ხანი იყო. ნინუ და ცილუ მეურნეობიდან საცაა დაბრუნდებოდნენ, რა ამბავს დაახვედრებდა? რა ექნა? მთლად უპატრონოდ ბაღებს სამზადში ვერ მიატოვებდა, იქ ცეცხლი ენთო და იმის შეეშინდა. იფიქრა, ცეცხლს ჩავაქრობ ბავშვებს ეზოში გამოვყრი... სამზადს დაგვეტავ და ჭვატის კვალზე მერე წავალო.

ამ ფიქრებში რომ იყო და სამზადში თავგზაარეული ხან ცეცხლს აქრობდა, ხან სათითაოდ გამოჰყავდა ბავშვები და სათითაოდ ჰქუას რომ არიგებდა, სიმინდის ყანიდან ცილუ გამოვიდა, სამზადს უკნიდან მოადგა, სამუშაოდან დაბრუნებულს მოკლეზე მოეჭრა, ყანა-ყანა ევლო, დურღენში ბირკა მოსდებოდა შარჯლის ტოტებზე. ეენახში ემუშავა, თალხ პერანგზე შაბიამნის ცისფერი ლაქები ეტყობოდა, ოფლის სუნი ასდიოდა, მხარზე გადებული თოხი სამზადის წინ, საჩეხის ერთ კუთხეში, მიაგდო, სამზადში შევიდა, ღოქს წაავლო ხელი, მოიყუდა და ხარბად დააცხრა.

— მოხვედი? არიქა, შენ შემოგვევლე, ახლავე წავიდეთ ჭვატის საძებრად, ცუდადაა საქმე!.. — მიაძახა ქვაქვალამ და სიძეს წინ დაუდგა, დაელოდა წყლის სმას როდის დაამთავრებდა. ცილუს დო-

ქი ტუჩიდან არ მოუწყვეტია, გემრიელად, რაკრაკით სვამდა, არ ეჩქარებოდა. როცა კარგა ლაზათიანად გამოძღა წყლით, ღოჭი თავის ადგილას დადგა და ქვაქვალას ტუჩების წმენდით ჰკითხა:

— რა იყო, რა ჰქირს ჰქვატიას საძე-
ბარი?

— დანას ლესავდა მთელი დღე...
ცოლს ვთხოულობო და გადავიარდა
ალაგზე.

— ცოლს ვთხოულობო?... — ჩაი-
ღუღუნა ცილუმ, კვლას დაწვდა. გამო-
იტანა საჩეხში, დაჭდა ზედ, ამოიღო სი-
გარეტი და ასანთს დაუწყო ძებნა ჯი-
ბეში.

— რას შობი, ცილუ? — გაკვირვე-
ბული გამოჰყვა გარეთ სიძეს ქვაქვა-
ლა, — რა დროს დაჭდომია ახლა?... არ
მოდიხარ?

— მოვა ნინუ და ის წამოვა.
— შენ წამოდი, კაცი ხარ მიინც.
— სად წამოვიდე?

— რა ვიცი, სად წამოხვიდე, საცა
შენი სასიძო ბიჭი წავიდა, იქ უნდა წა-
მოხვიდე.

— საჩქაროა ვითომ ახლა მაგ საქმე?
— მეტი საჩქარო რა აქებება, ალე-
სილი დანა გაარბენინა საღაცა.

— დანა რად მინდაო?
— ყელი უნდა გამოგზრათ ყველასო
და რა ვიცი... დედასო, მამასო, შენცო
და ბაღნებსაცო.

— რადაო, რა დაგვიშავებია? — ჩა-
იტინა ცილუმ.

— რა არხეინი კაცი ხარ, შენ არ მო-
მიკვდე, ახლა სასაცილოდ და სალაპა-
რაკოდ გვაქვს ჩვენ საქმე? ცოლის თხო-
ვა უნდა ბიჭს და გადაარეულია.

— ცოლის თხოვა კი არა, ათასი გა-
საჭირი მაქვს მე ოჯახში, რა დროს ჰქვა-
ტიას ცოლია!

— არიქა, არ გაავგონო მავი ბაღანას,
თორემ ვინ იცის რას იზამს.

— რას იზამს? დაამტვრევს ბუს
კვერცხებს ჰქვატია... ჰქვატიას საცოლ-
შილოდ გვცალია ახლა ჩვენ? ამ ბაღა-
ნებს მოვლა-პატრონობა არ უნდა? —

ცილუმ ეზოში მოთამაშე ბავშვებსკენ
გაიშვარა ხელი.

— უი, არ თქვა მამაგ ჰქვატია გი-
ნახავს დღეს შენ ჰქვატია, თორემ სხვა
გუნებაზე დადგებოდი, შეილებს გე-
ფიცებო... ამხელა დანა უკავია ხელში!

— კაი, ჰო, კაი... გვინახავს ჩვენ მაგ-
ხელა დანები...

— აბა, ყური არ გავაბარტყუნოთ?
— არა.
— ბავშვი არ მოვიკითხოთ?

— მოვა თავის ფეხით და დანასაც
მოიტანს აქეთ.

ქვაქვალა სიძის სიმშვიდემ წამით
ჩააფიქრა. მართლა სად უნდა წასულ-
იყო? უკვე ღამდებოდა, ჯონდო ლო-
ბიოქამიას სახლამდე კარგა მანძილი
იღო, როდის მივიდოდა იქამდე... წავე-
ლოდა კი ჯონდოსას ჰქვატია? იქნებ კი-
ნოში იყო და თავის სატრფოს იქ ელო-
დებოდა?

ქვაქვალამაც გამოიტანა კველა სამზა-
ლიდან და სიძის გვერდით დაჭდა ჩა-
ფიქრებული. ცოტა ხანს იჯდა ასე.
ბავშვები მსხლის ძირას შეკრებილიყვ-
ნენ და დიდის გულმოდგინებით თხრი-
დნენ ორმოს.

— აჰ, რას ველოდო აქ, უნდა წავი-
დე! — გადაწყვიტა უცებ, წამოდგა,
სამზადის კარი გამოიხურა და ჰქვატის-
კენ გაემართა. ჰქვატიაში გადავიდა თუ
არა გზაზე ნინუც გამოჩნდა. დაღლილი
შინ ბრუნდებოდა.

— გატრიალდი ახლა და უკან გამ-
რუნდი! — შორიდანვე დაუძახა ქვა-
ქვალამ შეილს, — ცოლს თხოულობს
შენი ვაჟაკი!

— რაო? — გაოცდა ნინუ და შუა
გზაზე შეჩერდა.

— შეიხსენი ეს ძონძი, სირცხვილია,
დედამთილი ხარ უკვე! — ქვაქვალამ
ნინუს წელზე შემოკრული თავშალი შე-
ხსნა, დაკუჭა და ღობის გადაღმა თა-
ვის ეზოში ჩაავდო, — წამოდი, გზა-
დაგზა ყველაფერს ვიტყვი.

ორღობეში ჩაუხვიეს, გაჩქარებუ-
ლი მიდიოდნენ, ჰქვატიას დღევანდელი

უცნაური საქციელის ამბავს ქვაქვალა დიდი გულმოდგინებით უყვებოდა გულშემოყრილ ნინუს. მეზობლებმა არ გაიგონო, ხმადაბლა მიპუტუნობდნენ. ხანდახან აუწყებდნენ ხმას, ხანდახან გაისმოდა ნინუს შემფოთებული ხმა ორლობიდან.

— რომელი მზევინარია ეს?... ლობიოჭამიების ოხერი?... მოყავდა კი, ჯონდოს ფუნას ჩაიში... — ნინუ გზიდან გადავიდა, დედას ერთი ჩხვერკით წვრილი, გამხმარი მესერი უჩვენა და უთხრა: — ამას ხედავ? ა, ამას რომ კაბა ჩააცვა, ის არის...

მზე ჩასულოყო. სოფელი ღამის შესახვედრად ნელა ემზადებოდა. აგერეგერ ბლაოდნენ სამზადის სვეტზე მოსაწველად მიბმული ძროხები, შუკაში ჭყვიროდა გარეთ დარჩენილი უღლიანი ღორი, შინ შეყვანას თხოვდა პატრონს. აკაცებით დაბურულ შუკაში ბინდი შემოპარულიყო, ღამე დაბურული შუკებით შემოდისოდა სოფელში.

— სად მყავს შე საცოლე ბიჭი! — გამოაღწია ხმამ შუკიდან.

აჩქარებული მიდიოდნენ, უკან არ იყურებოდნენ. სად მიდიოდნენ? ვისთან? — რომ გეკითხათ, თვითონაც არ იცოდნენ.

2.

ქვაქვალა და ნინუ რომ ჯონდოს სახლისკენ მიეშურებოდნენ, იმ დროს ჭვატია მეურნეობის გარაჟის ეზოში, სამკედლოს წინ, სვეტს მიყუდებოდა, გზისკენ იცქირებოდა. მზევინარს აქ უნდა გამოეცლო. სამკედლო დაკეტილი იყო, გარაჟშიც კანტი-კუნტად თუ აივლ-ჩაივლიდა ვინმე, დიდხანს ლოდინი არ დასჭირებია. მზევინარა ფურნეში გამოეგზავნათ, ორი დიდი გორა პური მოჰქონდა. იღლებში ამოეჩარა პურები, თავი მალლა აეწია. წერილ, მაღალ ყელზე ედგა ლაფართია თავი. თმა მოკლეზე შეეკრიჭათ და ბალღობაში აკვანში ხანგრძლივად ერთ

მხარეს დებისაგან უშნოდ გაბრტყელებული კინკრისო მოუჩანდა, არც მკერდი ეტყობოდა, არც თეძოები, ფეხებიც კი თითქოს ჩხირებისა ჰქონდა, ნინუს თქმისა არ იყოს, მართლაც, გამხმარ ჩხვრეკს კაბა რომ ჩააცვა, იმას ჰგავდა.

ჭვატიათ თავისი მზეტუნახავი რომ დაინახა, რატომღაც დაიმალა, სამკედლოს მოეფარა და იქიდან დაუწყო ყურება. ცოტა ხანს უყურებდა დამალული. ასე ხომ ვერ დამინახავსო, იფიქრა და გამოვიდა სამალავიდან. სამკედლოს წინ დადგა გამოწყობილი, გზაზე მიმავალს მიაჩერდა. გოგამ ერთი ქორტულად შეხედა აბეზარად მოშტერებულ ბიჭს და ამყად განაგრძო გზა. მზევინარი ჭვატიას შორიდან იცნობდა. მართალია, ერთ სოფელში ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთ სკოლაში არ სწავლობდნენ. ერთი სოფლის თავში ცხოვრობდა, მეორე — ბოლოში. მზევინარი მეზობელი სოფლის სკოლაში დადიოდა, ის სკოლა უფრო ახლოს იყო მის სახლთან.

ორი კვირის წინ, სწორედ აქ, ამ ადგილას, შეხვდა ეს ბიჭი; აქედან დაამახსოვრდა, საეჭვოდ უყურებდა კარგა ხანს. სწორედ მაშინ გაიხსენა თუ ვინ იყო, აქამდე სად ენახა და რომელ სკოლაში სწავლობდა; თავის ეზოში ხარეცხს, რომ აფენდა, სულ პირველად მაშინ შეამჩნია: ტრიფოლიატის ღობეზე თითქოს რაღაცა იდო. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა იქითკენ, კარგად დააკვირდა, ჭვატიათ თავი შეიციო, ბიჭს ტანი არ მოუჩანდა, ფეხისწვერებზე დგებოდა და მზევინარს უყურებდა ღობის გაღალმოდან. ეზოდან ისე მოჩანდა, თითქოს ჭვატიათ თავი ტრიფოლიატის გაკრეპილ ღობეზე იდო. ეს იყო და ეს. მთელი მათი სიყვარულის ამბავი აქ იწყებოდა და აქვე თავდებოდა. როცა ფურნიდან მომავალმა მზევინარმა სამკედლოს წინ გაიხარა, ჭვატიათ ეგონა, რომ ფრთები შეესხა. გოგონა კარგა მანძილით რომ დაშორდა სამკედლოს, ჭვატია ჯერ ფეხისწვერებზე შედგა და ისე გახედა თავის

მზეთუნახავს, შემდეგ სამქედლოს თავამდე აფრინდა უცერად, შეხედა ჯეირანივით მიმავალს და ძირს დაეშვა, ისევ აფრინდა, ისევ ჰკიდა თვალი, ისევ ძირს დაეშვა. ვიდრე მზევინარი არ გაუჩინარდა, ასე დაფრინავდა სამქედლოს წინ. აფრინდებოდა სამქედლოს თავამდე, ძირს დაეშვებოდა, აფრინდებოდა — ძირს დაეშვებოდა. გამოდევნებას და დაძახებას რატომღაც ვერ ბედავდა, თითქოს განგებამ ენა წაართვა, ადამიანური მოქმედების უნარი წაპვეტა და სამაგიეროდ ფრთები შეასხა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მზევინარი თვალს მიეფარებოდა. როცა გოგონა მოსახვევში მიიშალა, ჰაერში მფრინავმა ჩვენმა ქვატიამ მიწაზე ზღარათანი მოადინა და სევდა შემოაწევა. ეწყინა, გაბრაზდა კიდეც, რატომ ერთხელაც არ შეჩერდა და ყურადღება არ მომპყვიო. ალბათ სხვა ვინმე შეიყვარა — ესეც კი ვაიფიქრა. ასეთი ექვისათვის მზევინარს საბაბი არ მიუცია, ისინი ხომ ერთმანეთს არც დალაპარაკებია. მაგრამ ქვატიას ახრით ეს არ იყო მთავარი. როცა ტრიფოლიატის ღობის გადაღმიდან მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, მზევინარმა სარეცხის გაფენა მიატოვა და მისკენ წამოვიდა, ისე უცინოდა თვალები, ისეთი საყვარელი და ლამაზი იყო მკლავებდაკაპიწებულნი, ქვატია მაშინაც აფრინდა მაღლა და ძირს დაეშვა. ვინ იცის როდემდე იფრინდა ადგილზე, ის ოჩოკოჩი ჯონდო რომ არ გამოჩენილიყო. ვენახიდან გამოვიდა წვეურგაუპარსავი, ფეხშიშველა და მკერდმოლეღილი, ჯერ თავის ქალიშვილს შეხედა განრისხებულმა, მერე ქვატიასაკენ წამოვიდა სირბილით, პაიტ, ვინა ხარ შე შობელძალდოო, — მიაყვირა, დაიხარა და ქვეს დაუწყო ძებნა. თურმე წინა ღამეს ვიდაცას ალურა გაეკრიფა, ჯონდოს ქვატია იმ ქურდების გამოგზავნილი ჰგონებია. ჯონდო რომ ეზოში ქვის საძებრად დაიხარა, ქვატიამ მოუსვა და მოუსვა, უკან ერთი არ მოუხედავს, გულგახეთქილი შევარდა მეურ-

ნობის ბაღში და იქ დაწინააღმდეგობა, ალბათ მიმიხვდა სიძერძანს რომ ვუხარებო. ალურის ქურდობის ამბავი ქვატიამ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა. მთელ ამ ორომტრიალში კი მთავარსწორედ ის იყო, მზევინარმა სარეცხის გაფენა რომ მიატოვა და მისკენ წამოვიდა. ქვატიამ ეს მათი სიყვარულის ნიშნად მიიჩნია და იმ დღიდან მზევინარი თავის საცოლედ დაიგულა. ყოველივე ამის შემდეგ, საცოლე სასიძოს გულგრილად უნდა შეხვედროდა? გულგრილად კი არა, სულ არაფრად ჩათვალეს შენი ქვატია. — ფიქრობდა ქვატია, — გოგომ ერთი ქორულად მოხედა და ვითომ მათ შორის არაფერი მომხდარაო, ვითომ არც გიცნობ ვინცა ხარო, ამაყად განაგრძო გზა. ქვატიამ თავი დამცირებულად იგრძნო, გული მოუვიდა. სწორედ ამ დროს, გარაეის წინ ერთმა ნაცნობმა მძლოლმა თვითმცლელი გაჩერა, გადმოვიდა კაბინიდან და გარაეში შევიდა, ძრავა არ გამოუერთავს კაბინის კარიც კი ღიად დასტოვა იმის ნიშნად — ხელად გამოვალ და გზას განვაგრძობო.

ქვატია უცებ მოწყდა ადგილიდან, შეხტა თვითმცლელის კაბინაში, თვალისდახამხამებაში მუხრუჭი აღუშვა, სიჩქარეები ჩართო და თვალსა და ხელს შუა პორიზონტზე ბუზივით მიიკარგა. ერთი მოსახვევი გაიბრინა, მეორე, მესამე, მზევინარი არ ჩანდა. ქვატია ისე მიაქროლებდა მანქანას, გზად მიმავალნი შეშინებულნი გარბოდნენ აქეთ-იქით, გიყია ვიდაცაო, ხელებს შლიდნენ. მზევინარი თავის ჭიშკარს უახლოვდებოდა, როცა შარა-გზაზე დიდი სისწრაფით მომავალი თვითმცლელი შეამჩნია. გზიდან გადავიდა და ტრიფოლიატის ღობეს გაუსვია, მანქანას გზა დაუთმო. ტრიფოლიატის ღობეს თხრილი გასდევდა, იმ თხრილის პირზე შეჩერდა და უკან მიიხედა. მიიხედა თუ არა, გაისმა მუხრუჭების კივილი, მანქანამ ხრეშიან შარაზე საშინელი მტვერი დააყენა და ამ მტვერსა და ბუ-

ღმი გახვეული რკინის უჩინელი პირ-
დაპირ მისკენ გაემართა, მზევინარი
უკან გადახტა, ერთი პური გაუფარდა
და თხრილში ჩაგორდა, მეორე უნებ-
ლიედ გულში ჩაიხუტა და ტრიფოლია-
ტის ღობეს ზურგიით აეკრა, მანქანა
თხრილში ჩაყირავდა და ზედ მუხლებ-
ზე მიადო ცხვირი. შეშინებულმა გოგომ
კვიცილი მორათო.

ჯონდო და მისი მეუღლე, ივლიტა, სა-
მუშაოდან ახალდაბრუნებულები, შინ
სალამოს თადარიგს იჭერდნენ- კვიცილი
რომ გაიგონეს, ჭიშკრისკენ გაქანდნენ
და შთბლზე ხელმოჩრდილულებმა იქით
გაიხედეს, საიდანაც კვიცილი მოისმოდა.

ქვატია თითქმის გონწყასული იჯდა სა-
ქესთან, რა ექნა, არ იცოდა. მანქანა
თხრილში რომ ჩაყირავდა, ძრავაც ჩაუ-
ჭრა, სწრაფად ჩართო ძრავა და მანქა-
ნის ამოყვანა სცადა უკან სვლით. სიჩ-
ქარეში ხელები აებლანდა და მანქანა
აღვილიდან ვერ დაძრა. ამასობაში ჯონ-
დო და ივლიტაც მოვიდნენ. ივლიტამ
ციტრუსებში შეკრუჭული თავისი შვილი
და ზედ მიმდგარი მანქანა რომ დაინახა,
შეჰკვივლა და შეჰკვივლა, მიხვდა, დამნა-
შავე ვინც იყო, მანქანას შეახტა, რომე-
ლი ხარ, შე, სასიკვდილე, შენო, ჩასძა-
ტა კაბინას. ამასობაში ქვატიამ მანქანა
თხრილიდან ამოიყვანა და ივლიტა ერ-
თი-ორი საყენის მანძილზე წაიყვანა
უნებურად. ივლიტას ეგონა, მანქანას
არ გააჩერებსო და შიშის კვიცილი ატე-
ხა....

ჯერ ჭიშკრებს მოადგნენ და შემდეგ
შარახეც გამოჩნდნენ მეზობლები.

ქვატიამ გზის პირას გააჩერა თვითმც-
ლელი და კაბინიდან გამოხტა. ჯონდოს
მეზობლები შემოხვეოდნენ და აკავებ-
დნენ.

ქვატიამ არც აცივა, არც აცხელა, ჯი-
ბეში ხელი ჩაიყო, ღორის დასაკლავი
შავტარიანი პრიალა დანა ამოიღო და
მყივანა, ჩხაკვისებური ხმით დაიჭდავლა:
— სუყველას დაგსოცავთ ახლა!

ჯონდო და მისი მეზობლები ერთმა-
ნეთს მიაწყდნენ და უკან-უკან დაიხიეს.

ქალები მზევინარს შემოხვეოდნენ და
ამბავს ეკითხებოდნენ.

— რა ვიცი რა უნდა! — გაიქი-
ნა მზევინარი, — ჯერ იქ დაშხვდა, სამკე-
დლოსთან, მერე მანქანით გამომეკიდა..
რა დაუშავე, რა?..

როცა ქვატიამ დანა იძრო, ივლიტა
თავის ქალიშვილთან მოვარდა შეშინე-
ბული.

— შეხედე, დანა უჭირავს ხელში! ეს
ცილუს უსაქმური არ არის?..

— რა უნდა ერთი, რა უნდა! — გაიქი-
ნა მზევინარი, ვითომ მისგლა დააპირა,
ქალებმა არ გაუშვეს და დამშვიდება
დაუწყეს.

ერთმა მოხუცმა, ჯონდოს მეზობელ-
მა, გაბედა, უშიშრად მივიდა ქვატია-
სთან, მოკიდა მკლავში ხელი და საქმი-
ანად გაიყვანა გვერდით.

— რა იყო, ბიძიკო? — დინჯად ჰკითხა
მოხუცმა, — შენ ცილუს ბიჭი არა ხარ?
— არ გრცხვენია დანას რომ ვკილერ?..

ქვატია გაქვევებული იდგა ერთ ადგი-
ლას, თავი ჩაეკიდა. ასეთ გულითად შე-
ხვედრას არ მოელოდა.

— რამ აგალებინა ხელში დანა, მომე-
ცი აქეთ!

ქვატიამ დანა უკან დამალა...

— ვერ მოვცემთ დანას.

— კარგი, ბიძია გქონდეს, ოღონდ წა-
დი აქედან და დანაც თან წაიღე, გადა-
რეულია ჯონდო.

— არსად არ წაველ მე, — თქვა ჯიუ-
ტად ქვატიამ, — ის გოგო ჩემი შეყვა-
რებულია და თუ არ მომცემთ, მოვკლავ
ვილიცას!

— შეყვარებულიო? — გაუკვირდა
მოხუცს, არ მოელოდა, არ ეგონა თუ
ჯონდოს ცხვირმოუხოცავი ღლაპი ჯერ
ვინმეს შეყვარებას გაბედავდა.

— შეყვარებული ყოფილა! — იყვი-
რა ერთმა ბიჭმა და გახარებული გაიქ-
ცა ივლიტა და მზევინარისაკენ.

— შეყვარებულიოო?.. — მზევინარმა
იმ წამს გაიგონა ეს სიტყვა, თუმცა ქვა-
ტია კარგა მოშორებით იდგა ივლიტას
და სხვა ქალებს არაფერი გაუთქვამდა.

ბ. შარახეცის ს. ნ. ნაჭ. სარ.
ს. ხელმწიფელო რ. ს. ხელმწიფელო

— შეყვარებულიო? — ჩაიბუხლუნა ერთხელაც უკმაყოფილოდ მზევინარმა და გაკაპასდა.

— ვინ არის მაგის შეყვარებული?.. მაგ უსაქმური, მაგ ოხერი და ნავარი!.. — მზევინარი თავის გამხმარ მკლავებს იქნევდა ჰაერში და ჭვატიას ლანძღავდა.

— ოროსანი! უნიკო! ხუთი წელიწადი აგდია თითო კლასში!... — მზევინარს მღელვარებისაგან ენა დაება, ვერ იპოვა სალანძღავი სიტყვები და ტირილი მოართო.

— შეყვარებულიო? მოვკლავ მაგ ბიჭს და პასუხს არ ვაგებ იცოდეთ! — დაიძახა ჯონდომ.

— რა შეყვარებული, რის შეყვარებული, ვინ შეგიყვარებს შე ლენჩო და უღღვეურო! — გამოექცა ხალხს ივლიტა და ჭვატიას ცხვირწინ დაუტრიალა მუშტები.

— რატომ მილანძღავს გოგოს ეს გლახაიკის შვილი! ახლავე მოვკლავ, ამ წუთში! — დაიქუხა ჯონდომ და ღობეს ეცა, მესერს წაავლო ხელი, ამოძრობა დაუპირა. ჭვატიამ იფიქრა, ახლა კი დროა თავს ვუშველოო და მანქანისკენ წავიდა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ შარაგზაზე ნინუ და ქვაქვალა. მშობლები რომ დანახა, ჭვატიას გული მოეცა, სისიმპროსთან მიიჭრა, პრიალა დანა მალლა აღმართა და შესძახა:

— არ გიშველის მაგ მესერი, ღორივით გამოგჭკრი უელს!...

— დიდუპ, — შეჰკვივლა ნინუმ.

— მიშველეთ! — შეჰკვივლა ქვაქვალამაც და შვილიშვილს წინ გადაედო. ამასობაში ჯონდომ მესერი ამოშვლიტა მავთულებიდან, შეიქმნა წივილ-კივილი, ტრიალი, ზრიალი, ჯონდოს მთელი სამეზობლო მიესია და გაქარეს. ჭვატიამ მანქანაში შებტა და გაიქცა.

— ვინ მისცა მანქანა, რა ამბავია ჩემს თავს, ხალხო? — ეკითხებოდა ყველას ნინუ.

— დამლუბა შენმა ოჯახმა და კიდევ რა ამბავიაო კითხულობ? — გამოვიარდა ხალხიდან ივლიტა.

— რა იყო, რატომ გადასმობოთ ბიჭი! — გაღმა შეედავა ნინუ.

— ჩვენ გადავირიეთ თუ თქვენ გადავირიეთ ქალიშვილი!

— ქალიშვილი! — დამციხავად შესძახა ნინუმ. — სად გყავთ თქვენ ქალიშვილი! თქვენ ჭირიან გოგოს თუ ვინმემ შეხედა, მაგისტვის ტეხავთ ამ აყალმაყალს? ვის იწუნებთ, თქვე; ლობიოქამიებო!..

— ლობიოქამიებოო? ჯონდო! — შეჰკვივლა ივლიტამ, — გესმის, ლობიოქამიებს გვეძახის ეს ქვეყნის ანდაზა!

— რაო რაო? — დაიღრინა ჯონდომ ხალხიდან, — სადაა შენი ლენჩი ქმარი, შენ რომ გამოგაგზავნა. ლობიოქამიები ჩვენ თუ ვართ, არც თქვენ ხართ დადიანები! — მუხულოქამიებს თქვენ გეძახიან, თორემ ჩვენ კი არა, მუხულოს ხომ იცი რა ქამს?

— რა ქამს, რა? — ჩაძლია ბოლომდე ნინუმ.

— რა და ღორი.

— ლობიოს ღორიც არ ქამს, ამოღესილი დაუხსნი, თუ გინდა! — არ შეტყამს, არა!

— ჩვენ ღორზე უარესი ვართ, მაგის თქმა გინდა? — ჩააცვიდა ჯონდო.

— მაგის თქმა არ მინდა, — უკან დაიხია ნინუმ. ჯონდოს გადმოქაჩული თვალების შეეშინდა.

— აბა, რას ამბობ, რას! — ხელი ნიკაბთან მიუტანა ჯონდომ ნერვიულად, — შენს რეგვენ შვილს ჩემს გოგოს ვერ მივცემ, ვერა!.. ვავთავე მე ლაპარაკი!..

— თქვა მან, მოკიდა ატირებულ მზევინარს ხელი და სახლში შეიყვანა. აყაყანებული ხალხი ჭიშკართან მიატოვა.

— უი, დედა! — თქვა ერთმა მოხუცებულმა, — რა ძველ ამბებს იხსენებს ეს ხალხი! ჩვენი წინაპრები რაცხას ერთმანეთს ეძახდნენ, მაგი რა გასახსენებელია ახლა. ლობიოქამიები და მუხულოქამიები არა ვართ ყველა? აბა, დადევშქელიანი არის ახლა აქ ვინმე? — ჰკითხა ჯგუფად მდგარ ხალხს მოხუცმა.

— ჯონდო მყავს დადევშქელიანი, კი...

— მოხუცს სიტყვა წაართვა ნინუმ. — რაზე მილანძლავს შვილს, რითია ჩემი შვილი მაგის ჩხვერკევით გოგონზე ნაკლები. მოკვდეს მაშინ ნინუ თუ მაგისთანა რძალი სახლში შეუშვას! — მკერდზე დიბაგუნა მუშტი ნინუმ, — მაგი წესიერი გოგო რომ ყოფილიყო, ბიჭი სახლში არ მოუვარდებოდა.

— წესიერიო! დითა! დითა! დითა! გამოგვაჰუნეს ქვეყანაზე! — შეკვივლა ივლიტამ, მიაღგა თავის ჭიშკარს და ქმარს დაუძახა: — ჯონდო! ჯონდო!... გამოგვკრებს ყელი!

— კარგი, ივლიტა, დამშვიდდი... — ქვაქვალამ სცადა განერვიულებული ივლიტას დაწყნარება, — სუ შენც, ნინუ! — გაუწყრა შვილს, — წავიდეთ ახლა სახლებში და ხვალ მოვილაპარაკოთ!..

— კარგი სიტყვაა, ივლიტა, შვილებს გეფიცები, შედი ახლა სახლში... — ურჩია მეზობელმაც.

— სახლში შევიდე?.. — ქვაქვალას გამოენტო ივლიტა, — შენ რა გენაღვლებ, ქვაქვალა მზაკვარო, ქვაქვალა მესიაკონო! — გაგვლანძლეთ, გაგვთათხეთ და ახლა სახლებში წავიდეთ ხომ?!

— იდექი, აბა, შარაზე მთელი დამე და იგვანკვალე ფინია ძალღვიით, — უთხრა ქვაქვალამ. ნინუს მოკიდა ხელი და წაყვანა დაუპირა, — წავიდეთ, ნინუ, მაგას თუ ვუყურეთ, არ გაათაყებს დილამდე.

— უყურე! აქედან კანტორამდე ენა რომ აქვს გადებული, ის ქალი მეუბნება დილამდე არ გაათაყებსო. შენ გაგათავა სიკვდილმა, ქვაქვალა- მესიაკონო, მაგისთანა შვილიშვილის გაზრდისათვის.

— ნუ იწყევლები, შე მტკრიანო დედაკაცო, თორემ გაბუტავ ქათამივით! — მოუბრუნდა ივლიტას ნინუ.

— რა გინდა, შე ძროხა, ძროხა, ძროხა, ძროხა! — მიაყარა ივლიტამ და ქალებში გაერია. ნინუსი ეშინოდა. ნინუ ხელტოტა, ზორბა ქალი იყო, ბოზი სმა ჰქონდა, ისეთი ვააეება იცოდა, მტრისას! ივლიტა, მართლაც, ფინიასა-

ვით უყევდა შორიდან. უფრო მეტად ქვაქვალას ლანძლავდა, თუმცა ჩინუ უფრო მწარედ ივინებოდა. *მკერდზე* *მუშტი* *ქვაქვალა*.

— ძროხა კი არა, გააჩერე ენა, თორემ დაგიდებ ფეხქვეშ და იმდენს გირტყამ, რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია შენ გგონია, ამ ხალხის შეპრცხება?

— წამოდი, გოგო, კარგი ახლა! — დაუყვირა ნინუს ქვაქვალამ, — კარგი, ივლიტა, შენც დამოკლე ენა, რა ამბავში ხარ ვითომ! — გაუწყრა ივლიტასაც.

— არაფერია საჩხუბარი, წავიდა ის ბიჭი. — დამშვიდება დაუწყეს ივლიტას მეზობლებმა.

— ეგება მართლა დამოყვრდეთ და მერე შეგრცხებათ! — ახლა მამაკაცი ჩაერია ქალების დავაში.

— ის მაინც მითხარი, რა ავამეთ ჩემს ბიჭს, ასე ქუჩა-ქუჩა რომ დარბის დანაამოლებული? — კვლავ თავიდან დაიწყო ნინუმ.

— შხამი ჭამა შენმა ბიჭმა! — მიაყვირა ივლიტამ ნინუს, — მეტი საქმე არა მაქვს შენს ძღვინტიან ბიჭს ჯადო ვაჭამო!

— მაგისთვის ხარ შენ გაჩენილი, იზამდი მაგას, მაგრამ ვერ მომასაღებ, შენს დამკვწარ გოგოს, ვერა!

— ხალხო! რა მყავს მე გასასაღებელი! — იკვილა ივლიტამ, — ჯონდო! ჯონდო!... — კივილით გაიქცა შარაზე და ქვებს დაუწყო აკრეფა. მეზობლები მიცვივდნენ და ხელები დაუჭირეს.

— წადით, ნუ ვადარიეთ მთლად ეს ქალი! — მეზობლებმა ნინუ და ქვაქვალა ხვეწნა-ხვეწნით წაიყვანეს.

ამდენ ჩხუბსა და აყალმაყალში დამებულიყო, შარაგზაზე უკვე ბნელოდა. ხალხი ჭგუფ-ჭგუფად იდგა და ყაყაინებდა, ჩხუბის მიზეზი დავიწყნოდათ და სულ სხვა რამეზე კამათობდნენ.

ნინუ და ქვაქვალა სიბნელეში გაუჩინარდნენ, შინისკენ გაუდგნენ გზას. დიდხანს მოესმოდათ ივლიტას გაკაპასებული ლანძლვა-გინება, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ.

— თქვე მუხუდოკამიებო! შთამომავლობით ლენჩებო! ლეთის გლახებო!.. — გაჰკიოდა შარახე ივლიტა.

3.

იმ სკამოს ორივე ოჯახი გვიანობამდე ფხიზლობდა; საფიქრალი ერთსაც გაუჩნდა და მეორესაც. რაკი მზევინარმა გაიგო, რომ ჰვიატის ჰყვარებია, რაკი ჯონდომ და ივლიტამ გაიგეს ცილუს ბიჭი სიძეობას უპირებდათ, მოსვენება დაკარგეს, მთელი ღამე არ უძინიათ. მზევინარს წარა-მარა ეძახდნენ და ხან რას ეკითხებოდნენ და ხან რას.

— იქნება მართლა გიყვართ ერთმანეთი და მე მიმალავთ, — უთხრა ჯონდომ შვილს, — აგერაა ღედაშენი და ამას უთხარი, მე გავალ.

— რა ვიცი, გიყვარს? — ცრემლები გადმოყარა მზევინარმა, — ხუტისა გეფიცებით (მზევინარი უმცროს ძმას იფიცებდა), შორიდან მიყურებდა ერთხელ..

— გიყურებდა?

— როგორ თუ გიყურებდა! — ახლოს მიუჩიოდა ივლიტა, — სად გიყურებდა?

— აგერ ჩვენს ეზოსთან ციტრუსებზე იყო მომდგარი და მიყურებდა.

— მერე შენ რა უთხარი? — ჰკითხა ჯონდომ.

— მე არაფერი მიტქვამს, შენ გამოეცილე ქვით.

— როდის იყო ეს?.. არ მახსოვს...

— ალუჩის ქურდი გეგონა.

— მერე, მერე?..

— მერე არაფერი.

— სხვა დროსაც გიყურებდა კიდევ?

— ახლა ივლიტამ ჰკითხა.

— მიყურებდა კი, სამკედლოსთან იდგა და მიყურებდა.

— ხედავ შენ! სამკედლოსთანაც მდგარა! — შესძახა ჯონდომ, — რა მინდაო, რატომ გიყურებო?

— არ უთქვამს არაფერი.

— სულ არაფერი არ უთქვამს?

— სულ არაფერი, სულ... ჩვენ ხმა-საც კი არ გვემთ ერთმანეთს...

— აბა, რანირი სიყვარულია ეს? — გაიკვირვა ჯონდომ.

— სიყვარული კი არა, ამათი ცხვირის შერცხვენა! — თქვა ივლიტამ

— კი, ყოფილა ასეთი სიყვარული! — თქვა მოულოდნელად მზევინარმა და გაწითლდა.

— ა, შეხედე! — თვალეები გადმოყარკლა ჯონდომ.

— რაეა, გაივლე რამე გულში თუ? — მიადგა ივლიტა ქალიშვილს და თვალეებში დაუწყყო ცქერა გამომცდელად. მზევინარი აღვილზე აწრიალდა, ღედას თვალეები ვერ გაუსწორა.

— ვუყვარვარ თურმე იმ ბიჭს და რაკქნა მე! — ჩაიდუღუნა მზევინარმა.

— რას ჰქვია რა ქნა, სკოლა არ უნდა დაამთავრო?

— რაღა დარჩა, ორ თვეში მომცემენ ატესტატს.

— ამას გადაუწყვეტია და რა გვაქვს იმ ხალხთან სადავო! — თავში შემოირტყა ჯონდომ გაშლილი ხელისგული.

მთელი ღამე თეთრად გაათენეს, ჩანდა რომ მზევინარს გულში ჩავარდნოდა ცილუს ბიჭი. რა ექნათ ჯონდოს და ივლიტას, რა ელონათ? რომ გაზომეს და აწონეს, რომ დააკვირდნენ საქმეს და გონების თვალით გაჩხრიკეს, ჰვიატის სიძეობა ჰკლავიცი კი დაუჭდათ. მზევინარი მართლაც ორ თვეში დაამთავრებდა საშუალო სკოლას. უმაღლესში მზევინარი გამოცდებს ვერ ჩააბარებდა, შინ უნდა დარჩენილიყო და მეურნეობაში ემუშავა. არ ჯობდა პატრონს ჩაბარებოდა? მზევინარს გარდა ორი შვილი და მოხუცი ღედა-მამა ჰყავდათ სარჩენი. მზევინარს მოსწრებელი შვილი ეთქმოდა. მოსწრებელი შვილი ოჯახს მხარში ხომ უნდა ამოდგომოდა? თუ თავს უშველიდა, ეს იქნებოდა ნამდვილი მხარში ამოდგომა. რაკი ბედი კარზე მოადგათ, იქნებ ჯობდა ხელი არ ეყრათ. ჯონდო და ივლიტა მთელი ღამე ფიქრობდნენ, ჩუმაღ დავობდნენ, კამათობდნენ, პუტუნობდნენ საბნის ქვეშ, გამთენიის ხანს ჩასთელიმეს ძალისძალათი.

ცილუს სახლშიც გაუკრთათ იმ საღამოს ტკბილი ძილი. ცილუს მანქანის გატაცების ამბავი უფრო აწუხებდა, ვიდრე ჰვატრიას „რაინლობა“. მანქანის გატაცებისათვის ჰვატრიას დასჯიანო ფიქრობდა. ჭაღებს კი დანიანი ჰვატრია ელანდებოდათ და ყოველ წუთში მოელოდნენ საშინელ ამბავს.

როგორც იქნა ნაშუალამევს მობრძანდა „ლოზიოვაშიძის სახლი“. ასე შეარქვა იმ დამეს ჰვატრიას ნინუმ. შემობრძანდა, არც იყახშმა, არც არაფერი თქვა, კუთხეში დაჯდა მარტოკა და ჰვასავით დამუნჯებულმა ბოროტი თვალებით დაუწყო ყურება მშობლებს.

— რა იყო, შვილო, რატომ გვიბღვერ ასე გამბოროტებული, დავაშვეთ რამე? — დუმილი ნინუმ დაარღვია. ჰვატრიამ პირი კედლისკენ იბრუნა, დედის ზედაც არ შეხედა.

ცილუ ტახტზე წამოწოლილი უყურებდა შვილს, უღვაშებში ეცინებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

— სად იყავი მერე, სად გააქანე ის სხვისი მანქანა?... არ იტყვი არაფერს?

— კარგი, ნინუ, უფუნებოდაა ბავშვი, ხვალ იტყვის, დაწვეს ახლა... — ჩაერია საუბარში ჰვაქვალა.

— ხვალ ეგება გვიანი იყოს, — თქვა ნინუმ, — იქ მანქანა გაიტაცა, იქ კინალამ გაიტანა უდანაშაულო გოგო, იქ დანა მოუღერა ვილაცას, ამდენს არ გვაპატიებენ, არა!

— მოგვლავ ვილაცას და გათავდა! — წამოიძახა უცებ ჰვატრიამ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჰვაქვალამ და ნინუმ ცილუს შეხედეს. ცილუმ გაიციანა. ნინუმ საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიღო და ჰმარს უსიტყვოდ უთხრა, შენ ჰკუა ხომ არ დაკარგე, რა გაციენესო. ჰვაქვალაც გაუწყრა თვალებით სიძეს, მამა ხარ, თქვი რამეო. ჰვატრია კედლისკენ პირ-შექცეული იჯდა და მშობლების აფორიაქება არ შეუმჩნევია.

რაკი ცილუ არაფრის თქმას არ აპირებდა, ისევ ნინუმ განაგრძო:

— კი მაგრამ იმ გოგოს რას ერჩოდ, არ უნდისარ გოგოს? *ერჩინულში*
თითქოს ნინუმ ტყვიანგსროტლანს. ჰვატრია გაავებული მოტრიალდა და დედას თავისი მარლი თვალები დაუბრიალა.

ჰვაქვალამ შეილსა და შვილიშვილს მეტი სიტყვის თქმა არ აცალა, მათ შორის ჩადგა და ენა მთლად დაიშქრა:

— დანა სად გაქვს, შენ შემოგველე, მომეცი ის დანა, შეგინახავ. როცა დაგჭირდება, დაგიბრუნებ... ამ საღამოს არ დამეძინება თუ ის დანა ჩემი თვალით არ ვნახე.. — შორიდან ელაქუცებოდა გულს მოვეუგებო. ფიქრობდა აქებდა და ამჩნევებდა.

— თუ გინდა შეირთე ის გოგო, ბები, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ. მაგრამ თუ მოიცდი, უკეთეს გოგოს შეირთავ, შენისთანა ბიჭი მეორე არ დადის ამ სოფელში.

— ჯონდო დამსებულის შვილი გვაკლდა! — მოთმინება აევსო ნინუს, — უჯიშო ხარ მამაშენივით და რა გიყო... გაზაკუნია გაზაკუნია შეირთო და გაზამიწვარი გამოვიდაო. ასე იყო ჩვენი საქმე და ასე იქნება მომავალშიც.

— მამამისს რას ერჩი, — თქვა ცილუმ, — წვეს ავერ თავისთვის, არავის არ კლავს და არაფერი...

— ვერ ხედავ შენი შვილი რა ამბავშია?... არაფერი არ უნდა უთხრა?

— რა ვუთხრა, რა? — წამოჯდა ცილუ, — ცოლის სათხოვრად დანით და ხანჯლით რომ არ დადიან, ეს მან არ იცის? როცა ვინმე გიყვარს, იმას მანქანა კი არ უნდა დააჯახო, უნდა უთხრა მიყვარხარ, თავს მიჩვენებხარ, უშენოდ სიცოცხლე არ მინდა-თქვა, — ესეც არ იცის? ყველაფერი იცის მაგან, მაგრამ... კაცს თავისი მეთოდი ჰქონია და რა გინდათ ახლა თქვენ?...

— კარგი, ცილუ, კარგი, ყველაფერი კი არ უნდა გააბიბრუო... მოიყვანს ეს იმ გოგოს და ნახავ შენ დღეს მერე... — უთხრა ნინუმ ჰმარს უკმაყოფილოდ. ჰვატრია მშობლების სიტყვებს ერთ

ყურში რომ შეუშვებდა, მეორედან უშვებდა. არც ფერებამ, არც რჩევა-დარიგებამ, არც ხვეწნამ არ ვაკრა. მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, მგელი მაინც ტყისკენ იყურებოდაო. ჭვატია მგელივით თავის მარდ თვალებს იმდაგვარად აცეცებდა, საიშედო პირი არ უჩანდა, ღრმად ჩაფიქრებულმა დაწოლის წინ მაინც ის თქვა, რაც ქალებს თავზარს სცემდა:

— სისხლი უნდა დაიღვაროს, სისხლი!

4.

მეორე დღილა გათენდა თუ არა, ცილუ კანტორაში დაიბარეს და გააფრთხილეს: შენი ხათრიო, თორემ მანქანის გატაცებისათვის ჭვატიას პასუხისგებაში მიეცემდითო. ცილუმ მადლობა გადაუხადა მძღოლს, მეურნეობის ხელმძღვანელობას და შინისკენ გახარებული წამოვიდა. მანქანის გატაცება კანონის დარღვევა იყო, რაკი ეს აბატიეს, დანარჩენი არაფერია, ცხოვრება მდინარესავეით თავისი კალაპოტით დის, მას ვერც ჯონდო, ვერც ნინუ და ვერც კვარავინ შეაჩერებსო, ფიქრობდა.

რამდენიმე დღემ გაიარა, ჭვატია დილაუთენია გავარდებოდა ჭიშკარში, ტყის გზას დაადგებოდა და გაუჩინარდებოდა, არავინ იცოდა სად დადიოდა, რას აკეთებდა...

ერთ სისხამ დილას კი, ცილუს ჭიშკარს ჯონდო მოადგა. ჭვაქვალა თვალეზის ფშვენტით გამოვიდა საჩეხში და ჭიშკარს გახედა.

— ჯონდო, შენა ხარ? — ვერ გიცანი, გამდიდრდები, მობრძანდი შინ, მობრძანდი!... — შეიბატიეა სტუმარი, ვითომ მათ შორის არაფერი მომხდარიყოს, გულთბილად, მეზობლურად შეხედა.

— ცილუ არ არის სახლში? — მშვიდობიანად იკითხა მოსულმა.

— აბა სად იქნება ამ დილაბნელზე, — სულ მთლად გაუშინაურდა ჭვაქვა-

ლა, გულმა უგრძნო, რომ ჯონდო ავი განზრახვით არ იყო მოსულნი!

— გამომხედოს ერთ წამს, — სსქმე მაქვს...

— ახლავე!.. ცილუ! — გასძახა სამზადს, — შემოდი ეზოში, ძალი არ გვყავს — უთხრა ჯონდოს, ჯონდო შემოვიდა ეზოში და ბეოლის ძირას, ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა გამქცევით. ეს კარგის ნიშანი იყო. ჯონდოს რომ ჩხუბი და აყალმაყალი ნდომოდა, ეზოში არ შემოვიდოდა. ცილუ სამზადიდან გამოვიდა ხელების ფერთხვით და, ცოტა არ იყოს, შემკრთალი მიუახლოვდა ჯონდოს. ჯონდო წამოდგა და ხელი გაუწოდა.

— დილა მშვიდობისა, ცილუ.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა.

ორივენი გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

— სახლში არ შევსულიყავით? — ჰკითხა ცილუმ ჯონდოს.

— არა, აქ ჯობია. პაერზე.

— როგორც გირჩევნია! — უთხრა ცილუმ, სიგარეტი ამოიღო და მიაწოდა. ვაუჭირდათ სიტყვის ჩამოგდება. მღუმარედ ისხდნენ კარვა ხანს და აბოლებდნენ. სამზადიდან ქალები იყურებოდნენ. ჭვატიას ეძინა და ბაიბურში არ იყო რა ხდებოდა მის ეზოში.

— ბატონო ცილუ, — დაიწყო ჯონდომ ნელ-ნელა, სიგარეტის ბოლებით, — რა დამიშავებია მე შენთვის და შენი ოჯახისათვის ისეთი, დანას რომ მიღწო და მოკვლით შემეჭრებო.

— ვინ გემუჭრებათ მოკვლით, ჭვატია? — ჩაიციხა ცილუმ.

— ჭვატია სწორედ.

— დეილუბოს იქით, ჭვატიას მოკვლილი კაცი შევარცხვინე მე.

— თუ მომკლა, ჭვატიას მოკვლილი ვიქნები თუ არამხუტუს, სულერთი არ არის? კაცის მოკვლას ლარი და ხაზი კი არ უნდა! — აიღებს დანას და გფუშავს მუცელში. მერე იცინე შენ...

— მაგან საერთოდ არ იცის დანა რა არის, ჯონდო ბატონო, გაუღესია ის დანა და დარეგია ქალებს, ყველანი უნ-

და დავხოცოთო. რას ვიზამთ, ცოლის შერთვა უნდა ბიჭს.

— მერე ვაქვს შენ ახლა ჭვატიას ცოლის თავი?

— რა ვქნა თუ სხვა საშველი არ დამდგა?..

— არ არის სხვა საშველი?

— რა ვიცი, ჭერჭერობით არ ჩანს.

— რა ვქნათ აბა.

— რა ვიცი, რა ვქნათ?

— როგორ, ასე ჰაერში გამოკიდებულ ვიყოთ? დაუძაბე ერთი ჭვატიას და მალაპარაკე, თუ კაცი ხარ, მე არ შემოძლია ასე ყოფნა. ან იქით უნდა გადავქრავ ან აქეთ.

— ნინუ! — გასძახა ცოლს ცილუმ, — გააღვიძე ჭვატია — მოვიდეს! აგერ, ამხელა ვაქცაყი შეუშინებია, — ჩაიჭირქილა ცილუმ.

— ეჰ, შენისთანა კაცი ას წელიწადს იცოცხლებს, ცილუ...

— უდარდელი კაცი ვარ არა?... ბიჭო, რა ვქნა ახლა. ჭვატიას გულისთვის ცხრა მთას იქით ზომ არ გადავიხვეწებო. არაა ჭერ საცოლე, თუ დამიჭერებს. თუ არადა, მოიყვანოს და დაწვენენ ეგერ ძროხებთან. სხვა ადგილი ჩვენ არა გაქვს.

— გასათხოვარი ქალი მეც არა მყავს, კი იცი შენ, მაგრამ თუ ბავშვებს უყვართ ერთმანეთი, ჩვენ ვინ გვკითხავს! დადიანები და დაღმეშქელიანები არც ჩვენ ვართ და არც თქვენ. ლობიოკამიები ჩვენ თუ ვართ, თქვენ მუხულოკამიები ხართ. გასაკვირი სიმდიდრე არც მე მაქვს და არც თქვენთვის მოუცია ღმერთს. ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი და მიუეხმაროთ ბაღნებს, რაც შეგვიძლია. რას იტყვი?

— რას ვიტყვი, რას... ა, ჩემს სასახლეს ქე ხედავ შენი თვალით, მეურნეობიდან რა ოქრო-ვერცხლიც გვეძლევა ისიც იცი, მე წინააღმდეგი კი არა ვარ. თუ ასეთ გაჭირვებაში იცხოვრებენ, მობრძანდნენ და იცხოვრონ. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენც ასე არ მოვიყვანეთ ცოლები? — ჩაიჭირქილა ცილუმ, —

რა უჭირთ გაათრევენ დღესდღეობებში ან.

სამზადიდან ჭვატია გამოვიდა, შარვალს იკრავდა და ისე მოდიოდა. შორი-ახლოს დადგა, სტუმარს თავი დაუქნია და განზე ვაიხედა. ქანაობდა ერთ ადგილას, მუხლთან გამოხერხილი გრძელი შარვალი ეცვა, ფეხშიშველა იდგა ცერიან ბალახზე.

— ა, ლობიოკამიების სასიძო, — ჩაიციან თავისებურად ცილუმ.

— ბიძია, რატომ მომიქნიე ის დანა, დაგიშვე რამე? — ჰკითხა ჭვატიას ჯონდომ. ჭვატია არ უბასუხა, თავი ჩაღუნა და ფეხის თითებით ბალახს დაუწყო ჩხრეკა.

— ჩემი გოგო გინდა ცოლად, იმიტომ გააკეთე ყველაფერი ეს?...

ჭვატია კვლავ არ უბასუხა. თავი აიღო და პორიზონტს გახედა უაზროდ.

— ცოლად უნდა კი, — მიეხმარა შვილს ცილუ.

— მერე, ბიჭო, ენა არა გაქვს? თქვი და დაგიკავა ვინმემ? რად ვინდა დანას რომ იქნეე უშანგია გოგიუთ ქუჩაში.

ჭვატია კვლავ დუმდა. ჯონდო კარგა ხანს ელოდა, იქნება ხმა ამოიღოსო, მაგრამ ამოღ.

— ასე იქნება, არაფერა იტყვის? — ჰკითხა ჯონდომ ცილუს.

— კი, ასე იცის.

— რა ვქნათ, აბა? — ჰკითხა კვლავ ჯონდომ ცილუს.

— რაც გინდათ, ის ქენით. მე ყველაფერზე თანახმა ვარ.

— კაცო, მე კი არ უნდა ვქნა, თქვენ უნდა ქნათ, მე ქალის მამა ვარ, თქვენ უნდა მოხვიდეთ და წაიყვანოთ ქალი, როგორც წესი და რიგია, უჰ! — გაცხარდა ჯონდო.

— როდის უნდა ვქნათ მერე მავი, ეგენი მოწაფეები რომ არიან, დაგავიწყდა?

უცებ ჭვატიას თვალება ცერის სიმსხო გაუხდა, ცხვირი გაუწითლდა, ყვითელი კბილები გადმოყარა და ენა ამოიღგა: —

— მზევინარი ორ თვეში დაამთავრებს სკოლას. მე სწავლას მივატოვებ და საშოფროზე მივდივარ რაიონში... იმასაც ხელათ დავამთავრებ და ვიმუშავებთ ორივე.

— აა, ამას საათივით აუწყვია ცხოვრება, — თქვა ცილუმ, — შევიდეთ ახლა სახლში, ლობიოჭამიების სასიძო არ დავლოცოთ?


— აჰ, არა, ახლა არა, — იუარა ჯონდომ — მუხუდოჭამიების საპატარძლოს, დრო როცა მოვა, მაშინ დავლოცავთ მამაბაბურად.

ასე მშვიდობიანად დამთავრდა ჭვა-

ტიას ცოლის შერთვის ამბავი. გამოინახა საშუალება. გამოეგზვნეს საერთო ენა და ცილუმს ოჯახს ახალი წვერი შეემატა — უფროსი რძალი.

ახლა ჭვატიას სამი ბიჭი ჰყავს, მეოთხეს დღედღეზე მოელის, გასუქდა, კაცს დაემსგავსა ჭვატია, მზევინარმაც შეისხა ფერ-ბორცი, სხვაზე ნაკლები არც ერთია და არც მეორე.

მთავარია, გამრავლდეთო, ეჩიჩინება შეილსა და რძალს ცილუ, დანარჩენი ყველაფერი თანდათან იქნებაო. ჭვატიას ქერა უღვაშებში ეცინება და მეოთხე ბიჭის მოლოდინში მებუთესაც გეგმავს გუნებაში.



ჩემი თემატიკა — გაქორცვა

ღამ-ღამით ხელსა შერაცხ მელოდია,
შლევტივით ზაირბუნს გვირილიანს, —
ეს პირმშო სტრიქონის მოლოდინი
შწარედ ბედნიერი ტკივილია.
სმენავ — უმაღლესში აყვანილო —
ნაწი ფლექტები ჩაგდახიან:
აქ რამ მოგიყვანა, საყვარელო,
ადგილი ესე ნაძრახია.
მაგრამ ამართული ქამანჩებით
ფიცხლად შეიხსნება ცისკარედი, —
აქამდეც როგორ გაგაჩერეთ?
აქამდეც როგორ გიკავებდით?
ჩუმად მომჭვითინებს ვიოლინო,
სიმებად ჩემი ძარღვებია,
ისე თავმდაბლურად იოლია,
ისე შემპარავად მალღებია!
თავს დამყიფინებუნ ფანფარები,
ხმანი სისხლ-ძარღვებში მექცევინ,
აჰა! — გამომწალდეს ლაფანებად,
აჰა! შემომრაგვეს ენძელიანს.
ეს რა ბოლნარევი სურნელია,
ეს რა მშობლიურად ცოცხალია,
მგონი: ჭრიანტელი კუნელია,
ვგონებ, მოცახცახე მოცხარია.
ეჰეი! — სარწყავ-ურწყავებო,
თქვე დაშაწრულებო,
ოფლიანო,
ღობით გადმომდგარო კუნწულებო, —
ჩემო ალისფერო მსოფლიონო!
აგერ: მოლიდინე ოროველი,
კალოსპირული და საძნეური,
აგერ! — მოთახთახე ტოროლები!...



აგერ! — მოლიცილიცე სარჩეული!...
 სმენავ — უმაღლესში აყვანილო, —
 თალხი დედაბრები ჩამძახიან: —
 მანდ არ ჩაიარო, საყვარელო,
 ეგ ნაწისქვილარი ნაძრახია!
 ...ხელები მათი აბეღია,
 მკერდები მათი — ფიცრებია,
 თმა-წვერი ნისლებრ გაპენტიათ,
 მზიგულზე ყუნად ფიცხდებიან,
 თქვენ,
 ბერიკაცებო,
 წასულებო,
 ნეტავ თუ მანდეთაც იდარება?
 ნეტარ, რომ იმკვიდრეთ სასულეთი!
 ნეტარ რომ შეგრაცხეს წმინდანებად!
 თქვენ! — ღვიძლს რომ მიბურღავთ, ორღანებო,
 წამით შეაბრუნეთ განაჩენი;
 წამით მომაჩვენეთ ორღობიდან
 ფიჭრში ჩალგენთილი მამაჩემი!
 ო, რა გულმძარცველი ქარებია!
 რარიგ სიმწარედ და ღანძილებად! —
 ესლა ერთადერთი ქნარებია!
 მუ მინდა ქნართან დაძინება!
 ო, მხოლოდ ქნართან,
 ო, მხოლოდ ქნართან,
 ო, მხოლოდ ქნართან დაძინება!...
 ...ადექ — ჩამბლუიან ტრომბონები.
 მკურდს მიბაგუნებენ დაფდაფები.
 დიამც, ძვირფასია მოგონება,
 ჩარჩოდ ჩამოქნილი სადაფებით.
 დიამც, სხვას ვერავის მიბარებ
 მაგ ტკივილს სისხლით ნაჟურთანს,
 მაგრამ, რად ივიწყებ, მეგობარო,
 ჩემი თემატიკა — მაჟორია!
 ჩემი თემატიკა,
 ჩემი თემატიკა,
 ჩემი თემატიკა — მაჟორია!
 მაქვს მარადიული განტოლება.
 სწავლობენ, გრძნობენ და მომხარიან:
 როს შეილებს მამულს უტოვებენ, —
 ეს ნიშნავს: მამები ცოცხალია!
 არა მოღვენთილად, მოყამულად,
 ჩვენ ვცოცხლობთ
 ჩვენ ვიბრძვით,
 მოვკეთდებით.
 უფრო მაჟორული! მაჟორული!
 ჰანგები! ლექსები! ორკესტრები!
 წითელი, წითელი გულისპირით,

წითელი, წითელი გადანთებით,
 შიგ ამქუხარება უნაპირო,
 შიგ ორატორია, კანტატები.
 შიგ არა მინორი გაუნილი —
 რაიც იმედების ფანტვანვა...
 მხოლოდ მაჟორული, მაჟორული
 სმენაც, აღმაფრენაც, ფანტაზიაც!...
 თვით სიყვარულშიაც, აჟურულში,
 რომელსაც მრავალნი მოტირიან,
 მხოლოდ მაჟორული, მაჟორული,
 ჩემი უმთავრესი მოტივია!
 მაქვს მარადიული განტოლება,
 სწავლობენ.
 გრძნობენ და
 მომზარებენ:
 რთხ შვილებს მამულს უტოვებენ —
 ეს ნიშნავს: მამები ცოცხალია!



რამაჲ კოვიძე

გვიმრის ფოთლები

რთმანა

წიგნი პირველი

ნაწილი მეორე

თ ა ზ ი X I V

მეორე შახტის კანცელარიის გამგე მარგალიტა ხეცურიანი უკვე იმ ასაკში იყო, როცა ჭალი გათხოვებაზე ფიქრს ძალაუვნებურად თავს ანებებს და მთელი ძალღონით ცდილობს, თავისი თავიცა და გარშემომყოფნიც დაარწმუნოს, ამ ქვეყნად მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ სხვების ბედნიერებაზე ვიზრუნო.

მთელმა შახტმა იცოდა, რომ იორამ ნოსელიძე მარგალიტას ნათესავად ერგებოდა და შახტზე მარგალიტამ მოაწყო იორამი, თუ საჭიროდ და შესაძლებლად დაინახავდა, ადმინისტრაციის საიდუმლოებასაც უმხელდა, — რა თქმა უნდა; ისე, რომ საერთო საქმე არ დაზარალებულიყო, — და, საერთოდ, ყოველნაირად მფარველობდა.

ახლა მარგალიტას საზრუნავი იორამის დაოჯახება შეიქნა. დაცოლიანებულ ყმაწვილს სხვა მზრუნველი გაუ-

ჩნდებოდა, მარგალიტა „ცოტას ამოისუნთქავდა“ და მერე ახალ საზრუნავს გაიჩენდა. იორამს საცოლვეც შერჩეული ჰყავდა — თვრამეტი წლის კისკისა იამზე, შახტის სააკუმულიატოროში რომ მუშაობდა, თვითრად ხელზე ოთხმოცდათვრამეტ მანეთს იღებდა და ექვციც არ ეპარებოდა იმაში, რომ ეს ხელფასი მეც თავსაყრელად მეყოფა და ჩემს მომავალ კმარაშვილსაცო. იამზეს ჯაჯღანა და ენამწარე იორამი პირდაპირ თავდავიწყებით უყვარდა და თუ ამ ქვეყნად რაიმე საღარდებელი ჰქონდა, მხოლოდ ეს იყო: მითხოვოს ამ ბიჭმა, თუ მთხოულობს, და გაათავოს, ნეტავი, რაღას უყურებსო; ბავშვი ხომ აღარავარ, როდის აწი მე ბავშვები მომეწარებინან, როდის მე იმათ დავზრდი და გზაზე დაგაყენებ, რატომ არ უფიქრდებაო.

სანამ მესამე უბანს ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი მეთაურობდა, საფიქრალი, თითქოს მართლაც არაფერი იყო. უბანი სანაქებოდ მუშაობდა, მეშახტე-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

ები კარგად გამოდიოდნენ და იორამს ოჯახის შენახვა არ გაუჭირდებოდა. ამიტომ ის და იამზე ხელს, ალბათ, დღედღეზე მოაწერდნენ.

ჯიბრაილი რომ მოხსნეს და მის მკვიერ ახალგაზრდა ინჟინერი, თეიმურაზ არაყვეანიძე დანიშნეს, მარგალიტა, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა. არა, ჯიბრაილის მოხსნა და დამცირება მას არ სწყენია, პირიქით, გულის სიღრმეში ძალიანაც გაუხარდა, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. შეფიქრიანდა კი იმიტომ, რომ, როგორც ყველანი ლაპარაკობდნენ, ახალგაზრდა ინჟინერს უბნის გაძლიერება გაუჭირდებოდა და შეიძლება, ისეც ის დრო დამდგარიყო, ჯიბრაილამდე რომ იყო, როცა უბანი გეგმას 60-70 პროცენტით ძლივს ასრულებდა და ქალაქში ხუმრობდნენ, ლავროსი აბენდაძის უბანზე ქალი არ გაითხოვებო. ამ უბნის შესახებებს მაშინ ზოგჯერ პურის ფულიც უჭირდათ. როცა უბანზე საქმეები ასე უკუღმართად მიდის, მაშინ ძველი, თავმოდგმული ოჯახებიც კვენსიან და კრიჭინებენ, ახალი ოჯახის შექმნაზე კი თითქმის არაფერს ფიქრობს. არადა, იორამი, დედამისი, იამზე და ბავშვები მართლაც იმ ოთხმოცდათერთმეტ დანებზე ხომ არ იცხოვრებენ? ეს უკვე სახუმარო საქმე აღარაა. გარდა ამისა, ახალი უფროსის ხელში უბანზე ავარიები რომ გახშობდნენ? ესეც ხომ მოსალოდნელია? მანდ ყველაფერი ხდება, ჰოდა, მტრისას და ავისას, იორამსაც რომ რამე დაემართოს? მაშინ? მთელი ქვეყანა, დიდი და პატარა მარგალიტას გამტყუენებს, ამდენი ხანია შახტში მუშაობს და წინ უნდა დაეხედაო, ახლა ზიდოს იამზესი და მისი პატარა ბავშვების ცოდვაო. ხალხს ენას ხომ ვერ აუბამ?

მაგრამ, გავიდა ერთი კვირა, რაც უბანი არაყვეანიძემ ჩაიბარა, გავიდა მეორე კვირა, გავიდა მესამე, მეოთხე, თვე, თვენახევარი... და — დიდება შენდა, ღმერთო! ეს არაყვეანიძე ან ძალიან იღბლიანი ბიჭი და სამთო საქმის მავა-

რი მკოდნეა, ან სარდიონი და კახაბერ გურასაშვილი ძალიან ეხმარებოდნენ. გორ და რანაირადაა, არაყენი იცის, მაგრამ რამ ეს კია, რომ უბანმა მუშაობას კი არ უკლო, არამედ პირიქით, კიდევ უმატა და ქვენახშირი ახლა ზოგჯერ უფრო მეტიც ამოაქვთ, ვიდრე ჯიბრაილის დროს ამოჰქონდათ. მარგალიტა იმ ციფრებს ყოველდღე ამოწმებს. ავარია კი... რის ავარია და რომელი ავარია?! არაფერი ამის მსჯავსი. მეშახტეები გახალისებულნი არიან, თავს არაფერს იზოგავს და ყველაფერი ისე საათივით აეწყო, თითქოს ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი მაგ უბანზე არც არასოდეს ყოფილიყოს.

ჰოდა, რაკი ასეა, ვის რაღა უფლება აქვს რომ იორამისა და იამზეს ბედნიერებას ხელი შეუშალოს? ეს ცხოვრება ხომ მართლაც ერთი წუთისაა. თვითონ მარგალიტას, აგერ, ჰალარა ისე შემოებარა თმეში, რომ არც კი გაუგია. არ კმარა, რაც მარგალიტა ეწამა და უძილო ღამეები ათია? ახლა იმათ მაინც გაიხარონ. თუ ვინმეზე ზრუნავ, კიდევ უნდა იზრუნო. და თუ, ბოლოსდაბოლოს, მესამე უბანზე როდესმე რამე ცუდი მაინც მოხდა, რას იზამ? შახტი — შახტია. როცა შახტზე აწყობდა, მარგალიტამ იორამს ბევრჯერ გაუმეორა, აქ შენ სასეირნო ბაღი არ გეგონოს, ეს მძიმე და სახიფათო საქმეაო. იორამმაც ბარე ათჯერ გაუმეორა, ვიცო, და მერე თავისებურად აუჭაჭლანდა კიდევ, — გეუბნები, ყველაფერი ვიცი და ბავშვიც აღარა ვარ, რომ არ ვიცოდე რას ვაკეთებო.

მარგალიტამ მესამე უბნის სამორიგეოში დარეკა, იორამი ჩემთან ამოვიდესო. იორამი ხუთ საათზე ამოვიდა. ცვლას კომბანით ოცდასამი მეტრი გაველო და სასიძო ბიჭი მშვენიერ ხასიათზე ბრძანდებოდა. მარგალიტამ დააცდევინა, სანამ საქმეებს მოათავებდა და მერე სახლისაკენ ერთად წავიდნენ.

— რას შერები, როგორ ხასიათზე ხარ? — ჰკითხა მარგალიტამ.

— ვარ ღმერთივით! — იორამმა ცერა თითი აჩვენა.

— აკი უჩიბრაილოდ დავაღუპებებითო?

— იპ!

— ქვეყანა აამტუტეთ.

— რაც იყო, იყო.

— ახლა რას ფიქრობ?

— რა უნდა ვიფიქრო?

— დაფიქრდი და მიხვდები, რასაც გვეკითხები.

იორამი სერიოზულად ჩაფიქრდა. მაგრამ იმ წამსვე მიხვდა და წამოწითლდა:

— ჰოო... — და გაიცინა. — ჰი-ჰი!

— იორამ! ასე არ შეიძლება. — მარგალიტამ ტუნები სერიოზულად მოკეშა.

— რა არ შეიძლება?! იორამი გულწრფელად გაოცდა. შეჩერდა კიდეც.

— შენ ახლა იამზეს ბედიღბალზე პასუხისმგებელი ხარ. გოგოს უკვე შენი სახელი ჰქვია.

— შენ არ მითხარი, მოიცადეო?

— რომ გითხარი, მაშინ საჭირო იყო. ახლა რას ფიქრობ?

— რა უნდა ვიფიქრო?

— დედაშენმა იცის?

— რახანია.

— ჰოდა, მაგ საქმის გადადება არ შეიძლება.

იორამმა მარგალიტას ჯერ იკვნეულად გამოხედა, ხომ არ მცდისო. მაგრამ დაინახა, რომ მარგალიტა აღარ ხუმრობდა. გაბედნიერდა და მხიარულად ახითხითდა.

მეორე დღეს მთელმა შახტმა იცოდა, იამზე და იორამი ხელს აწერენ და კარგ ქორწილსაც გეპირდებიანო. წყენით ეს ამბავი არავის წყენია, იორამსა და იამზეს ყველანი თანაუგრძნობდნენ, მაგრამ ზოგი ძველი მეშახტე თავს მაინც იკვნეულად იქნევდა. არქიფო ცალკულდიშვილმა კი გერასიმე ცნობილადე დიმიტროხელა, ჯერ, ვითომ სხვათაშორის, ჰკითხა, შენი კესარია ახალ ოჯალეშს როდის ჩამოგვიტანს სოფ-

ლიდანო და მერე პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— გაიგე?

— გავიგე.

— იორამზე და იამზეზე გელაპარაკები.

— გავიგე, ადამიანო!

— მერე?

— რა — მერე?

— ჩვენი უბნის ხალხს ვითომ ქორწილებისათვის გვცალია?

— ქორწილები არ ვიცი და ერთ ქორწილს ვითომ რა უჭირს?

— კარგი ახლა!

— რა გინდა, არქიფო? ჩვენმა ახალგაზრდებმა ქორწილები იმას მიუსადაგონ, უბნის უფროსი ვინ იქნება და ვინ არა?, რა ხანია, ეგ ბიჭი და გოგო ერთმანეთს მისჩერებიან, ერთ ჰერქვეშ ცხოვრება აღარ უნდა ეღიროსო?

— არა, ეგ კი, მაგრამ... ცოტა კიდეე მოეცადათ-მეთქი. მე ისევე მაგათზე ვფიქრობ.

— მესმის, მაგრამ... ჩვენმა უბანმა ასე საათივით, იქნება, კიდეე ხუთი წელიწადი იმუშაოს და — მაშინ მაგ გოგო-ბიჭის ცოდვა მე და შენ ვზიდოთ.

— მე და შენ, გერასიმე, საკუთარი ცოდვებიც გვეყოფა.

— მეც მაგას ვფიქრობ.

— ესე იგი...

— ეგ სალაპარაკო აღარაა. ბარემ ეგ საქმეც მოვილიოთ. ქორწილში ხომ მოხვალ?

— იმე!

— ცოტა ხელის გამოლებაც დაგეპირდება.

— გერასიმე, რანაირად მელაპარაკები?!

— ჰოდა, აბა, კარგად იყავი!

უბნის მეშახტეები, თითქოს გერასიმეს თანხმობას უცდიდნენო, კიდეე უფრო გახალისდნენ: ზოგმა ხუთ-ხუთი თუმანი, ზოგმა კი ას-ასი მანეთიც გამოიღო. ფული გერასიმეს ჩააბარეს — ის ბიჭი რაღაც გაუგონარ ქორწილს აპირებს ქალაქის რესტორანში. თუ ფული არ ეყოს, აქედან დაამატე, და-

ნარჩენით კი რაიმე საჩუქარი ვუყი-
დოთო.

ხუთი თუმანი ანთიმოზ ჩახუნა-
შვილმაც დადო, თანაც სახალხოდ
განაცხადა, საქორწილო თადარიგში
ჩემი მარიამი ხომ მოგეხმარებათ და
მოგეხმარებათ, მაგრამ ეს კიდევ არა-
ფერი: რესტორნის დირექტორი ერის-
ტო დიდმამიშვილი ნათესავად მერგე-
ბა და იქნება, ლეინო და გოკები გარე-
დან შეგვატანინოს, მაშინ კი ქორწილი
ერთი-ორად უფრო იაფი დაგვიჯდე-
ბაო.

— ვითომ?!

— რა ლაპარაკი უნდა! ბოთლი ღვი-
ნო რესტორანში ბარე სამ მანეთამდე
ღირს, მე კი გარეთ ცვარივით კრიალა
ფერსათს თითო მანეთად გამოვნი-
ნებთ. ისე გოკები, შენ ხარ ჩემი ბატო-
ნი, და ისე ბევრი რამ...

— მანეთად ფერსათს ვინ გამოვნი-
წერს?

— ეგ ჩემზე იყოს. გლეხებს ვიცნობ,
ჭურბში ლეინოს სავანგებოდ ასეთი
შემთხვევისათვის ინახავენ. მაგაზე უფ-
რო მე ერისტოს დათანხმება მაფიქ-
რებს. ამისთანები სასტიკად აკრძალუ-
ლია.

— წელან რომ თქვი?

— ჰოდა — მაცალეთ.

ანთიმოზმა ქუდი ჩამოიფხატა და გა-
ვარდა. მეშახტეები ანთიმოზისაგან სა-
ერთო საქმეებში ასეთ თავისგამოდე-
ბას დაჩვეულნი არ იყვნენ და, ცოტა
არ იყოს, უკვირდით კიდევ. თვითონ
გერასიმეც კი შეფიქრებდა, რაღაც
ამბის მოლოდინში ხომ არ არის, ასე
რომ თავს გვევლებო. მაგრამ ვერა-
ფერს მიხედნენ და ბოლოს ყველამ
ხელი ჩაიქნია, — რა მოხდა, ბოლოს-
და ბოლოს, კაცი სიბერეში შედის და
სხვა თუ არაფერი, თავის დროზე კუ-
ბოს ამწევი მაინც ხომ დაჭირდება, ალ-
ბათ, ამას მიხვდა და ხალხთან დაახ-
ლოებასაც ამიტომ ცდილობსო. ჯერ-
ჯერობით ვერავენ ხვდებოდა, რომ ან-
თიმოზს მალე სხვა სადარდებელი გა-

უჩნდებოდა და უბნის ხალხიც მაშინ
დასჭირდებოდა.

ერთი საათის შემდეგ ანთიმოზი აქო-
შინებული მოვარდა გერასიმესთან და
ახარა, ერისტო ყველაფერზე თანახმაა,
ასე მითხრა, ეს რესტორანიც და მისი
კანონებიც ჩვენი სახელოვანი მეშახ-
ტეების ჭირის სანაცვლო იყოსო.

— ესე იგი?

— გერასიმე, ამას როგორ ველარ
ხვდები? ლეინოც, გოკებიც, ბეკიცა და
ფხალეულიც გარედან შეგვიძლია შევი-
ტანოთ. არანაკლებ, სამას-ოთხას მა-
ნეთს დაეზოგავთ.

— ფხალეულიც? — ვილაყას ამაში
ეჭვი შეეპარა.

— ფხალეულიც! — გადაჭრით დაუ-
დასტურა ანთიმოზმა.

— ო! ნამდვილად დიდი საქმეა, ძმაო!

— ყოჩაღ, ანთიმოზ!

ბარე თხუთმეტი წლის მანძილზე ეს
პირველი შემთხვევა იყო, როცა მეშახ-
ტეებმა ანთიმოზის ნამოქმედარი გულ-
წრფელად მოიწონეს.

საქორწილო სამზადისი კი გრძელდე-
ბოდა. იორამმა და იამზეს დაუპატივე-
ბელი არ დარჩენიათ არავინ. რალა
თქმა უნდა, არც შახტის თავკაცები —
სარდონი და მინაგო. კახაბერ გურა-
საშვილი და ტერენტი ჩაგუნავა. ყვე-
ლანი — მეუღლეებითურთ. ტერენტი
უცოლო იყო, სამაგიეროდ — ვინც გა-
გებარდება, ის მოიყვანე, კაცი თუ ქა-
ლი სულერთიაო.

დანიშნულ დღეს, კვირას, ქალაქის
რესტორანში გაშლილ დიდებულ სუფ-
რას სამას კაცზე მეტი მიუჯდა.

ნეფე-დედოფალმა შემოსვლისას ცო-
ტა წაიკინკლავეს. ვილაყამ, ძველებუ-
რი წესების ერთგულმა მიმდევარმა შე-
მოსასვლელ კარებში მათ თეფში დაუ-
დო — ფეხი დაჰკარით და გატეხეთო.
იორამმა ფეხი ასწია და ის იყო, თეფში
ნამსხვრევებად უნდა ექცია, რომ იამ-
ზემ სასწრაფოდ ხელი წააელო, გვერ-

დზე უბიძგა და თეფშს ფეხი ააცდენინა — რას შერები?

— რასაც ვშერები! საინი წელან არ გაგვატეხინეს, მმაჩიდან რომ გამოვდიოდით? ნეფე-დედოფალმა ქორწილის დღეს ერთი საინი უნდა გატეხოს. წესი ასეა. — იამზე აჭეთ-იჭით გამწყრალი იყურებოდა.

— ესე იგი, ამათ არაფერი იციან?

— დიახაც, არ იციან.

იორამი შეყოყმანდა. გარშემო მოგროვილი ხალხი კითხვით შეათვალიერა. მაგრამ, ეტყობოდა, მართლაც არავინ იცოდა, რომ ქორწილის დღეს ნეფე-დედოფალმა მხოლოდ ერთი საინი უნდა გატეხოს. თუ მათ ყველა შესასვლელ გამოსასვლელ კართან — ყველგან თითო საინს ახვედრებენ. საქმეში ანთიმოზ ჩახუნაშვილი ჩაერია:

— რა იყო?

— საინს არ სტეხავენ. ერთი საინი მმაჩიდან გამოსვლისას გაგვატეხინეს და მეტი აღარ შეიძლება.

— რატომ აღარ შეიძლება?

— იმიტომ — იამზე ანთიმოზს შეუპოვრად მიაჩერდა და თან იორამს ხელს არ უშვებდა, — წესი წესია.

ყველანი დაბნეულად იღიმებოდნენ. იამზემ იორამი მისწია და მაგიდისაკენ უბიძგა. იორამი მორჩილად გაჰყვა. საინის გარშემო შეგროვილი ხალხი დაშლას აპირებდა, რომ ანთიმოზმა რაღაც მოისაზრა. რაღაც თავის აზრს გაუღიმა, თავი ასწია და მიიხედ-მოიხედა:

— საღლაც აქ ჩემი მარიამი იყო. ჰეი, მარიამ! აქ მოდი. მე და შენ ხომ არც ქორწილი გვქონია და არც საინი გაგვიტეხავს. ჰოდა, ხომ იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო. აწიე ფეხი! დაკარი! ასე!

ლოყებშეფაცულმა მარიამმა საინს ქუსლი მაგრად დაჰკრა და ნამსხვრევებად აქცია. გარშემომყოფებმა მხიარულად გადაიხარხარეს და თავიანთ ადგილებს მიაშურეს.

როცა ყველანი დალაგდნენ და საუზმეულით პირველი შიმშილი მოიკლეს, ნეფე-დედოფლის გვერდით მჯდომი

მარგალიტა წამოდგა, ტარბაზი ამყავდ გადასჭრა და ნეფე-დედოფლის პირდაპირ მჯდომ სარდიონთან მივიდა.

— ბატონო სარდიონ! — მარგალიტას ნალაპარაკევი ყველა ახლომსხდომს კარგად ესმოდა. — იორამს, მოგესხენებათ, მამა არა ჰყავს ესეც რომ არ იყოს. ყველა ჩვენი შესახტისა და თანამშრომლის პირველი ნამდვილი მზრუნველი და ზოგისთვის მამაზე უკეთესიც თქვენ ბრძანდებით. ამიტომ გთხოვთ, ამ საზეიმო სუფრას ხელმძღვანელობა გაუწიოთ.

სარდიონმა პასუხად ხელები გაასავსავა.

— არაფრის გულისათვის! არა და არა! ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ არსად, არც ერთ დიდ სუფრაზე არ მითამაღნია. ჰოდა, ეს ქორწილი რაღა ჩვენს იორამს ვაფუუგემურო? ისე კი, თუ ნებას მომცემთ, თამადის კანდიდატურას მე შემოგთავაზებთ.

— გვიბრძანეთ. თქვენი ბრძანება ჩვენთვის კანონია.

— ჩემის აზრით, ტერენტი ჩავუნავაზე უკეთესი თამადა ამ სუფრაზე ძნელი მოსაძებნია. ახალგაზრდაა, ადგილკომია, ღვინოს იტანს, ენა უჭრის, ორივე ოჯახს კარგად იცნობს... აი, ჩემი აზრი ეს არის.

— კი, ბატონო!

როცა ტერენტის ეს ამბავი შეატყობინეს, ადგილკომის თავმჯდომარე საბტად დარჩა. სარდიონისა არ იყოს, დიდ სუფრაზე მასაც არასოდეს უთამაღნია. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ეს არაფერი. რაც სხვას შეუძლია, იმას ტერენტიც შეიძლება. ოღონდ, სარდიონს ამითი რა უნდა? ხალხი შეამაზადოს, ადგილკომის თავმჯდომარედ მომავალი წლისთვის ისევ ტერენტი ავირჩიოთო? არა, თუ ასეა, ნურას უჟაცრავად! თამადობით ტერენტი კი ითამაღებს, იორამი კარგი ადამიანია და იამზე კიდევ უკეთესი, მაგრამ — მომავალ წელს ისევ ადგილკომობა? მაგაზე დიდი ბოდიში! თუმცა — ჯერ ეს საქმე, ადგილკომობაზე მერე ვილაპარაკოთ.



ტერენტის უკვე ყოველი მხრიდან თამადაობას ულოცავდნენ. ყველაზე ხმა-
მაღლა და ყველაზე უფრო მეტი მონ-
დომებით ანთიმოზ ჩახუნაშვილმა აღ-
დგგრძელა. როცა ყველა მიწყნარდა,
ტერენტი ადგა, ორი ჩაის ჭიკა ღვინით
შეავსო და პირველი სადღეგრძელო
წარმოთქვა.

— ყველა აქ დამსწრე ამხანაგს, —
თქვა მან, — ძალიან კარგად მოგეხსენე-
ბათ, თუ რა მიზეზითა ვართ აქ შეკრე-
ბილი. ეს გახლავთ ჩვენი იორამისა და
ჩვენი იამზეს ბედნიერება. ეს ძალიან
დიდი ამბავია მათ ცხოვრებაში. და ამ
ამბის მნიშვნელობას ისინი თანდათან
და სულ უფრო და უფრო მეტად შეიგ-
ნებენ. ჩვენ არავის ეპყვი არ გვეპარება,
რომ იორამისა და იამზეს ოჯახი იქნება
მშრომელი, პატიოსანი, უმწიკვლო,
უანგარო, მოყვრისა და მტრის კარგად
გამრჩევი. გისურვებთ, ჩვენო ახალ-
გაზრდა მეგობრებო, ბედნიერებას,
ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს
და ერთიმეორის დიდ სიყვარულს! აღა-
ვერდი ყველასთან, მთელ აქ დამსწრე
საზოგადოებასთან.

— იცოცხლეთ! — გაისმა აქეთ-იქით
დან.
და წამოვიდა:
— იორამ და იამზე, თქვენს ოჯახს
გაუმარჯოს!
— იორამ და იამზე, იცოცხლეთ!
სულ ლზინი თქვენს ოჯახს, სულ მატე-
ბა და ბედნიერება.
— იორამ და იამზე, იცოცხლეთ, ერთ-
მანეთი სულ ასე გყვარებოდეთ!
— იორამ და იამზე...
— იორამ და იამზე...
— იორამ და იამზე...

ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო დი-
დი ხალისითა და ერთსულოვნებით
შეისვა. მერე ის იყო, ბოლო სიტყვა
ითქვა და სასმისიც დაიცალა, რომ
უზადო ჩალისფერ კოსტუმსა და ფარ-
თო წითელ გალსტუხში გამოწყობილი
გრიშა ოდიბაშევი წამოდგა, მის პირ-
დაპირ, ერთი მეორის მოყოლებით ჩამ-
წკრივებულ მემონტაჟეებს ქორულად
დაძხედა და თეთრი ცხვირსახოცი აუქ-
ნია. მემონტაჟეებმა გრძელი კახური
„მრავალყამიერი“ დაჰქუხეს.

თ ა ვ ი XV

ეს ოხერი სიბერე მართლაც ჩასაფ-
რებული მტერივით მოუხტა გერასიმე
ცნობილაძეს. ცხოვრება სწორედ თვა-
ლსა და ხელს შუა გაუქრა. თითქოს
გუშინ იყო, ლურჯი სატინის ხალათში
გამოკვართული თოთხმეტი წლის სოფ-
ლელი ბიჭი მალაროს ინჟინერს რომ
ეახლა და სამუშაო თხოვა. ის ხალათი
წინა დღეებში გერასიმეს დედამ გა-
კირვებით ნავალები, სულ კუთხე-
კუთხე ჩამოთხოვილი აბაზიანებით შე-
უქრა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ გე-
რასიმეს წაბლისფერ თმებში მაშინ
ერთი თეთრიც კი არ ერიბა. ეგ კი არა,
არც თვალთ აკლდა — ქვეყანას ორივე
თვალთ მისჩერებოდა. ის ნეორე თვალი
3. „მნათობი“ № 4.

მერე ისევე მეშახტის მძიმე ცხოვრებამ
შეიწირა.
მალაროს ინჟინერი — გამხდარი და
სახედალარული, მაგრამ სუფთად და
მდიდრულად ჩაცმული კონსტანტინე
ქალაგანიძე უხასიათოდ ბრძანდებოდა.
სიმორცხვისაგან აღმოდებული, ერთი-
ნად სიმწრის ოფლში გაღვარული ბიჭი
ავდებულად შეათვალიერა და ავი, მო-
ულოდნელად შეწყუხებული ქოფაკივით
შეუღრინა:
— რა სამუშაო გინდა?
გერასიმე ისე დაიბნა, რომ ენა მუ-
ცელში ჩაუვარდა. მაშინ ჯერ კიდევ
არ იცოდა. რომ იმ წუთებში სიკეთეს
მალაროს ინჟინერი მას კი არა, პირი-

ქით, თვითონ იგი მალაროს ინჟინერს უკეთებდა. ეს ყველაფერი მერე ვაიგო. მაშინ კი თოთხმეტი წლის სოფელელმა ზიქმა ხმის ამოღებაც ველარ მოახერხა. ჩფიქრა, ალბათ, მალაროში მუშაობა არ მიწერია და ისეც ჩემს დამშეულ ოჯახში უნდა მივბრუნდეო. მოტრიალება და წამოსვლა დააპირა. მაგრამ ჰალაგანიძემ უცხად ვილაგას — ოთახში არმყოფს — გააფთრებით დედა შეაგინა და მაგიდას მუშტი დაახალა. მერე კედელს მიეყრდნო, შემკრთალი და ერთადგილას გახევებული გერასიმე აგდებულად შეათვალიერა და მიუგვო:

— მანდ ჰეიშვილი იქნება და იმას ელაპარაკე.

გერასიმემ ის-ღა მოახერხა, რომ თავი დაეკრა, და აივანზე გამოვარდა.

გერასიმემ მერე ვაიგო, რომ წინა დღეს ერთ მალაროში ცეცხლი გაჩენილიყო და ინჟინერს დიდი უსიამოვნებანი ელოდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მაშინ ცეცხლი მალაროებში ძალიან ხშირად ჩნდებოდა და ამას ინჟინრებიც მიჩვეულნი იყვნენ და მუშებიც, თუ საერთოდ შეიძლება, რომ ადამიანი ცეცხლში დგომას მიეჩვიოს.

ამას გარდა, ჰალაგანიძეს რაღაც საქმე წაეგო სასამართლოში, ისეც მალაროებთან და ქვანახშირის საბადოებთან დაკავშირებით და დიდი ჯარიმის გადახდა უწევდა. მაგრამ ესეც არაფერი: სწორედ იმავე დილას ჰალაგანიძისათვის ერთადერთ ქალიშვილს გამოუცხადებია, ვილაც ობრისაგან ფეხმძიმედ ებრძანდები და ან ჩემს საყვარელ ადამიანს გამაყოლებო, ან ახლავე თავს ჩამოვიხრჩობო. არა, იმ გომბიოს სწორედ ამისთანების სალაპარაკო დრო არ მოუნახავს! ქალის ორსულობა, ინჟინრის ქალიშვილი იქნება, თუ ვისიც არ უნდა იყოს, ბუნებით დადგენილ ცხრა თვეს გრძელდება და იმ უტვინო გომბიომ მამამისს მეზი თავში რალა იმ უკუღმარტ დილას ჩათხლიშა? რა ქვეყანა დაინგროდა, რომ მესამე, მეხუთე, ან სულაც მეათე დღეს ეთქვა, როცა ხანძარიც ჩამ-

ქრალი იქნებოდა და ფულის წაგებაც, ასე თუ ისე, მონელეზუტში მაგრამ უგულო და უტვინო ყველა უგულურ და უტვინოა, მდიდრულ პარკეტსა და სარკეებში გაზრდილიცა და სოფლურ სოხანეზე ფეხადგმულიც.

ჰეიშვილი გერასიმემ აივნის ბოლოს, უფანჯრო ოთახში იპოვნა. ერთი გრძელცხვირა, ნესტოებდაღრენილი, ხმაჩახლეჩილი კაცი იყო. ლურჯი მაულის შარვალ-ხალათი და მალაყელიანი, ტალახში ამოსვრილი ჩექმები ეცევა. ვილაც ჩამოძენილ, ჭუჭყიან, სახე და ხელუბნაშავებულ მალაროელებს რაღაც სათხოვარზე უარს თავის მძიმე გადაქნევა-გადმოქნევით ეუბნებოდა და თან მარჯვენა ხელის ნეკით ყურს იქეჰავდა.

— არ შეიძლება, ლომებო, არ შეიძლება. — ჩახლეჩილი ხმით იმეორებდა ჰეიშვილი და ყურიდან გამოღებულ ნეკს ყურადღებით ათვალიერებდა. — არ შემიძლია, გესმით? არ შემიძლია.

— გვეცი პატივი, აღმასხან ბატონო! — ერთხელაც დაეღრიჯა ვილაც თმაშევერცხლილი, ფეხშეშველა მალაროელი — შენს სიტყვას მაგენი ძირს არ დააგდებენ. ოღონდ ამ საკვირაოდ ცოლშვილში ხელცარიელს ნუ გავვიშვებ და მერე სამაგიეროდ რაც გინდოდეს, ის დაგვაღლე. ა? აღმასხანის ჰირიმე...

— ტყუილად მთხოვ. რაც არ შემიძლია, არ შემიძლია. მე, ჩემო ძმაო, საკუთარი საქმე მაქისრია. აბა! ეს მალაროები საჩუქრად კი არავეის მოუძღვნია ჩემთვის. ამ მალაროებს პატრონი სხვა ჰყავს, ეს თქვენც კარგად იციო.

— ეგ ჩვენც ვიციო, მაგრამ... ამ ქვეყანაზე ცოდვა-მადლი სულ აღარ არი?!

— ეეჰ! — აღმასხანმა ხელი ჩაიჭნია, ვითომდა — ნეტავი შენ, რომ ამ ქვეყანაზე კიდევ რაღაცის იმედი გაქვსო.

— ნუ გავწირავ, აღმასხანავ ბატონო!



— კარგით ახლა! გეყოფათ! აგერ, აი, ერთ რჩევას მოგცემთ: ზედა მალაროს ხალხმა ფული სწორედ გუშინ დილას მიიღო. საკვირაოდ სახლში წამსვლელი მაგათში ერთიც არ ურევია, რაჭველებია სუყველა. ჰოდა, მიდიეთ, ბიძიკოებო, და დაესესხეთ. არაფერი დაშავდება, თუ ერთი-ორი დღით ხელი გაგიმართეს, თქვენც მალაროელები ხართ და ისინიც — უცნობ ხალხს ფული როგორ ვესესხათ?!

— გაგეცნოთ, რა... მამაცხონებულე-ბო, ამდენი ხანია, ერთ ტაფაზე იხრუყებთ და ერთმანეთის ვაცნობა ვერ მოახერხეთ? რომელი ვუბერნატორები თქვენ მყავხართ, ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, გაგება, თავისიანობა უნდა გქონდეთ, აბა! მარტოხელა კაცი ჭამა-შაყ ბრალიაო.

— ესე იგი, არაფერს შეგვეწევი?
 — არა! ვითხარით, არა-მეთქი!
 — ეჰ!

თამაშევერცხლილმა ძველი, დაძინი-ლი ქუდი გამწარებით ჩამოიფხატა და კარებისაკენ წავიდა. დანარჩენებმაც — ოთხი თუ ხუთნი იქნებოდნენ — ამო-იხვნეშეს და შიშველი ფეხების ტყავა-ტყუპით უკან დაედევნენ.

ჭეიშვილმა მაგიდიდან მალაღყელიანი, ჭერაც სველი დოჭი აიღო და მოიყუდა. კარებში ატუზული გერასიმე მან—თავ-გადაწეულმა — სწორედ მაშინ დაინახა, როცა წყალი დოჭის ყელიდან რაკ-რაკით გადაეშვა მის დაფრენილ ხახაში, მაგრამ ჭეიშვილს წყლის სმა არ შეუწყვეტია, თავგადადებული თან გერასიმეს მოსჩერებოდა და თან წყალს ხახაში ის-ხამდა. ბოლოს, როგორც იქნა, დოჭი ტუჩიდან მოიშორა, მაგიდაზე დადგა, გვერდზე მისწია და გერასიმეს თვალი ჩაუბაკუნა.

რომელ ხატზეც გინდოდათ, გერასი-მე იმაზე დაგიფიცავდათ, რომ აღმას-ხან ჭეიშვილი მას პირველად ხედავდა. ჰოდა, აბა, თვალი რატომ-ღა ჩაუბაკუ-ნა? ვითომ დამორცხვებული და დაბნე-ული სოფლელი ბიჭის გამხნელება უნ-

დოდა? აქაოდა — ნუ გეშინია, მობი და გული თამამად გადამიშვალერი? [მეტყჷ] არაა თქვენი მტერი! უფროსის ხსენებ-რომ თავი მოაწონა: ხომ დაინახე, ის ყელგამოწეული მალაროელები თავიდან როგორ მარჯვედ მოვიშორეთ. თუმცა, ესეც ვინ იცის... მას აქეთ ბევრზე ბევ-რმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ გერასიმე დანამდვილებით ახლაც ვერ გეტყვით, თუ რატომ ჩაუყრა იმ დილას თვალი აღ-მასხან ჭეიშვილმა. ეს კი იყო, რომ მე-რე ოდნავ შესამჩნევად თავი დაუქნია, შემოდი და თუ სათქმელი გაქვს, მით-ხაროო.

გერასიმემ ძლივს ერთი ნაბიჯი გადა-დგა და კართანვე გაჩერდა.

— რით შეგიძლია... რაქვია... — ჭე-იშვილი გერასიმეს აღარ უყურებდა. თავი აეწია და ოთახის კუთხეში მიმა-გრებულ თაროს ათვალეირებდა. მაგრამ რასაც ეძებდა, აღბათ, ვერ იპოვნა და ისევ გერასიმეს მოუბრუნდა. — აბა, ცოცხლად! შენისთანა, ბიძიკო, აქ ყო-ველდღე ათი და ოცი მოდის. თუ ყვე-ლამ ასე იოჩნა... საშუაო გინდა?

— დიახ!
 — მერე? შენზელა ბიჭები აქ ან მო-მეზს მოჰყავთ, ან ბიძებს, ან მეზობ-ლებს... მაინც... შენ მარტო რატომ მო-ხვედი?

— ასე მოხდა...
 — სადაური ხარ?
 გერასიმემ უთხრა.
 — მერე? რაო დედაშენმა? მალარო-ებში მიდი და სულ ტაბლა-კვერებს დაგახვედრებენ, ჯიბეს ოქრო-ვერცხ-ლით აგივსებენო? ასე ვითხრა?

— არა. — გერასიმეს ერთი თავისუ-ფალი, ხამაღალი ამოსუნთქვა მთელ ჭვეყანას ერჩივნა, მაგრამ ამასაც ვერ ბედავდა.

— კიდევ კარგი... მამა არ გყავს?
 — არა.
 — ჰო, გეტყობა.

ჭეიშვილი ერთი ხნით დადუმდა. თა-ვისი მოთეთრო თვალებით ბიჭს გაუნძ-რეველად, გულაღრენილად მოსჩერებო-და, თითქოს ამისი ბრალი ყოფილიყოს,

რომ მამა არ ჰყავდა და ცხოვრება უჭირდა. მერე უეცრად ხელი ჩაიჭინა:

— ხვალ დილას, უთენია, აქ გამოცხადდით.

მეორე დილას თოთხმეტი წლის გერასიმე პირველად ჩავიდა მაღაროში.

სიმაართლე უნდა ითქვას, თავიდან ქვიშვილს გერასიმესათვის დიდად სამძიმო საქმე არ დაუცისრებია: მონგრეული ქვანახშირიდან ფუჭი ქანების გამოჩრჩევა დაევა. მაგრამ ეს გულკეთილობით კი არ მოსვლია: გამორჩევაში რაღაც კაპიკებს იძლეოდნენ და ამ საქმეს მოწიფული ვეკაცი არც იკადრებდა. ჩაბნელებულ ნესტაბს გვირაბში გერასიმეს ირგვლივ მისივე ტოლი ბიჭები და სოფელურად თავწარული, სახეგამურული და ხელუბრაზებულნი დედაკაცები ფუსფუსებდნენ.

იმ დღეს გერასიმეს სოფელი და კარის მეზობელი ოდანია სინაურიძე ცოლ-შვილის მოსანახულებლად სოფელში მიდიოდა. გერასიმემ დედასთან მოკითხვა დააბარა. უთელიდა, მაღაროში კარგ ფეხზე მოვედი, საქმეც იოლი დამაკისრეს და გამომუშაებდაც კარგი შექნებაო; ამ კვირას, ალბათ, არა და — იმ კვირას კი უსათუოთ ჩამოვალ და ფულსაც ჩამოგიტანო.

— მართლა ეგრე ვუთხრა, ბიჭო? — ოდანიამ უხალისოდ გაიღიმა. თვითონ მაღაროებში უკვე შვიდი წელიწადი მუშაობდა და ჯერ თავის ოჯახში იმდენი ფული არასოდეს მიუტანია, რომ სათქმელად და თავის მოსაწონებლად ღირებულყო. ახლა ამ ღლაპს რა უნდა მიეტანა დედამისისთვის?

— კი, ოდანია ბიძია, ასე უთხარი.

— შენი ნებაა... ოღონდ, წინასწარ დაპირებულსა და დაქადნებულსო, ხომ გაგიგონია...

— არა, მაგი არ იღარდო. რასაც მომცემენ, სულ დედაჩემს ავუტან, საქმლის ფულად მე იმდენი რა უნდა დამპირდეს?

— კარგი, არ ეიღარდებ. შენი იმედი შექნება. და აბა, კარგად, იყავი!

ოდანია წავიდა, საორშაბათოდ უკან-

ვე უნდა ჩამობრუნებულყოფნე მხოლოდ ჩამობრუნდა და გერასიმეს უთხრა: დედაშენი ცოტა შეუძლოდ იყო, ეს შენც გეცოდინება, ავადმყოფი დაგატოვებია, მაგრამ შენი ამბის გაგებაზე სიხარულით ცას ეწია და შემოგიტოვალა, შენ არაფერი მოიკლო, მაინც მაღარო ქვია, რა ვუყოთ, რომ იოლ საქმეზე დაუყენებხაროთ, თავს მოუარე და გაუფრთხილდი, მე კი ახალ მოსავლამდე თავს კი გავიტან და მერე ვნახოთ.

გერასიმე, რა თქმა უნდა, მაინც თავისას იზამდა: მომავალ კვირას უსიკვდილოდ ავიდოდა სოფელში და სნეულ დედას ფულსაც მიუტანდა. მაგრამ საქმე მოულოდნელად შეტრიალდა.

იმ დილას გერასიმე სამუშაოზე მაღაროში ჩვეულებისამებრ დილის შვიდი საათისათვის მივიდა. თავის ხალხს — იმ თავსაფრიან დედაკაცებსა და ბიჭებს შეერია, ვისთანაც ყოველდღე მუშაობდა. ლამფები აიღეს, მთავარ გვირაბს გაჰყენენ, ხუთასოდე საყენი გაიარეს და წინასწარ შეგულებულ ადგილზე გაჩერდნენ. აქედან მხარმარცხნივ, ზედა სანგრევეში გვირაბი აღიოდა, მარჯვნივ კი გამომუშაებულ სივრცე იყო. ქვანახშირიდან გამორჩეულ ფუჭ ქანებს იქ ჰყრიან ხოლმე. ფიცრებისგან შეკრული ღარის გასწვრივ დამწკრივდნენ და ლოდინს შეუდგნენ. ამ ღარით წუთი-წუთზე ქვანახშირი უნდა წამოსულიყო.

მაგრამ მოულოდნელად ზედა სანგრევიდან რაღაც ყრუ, მოკლე წაგუგუნება მოისმა, თითქოს მიწაც იძრაო. მოისმა და მაშინვე შეწყდა. ქალებმა ერთმანეთს გადახედეს. იმავე წუთს, მოკლე, ყრუ წაგუგუნება ისევ განმეორდა. ყველანი ელოდნენ. ახლაც წელადგლივით შეწყდებო. და თითქოს მართლაც მყისვე შეწყდა, მაგრამ იმავე წამს ზედა სანგრევიდან ისეთი საზარელი, დამაყრუებელი გრგვიანვა-გრიალი მოისმა, რომლის შესადარი გერასიმეს არასოდეს არაფერი გაუგონია. იმ გრგვიანვასა და გრიალში ფიცრების მსხვრევის ქანანი და შეშინებულნი, თავზარდაცემუ-

ლი ადამიანების განწირული ყვირილი აირია. ევკვი აღარ იყო — ზედა სანგრევში რალაც უბედურება მოხდა. ერთმა გამხდარმა უფერულმა, მთლად დაძარღვულმა ქალმა უეცრად იტყვიცა ხელი და ცივი ხმით დაიწვილა, — ვაიმე, დომენტიო. დომენტი მის ქმარს ერქვა და ზედა სანგრევში მყოფ მალაროელთა შორის იყო. იმავე წამს გერასიმე მარცხენა გვირაბში სინათლის გაბმული წერტილები დაინახა. წერტილები ციციანათლებივით ირეოდნენ, ხტოდნენ, ერთმანეთს ეხლებოდნენ და მთავარი გვირაბისაკენ მიჰქროდნენ. მოსმა ფეხების ტყავა-ტყუბი, ადამიანების ხენეშა, ზოგჯერ ავი შეყვირებაც... გვირაბში აქოშინებული ფერდაკარგული მალაროელები შემოიჭრნენ, თავს უშველეთო, — აჰ მყოფებს უცივლეს და შეუჩერებლად გასასვლელისაკენ გაჰქანდნენ. ჩაბნელებული გვირაბი ქალების წივილმა და ბავშვების ზრიალმა შეძრა. მთელი ეს ბრბო მალაროდან გასასვლელს მიაწყდა. ერთმანეთს ეძიძგილავენოდნენ, ხელს ჰკრავდნენ. ფეხქვეშ თელავდნენ და — ყველანი ერთად — გარეთ გაღწევას ლამობდნენ. უკან კი, გვირაბის სიბნელეში ქუხდა, გრგვინავდა კენესოდა და ქაბჭახებდა აბობოქრებული მიწისქვეშა სტიქიონი.

რაც იმ დღეს მალაროში მოხდა, იმას სამთოელების ენაზე ქვანახშირის მოულოდნელი გამოტყორცვა ჰქვია; ეს ქვანახშირის ფენებში მოკეცულ აირთა მოძრაობისა და დაწოლის შედეგია. ამაზე უფრო მოულოდნელი, საშოში და გამანადგურებელი აქაურ მალაროებში არაფერია შეიძლება მოხდეს.

ზედა სანგრევში მალაროელებს ჯერ ხერიანად სახელოებიც კი არ დაეკაბიწებინათ, რომ სანგრევის უბიდან სრულიად უხმუროდ, როგორც თავისთავად გამოიზნიქა ქვანახშირის ფენის ვეებერთელა ნაგლეჯი, რომელიც ამოდენა იყო, რომ ორი კაცი ხელებს ვერ შემოუწვდენდა. მის ამ პირველ გამოზნექას სწორედ ის პირველი, მოკლე შეგუგუნება მოჰყვა. მალაროელები მო-

ულოდნელობისა და შიშისგან შეგუგუნდნენ. სანამ ისინი რამეს მოიხსნებდნენ, ქვანახშირის ის ვეება ნაგლეჯი ერთბაშად გამოიზნიქა და ამას მეორე შეგუგუნება მოჰყვა. და თითქმის იმავე წამს ქვანახშირის ვეებერთელა ზვინი ზღაპრული უჩხელივით გამოიჭრა თავისი ბუდიდან, თან დამაყრუებელი გრგვინვა-ქუხილი წაიოიყოლა, ცოცხალი სულიერივით აბორგდა, დაძრა ტორტმანით გამოქანდა, გვირაბის კედლებს შეენარცხა — ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოხდა და, თავზარდაცემული მალაროელები წინ გამოიგდო. მალაროელები გარბოდნენ და უკან აჭანყებული, საზარელი ხმით მგრგვინავი ქვანახშირის ზვინები მისდევდათ ადამიანებს მხოლოდ საკუთარი ფეხების იმედი უნდა ჰქონოდათ. ფეხებმა კი იმ დღეს ორ მათგანს უღალატა — ათისთავ კაპიტონ ნამიჩიშვილსა და იმ დაძარღვული დედაკაცის ქმარს, დომენტი გარაყანიძეს. ამათ მიწისქვეშეთიდან თავის დაღწევა და მზის სინათლის ხილვა აღარ ეწერათ.

ძნელი სათქმელია, ამ საშინელი ამბის შემდეგ გერასიმე ისევ გაბედავდა მალაროში შესვლას, თუ არა, მაგრამ მისთვის არავის აღარაფერი უკითხავს. მეორე დილით გამოძრწველებს უძილობისა და დაღლილობისაგან დაოსებულმა და გააყვებულმა ალმასან ჰეიშვილმა გამოუტახა მალარო თითქმის მთლიანად დაინგრა და თქვენთვის სამუშაო აღარა გვაქვსო. ასე რომ, თავისი შენთვლიდან გერასიმემ დედამისს მხოლოდ ეს შეუსრულა — რომ სახლში ჩავიდა, მაგრამ ერთი კაპაიცი კი არ შეუტანია. ეგ კი არა, შიმშილისაგან რეტი ესხმოდა და მუხლები უკანკალებდნენ.

მაგრამ გერასიმეს ბედი მაინც მალაროელობა ყოფილა. დედამისი ივლიტე მშრომელი, პატიოსანი და გულკეთილი ქალი იყო. ქმარი აღრე დაჰკარგა. საწყალი, თვითონაც მალე დასნეულდა და კეცერა ფხალის ფოთლებს უშბლიდან თვებობით ვეღარ იშორებდა. რალაც ერთი ხელის დაღება მიწა ჰქონდათ, იმას

წამოჩიტული გერასიმე ბარავდა და თონხიდა, მაგრამ მოსავალი საშობაოდ ძლივს მიჰყვებოდათ ზოლმე. იყო მერე მეზობლებში სიარული და ღრიტინა — ზეგამდე ერთი კვაწია ფქვილი მასესხეო. ის ზეგ კი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, ახალი მოსავლის მოწვევისას თუ დადგებოდა. ეს ივლიტამაც იცოდა, გერასიმემაც და მეზობლებმაც. რაც უფრო მეტი ღრო გადიოდა, მეზობლებმა უარს უხშირეს. საშველი არსაიდან ჩანდა. და აი, ამიტომაც იყო, რომ გერასიმემ იგივე ლურჯი სატინის ხალათი ჩაიცვა. „ჩაიცვას“ მაგიერ აქ სხვა სიტყვა უფრო ივარგებდა, ბიჭი შესამჩნევად გაზრდილიყო, — და ისევ მალაროებს მიადგა. აღმასხან ჰეიშვილმა, იქნებ, იცნო კიდევ, მაგრამ ეს არაფრით გაუწყლავებია. თან რაღაც ქალაქს ჩასცქეროდა და თან თავი აღარც აუწევია. ისე უთხრა, ზედა მალაროში მებივეს დამხმარე უნდა ჰქირდებოდესო. გერასიმე ზედა მალაროში ავიდა, იქ მებივეს დამხმარე მართლა ჰქირდებოდა და — აი, უკვე ნახევარი საუკუნეა, თუ მეტიც, რაც გერასიმე. ამ გზაზე მიაბიჯებს.

კაცმა რომ თქვას გერასიმეს ბევრჯერ შეეძლო ამ ხელობას გარიდებოდა და თავისი ცხოვრება სხვაგვარად მოეწყო. განსაკუთრებით მერე და მერე, საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, აქაურობა გაიშალა, გაიზარდა და დიდ ქალაქად გადაიქცა. სხვა თუ არაფერი, სადმე მომმარაგებლად ან საწყობის გამგედ მაინც მოეწყობოდა, საიმისო წერა-კითხვა და ცხოვრების გამოცდილება კი შეიძინა. მაგრამ... არ იკადრა. აი, ეს ორი სიტყვა აქ სწორედ თავის აღვიღზე: არ იკადრა. თვითონაც არასოდეს ჰყვარებია ისეთი ხალხი, საკუთარი კეთილდღეობის მოპოვებას იოლი გზით რომ ცდლობს, და იმ იოლ გზებს თვითონ ნამდვილად ვერასდიდებით ვერ დაადგებოდა, ვერა! მე ისევ ჩემს ძნელ გზაზე ვივლი და ჩემს შეილებს პატიოსანი და მშრომელი კაცის სახელს დავუტოვებო.

ახლა ეს ისე კი არ გაიგოთ, თითქოს გერასიმე ერთი ბრიყვი ტენეშე იყოს და მშვიდი, მოსვენებული, მამლარი ცხოვრების ყადრი არ იცოდეს. არა, ბატონო! მშვიდი ცხოვრებაც უყვარს, კარგ ღვინოსაც სიამოვნებით გეახლებათ... რაღა დასამალავია და — ამ ოცდაათიოდე წლის წინათ ერთი კუბატივით გოგო სანგრევეში მოიმწყვდია და... არა, უფრო იმ ეშმაკის ფეხის ბრალი იყო, ნამდვილად. თორემ გერასიმე თავისი ცოლისა და ოჯახის მოყვარული და პატივისმემელი კაცია... ნამდვილად. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კაცს უნდა ჰქონდეს, აქვს. მაგრამ ცხოვრებაში ოჯრო-ბოჯრო გზებით სიარული? კუდის ქიციანი, მიდგომ-მოდგომა, ზვეით-ზევით ხოხვა და ძრომიალი? არა, ბატონო! არა და არა! ყველაფერ ნავას გერასიმე ცნობილადეს ალალი შრომით მოპოვებული ლუკმა ურჩევნია. ვისაც ეს არ მოსწონს, იმან თავისი გზა იცოდეს. ჰქუა შეიძლება ბავშვს დაარიგო, ზრდადასრულებული კი თავის გზას თვითონვე უნდა იგნებდეს.

ბევრს ჰკონია, თითქოს ცხოვრებაში ფიქრი, ზოგჯერ ყოყმანი, საკუთარ თავთან ბრძოლა, ორქოფობა, ზოგჯერ უკან დახევა, ზოგჯერ კი გულდაგულ ისევ შეუპოვრად წინ გაქრა, შეტევა-იერიში და ამისთანები — თითქოს ეს ყველაფერი მართო გენერლებს, ნარშელებს, მწერლებსა და მეცნიერებს ჩვევია, უბრალო მებივეს კი, თითქოს, არაფერი მოეთხოვება. სანგრევეში შედო ბიგა კარგად მოზომე, გადასკერი, შეუყენე, ვაამავრე და მორჩა. თავისუფალი ხარ. ჰო, არა, ეს კია, ცოტა ფრთხილად უნდა იყო — ქერიდან ლოდი არ ჩამოვარდეს და არ გაგსრისოს. მაგრამ სულ ეს არის და ეს. ხელფასის დღეს კი შენი კუთვნილი მიიღე და როგორც გებრიანებოდეს, ისე დახარჯე. ბევრი გამოგიმუშავებია? კარგი. ცოტა? ეგეც არაფერი. შენი ფულის ბატონ-პატრონი კი შენვე ხარ. გინდა ცოლ-შვილს მიუტანე და გამოიზოგე, გინდა ერთ საღამოს გა-

ანიავე. სხვა სადარღებელი კი აღარაფერი გაქვს.

ნამდვილად — ბევრს ასე ჰგონია. და ასეთებს დიდი ბოდის მოხდით უნდა მოეხსენოთ: გერასიმე ცნობილად მთელი თავისი სიცოცხლე მებრძოლობაში გაატარა. მაგრამ რამდენიც მას უფიქრია: უყოყმანია, უკან დაუხვევია და იერიშზე გადასულა, რამდენი ღამე ფიქრით უთენებია და დღე ულაშვებია — ის ფიქრი და ის ძალ-ღონე სხვა გზით რომ წარემართა: ალბათ, ერთ სამედიცინო ბრძოლას ნამდვილად მოაგებინებდა. გინდა დაიჯიროთ, გინდა არა. დაიხ! არა, სხვანაირად კი არ გაიგოთ. გერასიმე ცნობილად კი არაფერს გამოდღობს. დღერთმა დაიფაროს! ეს ხელობა, თავისთვის მან თვითონ აირჩია. შეეძლო, სხვა გზით წასულიყო და არ ინდობა. და შეგარგოთ, ხალხო, გერასიმეს ნაოფლარი, ალალი იყოს! ეს ქვეყანა ღმერთს იმიტომ გაუჩენია, რომ ხალხმა იხაროს, დანაკლისი არაფერში იგრძნოს, ბედნიერი უზრუნველი და გალადებული იყოს. გერასიმე ცნობილად იმიტომ იღუნება წელში ეს ორმოცდაათი წელიწადია. და შეგარგოთ, ხალხო, ღმერთმა შეგარგოთ! ეს წუთისოფელი ფიანდაზად დაგვეზოდეთ! ყველა მშრომელს გაუმარჯოს! მაგრამ მებრძოლის საქმიანობას მაინცდამაინც ზევიდან ნუ გადმოხედავთ. და ხელს ვაგლახად ნურც გერასიმე ცნობილად აუქნევთ. იცის ბერიკაცმა: როცა ტრესტში, ან, სიტყვაზე, სამმართველოში რამე დიდი საქმე წყდება, იქაური ხელმძღვანელები საკუთარ თავსაც და ერთმანეთსაც ხშირად ეკითხებიან — ნეტავი, ამაზე გერასიმე ცნობილად რას იტყვისო. არა, იმავე ხელმძღვანელმა შეიძლება მეორე დღეს მებრძოლად გერასიმე ცნობილადის ფული იმაზე ნაკლებში გამოუწეროს, ვიდრე თვითონ გერასიმე ანგარიშობდა და მოელოდა. მაგრამ საქმე განა ფულშია? ჭერ ერთი, უფროსები ფულს მუდამ ძალიან ზუსტად ანგარიშობენ და ამაში მებრძოლებს, ნამომკცევეებსა თუ ამხვეტებს ულაბა-

რაკოდ სჯობნიან: და მეორეც, მათთვის მე ფულში სულაც არ არის საქმე. მათთვის მიაწობასა და ურთიერთ პატივისცემაშია. ერთმანეთი უნდა გუყვარდეს და ვაფასებდეთ.

გერასიმემ თავის ყმაწვილკაცობაში მებრძოლის თანამშემწედ მუშაობა რომ დაიწყო, წინა დღეს იმავე აღმასხან ჰქვიშვილმა, იმავე კონსტანტინე ჰალაგანიძესთან — მალაროს ინჟინერთან მიიყვანა.

— ეს არის? — ჰალაგანიძე საუბრობდა. კანტორაში თეთრად გაქათვათებულ, მდიდრულად გაწყობილ სუფრას უჯდა და ცალ ხელში შემწვარი ვარიის ბარკალი ეჭირა, მეორეში კი წითელი ღვინით სავსე მალაღვინიანი ჰქვა. იმ მაგიდაზე — გერასიმემ კარგად დაინახა — სამნაირი მარტო პური ეწყო. სხვა დანარჩენს კი ნულარც იკითხავთ.

— ეს გახლავთ. — ჰქვიშვილი თავის უფროსს ისეთი დამაქრული ხმით ელაპარაკებოდა, რომ მის მოსმენას დიდი გაძლება უნდოდა.

— შესაბერიძეს ანახვეთ? — შეშაბერიძე ის მებრძოლი იყო, ვისთანაც გერასიმეს უნდა ემუშავა — ერთი ჩამავებული, ხმაამოუღებელი, ყველაფერზე ხელჩაქნეული კაცი.

— დაიხ.
— თანახმაა?
— თანახმა გახლავთ.
— აბა, ჩემგან რაღა გინდათ? — ჰალაგანიძემ ერთი ყლუბი ღვინო მოსვა. ის მამაცხონებული ისე ირჯებოდა, თითქოს მეფის სასახლეში დაბადებული და გაზრდილი ყოფილიყოს. არადა — გერასიმემ მერე გაიგო — ვილაც მეპურის შვილი ყოფილა და ცხოვრებაში ყველაფერისათვის საკუთარი მოხერხებით და მიდგომ-მოდგომით მიეღწია.

— ისე, გაჩვენეთ. — ჰქვიშვილი ისე დაიგრიბა და დაიშაქრა, რომ გერასიმეს კინაღამ გული აერია.

— მჰ!.. — ჰალაგანიძემ ჰქვა და დგა და ქათმის ბარკალი გასაძიძენად მოიმარჯვა. — ჩემო ძვირფასო აღმასხან, მე

ძალიან მიყვარს, როცა ჩემი ხელქვეითი საქმისადმი ერთგულებას იჩენს, მაგრამ არ მიყვარს, როცა აღამიანურად სულის მოთქმას არ მაცლიან. გესმის, თუ არა?

— მესმის... კი, ბატონო... როგორ არა, მესმის... ბოდიში, დიდი ბოდიში! კი, ბატონო!... — ქეიშვილი ათასგვარად დაიკლავნა, დაივრინა, გერასიმეს კარებისაკენ უბიძგა, ხოლო დერეფანში გამოსვლისას ისე მაგრად ჩაქკრა ქეიშვილი, რომ საწყალი ბიჭი წაბორძიკდა და კონაღამ პირდაღმა იატაკს დაასკდა. აი ასე გაისტუმრეს მებვიგის მძიმე და ხიფათიან გზაზე თექვესმეტი წლის ბიჭი მანინდელმა ინჟინრებმა. არადა, ჭალაგანიძესთან გერასიმეს შეყვანა თვითონ ქეიშვილმა მოიფიქრა. უნდოდა, ინჟინრისათვის ენახებინა, აი მხარში როგორ ვიდგევართო, მალაროსათვის მუშებს როგორ ვეძებ და ვპოულობ. და ახიცი იყო, ისე რომ გამოისტუმრეს.

მართალია მებვიგის ხელობა მძიმე და ხიფათიანია, მაგრამ ის როგორ მოვა ჩამოშქვევის, ან, მით უმეტეს, „ცეცხლის კაცების“ საქმიანობასთან. ესენი პირდაპირ შუაგულ ჯოჯობეთში ტრიალებენ. ჰოდა, აი, როგორ აქციეს „ცეცხლის კაცად“ ქვემოური ჰიკიკო მონასელიძე მალაროს მანინდელმა ბატონპატრონებმა.

ჰიკიკოს ასეთი ბავშვური სახელი ერქვა, თორემ თვითონ ორმოცს გადაცილებული ვაყვაცი იყო, ბრგე და ძვალმსხვილი, მაგრამ უსაშველოდ გამხდარი, სულ გაუპარსავი და ტუტყუიანი. შვიდი წერილ-შვილის მამას სულს იქით არაფერი ებადა. ამ მხარეში მანინ სიღარიბითა და გაპირვებით ვის გააკვირვებდი, მაგრამ ჰიკიკო მანინც გამოჩნეული თითით საჩვენებელი ღარიბი იყო. დაძინებულ ტანისამოსში აქა-იქ შიშველი ხორცი მოუჩანდა, ფეხსაცმელი კი მის ფეხებზე არავის უნახავს, არც მალაროში და არც მის გარეთ. ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველი დატანტალებდა და აღბათა შეჩვეული, ან

მართლაც ძალიან ჩანმავარი იყო, რომ უძლებდა და არ სწებულდებოდა.

ჰიკიკონ ხუთი თუ ექვსი წელიწადი მებვიგედ იმუშავა. მისი მუშაობით უფროსები დიდად უყმაყოფილონი თითქოს არ უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ სულ შიმშილი, სულ სიტყვლე და გაპირვება თვითონ ამ ადამიანმა ვეღარ აიტანა და ერთ დღეს ჩამაგირის მიღებისას ბენზინის ფულის დაკაეება რომ დაუპირეს, გაავებულმა სთქვა:

— მაგისი პირობა მე თქვენთვის არ მომიცია — ამის მომსწრეები მერე ჰყვებოდნენ, იმ წუთში ჰიკიკო საშინაო შესახედავი იყო, ქვედა ყბა მოექცა და აუცახცახდა თვალები კი გადმოცვენაზე ჰქონდაო.

— რომელი პირობა? — იმ დღეს ფულს თვითონ აღმასხან ქეიშვილი არიგებდა. წარბები ნელ-ნელა ავად აწკიბა და ჰიკიკოსთვის მისაცემი ფული უკანვე გასწია.

— თვალებს ნუ მიბრიალებ, აღმასხან — ჰიკიკოს მთელი სხეული უცახცახებდა.

— რომელი პირობა-მეთქი?

— აი, ამის! აი!

— ბენზინის ფულის გადახდა არ გინდა?

— არა! არ მინდა!

— მალაროში სინათლე ხომ გინდა?

— აბა სიბნელეში ვიმუშავო?

— ჰოდა, ლამფებში ჩვენი ბენზინის ვახსამთ. არ ვაგვიცია?

— მაგისი პირობა მე არ ნომიცია.

— ესი იგი — არ გადაიხდი?

— არა!

— ბენზინის ფულს ყველა იხდის.

— ეგ მე არ მეკითხება.

— ხომ იხდით, ხალხო?

გარშემო შემოჭარული, ჯამაგირის მონლოდინე მალაროელები სდუმდნენ. გულში ყველა ჰიკიკოს თანაუგრძობდა, მაგრამ ხმის ამომღები არავინ იყო. ბენზინის ფულს კი ყველა იხდიდა და არასოდეს არავის ამაზე კრინტი არ დაუძრავს. აი, როგორ იყო ხალხი დაშინებული! ეს ხომ იგივეა, რომ ახლანდელ

მეშახტეს ხელფასიდან ელექტროდენის ღირებულება დაუკავო. შახტებს რომ ანათებს და მანქანებს ამუშავებს.

— ხალხო, ბენზინის ფულს ყველანი იხდით თუ არა?

ალმასხანს არავენ უპასუხა. ყველანი თავიანთი რუნი იღვენ და მზერას აქეთ-იქით აცეცებდნენ. ალმასხანმა კი — დუმილი თანხმობის ნიშანიაო და კიკიკოსათვის მისაცემი ფული უჩრაშივე ჩაპყარა.

— ხომ ხელავ, ყველა იხდის. ხმა არავის ამოუღია. ახლა იქით გაიწი, ფულის ღარიგებას ნუ მიშლი. სალამოს კანტორაში მობრძანდი და იქ მოგელაპარაკები.

კიკიკომ რალაც გააფთრებით ჩაიბურღლუნა, ხელი ჩაიქნია და წავიდა. სალამოს კი ალმასხანმა ბენზინის ფული მიიღო გამოუქვითა და თან გამოუცხადა, უჩრები და „ბუნტოვნიკები“ მე არ მჭირდება, ხვალდან მაღაროში აღარ ვნახო.

— მაგდებ?

— ენას კბილს დავაპერდი და არავინ გაგავდებდა.

კანტორის ეზოდან კიკიკო წელმოწყვეტილი გავიდა. მიდიოდა და თან, ალბათ, სახლში შესვლისა ეშინოდა.

მითანილი ფული იმ საწყლებს ერთ კვირასაც კი არ ეყოთ. მერე, სხვა რალა გზა ჰქონდა, კიკიკომ ისევ მაღაროს მოაკითხა და ამხანაგებს თხოვა, ალმასხანთან მიშუამდგომლეთ, ეს ერთი დანაშაული მაპატიოს, ცოლ-შვილს შიმშილით ნუ ამომიწყვეტს და თუ ამას იქით რამეზე კრინტი მაინც დავძრა. რაც უნდა, ის მიქნასო.

მაღაროელებმა კიკიკოს მდგომარეობა კარგად იცოდნენ და ალმასხანთან მისვლა არ დაამადლეს. ძალიანაც ეხვეწნენ, მაგრამ კეიშვილმა ქვა აავდო და თავი შეუღებია. ორი თუ სამი დღე არაფრის გაგონება არ უნდოდა, მერე კი „მოილბა“, ცოტა დათმო და მოციქულებს უთხრა, მეზიგედ, რა თქმა უნდა, აღარ გაუიკარებ, მაგრამ „ცეცხლის კაცად“ თუ წავა, ერთ ხანს ვამუშავებ, გამოვ-

ცდი „ბუნტოვნიკობას“ თავი მართლა დაანება თუ არა, და მერე კი ვნახოთო.

— „ცეცხლის კაცად“ კიკიკო არასოდეს ყოფილა, ალმასხან ბატონო! თანაც წერილ-შვილის პატრონია.

— წერილ-შვილის პატრონები ყველანი ვართ. მხოლოდ „ცეცხლის კაცად“. მორჩა! სხვა სამუშაო მე მაგისთვის აღარა მაქვს.

ახლა კი დროა, გაგავებინოთ, თუ რა არის ეს „ცეცხლის კაცი“.

აქაური მაღაროების მთავარი უბედურება მეთანია. ეს უსუნო და უფერული გაზი გახლავთ. შეიძლება სანგრევი ამ გაზით იყო საესე, თქვენ კი შიგ შესვლისას ვერაფერი იგრძნოთ. მაგრამ ადამიანის ორგანიზმს წამლავს. ეს ერთი, და მეორეც — საშინლად ფეთქებანია. საკმარისია ცეცხლის ერთი ნაპერწკალი, რომ მეთანმა იფეთქოს და იქაურობა სულ მიანგრ-მოანგრის. ვინ იცის, რამდენი უბედურება დაუტრიალებია ამ ოხერს, რამდენი ვაჟკაცის სიცოცხლე წაუღია და რამდენი ოჯახი დაუობლებია...

ახლა ჩვენ შახტებში მეთანის წინააღმდეგ უამრავი საშუალება იმპარება. ეს ვენტილატორებიო, ეს ჰაბურდილებიო, ეს ინტერფერომეტრებიო. მეთანის კონცენტრაციის მუდმივი კონტროლიო. ამ საქნისათვის ხალხი საგანგებოდაა გამოყოფილი და ისეთ ჯამაგირსაც უხდიან, რომ თქვენი მოწონებულა. მაშინ კი... ათისთავი მაღაროელებს გამოუცხადებდა თუთუნის მწვეკელები სანგრევი ნუ ჩახვალთ, ვაი თუ ველარ მოითმინოთ და პაპაროსს მოუყიდოთო, იქ კი, ამბობენ, დღეს ბევრი მეთანია მოგროვილიო. და ეს — ღონისძიებად ითვლებოდა! ან კიდევ: მაღაროელებს ვააფრთხილებდნენ, სანგრევი ლამპები მალა არ ასწოთ, თორემ მეთანი პაერზე მსუბუქია. ჭერში მოგროვება იცის და თქვენგან ბუნდლა აღარ დარჩებაო და — ესეც ღონისძიებად ითვლებოდა. მუშას იმ ჩაბნელებულ, კუნაპეტ სანგრევიში მთელი დღე წელში მოხრილს

უნდა ენუშავა და ჰერისკენ ერთხელაც არ უნდა გაეხედა: უღამპოდ მაინც ვერაფერს დაინახავდა და ლამპის ზევით აწვევა კი არ შეიძლებოდა. ერთი სიტყვით, მალაროელები საკუთარი თავის ანაბარა იყვნენ მიშვებულნი: თუ გაგი მართლდებოდა, ხომ კარგი; თუ არა და — დაღუპულების შემცველებს მალაროელების პატრონები ყოველთვის იშოვნიდნენ.

მაგრამ სანგრევებისა და გვირაბების ხშირი ჩამონგრევა, ხანძრები და სხვა ამისთანები თვითონ მალაროს პატრონებისთვის იყო საზარალო. ამიტომ მათ მეთათან ბრძოლის ასეთი „ხერხი“ მოიგონეს.

მათ გაითვალისწინეს, რომ მეთანი პაერზე მსუბუქია და ქვანახშირის ფენიდან გამოყოფის შემდეგ, ჩვეულებრივ ნელა სანგრევებისა და გვირაბების ქვართან, ჰერის გასწვრივ გროვდება. გაითვალისწინეს კიდევ ერთი რამ: თუ სანგრევის პაერში მეთანის კონცენტრაცია მაღალი არ არის, ცეცხლის წაქიდებისას იგი არ აფეთქდება და თანაბარი ალით იწვის. სანგრევეები წინდაწინ ვოლფის ლამბებით მოწმდებოდა. და თუ იქ მეთანის კონცენტრაცია დიდი არ იყო, მაშინ სანგრევეში ანთებული სანთლით ხელში „ცეცხლის კაცი“ შეხობდებოდა ხოლმე — კი არ შევიდოდა, არამედ სწორედ მიწაზე გართხმული შეხობდებოდა ანთებულ სანთელს ზევით ასწევდა და მეთანს ცეცხლს წაუკიდებდა. მეთანი რომ გამოიწვებოდა, მაშინ თუ სადმე ცეცხლი ხის ბიგებზე იყო ფეხმოკიდებული, იმას სველი ძონძებით ჩაქრობდნენ და ამის შემდეგ სანგრევი უხიჯათოდ ითვლებოდა, სანამ მის ჰერთან მეთანის ახალი ტალღები მოგროვდებოდნენ. ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი. მაგრამ, ჰერ ერთი, მეთანი წვის დროს მხუთავ, ადამიანის მომაკვდინებელ გაზს წარმოშობს, და მეორეც — თუ იმ სანთლით ცეცხლის წაქიდებისას მეთანი სანგრევის ჰერთან ნავარაუდევზე მეტი იყო? მაშინ? ან რომელი

ზუსტი ხელსაწყოები მაშინ ჰქონდათ? ის ყბადაღებული, უმწრს, რკინის ბაღურიანი ვოლფის ლამპები. ეს იყო და ეს. და თუ მეთანი ნავარაუდევზე მეტი აღმოჩნდებოდა... ექ! ნამდვილად ჯოჯოხეთური საქნე იყო და ძნელი დასაჯერებელია, რომ რომელიმე „ცეცხლის კაცს“ სიბერემდე მიღწეოს და თავისი სიკვდილით მომკვდარიყოს: ან იწინდებოდნენ ან მეთანის აფეთქება უღებდათ ბოლოს, ან აბოლოქრებულ ხანძარს ეწირებოდნენ. აი, ის ჰიქიყო მონასელიძეც: სანგრევეში ცეცხლის წასაკიდებლად შეხობებულს მეთანი აუფეთქდა და ძვლებდაღეწილი, მთელ სხეულზე კანშეყოველფილი, ძლივს გამოათრია. ამის შემდეგ ორი თუ სამი დღეა იცოცხლა.

ახლა რომ გერასიმე ცნობილადე თავისი სახლისაკენ მიშავალი აღმართს მოიღევს, შედგება და ქვანახშირის ქალაქს გადახედავს, თუ დაიჭერებთ, თავი ზოგჯერ სიზნარში ჰგონია ხოლმე. აკი მთელი სიცოცხლე აქ გაატარა, — ბოლოს ის თავისი მოხუცებული დედაც აქ გადმოიყვანა და აქვე დამარხა. — აქ დაოჯახდა შეილები დაზარდა, გზაზე დააყენა, აქ იშრომა და ოფლი დეგრა ბარე ნახევარი საუკუნე... ჰოდა, ზოგჯერ საკუთარ თავს მართლა შეეკითხება ხოლმე, ეს ყველაფერი, რასაც ახლა ვხედავ, ხომ ცხადია და ხომ არაფერი მეჩვენებაო. ეს მწვანეში ჩაფლული თეთრი და ვარდისფერი სახლები, ლარივით გაქიმული, მოასფალტბული გზები, სტადიონი, ქუჩებში სუფთად და ლამაზად ჩაქმული ხალხის მხიარული ზიშხიმი, ეს კრიალა, მოხდენილი ელმავლები და — ქვანახშირით დატვირთული, გრძელზე გრძელი, თითქოს უსასრულო ეშელონები, ჩვენებური კაცის მარჯვნივ მოპოვებულ ქვანახშირს ქვეყნის ყოველ კუთხეში რომ მოაქანებდნენ... და ეს ყველაფერი — სწორედ იმ უბადრუკი ქობნახების, ტალახიანი გუბეებისა და იმ ჩამოგლეჯილი, მშვიერი და გაავებული მალაროელების ნაცლად, რომელთა ცქერაც

თითქოს აი, აგერ გუშინ ტყენდა თვალებსა და გულს ადამიანს, სიცოცხლის ხალისს უკარგავდა და ნაადრევად აბურებდა? რა სწრაფად გარბის დრო! რატომ ახლაც თქვესმეტი წლის არა ხარ გერასიმე ცნობილად!

მაგრამ საზრუნავი არც ახლანდელ მესახტეებს ელევათ. ხიფათი კი მათ ახლაც ყოველ ნაბიჯზე ელით. ან თუ ყოველ ნაბიჯზე არა, ყოველ მოსახვევში მაინც.

ჯიბრაილ ხელთუფლიშვილმა რომ უბანი საათივით ააწყო, გერასიმემ ითქრა, — აი, ახლა კი მოვისვენე, ჩემი ცხოვრების ყველა აღმართი გავლილი მაქვს, აწი მშვიდად და აუღელვებლად ვიმუშავე და მერე პენსიაზეც დამშვიდებული სინდისით გადავალ. მაგრამ ეს სამი წელიწადიც თვალსა და ხელს შუა გაქრა, ჯიბრაილი მოხსანეს, უბანს ახალგაზრდა ინჟინერი დაეპატრონა, გერასიმეს პენსია კი... არა, პენსიაზე გერასიმე თუნდაც დღესვე გადავა, წლოვანებაც ჰყოფნის და სტაჟიც, მაგრამ... მაგრამ — გერასიმე, — გერასიმეა, და არა იულო სოფრომამე გარწმუნებთ. ხალხო, გერასიმესა და მისთანებს ეს ორმოცდაათი წელიწადი რომ ასე ერთბაშად, სულ თბილი ადგილები და სულ ტბილი ლუკმა ექებნათ, ახლა აქ არც

ეს სასახლეები იდგმებოდა, და არც ის ელმავლები ისრიალებდნენ. ეს ყველაფერი შრომითა და თავდადებით შექმნა. სწორედ — თავდადებით. ამისი მაგიერობა ამ ქვეყნად არაფერს შეუძლია.

ახლა, ამ სიბერის ქამს ბედმა გერასიმეს კიდევ ერთი გამოცდა მოუწყო. აგერ, ჯიბრაილი მოამორეს და უფროსად ის უწვევრული ქაბუკი დაუყენეს. რაღაცაირი, კარგი და დაფიქრებული ბიჭი კი ჩანს. წელან, საქორწილო მაგიდსთან გერასიმე და არქიფო სწორედ მაგაზე ლაბარაჯობდნენ: არაფერი უკვირს. ყველას უსმენს... ვითომ, შეგნებული აქვს, რამდენი საზრუნავი და რამდენი საფიქრალი მოელის? ვინ იცის... ეს კია, რომ საქმე ჭერჭერობით ისევ კარგად მიდის. ეს, რა თქმა უნდა, ჭერ კიდევ ჯიბრაილის ნაკვალევია. აგერ, ვითომც აქ არაფერიო და — იორამმა იაშზეზე იქორწილა. მაგრამ ხვალ? ზეგ? აკი გითხარით, ხიფათი დღევანდელ მესახტეებსაც ფეხდაფეხ დასდევს-მეთქი...

არა მოიცდის, ბატონო, ის პენსია. გერასიმეს თვალწინ, აი სიბერეში, კიდევ ერთი აღმართი გამოჩნდა. ჭანდაბას! ეს ერთიც იყოს! ადამიანს რაც შეუძლებზე გაწერია, იმას ვერ აცდები.

ნაწილი მესამე

თავი I

კარგი, ნამდვილად კარგი იქნებოდა. ქაიხოსრო ქარცივამე ახლაც ცამეტიოდე წლის ბიჭი, გულუბრყვილო ბიჭი რომ იყოს, აი, ისეთი, სატყუოში პირველად რომ მივიდა და მუშაობა დაიწყო; არა, ადამიანებს რომ არ იცნობდეს და ცხოვრებას, მაშინ ყველაფერს გულარხეანად დაიჭრებდა, რაც ამ ბოლო ხანებში ირინემ უამბო, და მოსვენებით იქნებოდა. ახლა კი... ახლა ქაიხოსრომ ძალიანაც რომ მოინდომოს, თვალეზიც დაიბრმავოს და ყურებიც დაიყრუოს,

მაინც ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის. ყველაფერს ხედება. ასეა და — რას იზამ!...

ირინეს რომ ჰკითხო, ჯიბრაილს, ამ სახელმოხვევილ ვაჟკაცსა და სამთოელს, ახლა, ამ მოწიფულობაში ისე: სხვათაშორის მოეპრიანა საშუალოს ატესტატის აღებაო, თორემ სხვაფრივ, მაგისა და ჯიბრაილის ოჯახში არაფერი შეცვლილა, სრული წესრიგი, მყუდროება და ბედნიერება სუფევს. ჯიბრაილს არც თანამდებობის დაკარგვა ეშუქრება, არც დაქვეითება, და არც სხვა რაი-

მე ასეთი უსიამოვნო და ძნელად გადასატანი. ირინე ასე ჭიკჭიკებს და, როგორც ეტყობა, დარწმუნებულია, რომ მისი ნაფლურტულევი ქაიხოსროსაც სჯერა და დარეჯანსაც.

დარეჯანის რა მოგახსენოთ და ქაიხოსრომ ირინეს მოსატყუებელი კბილი დიდი ხანი მოიცვალა. ბატონო, თუ საქმე ასე უბრალოდაა, თუ ის თხერი ატ-სტატი ასე სხვათაშორის გაახსენდათ, მაშინ რატომღა, რომ ირინეს და ჯიბრაილს რამდენიც არ უნდა ეფეროთ და ელოლიავო, როგორი პურ-მარილიც არ უნდა გაუშალო და რა მომღერლებიც არ უნდა დაუპატოეო, სასთუმალთან რამდენი და როგორი საჩუქრებიც არ უნდა დაახვედრო, არც ცოლსა და არც ქმარს დანა კბილს არ უხსნის. გოგუტუნა? — იცოცხლე! გოგუტუნა სულ კმაყოფილი, ბედნიერად მომცინარე და მოხდენილია. ჯიბრაილი და ირინე კი... სულ შეკრული წარბები, სულ უფუნებობა, სულ მძიმე და ეჭვიანი გამოხედვა...

უფრო მეტსაც გეტყვიოთ. ლომკაცია ჯიზიაშვილი რომ ეწვიოთ, მას აქეთ ქაიხოსროს ირინესა და ჯიბრაილის ოთახიდან ორჯერ თუ სამჯერ მაინც შემოესმა რაღაც ხმადაბალი, მაგრამ ცხარე შელაპარაკება, შეკვირებაც კი... იფიქრობდი: ორივე ცოლ-ქმარს ცეცხლი მოეკიდაო. მერე ის შელაპარაკება ისევ მოსხებით შეწყდა და ოთახიდან საბე-ალანძელი ირინე გამოვიდა. ორივეჯერ ასე იყო, ქაიხოსროს დანახვაზე გამო-მეტყველება სასწრაფოდ შეიცვალა, მამობილს კისერზე შემოეხვია და, ვითომც აქ არაფერიო, ათას რაღაცაზე აქიკიკიდა.

და მუდამ ასეა! ქაიხოსროს და დარეჯანის თანდასწრებით ირინეცა და ჯიბრაილიც ვითომ ძალიან მზიარულად არიან, სტუმრებსაც ვითომ ხალისიანად ხედებიან, სიმღერაში აპყვებიან ზოლზე, სასაცილო ამბებს ჰყვებიან... მერე კი, დამართხელდებიან თუ არა, მორჩა!

და ეს ყველაფერი — რატომ? რა მიზეზით?

არა, შეილება, არა! ქაიხოსროს საქარ-ცივაძეს თქვენ ვერაფერს გამოაპარებთ. ხედება ეს მრავალჭირნახული ბერიკაცი, ყველაფერს ხედება და ახლა? უბედურება ღმერთმა გაშროოთ და თქვენს თავზე რაღაც დიდი უსიამოვნება კია. ყველაფერი იმას ჰგავს, რომ ამ ჩვენს სახელოვან და საამაყო სიძე-ბატონს თანამდებობა და მდგომარეობა ან უკვე დააქარგვინეს, ან ემუტრებიან, საშველს კი ველარსად ვხედავ. ახლა ასეთი დროა. ჯიბრაილი კარგი ბიჭია, ვიცით, მაგრამ ახლა რაღაც ფარატინა ქალაღს ზოგჯერ მეტი ფასი აქვს, ვიდრე ადამიანის შრომასა და დამსახურებას. ნამდვილად ასეა. თქვენ კი ამის გამხელა არ გინდათ, გერცხვინებათ, ახალგაზრდულ თავმოყვარეობას აპყოლიხართ, საკუთ-არ გულებს ასკდებით და გამოსავალიც ველარ გიპოვინათ. არის კი ამ მდგომარეობიდან გამოსავალი? ვინ იცის!... კაცს რომ ერთხელ ფეხი გადაუბრუნდებ, მერე წელის გამართვა ძალიან ძნელია.

— ქაიხოსრო, გძინავს?

— არა. რა იყო?

— არაფერი, შე კაცო!

— ჰოო... ჩამოჯექი აგერ.

ქაიხოსრო გვერდზე გაიწია და დარეჯანს ტახტზე ადგილი დაუთმო. დარეჯანმა მიიხედ-მოიხედა და ძველებურ, შავი ხის სავარძელში ჩაეშვა.

ეს სავარძელი ცნობილი ქუთაისელი მდიდრების — შირაქოვების კუთვნილება იყო. შირაქოვები გაქცეულ მენშევიკებს გაყვევენ ბათუმში, იქიდან კი საზღვარგარეთ წავიდნენ და მერე ხმა მოვიდა, იქაც კარგად მოწყობილანო. გაქცევისას ფულის, ძვირფასეულობის და ტანისამოსის მეტი არაფერი წაუღიათ. ავეჯიულობას და ამისთანებს პირდაპირ ჩა-ლის ფასად უყრიდნენ მეზობლებს. ქაიხოსრომ თავი გამოიღო და იმდენი მი-ცა, რამდენიც სახლში მოიხელთა და კიდევ რამდენიც საჩქაროდ ნაცნობ-ნათესავებში მოაგროვა. თვითონ კაპიკი

ადარ დარჩენია და საქმლის ფული სასესხებელი გაუხდა. შირაქოვები ძალიან მადლიერები კი დარჩნენ. ქაიხოსრომ ეს ორი სავარძელი, ოთხი სკამი და კიდევ რაღაცა უშველებელი — იმისი სახელი ქაიხოსრომ დღესაც არ იცის და შეაფხ არქმევს — ყველაფერი იმავე დღეს გადმოზიდა და, აი, მადლობა ღმერთს, დღემდე შემორჩა. ადამიანურად ხმარობს. ქაიხოსროს ოჯახში რომ ვინმე უცხო სტუმარი მოხვდება, უსაუოდ შეამჩნევს რა მშვენიერი სავარძელი გქონიათო. ჯერ არ მომხდარა, რომ უცხო სტუმარს ეს სავარძლები არ შეემჩნიოს, ძვირფას ნახელავს არც ფერი შეცვლია, არც ბზინვარება და არც სიმაგრე. ალბათ, დარეჯანი უფლის კარგად და იმიტომ, თორემ ზოგიერთებთან, ახლა შირაქოვების ნივთების ხსენებაც აღარაა.

— სადილი გამზადებული გაქვს? — ქაიხოსრო მიმედ წამოჭდა ტახტზე და პირსახეზე ხელი ჩამოსვია.

— რა ხანია... ირინე აგერ არა მყავს!..

— გვაქვს რამე ხეირიანი?

— რა ვიცი... ქათამია, პარკი ლობაოა, გადახელილი ყველია... ანგელინა ცხვრის დუმას დამპირდა და თუ მომტანა, ბადრიჯანსაც შევწვავ. იმას ერთა წუთი უნდა. ჭყინტი ყველია, მეფეუღლი, ქაღებია, ხაჭაპურია. მეტი რაღა გვინდა?

— კარგი დაგემართოს, ბავშვი სადაა?

— ეზოშია. დედამისთან.

— ჯობრაილი?

— ცოტას გავივლი, ქუთაისს თვალს გადავავლებო.

— აბა, მოვა და ბარემ ვისადილოთ.

— რაფარც შენ იტყვი...

სიჩუმე ჩამოვარდა.

ეს დარეჯანი რომ დარეჯანია — მიმნობი, თვინიერი და ყველას დამჯერე — ესეც კი რაღაცას უნდა ხვდებოდეს. გუშინ, სადილობისას, ირინე და ჯობრაილი თავიანთი ოთახიდან გააღმამებულნი და წარბშეკრულნი რომ გამოვიდნენ, დარეჯანმა ქაიხოსროს სწრაფი მზერა შეავლო. თქმით არაფერი უთქვამს,

და ქმარსაც მაშინვე აპირდა თვალი, მაგრამ... თქმა რაღა სჯეროტყუ მხედრად ყველაფერი გასაგებმა... ამჟამად ქაიხოსრო ქარცივადის ოჯახში რაღაც უსიამო ამბავმა დაიბუდა და სანამ იმას არ მოუვლიან, მანამდე ცხოვრება კაპიკად აღარ ელირება. მაგრამ როგორ მოუარონ, და რა საშველი დააყენონ, თუ მოხუცებულებს არავინ არაფერს ეტუნება?

— რას იტყვი, დარეჯან?

— რისას!

— ვითომ არ იცი!..

— მე რა უნდა ვიციოდე?!

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს!

ქაიხოსრომ ხელი ჩააქნია, ტახტზე გულაღმა გადაწვა, ორივე ხელი თავქვეშ ამოიწყო და ჭერს მიაჩერდა, მაგრამ ასე ერთ წუთსაც ვერ გასძლო, ამოხვრით წამოჭდა, მუთაქას იდაყვით დაეყრდნო და დარეჯანს აიენის კარზე თვალით ანიშნა.

— მოდი, ერთი, თუ გიყვარდე, კარ მიხურე.

— ირინე ბაღშია, რას იფიქრებს?!

— რა უნდა იფიქროს, ქრისტიანო? მოდი და ისე, ვითომ სხვათაშორის მიხურე. იმე! ამ ჩემს სახლში სიტყვასაც აღარ მათქმევიანებთ?!

დარეჯანი უხალისოდ წამოდგა, აიენის კართან მივიდა, ბალი ნამალავად მოათვალიერა, მერე კარი ფრთხილად, უხმუროდ მიხურა, მობრუნდა და ისევ სავარძელში ჩაეშვა.

ერთხანს ჩუმად ისტდნენ. მერე ქაიხოსრომ გვერდი გულმოსულად შეინაცვლა:

— ჩვენც ასე კუქუმალულობა ვითამაშოთ?

— რაზე ამბობ?

— კარგი ახლა! — ეს ორი სიტყვა ქაიხოსრომ დარეჯანს პირდაპირ ქვასავით ესროლა.

ჩხუბი და უსიამოვნება გადამდებიაო, იტყვიან. მართლაც ასეა. ჯობრაილი და ირინე ერთმანეთს ცოცხლად სჭამენ და აი, ეს ახლა ქაიხოსროსა და დარეჯანსაც გადაედო. აბა, ქაიხოსროსაგან ხმა-

მალალი სიტყვა სხვა დროს ვის გაუგონა?

— მთლად ნულარ გადამრევე, ქალო! დარეჯანმა ქმარს არაფერი უპასუხა. სავარძელში გულხელდაკრეფილი და თავჩაქინდრული იჯდა. მან კარგად იცოდა, რომ ქაიხოსრო ტყუილად არ აპილბილდებოდა.

— მაგ ბავშვების თავზე რაღაც უბედურებაა.

დარეჯანს ხმა არც ახლა ამოუღია და არც ქმრის ნათქვამი გააკვირვებია. აღბათ, თვითონაც ასე ფიქრობდა.

— შენთვის არაფერი უთქვამთ?

— ჰმ! — დარეჯანმა ქმარს გაკვირვებული მზერა შეავლო, — არ იცი, რა უნიათოები არიან ერთიცი და მეორეცი?

— მერე?

— მერე და მერე!

— ქალო, რა დროს უნიათობაა! მშობელი და ახლობელი ადამიანის მაშინ განდა, როცა უბედურება გეწვევა. აბა, ლხინში და ქეიფში ყველა მახლობელია, თუ ახლა მშობლებდაც აღარ გვთვლიან?

ოოო! ეს კი ქაიხოსროს აღარ უნდა ეთქვა. ეს ნამდვილად აღარ უნდა ეთქვა! რა ემართება ამ კაცს?!

დარეჯანმა სავარძელში გვერდი იბრუნა და ქაიხოსროს სახე აარიდა.

— კარგი, დაწყნარდი... ეს ისე ეთქვი ესე იგი, არც შენთვის არაფერი უთქვამთ, ხომ?

— რა უნდა ეთქვათ? ერთი მითხარა; რა უნდა ეთქვათ? ან სალაბარაკო რა არის? ბავშვებს არ ვიცნობთ, პირველად ვხედავთ, თუ რა? ვინმეს რამეს წაართმევდნენ, ვინმეს დაჩაგრავდნენ, ვინმეს თავზე გადაახტებოდნენ, თუ რა? უბედურება რატომ უნდა სწევოდეთ? და თუ მართლა უბედურება ეწვიათ, იმან იკითხოს, ვინც მაგათ ეგ უბედურება დამართა. ის, ის, მოხვდება ჭოჯოხეთში, ის! თორემ ჩემს ბავშვებს არც ერთს არაფერი გაუჭირდება. ეს იცოდე შენ, ქაიხოსრო ქარცივაძე! უბედურება რატომ უნდა დამართოდეთ?!

დარეჯანი ასეთი გაალმასებული ქაიხოსროს ჯერ არც ენახა.

— დაწყნარდი, დარეჯან, შე იმას ვამბობ, ვინმეს დაჩაგრავდნენ და თავზე გადაახტებოდნენ—მეთქი?

— შენ თვითონაც არ იცი, რას ლაპარაკობ!

— კარგი, ახლა, კარგი... კარგი, დარეჯან, კარგი!

— თუ მაგ ბავშვების თავზე მართლა რაიმე უბედურებაა, იმან არ გაიხარა და იმან არ ნახა არაფერი სიკეთე თავიანთოლ-შვილში, ვინც მაგათ ეგ უბედურება დამართა. აი, ასე ვიტყვი შე ამას!

— წყნარად, ქალო, ირინე გაიგონებს.

— არ გაიგონებს, კარი მაგრადაა დახურული.

— რა იცი, რომ უბედურება შეემთხვათ?

— ა?

— რა იცი, რომ რაღაც გლახა შეემთხვათ-მეთქი!

— ეგ შე საიდან მეცოდინება?

— აბა?

— რა — აბა!

— აბა, რაღას იწყევლები?

— აბა, რა ექნა?

— ჰმ! კარგი, დარეჯან, კარგი! დაწყნარდი. ახლა არ მიაწყველე, ვინც მაგათ უბედურება დამართა?

— თუ ვინმემ დამართა-მეთქი. ქართული აღარ გესმის? თუ — მეთქი!..

— ჰოო... კი, კი, მესმის... კარგი, დაწყნარდი ახლა, თორემ. მაგ კარს ძალიანაც ნუ ენდობი. ირინე გაიგონებს.

— მაგ კარიც შენი მოტანილია, არ გახსოვს, გამორჩეული მუხააო, რომ ბრძანებდი.

— კარგი ახლა, დარეჯან, კარგი. ეგ კარი მართლა გამორჩეული მუხაა, მაგრამ... მინც... კარგი, ახლა, დაწყნარდი. ყველაფერი გამოიჩვენება. იქნება, მართლაც არაფერია და გულგებს წინდაწინ რატომ ვიხებოქავთ. ესე იგი, სადილი მზად არის?

— ლომიც ჩავადგი, მოშუშდება და...

— ჰოო, კარგი დაგემართოს! გეყურება? ბავშვებმა არაფერი შეგამჩნი-

ონ. ღმერთმა ნუ ქნას და თუ მართლა რაჟე ისეთია, ბოლოს და ბოლოს, გეტყვიან, აბა, რა იქნება? ჩვენ თუ არ გვითხრეს, აბა, ვილას ეტყვიან?!...

— რა ვიცო... — დარეჯანმა ისევ გულ-ხელი დაიკრიფა და ამოიხრა. — თუ მაგდენდაც აღარ ვუღიროვართ და...

— არა, არა, ეგ არ იფიქრო. რას ჰქვია, აღარ ვუღიროვართ. კიდევ ვუღიროვართ და კიდევ ვუნდევართ ყველაფერს მალე ჩაგვიკაკლავენ. წადი ახლა, ირინე სუფრის გაწყობაში მოიხმარე, მე კი ღვინოს ამოვიტან. ამასობაში ჯიბრაილიც მოვა და... გოგუტუნას თქვენ დაიტოვებთ?

— აბა, გამომიგზავნე. და გეყურება? ირინემ არაფერი შეგამჩინოს, თორემ ხომ იცი: ამ ქუთაისში აღარ დაგვედგომება.

ჯიბრაილი ქალაქიდან ცოტა მოგვიანებით დაბრუნდა. სუფრა უკვე კარგახნის გაშლილი იყო, ყველანი დასხდნენ, ჭიხოსრომ თავისი საყვარელი „ალექსანდროულით“ ჰქიქებოდა კი შეავსო, ჯიბრაილი კი არსად ჩანდა. ყველანი ღუმდნენ, გოგუტუნა კი, გადახელილ ყველს ისეთი თავდავიწყებით, ისეთი ხვნეშით და წკლპა-წკლპით შეექცეოდა, რომ მთელი კვირის ნაშინშილვევი გეგონებოდათ. უფროსება — ჭიხოსროც, დარეჯანიცა და ირინეც ხმამაშუღებლად, სიყვარულით მისჩერებოდნენ, არაფერს უშლიდნენ — სამივე ერთნაირად ფიქრობდა, წამოიხრებდა და წესიერად ქმას მამინ ისწავლისო.

ექვსი საათი დაწყებული იყო, ჯიბრაილმა რომ ჰქიშარი შემოაღო. ცალი ხელით სამი თუ ოთხი პარკი სხვადასხვანაირი ხალი მოჰქონდა, მეორეთი კი უზარმაზარი, ბარე თორმეტკლოიანი საზამთრო. ირინე და დარეჯანი კიბის თავთან შეეგებნენ და ყველაფერი ჩამოართვეს. ჯიბრაილმა ჭიხოსროს შორიდანვე თავი დაუქნია, და ოდნავ გაუღიმა, — ალბათ, ბოდიშის ნიშნად, ასე რომ დავიგვიანეო, — და რაკი ერთიანად გაოფლიანებულიყო, ხელ-პირის დასაბანად აბაზანისაკენ შეუხვია.

— სიძე-ბატონო! შენ ქუთაისში არა, ქუთათური ბაზრის სუღიბეა-წასულხარ. — ეს სიტყვებში მგავაგვიჩქოხოსრომ ჯიბრაილს, როცა ის მაგიდან მიუჯდა და ერთიანად სახემოზუნულ გოგუტუნას თავზე ხელი გადაუსვა:

— კარგ ქალაქს ბაზარიც კარგი უნდა ჰქონდეს.

— ნამდვილია. ეგ კი არა, მე თუ მკითხავ, ქალაქი და მისი ავტობუს-ტროლეიბუსები სულაც წყალს წაუღია, ოღონდ ბაზარი ვარგოდეს. ა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა...

— მეც მაგრე ვფიქრობ.

— ჰოდა, ღმერთმა აგაშენოს! მაგრამ ლეღვი და კორკიმელი აგერაც ბევრი გვაქვს, რაღას უიღულობდი?

— გამიგონია გელათის ლეღვს სხვა გემო აქვსო.

— ეგეც ნამდვილია. გელათისა და მოწამეთას ლეღვთან. იცოცხლე, სხვა ვერ მივა მაგრამ, ჩემო ჯიბრაილ, რა გითხრა, იცი? ხალხი გაეშმაკა ნამეტანი ო-პო-პო-პო! ნულარ იტყვი. აი, სიტყვაზე: როგორც მე და შენ ვიცით, გელათის ლეღვი კარგი რომაა, ისე იცის მთელმა ქვეყანამ. კარგი და პატოსანი. გავდივართ ბაზარში. აგერ, სოფლელო დედაკაცი დგას და ლეღვს ჰყიდის. „სადურია ხარ, ქალო?“ „გელათელი, ბატონო!“ ლეღვს შეხედავ, ხელით მოსინჯავ, მსხვილი, კარგი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ახალი. გელათურისაგან ვერაფრით ვერ გამოარჩევ. არადა, იმ ქალს თავის სიცოცხლეში გელათისაკენ არც გაუხედავს. სულ სხვა კუთხიდანაა. მაგრამ იცის, გელათურ ლეღვს კარგი სახელი რომ აქვს და ა! წადი შენ და... ისეა სხვაც ყველაფერი, ქადის ფქვილს შევაკურები, — სადაურია? სამტრედია გოცს შევეაკურები, — სადაურია? მეგრული, შუგდილური, ან სენაქის და ასე—ყველაფერი, ა-ხა-ხა-ხა! გეგონება, რაც კი ქვეყნიერებაზე კარგი და გემრიელი მოდის, ყველაფერი ქუთაისის ბაზარში მოაქეთ გასაყიდათო. აბა, დადექი, ჩემო, დადექი! აღარ მოვიდა? ქუთაისსა და მის ბაზრებს აღამიანი ერთ ღღემში რას აუვა! — დარეჯან, შენ

ის ცხერის ღუშა არ მოგიტანეს? შემწვარ ბადრიჯანს მე აქ ვერსად ვხედავ.

— როდის იყო, ანგელინას სიტყვა ეთქვას და ქრისტიანულად შეესრულე ბინოს?

— მაინც რომ ეგრეა, მაგრამ არა უშავს. ღუშის მოცემული მაინც არაფერი გვაკლია. აბა! შეუყვეთ. ირინე, მგ კადი აქეთ გადმოღვევი. ასე. ჯიბრაილ; კაცო, ამ სუფრაზე სულ მე ვითამადო? მოდი, ერთხელ შენც გვიხელმძღვანელებ რა, სიტყვას ვერ იტყვი, თუ ღვიბინოს ვერ დაგვიღვე?

— აჰ! — უარის ნიშნად ჯიბრაილმა თავიც გადააქნია და ხელებიც გაასავსავა. — აჰ! სხვა ყველაფერი, ოღონდ ეგ არა.

— ამას ოღონდ თამადობას ნუ მოთხოვთ და ყმად დაგიდგება. — ირინემ ეს ღიმილით თქვა, სუფთა ხელსახოცი აიღო, გოგუტუნას ტუჩები მოუწმინდა. — დედოკო, სუფთად კამა აღარ უნდა ისწავლო?

გოგუტუნამ დედას ხელსახოცი გამოგლიჯა, ტუჩებზე სასწრაფოდ მოისვა. სკამიდან ჩამოხტა და ეზოსკენ გაიქცა. უფროსები ღიმილით მისჩერებოდნენ.

— ესე იგი, ისევ მე ვითამადო? — მომღიძარე ქაიხოსრომ ნეკით მარცხენა წარბი მოიქექა. — კარგი, ბატონო! თამადობა მე დიდ სუფრაზე მეზარება, თორემ აქ, შინაურებში... ტყუილის თქმა მე არ დამჭირდება, შენ ხარ ჩემი ბატონი, ენამჭევრობა და თვალთმაქცობა. რასაც ვიტყვი, სულითა და გულით ვიტყვი ა, ხალხო, ასე არ არის?

— ასეა, ასე! — დაუდასტურეს აქეთიქიდან.

— ჰოდა, კარგი დაგემართათ! აბა, ახლა როგორ დავიწყებ და რას გეტყვით, იცით? ამ პირველი ჭიქით და იცოდეთ, ეს ასე დამიდგენია, სანამ მე ცოცხალი ვარ და ამ ჭერქვეშ სული მიდგას, ეს ასე უნდა იყოს! ამ პირველი ჭიქით ე, იმ ჩვენს პატარა გოგუტუნას გაუშარჯოს! აგერ, ამ ოთხ ადამიანს მაგაზე უფრო საყვარელი და მაგაზე ღიდა

საზრუნავი არაფერი გაგვაჩნია. იცოცხლოს, იხაროსა და იბედნიეროს! — ღმერთმა და ბუნების ძალამ მშობრის გაჭირვება, დამცირება, ყოველი ავი და ცუდი სიამვე და უბედურება ჩვენ, — ამ უფროსი თაობის ხალხმა უკვე იმდენი ვნახეთ ჩვენს ცხოვრებაში, რომ ჩვენ შეილება ცეცხლი და შვილიშვილებსაც ჰოდა, — მაგათ ეს ყველაფერი აცდუნოდეთ. აღარც ომი ყოფილიყოს, აღარც შიმშილი, აღარც განუყოთხოობა და აღარც სხვა რამე უბედურება. გოგუტუნას დაქალებას მოგვასწროს! მაგის ბედნიერების მომსწრენი გავმხდარიყავით!

ეს სადღეგრძელო ოთხივემ გამოსცალა.

ქაიხოსროს თამადობა მართლაც არ ესწავლებოდა. გოგუტუნას შემდეგ მთავარი დიასახლისი-დარეჯანი ადღეგრძელებდა, მერე ირინე და ჯიბრაილი, მერე — ყველა მშრომელი და პატიოსანი ადამიანი, ვინც ლექსმაპურს ალალი შრომით და გარჯით ჭამს, მერე სამშობლო... არ ჩქარობდა, არც ზედმეტად ენამჭევრობდა და არც დიდრონ სასმისებს ეძალებოდა. ღვინოს ძველებური, პატარა, წელში გამოყვანილი ჭიქებით სვამდნენ. „ალექსანდროული“ მართლაც დიდებული იყო და საში თუ ოთხი სადღეგრძელო დარეჯანმა და ირინემაც ბოლომდე გამოსცალეს. ირინეს ღვინო მოეკიდა, ლოყები აუწითლდა და რამდენჯერმე უმიზეზოდ აესიკისდა. ჯიბრაილი თავშეკავებულად იღიმებოდა. ქაიხოსრომ საყულო მოიღება და ჭიქას ჭიქაზე აესებდა. ერთი სიტყვით, ნამდვილად შინაურული, ტყბილი პურობა იყო, და გარეშე თვალს კიდევ შეშურდებოდა, რა მყუდრო, შეწყობილი და აუზღვრეველი ოჯახიათ.

მაგრამ ქაიხოსრო ქარცივამის თვალს არაფერი ეპარებოდა. ამჩნევდა, რომ ჯიბრაილი და ირინე ერთმანეთს თითქმის არც ელაპარაკებოდნენ. ერთხელ ირინეს ხაქაპურის ნაჭერი მოუხდა და იმის მაგივრად, რომ ჯიბრაილის წინ დადგმული თეფშიდან აეღო, დარეჯანს უთ-

ხრა; ხაჭაპური მომეციო. მეორეჯერ ჯიბრაილმა რაღაცა ჰკითხა, ირინემ განგებ ყური მოიყრუა, არ უპასუხა, ჯიბრაილმაც ხელი ჩაიჭნია და ცოლს გვერდი შეაქცია მესამეჯერ... თუმცა ყველაფრის ჩამოთვლა რა საჭიროა. ქაიხოსრომ — და მარტო ქაიხოსრომ კი არა, დარეჯანმაც, — როცა ცოლ-ქმარმა კარგად დაინახა, რომ ირინე და ჯიბრაილი ერთმანეთში რატომღაც ველარ რიგდებოდნენ და მიზეზის გამხელას კი არა და არ აპირებდნენ.

• • •

ლომკაცია ჯიშიაშვილმა დანაბირები შეასრულა და გასულ ორშაბათს ჯიბრაილი ქუთაისის განათლების განყოფილებაში, ყარაბან ნემსიწვერიძესთან დაიბარა. ამის გამგონე ქაიხოსრო სიხარულით ცას ეწია — ლომკაციამ თუ მოინდომა, ქვესაც კი წვესს გამოადენს და ჩვენი საქმეც ვაკეთებულაო. ქაიხოსროს ისიც კი უნდოდა, ჯიბრაილს ნემსიწვერიძესთან თვითონ წაჰყოლოდა. მაგრამ ირინემ არ დაანება, — მანდ შეუფრო საჭირო ვიქნებო. ჯიბრაილის ცოლი თვალის დასამხამებაში გამოეყუო, სუნამოც იპყურა, დაბნეულ და გუნებაჩამხდარ ჯიბრაილს ხელში ხელი წაველო და ქუჩაში გაიყვანა.

• • •

მას აქეთ, რაც ქაიხოსრომ და დარეჯანმა ლომკაცია ჯიშიაშვილს პურ-მარაილი გაუმართეს, ყველაფერში გამოტყდნენ და ატესტატის აღებაში დახმარება სთხოვეს, ჯიბრაილს ეკვიც აღარ ეპარებოდა, რომ ლომკაცია ამ საქმეს უსათუოდ მოინდომებდა — არა, თვითონ ლომკაცია ჯიბრაილს იოტისოდუნდაც არ მოსწონებია. ჯერ ერთი, ის კაცი თვითონ ჯიბრაილს ძალიან უდიერად და ჭედმალღურად ექცეოდა, და მეორეც, ჯიბრაილმა მშვენივრად დაინახა, ეს ძალიან ემშაკი; უსულგულო და ჭებებუდანა სულიერი იქნებოა. მაგრამ ჯიბრაილი იმასაც მიხვდა, რომ ლომკაცია ქაიხოსროს ამ საქმეს უთუოდ გაუ-

კეთებდა და მერე, თავის დროზე, სამაგიერო საზღაურს ერთი მთხრამი მოგებდა. როგორ და რა გზით, ეს უკვე ლომკაციას საქმე იყო. სამისოდ გზას იგროგორმე მონახავდა.

ჯიბრაილი შერიგებული იყო იმ აზრსაც, რომ მალე საღდაც განათლების განყოფილებაში, ვილაც ყარაბან ნემსიწვერიძესთან უნდა წასულიყვნენ და ატესტატის საქმეზე ეჩალოჩათ. მერე უფრო მძიმე ამბები იწყებოდა: ჯიბრაილს გამოცდებზე, ალბათ, ვილაც კანკებტიტველა გოგო-ბიჭებთან ერთად გაიყვანდნენ, ბევრჯერ უწყალოდ გააწითლებდნენ, და ბოლოს, დიდი ვაივაგლახით, გაწამაწიისა და დამკირების შემდეგ, რაღაც გაპირებულ სამიანებს სამადლოდ მიუყრიდნენ და ატესტატის მფლობელიც მხოლოდ ამის შემდეგ გაზდებოდა.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან მწარე და ძნელი გადასატანი იყო მაგრამ ჯიბრაილმა ამაზეც ხელი ჩაიჭნია. მოვიდეს, რაც მოსასვლელია. ირინეს სიყვარულით ჯიბრაილმა ესეც უნდა გადაიტანოს. მან მთელი სიცოცხლე ამაყად წელგამართულმა იარა, ბუზს არ იჯენსო, რომ იტყვიან, სწორედ ისე. არაღერი დაშავდება, თუ ახლა ცოტა ხნით მოიკუნტება და გადასატანს გადაიტანს. ცხოვრებაში ადამიანს ყველაფერი ხედება.

მაგრამ — მერე! მერე რაღა უნდა მომხდარიყო? ამ კითხვაზე პასუხის ძებნაში ჯიბრაილმა ბარე ორი ღამე თეთრად გაათენა, სიგარეტების კოლოფს კოლოფზე ათავებდა, ოთახს თამბაქოს ბოლით აესებდა და ერთხელ უკმაყოფილოდ გამოღვიძებული ირინეს საყვედურიც კი დაიშახურა — ბავშვს მაინც მოერიდე, აივანზე გადი და იქ მოსწიეო. ჯიბრაილი აივანზე გავიდა, მოაჩირზე ჩამოჯდა და იმავე კითხვის პასუხს დილაშდე ექებდა, მაგრამ ვერასგზით ვერ იპოვნა.

ვთქვათ, ჯიბრაილმა ათწლეულის ატესტატი მართლაც აიღო — ვთქვათ კი არა, ეს ასეც იქნება. აიღებს. ირინეს

სიყვარულით ჯიბრბაილი ყველაფერს მოითმენს და იმ ჩამონათხოვრებულ „სამიანებსაც“ შეუტრიაგდება. მაგრამ — მერე? ჯიბრბაილს (უფრო კი, რა თქმა უნდა, ირინეს) ატესტატი ხომ იმისთვის უნდა, რომ დაკარგული თანამდებობა და მდგომარეობა დაიბრუნოს და საქვეყნოდ თავის მოჭრას გადარჩეს. (თუმცა, კაცმა რომ თქვას, იმ თანამდებობის დაკარგვა თავის მოჭრად ისევ ირინეს მიაჩნია, თორემ თვითონ ჯიბრბაილი უბრალო მეზიგედ თუნდ მგორედმოსვლამდეც გულდამშვიდებით იმუშაებდა). მაგრამ ესეც არაფერი. ბოლოსდაბოლოს, ცუდი არც თანამდებობა და მდგომარეობაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ სამუშაოს ატესტატი ჯიბრბაილს იმ თანამდებობის დაბრუნებაში ვერაფრით დაეხმარება. შახტში უბნის უფროსსაც და ყველა სხვა თანამდებობის პირსაც უსათუოდ სამთო განათლება უნდა ჰქონდეს. ესე იგი, ატესტატის აღების შემდეგ ჯიბრბაილი სამთო ტექნიკუმში მაინც უნდა მოეწეოს და კიდევ სამი-ოთხი წელიწადი უნდა ისწავლოს. მერე? ირინე ახლა ამას უფიქრდება?

ახლა ჯიბრბაილი რომ გაჩუქტებულყო და ქუთაისში არ წამოჰყოლოდა, ვინ იცის, ცოლი რა ამბავს დაათვებდა. ირინე ხომ ფიცხი და თავის ნათქვამის ქალია. იქნებ, გაქცეოდა კიდევ. სულ თუ არა, კარგა დიდი ხნით მაინც. საკუთარ თავსაც მოანატრებდა და გოგუტუნასაც. მაგრამ ეს ფიცხი და თავნება ქალი ახლა იმას კი აღარ უფიქრდება, რომ ზვალ და ზეგ ჯიბრბაილს იმ თანამდებობას ხონჩით აღარაეინ მოართმევს. მთავარი გზა ატესტატის მერეა გასავლელი. ირინეს კი აუჩქამებია, ატესტატი და ატესტატიო. სხვა აღარაფრის გაგონება აღარ უნდა. ის კი არა, ჯიბრბაილს ქაიხოსროსა და დარეჯანისათვის სიმართლის თქმაც კი აუქრძალა და სიმბატონი სიდედრ-სიმამრს ყოველდღე ატყუებდა როგორც კი შვეებულება აუფიქრებდა, ისევ ჩემს უბანს უნდა

მივხედოო. არადა, კაცს თავის სიცოცხლეში ტყუილი არ უთქვამს. ან სანამდღე უნდა იტყუოს? კიდევ ოთხი წელიწადი? და ეს ისე ჩაივლის?

ჯიბრბაილმა იმ ღამეს ამ კითხვის პასუხი ვერასგზით ვერ იპოვნა და ლომკაცში გამთენიისას ჩაწვა.

• • •

ლომკაცია ჯიბრბაილი ირინემ და ჯიბრბაილმა ქალაქის ბაღთან, ხალხით მოზიზშიმე ბულვარზე, სწორედ აკაკის ძეგლის პირდაპირ, ვეებერთელა ქადრის ჩრდილში დაინახეს. იგი ვიღაც ახალგაზრდებთან ერთად იდგა და ხმამაღლა იცინოდა. ჯიბრბაილს გულმარტხივ კი უყო, ჩემს ამბავს ხომ არ უყვებო.

ლომკაცი ირინე და ჯიბრბაილი შორიდანვე დაინახა, ახალგაზრდებს თავის დახრითა და ორივე ხელის აწევით დაემშვიდობა, და ამით შესაგებებლად წამოვიდა. მას ძვირფასი, სპილოსძელისფერი შალის კოსტუმები და თეთრი, ქათქათა პერანგი ეცვა, კისერზე კი — ამ სიტყვში! — ლურჯი, განიერი, თეთრად დაწინწკლული პალსტუხი ეკეთა. მარჯვენა ხელის არათითზე სქელი, თითქმის იმავე თითის სიმსხობეპედი უბრჭყვიალებდა. აუჩქარებელი ნაბიჯით მოდიოდა და თან ყოველ ნაბიჯზე გამეულ-გამომეულ ნაცნობ-მეგობრებს ესალმებოდა. შორი-ახლო გაჩერდა და დაელოდა, სანამ ირინე და ჯიბრბაილი მიუახლოვდებოდნენ. ირინეს მამა-შვილურად მოუთათუნა ლოყაზე ხელი და შებლზე აკოცა, ჯიბრბაილისათვის კი ხეირიანად არც კი შეუხედავს, ხელი ისე გაუწოდა.

სწორედ ამ დროს ვიღაცა კაფანდარა, მელიოტი, აზიურ უძიროებსა და ძველებურ შარვალ-ბალათში გამოწყობილი ბერიკაცი გამოჩნდა, გრძელი, წითელი კისრის ფონი გარმონივთ ჰქონდა ჩაკეცილი. ლომკაციამ ბერიკაცს თავი ისე სწრაფად და მდაბლად დაუტრა, რომ შებლა ლამის ტრატ-



უარს დაახალა: შემდეგ წელში გაი-
მართა და ბერიკაცს პეროვანი კოც-
ნაც გაუგზავნა, რაზეც ასეთი მისალ-
მებით აშკარად გაბედნიერებულმა ბე-
რიკაცმა რამდენიმეჯერ თავის დაკე-
რით, წელში მოხრითა და აღტაცებუ-
ლი, უსაზღვროდ მადლიერი ღიმილით
უბასუბა. ამის შემდეგ ლომკაცია ქუჩის
მეორე მხარეს, შენობის ჩრდილში
ამაყად და განმარტოებით მღვამ მი-
ლიციის ოფიცერს მივსალმა, მერე ირი-
ნეს მხარზე მსუბუქად მოსდო ხელი,
ჭიბრაილს მოკლე, მრავალმნიშვნელო-
ვანი მხერა შეავლო და ცოლ-ქმარი
ქალაქის განათლების განყოფილები-
საქენ წაიყვანა.

განათლების განყოფილება ძველე-
ბურ, ქვის, ორსართულიან და ფართო
ფანჯრებიან სახლში იყო მოთავსებუ-
ლი. მალე მივიდნენ. სადარბაზო შესა-
სვლელთან ირინე შეჩერდა, შეჩერდ-
ნენ მამაკაცებიც. ირინემ ჯერ ლომკა-
ციას შეხედა, მერე ჭიბრაილს, მერე
კი ისევ ლომკაციას.

— რა, ჩემო? — ლომკაციამ ეს
ირინეს ჰკითხა, თვითონ კი ვიღაც უზო-
ომოდ ჩასუტებულ, ლოყებლაყლაყა ვა-
მგლელს სწრაფი თავის დაკვრით, ხე-
ლების აწევით და წელში მოხრით მიე-
სალმა. — როგორ კარგად, როგორ კა-
რგად გიკითხო, ბატონო გრამიტონ?

— გმადლობთ, ჩემო ლომკაცია,
გმადლობთ, — ჩასუტებულს წვრილი,
ქალური, და თან ჩაბრინწული ხმა აღ-
მოაჩნდა. — ვართ, რაც შეგვიძ-
ლია. თქვენ თვითონ? ხომ კარგად?

— მეც არა მიშავს. აგერ, ცოტა სი-
ცხემ შემაწუნა.

— სიცხე — არაფერი — მალე გა-
ივლის. შემოდგომაა.

— შემოდგომაა, გრამიტონ ჩემო,
შემოდგომაა — ლომკაციამ გრამიტონს
თვალი გააყოლა, იმ წამსვე ვიღაც მხა-
რბეკიან, ხშირწამწამება, რომელიღაც
შეტად მკაცრად მომზირალ სამხედრო
პირს უკიდურესი თავაზიანობით მიე-
სალმა და ირინეს მაშინ-ლა მიუბრუნ-
და, როცა ამ სამხედრო პირისაგან, ცო-

ტა არ იყოს, დაგვიანებული და უსუ-
ლგული სალაში მიიღო. *არაქვი მკუჭამო,
განგაღობითყვა*
ჩემო?

ლომკაციას საქციელი ისეთ შთაბეჭ-
დილებას ტოვებდა, თითქოს ქუჩაში
სალმის დასარიგებლად და ნაცნობობ-
ის გასაახლებლად გამოსულიყოს, და
არა ირინესთან და ჭიბრაილთან შესა-
ხვედრად.

„მაინც გიცნობ, რა მეღაც ხარ“. —
გაიფიქრა ჭიბრაილმა.

— გისმენ, ჩემო ირინე! — ლომკა-
ციამ ირინეს ხელი ისევ მამაშვილუ-
რად მოხვია.

— მე თქვენთან... სათხოვარი მაქვს,
— ირინე გაბუტული ბავშვივით
ლაპარაკობდა.

— სათხოვარი? — ლომკაციამ წვრი-
ლი წარბები ზეაქაპა, აქაოდა, ერთ
სათხოვარს აკი ვისრულებ და მეტი რა-
ღა გინდაო.

— დიახ.. არა, თქვენთან კი არა, ჭი-
ბრაილთან.

წარბები ახლა ჭიბრაილმა შეიქრა.
მასთან ირინეს რაღა სათხოვარი უნდა
გასჩენოდა?

— ახლა, იმ კაცთან რომ შევალთ...
ერთი სიტყვით, შენ ხმა არ ამოიღო
და მე დამაცადე. — ირინემ ეს ბოლო
სიტყვები ჭიბრაილს სულმოუთქმელად
მიაყარა.

— მ! — ლომკაციამ ყურის ძირი
უქმყოფილოდ გამოიქექა. — მაგაზე
სახლში უნდა გელაპარაკათ.

— სახლში უკვე ვილაპარაკეთ. —
ირინემ ეს ცინცხალი ტყუილი ისე
სიტყვა, რომ თვალზე არ დაუხამხამებია.

— პოდა, შევიდეთ. ის კაცი უკვე
გველოდება. ისე, მე მგონია, თავს
საქმეს არც ჭიბრაილი გააფუტებს. ა,
ჭიბრაილ, ასე არ არის?

ლომკაცია ჭიბრაილის პასუხს აღარ
დაელოდა და განიერ, თეთრ მარმარი-
ლოს კიბეს პირველი აპყვა ჭიბრაილმა
თავი უხალისოდ გადააქნია და ირინე
წინ გაუშვა.

ყარამან ნემსიწვევრიძეს მუშტივით
პატარა, ცვილისფერი, მფლადი დაღა-

რული სახე და ამ სახისათვის სრულიად შეუფერებელი სქელი, შავი უღვაშები ჰქონდა. ეს უღვაშები ისედაც შევარდნილ, მოკლე ნიკაპს თითქმის მთლად უფარავდა და სახეს კუმტ, უსულგულო გამომეტყველებას აძლევდა. ამ გაბანჯგვლულ, პოლიციურ უღვაშებს ზევით ცისფერი, თითქმის გამჭვირვალე თვალები ისეთი მოულოდნელი, მომჭადოებელი ხალისით, სიყვითთა და სიყვარულითაც კი უციმციმებდნენ, რომ იფიქრებდით, ამ ადამიანს საფიქრალი და საზრუნავი სხვა არაფერი გააჩნია, გარდა იმისა, რომ სხვებს, თუნდაც სულ უცნობებს რამეში გამოადგეს, ხელი შეუწყოს და ბედნიერება მოუტანოსო. ტანზე ჩესუნჩის საკმაოდ მოძველებული კოსტუმი ეცვა და შავი პალსტუხი ეკეთა. კაბინეტში შესულებს მყისვე ფეხზე წამოუდგა, შეეგება, სათითაოდ ხელი ჩამოართვა, თან გაუთავებლად — „მობრძანდით, ბატონო, მობრძანდითო“, — იმეორებდა.

— გამარჯობა, ყარამან ბატონო, გამარჯობა! — ლომკაცია მაგიდის გასწვრივ მდგარ, ტყავგადაკრულ სავარძელში შინაურულად ჩაქდა, ჯიბიდან ჰეთრად მოქათათე ცხვირსახოცი ამოიღო და შეფოთლილი, ნაღებისფერი სახე მოიწმინდა. — ნულარ შეწყხედებით! შენ ჯერ არ იცი, ყარამან ბატონო, ეს ახალგაზრდები არც კი არიან იმისი ღირსი, რომ ადამიანი ამათ ფეხზე წამოუდგეს და პატივი სცეს. მამის სული ნუ წამიწყდება, ჩემი ნება რომ იყოს, ამათ საქართველოდან გადაგყარავდი. ამათ ქუჩაში გამარჯობა არ უნდა უთხრა. აი, იმ მამაჩემის სული ნუ წამიწყდება.

„ერთი ჩემი ნება იყოს, მამინ შენ მე მკითხე, რასაც გიზამდი“. გაიფიქრა ჯიბრაილი.

— ამისი ფასი რა დააშავეს? — ნემსიწვერიძემ ირინეს და ჯიბრაილს მარდი მოძრაობით სკამები მიუწია, თვითონ თავის ადგილს დაუბრუნდა და

ცოლ-ქმარს იქიდან ტკბილად შემოსცინა — ასეთ დამნაშავეებს რა მოსაფრით ჰგვანან?

— დასასჯელები არიან, აი, სწორედ დასასჯელები. და დაისჯებიან კიდევ. აი, ბატონი ყარამანი თქვენ დაგსჯით. — ლომკაციამ ცხვირსახოცი მარცხენა ხელში გადაიტანა და ცოლ-ქმარს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი დაუქნია. მერე ნემსიწვერიძეს მიუბრუნდა და სრულიად მოულოდნელად, თავლივით ტკბილი ხმით შეპლულუნა, (სადღა იყო ერთი წამის წინანდელი მრისხანე, შექარით აღსავსე კილო?) — აი, ბატონო ყარამან! ესენი გახლავან ის ახალგაზრდები, ამასწინათ რომ გელაპარაკეთ. თუკი ამათ საქმეს რამე გაეწყობა... — აქ ლომკაცია ისევ ირინესა და ჯიბრაილს მიუბრუნდა და თითი ისევ მუქარით დაუქნია, — ადამიანმა თქვენ არაფერი უნდა გაგიკეთოთ, სულ არაფერი. აი, თქვენ რისი ღირსი ხართ და რას იმსახურებთ. აი! — ახლა კი ისევ ყარამანს მიუბრუნდა და ისევ თავლად დაიღვარა. — ქაიხოსრო ქარცივაძის სიძე-ქალიშვილი გახლავან, ყარამან ბატონო! გეხსოვება... პირადად მეც ძალიანა ვთხოვ. თუკი რამე გაეწყობა... მე იმას არ გეტყვი, ამათი საქმე ადვილია და იოლად გაკეთდებაო. არა! მაგრამ... სამაგიერო პატივისცემა ჩემზე და ქაიხოსროზე იყოს. კარგი კი იქნებოდა, უფრო წინდახედული ახალგაზრდობა გვეზრდებოდეს და თავის საქმეს უფრო უყვირდებოდეს, მაგრამ... რომ არ უნდათ? წინდახედულება აკლიათ. — აქ ლომკაციამ თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა და აუჩქარებლად წამოდგა. — ისე, თავის სატიკვარს ეს ახალგაზრდები უკეთ გეტყვიან ყარამან ბატონო! მე კი, თუ არ გამიწყრები, ცოტა ხნით დაგტოვებთ. სულამანიძესთან შევალ და, თუ რამეში დაგჭირდეთ...

— ბატონი ბრძანდები, ბატონი ბრძანდები. — ნემსიწვერიძე — წა-

მოხტა და ლომკაცია კარებამდე მიაცილა. ლომკაცია კარებთან შეჩერდა და ირინესა და ჯიბრაილს გამოჰხედა — ბატონ ყარამანს ყველაფერი დალაგებითა და გულახდილად მოუყევით. მეც აგერ ვიქნები.

ნემსიწვერიძემ კარები მაგრად ჩაკეტა და თავის ადგილს დაუბრუნდა. ჯიბრაილს ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ნემსიწვერიძე და ლომკაცია წინდაწინვე მოლაპარაკებულნი იყვნენ, თუ ლომკაცია კაბინეტთან როდის გავიდოდა.

„ვითომ, ხელები დაიბანა? ენახოთ“.

— აბა, ახალგაზრდებო, ვისმენო. — ნემსიწვერიძემ მაგიდაზე რაღაც ქაღალდები უაზროდ გადაალაგ-გადმოალაგა. — ლომკაციამ კი მითხრა, მაგრამ ნამდვილად აჯობებს, თუ უფრო დაწერილებით მომიყვებით. ადამიანმა თავის მდგომარეობა უფრო უკეთ იცის, ა-პა-პა-პა-პა... ასე არ არის ეს საზოგადოდ? რასაკვირველია! — ნემსიწვერიძემ მაგიდიდან რაღაც ქაღალდი აიღო, უაზროდ შეათვალიერა და ისევ მიაგდო. — აბა!

ირინეს სათქმელი უკვე მომზადებული ჰქონდა. ნემსიწვერიძეს ძალიან მოეკლდა და გასაგებად მოახსენა: ჩემს ქმარს რვა კლასი თორმეტი წლის წინადა აქვს დამთავრებული და ახლა უთუოდ ათწლედი უნდა დაამთავროს.

— გასაგებია! — ნემსიწვერიძემ თავი დააქნია. — გასაგებია. მესმის. ბოდში, თქვენი სახელი? — ხალისითა და სიყვარულით სავსე თვალებით იგი ჯიბრაილს მისჩერებოდა.

— ჯიბრაილი. — უპასუხა ირინემ. — ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი.

— კეთილი და პატიოსანი. ჯიბრაილი. ძალიან კარგი. — წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გაიხედა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ირინესათვის გასაცემ პასუხს გარეთ, ხალხით მოზიშნიმე ქუჩაში ეძებო. — მოტრიალდა და ხელები ფართოდ გაშალა. — ყველაფერი მესმის. მასეთი

თხოვნით პირველად არ მომმართავენ, მაგრამ... ისე რომ გითხრათ, ყველაფერი მესმის და გავიგეო, გულწრფელი ნამდვილად არ ვიქნები. არადა, ყველაფერ საქმეში გულწრფელობა და ყველაფრის ცოდნა ყველა საქმის თავი და თავია. მე, ბატონო ჯიბრაილ და ქალბატონო...

— ირინე!

— ქალბატონო ირინე, მე, ბატონო ჯიბრაილ და ქალბატონო ირინე, თვითონ ძველი პედაგოგი გახლავართ. პარტიამ და ხელისუფლებამ დამაწინაურა, თორემ რა მინდა, ბატონო ამ კაბინეტში? მე ბავშვებში უნდა ვტრიალებდე. მე იქ დავტოვე ჩემი სული და გული, სკოლის, რასაკვირველია, აქ რიამულეებულ დერაფნებში. აქ რომ გადმომიყვანეს, ჩემი სიცოცხლე განახევრდა მაგრამ — რა გამოირკვა? თურმე, ესეც საჭირო ყოფილა. დამიჯერეთ. ამ მტვრიან და უსულგულო საქალაღეებში, გარწმუნებთ, ნამდვილი ცხელი სისხლი ჩქეფს და ბევრი ცოცხალი ადამიანის ბედისწერა იმაშობა... ე... რაჭვია. მე თქვენ გელაპარაკებით. ასეთი ყოფილა, ბატონო ეს ცხოვრება. ადამიანს მთელი სიცოცხლე ერთ პატარა ქაღალდზე ემტყუება და იმ პატარა ქაღალდს ვერც აქეთ გაემტყუევი და ვერც იქით. ლომკაციას მე უარესად დიდ პატივსაც ვცემ. დიდი პატრიოტი, დიდზე დიდი მოქალაქე და დიდად განათლებული ადამიანია. ქაიხოსრო ქარცივაძეც — ასევე. მისგან კარგი საღმის და კარგი ნაცნობობის მეტი არაფერი მახსოვს. და ჩვენ ნამდვილ დანაშაულს ჩავიდნეთ, თუ ერთმანეთს, რასაკვირველია მხარში არ ამოვუდგებით და ერთმანეთს საჭიროების შემთხვევაში არ დავხმარებით. მაგრამ ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ, აი სამივენი, ომში ვართ, და, ვთქვათ, იმავე ფაშისტურ გერმანიას ვეომებით. და აგერ, აი, ერთი მაღლობი გვაქვს ასაღები. ამისათვის ჩვენ რა უნდა ვქნათ? ამისათვის ჩვენ ყოველ-

მხრივ უნდა მოვემზადოთ. ესე იგი, ამისათვის ჩვენ ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ, რათა მაღლობი რაც შეიძლება სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ. ეს თქვენც ხომ გინდათ?

— დიახ.

— კეთილი. კეთილი, ჩემო ბატონო და პატიოსანი. თქვენი საბუთები მიზოძეთ.

ირინემ რაღაც ქაღალდები გაუწოდა. ჯიბრაილს არც კი გაუვია, თუ როდის და რა გზით მოაგროვა მისმა ცოლმა ის საბუთები. ჯიბრაილისათვის სიტყვაც კი არ უთქვამს. აი, ირინემ მართლა თუ რაიმე მოინდომა, მოკვდება და თავისას იზამს — გაიფიქრა ჯიბრაილმა.

ნემსიწვერიძემ ქაღალდებს აუჩქარებლად ათვალიერებდა. ჯერ ერთი ჩათვალა, გადაატრიალა და გვერდზე გადასდო, მერე მეორე, მერე მესამე... უეცრად თვალებში რაღაც დაბნეულობისა და უკმაყოფილების მსგავსი ჩეხახა. თითქოს, სახეზე წამოწითლდა კიდეც. თავი ასწია და პირდაპირ ჯიბრაილს მიანიხრდა.

— თქვენ ახლა სად მუშაობთ?

— შახტში.

— ცხოვრებით სად ცხოვრობთ?

— იჭვე.

— თქვენ ქუთაისში არ ცხოვრობთ?!

— არა.

— არც ჩაწერილი ხართ?!

— არა.

— აბა, მე თქვენ ატესტატი როგორ უნდა მოგცეთ?! — ნემსიწვერიძემ ეს სრულიად გულწრფელად, ოდნავი გაკვირვებითაც კი იკითხა და უკმაყოფილო მხერკას ხან ირინეს მიაპყრობდა, ხან ჯიბრაილს.

„გაბრაზდა. ლუქმას ჭკარგავს!“ — მიუხედავად ჯიბრაილი, შახტში მუშაობდა მამაღლი!“

ირინე ფერდაკარგული და თვალებ-გაფართოებული იჯდა.

— ლომკაცია ამ რატომ არ მიიბრა? — ნემსიწვერიძემ ჯიბრაილის ქაღალდები უგულოდ მიჰყარა მაგიდის კუთხეში. მისი ცისფერი თვალები, წყლან ხალისსა და სიკეთეს რომ აფრქვევდნენ, ახლა იქვეით, ბრაზით და ზიზლით აესებულიყვნენ — რას ჰგავს ეს, ამხანაგებო?!

ირინე ხმაამოუღებლად იჯდა. ან რა უნდა ეთქვა.

„ჩემდათავად შენს ამხანაგს კი დავასხი თავსლაფი“; გაიფიქრა ჯიბრაილმა და წამოდგა.

— ესე იგი, არაფერი მოხერხდება?

— რა თქმა უნდა, არა. თქვენი გულისთვის მე ციხეში ხომ ვერ წავალ? — ნემსიწვერიძემ გვერდი იბრუნა და გულზელი დაიკრიფა.

ეს იყო და ეს. ამის მეტი მას ჯიბრაილისა და ირინესათვის სიტყვაც აღარ უთქვამს. სახელაღწილი ჯიბრაილი მძიმე ნაბიჯებით მაგიდასთან მივიდა, თავისი საბუთები აიღო და, ირინესთვის აღარც შეუხედავს, პირდაპირ კარისკენ წავიდა. უკან საქციელწამხდარი ირინე დაედევნა. კარებთან რომ მივიდა, ირინე წამით შეჩერდა, მიტრიალდა და ნემსიწვერიძეს სახეში შეჰხედა, თითქოს მაინც არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ასე უნდა დამთავრებულიყო. ნემსიწვერიძე არც განძრეულა და არც სახის ბოროტი, ზიზლიანი გამომეტყველება შეუცვლია, ირინეს თავი ისე დაუქნია.

თავი II

ოქტომბრის პირველ რიცხვებში თეიმურაზმა დედის წერილი მიიღო. მელანო შეილს სამსახურში ჩადგომას უთხოვდა და ხსნიდა, აბა, შენ იცი,

უფროსად კი დაუყენებიათ მაგრამ შენ საკუთარი უფროსებიც გეყოლება. იმათი გამგონე იყავი და პატიოსნებით თავი ისახელეო. თავის ავადმყოფობასა

და გაქირვებაზე მელანო არაფერს იწყებოდა, მაგრამ თეიმურაზმა თვითონაც ყველაფერი კარგად იცოდა და ხელფასის მიღების დღეს-ღა ელოდებოდა, რომ დედისათვის ფული გაეგზავნა.

მელანოს სწეულება და მისი სიბერე უფრო და უფრო ერეოდა. მისი მიმხედველი კი არავინ იყო. მშვეინარი ამას ვერ ახერხებდა. ყველაფერს ის აჯობებდა, რომ მელანო სიძე-ქალიშვილთან საცხოვრებლად გადასულიყო, მაგრამ ალექსანდრე ბაჭელიძეს ამის თქმასაც ვერავინ უბედავდა. ერთხელ იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი ჩემად აკრემლებულ მშვეინარს თავზე დაადგა, სამსახურში წასვლა რამდენიმე წუთით გადასდო და ცოლს დამრიგებლური კილოთი უთხრა:

— სულ ტყუილად გგონიათ, ქალბატონო მშვეინარ, თითქოს იმავე დედაჩემს, — სიტყვაზე ვამბობ, — თითქოს იმავე დედაჩემს, დიდი ჯანმრთელობა ჰქონდეს და მოვლა-პატრონობას არ საპირობდეს. არა, დედაჩემის ჯანმრთელობაც საკმაოდ შერყეულია და თუ მე ის ადამიანი სოფლიდან მაინც არ ჩამომყავს, თუ მე მას ჩვენთან მაინც არ გაცხოვრებ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს ოჯახს დღესდღეობით საამისო საშუალება არ გააჩნია. მე გგონი, ეს უნდა დავიხსოვოთ და იმასაც ანგარიში უნდა გავუწიოთ, რომ დედათქვენი, პატივცემული ქალბატონი მელანო, რაც არ უნდა იყოს, მაინც ქალაქურ პირობებში ცხოვრობს, ხოლო სოფლისა და ქალაქის გათანაბრების პრობლემა ჩვენში ჭერჭერობით გადაჭრილი არ არის. სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით ჩვენ უკეთეს პირობებში ვიმყოფებით. რა ვქნათ ახლა ჩვენ? მობრძანდეს, ბატონო, დედათქვენი შაბათობით, ღამე აქ გაათიოს, კვირა დღესაც აქ ბრძანდებოდეს... ეს ჩვენი მხრივ დახმარება არ იქნება?

— კი, როგორ არ იქნება!..

— ჰოდა — ასე. ახლა სუფთა ცხვირსახოცი მიბოძეთ. სამსახურში კინაღამ უცხვირსახოცოდ წავედი.

მშვეინარმა ქმარს სუფთა ცხვირსახოცი მიუბრუნინა, მერე ვინა ჩვეულების შემდეგ „ვოლგამ“ დაღმართში ჩაიხმინა და მარჯვნივ გაუხვია, სასწრაფოდ ჩაიკვია, მელანოსთან გაეარდა და ახარა, შეგიძლია, შაბათ-კვირაობით ჩვენთან იყო ხოლმეო, მელანომ გულამოკარდნილ ქალიშვილს დაუყვავა, შუბლზე აკოცა და დაჰპირდა, უსათუოდ ვივლი და, შენ თუ დაგქირდა, ორშაბათ-სამშაბათსაც და ოთხშაბათ-ხუთშაბათსაც კარგად დაერჩები, ნუ გეშინია, გარეთ გამოვდებას მე ვერავინ გამიბედავსო.

მაგრამ ამ დანაპირებს მელანო მხოლოდ სანახევროდ ასრულებდა. შაბათობით კი მოდიოდა და მშვეინარს საშინაო საქმეებში ეხმარებოდა, მაგრამ მიზეზს ეძებდა ხოლმე, რომ აქაურობას მალე გასცლოდა და თავის ღარიბულ ოთახში დაბრუნებულიყო. ისიცა და მშვეინარიც კარგად ხედავდნენ, თუ წარბებშეკრული ბაჭელიძე როგორ მძიმედ და მოუსვენრად დააბოტებდა ოთახებში, და იცოდნენ, რომ სიძე-კაცი გაბრაზებისას მელანოს არც უფროსობით მოერიდებოდა, არც ქალარა თმითა და არც სიღედრობით.

იუსტიციის მრჩეველი სიღედრს კარებამდე აცილებდა და უხმოდ, თავის მძიმე დაკვრით ემშვიდობებოდა.

მელანომ მშვეინარს თეიმურაზის პირველი წერილი რომ მიუტანა და ბაჭელიძემ შეიტყო, ჩემი ცოლისძმა ახლავე კარგა მოზრდილ თანამდებობაზე დაუნიშნავთო, მშვეინარს გასტრონომიდან ერთი ბოთლი „წინანდალი“ ამოატანინა და სადილზე თეიმურაზის სადღეგრძელო ასეთი სიტყვებით წარმოთქვა:

— თქვენი, რასაკვირველია, შვილის, მშვეინარის ძმისა და ჩემი, მე ვიტყვით, ცოლისძმის ეს პირველი ნაბიჯი ცხოვრებაში მეტად პასუხსაგები და, ერთგვარად, მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მის ზელთაა არა მარტო საკუთარი ბედობალი, არამედ იმ მეშუებისა და მეშახტეების ბედობალიც, რომლებსაც იგი ამიერიდან ზელმძღვანელობს და მე ვუ-

სურვებდი მას გაემართლებინოს ის ნდობა, რომელიც მას ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ გამოუცხადა.

თეიმურაზს არც კი გაუგია, რომ დედამისმა სიმე-ბატონისაგან შაბათ-კვირაობით სტუმრობის უფლება მიიღო. მაგრამ ის კი კარგად იცოდა, რომ მელანოს სიბერემდე ამაყი და უჭიათი ხასიათი შერჩა და დამცირობას არავისგან მოითმენდა. ჯერჯერობით მელანოს ქვანახშირის ქალაქში ჩამოსვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, არა, თეიმურაზს ხელფასი და მელანოს პენსია საამისოდ კი იკმარებდა, რომ დედა-შვილს სადმე შახტთან ახლოს რაიმე პატარა ოთახი ექირავნათ და ეცხოვრათ. თეიმურაზი ფიქრობდა, შეიძლება, ასეთი საქციელი შახტისა თუ ტრესტის ხელმძღვანელობამ ისე გამოიგოს, თითქოს რიგგარეშე ბინის მოცემას ვითხოვო; ბოლოსდაბოლოს, თეიმურაზი ინეინერი იყო, უბნის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა და ჯერჯერობით საქმესაც კარგად უძღვებოდა. ასეთ ხალხს კი — ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელნიც პროვინციაში მუშაობას დაყბაულდნენ, — აქ თვალისჩინივით უფროთილდებიან და, თუ საქირო გახდა, მათ საი-მეზღად ზოგჯერ კანონის დარღვევასაც არ მოერიდებიან. თეიმურაზს და დედამისს ნაქირავებ ბინაში დიდხანა ნაშ-დვილად არავინ გააჩერებდა, მაგრამ ბინების საქმე საერთოდ 'შახტებზეც და ქალაქშიც ძალიან ცუდად იყო. ახალი სახლების მშენებლობის გეგმები არასოდეს სრულდებოდა. დამსახურებული, ხანდაზმული, თმაშვეერცხილი მუშახტეები თავიანთ რიგს წლობით ელოდებოდნენ... და ამ დროს თეიმურაზისათვის ბინის, თუნდაც ერთი ოთახის მოცემა... არა! ახალგაზრდა ინეინერმა მტკიცედ გადაწყვიტა, დედაჩემს თვიურად ას მანეთს გაუფუგვავნი და ჯერჯერობით ეს თავისუფლად ეყოფა, შემდეგ კი ვნახოთ, რა და როგორ იქნებაო.

ერთი კვირის შემდეგ თეიმურაზმა მელანოს მეორე წერილში მიიღო დედა ჯერ წერდა, ნუ დამძრახავ, შვილო,

შენმა გამოგზავნილმა ფულმა გული ამიჩუყა, რა ღმერთი გამაწყვეტდა, რომ მე იმას კაპიკი მოვაკლო, ^{სადაღობაში} შექვიტანე და ჩავუთქვი, როდის და რისთვისაც უნდა დავხარჯო, ამას შენ თავის დროზე გაიგებო. მერე კი ატყობინებდა, ჩემთან ერთი ტანკენარი გოგონა მოვიდა, ისეთი კარგი და მოხდენილი რამ იყო, რომ ნეტავი მაგის მშობლებსო; შენი ახლანდელი მისამართი მკითხა და მითხრა უსათუოდ წერილს გაუფუგავნიო.

ამ სტრიქონების ჩაკითხვაზე თეიმურაზს გული აუბავუნდა. ნუთუ ნათია ავალიშვილმა გაიხსენა, არა, ეს არაა გზით არ სჯეროდა. სადგურზე გასაცილებლად არ მოვიდა და აქ, საღდაც... არა, ნათიას ეს საქციელი არა ჰგავს.

მეორე დღეს ანთიმოზ ჩახუნაშვილის მეუღლემ საერთო საცხოვრებლის შესასვლელში თეიმურაზს კიდევ ერთი წერილი დაახვედრა. თეიმურაზმა წერილს დაჰხედა და სიხარულისაგან კინალამ ხმაშალა შეჰყვირა: მოგარძო, თეთრი კონვერტის ქვედა კუთხეში ეწერა: თბილისი, ვარდისუბნის, 7, ნ. ავალიშვილი.

ამ ამბამდე ათიოდე დღით ადრე ნათია ავალიშვილი თავის ოთახში, ფანჯარასთან იჯდა და რაღაცა წიგნს კითხულობდა. წვიმიანი დღე იყო. ფანჯრის მინებზე ზედიზედ, ერთი მეორის მიყოლებით მოსხლტდნენ და თანდათან იწრიტებოდნენ წვიმის მსხვილი წვეთები. ნათიამ დაამთქნარა, წიგნი გვერდზე გადასდო, ფანჯარაში გაიხედა და ლეკა ღრუბლებში გახვეული თბილისის დანახვაზე გული რატომღაც სევდით შეეკუმშა: მე აქ, თბილ ოთახში ვნებივრობ, ჩემი ერთგული თეიმურაზი კი ვინ იცის, სად არის და რა დღეშიაო. ან რა გულმა უქნა, რომ სადგურზე არ გააცილა? და ნათიამ როგორღაც უბრალოდ, თითქოს, თავისდაუნებურადაც კი გადაწყვიტა, მოვალე ვარ; თეიმურაზს წერილი გაუფუგავნო, ეს არაფერს დამაკლებს, თეიმურაზს კი, ალბათ, გაუხარდებაო.

მეორე დღეს ისევ წვიმდა და ნათიას გარეთ გასვლა დაეზარა. მესამე დღეს ცა ისევ მოღრუბლული იყო, მაგრამ აღარ წვიმდა. იმ საღამოს ნატუსიას დღეობა იყო და ნათია ყვავილების საყიდლად ქალაქში მიიწვი უნდა გასულიყო. იფიქრა, მე თუ მზიან ამინდს ველოდე, ის, იქნება, გაზაფხულამდე აღარც დადგეს, ისე კი ნამდვილად არაფერი დაშავდება, თუ თეიმურაზს წერაილს მივწერო. ჩაიცვა, ქალაქში გავიდა და, სანამ ყვავილებს იყიდდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კანცელარიას — დიდ და ნათელ ოთახს შიდაკითხა, სადაც მუდამ ბევრი მეგობარი ჰყავდა.

ამ ოთახში მთავარი პიროვნება დეიდა ბაბო იყო — მაღალი, თმაშვევრცხლიანი, მაგრამ მაინც ლამაზი ქალი. ნათიას დანახვაზე ბაბომ წარბები აწვიპა და ხელები უხმოდ გაშალა, აქაოდა, მაღლობა ღმერთს, რაკი შენს დანახვას ვეღირსეთ, თორემ რასა ჰგავს შენი საქციელი, ჩემო ნათია, რაც ინსტიტუტი დაამთავრე, იმ დღიდან აღარც კი მოგვეკარებიხარ, ნუთუ ერთხელ მაინც აღარ გაგახსენდითო.

კანცელარიის გამგის თანამდებობაზე ბაბო ფავლენიშვილი თითქმის ორმოცი წელიწადი მუშაობდა, სწორედ იმ წლიდან, როცა მასავით მაღალი და ლამაზი ყაფლან ამილახვარი მტკვარში დაიბრუნო. ბაბომ სხვაზე გათხოვება აღარ ისურვა და მთელი ცხოვრება ამ, მისთვის სრულიად შეუფერებელ თანამდებობაზე მუშაობას შეაღია. შეუფერებელი იმიტომ, რომ თვითონ ბაბოს ქალაღების ქეჭვა და გულის გამწვრილებელი საკანცელარიო მუშაობა მთელი არსებით სძულდა. მაგრამ მომხიბლავი ქალი იყო, გარეგნობითაც და საქციელითაც, ინსტიტუტის არც ერთ თანამშრომლის თუნდაც სულ უმნიშვნელო გაპირვება არ გამოეპარებოდა და, თუ საპირო იყო, საშველად და მისახმარებლად მთელს ინსტიტუტს ფეხზე დააყენებდა. ამიტომ ბაბოს განსაკუთრებული საკანცელარიო საქმეებს

სხვა, უფრო ახალგაზრდა თანამშრომლები ხალისით უყებდნენ და არასოდეს არაფერში დაუღალატებიათ. ამ ორმოცი წლის მანძილზე ბაბოს კანცელარიიდან გამოსულ ქალაღებში ერთი უმნიშვნელო შეცდომასა და უზუსტობას არავინ წაწყუდომია. ამიტომაც იყო, რომ იცვლებოდნენ რექტორები, პრორექტორები, კათედრებისა და ლაბორატორიების გამგეები, ფაკულტეტების დეკანები, მათი მოადგილეები და მდივნები, მოდიოდა სტუდენტობის ახალი ნაკადები და მიდიოდნენ კურსდამთავრებულნი, ბაბო ფავლენიშვილი კი შეუცვლელად იჯდა თავის დიდ საწერ მაგიდასთან. ინსტიტუტის რექტორსა და პროფესორ-მასწავლებლებში დიდი ნდობა და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი. თავისი ტაქტიანი და დროული ჩარევით ბევრი კონფლიქტი დასაწყისშივე ჩაუქრია და ბევრი მტერიც შეურიგებია. ამიტომ რექტორისა და კათედრა-დეკანატების ყოველგვარ, თუნდაც საიდუმლო სხდომებზე თავისუფლად შედიოდა და ინსტიტუტის ცხოვრების ყოველი წვრილმანი კარგად იცოდა. მეტად ტაქტიანი, ყურადღებიანი და კეთილმოსურნე იყო სტუდენტებისათვისაც. იმასაც კი ამბობდნენ, ბაბო ფავლენიშვილს თავის სახლში ჭერ ოთახი არ გამოუგვია და სადილი არ გაუკეთებია, ყველაფერს მისი მალმერთეული სტუდენტი გოგოები უყებებენ და მერე, თუ სახლში წასვლა ძალიან დაავიანდათ, დასაძინებლათაც იქვე რჩებიანო.

ნათია ავალიშვილი დეიდა ბაბომ პირველი სემესტრიდანვე გამოარჩია. არაერთხელ უთქვამს, ჩემს ახალგაზრდობას მაგონებსო. თავის დროზე ბაბო ნათიას მამასაც, ჯამბაყურ ავალიშვილსაც იცნობდა, ჩემი ყაფლანის ახლო მეგობარი იყოო. (თავისი ყაფლანი მართლაც ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შავები მხოლოდ ერთ წელიწადს ატარა და მას აქეთ მუდამ მოხდენილად, იშვიათი გემოვნებითა და სისადავით იცვამდა, და

საგვარეულო სამკაულსაც — დედის და-
ნატოვარ ბეჭდებსა და საყურეებსაც
ატარებდა). ნათიას ყოველ ნაბიჯს
იჟალს ადევნებდა და გოგონას ხშირი
უგულისყურობითა და ექსტრავეგან-
ტურ ქცევით აღშფოთებული პროფე-
სორ-მასწავლებლებიც ხშირად დაუშო-
შმინებია: „ნუ გვაეიწყებდა, ბატონებო,
რომ ჯამბაკურ ავალიშვილის ქალიშვი-
ლია და, მეორეც, ჩვენ, ხანდაზმულებს,
საკუთარი ცოდვების გადავიწყება
გვჩვევია ხოლმე. აბა, გავიხსენოთ, რამ-
დენი მაგაზე უფრო ექსტრავეგანტური
საქციელი ჩაგვიდენია! და განა იმიტომ
თქვენ ვინმეზე ნაკლები პროფესორი
ბრძანდებით?“

ბაბო ფავლენიშვილის მაგიდა დიდი,
ბევრფანჯრებიანი ოთახის სიღრმეში
იღვა. სანამ ნათია კანცელარიის სხვა
თანამშრომლებს ესალმებოდა და მაგი-
დებს შორის ვზას იკვლევდა, ბაბო მას
მოლიმარი სახით შეჰყურებდა. ქალიშ-
ვილი რომ მიეახლა, ბაბომ მხარზე ზე-
ლი დაადო, შუბლზე აკოცა და სკამზე
მიუთითა:

— რაჲ გვიკადრე და მოხვედი,
ეჩნება ჩამომჯდარიყავ კიდეცა?

ნათია დაჯდა, სული მოითქვა და ბა-
ბოს ხალისიანად გაუღიმა. ეს მალალი
და ლამაზი ქალი მას მართლა უყვარდა.

— ეგრე უნდა დაგვივიწყო, ადამი-
ანო? — ბაბომ სიგარეტს მოუყიდა,
სკამის ზურგს მიაწვა, გულზელი დაიკ-
რიფა — სიგარეტი ნატიფ თითებს შო-
რის უბოლავდა, — და ნათიას ყურად-
ღებით შეხედა თვალებში. — დავრე-
კავდი მაინცა!

ბაბოს საყვედურებს ნათია ხმაამოუ-
ღებელი ღიმილით პასუხობდა. იცოდა,
რომ საყვედურები მალე ჩათვდებოდა
და საქმიანი ლაპარაკი დაიწყებოდა.

— დედა როგორ არის?

— გმადლობთ, არა უშავს.

— სად მუშაობ ნათია?

— ჭერჭერობით არსად.

— მერე რას ფიქრობ?

ნათიამ მხრები აიჩეჩა და გაიღიმა.

ასეთი ბრწყინვალე მონაცემების

მქონე, უმალესი განათლებით და ასე-
თი უსაქმური? — ხომ არ ვინმე ვინა-
ლომ?

ნათიამ გულიანად გადაიკისკისა.

ბაბოს გაეღიმა. გადმოიხარა და ნა-
თიას ლოყაზე ხელი მოუთათუნა: —
ჩემო მშვენიერო, ჩემო ლამაზო გოგო.

— სხვა? მითხარი რამე. მე მოგე-
ნატრე, თუ საქმეზე მოხველ?

— ისიც და ისიც, დეიდა ბაბო.

გასაგებია, ყველაფერი გასაგებია!
დაბერდა თქვენი დეიდა ბაბო, აღარა-
ვის უნდა. ბაბო მალე წავა თავის ყაფ-
ლანთან.

— როგორ გეკადრებათ!..

— სიმართლეს ვამბობ. აბა, მითხა-
რი, რა საქმე გაქვს?

კანცელარიის სხვა თანამშრომლები
თან თავიანთ საქმეებს აკეთებდნენ და
თან ამათ საუბარს ღიმილით ისმენდ-
ნენ. მათ იცოდნენ ქალბატონი ბა-
ბოსა და ნათია ავალიშვილის მეკობ-
რობის ამბავი. ახლა ისინი არც კი მა-
ლაგდნენ ცნობისწადილს და ზოგიერ-
თმა საქმეც კი გადასდო, რათა ხანდაზ-
მული და ახალგაზრდა მზეთუნახავე-
ბის ელურტული მოესმინათ. იმიტომ
ნათია შეჩქვიფდა და სახეზე ოდნავ წა-
მოწითლდა მაშინ, როცა ბაბოს უთხრა,
ერთი ჩემი ამხანაგის მისამართის გა-
გება მინდაო.

— ამხანაგია?! — ბაბო ნათიას სიყ-
ვარულით მისჩერებოდა. — განა შენ
ამხანაგები გყავდა?! აკი ყველანი ამ-
ბობდნენ, საშინელი ამაცი და უკარე-
ბაო.

კანცელარიის თანამშრომლებმა მზი-
არულად გაიცინეს.

— მაინც მყავდა. — ნათიამ თვითო-
ნაც გულიანად გაიცინა.

— მართლა? აბა, მითხარი, ვინ იყო
შენი ამხანაგი-

— იყო ერთი... ძალიან კარგი ბიჭი.

— სახელი? გვარი?

— თეიმურაზ არჯევანიძე.

— ოჰო! განა ის შენი ამხანაგი იყო?

— მე ასე ვთვლიდი.

— საინტერესოა. — ბაბომ კანცე-

ლარის თანამშრომლებს მრავალმნიშვნელოვნად გაჰხედა. — თუ არ ვცდები, ჩვენ ყველანი სხვანიარადაც ვთვლიდით. არა, ხალხო?

მაგრამ კანცელარიის თანამშრომლებმა თავები მორჩილად დაჰხარეს. ბაბოს არავინ უპასუხა. ბოლოსდაბოლოს, თვითონ ნათია ამბობს, ის ბიჭი ჩემი ამხანაგი იყო და ვის რა უფლება აქვს, სხვა რამე ივარაუდოს? და აქ კანცელარიის თანამშრომლებმა ისეთი რამ ჩაიდინეს, რაც, შეიძლება დედამიწის ზურგზე არც ერთი სხვა კანცელარიის თანამშრომლებს ფიქრადაც კი არ მოსვლოდათ, — რაკი დაინახეს, ლაპარაკი, ცოტა არ იყოს საჩოთირო თემაზე გადავიდაო, სათითაოდ წამოდგნენ და ოთახიდან გავიდნენ. აი, ასე გაზარდა ისინი ბაბო ფაქლენიშვილმა. სულ მალე ოთახში ბაბოსა და ნათიას მეტი არავინ იყო.

— ყველა წავიდა...

ბაბომ იუყრა და ნათიას ალერსიანად ჩაჰხედა თვლებში.

— აკი ამბობენ ახლანდელი ახალგაზრდები უტაქტობები და ცუდი გავრდილები არიანო?

— დიახ!

— რაკი მისამართი დღემდე არ იცი, ჩანს, მართლა ამხანაგები ყოფილხართ. მე ჩემი ყაფლანისა პირველი დღიდანვე ყველაფერი ვიცოდი, მისამართი კი არა, მის პაპიდან რა ერქვა და როგორ იცვამდა. დიახ, ჩემო კარგო. — ბაბომ ფიქრიანად გაიღიმა და კოლოფიდან ახალი სიგარეტი ამოიღო. — ცუდად ნუ გამიგებ!

ორმოცი წელიწადია, ყაფლანზე ლაპარაკით ყველას თავი მოვაბეზრე. ვინ იცის, ფიქრობენ კიდევ, რა გაგეიჭირა საქმე ამ ყაფლანითაო. იცა ჩემო ნათია რას გეტყვი? სჯობია ერთხელ შეგიყვარდეს ვინმე და მთელი შენი სიცოცხლე ნამდვილა სიყვარულით გიყვარდეს.

— შენ რას ფიქრობ? ჯერ არავინ შეგყვარებია?

— მგონი, არა.

— შენ მე მგავხარ. შენ ჩემგან იცოდე და თუ ვინმე შეგიყვარდა, მალევე მალთან შეგიყვარდება. ქვლ. უამისობა არ შეუძლია, — სამუდამოდ შეიყვარებ. აი, დაიმახსოვრე. იმ ბიჭის მისამართს კი, რა თქმა უნდა, მოგცემ, რა ვინდა?

— დედამისს ვნახავ და ახლანდელ მისამართს გამოვართმევ.

— ჰო, ის რაიონში წავიდა. — კარგია, რომ არ იფიქვებ.

— რაიონში: ძნელია მაინც... ჩემგან მოკითხვა შეუთვალე და ერთი ამბავიც მისწერე. პროფესორი მიქაბერიძე ხომ გახსოვს? ამას იმიტომ გეკითხები, რომ რაც ინსტიტუტი დაამთავრე, აქეთ ერთხელაც აღარ გამოგიხედა. იქნებ, ყველანი დაგავიწყდით კიდევცა.

— როგორ არ მახსოვს!...

— ჰოდა, ამასწინათ ზუსტად 3 დღის წინ, კათედრის სხდომაზე შალვა კონსტანტინოვიჩმა დიდი სინანული გამოთქვა, ინსტიტუტი ეგეთ ყმაწვილებს არ უნდა ჰქარგავდესო. როგორც კი ეგეთი ყმაწვილი გამოჩნდება, ასპირანტის ადგილს მაშინვე უნდა ვმოულობდეთო... თორემ ხომ იცი, ჩვენთან როგორც არის? სხედან სადღაც ზევით სოლომონ ბრძენები, და ერთეულებს თვითონ ანაწილებენ. ბატონი შალვა მართალია, ინსტიტუტის მოთხოვნას არასოდეს არ უწევენ ანგარიშს.

ეს ყველაფერი თეიმურაზს უთუოდ მისწერე.

თეიმურაზის მისამართი ნათიას თვითონ ბაბომ მოუწახა და გამომშვიდობებისას ისევ შუბლზე აკოცა.

«გამარჯობა თეიმურაზ!»

მე არც ისეთი ცუდი ამხანაგი ვარ, როგორც, ალბათ, შენა გგონია. ან აქამდე გგონია. თითო სისუსტე ყველა ადამიანს სჭირს და ჩემი სისუსტეც ის არის, რომ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა (ან იქნებ, სრულიად უმიზეზოდაც, ეს მე თვითონაც არ ვიცი) არ მიყვარს, ან არ შეხერხება ადამიანებისადმი ყურადღების გამოჩენა. მგონი,

ეს შენ უნდა იცოდე. შენ ადამიანებს, ჩემი ფიქრით, კარგად იცნობ. მე უფრო კეთილმოსურნე და ყურადღებიანი ვარ ადამიანებისადმი, ვიდრე ბევრს ჰგონია. და შენ ამას იმიტომ გეუბნები, რომ იმედი მაქვს, დამიჯერებ, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით ყურადღებიანი, მგონი, არც შენს მიმართ ვყოფილვარ.

როგორ ცხოვრობ? როგორ მოეწყვე? ჩემს ცხოვრებაში ახალი არაფერია. ვზივარ და ვუცდი, მამობილი სამსახურს როდის მიშვინის. თუ ვერაფერი მომიხერხა, მგონი, ავღვები და კონსერვატორიაში შევალ. ერთი ჩვენი ახლობელი ქალი მარწმუნებს, შენისთანა ხმა იშვიათად მომისმენიაო. არ ვიცი, მართლა ასეა, თუ არა. ყოველ შემთხვევაში, შენოდენა ვაეკაცობა მე არ გამაჩნია, რომ ყველაფერს ხაზი გადაეუსვა და რაიონში წავიდე. და თუ სამსახური მალე ვერ მიშვინეს, მგონი, მართლა იმ ჩვენი მახლობელი ქალის ნაჩვენებ ვზას დავადგე რას იტყვი, ოცი თუ ოცდაათი წლის შემდეგ რომ შეგვხვდეთ, როცა შენ უკვე სამთო გენერალი, ან მინისტრი იქნები, მე კი ოპერის გუნდის ხელმძღვანელი, რომლის ვგარი აფიშაზე არც კი იწერება? მე ეს დიდად არ გამიკვირდება. მგონი, მაინცდამაინც იღბლიანი ადამიანი არ უნდა ვიყო.

დეიდა ბაბო (დავლენიშვილი, ხომ გახსოვს?) დიდ მოკითხვას გითვლის და გატყობინებს, პროფესორი შალვა მიჭაბერიძე ახლაც ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ კათედრაზე არ დარჩი და სამუშაოდ რაიონში წახვედიო. დანაშაულიაო, ბატონ შალვას უბრძანებია, რომ ასეთ ახალგაზრდებს ასპირანტურაში ვერ ვტოვებთო.

მეტე რა მოგწერო? მოსაწერი და სათქმელი შენ, ალბათ, ვაცილებით უფრო მეტი გაქვს. ჩემი მისამართი შენ იცი.

ნათია ავალიშვილი“

ეს წერილი თეიმურაზმა მესამე

დღეს მიიღო. პირველმა ვლტაყებამ რომ ვაუარა და წერილი მეუფეთქე თუ მეათედ გადაიკითხა, შეამჩნია, რომ ნათია ხან მისთვის ჩვეული, მაგრამ მუდამ მაინც მოულოდნელი მეგობრული და გულახდილი კილოთი ესაუბრებოდა („მაინცდამაინც იღბლიანი ადამიანი არ უნდა ვიყოო“ და სხვა ამგვარები) ხან კი, მისთვის ასევე ჩვეულ და მუდამ მაინც ასევე მოულოდნელ გულგრილ, ოფიციალურ პოზას იღებდა და მარტო ხელისმოწერა რა ღირდა! როგორ არ შეეძლო, ხელს გართმევო, ეს მაინც მოეწერა. მაგრამ ნათიას ამ ერთ თვეში რა გამოცვლიდა? მუდამ ასეთი არ იყო? თეიმურაზს ბევრი აღარ უფიქრია, ისევ საკუთარი თავი დაადანაშაულა, წერილი პირველად მე უნდა მიმეწერა და მაშინ უფრო გულთბილ პასუხს მივიღებდიო. მერე მაგიდას მიუჯდა, ქალაღის დასტა ამოიღო, კალამი მოიმარჯვა და შუალამემდე თავი არ აუღია.

„გამარჯობა, ნათია!

დამნაშავე ვარ შენს წინაშე. შენ მწერ, სხვაზე უკეთ მიცნობ და ჩემი საქციელი არ უნდა გაგიკვირდესო. მეც ასე მგონია, რომ სხვაზე უკეთ გიცნობ და ის, რასაც ზოგჯერ სხვები შენზე ფიქრობენ (თუ შენ განგებ აფიქრებინებ ხოლმე?), მე აზრადაც არასოდეს მომივა, მაგრამ ხშირად გამხედაობა მაინც არ მყოფნის იმისათვის, რომ შენი ხასიათი, — არა, ხასიათი კი არა, შენი უცნაური საქციელი გადავივიწყო და ჩვეულებრივად მოგექცე ისე, როგორც სხვებს მოგვექცოდო, ეს რატომ შემართება, ვერაფრით ვერ ამიხსნია.

ალბათ შენ თვითონაც არ დამიჯერებ, ახლა რომ მოგწერო, ჩემი წამოსვლის დღეს შენი სადგურზე მოუსვლელია არაფრად ჩამიგდია-მეთქი. ძალიან გულნაკლული დავრჩი და მარტო ჩემს მაგივრად კი არა, დედაჩემის მაგივრადაც. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ ვატყობდი, გულნატკენი და, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილიც იყო, რომ ამხანაგთაგანი არავენ მაცილებდა.

იმან არ იცოდა, რომ სხვა ამხანაგებმა იმ საღამოს ადგილი ნათია ავალი-შვილს დაუთმეს — ის უთუოდ ვააცი-ლებს და ჩვენ, ალბათ, ზედმეტნი ვიქ-ნებითო. ჰოდა, არც ისინი მოვიდნენ, არც ნათია ავალიშვილი მობრძანდა და ჩემი საწყალი დედა გულჩამკვდარი დაეტოვე თბილისის სადგურზე. ნუთუ ჩემმა ვაჟიშვილმა ინსტიტუტში სწავ-ლის ხუთი წლის მანძილზე ერთი ამხა-ნაგეც კი ვერ გაიჩინა, რომელსაც მას-თან განშორება გაუძნელდებოდა და შეეცდებოდა, ერთად ყოფნის წუთე-ბი გაეხანგრძლივებინაო. მე კი გიცნობ შენ, ნათია, მაგრამ დედაჩემი რომ არ გიცნობს? ეს კია, გუშინწინ რომ მის-გან წერილი მივიღე, იმაში მწერს, ის-ეთმა სანდომიანმა და მოხდენილმა გო-გონამ გიკითხა, რომ ნეტავი იმის მშო-ბლებსო. ასე რომ, შენი დანაშაული შენდა უნებურად შენვე გამოგისყიდია და ბარემ ამასაც გეტყვი: ეს პირველი ასეთი შემთხვევა არ არის: მართლაც ასეთი მოხდენილი ხარ, რომ ბევრ შენს დანაშაულს შენვე უნებურად გამოის-ყიდი ზოლმე.

ძალიან ზომ არ გაგითამამდი?

რაც მე შენ უკანასკნელად ვნახე, მას აქეთ თვეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ყოველდღე ვფიქრობ-დი, რაც არ უნდა მოხდეს, ნათია მაინც ჩემი მეგობარი და კეთილისმსურვე-ლია-მეთქი. ვიცი, რომ ეს მართლაც ასეა. მუდამაც ვიცოდი, მაგრამ წერი-ლის მოწერა მაინც... არ ვიცი, რა სიტ-ყვა ვიხმარო. ვერ გავებდე! არა, ეს არაზუსტია. რაღაც სხვა იყო. მაგრამ, რა? აი, ეს კი ველარ მომიფიქრებია მოდი, ასე გეტყვი: წერილი ვერ მოგ-წერე ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზე-ბის გამო. ზომ კარგია? სინამდვილეში საქმე როგორც იყო, ეს შენც იცი და მეც.

ნათია! თუ ჩემი წერილი ძალიან გრძელი გეჩვენოს, ბოლომდე ნუ ჩაი-კითხავ. მე კი იმდენი სათქმელი დამიგ-როცდა, რომ პირდაპირ შიგ ვიძიებდი.

ვის-ლა ვუთხრა, თუ არა შენ? დედაჩე-მი ბევრ რამეს ვერ გამოიგებს და ჩვენც შეშინდეს კიდევ. აქ კი ჭერჭერობით მაინც მარტო ვარ, მოუხედავად იმისა, რომ ვარშემომყოფთა უმრავლესობა ძალიან კარგად და გულისხმიერად მექცევა.

უპირველეს ყოვლისა, ბატონ შალვა მიქაბერიძისაგან რაღა თქმა უნდა, ალ-იან გამიხარდა, რომ ვახსოვარ და ჩე-მთვის გული შეტკიცა, მაგრამ ახლა გი-ამბობ, ამ ერთი თვის განმავლობაში აქ რაც გადახდა და შენ დარწმუნდე-ბი, რომ ინსტიტუტის ასპირანტურაში საჩემო ადგილი დღესვე რომ გამოჩნ-დეს და თბილისიდან ბრძანება მომივი-დეს, ჩამოდიო, ახლა ჩემი აქედან წა-მოსვლა ნამდვილად გაქცევა იქნებო-და, და მე ამას ვერავეითარი ძალა ვერ ჩამადენინებს. ეს რომ მექნა, საკუთა-რი თავის პატივისცემას სამუდამოდ დავკარგავდი. თუ შემთხვევა მოგვეცეს დიდი მოკითხვა მოახსენე ბატონ შალ-ვას, ქალბატონ ბაბოს და სხვებსაც, ვისაც კი ვახსოვარ. ამის მეტი ჭერჭე-რობით მათთან შემოსათვლელი არა-ფერი მაქვს, გარდა ისევ მადლობისა და საუკეთესო სურვილებისა.

ახლა — საქმეზე. ოღონდ ისევე გი-მეორებ, თუ წერილი გრძელი და მო-საწყენი გეჩვენოს, ბოლომდე ნუ ჩაი-კითხავ, მაგრამ ნურც გადაადგებ: ვინ იცის, იქნებ, როდესმე მოგვხასიათოს და ბოლომდე ჩაიკითხო.

ერთი შეხედვით, ჩემს თავგადასა-ვალში განსაკუთრებული არაფერია. ჩამოვედი, მოწიწებით მიმიღეს და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ვეებე-რთელა საქსპლოატაციო უბნის უფ-როსად დამნიშნეს. ყოყმანითაც მხო-ლოდ ტრესტის ხელმძღვანელი ყოყმა-ნობდა, და რამდენადაც ვიცი, სრულია-დაც არ აპირებდა ჩემთვის ამოდენა ნდობის ასე დაუყოვნებლივ გამოცხა-დებას. ამ თანამდებობაზე შახტის უფ-როსმა დამნიშნა და აი, ეს კი, მეონი, ერთი წამითაც არ შეყოყმანებულა. პი-

როქით. როგორც მე მომიჩვენა, ბატონმა სარდიონ რაპველიშვილმა ეს ჩაიღინა ერთი ხელის მოსმით, სრულიად უყოყმანოდ, ვილაცის გამოჯაგრებით და... ამავე დროს სრულიად დარწმუნებულმა, რომ ეს თანამდებობა ჩემთვის ჯერჯერობით აშკარად ნაადრევია, გზადაგზა ნამდვილად ბევრ სისულელეებს ჩავიდენ (ხოლო რაკი ინსტიტუტი წარჩინებით მაქვს დამთავრებული, მუდამ მეგონება, რომ პირდაპირ ბრძნულად ვიქცევი), და ჯერჯერობით უბნის მართვის მთელი სიმძიმე ისევ მის ხანდაზმულ, მაგრამ ჯერ კიდევ ძალოვან ბექებს დააწვება: ეს „ჯერჯერობით“ კი ახლა არავინ იცის, სანამდე გაგრძელდება და მათ შორის არც თვითონ ბატონმა სარდიონმა. ეს ყველაფერი მე ბატონი სარდიონის სახეზე სრულიად თავისუფლად ამოვიკითხე.

მანც, რა რთულია ეს ცხოვრება, ნათი! მაგრამ ამაზე შემდეგ.

რაკი ბატონი სარდიონი გიხსენე, ბარემ სხვა დანარჩენსაც გეტყვი, რაც კი ამ ადამიანზე ვიცი, და რასაც მასზე ვფიქრობ. სამოცს, ალბათ, უკვე გადაცილებულია. მთელი სიცოცხლე შახტებისათვის შეუწირავს. შენ იქნებ, ახლა ჩემი ნათქვამი ნაადრევად გეჩვენოს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ადამიანი, ვინც ამ კაცს იცნობდეს და უღრმეს პატივს არ სცემდეს. სხვებისათვის არაფერი შურს, თავისთვის კი არაფერს მოითხოვს. საბჭოში, როგორც მითხრეს, ხეირიანი სკამებიც კი არა აქვს, თუმცა ამ ხელფასის პატრონს, ალბათ, თვითმფრინავის ყიდვაც კი არ გაუჭირდებოდა. მაგრამ, ჯერ ერთი, შვილს ეხმარება (ის ფილოლოგია, თბილისში, ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობს, უკვე დაცოლშვილებულია, დისერტაცია კი ჯერ არ დაუცავს) და, მეორეც, ფულს ან გაჭირვებაში ჩაეარდნილებს ურიგებს (და არასოდეს არ ახსოვს, ვის რამდენი მისცა), ან ზოგჯერ რესტორნებში ხარჯავს (ლენინსაც კარგად

სევამს და, გარდა ამისა, თავის ტყუილ ხალხში ჩაჯდომა და მარტოხანა ურჩევნია, თან ამ დროს მისი მზარეობს, აქა და აქ ვარ და თუ დაგვირდეთ, დამირეკეთ).

ამასწინათ შვიდასი მანეთი დაუცარგავს დერეფანში, ფანჯრის რაფაზე დაუგდია და სანამ თვითონ იქვე, რალაც ქალაღებზე ხელს აწერდა, ის ფული ვილაცას გაუქრია. ჯერ, თურმე, ეგონათ, ვილაცამ იხუმრაო, მაგრამ დამადა, მეორე დღია გათენდა, ისევ დაღამდა და „ხუმრობა“ არ გამოჩნდამეშახტეები გაცოფებულან და, ჭურღი რომ ეპონათ, უთუოდ ადგილზევე სულს ამოართმევდნენ. მერე თურმე იმასაც ფიქრობდნენ, ამის გამკეთებელი შახტზე მაინც ვეღარ გაჩერდება და განთავისუფლების განცხადებას შეიტანსო. კადრების განყოფილება გაუფრთხილებიათ, თუ ვინმე განთავისუფლების განცხადებას შემოიტანსო, მაშინვე შეგვატყობინეთო. მაგრამ განცხადება ჯერაც არავის შეუტანია და, როგორცა ჩანს, სარდიონ რაპველიშვილის გამქურდავი ახლაც მეშახტეებში ურევია. აი, სწორედ ამაზეა ნათქვამი, ოჯახს თითო მახინჯი არ დაეღვეო.

მე ბატონი სარდიონი მეტად გულისხმიერად, პირდაპირ მამაშვილურად მეპყრობა. ეს მისგან არცაა გასაკვირი. ვინ იცის, რამდენ ჩემისთანას, რამდენ ჩემზე უარესსაც და უკეთესსაც გაუვლია მის გულში! მე მას რითი გავაკვირებ? ოღონდ აშკარად ვგრძნობ, რომ ჯერჯერობით ვერ მენდობა, და ყოველ ჩემს ნაბიჯს გულდასმით ამოწმებს, ოღონდ ისე კი, რომ მე ვერაფერი შევამჩნიო. მეც თავი ისე მიპირავს თითქოს ვერაფერს ვამჩნევდე. ვმუშაობ, შახტში დღეში (დღეღამეში) სამ-ჯერ მაინც ჩავდივარ, სანგრებში დაელოღიალობ, განკარგულებებს ვიძლევი, რალაცებს „ვაზუსტებ“. რალაცებს „ვეცილი“ და... ველოდები, „ხვალ როგორი დღია გამითენდება“. ეს კია,

რომ მაგ მუხთალ მიწისქვეშეთს ჯერ არ დაუღალატებია.

ახლა — შახტის მთავარ ინჟინრის შესახებ. (ხომ ჰხედავ, თანამდებობებით მივყვები, ალბათ, სამსახურებრივი სუბორდინაცია უკვე სისხლში გამიჭრა. გარწმუნებ, ეს საჭიროა. საერთოდ, ბერი რამე, რაც ჩვენ სტუდენტობაში ზედმეტად და სასაცილოდაც კი გვეჩვენებოდა, თურმე საჭიროც ყოფილა და აუცილებელიც მაგრამ ამაზე შეწყვეტ).

ბატონი კახაბერ გურასაშვილი თბილისელი კაცია, ან სახელად თბილისელი, — ეს როგორც შენ გაგეხარდება; კახეთიდან თბილისში ჯერ კიდევ პაპაშის გადმოსახლებულა. შეხედულუბათ, იერიოთ, ჩაცმულობით, ქცევითა და სითამამით — ნაღდი თბილისელია. მაგრამ, ეტყობა, თავიდანვე მაგარი ოჯახი ჰქონიათ და დანარჩენ თბილისელებს „იგერეგათ“ თავს არ უყარებდნენ. თბილისელი ბატონი კახაბერი ალაპარაკდება თუ არა, მაშინვე: „რაჰქვიანა“, ჩასულიყათ, თქვე კაი ხალხო, დაგვიმასქნებიათ“, ბიჭო და — თითქოს არა ესვამო?“, და სხვა ამგვარები. ასეთი ალაპარაკი ძალიანაც უხდება და თბილისელის იერს სულაც არ უყარავს. ასე განსაჯე, არც ინჟინრისა და ინტილიგენტის იერსაც. ძალიან მეტყველი და ფიქრიანი სახე აქვს.

ბატონ კახაბერს ძალიან უნდა ვეცოდებოდე. ალბათ, ისიც დარწმუნებულია, რომ ფეხი ბევრჯერ წამიცდება, მაგრამ სიმართლე გითხრა, არც ჩემი დახმარებისთვის იკლავს მაინცადამაინც თავს. მოდი და ამისთანას რამე გაუუგე! ალბათ, იმას თუ ფიქრობს, ისა სჯობია, რასაც შენივე ქუთით ჩაწვდებო. თუ მაინცადამაინც საკუთარ თავსაც ვერ ენდობა? ალაჰმა იცის! ეს კია, როგორც კი რამე საყოყმანო გაგიჩნდება, მაშინვე სარდიონს ურეკავს და შერე დოკუმენტებზე ხელს უთუოდ მე მაწერინებს. — „აბა, ჩემო ძმაო, რაჰქვიანა, ჩემო თეიმურაზ, მე ახლა კანონს ხომ

ვერ დავარდევ, მე რა უფლება მაქვს, ქალაღს ხელი მოვაწერო. სუბნის უფროსი შენა ხარ და ხელიც, რაჰქვიანა, შენვე მოაწერე. მე ჩემი საქმეები მამარია“. კაცმა რომ თქვას, მართალიცაა. ისე კი, არა მგონია, გაქირების დროს დაგაღალატოს. არა, არავაზით არ იყადრებს. გარდა ყველაფერი ამისა, „რესტორანში პურისქამა ძალიან გულით ეჯავრება“. გულკეთილი და პურმარილიანი ცოლი ჰყავს, სამჯერ თუ ოთხჯერ ისე გამომათერეს, რომ სახლს ძლივს-ღა მოვაგენი.

აქ არის ერთი კაცი, უფრო სწორად, არის ერთი ცოლ-ქმარი, რომლებიც ყოველ ჩემს სიტყვასა და ყოველ ჩემს ნაბიჯს პირდაპირ ენით აუწერელი ალტაცებით ხედეზიან. კაცი ჩემი მოადგილე — ანთიმოზ ჩახუნაშვილია და ქალი — მისი მეუღლე, ჩვენი საერთო საცხოვრებლის კომენდანტი მარიაშია. როცა ჩემი სიტყვებითა და საქციელით ალტაცებაში ქალბატონი მარიაში მოდის, ეს კიდევ არაფერი. ამის მოთმენა კიდევ შეიძლება. საერთო საცხოვრებელს ბევრი რამ აკლია და თუ ჩემს ოთახში, მაგალითად, ჭუჭყისაგან ჩამავეებულ ფარდებს გარეცხავენ თუ გამოცვლიან, ამით არაფერი დაშავდება. ოღონდ, იქნებ, აუცილებელი არ იყოს ამის გამო დაახლოებით ასეთი ტირადის წარმოთქმა: „იბე, ბატონო თეიმურაზ, ჩემი სიკვდილი! არა თუ?! გული ნამდვილად მიგრძნობდა, აქანა ყოლისფერი სრულ წესრიგში არ უნდა იყოს-თქვა. მაგრამ ყველაფერს ველარ გავწვდი. დედა, ღმერთო მომკალი! ნამდვილად, ბატონო თეიმურაზ, უღარესად მადლობელი ვარ თქვენი, რომ ამაზე ასე პირდაპირ მიმიითოთეთ და, რაღა თქმა უნდა, დღესვე ყოლისფერი გამოსტორებელი იქნება. საბჭოთა მშრომელი ადამიანის პატიოსან სიტყვას გაძლევთ!...“ მე ისიც კი ვიფიქრე. ამსიგრძე ტირადის წარმოთქმამ ქალბატონი მარიაში, ალბათ, ისე დღალა, რომ ფარდების ჩამოსახსნელად ძალ-ღონე აღარ ეყოფა და ისევე მე

უნდა მივეშველო-მეთქი. მაგრამ მოც-
ტყუდღი. გული მართლა ამოუვარდა
და ძლივს-ღა სუნთქავდა, მაგრამ ფა-
რდები თითონვე დაუყოვნებლივ ჩამო-
ხსნა. წაიღო, გაარეცხინა და ახლა ჩემს
ოთახსა და მის მორთულობას წუნი
ნამდვილად არაფერში დაედება. ეს
ქალბატონი მარიამის დამსახურებაა.
რაც შეხება მის ქმარს... არ ვიცი. ეს
ერთადერთი კაცია, რომელიც მეზახ-
ტეებს არ უყვართ, არაფრად აგდებენ...
მე უკვე ვხვდები, რატომაც — ცბიერი.
ეშმაკი და მეთავისეა. ყველაფერს პირა-
დი სარგებლიანობის თვალსაზრისით
ზომავს. პირდაპირ იშვიათი ეგზემპლია-
რია. ამასთან, როგორც ვითხარი, ჩემი
ყველაფერი მოსწონს და შემთხვევას არ
გაუშვებს, რომ თავისი აღტაცება სა-
ჯაროდ არ გამოაცხადოს. მაგრამ ძალი-
ან ცდება, თუ ჰგონია, რომ... ერთი
სიტყვით, ვნახოთ. მაგისი მანქანა-ვრე-
ხით ჯერჯერობით დიდი არაფერი დაშ-
ავებულა და თუ დამავდება, ვნახოთ.

მტერი, ნამდვილი და ჩასაფრებული
მტერი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი
მყავს — ჩემი ოთახის მოზიარე, ვინმე
გერონტი ჩაფიჩაძე, ვენტილაციის უბ-
ნის ცვლის უფროსი, ადამიანი — აბ-
სოლუტურად უვიცი, უკულტურო და,
როგორცა ვფიქრობ, დაუნდობელიც.
სასჯელის რომ არ ეშინოდეს, მძინარ-
ეს შუბლში ლოდს ან რკინის კეტს ჩამ-
თხლიშავდა და იქვე გამათავებდა, მა-
გრამ პირში სულ „კი, ჩემო ბატო-
ნო...“ — ასე მელაპარაკება და იმის
საშუალებასაც კი არ მძლევს, რომ
ვუთხრა და დაეჯერო, შენთან გასაყო-
ფი ნამდვილად არაფერი მაქვს და ბო-
ლმით გულს ტყუილად ნუ ისივებ „ჩა-
მომხსენი-მეთქი. თუმცა, ეს „ჩა-
მომხსენი“ როგორ-ღა ვუთხრა, როცა
ჯერჯერობით არაფერი დაუშავებია.

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, ოთა-
ხში ორჯერ შემოვიდა. პირველად მო-
მესალმა და ოთახში ფეხაკრებით გა-
იარა. როდის გავიდა. არც კი ვაჩივია.
მეორეჯერ კი შემოვიდა და ოთახი ისე-

თი დაურიდებელი ზრახაბრტხით გადა-
იარა და მერე თავისი რჩენი მტკიცედანს
ისე გაუთავებლად ახსრტუნებდა, რომ
ნერვები დამაწყდა. მაგრამ რა უნდა
მეკენა?

როცა ამ ოთახში პირველად მომიყ-
ვანეს, სრულიად მოულოდნელად გა-
მოიჩქა, რომ ამხანაგ გერონტი ჩაფი-
ჩაძეს სატრფო ჰყოლია, ვინმე გოგოლა
ხომასტრიძე, ძალიან ლამაზი და თან-
აც, როგორც შემდეგ გავიგე — ძალიან
კალთაუხვი ქალი. შახტში მიწისქვეშა
ტრანსპორტზე მუშაობს და, როგორც
მითხრეს, ერთ დროს ამასთან სხვა საქ-
მიანობასაც შეტად ენერგიულად ათავ-
სებდა და კაცმა არ იცოდა, რომელი
ამ საქმიანობათაგანი იყო მისთვის ძი-
რითადი. ქალბატონ გოგოლას სასახე-
ლოდ მხოლოდ ის თუ შეიძლება ითქვას,
რომ ვასამრჯელოს მხოლოდ ტრანსპორ-
ტზე მუშაობისათვის იღებდა, ხოლო
მეორე საქმეს სრულიად უანგაროდ
აყეთებდა, არ ვიცი, ტემპერამენტისა
თუ სპორტული ინტერესის კარნახით
და არ ვიცი, უბრალოდ კაცთმოყვარე-
ობის გამო.

ერთ დღეს ქალბატონი გოგოლა ბა-
ტონმა სარდიონმა გამოიძახა და შავი
დღე აყარა. ამის შემდეგ ქალი მკვეთ-
რად შეიცვალა. ახლოს აღარაგის იყარ-
ებდა, რამდენადაც ვიცი, გერონტი ჩა-
ფიჩაძეს, მის ახლანდელ და ერთადერთ
მეგობარს ბევრი ჯაფა და ოფლისღერ-
დასმპირდა, სანამ საწადელს მიაღწევდა.
და ეს გამარჯვება, როგორც მითხრეს,
საქმიანოდ ძვირიც დაჯდომია: პურის ქა-
რხანაშიც მას საცოლე ჰყოლია, ვიღაც
ლაბორანტი გოგონა. ეს ამბავი რომ
გაუგია, საცოლეს ჩაფიჩაძისათვის სა-
ხეში შეუფურთხებია, რაც მისგან სა-
ჩუქრები ჰქონდა მიღებული, უკანვე
მიუყრია და არამც თუ ცოლად გამო-
ყოლაზე, არამედ უბრალო ნაცნობობ-
აზეც ცივი უარი უტყვიცია. თუმცა, ზო-
გი იმასაც ამბობს, თუ ქალი სილამაზით
ფასდება, ის ლაბორანტი გოგოლა ხო-
მასტრიძის ფრჩხილადაც კი არა ღირს
და რაც ამას დაუახლოვდა, ჩაფიჩაძეს



თავისი საცოლუ კვირაში ერთხელ ბლიეს-ლა აგონდებოდაო.

ჩემს ჩამოსვლამდე ჩაფიჩაძე ამ ოთახში მარტო ცხოვრობდა (ქალბატონმა მარიამმა, თურმე ზოგჯერ იცის ადამიანის პატივისცემა) და თავის სატრფოსთან ერთად სულმოუთქმელად ეწაფებოდა ნეტარების მდინარეს. ამ ოთახში პირველად რომ შემოვედი, ჩაფიჩაძის საწოლზე უმანკო ძილით მძინარე წაბლისფერკულულებიანი მზეთუნახავი დავინახე. ჩემმა თანმხლებმა პირებმა, რომელნიც იმ წუთში მხოლოდ შახტის აღმინისტრაციის სახელით კი არ იყვნენ, არამედ სტუმართმოყვარე მასპინძლობასაც მიწევდნენ (ერთი მათგანი სწორედ ის ქალბატონი მარიამი იყო), მონახევრე მზეთუნახავი დაუყოვნებლივ, ფრიად დაუთრიდებლად გააღვიძეს და დერეფანში თითქმის ჩაუცმელი გააგდეს. საწყალს ცალი ფეხსაცმელი, მგონი, ხელით მიჰქონდა. ანე რომ, ჩემი ჩამოსვლის დღიდანვე შეწყდა ის ნეტარებით აღსავსე ცხოვრება, რომელსაც გერონტი ჩაფიჩაძე ეწეოდა. ახლა, როგორც ვადმომცეს, ეს წყვილი

ერთმანეთს მხოლოდ ღია ცისქვეშ თუ ხედება.

როგორც ვფიქრობ, აი, ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ბატონ გერონტი ჩაფიჩაძეს დასახრობადაც არ ევენებოდა. ექვიანობით კი, მგონი, არ უნდა ექვიანობდეს: ჯერ ერთი, ქალბატონ გოგოლას ძალიან იშვიათად ვხვდები, მიწისქვეშა ტრანსპორტის ხალხთან მე არაფერი მესაქმება, და მეორეც, როცა შევხვდები ხოლმე, ისე მტრულად, ისეთი ღრმა სიძულვილით მომჩერებია, რომ არ ვიცი, სად დავიმალო. ისე კი უნდა ვითხრა, ნამდვილად ლამაზი ქალია: წაბლისფერი, ოდნავ მოწითალო თმები, გაშლილი შუბლი, თეთრი, უნახესი, სულ მოვარდისფრო პირისკანი, ლურჯი, ძალიან ღრმა და ოდნავ სევდიანი თვალები, საშუალოზე ოდნავ მაღალი, ცოტა არ იყოს, სავსე, მაგრამ მაინც ძალიან მოხდენილი ტანი. სულაც არ მიკვირს, რომ ერთ დროს მაგისი გულისთვის ერთმანეთს არა ერთი და ორი ქაბუცი დაძგერებია. მაგრამ გვესმის კი ჩვენ, მეშახტეებს რაიმე ქალის სილამაზისა და მომზიბლობისა?

□ გაგრძელება იქნება □

ბონდო კაუილაკა

ისევ იქ. სადაც რასკულა ყჩობა

დავეხეტები ქუთაისის ქუჩებში მარტო,
ვეძებ ნაცნობებს... ჩემს მგებობებს ველარ ვნახულობ...
ო, როგორ მინდა ძველებურად გავინაჯარდო,
მიმაქროლებდეს სურვილები საგაზაფხულო...

...თეატრის აბლოს... მის კედლებთან, მზის გულზე ხშირად,
გვიყვარდა დგომა... საუბარი... ძმური ხუმრობა...
ურთიერთობა ერთმანეთთან კუპრით... ნახშირით,
არა, არ მახსოვს, არ სუნთქავდა ჩვენს შორის მტრობა...

ღია, დომენტი, ვანიონი, ვიქტორი და მე...
ვარლამ ჩხიკვაძე, კაპია და კიდევ რომელი...¹
თუ თავშესაქცევს, გახართობად ვიტყოდით რამეს,
იწვებდნენ ხითხითს შაპხრუხი და შალვა ზონელი...

მაღალი კაცი² ჩაგივლიდა აჩქარებული...
ჩვენს შორის იგი, იქვე მდგომი არ მაგონდება.
ჩვენ სხვა ვიყავით, სულ სხვა იყო ჩვენი კრებული,
ის სახელები აწივ ერთურთს არ დაშორდება.

ეხლა კი, ეხლა ამ თეატრის წინ რომ გაგივლი,
გული თუ მწყდება, აქ რა არის გასაკვირველი.
ის წლები ირგვლივ ნათელს აფრქვევს, როგორც ყვავილი.
უმანგის ცეცხლით გატაცება იყო პირველი...

არ ვყვები ამბებს ნაირ-ნაირს და ფერად-ფერადს,
ვბუტბუტებ ჩემთვის დანანებით: ახ, დრონი-დრონი...
...ერთხელ გულმოკლულს შემეფეთა და მომეფერა
ვით ძმას პატარას, აქ ხანთაძე იროდიონი...

¹ ღია ჩიანელი, დომენტი თომაშვილი, ვანიონ დარასელი, ვიქტორ გა-
ბესკირია, კაპია აბესაძე.

² დოდო ანთაძე.

...მკლავში ჩამავლო მტკიცედ ხელი და შემაჩერა:
 — დაცხარი... დაწყნარდი... ნუ ფეთქდები... მოთმენა გმართებს,
 გწამდეს იმარჯვებს არა ის ვინც დაეძებს ჩეროს,
 ის ვინც ფიქრებთან ჭიდილის ჭამს ღამეებს ათევს...

იმ დღის სინათლე... იმ დღის სითბო... ის წმინდა სული...
 ის წრფელი რჩევა, არის მარად დაუვიწყარი...
 ამ სტრიქონებში ვერ ეტყვა ჩემი წარსული,
 აქა-იქ უღაღს დღენი წყნარი და უწყინარი...

ამ არე-მარეს ვერ ვშორდები, მინდა აქ ვინმეს
 შევხვედე როგორმე... ნაცნობთაგანს შევაგლო თვალი.
 ვიცდი და უცებ ერთი მწარედ ამოვიგმინე,
 თამბაქოს ბოლმა გამაბრუა, მომწყურდა წყალი.

ჩემი გიორგი სამხარაძე კარგად რომ იყოს,
 ის აქ უთუოდ ჩაივლიდა გულგასახარად...
 მადლი იქნება ეს წუთები ვინმემ წაიღოს
 და მე დამტოვოს განტვირთული აქ ჰაი-პარად...

არვინ არ მოდის... წინ ნაბიჯი აჯობებს მგონი,
 კმარა ლოდინი... ვცადო, იქნებ გული განახლდეს.
 სიყვარულე თუ ჩქარა არ დაგვაბნე გონით,
 საცაა მძღვეს და გამწარებულს სულს ამომახდენს...

ირგვლივ ბრძოლაა ხელჩართული, ბრძოლა იმგვარი,
 ვატყობ ცოტაა მკითხველს მისცე მხოლოდ ჩვენება...
 ოდით ნანატრი ხმით გუგუნებს ისევ გრიგალი
 და დროა გავედეთ მოყვრის ქებას... სხვის შეჩვენებას...



3030 ქველახი

ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის...

ყური დაუგდეთ
 (ამას ვერ შეძლებს ყველა!...)
 არა სიტყვათ აზრს,
 არამედ სიტყვათ ელერას, —
 ტალღად ტალღაზე
 სიმი იღვრება ბგერის:
 — ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

სული ეღერს, —
 (ოღონდ —
 სულიც არი და სულიც!)
 ზღვის,
 ოკეანის,
 მდინარის ხმად და...
 ღელის!..
 ყური დაუგდეთ,
 კარგად დაუგდეთ ყური:
 — ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

ადი —
 ჩამოდის,
 ადი —
 ჩამოდის ბგერა —
 ქვევიდან ზევით,
 ზევიდან
 ისევ
 ქვევით...

გჯერა?
 მჯერა!..
 გინდა მომკალი — მჯერა:
 ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

აქვს ქვეყნად ყოველს
 შესაფერისი რიტმი, —
 საგანთ ბუნების
 შესაბამისად მღერის!..
 ვიტყვი კი არა —
 სიმღერასავით ვიტყვი:
 — ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

მე დამინახავს
 ფერთან ფერობა ფერის
 (ო, ეს ძნელია,
 წარმოუდგენლად ძნელი!..
 სიტყვად დედებმა
 სული და სისხლი ჩვენი:
 — ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

სულის ცეცხლზე დუღს ცრემლი —
 მომდგარი თვალზე,
 ოდეს იღვიძებს
 ჭირის და ლხინის გენი...
 დღეს ცოტამ იცის —
 ბევრი მიხვდება ზვალ-ზეგ:
 — ადამიანი ლაპარაკის დროს მღერის!..

არა სიტყვათ აზრს, —
 არამედ — სიტყვათ ელერას!..
 ყური დაუგდეთ
 რხევას და რწევას ბგერის!..
 არ შეიძლება აქ არ ერიოს ზნეა! —
 ადამიანი...
 ლაპარაკის დროს...
 მღერის!..

• • •
ზიმზიმებს ველი ალაზნის —
დღესასწაულის ფერი...
მზით სავსე დიდი დარბაზი —
„მრავალქამიფრს“ მღერის...

გამრენმა ბედად მარგუნა
გაფლა ალაზნის გზითა...
გაბადრულია აგუნა, —
ბადაგი წვეთავს მზიდან...

გადაწყდა:
მე და კახეთმა
ზამთრის შესვედრაც დაფთქვით...
დაღამდა...

მერე — გათენდა!..
მიმოვიხედე:
— ქართლი!!!

• • •

ღამით — დღეში ვარ,
დღისით — ღამეში.
თვალს არ უხარის ფურთა ღალანი...
უოქმელმა სევდამ სისხლი გამიშრო —
მიშველე რამე — ღმერთო მაღალო!..

ამომაგლიჯეთ გული მკერდიდან
და დროშასავით აავიზვიზეთ!..
ნეტაი ერთი გამავებინა —
ამ სულელ წყაროს რა აკისკისებს!..

• • •

რის იმედი მაქვს? — ცის იმედი მაქვს!
რამეთუ სივრცე ცაშია მეტი!..
თუ ხაძრაობა ცაში მეტია,
უნდა ეცადო — ცდაშია ბედი!..

ზესკენელზე ვფიქრობ — ქვესკნელი
მტანჯავს;
ქვესკნელზე ვფიქრობ — ზესკნელით
ვზარობ,
მაშინ შეისმენს ღმერთი შენს აჯას —
თუ ცადასვლისთვის მიწაზე წვალობ!..

რის იმედი მაქვს? — ცის იმედი მაქვს!
სივრცე და არე ცაშია მეტი!..
ეს გზა თუ მართლა ერთადერთია —
ეცადე ბარემ, — ცდაშია ბედი!..

ნაბიერი გენეზოგიდუბა ღაბით გარგორობის შაგს

დრომ უეცრად გადიგრგვინა
 სივრცის უღაბნოეთი...
 სად ვარ!.. ვინ ვარ!... სად მივდივარ!..
 ან საიდან მოვედი!..

ღამე თავზე ჩამოაწვა
 სოფლებსა და ქალაქებს...
 კაჟი არ ხარ?
 ღმერთი არ გწამს? —
 გ ა მ თ მ ე ლ ა პ ა რ ა კ ე ს...

გარედი გზაპრი

ზაფხულ გადის, ზამთარ დგება, —
 წუთისოფლის მდგმურობაჲ!..
 ნეტა, როგორ დამთავრდება
 ჩემი მოგზაურობა!..

ხევ-ხევ ხეტვა, შთა-შთა რება...
 გზა-გზა ბედის მდურობა!..
 სად, ნეტაი, დამთავრდება
 ჩემი მოგზაურობა!..

ცვალებადი ვითარება,
 ძმობა, მტრობა, შურობა...

რით, ნეტაი, დამთავრდება
 ჩემი მოგზაურობა!..

სიტყვა მზეში თავთავდება,
 მალე გასწევს პურობას!..
 როდის, ნეტა, დამთავრდება
 ჩემი მოგზაურობა!..

სულო! — გატყობ მირონცხებას,
 აღწევებას, სრულობას!..
 დამთავრებით დაიწყება
 შენი მოგზაურობა!..



ნიკოლოზ გაბაიონი

აივნისანი ქალაქი

რომანი

პარი მიათო

1. გველის ღრუბე

უბრა ვეღვე, იდუმალ, მიუხედავ იმის აზრსა,
შევაღწინე პლანი იმის დასაცემად.

ღაერენტი არდაზაიანი, „სოლომონ ისაკიან
მეჭიანუაშვილი“.

ქარვასლაში ფირუზა ზანდაროვი მე-
ლქო ფერშანგოვს სულ ერთსა და იმა-
ვეს ეუბნებოდა:

— კაცო, ეს რა ცოდვის კითხვაა!
გუშინწინ შეუშანიკა შემხვდა ქუჩაში.
სარეცხის მძიმე კალათას ძლივს მიათ-
რევდა. გული დაემდღღრა. შენი რომ
არ შემშინებოდა, მივეშველებოდი. ამ
დღით კიდევ ბურნუთოვმა მითხრა,
ვიღაც კენინას შენი ქალის დაუთოებუ-
ლი პერანგი დაუწუნებია და ისეთი
აღიყული უკმევიია იმ უღმერთს, რომ
საწყალი ქალი თურმე ეხლაც ყბაახვე-
ული დადის. ეს კიდევ რა არის! ხში-
რად თურმე მშვიერ-მწყურვალი იძინებ;
თავის პატარა შვილებთან ერთად. ვინ;
მათი ამბავი იცის, ასე ამბობენ, ჩალით-
გატენილ ტომარებზე წვანან და ღამ-
ღამობით ჭრაქიც არ უნთიათო. კაცო!
ღმერთს შეხედე, პირჯვარი დაიწერე,
ეშმაქს მიაფურთხე!

როცა ამგვარი ამბებით შეძრწუნე-

ბული ფერშანგოვი თავის ქედს ხელს
ჰკიდებდა და ქალთან წასასვლელად
თავზე იხურავდა, დამფრთხალი ფირუ-
ზა მას კალთებში აფრინდებოდა და
ლაპარაკის კილოს ცვლიდა:

— მოიცა, კაცო, სად გარბინარ?
რომ არ გესმის, რას რისთვის გუბნე-
ბი? აჩქარება საქმეს ვერ უშველის.
ცოტაც მოიცადე. ცოტა კიდევ გამოს-
ცადოს და, დამიჭერე, დედ-მამას სა-
ლოცავად გაიხდის. რა გეჩქარება? ახ-
ალგაზრდა ქალია, იმის გათხოვებასაც
მოესწრები. მდიდარი კაცი ხარ, უარს
ვინ გეტყვის?

დაბნეული სოვდაგარი თვალებს გა-
კვირვებით ახამხამებდა, ფირუზას გაო-
ცებით ეკითხებოდა:

— მაშ, ასეთ ამბებს რათ მიყვები?
მაშ, იმის თავს რათ მამბრალე?

ფირუზაც გაოცებით შლიდა ხელებს,
აფორიაქებულ სოვდაგარს მოხერხე-
ბულად უბნევდა გზა-კვალს.

— ღმერთმანი, არ ვიცი როგორ გი-
თხრა, როგორ გაგაგებინო? შენ გა-
დაწყვეტილება მიიღე, საქმის დაბო-
ლოება კი დროს მიანდე. ჩემი სიტყვის
აზრიც და რჩევაც მუდამ ეს იყო.

ფირუზას რჩევა-დარიგება დარდით

და ჯაერით დაბნედილ ფერშანგოვს ქუთაში უჭდებოდა. ყოველთვის ყველაფერში ეთანხმებოდა. ეპეი არაფერში შესდიოდა, რადგან ოჩხუბობის პირობის წიგნში ყველაფერი წინასწარ ჰქონდა ვათვალისწინებულთ. გამოცდილმა სოვდაგარმა იცოდა, რომ ზანდაროვები მას იქიდან ვერ მოუვლიდნენ, საიდანაც თვითონ უვლიდა ხოლმე თავის მეტოქეებს. ამ მხრივ ფერშანგოვი დამშვიდებული იყო. მას მხოლოდ ცოლის და ქალის ბედი აწუხებდა.

ქარვასლაში, ფერშანგოვის მთავარი მალაზიის უკანა ოთახში, ზანდაროვები ხშირად ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

— ვითომ უკვე დარდობს? — ჰქითხა ერთხელ უფროს ზანდაროვს უმცროსმა.

— დარდობს რომელია, კაცი აღარ არის, გათავებულია. მუშტის ოდენა ვახდა!

— ჰო, სულ ერთიანად გამოიცვალა. საწყალი.

ფირუზამ გრიგოლს შეუბღვირა, დატუქა:

— გეცოდება? გამოუცდლობას ნუ იმჩნევ, ეგ სოვდაგრობის ნიშანი არ არის. მაგალითები რამდენიც გინდა, იმდენი ვიცი. ჭერ შენ დაბადებულსად იყავი, მე რომ ქარვასლაში დავდიოდი?!

ფირუზას დატუქსევას გრიგოლი თვანერად იტანდა, არც ახლა შეიმჩნა წყენა, სიტყვა ისევ ფერშანგოვზე ჩამოაგდო:

— თუ ქალს მართლა დარდობს, მაშ მალე სახლშიც მიიყვანს.

— მე რომ კრიჭაში არ ვუდგე, ეგ აქამდეც მოხდებოდა. მაგრამ ვერა, ვერ ეღირსება იმის ნახვას. მაგას ეხლა ელდა უნდა, ელდა! ერთმა ფარაჩინა ქალაღმა მავანი ქეთხუდა აქლემების ჰვეშ გაავგორა. ჰმ, ელდა!

უკანასკნელი სიტყვა ფირუზამ თითქმის ხმამაღლა წამოიძახა. გრიგოლმა შესწფოთებით გაიხედა კარებისკენ, ემჩნოდა, რომ ბედის თამაშით განუბივრებულ და გათამამებულ ფირუზას

ზედმეტი რისკი არ გაეწიოდა. რადგან ქარვასლის დატუქვებამ ისევ დუქანში დაბრუნება არ უნდოდა. თანდათან უძლიერდებოდა ფულის სიყვარული, გამდიდრების წყურველი და სახელის მოხვეჭის სურველი. მაგრამ საფრთხილეს ფირუზას ვერაგინ ასწავლიდა. სადაც ხიფათს დაუნოსავდა ხოლმე, იქ გაცლას ვერაგინ მოასწრებდა მთვარესავით პირგაბადარული, სახეიწველიანი, ფირუზთვალემა, პირმოწყინარე და საღმინი ფირუზა ქარვასლაში უფრო კეთილ ადამიანად მიაჩნდათ, ვიდრე მუდამ პირქუში. გულჩათხრობილი და უკმეზი ფერშანგოვი, მრავლის მნახველნი ახლა მხოლოდ იმას უცდიდნენ თუ როდის წააქცევდა კრიჭანგი, ხარბი და გაუმადლარი სოვდაგარი მიამიტად მოტყუებულ კუკიელ მუდუქეს და ზედ მის ახალგაზრდა და ლამაზ ნათესავსაც მიაცოლებდა.

ოთახში ფერშანგოვი შემოვიდა. ზანდაროვები გაჩუმდნენ. ანგარიშის ნუსხებზე თავები დაღუნეს. სოვდაგარი მათ თავის დაკვრით მიესალმა. თავის მაგიდასთან მივიდა. დაუთარი გადაშალა, მაგრამ რაღაცაზე დაფიქრებულს დაუთრის ყდა ხელში შეერჩა. დიდხანს გაუნძრევლად იდგა, მერე ბოლთის ცემას შეუდგა. ოჩხუბებს თავის დაკვრით გამოეშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

უმცროსმა ზანდაროვმა თვლი გააცოლა, მხრები გაკვირვებით ასწია და თქვა:

— მაზანდის და ანგარიშის ნუსხები ავიწყდება. სადაც არის ვატრის ქულა თავიდან გადმოუფარდება!

უფროსი ზანდაროვი აღტაცებით მიაცქერდა თავის შეგირდს, ფირუზი თავლები გაუბრწყინდა, ნიაზით ჰქითხა:

— შენ ეგ სიტყვა ვინ გასწავლა?

— ბაზარში ვისწავლე, სხვაგან სად უნდა მესწავლა?

გრიგოლმა მაიკო კურტანიძე არ დასახელა. ფირუზას კურტანიძეები არ უყვარდა, მაიკოს კი არ ენდობოდა. ფირუზამ გაიცინა:

— აი, ეხლა კი ქალაქურად უქცევ, ყოზალ, ბიჭო! მე მიმადლოდე, კაცად მე გაგზადე!

გრიგოლმა არაფერი უპასუხა. ნიხრის, მაზანდისა და ანგარიშის ნუსხეზა მიუბრუნდა.

ალარც ფირუზას სცალოდა მისთვის, გუნებაში შეშფოთებული ფიქრობდა: „ნეტავი ჩემი ოჩხუბი სად წავიდა? სერინობა იმას არ უყვარს, ქარვასლას არ შორდება, თუ დავთარები არ გასინჯა, ისე ფეხს არ მოიცივლის. მაშ, სად გაქანდა? სად წავიდა?“ ფირუზამ კეფა მოიფხანა. მერე ქუდი დაიხურა და თვითონაც ოთახიდან გავიდა.

გრიგოლმა მას თვალი გააყოლა, დავთრის ფურცლებზე ხელები დააწყო და ჩაფიქრა.

2. გვილის ღოზა

(გაგრძელება)

— სანთელი ანთეთ, დამენახენით, გამაძლეთ ოქვენი ურებოთ, გამიგრილეთ დამწვარი გული! რაღას იგვიანებთ! სანთელი, ჩქარა სანთელი ანთეთ!“

ღაგრენტა არღაზიანი, „სოლოჰონ ისაკიჩ მექანაშვილი“.

ქუჩაში გასული ფირუზა ფერშანგოვს დაედევნა. ისე მისდევდა, რომ არც ახლოს მისულიყო მასთან და არც თვალიდან დაეკარგა.

ბოლო ხანებში ფერშანგოვი ბურნუთოვის სახლს შორიდან უტრიალებდა, შორიდან უვლიდა. ფირუზას ეჭვი გამართლდა. თავს საზრიანობას უქებდა ქარვასლიდან დროზე გამოსვლა უწონებდა. სოვდაგარმა ბურნუთოვა სახლისკენ მიმავალ ქუჩისკენ გაუხვია აშკარა იყო, ფერშანგოვი ბურნუთოვას სახლისკენ მიდიოდა.

ფირუზას უნდოდა ქუჩა გადაერბინა, ოჩხუბასთვის წინიდან მოევლო, მაგრამ გვიანდა იყო. სავდაგარისკენ მისი საკუთარი ქალი მოდიოდა. უფროს ზანდაროვს კინაღამ გული გადაუტრიალდა, როცა ქუჩაში მომავალი შუშანიკი დაინახა.

ახლა მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა: თუ მამა-შვილს მტკიცედ შევხვდებით, გამოელაპარაკებოდნენ, ფირუზა დაუყოვნებლივ მათთან გაჩნდებოდა, ლაპარაკში ჩაერეოდა და ნათესაური გრძობის მოზღვაგებას ხელს შეუშლიდა. შუშანიკს მამასთან შეარცხვენდა, უსაყვედურებდა, ლაპარაკს არც ერთს არ დაეცლიდა და იმდენს იზამდა, რომ მოტყუებულ სოვდაგარს მოუწულებელი შეურაცხყოფა და დამცირება გახსენდებოდა. მაგრამ მანამდე მამა-შვილს ერთმანეთთან ლაპარაკი არ უნდა მოესწროთ. თავი და თავი ეს იყო. თუ ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ გადაეხვეოდნენ და შერიგდებოდნენ, ასეც ვარაუდობდა ფირუზა, თვითონაც ოჩხუბს გადაეხვეოდა და ქალთან შერიგებას მიულოცავდა. უფროსი ზანდაროვი იმითაც იყო განთქმული, რომ მასავით არავის შეეძლო ბაღდადის გაშლა და ცრემლების დაღვრა. ახლაც ყოველი შემთხვევისათვის ბაღდადი ხელში ეჭირა. თუ საქმე მის საწინააღმდეგოდ შეტრიალდებოდა. დაუყოვნებლივ ღვინის მოსატანად გაიქცეოდა და შინ დაბრუნებული სოვდაგარის ქალის სადღეგრძელოს დაღვედა; მარცხს დროებით შეურიგდებოდა, ფერშანგოვის უკან ისევ ერთი ნაბიჯით ჩამორჩენილი ივლიდა, სანამ მარჯვე დრო დაუდგებოდა და ოჩხუბს ახალ მახეს დაუტკებდა.

უფროსმა ზანდაროვმა ვითარება ყოველმხრივ ასწონ-დასწონა. სახლამ მოფარებული კუთხიდან შუა ქუჩაში გავიდა.

მაგრამ მამა-შვილის შეხვედრა სულ სხვანაირად მოხდა, ვიდრე ფირუზა ფიქრობდა ან ვარაუდობდა.

სოვდაგარი შვილისკენ გაუხედავ ნაბიჯით მიდიოდა. სახეზე ხან ყოყმან ეხატებოდა, ხან მტკიცე გადაწყვეტილებდა. ენაზე ისევ „შვილო შუშანიკ“ აღგებოდა და პირიდან არ ამრდიოდა. ხელებს ისევ მოსახვევად შლიდა და უკანვე უვარდებოდა. მამა-შვილმა ერთმანეთს უცნობსავით ჩაუარეს; ერთმანეთს უხედავად და უსიტყვოდ

ნეთს პირი მოაჩიდა, ხმა არ ვასცეს. სოვდაგარმა გზა განაგრძო. არც გაჩერდა, არც უკან მოიხედა. მხოლოდ შუშანიკი მოტრიალდა, მხრიდან კალათა ჩამოიღო და ფეხებთან დადგა. დიდხანს უყურა წინ მიმავალ მამას, რომელსაც თავი მხრებში ჩაეძვრინა და ფეხებს ძლივს მიათრევდა. ასე დაბერებული მამა მას არ ახსოვდა. თავი გადაიქნია. მოსახვევის ბოლოთი თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა. კალათა ისევ მხარზე შეიღვა და გზა განაგრძო.

გაკვირებულ ფირუზას ზღადადი ხელიდან გაუვარდა. გვიან მოაგონდა მისი აღება. ერთ ადგილზე გაშტერებული იდგა. ისეთნაირად იყო დაღლილი, რომ სიხარულს თითქმის არ განიცდიდა. ამიტომ არც დაუღლიდინებია, არც დაუმღერებია, როგორც ეს დიდი საქმის მოგების დროს იცოდა ხოლმე. შუბლიდან ოფლი ბაღდადით მოიწმინდა, გატრიალდა და ქარვასლისკენ გასწია.

ა. გველის ღიზა

(გაგრძელება)

შეჩერდით, ბატონო, ღვთის გულისათვის! ზვენ მე დამლუბავთ!
"ღმერთად დიუმა, „ქენრი III და მისი კარა“.

ქუჩის მოსახვევში ფერშანგოვი ჯერ შეტოვდა, მერე წაბარბაცდა. გული ხელით დაიჭირა, თვალეზზე ბინდი გადაეკრა, ცხვირით ჰაერს დაუწყო ძებნა, სუნთქვა გაუჭირდა. გამვლელებს საწყლად შეხედა, თვალებით დახმარებას და შველას თხოულობდა, მაგრამ მდიდარ სოვდაგარს მოკრძალებით ყველა გვერდს უვლიდა, შორიდან აძლევდა სალამს. ახლო ნაცნობი ქუჩაში არავინ ჩანდა. ერთ ადგილზე გაჩერებულმა სოვდაგარმა როგორც იყო გული მოიბრუნა. ქუჩის პირზე სახლების კედლებს ლასლასით გაჰყვა, შინ ძლივს მიფარფატდა. სადარბაზო კართან ჩამოკიდებული ზარის ტარი გაკვირებით ჩამოს-

წია. კიბეზე მხარში შემჯდარმა მსახურმა აიყვანა. მშვიერი იყო, მაგრამ შინ მისულმა პურს პირი არ დააკრა. ჯერ შეამცივნა, მერე ცხელმა ოფლმა დაასხა. შეშინებულმა მსახურს ტანსაცმელა გაახდევინა და ლოგინში ჩაწვა. ყველა გაუცვირდა, რადგან სამოც წელს მიღწეული მეღქო ფერშანგოვის ავადმყოფობა ჯერ არავის გაეგონა.

ახლა ერთ ოთახში ავადმყოფი ცოლა იწვა, მეორე ოთახში ავადმყოფი ქმარი. დედაბერმა შვილსაც მარჩიელები და ექიმმაშები მიუხია ავგაროზებით და ბალახ-ბულახებით. სოვდაგარი თავის ტყვილს უჩიოდა, მისმა დედამ ენ შეაკის დააბრალა, შუბლზე დედაბრული ხელით დაბლაჭილი და გამოლოცვილი ქალადი დააკრა და ხილაბანდათ მაგრად შეუყრა. უარესად გაავებული დედაბერი წამდაუწყუმ რძალს წყევლიდა, შვილის ავადმყოფობას მამაბრალებდა.

თეთრი ღიზა ყოველ სიტყვაზე დედაბერს თავს უქნევდა. ცეცხლზე ნათეს ასხამდა.

ფირუზა ზანდაროვიც ყოველდღე ფერშანგოვების სახლში იჯდა. მთელ დღეს ავადმყოფი ოჩხუბის გვერდით ატარებდა, სარეცელთან უჯდა და განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. მხოლოდ მაშინ ჩუმდებოდა, როცა ოთახში ვინმე შემოდებოდა.

ავადმყოფის თავთან, შავი ხის პატარა მრგვალ მაგიდაზე სამელნე იდგა, სამელნის გვერდით საწერ-კალამი და სუფთა ქალაღების დასტა იყო.

უფროსი ზანდაროვი ლაპარაკიმ დროს ხელს ხშირად იშვერდა ხოლმე ამ მაგიდისკენ, თან ათასნაირ მაგალითს იმორწმებდა და ფერშანგოვს ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:

— ავად ვინ არ გამხდარა და მორჩენილა, მეღქოჯან, მაგრამ თადარიგი უნდა დაიჭირო. არავინ იცის ცხოვრებაში ვის რა მოელის, ამ წუთისოფელს ვინ შეაბერდა რომ ჩვენ შევაბერდეთ? სიკვდილ-სიცოცხლეა, დღესა ვართ, ხვალ აღარ ვიქნებით. არ გაფიგონია, დღეს



ღიადემაში, ხვალ სუღარაშიო. ავად-
მყოფობა, ამას რალა თქმა უნდა, მალე
გავივლის, მაგრამ ჩემსავით ხნიერი კა-
ცი ხარ, ანდერძი უნდა დაწერო. მე
ხომ ფეხზე დავდივარ, მაგრამ ანდერძი
უკვე დაწერილი და დაბეჭდილი მაქვს.
არც თეთრი ლიზა დამვიწყებია და არც
ჩემი კარგი ნათესავი გრიგოლ ზანდა-
როვი. შენც ისე მოიქეცი, როგორც მე
ვიჩიე, ნოტარიუსსაც ისე დააწერინე.
აბა ერთი მითხარი, მეღჭოჯან, ჩემი სი-
ტყვა შენთან რაში გამტყუნებულა? ამ-
დენი მოგება, არ ვიცი, წინათ გქონდა
თუ არა, მაგრამ ეხლა ქარვასლაში ჩვე-
ნისთანა ფულს არავინ არ იგებს. დავ-
თარი აქ არ არის? ანგარიში აქ არ
არის?

ფერშანგოვი თავს უქნევდა თავი
ოჩხუბს. უფროსი ზანდაროვი მართალს
ამბობდა. მოგებით სოვდაგარი კმაყო-
ფილი და გახარებული იყო. სოვდაგ-
რობაში ფირუზას ლალატი ფიქრადაც
არ მოსდიოდა. აქ მას, მისი აზრით,
ყველა გზები შეერული ჰქონდა. ამი-
ტომ ოჩხუბს ყურადღებით უსმენდა,
ოღონდ ფიქრისთვის დროს თხოულობ-
და. თან შიშით იხედებოდა შავი ხია
ბატარა, მრგვალი მაგიდისკენ. ანდერ-
ძის დაწერა არ უნდოდა, სიკვდილის
ეშინოდა.

ქარვასლაში დაბრუნებულ ფირუზას
უმცროსი ზანდაროვი ერთსა და იმავეს
ეკითხებოდა:

— როგორ არის საქმე, ფირუზჯან?

— ლოგინი მაგრათ გავალესინეთ.
ჯერ ეს არის. დანარჩენი მერე იყოს.
ყოყმანობს, მაგრამ სად წავივით?

დიდ ხუთშაბათს ფერშანგოვმა ნო-
ტარიუსი თავისთან დაიბარა. მისი კარ-
ნახით ნოტარიუსმა სუფთა ქალაღღე-
ბის დასტა შეავსო.

დაწერილი ანდერძი ფერშანგოვმა
ჯერ მას მარცვალ-მარცვალ წააკითხა,
მერე თვითონაც სათვალეები გაიკეთა,
დაწერილი ყურადღებით ჩაიკითხა. ან-
დერძის ქალაღღები ხელში დიდხანს
ატრიალა და ბოლოს ბალიშს ქვეშ ამო-
დო. ფირუზა კინალამ შეხტა, როცა

ფერშანგოვმა ნოტარიუსს დაუფიქროვდა
და ფიქრისთვის დრო მთავრდებოდა.

იმ დღიდან ფერშანგოვი, როცა კი
მარტო რჩებოდა, ანდერძს გულდასმით
კითხულობდა. ფირუზა ხმას აღარ იღე-
ბდა. ეშინოდა ზედმეტ ლაპარაკში არა-
ფერი წამოსცდენოდა და სოვდაგარისთ-
ვის ეკვი არ აეღლებინებინა.

ორი კვირის შემდეგ თვითონ ფერ-
შანგოვმა გაიხსენა ნოტარიუსი. გო-
ცებულმა და ცოტათი დაბნეულმა ფი-
რუზამ იმწამსვე მსხურთი აფრინა მის
მოსაყვანად.

დილით დაბარებული ნოტარიუსა
მხოლოდ საღამოთი გაისტუმრეს. ფერ-
შანგოვმა ახლაც ხანგრძლივი ფიქრისა
და ყოყმანის შემდეგ მოაწერა ანდერძს
ხელი.

გახარებული ფირუზა ქარვასლაში
გრიგოლ ზანდაროვთან გაიქცა.

— ვის უმტყიცებს? — ჰკითხა გრა-
გოლმა.

— ვისთვის უნდა დაემტყიცებინა?
თავის ცოლს და ქალს დაუმტყიცა.
დედასაც წილი დაუდო მემკვიდრეო-
ბაში.

— ჯობდა დედისთვის დაემტყიცებო-
ნა, — თქვა დაფიქრებულმა გრიგოლმა.

— ფერშანგოვის დედას ვერსაიდან
ვერ მიუღვებით, ორმოცი წელიწადია
სოვდაგარის დედაა. მაგის ფიქრს შენ
ვერ დამასწრებდი, ეგ რომ ჩვენთვის
სასარგებლო ყოფილიყო. ფერშანგო-
ვის ცოლი ქმრის საქმეში არ ერევა, ქა-
ლი ხომ სულ გამოუცდელია. მაგათ
უკეთ მივუღვებით, ადვილად დავიყო-
ლივით.

— შვილიშვილები?

— მაგის გადაწყვეტა ფერშანგოვმა
ქალს მიანდო, ოღონდ ერთი პირობით,
ნოქრად ნამყოფი ფილიპე ახლოს არ
უნდა გაიკაროს.

ზანდაროვებმა ერთად გაიციენს.

— აუკუნად შენ დავნიშნა! — მოუ-
ლოდნელად ჩაურთო ლაპარაკში ფი-
რუზამ, რათა მის შეგირდს თუ ნაშე-
გირდალს მისი მთავარი გამარჯვება
კარგად შეეფასებინა.

— ვინ ურჩია?

— ბართლომე კურტანიძემ და იმის ღრჯოლებიანმა ცოლმა მაიკომ. რას კითხულობ? განა ამისთვის არ დაგებოდი ყოველდღე ფერშანგოვთან?

გრიგოლმა შებლი შეკმუნა, მაიკოს გალანძღვა ითაკილა. ფირუზამ შეამჩინა, მაგრამ ყურადღება არ მიექცია. ხელები საიმოვნები მოიფშვინტა, კმაყოფილებით წარმოთქვა:

— ეხლა კი სოვდაგარი ფერშანგოვა ვერსად გაგვექცევა მალე სატირლად გაგაშლევიანებ ბაღდადს!

4. ე ლ ღ ა

და კვლავაც მკითხავე თქვენ, თუ რასთვის არს კაცი უწყლოვის ყოველი იძვრისთვისან პირსაზედა ამა ქვეყნისასა, ამაღ რომელ იგი არს ყოვლად უსამართლო.

„აღმახანდრე ქვეყანაჲ, „ახლით განხრავილი კაცა“.

მელქო ფერშანგოვი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ წამოდგა ფეხზე. ქარვასლაში ზანდაროვები მას დიდი აპბით მიეკებნენ. სოვდაგარი მძიმედ, დიდვაჭრულად მიესალმა თავის ოჩხუბებს. მთელი დღე გაუნძრევლად იჭდა ანგარიშის ნუსხებთან და დაფორებთან. თითქოს ზედ დაჰკირკიტებდა, მაგრამ პირველავე ფურცელი ხელში ჰქონდა გაშეშებული. დაღვრემილი, თვალბჩამქრალი და გაფითრებული გაქვავებულივით იჭდა. ფირუზამ რამდენჯერმე რაღაც ჰკითხა, მაგრამ სოვდაგარმა ვერ გაიგონა. ფიქრებით იყო გართული. გრიგოლ ზანდაროვი თვალს არ ამორებდა მთავარი ოჩხუბის პირქვეშ, ნაოკებით გავსებულ, ვანაცრისფერებულ სახეს და თანდათან სიბრალოელი იპყრობდა. უნდოდა მასთან მისულიყო, მხარზე ხელი მეგობრულად მოეკიდა. გამოეფხიზლებინა, თანაგრძნობის სიტყვა ეთქვა, მაგრამ ფირუზასი ეშინოდა. თან ისიც კარგად იცოდა, რომ მას ველარაფერს უშველიდა და ეს ოდესღაც ძლიერი და მეტოქეებისათ-

ვის საშიში სოვდაგარი ფირუზა ზანდაროვს ველარსად გაექცეოდა. ფირუზამ ქული დაიხურა. გარეთ გავიდა. გრიგოლმა მას შეშფოთებით გააყოლა თვალი. რაღაც ავის მოლოდინში ბატის ფრთა უკვე დაწერილ სიტყვაზე გაუჩერდა, სტრიქონი ველარ გააგრძელა.

ცოტახნის შემდეგ ფირუზა ბლავალით შემოვარდა ოთახში. თავში ხელებს იცემდა და ბლაოდა.

— ვუი... ვუი... ვუი...

ფერშანგოვი დაფეთებული წამოვარდა, ხმა ძლივს ამოიღო.

— რა იყო? რა მოხდა?

ფირუზა ჩქურად მიადგა ენაჩეარდნილ ოჩხუბს და ულმობელად მიახლა:

— შე უბედურო! ეს არის დამბრჩელი შეშანიკა მენახლეებმა მტკერიდან გამოათრიეს. ვუი! ვუი! ვუი!

სოვდაგარმა ჯერ მარჯვენა ხელი გაიქნია პაერში, მერე მარცხენა ხელი გულისკენ წაიღო, სახე მოეღრიცა, ყბა ჩამოუვარდა, თვალები უცნაურად გადაატრიალა და ოჩხუბების ფერხთით გაგორდა.

5. მ ე შ რ ა

სიცოცხლე არის ბრძოლა შექისა და წყვილის, მდაბლისა და ღიადის, მშენიერისა და უხამსის. უკონიერესი ისაა, ვინც ამ ცხოვრების რიოშიდან ყველაზე მეტ მშენიერებას გამოიტანს.

ფრიდრიხ ჰოფენშტედტი. 1001 დღ

როცა ანუშმა ქმრის სიკვდილი გაიგო, მწარედ ამოიგმინა და სინანულივით დასცდა გადაყვითლებული ბაგეებიდან:

— ბედნიერია მელქო, შეშანიკა ერთხელ მაინც ნახა...

შეგებში ჩაცმული და შეხარბისიან უფრო მეტად გაშეშებული დედამთილი რძალს რისხვით დაადგა თავზე და ყორანივით დასჩხავლა

— ქმარი ამოიჭამე და ეხლა მაგა



ამბობ? რაღა გიჭირს, რაც გინდოდა, მოახდინე. იმდენი ქენი, კრუსუნით და ოხვრით ჩემს მეღვინეს გული გაუხეხე. ქა, აჲ ავით ბრძანდებოდით!

ექიმმა დედაკაცებს თვალით ანიშნა გაავებული დედაბერი ოთახიდან გაეყვანათ. დედაბერმა თავი მალა ასწია. ექიმს ზიზლით გადახედა და ავადმყოფი რძლის ოთახიდან ფოსტლების ფრიალით გაძეგძეგდა. თეთრი ლიზა ძენძლით უკან გაჰყვა.

გრიგოლ ზანდაროვმა ბურნეთოვის სახლიდან, ფირუზას დეალებით, შეშანიკი მოიყვანა. ქალი მამის კუბოსთან მუხლებზე დაემხო და გულსაკლავად ატირდა. განრისხებული დედაბერი ხალხს არ მოერიდა, ყვირილით ლანძღვასა და წყევლას მოჰყვა:

— მამა ინაცვალე და ეხლა ტირახარ?! თვალებს ვის უბრძვევებ? შენ აქ ვინ მოგიყვანა? რატომ სირცხვილით არ მოკვდი, როცა უბედური მამაშენის სახლში შემოხვედი. ღმერთმა არ გავახაროს არც შენ, არც შენი შვილები. ისე დაიტანჯე, როგორც მე ვიტანჯები!

შეშანიკმა თვალეებზე ხელები აიფარა. ყრუდ აქვითინდა. დედაკაცები მას დამოშვინებას ცდილობდნენ. მხოლოდ თეთრი ლიზა უქნევდა თავს ფერშანგოვის გაანახლებულ დედას, გვერდით ედგა და მის საამებლად წუწუნებდა.

გაჯავრებულმა ფირუზამ ის განზუგაიყვანა, ზმადაბლა შეუტია, რომ სხვას არავის გაეგონა:

— გაგიძლი, დედაკაცო! ვის აპყობახარ, ვის ეგები ფეხქვეშ? მეღვინე ფერშანგოვის სიმღიდრის პატრონი შეშანიკია.

თერთ ლიზას მეორედ თქმა არ სჭირდებოდა. იშწამსვე დედაკაცებში გაერიდა და გაკვირვებით ხელები გაშალა:

— ქა, ეს რა ბურიანგელი დააყენა! ცალკე რძალს უხეთქვას გულს, ცალკე შეიღვიღოს. ისეთი რა მოხდა, რაც ჯერ არ მომხდარიყოს? რაც შესცოდა ღმერთმა ის ასეცად გადაახდევინა. საწყალი ქალი მამის დასატირებლად მოვიდა. ქა, ქალზე უკეთ მამას ვინ დაი-

ტირებს?! რა ვუყოთ, რა მოქმედებად იყვენენ.

განმარტობა

პანაშვილებზე თეთრი ლიზა შეშანიკს გვერდით ეჭდა, ფერშანგოვის გასვენების დროსაც იმის ხელი თავის ხელში ეჭირა, სასაფლაოზეც, როცა კუბოს სამარეში უშვებდნენ, მის გვერდით ირცემლებოდა და სასაფლაოდანაც დამწუხრებელი ქალი სახლამდე მან მიაცილა.

დედაბერს ახლადდამარხული შეალი დააფიქვდა და გაბრაზებული შორიდან თეთრ ლიზას უბღვეროდა.

შეშანიკს უკან ვარდისმონა მოსდევდა.

დედაკაცებს ფირუზა და გრიგოლ ზანდაროვები სოფდაგრებთან ერთად მასლაათით მოსდევდნენ.

— შეშანიკს პატივისცემით უნდა მოექცა, — არიგებდა ფირუზა გრიგოლს, — ეცადე თავი შეაყვარო, საქმეში გამოგადგება. ვარდისმონასაც გაუშინარდი. ქალბატონი, როგორც თეთრმა ლიზამ მითხრა, ძალიან ჰყვარებია, იმის გულისთვის, თუ დასჭირდა, ცეცხლში შევარდება, წყალში გადავარდება.

გრიგოლ ზანდაროვმა წარბი უქმაცოფილოდ ასწია.

— ფირუზან, ჩემს თავს ისე არ დავახურდავებ, რომ მოახლეებს საარშოყოდ თავი გავუყადრო.

ფირუზას გაეცინა.

— არ მოგწონს, თორემ არც მაგ მოახლეზე იტყობი უარს. ყური დამიგდე, მე შენ სულ სხვა რამეს გეუბნევი. მსახურების და მოახლეების დახმარებით ბევრი საქმე გაკეთებულა. რასაც შენ ვარდისმონას ეტყვი, ის მაშინვე ქალბატონს მიუტრბენინებს. ხელს რა გიშლის, რომ ვარდისმონასთან შეშანიკა აქო?

გრიგოლი გადაკრულად ნათქვამი სიტყვის აზრს მიხვდა და სახეზე ისეთნაირად გადაეფინა იქედნური ღიმილი, როგორც ეს ფირუზა ზანდაროვს ვინმეს მოტყუების დროს ემართებოდა ხოლმე.

6. ახალი მწახარაზა

მარამა ბედი უკვე წილსა ჰყრის და მსწერს სახელთა თვისთა მსხვერპლთასა!

გრიგოლ ჭრბელიანი.

შუშანიკი ავადმყოფ დედას თავს ევლებოდა. დღე და დამეს მის სარეცელთან ასწორებდა. თან თავს აყვედრიდა. მე მოვესწრაფე სიცოცხლე მამაჩემსაც და დედაჩემსაც, ეს პატიოსანი და გულკეთილი დედაკაცი, ამ მდგომარეობაში მივიყვანეო.

ანუშას შვილის დაბრუნებამ და აღერსმა გული გაუხარა, მაგრამ ფეხზე ვერ დააყენა. ქმრის უეცარმა სიკვდილმა უარესად გახადა. მისი დღეები დათვლილი იყო. ექიმებმა ხელი დაიბანეს. მისი მორჩენის იმედი აღარა ჰქონდათ. ანუშა უსაყვედუროდ ეთხოვებოდა ამ წუთისოფელს. სანამ პირში სული ედგა თავისიანებს ლოცავდა: ქალს, დედამთილს, შვილიშვილებს, ვარდისმონას...

იგი ჩუმად მიიცივალა. არავინ შეუწყუხებია. წყნარად ამოიოხრა. თვალუბიდან ორად ორი ცრემლი ჩამოეწურა დამკენარ ლოყებზე და სახეზე ნათელი რომ დაადგა, შუშანიკი მქუხარე ქვითინით დაეხმო გაციებელი დედის გვამს. დედამთილმა მიცივლებულ რძალს თვალეები დაუხუჭა. თავის განუყრელ კრიალოსანში გლოვის ლოცვები გადათავალა და ბუტბუტით წარმოთქვა:

— შუშანიკ, ეხლა ჩვენ მარტო დავრჩით, ჩხუბის დრო აღარ არის!

შუშანიკმა მშობლების სახლში დაბრუნების შემდეგ პირველად შეხედა მადლიერი თვალეებით თავის დიდედას. მის უკან ვარდისმონა ცხარე ცრემლებით ტიროდა. დედაბერმა კრიალოსანის მძივებს ააყოლა ტუჩების ცმაკუნით წარმოთქმული ლოცვები.

ოთახში თეთრჩაღრიანი დედაკაცები შემოდიოდნენ სამძიმრის სათქმელად, პირჭვარს იწერდნენ, ზოგიერთნი

კი ისე იჩოქებდნენ, როგორც ეკლესიაში.

მალე თეთრჩაღრიანი მრევალის ტირილით და თავში ცემით.

ზანდაროვებმა ქარვასლაში გაიგეს ანუშას გარდაცვალების ამბავი. ფირუზამ ქული სიამოვნებით გაასწორა, კმაყოფილებით წარმოთქვა:

— ცოლი ქმარს გამოუდგა. ბებრუხუნაც მალე დაედევნება. შუშანიკა ჩვენს ხელშია, თლონდ ისე უნდა გავუფრთხილდეთ, ჩვენს შუეს ლოცულობდეს. სხვანაირად ფერშანგოვის ქონებას ვერ დავებატრონებით.

გრიგოლმა არაფერი უპასუხა. თავა განზე მიაბრუნა, რათა ფლიდუროდ მომლიმარე ფირუზა არ დაენახა. ფირუზამ ეს შეამჩნია, მაგრამ არ ეწყინა, გაიციინა და გრიგოლს ერთხელ კიდევ მოაგონა:

— ის, რაც ჩვენ მოვანდინეთ, ქარვასლაში ყოველდღე ხდება. რა წავაგეთ? მე ფერშანგოვის ადგილი დავიჭირე ქარვასლაში, შენ ჩემი ადგილი დავიჭირე. მეტი ოჩხუბი არ გვინდა, არ გვჭირდება.

ქული დაიხურა, გრიგოლს მიუბრუნდა.

— წავიდეთ, შუშანიკს მივეუსამძიმროთ.

გზაზე დაღვრემილ გრიგოლს ცალი თვალით ახედა, ხელი ჩაიჭნია, უკმაყოფილოთ გადაულაპარაკა:

— თუ შუშანიკი გეცოდება, დამცველად დაუდექი, ტყუილად ხომ არა ხარ მაგის აპუენი? — ლაპარაკის საღერლელი აეშალა და მის შეგონებას შეუდგა, — როცა დაობლებული ქალი დიდი სიმდიდრის პატრონი ხდება, ნათესავიც მტრად უხდება და ეკლესიაც, ეხლა მეღქო ფერშანგოვის შორეულ ნათესავებიც გამოჩნდებიან, ქონებაში წილის დადებას ეცდებიან, მაგრამ მაგათ ფერშანგოვის დედა დახვდება, თუ, რა თქმა უნდა, მალე თავის შვილს და რძალს არ გამოუდგა. კარგად ვიცნობ მაგ დედაკაცს. კერპი და თვენებაა. უფრო საშიშარი ეკლესია არის. მღვდელ-

მთავრებს, მღვდლებს და ბერ-მონაზვნებს თვალი იმ ოჯახებზე უქირავთ, სადაც მამაკაცები არ არიან. ჭვრეც-ობლებს, მათი აზრით, დიდძალი სიმდიდრის გაფრთხილება და მოვლა არ შეუძლიათ. ფული სოვდავრებზე მეტად უყვართ. გასაკვირი აქ რა არის? ვანა ეკლესია-მონასტრებს ქარვასლები, ბაზრები, დუქნები, წისქვილები და მამულები არა აქვთ? ვახშის დადუბასა და მომატებაში მონასტრის ბერებს ვინ აწობებს? სულ იმას ცდილობენ ქონებას ქონება მიუმატონ. ჭერ შეწირვებით დაიწყებენ, მერე, ვისაც შეუჩნდებიან, ქონების წილის დამტკიცებასაც მოთხოვენ. სახეზე გატყობ, ხანდახან მე მამტყუნებ. შენ იმათ მიხედე, ვინც ღმერთის სახელით ვაჭრობს. მე ხომ ანაფორა არ მაცვია, დიდვაჭრის კაბით დავდივარ. ამით არც არაფერს ვამტკიცებ, არც თავს ვიმართლებ. შენ თვითონ ნახავ, როგორ გაავსებენ ფერშანგოვის სახლს ტერტერები და ბერ-მონაზვნები. აქ უკვე ჩვენს მართლმადიდებელი, რომ საწყალი შეშანიკი მღვდლებს და ბერებს არ გავაძარცვინოთ. ესეც იცოდე, როცა ადამიანს ცხოვრება უმძიმდება, ღმერთიც მაშინ აგონდება. ეს ეკლესიის მსახურებმაც კარგად იციან.

უმცროს ზანდაროვს ღვთისმოსიშობა სოფლიდან ჰქონდა გამოყოლილი. დროგამოშვებით ეკლესიაში დადიოდა, სანთლებს ანთებდა და ლოცულობდა. მაიკო კურტიანიძის გვერდით იჩოქებდა ხატების წინ. ოღონდ კარგად არ იცოდა, მაიკო კურტიანიძის გამო უხაროდა ეკლესიაში სიარული, თუ იქ ღმერთისათვის საკუთარი თავის შესავერებლადაც დადიოდა. ერთი რამ კა მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული — ისე არ ადგებოდა და დაწვებოდა, რომ პირჭვარი არ გადაეწერა.

ფირუზას ეცინებოდა, რადგან თვითონ ის, იმის მიხედვით, თუ როდის ან ვისთან იყო საჭირო, პირჭვარს სამნაირად იწერდა.

— ეკლესიაში თეთრი ლიზაც და

ღრჭოლებიანი მაიკოც დატრუნდა. ვანაგრო ფირუზამ, — მაგბამწმინტბათონ იცი დახლში როგორები არიან! ყველაზე საშიშარი ის არის, თუ შეშანიკი ძალიან საწყალი გამოდგა.

გრიგოლ ზანდაროვს მოაგონდა, როგორ უთხრა მოწყალეებაზე უარი შეშანიკმა, როცა მას, მამის სახლიდან გაქცეულს და უპატრონოს, ასიგნაციები შეაძლია. ისიც გაახსენდა, თუ როგორ მოთოკა მან თავისი მტკიცე ხასიათით გაავებული და გაანჩხლებული დიდდა, რათა ავადმყოფი დედა მისი ჩხუბისა და წყევლისაგან დაეცვა. გრიგოლმა ნაფიქრალი ფირუზას გაანდო. ფირუზა ჩაფიქრდა.

— ჰო, ეგ მეც შევამჩნიე. ჰკვიანი ქალი ჩანს, დაკვირვებული, ქირგამოვლილი. თუ მაგისთანა ქალს თავს შევავარებთ, ჩვენს ნუსხებსა და ანგარიშებს ხელს ვეღარავინ შეუშლის.

როცა ზანდაროვები ფერშანგოვის სახლს მიუახლოვდნენ, ფირუზამ ბაღდადი გაშალა, შუბლზე ხელი შემოიბრტყა, ზღუქუნ-ზღუქუნით შევიდა იმ სახლში, სადაც შეიღის თავზე შეორე მიცვალებული იყო დასვენებული.

კიბის საფეხურებზე, ტალანებში და დერეფნებში მიცვალებულის პატივსაცემად მოსული ხალხი ირეოდა. ჟველამ გზა დაუთმო მელქო ფერშანგოვის ოჩხუბებს. ფირუზას თვლებიდან მტკვარი ჩამოდიოდა, თავის წითურ, ცრემლებით დასველებულ დაეღა სახეს ხან უკვე დამბალ ბაღდადში მალავდა, ხან აქეთ-იქით იცქირებოდა და მხოლოდ ღირსეულებს უკრავდა თავს. იმათ, ვისიც ჭერ კიდევ ეშინოდა ან მათგან სარგებლობას მოელოდა. უკან დაღვრემილი და თვჩაღუნული გრიგოლი მისდევდა.

იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, ტევა აღარ იყო. ცხელოდა. მიცვალებულის თავით და ფერხთით აუარებელი თაფლის სანთელი ენთო. სიცხის გამო ყველა ფანჯარა გაღებულა იყო. ორ კელაპტარს შუა დიაკვანა მალალ საკურთხეველზე გადაშლილ სა-

ხარებას გალობით კითხულობდა. ოთხ-
ხში მხოლოდ დედაკაცები და ტერტე-
რები იყვნენ. განუწყვეტლივ გასმოდა
ლოცვების დუდუნი და ზუზუნი. აბრი-
ალებული სათლების ტაფა-ტაფი.
ტერტერების დანახვაზე გრაგოლს ფ-
რუხას ნათქვამი პიტყვები მოაგონდა.
თავი ასწია და იმას შეხედა, ვანუ მის
ოდესღაც გატაცებით უყვარდა.

შუშანიკს დედის სიკვდილის სარე-
ცელთან დაეჩოქა. ცრემლდამშრალს
და ტირილით გაბრუებულს დაღლილი
თავი სარეცლის კიდეზე დაედო. მის
უკან ასახვიით იდგა პირმოკუმულა
დედაბერი ხელში გაქვავებულ კრი-
ლოსნით.

გრიგოლ ზანდაროვი თეთრი ლიზას
გვერდით დადგა. ამან, რათა გრიგოლს
გამოლაპარაკებოდა, ამოიხზრა და ჩუ-
მად უთხრა:

— მაგ საცოდავს მთელი დღეა პირ-
ში ნაწილი არ ჩაუდგია, არც წყალი და-
უღუვია. მე და ვარდისმონამ ვერაფე-
რი გავაწყეთ, ფეხზე ვერ წამოვყენეთ.

გრიგოლმა თვითონაც ვერ გაიგო
როგორ მოხდა. შუშანიკს მიუახლოვდა,
მის ყურთან დაიხარა და მორიდებით
ჩასჩურჩულა: „ჩემო დაო, ცოტახანს
დაისვენე, ძალ-ღონე მოიკრიფე“. დე-
დაბერი ოდნავ შეინძრა, ხელში კრია-
ლოსანი შეუთამაშდა. შუშანიკი მორჩი-
ლად წამოდგა, გრიგოლს გააკვია. მათ
უკან დედაკაცებმა ერთმანეთს გადაუ-
ჩურჩულეს:

— აი, ნახვთ, ჯეელი ზანდაროვი შუ-
შანიკას ცოლად შეირთავს. აკი ერთხელ
დანიშნულებიც იყვნენ! ეხლა რაღა შე-
უშლით ხელს? გრიგოლ ზანდაროვი
ლამაზი კაცია, შუშანიკი კი კატების
ნათრევს დამსგავსებული, მაგრამ ფერ-
შანგოვის ქონებაზე უარს არ იტყვის.

დედაკაცების ნათქვამს ყველამ ხელი
ჩასჭიდა. ქორი ჯერ ფერშანგოვის სახ-
ლის ოთახებში, ტალანებსა და დერეფ-
ნებში, აივანზე და პარმალზე დაირხა,
მერე ეზოში გავიდა, ეზოდან ქუჩაში,
ქუჩიდან უბანს მოეფინა და ბოლოს
მთელ ქალაქს მოედო.

როცა შუშანიკი ექვეყნელებულის
ოთახში დაბრუნდა დედაბერიც სარე-
ცელთან დაიჩოქა, დედაბერმაც მის
გვერდით მოიყარა მუხლი, თავის პა-
ტარა თავი შვილიშვილის თავთან ახ-
ლოს მიიტანა და ჩურჩულით ჰკითხა:

— გრიგოლმა რა გათხრა?

— მანუგეშა, წყალი დამალკვინა.

— კეთილი და ზრდილობიანი ყმა-
წვილია. ფირუზაც კარგი კაცია, თავა-
ზიანი, სალმიანი. ეგენი აფსუსები არი-
ან თეთრი ლიზას ხელში.

„ოჰ, რა ცუდი ენა აქვს დიდდა-
ჩემს“ — წყენით წამოიძახა თავა
გულში შუშანიკმა, რადგან მყისვე გა-
ახსენდა მისდამი ყოველთვის ყურად-
ღებიანი თეთრი ლიზა.

ამ დროს თეთრი ლიზა ერთი ფიქ-
რით იყო გართული. დედაკაცების ჩუ-
რჩულით ნათქვამმა მის ყურამდეც მი-
აღწია, გაოცდა და დაიბნა. არ იცოდა, რა
ეპასუხა ქორიკანა დედაკაცებისათვის.
ჩვეულებრივ ენაჭარბალა ქალის დუ-
მილმა ექვიც და ქორიც კიდევ უფრო
გააძლიერა. თეთრმა ლიზამ ქმარს დაუ-
წყო ძებნა. ფირუზა ზანდაროვი სოვ-
დაგრებთან ერთად აივანზე იდგა. ცოლ-
ქმარმა აივნის კუთხეში გააბეს ჩურჩუ-
ლით ლაპარაკი.

— სულ არ მიყვირს, რომ მაგას ლა-
პარაკობენ, — ეუბნებოდა ფირუზა
თეთრ ლიზას, — მაგრამ ბურნუთოვის
სახლის მდგმური ზანდაროვებს რძლად
აღარ ეკადრება!

ქუჩაში გამოფენილ ხალხში ფირუ-
ზამ აივნიდან ცოლს მარგალიტა დანა-
ხვა.

— იმ ქალს ხედავ, ლიზაჩან?

— ქა, როგორ არა ვხედავ, კინტოე-
ბი დაათრევენ, ეგ ყველამ იცის.

— ბურნუთოვმა მითხრა, რომ შუშა-
ნიკა მაგ ქალის დოსტი ყოფილა.

თეთრმა ლიზამ წარბებიც ასწია და
ტუჩებიც აიბზუა. ქმარმა გააფრთხილა:

— დედაკაცო, არამც და არამც, რაც
გითხარი, ხალხში არ წამოგცდეს. ფერ-
შანგოვის დედასაც და ქალსაც პატი-
ვისცემით უნდა მოვექცეთ.

თეთრმა ლიზამ ჭერ დედაკაცებში დარბეული ქორი გააქარწყლა, მერე დედაბერს შეურვიდა. დედაბერი გაკვირვებისაგან ისე გახდა, რომ ხელიდან კრიალოსანი გაუვარდა. თეთრა ლიზა არ დაიბნა, კრიალოსანს დასწვდა და დედაბერს მოწინებით მიაწოდა.

ფირუზამ ეს ფანჯრიდან დაინახა და მყისვე კედლისკენ მიტრიალდა, რათა მისი გაკინებული სახე არც ქირისუფლებს შეემჩნიათ და არც სამძიმრისთვის მოსულთ. აივნის რიკულს გაჰყვა და სოვდაგრებს შორის ჩადგა.

მარგალიტა ისევ ქუჩაში იდგა, იმოდენა ხალხში აღბათ ისე არავინ არ განიცდიდა შუშანიკის მწუხარებას, როგორც მისი მოახლე ვარდისმონა და ქუჩაში მდგარი როსკიბი ქალი, რომელსაც ფერშანგოვის სახლში არავინ შეუშვებდა და ვერც თვითონ გაბედავდა შესვლას.

7. მარბალიტას მხარველი

მან ყვეთელი ბილეთი იმის გამო მიიღო, რომ ზეპავე შეიღებო შეიშლიათ მელეპებოდნენ, ჩვენთვის გასწირა თავი!

ო. დონტოვესკი, „დაწამული და ხასყელი“.

ტყვიისფერი ღრუბლები დაბლა ჩამოწოლილიყო. გაავდრებას აპირებდა. სუსხიანი ქარი უბერავდა. ხოვჯიანქის სასაფლაოზე ხეები წელში იღუნებოდნენ. აბუზული ადამიანები მატურებს ეფარებოდნენ. ტერტერა საწყალობლად ლაღებდა, თან ღროგამოშვებით მოქუფრულ ზეცას ავლებდა თვალს.

ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ფირუზა ზანდაროვი იდგა გაშლილი ბაღდადით ხელში. თვალებიდან გაზაფხულის მტკვარივით შეუჩერებლივ დიოდა ცრემლი; ისეთნაირად ზღუქუნებდა, რომ ყველას უნებურად ცრემლადღებოდა თვალზე.

გიგა შორიხლო ტორტმანებდა. სახეზე მიწისფერი ეღო და თავს მადლა არ იღებდა.

თეთრ ლიზას ფერშანგოვის დედის

მკლავი ეჭირა და ხელს არ შეშვებდა, რათა მისი ადგილი სხვა დედაკაცს არ დაეჭირა.

გამტყანარებულ შუშანიკს ცრემლი გამოობოდა. სასოშიხილი დაყურებდა დედის ცხედარს. უკანასკნელად გაისმა მისი ჩახლეჩილი კივილი და გულისმომკვლევი ძახილი: „მიირიკ! მიირიკ!“

ქირისუფლები დედაკაცებმა განზე გაიყვანეს და ერთი საფლავის გრძელ ქვაზე დასხეს.

კუბოს ფიცრებზე ბელტების რახარუბი ატყდა. შუშანიკმა თავი ხელსახოცში ჩარგო და მწარედ აქვითინდა.

უცებ ყრუ სიცილი გაისმა. მატურებს შორის დაფეთებული მარგალიტა დარბოდა. უკან კინტოები მოსდევდნენ. ისინი ჭერ ხმადაბლა ცდილობდნენ მის განზე გატყუებას, მერე ყიყინა დასცეს, ნადირივით დამფრთხალმა მეძავემ არ იცოდა, როგორ ეშველა თავისთვის; სასაფლაოზე მოსულ პატიოსან ხალხს ვერ ეყარებოდა, გასაქცევი გზა კი შეკრული ჰქონდა.

სოვდაგრები ავბორცული ღიმილით უყურებდნენ სეირს. დედაკაცები ქოქოლას აყრიდნენ მარგალიტას.

— რას იპრანქები, ლამაზო?

— იქით გაუხვიე და მორჩა.

ერთმა ახმახმა კინტომ მარგალიტას თავიდან ქუდი გადაუგდო, წელზე ხელი შემოხვია და ისე დაითრია, როგორც ყასაბი დასაკლავ ცხვარს ითრევს ხოლმე.

სოვდაგრებმა ხარხარი ატეხეს. სოვდაგრის ცოლებმა გაწითლებული სახეები განზე მიაბრუნეს.

შუშანიკმა დაიკვნესა და წამოდგომა დააპირა. დედაკაცებმა ხელი სტაცეს.

ფერშანგოვის დედამ ავად ჩაიღიმა და აბუზებული ტუჩებით თეთრ ლიზას გადმოხედა. ამანაც მისი გულის მოსაგებად თავი გადაიქნ-გადმოიქნია.

ანაზდად სოვდაგრებს „ვაჰ“ ამოხდათ. გიგა ზანდაროვი ერთი ნახტომით ახმაბი კინტოს წინ გაჩნდა, მკლავი ღონივრად გაიქნია და მაგარი სილა გაუშალა. მარგალიტა ხელიდან გააგდებინა.

ახმაზმა კინტომ ბრვე ვაქაცს მტრულად ახედ-დახედა, მაგრამ ხელი ვერ გაანძრია. ერთმა ყვიციანმა კინტომ გიგას წინ შემოურბინა, გაწვრილებული ხმით მიამბა:

— დღე შენია, ღამე ჩვენი, ჩასპანდო, არ გინდა ქალაქის ქუჩებში გაიარო?

გიგას კინალამ გაეცინა, ხელი მალა ამართა. ყვიციანმა კინტომ ელამი თვალი მიშით შეანათა, გაიძურწა და მატურებს შორის დაფანტულ კინტოებს თვითონაც უკან დაედევნა.

შუშანიკმა თავის ყოფილ საქმროს მადლობის ისეთი თვალებით გადმოხედა, რომ გიგას რაღაცენაირად გაახსენდა თავისი უკვე დავიწყებული სიყვარული.

— ჯერ ისევ გაუხედნავია. — ჩაიბუზღუნა ფირუხამ. სოვდაგრების გასაგონად კი ხმაძალდა თქვა:

— არ ვიცი, სხვის საქმეში ცხვირს რათა ჰყოფს?!

— ახალგაზრდაა, ფირუხან, ჭეელი სისხლი უდღულს, — თანაგრძნობით უთხრეს სოვდაგრებმა, — დადინჯდება და ხელს უბრალოდ არ გაისვრის.

ხელად გაიმართა სოვდაგრული სჯაბაასი და ამის შესაფერისი შენიშვნები.

— მაგან არ იცის, რომ სხვისი მაცხონებელი უცხოებელი კვდება! — თქვა ერთმა.

მეორემ წყალობასავით გაიმეტა:

— მიიკითხ-მოიკითხავს და გაიგებს! ნათქვამია, კითხვის კითხვით კაცი თერამს წავაო.

მესამემ გაიკვირვა:

— მაგას რა გზის გაგნება უნდა, გაგნებული აქვს და ეგ არის!

მეოთხემ დაუდასტურა:

— ქარვასლაში მაგასავით ვინ ირჯება!

სხვები თავიანთი აზრიდან ფეხს არ იცვლიდნენ, ყაყანიტ ერთსა და იმავეს გაიმბზოდნენ:

— სოვდაგარმა ასეთ საქმეში უბრალოდ ხელი არ უნდა გაისვაროს!

წვიმამ წინწყველა დაიწყა. ტერტე-

რამ ქოლგა მოიმარჯვა და თავდაღმართისკენ გაქანდა. სხვებაც სიჩვილსირბილით დაეშენენ თავდაღმართში.

ფერშანგოვის დედას სიარული უჭარბდა. თეთრ ლიზას ისევ მისი მკლავი ეჭირა, მაგრამ წელანდელი მოწიწებით აღარ ექცეოდა, ჩქარობდა და აჩქარებდა, ახალი თავშალის დასველება ენებობდა.

მუხრან-ბატონის ხიდის ნანგრევთან გაღმა ნავტიკებით გავიდნენ და ანჩისხატის უბნისკენ გაუხეიეს. თეთრმა ლიზამ უკან მოიხედა. ფირუხა სოვდაგრებთან ერთად მოდიოდა. გიგა არა ჩანდა. გაუკვირდა, თან ეწყინა კიდევ თვალტანადი გიგას ნათლობებში, ქორწილებში და ქელეხებში გამოჩენა ბევრს შევიტო ახარებდა. ახალგაზრდა ღამაზ მამაკაცს ყველანი შეფრფინებით უყურებდნენ. დარდიმანდები თავს ევლებოდნენ და მის დოსტობას ჩემულობდნენ. დედაკაცები ნერწყვს ყლაბავდნენ. გოგოები ყაყაჩოსავით წითლდებოდნენ. გაბრწყინებული თეთრი ლიზა თავმოწონედ იჭდა, თავის ყალბ დალალებს ისწორებდა და თავის სოროსავით დაღებულ პირზე კმაყოფილი ღიმილი უციმციმებდა.

თეთრი ლიზა თან ფერშანგოვის დედას მიართევდა, თან უკან იხედებოდა, თან ზეცას შესცქეროდა და წვიმის იშვით წინწყლებს თავს არიდებდა.

— ქა, რა დაგემართა? — გაბრაზდა ფერშანგოვის დედა, — რისი გემინია? ვითომ ჯერ წვიმამი არ გიგვლია?

— მე ჩემი დარდი არა მაქვს, მიირიყვანი! — არ დააყოვნა პასუხი თეთრმა ლიზამ, — მეშინიან ფეხი არ დაგისველდეს.

— არხეინად იყავი, — გულგრილად დაუბრუნა დედაბერმა, — მეც შენსავით ბევრი ტალახი ვზილე! ჩემი რძალი ანუშასავით ჩემს დედამამს აზიზად და ნებივრად არ გაუხდივარ.

თეთრი ლიზა შეკრთა. ახლადღამარხულ რძალს დედამთილი არც ახლა აკლებდა ავ სიტყვას.

— „მიწამ გიყოს პირი, აჰანდე!“ —

გელში დაწყველა თეთრმა ლიზამ, — აგრე რამ გაგიქვევა გული? საწყალმა ანუშამ ისეთი რა დაგიშავა, რომ აღარც მკედლარს უსვენებ?" — ისევ მოწიწება გამოეხატა სახეზე, — აქეთ გადაუხვიოთ, მაირიკვან, აქეთ ჯერ მიწა არ დასველებულა.

წვიმამ სწორედ მაშინ დაუშინა, როცა ჭირისუფლები და ქელები სტუმრები ფერმანგოვის სახლის დიდ ეზოში შელაგდნენ. შუა ეზოში გაჩაღებულ ცეცხლზე შილაფლავის უზარმაზარ ქვაბი იდგა, თხშივარი ასლიოდა და ბრინჯში ჩახარშული მსუქანი ცხვრის სუნს აფრქვევდა. დამშეულ სტუმრებს უარესად მოშივდათ. გრძელი აივნის ქვეშ ჩამწყვრივებულმა ბიჭებმა ხელები გადააბანინეს, მათს მხრებზე გადაგდებულ ფესტიმალეზე შეიწმინდეს, კიბე ააჭრიალეს, ოთახებში შევიდნენ, გაშლილ სუფრას დინჯად შემოუსხდნენ, ამოიხურეს, მაგრამ ცალი ფვლით სუფრას ხარბად დააცქერდნენ და ჯერ მხოლოდ თითო ყლუბი ღვინო მოსვეს. სანამ ტერტერას სუფრის თავში დასვამდნენ, ზოგმა კიდევ გაჰკრა ხელი შავ ხიზილალას, ნაცრისფერ ხრამულს და ყვითლად დამდნარ ზურგიელს.

თეთრი ლიზა კაცების ოთახისკენ გაიქცა.

ფირუზას ყურში ჩასჩურჩულა:

— ჭა, გიგა საღლა არის?

ფირუზამ ცოლს შეუბღვირა. თვითონაც უკმაყოფილო იყო და გაბრაზებული. ეს მის ჩურჩულითვე ნათქვამში მკაფიოდ გაისმა.

— არ იცი, ვისთან ეგდება?

— ჭა, ამ დროს ვისთან უნდა იყოს?

— ხელწიფის ცოლთან! — გააჯვრა ფირუზამ, — არ იცი, ვისთან დაეთრევა?

— ჭა, რაღა მკა და რაღა მაიკო! —

წამოსცდა შეშფოთებულ თეთრ ლიზას, — მეორედ ეგრე რამ გადარია?

ფირუზამ ცოლს თვალელები დაუბრიალა.

— დედაკაცო, ეგ არსად წამოგედეს, უარესად თავი არ შევირცხვინოთ.

— მაგდენი მეც ვიცი, ფირუზამ, შენ ეს მითხარი, დედაკაცებს რა უთხრა?

ფირუზა მოლბა. ცოლს ცბიერად გაუღიმა, თან შეეშინდა თეთრ ლიზას არაფერი წამოსცდენოდა. სწრაფად გადაულაპარაკა:

— მოვა, დარდი ნუ გაქვს.

— შენ ეგ საიდან იცი? გითხრა რამე?

— დახლიდარი აღარ არის, სოვდაგარია. ჭკუა გაუჭრის. — თქვა და ცოლს ზურგი შეაქცია.

თეთრი ლიზა ფეხის წვერებზე შეტრიალდა და ქალების ოთახისაკენ გატუსტუსდა.

8. მერიამ-ბავშვის სახლის სტუმრები

ნაყიდი სიყვარულის ცდუნებანი უფრო მიზიდველია, ვიდრე სინამდვილე.

ონორე დე ბალზაკი, „დედაშვილ ბებბა“.

სოვდაგრებთან ლაპარაკით გართულ ფირუზას გიგა შეუმჩნევლად გაუსხლტა. ვანქს წინ რომ ჩაუარეს, ახალგაზრდა ზანდაროვმა ორბელიანების უბნისკენ გაუხვია. დაფიქრებული მიდიოდა. ბოლო ზანებში სულ რაღაც აწუხებდა, ტანჯავდა და აწვავდა.

ფერმანგოვების ოჯახში დატრიალებული უბედურების მოწმე და მონაწილე ზარდაცემულივით იყო. სინდისი ქენჯნიდა. ფირუზა ზანდაროვთან შეხვედრის დღეს წყევლიდა. შუშანიკა თვალს ველარ უსწორებდა. მისი გოდება გულს უკლავდა და სულს უმღვრევდა. ცდილობდა მისგან შორს ყოფილიყო, რათა მისი ხმამაღალი ურვა და სასომიხილი ძახილი „მაირიკე! მაირიკე!“ არ გაეგონა.

თავდავიწყებას იგი მხოლოდ მაიკო კერტანიძესთან პოულობდა.

ახლაც მისკენ მიიღტვოდა, რათა მის აფორიაქებულ სულზე მაჯალაქუნასა-

ვით დაწოლილი ნაღველი თუ ბოღმა გულიდან როგორმე გადაეყარა.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ეწინოდა ფირფხა არ დაწეოდა და უკან არ დაებრუნებინა. ყაბახი გადაჭრა, იესე მეფის საფლავს ვასცდა და მტკვრის ნაპირზე ორსართულიან სახლს მიაღგა. სახლი კლდის ქიშხე იყო ამართული. მისი აივანი და ფანჯრები მტკვარს გადასცქეროდა. წინა მხარეს ნუშის ტევრა ეკრა, რომელიც გარეთუბნის მთელ სიგრძეზე იყო გადაქიმული, შემალღებულ ბეჭობს მიჰყვებოდა და ზევით, მარმარილოს წყაროსთან მთავრდებოდა. უკანა მხარეს გულლია სახლი მალალი აკაცებით იყო დაბურული. ახლომახლო სხვა სახლი არ მოჩანდა, არც ვინმე ჰაჭანებდა საღმე. ამ სახლში სახეზე პირბადე აფარებული ქალები მოდიოდნენ, მარტო ან მამაკაცების თანხლებით. მამაკაცებსაც საყულოები ყურებაზე ჰქონდათ აწეული, ხოლო ქედები თვალბამდე ჩამოფხატული.

ქალაქგარეთ, განმარტოებით მდგარი სახლი მერიამ-ბეგუშს ეკუთვნოდა. მისი ვინაობა და ეროვნება არავინ იცოდა. მუსლიმანად ითვლებოდა, მაგრამ მეჩეთში არასოდეს დადიოდა. სომხურად, სპარსულად, თურქულად და არაბულად თავისუფლად ლაპარაკობდა. ქართულიც მშვენივრად იცოდა, ოღონდ ცოტა ენას უკადგებდა. რუსულად ბორბიკობდა, მაგრამ ნათქვამს კარგად იგებდა და თვითონაც კარგად აგებინებდა (მის მუშტრებს შორის, თავზე ხელაღებულ ოფიცირებს ვარდა, მალალი წრის მოხელენიც იყვნენ და თანდათან იწაფებოდა). მერიამ-ბეგუში ყველას იცნობდა, ყველასთან გაწინაურებული იყო და ყველგან დაძვრებოდა, რათა ლამაზი ქალი და გოგო არსად გამოჩენილიყო.

სტამბოლში, თეირანში, ისფაჰანში, შუშაში და ასტრახანში ნაცხოვრებ ქალს ბარონ როზენის დროს დროგამოშვებით დილეგში სვამდნენ და სულთნისა და შამილის მსტოვრობას აბრალებდნენ. ბოლოს მირზაქანას ჩააბარეს

და ქართველ არისტოკრატებში დაატრიალეს. თავდაპირველად მას ავანტურის უბანში ერთ მიყრუებულ სახლთან ერთო წითელი ფარანი, შემდეგ გარეთუბნისკენ გაწეულ არისტოკრატებს თან გაჰყვა. ჯერ ისევ გაუქაფავ ნუშის ტევრში სახლი აიშენა. არავინ იცოდა რითი და როგორ. თამამი იყო, ურცხვი. მოურიდებელი, შემპარავი და ცბიერი, ხარბი და გაუმადლარი. მთელ ქალაქში ფოსტის ცხენით დარბოდა და ქორთვა გოგოებს პოულობდა იმათთვის, ვისაც არშიყობა ეზარებოდა ანდა სიყვარულს ფულით ყიდულობდა.

მაიკო კურტანიძე და გიგა ზანდაროვი შემთხვევით მოხვდნენ მერიამ-ბეგუშის სახლში.

ბართლომე კურტანიძე ხარაჩოდან ჩამოვარდნილიყო და ფეხი ეღრძო. თავზე ბაჯიაშვილი ადგა და მტურნალობდა. გიგა მაიკოს ხშირ-ხშირად ნახულობდა, მაგრამ ერთმანეთს ვერ ეკარებოდნენ, საალერსო ადგილს ვერ პოულობდნენ. გიგა აღმოდებული თვალებით სჰამდა მაიკოს, გულში კი ბართლომე კურტანიძის დაუდევრობას აგინებდა.

არც ბართლომე იყო მოსვენებული. ბაჯიაშვილი ფეხზე შემოქერილ არტაშანს არ უხსნიდა, მოთმინებას ურჩევდა. ბართლომე ბუზღუნებდა, ჯიბის დანით ჩხირებს თლიდა და ამით ირობდა თავს. მაიკოს სულ ცოცხი ეჭირა ხელში, ნათალს ჰგვიდა და ერთ კუთხეში აქუნებდა, რათა შემდეგ აქანდაზით გადაეყარა.

საყვარლის ყურება მაიკო კურტანიძეს აცინებდა და აფითრებდა კიდეც. კარებს უკან და მოფარებულებში კოცნა ახალგაზრდა ქალსა და კაცს წყურვილს ვერ უკლავდა. მაიკოს მხურვალე ტანი გიგას თავებრუს ხვევდა, იმის ძუძუებს მაიკარება თვალს უბნელებდა.

გახდა. გაფერმკრთალდა.

მაიკოს გიგაც ეცოდებოდა და საკუთარი თავიც, მაგრამ არ იცოდა რა გზას დაედგომოდა.

გარეთ ვადაუღებლად წვიმდა. ქი-

ლაქგარეთ ვერსად წაეიდოდნენ. არც ზანდაროეების სახლში მიესვლებოდათ გამდიდრებული და ვადიდკაცებული ფირუზა ხალხის დაღდაღანს ერიდებოდა, თეთრი ლიზა სოვდაგარების ოჯახებში სარძლოს დაქებდა თავისი მია-მიტი მახლიშვილისათვის.

ლოდინით მობეზრებულმა გიგამ საყვარელს ძალღოსებნელი ზაქარას ოთახი შესთავაზა. მაიკომ შორს დაიჭირა. ამ ოთახში, დედამთილთან ერთად, ცხრა ძმას და ცხრა რძალს ერთ ტახტზე ეძინა. უარის სათქმელად სხვა რამეც მოიმიზეზა. მდიდარი ალაფი ცოლს ღარიბთა ქოხებში გამოჩენა არ ეკადრებოდა. თან ისიც გაიხსენა, რომ ღარიბები თავიანთი სახლის ზღურბლზე მრუშობას ფეხს არ ადგმევინებდნენ. ძალღოსებნელი ზაქარას მსგავსა ამოღლანი ღარიბთა შორის თითო-ორ-ოლა იყო, უმრავლესობა კი პატიოსანი ლუქისათვის დებდა თავს და ცოლ-შვილში პატიოსნად ცხოვრობდა.

ეს გიგამაც კარგად იცოდა. თუმცა ღატაკი ქალის სილა ახლა მხოლოდ ბუნდოვნად აგონდებოდა. თავი ჩაჰკი-და. ვაგონებულს ფირუზა გაუწყრა, ლანძღვითა და გინებით აიკლო. ქარვას-ლაში მაგრად დააბა.

ახლა მაიკო კურტანიძე ააწრიალა გიგას უნახავობამ. მუდამ კრიალა სიცილი ტუჩებზე გაეყინა. გაბრაზებული ქმარს წაეჩხუბა, ფეხზე წამოდგომას აჩქარებდა. ბაჯიაშვილი უარის ნიშნად თავს აქნევდა. დანის წვერით სიბ ქვაზე თავის მალამოს ლესავდა, თან უღვაშებში მაცდურად იღიმებოდა.

ბართლომემ მაინც წამოიწია, მაგრამ ტყვილმა საბე დაუღრიჯა, ბალიშებზე უკანვე გულაღმა გადავარდა. მკურნალს მუდარით შეხედა, ტყვილის გაყუჩება თხოვა. ბაჯიაშვილმა მხრები აიჩენა. ბართლომეს ისევე მოთმინება უჩრია. იარაღ-წამლები ბოხჩაში გამოჰკრა, ცოლ-ქმარს თავი დაუჭრა და არბენინად წაეიდა.

მაიკომ ველარ მოითმინა. ერთხელ,

სალამო ხანზე, ქარვასლიდან გამობარული გიგა აიენის ბოლოშენი გავიგვანა, წამოწითლებულმა წაუჩურჩულა.

— ერთი სახლი ვიცი, გიგაჯან, იქა ენახათ ერთმანეთი.

ნამარხლევით გიგა დაუფიქრებლად დაეთანხმა.

მაიკო კურტანიძე ჩადრში ისეთნაირად გაეხვია, რომ მხოლოდ ცალი თვალი და ორი ფეხსაცმელი გამოუჩნდა. ახალგაზრდა ზანდაროვი მას შორიან-ლოდან აედევნა.

ორივენი მერიამ-ბეგუმის სახლს მიადგნენ.

8. პივიანოვა

მეფს ქვეშ დააყენეთ, თუ გნებოთ, თქვენს სიყვარულის საგანი, ქალი ან ძალი, მაგრამ ნურასოდეს მეფს ქვეშ ნუ დააყენებთ თვითონ სიყვარულს.

ალფრედ დე მუზე, „საყუენის პირში ალხარება“.

როცა გიგა ზანდაროვმა მერიამ-ბეგუმის სახლში კარგად მიიხედ-მოიხედა და ცოტათი გონზე მოვიდა, ძველი ეჭვი განუახლდა, აბრიალებული ცეცხლივით შემოენთო და დასდავა. საყვარელს ცერად დაუწყო ყურება. მაიკო კურტანიძემ უგუნებობა შეატყო. რაღაცნაირად აწრიალებული საყვარლის მიკბულ-მოკბული სიტყვებიდან იგი ზოგ რამეს გებულობდა, ზოგსაც გუმანით ხვდებოდა.

ფერშანგოვის ოჯახის უეცარმა დამხობამ მისთვის ყველაფერი გასაგები გახადა. ახალგაზრდა ზანდაროვის უგუნებობა მან ფერშანგოეების ოჯახში დატრიალებულ უბედურებას მიაწერა.

მაიკო კურტანიძეს ეღიმებოდა, როცა გიგა ზანდაროვის ფერშანგოვის ქალის მეურვედ გახდომის ამბავი აგონდებოდა. აქაც ფირუზას ნახელავს ამჩნევდა. მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ ამ ცბიერი მელისას ახალგაზრდა ნათესავი (მას ვაგიყებით რომ უყვარდა) ამდენ ვერაგობასა და ბოროტებას ვერ გაუძლებდა, ვერ აიტანდა. ტანჯვას ამჩნევდა, მაგრამ ვერ უმსუბუქებდა.

საყვარელთან სოვდაგრული ლაპარაკი არ უნდოდა. ისიც ზანდაროვი იყო. ფირუზასავით ისიც ბართლომე კურტანიძის მეტოქედ ითვლებოდა. ამიტომ კურტანიძეების ანგარიშის და ნუსხების დავთარი მას იმისთვისაც დახურული ჰქონდა, ვისთვისაც თვით სიცოცხლესაც არ დაიშურებდა. სამაგიეროდ საყვარელს იღუმელ ჰმუნვას ვენებიანი ალერსით უქარვებდა. ამიტომ მორბოდა მასთან გიგა ზანდაროვი, ამიტომ მოილტვოდა მისკენ.

ქალი თავისი მიხვედრილობით ამყოფებდა, თავისი ბასრი ჰკუთის სჯეროდა. ქალურ ალღოში გულდაჯერებული მარცხსაყვარლის გვერდულად ყურებას ამჩნევდა და ვერც იმას, თუ როგორ უბღვერდა იგი მერიამ-ბეგუშს. ამ გარყვნილი დედაკაცის მთელი გარეგნობა და მუდამ პირზე აყრებული ბილწი ღიმილი რეტს ასხამდა ახალგაზრდა კაცს, გონებას უმღვრევდა, ეჭვს ისეთნაირად უძლიერებდა, რომ მზად იყო სატრფოს ყელში სცემოდა და აქვე მისთვის ყველაფერი ეთქმევინებინა.

ექვიანობის გრძნობა გიგას ფირუზასთან ერთად ჩადენილი ავკაცობის შეგნებამ გაუნელა. თავიც დაავიწყდა და მაიკოც. ზარდაცემული დაიარებოდა. მომხდარ ცოდვას თუ დანაშაულს გაურბოდა, ემალებოდა.

ახლაც ამიტომ მორბოდა მაიკოსთან, რათა ყველაზე მახლობელ ადამიანთან თავდავიწყებას მისცემოდა, სულ უბრალო რამეებზე ელაპარაკა, ოღონდ იმაზე არ ეფიქრა, რაც ტანჯავდა და აწვალებდა.

როცა გიგამ დაქირავებული ოთახის კარი შეაღო, უსიამოვნოდ შეიმუშუნა. ტახტზე მაიკო და მერიამ-ბეგუში ერთად ისხდნენ და კისკისებდნენ. მერიამ-ბეგუში მაშინვე ფეხზე წამოდგა, გიგას თავი დაუქრა და ოთახიდან გავიდა.

მაიკომ საყვარელი შორიდან ყურადღებით შეათვალიერა.

— დამარხეთ? — ჰკითხა მან და თან თავის სიტყვას ირონიულად პილპილი დააყარა.

გიგამ ხმა არ გასცა. ცხვირჩამომწეული იდგა.

— ქა, რამ დაგამუნჯა? — შესძახა მაიკომ, — ბართლომე კურტანიძისაგან ხომ არ გადაგედო?

გიგამ არც ახლა გასცა ხმა. გაღებულ ფანჯრისკენ მიტრიალდა. გადაეყუდა. მტკვარს გადახედა. მტკვარიც მასავით პირმოქუშული იყო, მღვრიე ზვირთებს მღორედ მოაგორებდა.

მაიკო მყისვე გვერდით ამოუდგა, მიეტმასნა, თავი მხარზე ნაზად დაადო. ამ ფანჯრიდან ერთად ყურება უყვარდათ. ქუკის უბნისკენ იყურებოდნენ. ორთავე ერთსა და იმავეს ფიქრობდა იქ, იმ უბანში, წყლის წისქვილების ზემოთ, იღებდა სათავეს მათი საყვარელი. პირზე მიამიტი ღიმილი უქართოდ და ერთმანეთს უსიტყვოდ ელამუნებოდნენ.

მაიკომ ფრთხილად შეაგლო თვალი საყვარელს.

— ქა, რამ გაგაჯავრა, გიგაჯან?

გიგა მისკენ ჩქებურად მოტრიალდა, თვალი თვალში გაუყარა, მოულოდნელად პირში მიახალა:

— მერიამ-ბეგუშს შენ საიდან იცნობ?

მაიკო გაშრა. არ მოელოდა. ნაფიქრი და ნაზრევი ხუხულასავით დაეგრა. საყვარლის უგუნებობის მიზეზს მყისვე მიხვდა. თვითონვე დასცინა თავის ქალურ ალღოსაც და გუმამსაც, „ფი!“ — წამოიძახა გუნებაში ოდნავ შემფოთებულმა მაიკომ, — ფირუზა ზანდაროვის გაზრდილის გულწვილობა რატყუილად დავიჯერე!“

გიგა მას სუსხიანი სახით უყურებდა. მაიკომ ირიბულად გახედა. ექვიანობით დატანჯულ მის სახეს თვალი ჰკიდა. სიამოვნებისა და სიხარულის გრძნობამ, ერთიანად აიტაცა, ტანში ყრუანტელად დაუარა. გიგა ზანდაროვს უყვარდა, ნამდვილად უყვარდა. უყვარდა, რადგან ექვიანობით იტანჯებოდა. ერთხელ კიდევ დარწმუნდა მაიკო, ერთხელ კიდევ გაიხარა.

ამ დროს რაღაცნაირად მხიარულდე-

ბოდა. გიგასთან გათამაშება მოუნდა, მისი გაჭაერება. პირზე გაკვირვება აისახა.

— საიდან იცნობ-მეთქი? — მტკიცე ხმით გაუშეორა გიგამ.

მაიკო უარესად გაოცდა.

— არ ვიცი ჩემგან რა გინდა, რას მეკითხები?

— მერიამ-ბეგუმს სად შეხვდი? როდის შეხვდი?

— ქა, უხლა ნათლობის ქალაღდი მომთხოვე შენ უკან რათ იხედები? წინ იყურე. თუ აქ დამიჭერ, — გაღიზიანა მაიკომ, — ყოჩაღ კაცს დაგიძახებ.

ამ აგდებულად ნათქვამმა სიტყვებმა გიგას ექვს უფრო ძლიერი ცეცხლი წაუქედა. სახე დაეღრჩია. ღამაში და მოხდენილი მამაკაცი უცნაურად დაუშინოდა. ძლივს ამოთქვა:

— მითხარი-მეთქი...

— რა უნდა ვითხრა, გიგაჯან? — მიესიყვარულა მაიკო. თან გულში გაიფიქრა: „იპ, რა ტუტუტეები არიან კაცები!“ მაგრამ აღუღვებულ გიგას რომ შეხედა, შეშინდა, თავისთავად წამოცდა:

— დიდი ხნის წინათ შეხვდები.

— როდის? სად? რათა?

— ერთ კაცს ვუნდოდი. მერიამ-ბეგუმმა მიპოვნა და იმ კაცთან მიმიყვანა. ზანდაროვი გაფითრდა.

— ვის უნდოდი? რომელ კაცს?

მაიკო წამოწითლდა.

— თავი გამანებე, არაფერსაც არ გეტყვი.

ზანდაროვიმა ჯერ ზიზლით გადახედა მას, მერე ფანჯრის რაფაზე მიგდებულ ქედს მისწვდა, ვაჭკვეა დააპარა. მაიკოს შიშმა სახე აულანძა, საყვარელს ყელზე ჩამოეკიდა, დაბნეულად ჰკითხა:

— სად გარბიხარ, გიგაჯან?

— მითხარი და დავრჩები.

— მრცხენიან და რა ვქნა?

— მითხარი, მითხარი რომელ კაცს უნდოდი.

— მირზაჯანას.

ზანდაროვს მიწისფერი დაედო სახეზე. საყვარელი ხელის კვრით მოიშორა,

თავზე ქედი დაიხურა და ზურგი ზიზლით შეაქცია. კარებისკენ გაემართა რადგან ყველა ეჭვი დაიჭრა და მაიკოს სიყვარულსაც ჯვარი დაუსვა. მაიკო მოსი. ჩოხის კალთას მოეჭიდა, მუდარით შესძახა:

— მოიცა, გიგაჯან, მოიცა. ჯერ ხომ ყველაფერი არ მითქვია?

— კიდევ რა გაქვს სათქმელი? ამაზე მეტი რაღა უნდა მითხრა? — თავის მოუბრუნებლად გადმოუვლო გიგამ. მის ხმაში ისეთი ზიზლი გაისმა, რომ მაიკოს კანკალი აუფარდა.

— გეტყვი, გიგაჯან გეტყვი.

გიგა მოუბრუნდა. თვალებში ჩახედა.

— მითხარი.

— ჯერ ქედი ფანჯარაზე დადე. ყველაფერს გეტყვი.

გიგამ ქედი ფანჯრის რაფაზე მიადლო, გულხელი დაიკრიფა. მაიკო კურტანიძის აღსარების მოსასმენად მოემზადა.

— ჯანი გავარდეს, გეტყვი! — წამოიძახა დაწყენარებულმა მაიკომ, რადგან გიგას ქედი ისევე ფანჯრის რაფაზე დაინახა, — მოდი, ტახტზე ჩამოვსხდეთ. გრძელი ამბავი მაქვს სათქმელი.

10. ხელმწიფის ხარხის ამბავი

იგი ღამაში იყო, მაგრამ მის სიღამაზეს სიცოცხის ელფერი გადაჰკრავდა; არც ერთი სახე აღამიანის ხსიათს ისე სასტიკად ვერ გამოამჟღავნებდა, როგორაც მისი სახე ამჟღავნებდა.

ა. გერცენი, „განდოლი და ნაზრევი“.

გიგა შორიდან მოუჭდა მაიკოს, ახლოს მიკარება არ უნდოდა. მაიკომ ეს შეამჩნია, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. მღელვარების ნატამალი აღარ ეტყობოდა, დაწყენარებული იყო და დამშვიდებული.

— სოვდაგრებმა ხელმწიფეს ქარვასლაში დიდი სადილი რომ გაუმართეს, ხომ გახსოვს?

ზანდაროვს გაუკვირდა.

— მახსოვს. ეგ რა შუაშია?

— სწორედ ეგ არის შუაში, გიგაჯან.

ზანდაროვმა წარბი ასწია.

— ხელმწიფეს, გიგაჯან, ლამაზი ქალები თურმე ძალიან ჰყვარებია — დაიწყო მაიკო კურტანიძემ, — იმისათვის რომ ესიამოვნებინათ, ქალაქში ლამაზ ქალებს ძებნა დაუწყეს. ამათი პოვნა მირზაჯანამ მერიამ-ბეგუმს დააჯალა. სამი კნეინა შეარჩიეს და ერთი მდაბიო ქალი. მეოთხე სწორედ მე ვიყავი. აი, როდის შევხვდი მერიამ-ბეგუმს, გიგაჯანი!

ზანდაროვმა არ დაიჯერა.

— ფიე! პატიოსან ქალებს, ისიც კნეინებს, მაგას ვინ აჯალრებდა?

მაიკო კურტანიძე ისევ გაწითლდა. მაგრამ პასუხი არ დააყოვნა:

— პატიოსან ქალებს მაინცდამაინც არც ეძებდნენ. ხელმწიფეს ცოლს ხომ არა რთავდნენ? იმის გულის ბუხრისათვის უნდოდათ. პატიოსანი ქალი, გიგაჯან, გაუხედნავ ცხენსა ჰგავს. გაუხედნავ ცხენზე ჯერ მეჩინიბეს სეამენ, მერე კი ვაებატონებოც სხდებიან და მოსწონთ კიდევ. ვანა მაკა შენც ამიტომ არ მოგწონდა?! (ძველებურად უჩხუბლიტა მაიკომ, მაგრამ არ გაიციინა, სერიოზული სახით განაგრძო). — ჰოდა. ოთხივენი მირზაჯანასთან მიგვიყვანეს.

— მერე, მერე. — დაინტერესდა ზანდაროვი.

— დიდხანს გვათვალეირა. ისე გვსინჯავდა, როგორც დალალები ცხენებსა სინჯავენ. რის დალალი, რა დალალი! შენც იცი მიზარჯანა რითი სდებდა ქალს ფასსა. გვიყურა და გვათვალეირა.

— მერე, მერე.

ზანდაროვი ახლოს მიუჩოჩდა მაიკოს. სახეზე ცნობისმოყვარეობაც ჰქონდა გამოხატული და რაღაც ამაღლებელი ამბის მოლოდინიც.

— მერე მე თითი დამიდო. მე ამომირჩია.

ზანდაროვი აღელდა. აიღუნა.

— ჯა, — გულწრფელი გაკვირვებით წამოიძახა მაიკომ, — იმ მეწისქვილეზე არა ექვიანობდი და ხელმწიფეზე ექვიანობა?

— ხელმწიფის ხსენებაზე, ზანდაროვა

რდიც გამოეხატა სახეზე და ქვეშეუდომელი ალტაცებაც. მაიკოს დაშტერდა. მის გვერდით ლამაზი ქალი იჭდა, პირმწყობარი და თაფლისფერთვალეზა. ზანდაროვი გაიბადრა. თავი ამაყად მოიღერა. ახლა გულით უნდოდა თავის თავში ხელმწიფის ხარკის საყვარელი აღმოეჩინა.

— მერე, მაიკო, მერე?

— მერე? დამიწუნეს, გიგაჯან.

— როგორ თუ დავიწუნეს? — ეწყინა ზანდაროვს.

მაიკო კურტანიძემ გულიანად გადაიკისკისა, თავისი ელვარე, თეთრი კბილები გააკრიალა და ორი ღრჭოლი გამოაჩინა.

— აქი გითხარი, ცხენებივით გვსინჯავდნენ-მეთქი. პირები დავვალეზინეს, ჩემს ორ ღრჭოლს მოჰკრეს თვალი, ერთმანეთს სინანულით გადახედეს და დამიწუნეს. ეხლა ხომ გაიგე, საიდან ვიცნობ მერიამ-ბეგუმს?

— გაგიგე. — იმედგაცრუებულის იერით წარმოთქვა ზანდაროვმა.

მაიკო ისევ გამხიარულდა. ტახტზე, გაგორდა და ცელქურად წამოიძახა: „ვამე, ჩემო კარაღელო ჩალო!“

ზანდაროვმა გაკვირვებით შეხედა.

— ეგ რაღაზე სთქვი?

— შენი ძველი ღუქნის ტომრებო მომაგონდა, გიგაჯან. ამ რბილ ლოგინს, თავი არ მომიკვდება, იმ ღუქნის მარლის ტომრები მიჩვენია. რა ბედნიერი დღე იყო, გიგაჯანი!

გიგამ ფართოდ გახელილი თაფლანფერი თვალები დაუკოცნა. მერე ნიაზით ჰკითხა:

— ეგ სიტყვები ვისი ნათქვამია, მაიკო?

— ეგ ყველა ქალაქელმა იცის, გიგაჯან. შამ-აბაზს თურმე ერთი კარაღეთელი გოგო მიჰგვარეს. აბრეშუმებში და ბუმბულებში ჩააწვინეს. იმან კი ტირილი მორთო და გულამოსკვნით ამოიგმინა: „ვამე, ჩემო კარაღელო ჩალო!“ უკ ფეხებიდან მოცვეთილ ფირუხას შენთვის არ უამბნია?

— არა, არ უამბნია.

— მაშ, გიგაჩან! ასე კი ყოფილა კარალეთელი გლეხის გომბიო შახის ხარკად გახდა. ქვეყანაზე რა არა ხდება!

ზანდაროვი ისევ დაინტერესდა.

— მერე, შახს მოსწონდა ის გომბიო?

— მოსწონდა? გოგო თურმე ჭერ კრთებოდა და რცხვენოდა, თან შიშით განკლებდა. ხელმწიფის ლოგინში ყოფნა ხუმრობა ხომ არ არის! მერე ისეთნაირად ჩაუვარდა, რომ სულ „პაქა-ლუსტა“ აძახებინა.

— შახი სპარსულად ლაპარაკობა მაიყო. — სერითხულად გაუსწორა ზანდაროვმა.

— ჰო, ეგ კი არ ვიცი, მაგას როგორ იტყვოდა.

— ბეფერმაიდ, ბეფერმაიდ. — გაიზსენა ქარვასლაში ნასწავლი სპარსული ახალგაზრდა სოვდაგარმა.

— მართლა? ალბათ ეგრე იტყვოდა.

— მერე, მერე, მაიყო? — აღარ მოუშვა ამ ამბით დაინტერესებული გიგა.

— მეტი რაღა უნდა იყოს, გიგაჩან? ხელმწიფის ლოგინშიც ისა ხდება, რაც მდამიო კაცის ლოგინში, როცა გვერდით ცოლი უწევს ან საყვარელი.

ჰო, მართლა, გამახსენდა. ის კარალეთელი გომბიო ხელმწიფეს ისეთნაირად გაუთამამდა, რომ ჭერ ერთი უღვაში აუგრისა, მერე მეორე. ხელმწიფეს გულკეთილად გაეცინა. თავის ერთი დამის ხარკვას მამა-შვილურად მოეფერა. ჰკითხა, შენი ქმარი რას აკეთებსო? რა ხელობის კაციო?

ზანდაროვს გაუკვირდა

— რას ამბობ, მაიყო. შახს ქმრიან ქალს ვინ ჩაუწვენდა ლოგინში?

მაიყო. შეკრთა, წამოწითლდა, მაგრამ არ დაიბნა.

— დამეწყებია, გიგაჩან. მოიცა როგორ იყო? ჰო, მომავონდა. შახმა იმ გომბიოს მამის ვინაობა ჰკითხა.

— ჰოო. ეგ სულ სხვა საქმეა. — სერითხული სახით დაუდასტურა ზანდაროვმა.

მაიყო კურტანიძეს გაურკვეველი დიმილი შეუთამაშდა ბაგეზე.

— მაგით დამთავრდა ეგ ამბავი? —

ჰკითხა შედარდელით დაინტერესებულმა ზანდაროვმა.

— კიდევ რა დამარჩა საოქმელი? ჰო. შახმა იმ გომბიოს მამას ხალათი გაუგზავნა. კარალეთელი გოგოს ამბავიც ამით მორჩა და ვათავდა. ქატო იქა, ფქვილი აქა, კირი იქა, ლხინი აქა.

უცებ ზანდაროვს იმედი მოეცა ბართლომე კურტანიძის მედალი გაახსენდა. ფეხზე წამოვარდა. აღტაცებით დაიძახა:

— ის კარალეთელი გოგო შენ იყავი, მაიყო? ხელმწიფესთან სულ ახლოა იყავი, განა! სულ ახლოს. დმერთო დიდებულო! რა ბედნიერი ქალი ყოფილხარ, მაიყო! რა ბედნიერი!

ახალგაზრდა ზანდაროვმა ალაფის ცოლი ანაზდად სეფე-ქალის ელვარებით შემოსა და კინალამ ფეხებში ჩაუვარდა. სწორედ ისე, როგორც იმ დღეს ფიროზა ზანდაროვი ქარვასლაში ხელმწიფეს ფეხქვეშ უვარდებოდა. მაიყო კურტანიძეს ჭერ მისი აღტაცება და სიხარული გაუკვირდა, მერე, როცა ამის მიზეზს მიხვდა, თავისი ნალაპარაკების თვითონვე შეეშინდა, ბავიდან გაურკვეველი დიმილი დაუყოვნებლივ ალაფმა, საყვარელს ცივი წყალი გადაასხა.

— რას ამბობ, გიგა, გაგიუდი?

— ოღონდ მითხარი, გუფიცები, არსად არ ვიტყვი, არსად არ ვგავთქვამ.

მაიკომ წყნარად მიუგო.

— ეგ რომ ეგრე მომხდარიყო, გიგაჩან, მე ცოცხალს ვინ გამიშვებდა? მტკვარში გადამაგდებდნენ. ჩემმა ორმა ღრჭოლმა გადამაჩინა, თორემ შენ ეხლა საყვარლის გვერდით არ იჯდებოდი.

ზანდაროვს ისევ ჩამოსცივდა ხელუბი. მის თვალში მაიყო კურტანიძემ კვლავ დაკარგა სეფე-ქალის ელვარება.

მის წინ ისევ ალაფის ცოლი იჯდა და სოვდაგარის საყვარელი, ქალაქელი მდამიო ქალი, რომელიც მას მაინც მიმზიდველად და მომხიბვლელად ეჩვენებოდა.

მაიკოს მიკობულა-მოკიბული ლაპარაკი მოსწყინდა, თავლისფერ ფეხლები

ვნების შუქმა გაუნათა. საყვარელს მსუნავი ტუჩები გაუწოდა.

გიგა ზანდაროვი ისევ რალაცნაირად გაშტერდა. კვლავ მკაფიოდ მოესმა: „მაირიქ! მაირიქ!“. ზეზე წამოიჭრა, თავში ხელები შემოიკრა.

— კაცო, ეს რა დამემართა? როგორ მომივიდა? რას იტყვიან ფერშანგოვები? მეზობლები ან ნაცნობები?

მაიკო კურტანიძემ ვერაფერი გაიგო ტახტზე წამოჯდა, გაკვირვებით ჰკითხა:

— რა დამემართა, გიგაჯან?

— შეშანიკის აპეკუნი მე ვარ. იმის დედის ქელეხშიც მე უნდა გამომეჩინათოსნობა. გულისტკივილს რათ ავყუვი? ხალხს ყბაში რათ ჩაეფუარდი?

მისი ნათქვამი მაიკო კურტანიძემაც შეიცხადა. კვერი დაუქრა. ზანდაროვმა ქუდს დასტაცა ხელი, ოთახიდან გავარდა და ანჩისხატის უბნისკენ მოჰქურცხლა.

11. ხალხის ზანდაროვი

შვიდობით, ხოდაბუნო, მშვენიერო და კარგო.

ამას იქით ვეღარ გნახავ, ასე უნდა დავკარგო.

„ღმერთებო ჩემო, „ვუთონის დედა“.

მექელეხენი ჯერ ისევ სუფრახე ისხდნენ. შეზარბოშებულნი და გალალეზულნი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, თან გაჩქარებით თქველედნენ ყველაფერს, რაც ეი სუფრახე მოჰქონდათ.

ახალგაზრდა ზანდაროვი სუფრასთან არ დაჯდა. სტუმრებს გარშემო უტრილებდა. ღვინისა და საკმელების მომტანთ ყველაზე საპატიო სტუმრებსკენ ვზას უკვლევდა, მასპინძლობდა და ვისაც სტუმართა შორის დიდი წონა ჰქონდა, იმათ მოწიწებით უკრავდა თავს. ფირუზამ სიამოვნებით ჩაიღიმა. მანდილოსნების ოთახის ფართოდ გაღებულ კარიდან თეთრი ღიზაც კისრის გრებით იჭყიტებოდა და ბაგეზე სიამის ღმილი გადასდიოდა.

ჯარისკაცვით გაჭიმული უმცროსი ზანდაროვი ტოლუმბაშის სიტყვებ-

ყურადღებით უსმენდა. გვერდით თეფშებით ხელში ვარდისმწკვამ ვაჭარა, ცრემლნარევი ღმილით გაუღიმა შეშანიკის ყოფილ საქმროს.

— შეშანიკი როგორ არის? — ჰკითხა გრიგოლმა.

— თავის ოთახშია, უფალო გრიგოლ, თქვენი ძალიან, ძალიან მადლობელია.

— რისთვის? — მოუხედავად ჰკითხა ახალგაზრდა ზანდაროვმა და თან ერთ განთქმულ სოფდაგარს, რომელიც მისკენ იცქირებოდა და მეზობელ სოფდაგარს მისკენ ანიშნებდა, მდაბლად თავი დაუქრა.

— მარგალიტასათვის.

— ჰო. — თქვა გულგრილად გრიგოლ ზანდაროვმა და სახეზე უკმაყოფილების ჩრდილმა გადაურბინა.

როცა ხორაგით გავსებული ზონჩით ვარდისმწონამ ისევე გვერდში ჩაუარა, გრიგოლმა ჩუმად გადაულაპარაკა:

— თუთის ქვეშ ვინა სხედან, ვის გაუშალეს სუფრა?

— ბურნუთოვის სახლის მდგმურებს. — რალაცნაირი სიამაყით უპასუხა მოახლემ.

გრიგოლს არ ეკაშნიკა. წარბი უკმაყოფილოდ შეათამაშა.

თავისი საქციელით შეშანიკი მამრამე ფირუზსაც აკვირვებდა და გრიგოლსაც.

მელქო ფერშანგოვის გარდაცვალებიდან ჯერ შვიდი არ იყო შესრულებული, როცა ძაძით შემოსილი მისი ქალი ბურნუთოვის სახლის მდგმურებში გამოჩნდა. ლატაკებს ხელი გაუმართა, ხოლო სწეულნი ანუეგმა.

ზანდაროვებს არც ის მოეწონათ, რომ გარდაცვლილი მამის ყველა ქალადი, თამასუქი, ბარათი და ამხანაგობის პირობის წიგნი მან ყურადღებით წაიკითხა და სრულიად მოულოდნელად მეურვისაგან თანხების თავისუფალი განკარგულების უფლება მოითხოვა. ზანდაროვებმა ვერაფერი აწამა, შეშანიკი მამრამის ეს მოთხოვნა თითქმის უყოყმანოდ დააკმაყოფილეს და გაფრთხილდნენ.

სოვდაგარის ქალი მაგარი კაკალი აღ-
მოჩნდა.

ჭიუტიც ჩანდა და კერპიც, მაგრამ
მას არც წინდახედულობა და სიფრთ-
ხილე აკლდა.

უფროსი ზანდაროვი კეფას იფხანდა
და თადარიგს იჭერდა. უმცროს ზანდა-
როვს ამასვე ურჩევდა. ახლა მთავარი
ის იყო, რომ შუშანიც მამრამქს არაფე-
თარი ეჭვი არ აღძროდა. ამიტომ დავთ-
რებიც და ნუსხებიც მათ ისე ჰქონდათ:
შედგენილი, რომ წყალი არ გაუვიდო-
და. ამით ისინი არაფერს არ აგებდნენ,
რადგან ქარვასლებს მალაზიებთან და
დუქნებთან აუარებელი შემოსავალი
შემოსდიოდათ. მოგებაში წილს ყო-
ფილი ოჩხუბის მემკვიდრეს დაუტლებ-
ლად უდებდნენ, მაგრამ იმ აზრს ვერა-
გზით ვერ ურიგდებოდნენ, რომ მას
გული ღარიბ-ღატაკებისაკენ მიუწევდა
და იმათ მფარველობას ჩემულობდა.

გრიგოლ ზანდაროვი ერთხელაც არ
გასულა ეზოში, მხოლოდ მდიდარ და
გავლენიან სოვდაგარებს დასტრიალებ-
და თავზე.

სტუმრებს თანდათან ღვინო ეკიდე-
ბოდათ. თერებოდნენ. ყაყანებდნენ.
სოვდაგარულად ირჩებოდნენ. სოვდაგ-
რული ჩაბურზანა გააბეს. აღარც სი-
ცილს ერიდებოდნენ, აღარც ხარ-
ხარს. ფირუზა ზანდაროვი დიდ სუფ-
რაზე კარგად არა ჩანდა, მაგრამ მისი
ხმა ყველგან გაისმოდა. წელან ცრემ-
ლებით დასველებული ბალდადი ახლა
ყელზე დარდიმანდულად შემოეხვია.
ხელებს იქნევდა, თვალებს ახამხამებ-
და და ყვიროდა:

— კაცო, შენ რას ამბობ? მუშტის
კრივში ვინ აჯობებდა? იმისი მკლავის
მოჭნევა ერთ რამედ ღირდა! კარგი ერ-
თი და! მაგას გალაჯული იავორა წინ
როგორ დაუდგებოდა?

საერთო ჟრიამულში მკვდარი აღარა-
ვის ახსოვდა.

გიგა ზანდაროვს გული ისევ დაუ-
ძინდა. მაგრამ უკანასკნელად გაფარუ-
ნებულ სინდისის ქენჯნას ხელი სწრა-

ფად აუქნია, დაუყოვნებლად ალაგმა,
რათა კვლავ მტანჯველს ეფარებოდა
აშლოდა.

ახლა იგი ნამდვილი ზანდაროვ: იყო,
სწორედ ისეთი, როგორიც ფირუზაა
უნდოდა რომ ყოფილიყო.

ყველაზე მეტად ახალგაზრდა ზანდა-
როვზე მაიკო კურტანიძე ფიქრობდა.
ამიტომ ის ყველაზე უფრო სწრაფად
ამჩნევდა მისი გულის ყოველგვარ მოძ-
რაობას, გუნება-განწყობილებას, მან
ყველანაირ ფერისცვალებას; ამჩნევდა,
გრძნობდა, განიცდიდა და უკვე გულ-
ეკუშმებოდა კიდევ. გიგას სიყვარუ-
ლის გარეშე არსებობა მას არ შეეძლო.
ამიტომ შიშითა და ძრწოლით ფიქრობ-
და ამ სიყვარულის მომავალზე. მერიამ-
ბეგუმის სახლის განაპირა ოთახში
ტახტზე ისევ თამაშამოშლილი, პერან-
გაუქრეფავი იჯდა და ნაწვიმარ სივრ-
ცეს, სულ უფრო და უფრო ბინდ-ბუნ-
დში რომ იკარგებოდა, თვალგამტერე-
ბული გასცქეროდა.

ოთახში მერიამ-ბეგუმმა შემოჰყო
თავი, მაიკოს შორიდანვე შემოსცინა,
გვერდით მიუჭდა, ჩურჩულით ჰკითხა:

— წავიდა?
— წავიდა. — უხალისოდ გაეპასუხა
მაიკო.

მერიამ-ბეგუმმა მას ჯერ რალაც მიუ-
კიბ-მოუკიბა. მერე სულ ახლოს მიჩოჩ-
და მასთან, ცხვირი ცხვირზე მიადო,
ბილწურად გაუღიმა და უცებ ისეთი
რამ ჩასჩურჩულა ყურში, რომ მაიკო
კურტანიძეს სახე აენთო. ფეხზე წამოა-
ჭრა. მოკატუნებული მერიამ-ბეგუმი
თვალელები განგმირა, პირში ზიზლით
მიახალა:

— ჩვენ აქ აღარ მოვალთ, ჩანუმი
— რათა, მაიკოჯან, რა გეწყინა?
— აქაურობა ძალიან აყროლებულია,
ჩანუმ, ფაქიზი ცხვირი მაქვს.

ის ოთახი დედოფალივით გადასჭრა
და მერიამ-ბეგუმს კარი მიუჯახუნა.

ახალგაზრდა ზანდაროვმა ვერასგზით
ვერ გაიგო თავისი სატრფოს გადაწყვე-
ტილების მიზეზი.

არ იცოდა ამის მიზეზი მისი გაუთავი იყენებდა, რომ ბაჭყალიმეცხე-ბართ-
ვებელი ბუზღუნი იყო, თუ მაიკო მე-ლომე კურტანიძეს ზმუხი იყენებდა.
რამაშ-ბეგუმის სახლის გზას იმის გამო ახსნა.

პარი მეთერთმეტი

1. მბაჰრის ბაღმა

ჩვენს ხალხს ფრანგული ჩიოვული უფრო
მოსწონს, ვიდრე ფერადი აბრეშუმის ქსოვი-
ლები.

მირზა ფათალი ახუნდოვი, „ქუნწის თავა-
დახავალი“

თბილისის ქარვასლებში ზანდაროვე-
ბმა სახელიც დაიგდეს და სახრავიც გა-
იხინეს.

ახლად გასოვდაგრებულნი ტოლს
არავის უღებდნენ.

გარდაცვლილი ოჩხუბის მალაზიებსა
და დუქნებს ახლა ისინი ვანაგებდნენ.

სუქდებოდნენ და კისერზე ქონს იკი-
დებდნენ.

ფირუზა წინ წასულებს ქუსლში
უყურებდა, კვალდაკვალ მისდევდა, და-
წევას და გასწრებას ცდილობდა. სა-
დაც პირველობას აღწევდა, იქიდან
ფეხს აღარ იცვლიდა. გარშემო ქედმაღ-
ლურად იყურებოდა, მაგრამ რაკი ზე-
მოდან ვერავის დააცქერდებოდა, თავი-
სი უპირატესობის გამოხატულებას
მდიდრულ თავსაბურავსა და ტანსაც-
მელში პოულობდა, საუკეთესო თერ-
ძთან შეკერილ ყოშებთან ახალუხში და
დიდვაჭრის ყურთმაჯებიან კაბაში. გა-
ამპარტავნებული არც თავის ახალგა-
ზრდა ნათესავს უშვებდა წინ. ყოვლის
მნახველი და გამოცდილი სიფრთხილის
თადარიგს მაინც იჭერდა.

სათობით უჯდა გრიგოლის მიერ შე-
დგენილ ნუსხებს, ან მისი ხელით შეე-
სებულ დატორებს, თან ამას ისეთი
გულმოდგინებით აკეთებდა, რომ მის
ახალგაზრდა ოჩხუბს ეს კარგად შეემ-
ჩნია.

საქმეში ბეჯითი და დაუზარებელი
გრიგოლი ფირუზას მოსწონდა, მაგრამ
არ ანებივრებდა.

ახალგაზრდა ზანდაროვი მთელ დღეს
ქარვასლებსა და ბაზრებში ატარებდა.
ერევნის მოედანზე სოვდაგრების ფარ-
მის ქვეშ ჩერდებოდა და სოვდაგრულ
გარიგებებში მონაწილეობდა. ანგარიშ-
ში არასოდეს არ სცდებოდა. ყველაფერს
სუფთა და მსხვილი ხელით ნუსხავდა,
საქონელს თვალის ერთი გადავლებით
ახარისხებდა, ნიხრი ზეპირად იცოდა,
მაზანდის აწვე-დაწვეას სწრაფად იგებ-
და, მალაზიებსა და დუქნებში მრავალ-
რიცხოვანი ნოჭრების მუშაობას თვალ-
ყურს ადევნებდა. ფირუზას ენაზე მა-
ინც „შე ასეთო, შე ისეთო“, ეკერა. რთ-
ცა სხვები მხრებს გაკვირვებით იჩეზ-
დნენ, მჭირდავად მომღიშარე დიდვაჭ-
არს ყველასათვის ერთი ანდაზა ჰქონდა
მზად: „შვილი მტრულად გაზარდე, მო-
ყვრულად გამოგადგებაო“.

გრიგოლი ყველაფერს თვინიერად
ითმენდა და იტანდა. უფროსი ზანდა-
როვის სიტყვას არასოდეს დაბლა არ
უშვებდა, ყველა მის ნათქვამს ან და-
ვალებას უსიტყვოდ და მორჩილად ას-
რულებდა.

ფირუზა კმაყოფილი იყო.

ვაჭრობის საქმე კარგად მიდიოდა.

კუკიიდან ისინი მტკვრის გაღმა გა-
ვიდნენ და ფერშანგოვის დიდ სახლში
ჩასახლდნენ.

ფირუზას გულის წადილი აუსრულ-
და.

მტკვრის გამოღმა (ამერიკულ ხიდთან
და რიყეში) მხოლოდ რამდენიმე ახ-
ლად დაარსებული ქარვასლა იყო (ი-
აკობ ზუბალაშვილის, ბარსეგ ტერ-მო-
სესოვის, სარქისოვის). მტკვრის გაღმა
მხარე კი ქარვასლებით და ბაზრებით
იყო მოფენილი. აქ ვერ კიდევ შუა სა-
უკუნეებში არსებობდა აღმოსავლურ

ტიპის განთქმული ბაზრები: ჩარსუ და ჩასტბაზარი, ახლა კი ყველას თვალწინ ახალი, ბურჟუაზიული ბაზარი იქმნებოდა, ხოლო საოლოლაკსა და გარეთუბანში ევროპული ქალაქი შენდებოდა.

კომერციული ალღო ფირუზა ზანდაროეს არაჩვეულებრივად ჰქონდა გამაზვილებული. სულ იმას უკვირდებოდა, თუ ვინ რითი მდიდრდებოდა. 20-იან წლებში, როცა თავისუფალი ტრანზიტის და შეღავათიანი ტარიფი ჯერ კიდევ მოქმედებდა, ბევრი, მანამდე ჯიბეოხელი ვაჭარი გამდიდრდა და დიდვაჭრად იქცა. სიმდიდრის წყაროებს ევროპული საქონლით ვაჭრობა ჰქმნიდა. შავ ზღვაზე, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თურქეთის ტბად რომ იყო გადაქცეული, ახლა განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა ნაირნაირი საქონელი ლონდონიდან, პარიზიდან, ჰამბურგიდან, ლიპციგიდან და ბრიუსელიდან. თბილისთან ამ ქალაქებს ოდესა და რედუთ-კალე აკავშირებდა, ხოლო თბილისიდან გზა თავრიზისაკენ მიემართებოდა. არავინ ერიდებოდა ზღვაზე და ხმელეთზე მოგზაურობის სიძნელებებს. ვეძით მოტანილ საქონელს ნაევებზე ტვირთად წვივნი, ცივის არხით მდ. რიონამდე მიუტარებდნენ, შემდეგ კი გზას არაჩვეულად ავრძელებდნენ. აქ იწყებოდა სახმელეთო გზა. საქონლით დატვირთული ურმები და აქლემები თბილისისაკენ მიეშურებოდნენ. ათასნაირი დაბრკოლების მიუხედავად ეს გზა ინტენსიურად მოქმედებდა. ამ გზამ (განსაკუთრებით 50-იან წლებში) ხელახლა გააშლევინა მხრები ქუთაისისა და ვორს.

20-იან წლებში ევროპული საქონელი თბილისში ჯერ თვითონ ევროპელებს შემოჰქონდათ. ევროპიდან იყვნენ მოსული მარი, მოგენი, პერი და სხვა კომერსანტები. მალე მათ თბილისელთა ვაჭრებმა მიჰბაძეს. კონსტანტინე სარაჯიშვილი პირველი იყო, რომელიც სავაჭრო მიზნით დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა. მას სხვა თბილისელი ვაჭ-

რებიც მიჰყვნენ. ევროპული საქონლის ვაჭრობით გამდიდრდნენ სერაფიმოვილები და ზუბალაშვილები. გიგლინიძეები ვითარება ამ მხრივ საგრძნობლად შეიცვალა თავისუფალი ტრანზიტისა და შეღავათიანი ტარიფის გაუქმების შემდეგ 1831 წელს შემოდებული მუარველობითი ტარიფი მიზნად ისახავდა რუსი ფაბრიკანტებისა და ვაჭრების ინტერესების დაცვას. მაგრამ რუსული ბაზრის მდარე ქსოვილებს იმ დროს არ შეიძლებოდა ეფექტური კონკურენცია გაეწია დასავლეთევროპული ბაზრის ქსოვილებისათვის, განსაკუთრებით კი ფუფუნების საგნებისათვის. ასტრახანის ტარიფს უნდა უზრუნველყო იმპერიაში ოქრო-ვერცხლის დაგროვებაც. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტარიფი ევროპულ საქონელს აძვირებდა, მასზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო მატულობდა. არისტოკრატები და გამდიდრებული მოქალაქენი მოითხოვდნენ თვით ევროპულ ლეინოებს. დიდი რაოდენობით სალდებოდა შამპანური, მადერა, ბორდო-თბილისში თავს იყრიდა ის საქონელი, რომელიც შემდეგ ჩრდილოეთ ირანის ქალაქებში იყიდებოდა. ამ თვალსაზრისით თბილისი კავკასიისა და ჩრდილოეთ ირანის ეკონომიური ცენტრის როლს ასრულებდა.

მაგრამ მუარველობითმა ტარიფმა იმის სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო, რასაც მეფის მთავრობა ფიქრობდა და ვარაუდობდა. სატრანზიტო გზამ შორს სამხრეთში გადაინაცვლა, ფართოდ გავრცელდა კონტრბანდა და მისი თანმშლები ეპიდემიები.

თბილისელი და ქუთაისელი ვაჭრები ესწრებოდნენ „მაკარიევის იარმარკას“ ნიკინოვგოროდში, მაგრამ უფრო მომგებიანად ევროპული ფუფუნების საგნებით ვაჭრობა მიაჩნდათ. ამიტომ მეტ მნიშვნელობას ტრაპიზონ-ერზურუმ-თავრიზის გზას ანიჭებდნენ. ისინი კვლავ გამოჩნდნენ ლონდონში, პარიზში, ჰამბურგში, ლიპციგში და ბრიუსელში. მუარველობითი ტარიფი მათ არაერთარ

დაბრკოლებას არ უქმნიდა, რადგან დასავლური საქონელი ჯერ ოსმალეთში შექჷონდათ, ოსმალეთიდან ირანში, ხოლო ირანიდან ამიერკავკასიის ქალაქებში. თბილისელი ვაჭრები მოხერხებულად იყენებდნენ ტრაპიზონ-ერზერუმ-თავრიზის გზას. რუსეთის მთავრობას განსაკუთრებით აღიზიანებდა ის, რომ ამ გზით მარჯვედ სარგებლობდა ინგლისი და ტრაპიზონის ინგლისური საკონსულო კონტროლს უწევდა მას. მაგრამ რუსეთს არ შეეძლო არც კონტრაბანდის აღკვეთა და არც აბილსელი ვაჭრების მონაწილეობის აკრძალვა იმ გზაზე, რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდებოდა ხოლმე იმ დროს, როცა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო გზები ყრუდებოდა და აქ ინტენსიური ვაჭრობა ფერხდებოდა. სამხრეთის სატრანზიტო გზა არავითარ გავლენას არ ახდენდა ევროპული საქონლის ფართოდ გავრცელებაზე. პირიქით, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა დასავლეთ ევროპიდან შემოზიდული საქონლის რაოდენობა. ტრაპიზონ-ერზერუმის გზით თავრიზში შეტანილი საქონელი 5% ბაჟის გადახდით იაფისუფლად შექჷონდათ ამიერკავკასიის ქალაქებსა და თბილისში. თბილისელი ვაჭრები ახლაც ისე მდიდრდებოდნენ ევროპული საქონლის ვაჭრობით, როგორც 20-იან წლებში.

ერთ მშვენიერ დღეს ფირუზა ზანდაროვმა შუბლზე დადებული თითი ჩამოიღო და გრიგოლის ევროპის ქვეყნებში გაგზავნა გადაწყვიტა.

2. მოგზაურობა

ენრიკე, პირიქით, ბევრს მოგზაურობდა: ნაყოფი იყო უცხოეთის დედაქალაქებსა და მრავალ განთქმულ ბაზრებზე.

რამონ დე მენენერო რომანოს.
„ქისა“

საზღვარგარეთ გასამგზავრებლად საჭირო ქალაქების მიღება ფირუზამ ქრთამით დააჩქარა.

გრიგოლ ზანდაროვს ჯერ რუსეთი

უნდა ენახა, ნიენი-ნოვეკურედეს ბაზრობას დასწრებოდა, შემდეგ მხოლოდ მდინარის ქვეყნებისაკენ წასულიყო.

ერთ მშვენიერ დღეს ზანდაროვებმა მღვდელს დაუძახეს (მართლმადიდებელს, რადგან გრიგოლი მართლმადიდებელთა ეკლესიაში იყო მონათლული და წმ. ნიკოლოზის საყდრის მრევლში ითვლებოდა), პარაკლისი გადაახდევინეს და რუსეთში მიმავალ ახალგაზრდა სოვდაგარს გზა დაულოცეს.

თეთრმა ლიზამ მას ყელზე ავეგაროზი შეაბა, ავეგაროზს იგი ფათერაკისაგან და ავი თვალისაგან უნდა დაეცვა.

ახალგაზრდა ზანდაროვს დიდის ამბით აცილებდნენ: ფირუზა, თეთრი ლიზა, მაიკო კურტანიძე, ფერშანგოვის დედა, შუშანიკი თავისი პატარა შვილებით, ვარდისმონა, ორიოდე ცნობისმოყვარე დედაკაცი მეზობლებიდან და რამდენიმე თბილელი სოვდაგარი.

გრიგოლს მხლებლად, მცველად და მსახურად თან მიჰყავდა გოლიათური აღნაგობის ძაღლისუნელი ზაქარა, რომელსაც ბებრუხანა დედა ბებრული ცრემლებით და ჩიფჩიფით აცილებდა „ყინულეთში“.

ფირუზას აზრით, მოჩხუბარი და თავხეზელალებული ზაქარა გრიგოლს კარგად გამოადგებოდა იმ გზებზე, რომლებზეც, თბილელი ვაჭრების სიტყვით, ყაჩაღთა ბრბოები დათარეშობდნენ და მგზავრებს გასაძარცვავად თავს ეხმოდნენ.

საფოსტო ეტლი მარმარილოს წყაროსთან იდგა. ეტლის საფეხურზე შემდგარი ფირუზა გრიგოლს ერახებოდა კიდევ ეუბნებოდა :

— ღვინის სმას მოერიდე. ქალებს ნუ აპყვები, კარტს ნუ ითამაშებ, არავინ მოგატყუოს. ჰა, ქისებს თვალი არ მოაშორო!

თავმოყვარე გრიგოლი უხალისოდ აძლევდა პასუხს.

— ჯერ არაფერი დამიკარგია, ხამი არა ვარ.

— ჯორზე ნუ ჯდები, ბიჭო! — იძახდა ფირუზა, რომელსაც გრიგოლის

უკმაყოფილება შეუქმნეველი არა რჩებოდა, — ცხრა მთას იქით მიღისხარ! ვინ იცის, იქით რა ქვეყნებია, ვინ არიან, რა ხალხია? ვინმემ რომ მითხრას მღობრიბში კაცებს თავები მუცლებს ქვეშ აბათო, უნდა დავიჭერო. ოთხივე კუთხივ თვალი დაიჭირე! ეცადე კურთა არ ჩამოხვიდე.

— ვეცდები, ფირუზ, ვეცდები გრიგოლს არც თეთრი ღიზა ასვენებდა:

— გიგაჩან! თავს გაუფრთხილდი. — ამბობდა ის სიყვარულით, — ავთ არ გამიხდებ უნულებში. ქალებო! იქით თურმე ისეთნაირად ციფა, აღამიანები ზამთარ-ზაფხულ ტყავებში დადიან. მაში მკათათვეში თოვლი მოდის!

ამის გამგონე ზაქარას გადაბერებულნი დედა წამდაუწუმ ჩიფჩიფებდა:

— უიმე და ვაგლახი ... უიმე და ვაგლახი ...

ფირუზას და თეთრ ღიზას უკან მაიკო იდგი პატარა ბოხჩით ხელში. „ნიძლავსა ვდებ, თუ შიგ ასიგნაციების დასტა არ არის“, ფიქრობდა ფირუზა. ასე ეგონა, გრიგოლ ზანდაროვსაც. მაიკოს გვერდით შუშანიკს ხელში ოთხეცად შეკრული ბალდადი ეჭირა. „სომხების საყვარელი ხილია“, წაიბურტყუნა ფირუზამ.

მაიკომ და შუშანიკმა ძლივს გადასცეს თავიანთი ნობათები გრიგოლს, რომელსაც ყელზე თეთრი ღიზა ებვეოდა და არავის ახლოს არ უშვებდა. გაბრაზებულმა მაიკომ თავის დოსტს ისეთი მუჭლუგუნი გაჰკრა, „კინალამ კტლიდან გადმოაგდო, გრიგოლს სწრაფად აკოცა ტუჩებში და ეტლის საფეხურიდან საჩქაროდ ჩამოხტა. შუშანიკი მორცხვად გამოემშვიდობა თავის მეურვეს.

პატარა ქრისტიანემ ეტლში მჭადარ გრიგოლს შესციინა და მხიარულად შესძახა:

— მსვიდობით. ძია გიგა, მსვიდობით! გრიგოლ ზანდაროვი ეტლიდან ვადმობტა, ქრისტიანე ხელში აიტაცა, გულში ჩაიხუტა და გადააკონა. კოსტასაც

თავზე ხელი გადაუსვა, სიყვარულით მიეაღერსა.

— ჯა, ეგრე რომ ბავშვები უყვარს, — აჩიფჩიფდა ზაქარას დედა, — რატომ ცოლს არ შეირთავს?

შუშანიკი წამოწითლდა. მაიკომ კობი შეკრა. ვარდისმონა მოიღუშა. რადგან ჭერ კიდევ იმედს არა კარგავდა, რომ გიგა ზანდაროვი შუშანიკა ფერშანგოვს ცოლად შეირთავდა.

— მაშ, ჯა — ამბობდა ზაქარას დედა, — საფეთქლებთან უკვე თეთრი ასფეთქებია!

ეს იარაღ გერმანოზიშვილის ნატყვიარი იყო.

გრიგოლი ისევ ეტლში ავიდა ზაქარა მეეტლის გვერდით კოფოზე მოათავსდა.

— გარეკე! — უბრძანა მეეტლეს ფირუზამ.

— ხაბარდა! — დაიყვირა ფეხზე წამომდგარმა მეეტლემ, პირჯვარი გადიწერა და ცხენებს დაუსისტიცინა.

გრიგოლმა შევებით ამოისუნთქა.

როცა ეტლი დაიძრა და ქვაფენილზე გაგრიალდა, თეთრმა ღიზამ ისეთნაირად შეპბლავლა და ეტლისკენ ისე გაეკანა, რომ ორმა დედაკაცმა ძლივს დაიჭირა.

— გამიშვით ხალხო, ერთხელ კიდევ დამანახეთ მაგის ლამაზი პირსახე, — ბლაოდა თეთრი ღიზა, — ერთხელ კიდევ მაჩვენეთ ეგ ჩემი გულის მურაზი! თქვენ რა იცით, ხალხო, საიდანაღაც გადმოკარგული შეილივით გავზარდე. ისეთი ტურტლიანი იყო, მტკვარი ვერ გარეცხავდა, რომ გენახათ გაგიკვირდებოდათ ...

მაიკო კურტანიძემ წყნარად მოაბრუნა თავი მისკენ. თაფლისფერ თვალებში გაურკვეველი ღიმილი აუთამაშდა.

ახლა ფირუზამ მოჰკიდა ხელი ცოლს და მკლავზე ისე მაგრად უჩქმიტა რომ თეთრი ღიზა მყისვე მიხვდა თავის შეცდომას და ერთბაშად გამოფხიზლდა. დაუყოვნებლივ კილო გამოსცვალა.

— მაში! მაში! მთელი სპარსეთის პტვერი ხედ ედო! კარი რომ შემოაღო, ფი-

რუხამ თავისი ღვიძლი ბიძაშვილი ჭერვერ იცნო, მერე დიდი ხნის უნახავება ერთმანეთს ისე გადაეხვეწენ, მაგათ გაყრას როგორ ვიფიქრებდი! კიჭკჭა და მეც ჩემთვის ვიმდულდებოდი.

ფირუზა ნელ-ნელა უშვებდა ოცთრის ლიხას მკლავს თავის ხელიდან და თან ფიქრობდა: „ქალმა არაფერი არ უნდა იცოდეს, რადგან ან სიყვარული ათქმევინებს, ან სიძულვილი“. ცოლი ისევ დედაკაცებს მიუგდო და ქუდი გაიწოროა. გამცილებლები ქალაქისავენ გატრიალდნენ.

შუშანიკმა ამ დროს უნებლიედ მოიხედა და გაუკვირდა, რომ მაიკო კურტანძე ისევ იმ ადგილზე დაუხვდა, საიდანაც წელიან ეტლი დაიწარა.

მაიკო ერთ ადგილზე გაუნძრევლად იდგა და მტვერავარდნილ გზისკენ იყურებოდა. შუშანიკმა ვარდისმონას ალტაცებით უთხრა:

— რა მშვენიერი ქალია! სუფრაზე რომ ვისხედით, სულ მჯავს ვუყურებდი. მერე რა მშვენიერი საცალი აქვს! ვარდისმონამ ხმა არ აბოილო.

ეტლი მოსკოვის ზასტაყას გასცდა თუ არა გრიგოლმა მაიკოს ბოლჩა გახსნა. და როცა შივ ნაზუქები და ტყბილი პურის პატარა კვერები აღმოაჩინა, გულიანად გადაიხარხარა. ზაქარამ გაკვირვებით მოიხედა. სოვდაგარმა სწრაფად რაღაც სასაცილო ამბავი შეთხზა და ისიც გააცინა.

გრიგოლმა შუშანიკის ბაღდადს ხელი აღარ ახლო და მგზავრობაზე ფიქრს შეუდგა.

8. 8. 8

დღით, ყაზბეგთან გავლისას, ჩემ თვალწინ საუცხოო სანახაობა ვადიშალა. თეთრი, ნაწიხვარ-ნაწიხვარი ღრუბლები მთის მწვერვალს გადადიოდნენ, და განმარტობული მონასტერი, მზის სხივებით გაიცისკროვნებული და ღრუბლებზე დაურდნიბილი, თითქმის პაერში მიეტრავდა.

ა. პუშკინი, „პარზრუში ვაგზავრება“.

გრძელი გზა ჰქონდა გასაველელი. ყოველ ვერსზე ორი კაბიკი უნდა გადაეხადა, მრავალი სადგური გაველო

და გახსნილი ქისა მეფეჩქელში: სკეროდა, რათა საფოსტო სადგურის სკედამხედველებს მისთვის სასწრაფოდ გამოეცვალათ დაღლილი ცხენები

სოვდაგარსა და მის მსახურს ჭიბეებში გატენილი დამბაჩები ედოთ. დარიალის მისადგომებთან, ორივე მხარეს, მთიელი „ყაჩალები“ დათარეშობდნენ, ახალჩერკესკამდე მგზავრებს ქვემეხიანი ყაზახები იცავდნენ. ზანდაროვს თბილელი სოვდაგრებისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ „კავკასიელ ყაჩაღებზე“ საშიშარნი გადატაკებული და დამშეული აზნაურები იყვნენ. ისინი ავაზაკების ბრბობს ქმნიდნენ, ვაჭრებს თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ და ზოგჯერ ხოცავდნენ კიდევ. ზანდაროვი დამბაჩით იყო შეიარაღებული, რათა საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლე და ქისა დაეცვა. გოლიათური აღნაგობის ძალიისუბნელი ზაქარაც სწორედ ამიტომ ახლდა მას თან.

ეტლი გაჭირვებით მიდიოდა საჭართველოს სამხედრო გზაზე.

გზა მეტად ვრძელი იყო, აღმართ-დაღმართიანი, მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო და ღორღიანი, ალაგ-ალაგ მთის ნაკადულებით გადაარეციბილი, მომქანცველი და დამლღელი.

მაგრამ ეტლით მზგავრობით დაქანცულნი ალტაცებაში მოჰყავდა თვალწარმტაცი ბუნების უმშვენიერეს სანახაობას.

ერთმანეთს ზედიზედ ცვლიდნენ მწვანე ხეობები, უფსკრულებზე თეთრი თოკებივით დაკლავნილი გზები, მაღალ მთებში ერთმანეთისაგან განცალკევებით მდგარი წითელკრამიტიაწა კობტა სახლები, მინდვრის ყვავილებით ათასფრად აბიბინებული ფერდობები, მწვანედ გადაშლილი მდელოები, რომელთაც ხან სად და ხან სად დაბურული ტყეები ცვლიდნენ, სალი და ჩაღრმავებული კლდეები, მოჩუხჩუხე ნაკადულები, ჩხრიალა ჩანჩქერები, არაგვის

ატეხილი ქალები, ხან შვის ლეჩაქში რომ ეხვეოდნენ და ხანაც თხელ ნის-
ლში იყარებოდნენ; გზის ნაპირებთან
ერთმანეთში ჩახლართული ბუჩქნარი
და ჭაგნარი, ციხე-კოშკთა ნანგრევები,
ალბური ქედები ცხვრის ფარებით და
ტყაუჭიანი მწყემსებით, გადარეული
თერგი, კავკასიონის თეთრქუდებიანი
მათუსალები. გრიგოლ ზანდაროვს არც
არაფერი შეუქმნევია, არც არაფერი
დაუნახავს. მას ეტლში ეძინა, ზაქარა
კი კოფოზე ფხიზლობდა.

თვალდახუჭულმა გაიარა მცხეთა,
დუშეთი, ანანური, ფასანაური, კაიშაუ-
რა, კობი, სტეფანწმინდა, ლარსი და
ღარიბი. თვალი არაფერზე გაუჩერე-
ბია, მხოლოდ ჩრდილი სიამოვნებდა,
მზეში კი უსიამოვნოდ იშვუშნებოდა.

სამაგიეროდ, დიდის ყურადღებით
ათვლიერებდა ქართულ ურმებს, რო-
მლებიც მოსკოვური და ნიენი-ნოვგო-
როდული საქონლით იყო დატვირთუ-
ლი. ურმების უკაც ცხენებით მომავალ
სოვდაგრებს თავაზიან სალაშს აძლევდა.
ბევრს თბილისის ქარვასლებიდან იც-
ნობდა, ზოგსაც პირველად ხვდებოდა
და ეცნობოდა.

— რა ამბავია ქალაქში? — ეკითხე-
ბოდნენ სოვდაგრები.

— შშვიდობა.

— საქონელს მაზანდა ხომ არ და-
უფოლდა?

— არა, მაგრამ ძნელად სადღება.

— კმ ...

— ფუთი რამდენად მოგაქვთ?

— ათ შაურად. ქართული ურმები
ძვირად გვიჭდება.

— რუსი ჩალადრები რამდენს ილე-
ბენ?

— ღმერთმა არ იცის იმათი თავა!
იმათაც დაგვიძვირეს პოვოსკები.

სოვდაგარი სოვდაგარს სიშართლეს
უმაღავდა.

ზანდაროვმა და მისმა მსახურმა კავ-
კასიონის ხაზი უკან მოიტოვეს. მალე
სამხრეთ რუსეთის ერთფეროვანი და
დაუსრულებელი ველები დაიწყო. თბი-
ლისელებს აკრთობდა და ღლიდა ეს

უსაზღვრო და სევდის მომგვრელი
ტრიალი ველები და თვალწმენდელი
ტრამალები. გულს უწყალებდას უწყა-
დევანო ცაში ზანტად მცოცავი მიძიე,
თეთრი ღრუბლები, ჭაობებზე დაწო-
ლილი ნისლის ბოლები, თეთრად შელე-
სილი, ისლით გადახურული დაბალი
სახლები, ბორცვებზე მოწყენილად გა-
დმომდგარი სამრეკლოები და ქარის
წისქვილები, რომლებიც მათ შორიდან
დიდ ფრინველებად მოეჩვენათ. ზაქა-
რას სახე ჩამოსტიროდა, მოუსვენრად
წრიალებდა და ისე ენატრებოდა თბი-
ლისის ბალები და მტკვრის ნაპირები,
როგორც დანიშნულებს ერთად სხო-
მა. ერთხელ, როცა დიდხნის განმავ-
ლობაში არც ხე გამოჩნდა, არც ფრინ-
ველი, არც ძე-ხორციელი და ქარის წი-
სქვილებიც უსამანო სტეპში შორეუ-
ლნი და მიუწვდომელნი ჩანდნენ. ზაქა-
რამ უცქირა, უცქირა უთავბოლო ველს,
ითმინა, ითმინა, ველარ მოითმინა და
ტირილი წასკდა.

— რა ვატირებს, ბიჭო? — დაუყვი-
რა გრიგოლმა.

მეეტლემ ვაკვირებით ვაზედა აქვი-
თინებულ ვოლიათს.

— სად მივდივართ? რანაირი ქვეყა-
ნაა, — აღუღლულდა ძალისებნელი
ზაქარა, — არც ხე... არც ტყე... არც
მთა... ადამიანებიც არსად ჩანან, თი-
თქოს სადღაც მღერიან, მაგრამ ეს სი-
მღერაც უფრო ტირილსა ჰგავს ...

— ცოტაც მოითმინე. მალე ჩავალთ.

— დაამშვიდა სოვდაგარმა მსახური
მაგრამ გზაც ტრამალივით დაუსრუ-
ლებელი იყო.

სადგური სადგურს ცვლიდა.

უკან რჩებოდნენ სადგურები, შლაგ-
ბათუმები, სოფლები, ქალაქები. მოსკო-
ვი კი ისევ შორს იყო, ძალიან შორს.

მდიდარ სოვდაგარს ვატენილი ქიისი
წყალობით საფოსტო სადგურების ზე-
დამხედველნი დასვენებულ ცხენებს
უბამდნენ ეტლში და ფხიზელ მეეტლეს
სვამდნენ მისი ეტლის კოფოზე. ზე-
დამხედველნი, ეგერები და ყურებში
ფრთაგარკობილი მწერლები ყოველ-

თვის პატივისცემით ზედბოდნენ მას და მოწიწებით უკრავდნენ თავს. ეს ახალგაზრდა სოვდაგარს ისეთ სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ გამპარტავებულს ოდნავ თავი უბრუნებდა. ფარულა გვერდით არ ედგა, მაგრამ არაფრის არ ეშინოდა. ამის შეგნება მხნეობას მატებდა, მზიარულსა და ხალისიანს ხდიდა. მან იცოდა, რომ ფულის მფლობელი არსად არ დაიკარგებოდა, რადვან ყველგან შეეძლო ადამიანის სამსახური და მორჩილება ეყიდა.

ზოგჯერ მისი ეტლი შარავნიდან გადადიოდა, რათა კავკასიაში მომავალი ჭარისათვის გზა დაეთმო. ამ დროს სოვდაგარი მოკრძალებით ფეხზე დგებოდა, პირველს იწერდა და ქუდმოხდილი მლიქვნელური ღიმილით შესცქეროდა მხედრებს. ოფიცრები კავკასიელს ცხენებიდან უყვიროდნენ: „თქვენსკენ მოვიდვართო“, „გზა მშვიდობისა“ — ეუბნებოდა მათ თავყვანისცემით აღფრთოვანებული ვაჭარი.

მტვერში ამოგანგლული, მოქანცული და ჩაფიქრებული ჭარისკაცები, რომლებიც თავიანთი ტანსაცმლით და მაღალი ქუდებით დიდ სათამაშოებს ჰგავდნენ, დაღვრემილი სახეებით იუბრებოდნენ ეტლში მდგარ ვაჭრისაკენ. დიდხანს გაისმოდა ჭარისკაცების ჩექმების მწყობრი ბრაზუნი, ცხენების ფრთონა, ზარბაზნების საგორაკების რახრახი, საომარი აბჯარ-საჭურველის ელარუნი. სოვდაგარიც დიდხანს გასცქეროდა მზეში მოლაპლაპე შუბებსა და ხიშტებს და აღტაცებით ფიქრობდა: „მთიელებს ამოსწყვეტენ, შამილს ძელზე ჩამოაქიდებენ, სპარსეთს და ოსმალეთს დაიპყრობენ და ინდოეთში ისე ჩაეალ ჩემი ქარავნებით, არსად ბაეს არ გადავიხდიო“. შუა რუსეთის გზებზე, თეთრი არყების დამამწვინებელ შრიალში გრივოლ ზანდაროვს თბილისის ქარავანებში სოვდაგარების ნათქვამი აგონდებოდა, აგონდებოდა და ქვეშეწოდებული აღმაფრენით იმსკვამლებოდა ხელმწიფისა და მისი ლაშქრის მიმართ.

რაც უფრო უახლოვდებოდა ზანდაროვი მოსკოვს, მით უფრო მშობლებთან სოფლები.

სოფელი სოფელს ცვლიდა, ქალაქი ქალაქს.

ახლა ეტლი მწვანე, გრილი და შრიალა ტყეების გასწვრივ მიჰქროდა ძალღისუბნელმა ზაქარამ თანდათან გამოიღარა.

მისი ბატონი კი უფრო მეტად გახალისდა.

4. რუსული სოფლის ნაცნობი სურათები

მარტო მე არა ვარ ერთადერთი ცოდვილი...
... სხვა გლეხებიც დადიან ბანდულებით,
ქვეყნეობებზე დაწინაწლებენ, სიძარბოს ეძებენ... მაშ!

ი. ბურვენი, „მონადირის ჩანაწერები“

ზანდაროვი უცნობი ქვეყნის ადამიანებს და მათ ცხოვრებას ყურადღებით აკვირდებოდა. რუსეთის მატაკ სოფლებში ისეთი სურათის მოწმე ხდებოდა, რაც უნებლიედ საკუთარ ბავშვობასა და ყრმობას ახსენებდა.

ბევრჯერ წაადგა იგი თავზე სოფლის მოედანზე დასასჯელად გამოყვანილ გლეხკაცებს, რომელთაც მათრახებით და როზგებით სცემდნენ ბატონის შინაყმები. საფოსტო სადგურებთან ქუჩის მტვერში განუკითხავად ეყარნენ გაყიდული ყმა-გლეხები შიშველ-ტიტველ ცოლ-შვილთან ერთად. ყველგან ყმებით ვაჭრობა იყო გამართული. ყმებს ფულითაც ყიდულობდნენ და სანადირო ძაღლებშიც ცვლიდნენ. ყველა სოფლიდან მოისმოდა გაბრაზებული ბატონების უშვერი ლანძღვა-ვიწყება. ზორბა მოურავების ყვირილი და მუქარა, დავემილი ძაღლების ყეფა. შარვალჩახდილი ქარმაგი გლეხების წყვლებით ცემა ზანდაროვს რაღაც შორეულს, მაგრამ მაინც მწვევეს აგონებდა, გუნებას უმღვრევდა და ამ დროს ისეთი დაღონებული სახე ჰქონდა, რომ ზაქარა განცვიფრებული უყურებდა: „რა ვქნა, განა ყმების ცემა-ტყევა მარ-

ტო აქა ნახაო“. ქართლის სოფლებში ქორ-ვაჰრობისათვის მოტანტალე ზაქარას ბევრ ალაგას ენახა კაკლის ხის ტოტებზე თვდაყირა დაკიდებული ყმები, მოურავის ნაცემი გლეხები, ავღაბრის სამიკიტნობებში დაყიდულ გლეხ გოგოებს ზომ თვითონაც კარგად იცნობდა. ამიტომ აკვირვებდა და თვალს უწყვიფრებდა ის, რომ ასეთივე სურათები რუსეთის სოფლებში სოვდაგარ ზანდაროვს წარბს უკრავდა.

ერთხელ, ზედ შუა გზაზე, სოვდაგარი და მსახური ავზაყებისაგან გამარცხულ ვაჰრებს წააწყდნენ. ავზაყებს მათთვის საქონელი და ცხენები წაერთმიათ. რუსი ვაჰრები იყვნენ. ტიროდნენ, იწყევლებოდნენ და ავინებოდნენ. ავზაყები ნიღბებში ყოფილიყვნენ, მაგრამ ვაჰრებს მაინც ეცნოთ ახლომახლო სოფლებში მცხოვრები ყმაწვილი აზნაურები. ზანდაროვმა ტუჩი მოიკვინიტა, ბებუთის ოსტატ ზაქარას ენა მუცელში ჩაუღერა. მეეტლემ ჯიბიდან არყის ბოთლი ამოიღო, გადაპკრა. პირჯვარი გადაიწერა, აღვირები მოსწია, ცხენებს მათარახი მოუჭნია და სულ ჰენებით გაიარა სახიფათო გზა. ისინი მხოლოდ შლაგბუმთან დამშვიდდნენ და იმედი მოეცათ, როდესაც მათეც მომქროლავი ცხენოსანი ეანდარმება დაინახეს.

შიშით განადგურებული ზაქარა ჩუჩქლით კითხულობდა:

— როდის ჩავლთ იმ საოხრეში?

გზა ისე გრძელი და დაუსრულებელი იყო, თითქოს ქვეყნის კიდზე მიდიანო.

ზანდაროვი მშინარა არ იყო. ფულის დაკარგვის კი მას არ ეშინოდა, რადგან თან ძალიან ცოტა მიჰქონდა. სოვდაგარებში არავის ახსოვდა, როდის დაუხვედრეს ხმელეთის ყაჩაღებს და ზღვის მეკობრეებს ვაჰრებმა კრედიტი. ზანდაროვი მხოლოდ იმ საქონლის უშიშროებაზე ფიქრობდა, რომელიც მას მოსკოვიდან და ნიჟინ-ნოვგოროდიდან დარიალის გზით თბილისში უნდა გაეგზავნა. აქაც, მისი ფიქრით, ფული გასჭრიდა, რადგან საქონლის მცველებად

კაზაყები შეეძლო დაეყენებინა. ნაყიდ საქონელს ზაქარაც უნდა გამოჰყოლოდა, მაგრამ რაკი მასში ახალგაზრდა სოვდაგარმა მხდალი აღმოაჩინა, სერიოზულად იყო შემფოთებული.

ბატონი მსახურს გაკვირვებული ეკითხებოდა:

— კაცო, ეგ რა ყოფილხარ? დოსავით რამ გააწყალა?

ზაქარამ ჯერ იხტიბარი არ გაიტეხა, გრიგოლს შეედავა:

— ვაჰ, დალოცვილო, იმდენი დაჭრილი ერთად რომ დავინახე, მაშ არ უნდა შემშინებოდა?!

გრიგოლმა უარესად შეჰკრა წარბი. მსახურს საყვედურით უთხრა და ზედ დაცინვაც მიაყოლა:

— არ მეგონა, თუ ეგეთი თოხლო იყავი. რა ვიცი, ქალაქში ყომარბაზობით სახლის კედლები ჩანგრეული გქონდა, ჩხუბში საკინძი ყოველთვის ჩამოწყვეტილი, თვალზეც ისეთი ფარანი გედო, მთელ ქალაქს ანათებდა!

ზაქარა გატყდა, სიმაართლე წამოსცდა.

— რა ვქნა, გრიგოლჯან, ქალაქში ჩემი პაყარნი ამხანაგების იმედით ვიყავი- ავარების ამბავი არ იცი? თუ ვინმე მაგრად დახვდა, თვალი გაქცევაზე უჭირავთ.

— მაშ, ბებუთი რალად გინდა?

— მშიშრებისთვის, გრიგოლჯან, გულადებს კი ვერიდებით. ვისიც შეშინება შეგვიძლია, ყოჩაღებიც იმასთანა ვართ. თუ ზურგიდან არ მოუუარეთ, ისე ბებუთს როგორ ამოვიღებთ.

— ფიე...

— ჰო, გრიგოლჯან, ფახა-ფუხით ვიდებთ ფასსა. ჩვენი ვართობაც ეს არის. ძაღლის უბანში იმ ჰორფლიან გოგონებს ვაწიოკებთ, კლდის ქვეშ, აღდგომის სამშაბათს, ჰორფლის მომშორებელ ჯოჯოებს შაქარს რომ უპნევენ. იცი რამდენს ვიცინით ხოლმე, გრიგოლჯანი!

— ეგ რა გართობაა?

— ჰო, გრიგოლჯან, ეგრეა. ყარაჩო-ლელები და პაყარნები ერთმანეთისა-

გან შორი-შორს არიან. მაგრამ გულადობა არც ჩვენ გვაკლია, — დაიტრამბა ზაქარამ და პირისახიდან სახელოთი ოფლი მოიწმინდა, — პაქარნები ვინ არ იცის, ხიდიდან მტკვარში ტებიან და წისქვილების ნავების ცხვირზე გამოდიან. ამას ნიძლავზე აკეთებენ, ფულს ამით შოულობენ. ჩვენი ხელობა ეს არის, გრიგოლჯან.

— მაშ, საქონელი როგორღა განდო?
— ჰკითხა მოლუშულმა გრიგოლმა.

— თუ ბევრნი ვიქნებით, იქა მნახე ვინა ვარ. მენახშირე იავორასავით ღონიერი ვხდები. გრიგოლჯან, შენ არ იცნობ მენახშირე იავორას? აი, ისა, მამას საყვარელი რომ იყო.

ზანდაროვი უცებ კარგ გუნებაზე დადგა, რადგან შეშინებული მსახურის აბდაუბდა ლაპარაკმა ქალაქი და ქალაქური ამბები გაახსენა.

ზაქარამ გრიგოლს მორიდებით მოჰხედა და ღრეკით უთხრა:

— არც მე შეგონა, გრიგოლჯან, თუ შენ ასეთი გულადი იყავი. ფირუზას სულ არა ჰგებარ.

გრიგოლმა გაიცინა.

— რას ამბობ, კაცო, ფირუზას ყველანი თავს უკრავენ, რისი და ვისი უნდა ეშინოდეს?

— ეგ ეხლა, გრიგოლჯან, წინათ სულ სხვა იყო. განა არ მახსოვს? თუ სადმე ჩხუბი მოხდებოდა, იქ „ლხინის პაპას“ ვილა ნახავდა?

გრიგოლი ჩაფიქრდა.

ფირუზა ზანდაროვის მას ეხლაც ეშინოდა, თუმცა მყისვე იმასაც მიხვდა, რომ ფირუზას და ზაქარას თავიანთი მსხვერპლი მხოლოდ სულელ და მშინაშარა აღამიანებში შეეძლოთ ეპოვათ. თან უკვირდა, რომ ფირუზას შორიდან უკეთ ხედავდა, ვიდრე იმ დროს, როცა მის გვერდით იდგა, მას თვალებში შესცქეროდა და ყველა მის სიტყვას თუ სურვილს უყოყმანოდ, სიტყვის შეუტრუნებლად ასრულებდა. თვალწინ ცხადად დაუდგა ქორევაპარიეთი დაქობითებული, ხარბი და გაუმადლარი აღმზრდელი. მას ისიც მოაგონდა, რომ უი-

რუზას საერთოდ არავინ უყვარდა, გული დაცარიელებული ჰქონდა, ხოლო თავი ექვებით სავსე. გრიგოლი ამგვარ ფიქრებს გაჰყვა. პირველად იმ დღეს გაუელვა მას თავში იმ აზრმა, რომ აღრე თუ გვიან ის და ფირუზა, აღზრდილი და აღმზრდელი, ერთმანეთს წინ დაუდგებოდნენ, ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ. ეს ისევე გარდაუვალი იყო, როგორც ამ გზის დასასრულს მოსკოვის გამოჩენა.

გრიგოლმა ნიკაპზე ხელი მოიხედა. ფიქრი ფიქრს აედევნა. მოგონება მოგონებას. აზრი აზრს. რატომღაც ფირუზა აგონდებოდა, ფირუზაზე ფიქრობდა.

ძაღლისუბნელმა ზაქარამ თავისი ლაპარაკით კიდევ უფრო ახლოს გააცნო ის, ვინც მას ყოველთვის ერთი ნაბიჯით უკან ტოვებდა და ბატონივით თითს უქნევდა. ამ კაცს ქალაქელები ზურგსუკან დასცინოდნენ. ეს გრიგოლ ზანდაროვისათვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. ზაქარამ უნებლიედ მას ისიც გააგებინა, რომ თუ საქმე მოითხოვდა, ყოფილი მეწვრილმანე და ახლანდელი დიდვაპარი არც მას დაინდობდა. მაშინ გრიგოლ ზანდაროვს თვით ამ გოლიათური აღნაგობის ლაჩრის უნდა შინებოდა, რადგან ფირუზა ზანდაროვს ადვილად შეეძლო მისი თავის იარაღად გამოყენება. მაშ, გრიგოლ ზანდაროვი ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რათა გულდანდობილისათვის ზურგიდან არ მოეელოთ, არ წაექციათ და ქარავასლის კიბებზე არ დაეგორებინათ.

ჩაფიქრებული სოვდაგარი წელში გასწორდა. სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება გამოეხატა: დღეიდან მას მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ეფიქრა, ნდობით კი არავის ნდობა საჭირო არ იყო. საწვრილმანოდან ქარავასლამდე განვლილი გზა მას მხოლოდ ამას უკარნახებდა.

რაკი ზაქარამ ქალაქურ ამბებზე ლაპარაკი დაიწყო, მოსკოვამდე აღარ გაჩუმებულა, გრიგოლი ყურადღებით უსმენდა. დროდადრო აქებებდა კიდევ, რათა ქალაქში მომხდარი ამბები დაწე-

რილებით გაეგო და გაეცეთილად გამოეყენებინა.

5. მოსკოვში

მოსკოვს დამე ღრმა ძილით სძინავს, მეორე დღეს კი ოთხივეუთხვე პირჯვარს ვადიწერს. რე არა, ფუნთომა პურებით ბაზარზე მიბრუნდებდა.

5. ვოგოლი, „1888 წლის პეტერბურგული ჩანაწერები“

შუადღე გადასული იყო, როცა გრივოლ ზანდაროვი თავისი ეტლით მოსკოვში შეგრაილდა.

მზიანი ამინდი იდგა.

ზანდაროვი შორიდანვე დაინახა ურიცხვი ტაძრებისა და ეკლესიების მოკაშკაშე ხახვისებრი გუმბათები და მზეში აელვარებული ოქროს ჯვრები.

თეთრქვიანმა და ოქროსთავიანმა ქალაქმა თბილელ სოვდაგარს თვალი გახუცვიფრა. ასე დიდ ქალაქში პირველად მოხვედრილი ყველაფერს აღტაცებული და მოხიბლული უყურებდა. მხოლოდ მოსკოვის გარეუბნების პირდაუბანელ ქუჩებში მოეჩვენა რაღაც მშობლიური და მახლობელი. სამაგიეროდ მოსკოვის შუაგული მისთვის სრულიად ახალი სამყარო იყო. აქ სოვდაგარს თვალი მოსწყვიტა გრძელმა ქუჩებმა, ფართო მოედნებმა, სასიერნო ბაღებმა, ცადაწვდილმა სახლებმა და სასახლეებმა, ბულვარზე და კუზნეცის ხიდზე მოზიმზიმე ჩაცმულ-დახურულმა ხალხმა, ქვაფენილზე მიმქროლავმა უაშირაგმა ეტლმა. ყველაზე მეტად ზანდაროვს ის აკვირვებდა, რომ ქუჩებში ეტლი ეტლს მისდევდა, ყველგან ეტლები ჩანდა, გამვლელებიც და ქუჩაზე გადამსვლელებიც ეტლებს ერიდებოდნენ, რათა გაჰენებულ ცხენებს ფეხებში არ ჩაეარდნოდნენ. გრიგოლს რაღაც გაახსენდა და გაელიმა. აქ წვიმიან ამინდში ახალგაზრდა კაცის ღონიერი მხრები საჭირო არ იყო, რათა ქალბატონებს ფეხები წვიმის წყალში არ დასველებოდათ.

ეტლით გრძელსა და განიერს ქუჩას მისდევდა. ზანდაროვი ცნობისმოყვა-

რეობით ათვალერებდა ვერაქივეფრეზე მიკრულ ქვისა და ხის სახლებს. კარგად ეუღლი სახლი მისთვის, თავის გარეგნობითა და ხუროთმოძღვრული იერიით, ახალი და უცხო იყო. ვენეციური, ფლორენციული, გოთური, შვეიცარული, ჩინური და ბოიარული სტილის შენობები ერთმანეთში უწყესრიგოდ იყვნენ არეულნი. ასეთ სახლებს ზანდაროვი პირველად ხედავდა და ადვილად მიმხვედრი, მათ სხვადასხვა ქვეყნის ნაირნაირად ჩაცმულ ადამიანებს უკავშირებდა. თან უნებლიედ აკონდებოდა თბილისის ერთსართულიანი, იშვიათად ორსართულიანი და კიდევ უფრო იშვიათად სამსართულიანი სახლები. ისიც უკვირდა, რომ თბილისური გრძელი აივნების მსგავსი რამ არსად არაფერი ჩანდა. მის ცნობიერებაში კი ქალაქი და აივნები ერთმანეთისაგან განუყრელი და განუშორებელი რამ იყო.

ზანდაროვი ფელდეგერმა „ტორგოვი დოშში“ მიიყვანა, ძველი ხის სახლების გრძელსა და ბნელ რიგებში. აქ მას თბილისელი სოვდაგარები დახვდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაკოცნეს და დიდის ამბით მოიკითხეს.

ძალისუბნელი ზაქარა კინაღამ ბავშვივით ატირდა, როცა თბილისელი სოვდაგარები დაინახა და ქართულად ლაპარაკი გაიგონა.

— თქვენი ჰირიმეთ, თქვენ გენაცვალეთ. თქვენ რომ გიყურებთ, ასე მგონია ჩემს მტკვარს ვუყურებდე. — იძახდა გახარებული ზაქარა და თან ხელის ჭუჭყიანი ცერებით თვალებიდან სუფთა მსხვილ ცრემლებს იშმენდდა.

სოვდაგარები ეხუმრებოდნენ.

— ვაჰ, ზაქარჯან, შენ აქ რა გინდა? შენ ეხლა ხიდზე უნდა იდგე და მტკვარში ხტებოდე.

ხუმრობის გუნებაზე დამდგარი სოვდაგარები ზაქარას სერიოზულად ეკითხებოდნენ :

— ბიჭო! დედამენმა ამ სიშორეზე როგორ გამოგიშვა? დავიჯერო არ მოგეტყობა?

ზაქარაც სერიოზულად პასუხობდა:

— ტირილი რომელია, ვერც ფარუ-
ზა ანერებდა, ვერც თეთრი ღიზა. მეც
იმ დროს რას ვიფიქრებდი, სად მოვდი-
ოდი. სოღანლუღის იქით ქვეყანა თუ
იყო, არ შეგონა.

სოვდაგარები ხარზარებდნენ.

ახალგაზრდა ზანდაროვიც მათთან
ერთად იცინოდა.

მერე დასხდნენ და ლაზათიანად, სო-
ვდაგარულად ისაძილეს. ზაქარა ისეთ-
ნაირად გამოათვრეს, რომ თავი ზან სო-
ღანლუღში ეგონა, ზან თელეთში.

სოვდაგარები სიცილით იხოცებოდნენ.
მგზავრობით დალილ ზანდაროვს
დასვენებაც დაეიწყება და ძილიც. სხვე-
ბთან ერთად ზაქარას ისიც ამასხარა-
ვებდა. ღვინოს ზედისხედ უსხამდა, აძ-
ალებდა და აქეზებდა. უგრძობლად
მთვრალ ზაქარას არაფერი ესმოდა. ამი-
ტომ არავეს ეწინოდა, რომ დაცინვის
გასახსენებლად ის მათ სადმე ბებუთით
ჩაუსაფრდებოდა.

როცა ღვინით გაღეშილი ზაქარა ია-
ტაკზე გაიშხლართა და ხვრინვა ამოუ-
შვა, სოვდაგარებმა საქმიანი ლაპარაკი
დაიწყეს.

ზანდაროვმა მათ დაწვრილებით გა-
მოკითხა ყველაფერი რაც კი მას აინ-
ტერესებდა. ისინიც ზოგ რამეს ეუბნე-
ბოდნენ, ბევრსაც უმალავდნენ. სწო-
რედ მათგან ვაიგო ზანდაროვმა, რომ
მოსკოვში მცხოვრები ერთი ქართველი
აზნაური თბილისიდან ჩასულ სოვდაგ-
არებზე ოთახებს აქირავებდა. ზანდარო-
ვი დიდი ხნით აპირებდა მოსკოვში და-
რჩენას, ამიტომ მან უმჯობესად ჩათვა-
ლა საცხოვრებლად თავისი თანამემ-
ყულის სახლში გადასულიყო.

6. მოულოდნელი საწყაბო

მე ფული მაქვს.

გაბრიელ სუნდუჯიანი, „დაქაული ოჯახი“

მეორე დღეს, ქართველების პატარა
ქუჩაზე, ფარნაოზ ტაშირელს კარზე
გრიგოლ ზანდაროვმა დაუკაკუნა.

ბენსიაზე გასული ფარნაოზ ტაშირე-

ლი ძველი ქართველი ემიგრანტის შთა-
მოშავალი იყო. უსაქმოდ დარჩენილი
მოხუცი კაპიტანი ხელმოკლედ ცხოვ-
რობდა. ამიტომ თავისი პატარა სახლის
ოთახებს იმათზე აქირავებდა, ვინც
თბილისიდან მოსკოვში დროებით ჩა-
მოვიდოდა. ამით სამსახურიდან გადამ-
დგარი კაპიტანი დამატებით შემოსავა-
ლსაც იღებდა და ქართულად ლაპარა-
კის შესაძლებლობაც ეძლეოდა. მისი
ვაეი, სასამართლოს უბრალო მოხელე,
თბილელ სოვდაგარებს არხებს უწერდა
და ზოგჯერ თარჯიმნობდა კიდევ. ამით
ისიც თავის მცირე ჭამავიერს ორიოდე
გროსს უმატებდა.

გრიგოლ ზანდაროვი და ფარნაოზ
ტაშირელი ადვილად მორიდდნენ. ამას-
თან მრავალგან ნაომარ მხედარს თვალ-
ში მოუვიდა და მოეწონა თვალტანადი
ახალგაზრდა სოვდაგარი. ზანდაროვმა
თავისი ბარგი-ბარხანა „ტორგოვი დო-
მიდან“ ზაქარას ტაშირელის სახლში
გადაატანინა.

როცა სოვდაგარმა შუშანიკის ბაღ-
დადი გახსნა, რათა თავის მასპინძელს
ხმელი ხილით გამასპინძლებოდა, სახ-
ტად დარჩა. ბაღდადში ხმელი ხილის
მაგიერ ასიგნაციების დასტა ელავა. ზედ
დაკეცილი ბარათი იყო. ბარათში ეწე-
რა: „მოწყალეო ხელმწიფევე, უფალო
გრიგოლ! მდიდარი ბრძანდებით და მოწყ-
ალება არ გვირდებათ. ამიტომ ვკად-
ნიერდები, რათა ამ ასიგნაციებით მცი-
რდეთ მაინც გადაგიხადოთ მადლობა
თქვენის მზრუნველობისა და ყურად-
ღების გამო. უარით ნუ გამაწილებთ,
მიიღეთ და ღმერთმა მშვიდობაში მოგა-
ხმაროთ. თქვენგან დიდად დავალბებული
შუშანიკა მამრადე“. ასიგნაციების და-
ნახვაზე ზანდაროვს ჯერ თვალები აუ-
ჭრულდა, მერე ცრემლებით დაენამა.
მადლიერების გრძნობით გაიხსენა ძალ-
ზე გამხდარი, ნადრევად დაბერებული,
მაგრამ უარღესად კეთილი და სათნო
ხასიათის შუშანიკი. ოჭროს ქისის შემ-
დეგ ამდენ ფულს იგი კვლავ ჯილდოდ
შოულობდა. მაგრამ ფულის ფასი ახლა
მან უკვე იცოდა. თუ მაშინ მის ოჭროს

ქიასა ფირუზა დაეპატრონა, ახლა ეს ასიგნაციები მხოლოდ მას ეკუთვნოდა, მისი იყო, მასში ფირუზა წილს ვერ დაიღებდა და მის შესახებ ვერც ვერაფერს გაიგებდა. ამის შეგნება მას ერთობლად დამოუკიდებელსაც ხდიდა და ღონიერსაც. სიხარულისაგან გაბრუნებულ ზანდაროვს ერთხელაც არ ვახსენებია, რომ იგი გულუხვ საჩუქარს მოტყუებული და მისი მონაწილეობით გაუბედურებული ქალისაგან იღებდა.

მხოლოდ ერთი რამ ვერ აეხსნა მას: რა ამოქმედებდა შუშანიკს? დაგვიანებული სიყვარული, თუ უბრალო ადამიანური მადლობა მისი ოჯახის მზრუნველის და მფარველის მიმართ? როგორც მეორე იგი მხოლოდ იმას ხედებოდა, რომ შუშანიკს ან ოჯახის თვალმარგალიტი უნდა გადაეხურდავებინა ასიგნაციებში ანდა მოგების იმ წილიდან აეღო, რასაც მას ოჩხუბობის პირობით ზანდაროვები უნიშნავდნენ.

აღელვებულმა ზანდაროვმა ოთახში გაიარ-გამოიარა. ფიქრებისაგან ზაქარამ გამოარკვია. მსახური მას ვაკვირვებით ეკითხებოდა:

— გრიგოლჯან, ეს როგორი ქართულით ლაპარაკობს ჩვენი სახლის პატრონი? ეგრე ჩვენში მღვდლებიც აღარ ლაპარაკობენ.

გრიგოლ ზანდაროვმა დინჯად განუმარტა:

— ღრმა ქართულით ლაპარაკობს, ზაქარ!

— პოოო ... — პატივისცემით წარმოთქვა ქალაქურ კილოზე გაზრდილმა ზაქარამ, რომელიც ძველი ქართველი ემიგრანტის მწიგნობრულ ქართულს თვალმდაქვეტილი უგდებდა ყურს.

სადილად რომ სხდებოდნენ, ზანდაროვმა სამსახურიდან დაბრუნებული ვახტანგ ტაშირელი გაიცნო. თბილისელი სოფელდარებისაგან მან უკვე იცოდა, რომ ფარნაოზ ტაშირელის ერთადერთი ვაჟი ცხოვრებაში სრულიად გამოუცდელი, მეტისმეტად პატიოსანი, მიაშტო და გულდანდობილი ყმაწვილი იყო, თუმცა, მიუხედავად თავისი ახალგაზ-

რდობისა, „მღვდლის ოდენა ეკუთვლა და კარგ არზებსაც წერდა“. ღვთავერცხვანად ლოდ ოცი წლისა იყო, მაგრამ მოსკოვის უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული ჰქონდა.

7. დიდ ძალაში

საერთველია, აქ ბალკონები არა მყოფნიან.

გიორგი ერისთავი, „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“

თავაზიანმა და ყურადღებიანმა ვახტანგ ტაშირელმა თბილელ სოფელდარს მოსკოვის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერებინა. პირველად დონის მონასტერში წაიყვანა და ქართველ უფლისწულთა საფლავები აჩვენა. დიდხანს ვატაკებით ლაპარაკობდა და ახსნა-განმარტებასაც დაუზარებლად იძლეოდა, მაგრამ ახალგაზრდა სოფელდარს მალე ისეთი მოქმარება აუტყდა, რომ ვახტანგ ტაშირელმა გრძლად დაწყებული ლაპარაკი რომელიღაც სიტყვაზე შეწყვიტა და მისი ისტორიული ცნობებით გაბრუნებული თანამემამულე მონასტრიდან გამოიყვანა. სამაგიეროდ, საღამოთი თეატრში მას მხიარული კომედია უჩვენა. ზანდაროვმა ბევრი იციონა და ნასიამოვნებაც დარჩა. ოღონდ იმას თავილობდა, რომ თეატრის მსაყურებლები მის დიდგაჟრის კაბას ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ. ზოგიერთი კი სრულიად მოურიღებლად დამცინავად უყურებდა. მას ამის გამო ქუჩაშიც არ ასვენებდნენ. გოგობივები ისე დასდევდნენ, როგორც ქუჩის მუსიკოსს ან ჯამბაზს დასდევენ ხოლმე.

მხოლოდ „ტორგოვი დომში“ და კრემლის მახლობლად დიდ ბაზარზე არ უყვირდათ მისი ჩაცმულობა, რადგან იქ მრავლად ტრიალებდა სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვანაირად ჩაცმულ-დახურული ვაჭარი.

დიდი ქალაქის ქუჩებში ხეტიალის დროს ზანდაროვი თვლით დაეძებდა აივნებს, მაგრამ ვერსად ვერ პოულობდა.

უკვირდა და გარშემო გაშტერებული იყურებოდა.

თბილელი სოფდაგარი მოსკოვში ეველახე მეტად მოსკოველების ღეთისმოსაობამ გააკვირვა. ყოველი ქუჩიდან და კუთხიდან მას დიდი და პატარა ზარების ატეხილი ვუგუნე და წყრიალი ესმოდა. ურიცხვი ტაძრების და ეკლესიების სამრეკლოები, მღვდელმსახურნიცა და წირვების დროს, ზარების გაუთავებელ პაექრობას მართავდნენ. ამ დროს გამვლელები სასოებით იწერდნენ პირჯვარს და ზეცაში იყურებოდნენ. გაკვირვებულ ზანდაროვს თავისდაუნებურად ღრმადმოჩუმუნე თეთრი ლიზა აგონდებოდა. ყოველ ნაბიჯზე იგი სამლოცველოებს, ნიშებს, ხატების გამყიდველებს, ბრბოში მოქადაგე მღვდლებს, დიაკვნებს, ბერებს, მონაზვნებსა და მწირებს ხედავდა. მდიდრულ ტაძრებში მდიდრული ეტლებით დადიოდნენ გენერლები და თავადები, მრწყინვალე მანდილოსნები და ბედნიერი ღიმილით გასხივოსნებული ქალწულები. მოსკოვში ლოცვა-ვედრების გარდა, თითქოს სხვას არაფერს აკეთებდნენ. ზანდაროვიც ხშირად შედიოდა ეკლესიაში, მაგრამ უფრო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ვიდრე სარწმუნოებრივი ლტოლვის ვაშო. დიდკაცობის ყურება უყვარდა. თავყვანისცემით ხრიდა თავს მათ წინაშე, მათი ზეიადი და გოროზი გამომეტყველებით მოხაზლული და დატყვევებული. ისიც სხვებივით ლოცულობდა და სანთლებს უნთებდა წმინდანებს, რომლებსაც ქართველი წმინდანებისაგან განსხვავებით, გრძელი თეთრი ხალათები და პრიალა შავი ჩექმები ეცვათ. ისინი ზანდაროვს რატომღაც რუს ვაჭრებს აგონებდნენ. გაკვირვებული შესცქეროდა მათ, ყოყმანობდა და მათთვის სანთლის დანთება ენანებოდა, რადგან „ჩექმებიანი წმინდანების“ ძალა არა სწამდა.

თბილელ სოფდაგარს არც ის დარჩა შეუმჩნეველი, რომ რუსი ვაჭრები თთახში შემოსვლისას, სკამზე დაჯდომისას

და პურისჭამის წინ პირჯვარს იწერდნენ და თავიანთ გრძელ, გამაგრებულ წვერებში ლოცვებს მტუტებდნენ. „სეტყანი და ღეთისმოსაენი არიანო, — ფიქრობდა ზანდაროვი, რომელსაც გუნებაში მათი მოტყუება ადვილ საქმედ მიაჩნდა, — ფირუზა რომ აქ იყოს, ყველას ჯიბეებს დააჭრიდაო“.

უყურებდა თეთრწვერა, შავწვერა და მწითურწვერა ვაჭრებს და იოლი წარმატების რწმენით იმსკვალებოდა.

რუსმა ვაჭრებმა მასთან საქმიანი მოლაპარაკება გამართეს. ზანდაროვმა მათგან ზოგი საქონელი ნაღდ ფულზე იყიდა, ზოგის საყიდლად კი კრედიტის გახსნა მოითხოვა. კრედიტი, არწმუნებდა იგი მათ, საშუალებას მისცემდა კიდევ დიდხანს დარჩენილიყო მოსკოვში საქონლის ასარჩევად და შესასყიდად. ვაჭრებმა და ფაბრიკანტებმა მისი თითქმის ყველა წინადადება უყოყმანოდ მიიღეს, რადგან კავკასიასთან (და კავკასიის მეშვეობით მახლობელ აღმოსავლეთთან) სავაჭრო ურთიერთობა სულ უფრო და უფრო სარფიანი და მომგებიანი ხდებოდა. ამას გარდა, ზანდაროვმა თავისი კომერციული შესაძლებლობანი მათ კავკასიის მთავარმართბლის კანცელარიაში დამტკიცებული საბუთებით, საგარანტიო მოწმობებით და სარეკომენდაციო ბარათებით დაუდასტურა. ფასების გამოც ადვილად მორიგდნენ.

„ასტრახანის ტარიფმა“ და თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების სათანადო მუხლმა რუს ვაჭრებსა და ფაბრიკანტებს იმდენი რა მოაგებინა, რომ ფასების გამო დიდხანს ვაჭრობას საჭიროდ არ თვლიდნენ.

ზანდაროვი მოსკოვში თავს უკვე თამამად გრძნობდა. უცხო ქალაქში ყოფნა აღარ ეხამუშებოდა. ვაჭრებს და ვაჭრობას ეცნობოდა, ბაზრებში ყველფერს გულდასმით აკვირდებოდა. „ტორგოვი დომის“ მრავალრიცხოვან სტუმრებს მეგობრულ მუსაიფს უმართავდა. მართალია, რუსულად ლაპარაკი



ბარი მეთორმეტი

1. მამა და შვილი

უჭირდა, მაგრამ სათქმელს ყველას აგებინებდა და სხვების ნათქვამსაც აღვილად გებულობდა. თან სომხურის, სპარსულის და თურქულის ცოდნასაც იშველებდა. მარტო თურქულის ცოდნის წყალობით მას რუსეთის ქალაქები და ბაზრები ისე შეეძლო შემოეგლო, რომ არსად თარჯიმანი არ დასჭირებოდა.

როცა „წმინდანებმა“ მისი მოტყუება სცადეს, საშინლად გაოცდა. ხიფათს ვაჭრულმა ალლომ და ფიზულმა ქკუამ გადაარჩინა. იგი მალე მიხვდა, რომ რუსი ვაჭრებიც ისევე იწერდნენ პირჯვარს, როგორც ფირუზა იწერდა ხოლმე. მიხვდა და სიფრთხილეს მოუმატა.

ზანდაროვი რუს და უცხოელ ვაჭრებს უკვე კარგად იცნობდა, როცა ნიენი-ნოვგოროდში წმ. მარკოზის განთქმულ ბაზრობას დაესწრო. აქ მას ბევრი რამ ნაცნობი და მაზლობელი ეჩვენა, რადგან ბაზრობაზე უმრავლესობას აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მოსული ვაჭრები შეადგენდნენ.

ნიენი-ნოვგოროდში მაშრიცი და მადრიბი ერთად იყო წარმოდგენილი. მადრიბელი ვაჭრები აქედან ასტრახანამდე ვოლგას ხომალდებით უნდა გაპყოლოდნენ, ასტრახანიდან კი შუა აღმოსავლეთში ამიერკავკასიის ძველი სახმელეთო გზებით ან კასპიის ზღვით გასულიყვნენ. ასევე მაშრიციელი ვაჭრები ასტრახანიდან ზიენი-ნოვგოროდამდე ვოლგას უნდა აპყოლოდნენ. აქედან კი მალრიბისაკენ მიმავალ ორ დიდ გზას დასდგომოდნენ, რათა თავიანთი საქონლით ბალტიის ან ჩრდილოეთის ზღვის ნავსადგურებში მისულიყვნენ.

ახლაგაზრდა ზანდაროვს მხოლოდ ახლა ეცა თვალში ვაჭრების განიერი მზარბეჭი, შხითა და ქართი გარუჯული სახეები, ცოცხალი, დაკვირვებული თვალები.

წმ. მარკოზის სვეტთან ღრმად ჩაფიქრებული ერთხელ კიდევ რწმუნდებოდა, რომ მოგზაურობა და ვაჭრობა მხოლოდ ღონიერი, მხნე, უშიშარი, გამძლე და ამტანი ადამიანების საქმე იყო.

თვალთვან დამორბეული სამშობლო გულთან ახლოსა.

მოსკოველი ქართველების წერილებიდან

ტაშირელების ოჯახში ხშირად იგონებდნენ ხოლმე თავიანთ წინაპარს, თბილისის რომელიღაც საყდრის მღვდელს და საუკეთესო კალიგრაფს, რომელიც 1724 წელს რუსეთს მიმავალ ვახტანგ IV თან გაპყოლოდა.

ტაშირელების ეს წინაპარი მწიგნობრობდა და პოეტობდა კიდევ, როგორც მისი თანამედროვეების უმეტესობა უბრალო აზნაურიდან დაწყებული გვირგვინოსან მეფემდე. მაგრამ თუ იგი თავისი ორიგინალური ნაწარმოებებით საშუალო ნიჭის და შესაძლებლობის ადამიანად გამოიყურებოდა, სამაგიეროდ არაჩვეულებრივად ლამაზი ხელით წერდა მხედრულადაც და ხუცუტრადაც. მოსკოვის ქართულ კოლონიასი ამ მხრივ იგი ერთი პირველთაგანი იყო.

მისი ხელით გადაწერილი მრავალი ორიგინალური და თარგმნილი თხზულება ახლაც ელაგა ტაშირელების პატარა სახლის ერთ-ერთი ოთახის თაროებზე. ფარნაოზ ტაშირელი მათ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, თუმცა თვითონ წიგნების კითხვა არ უყვარდა.

ემიგრანტი ხუცესისა და მწიგნობრის ნაშეირნი მღვდლების მაგიერ მხედრები გამოვიდნენ. ისინი ქართველ ჰუსართა პოლკის ჩინებული კავალერისტები იყვნენ. მამაცურად ებრძოდნენ შვედებს, თურქებს, პრუსიელებს და ფრანგებს. ქართველი ემიგრანტების შთამომავალნი სისხლს ანთხევდნენ ერთმორწმუნე მეფის ტახტისათვის. იმპერატრიცა ელისაბედის რესკრიპტით რუსეთის ქვეშევრდომებად ჩარიცხულნი მხოლოდ რუსეთში ცდილობდნენ სახელის და დიდების მოხვეჭას. მიუხედავად ამისა,

არც ქართულს ივიწყებდნენ და არც მათთვის უკვე შორეულ სამშობლო ქვეყანას, თვით უცხოეთში ისინი გულწინაღობად იგონებდნენ ქართლის მხიარულ გაზაფხულს, ისევე, როგორც მას მაგდებურგის კოშკის ქართველი ტყვე იგონებდა.

ტაშირელები მრავლდებოდნენ, რუხი აზნაურების ასულებს ცოლებად ირთავდნენ და მხედრებად იზრდებოდნენ.

ფარნაოზ ტაშირელი 1812 წლის სამაჟლო ომის ვეტერანი იყო. ამას არ შეეძლო უტყველოდ მოეგონებინა ბოროდინოს ველზე მძიმედ დაქრილი გენერალი ბაგრატიონი, რომელსაც იგი მრავალ ბრძოლაში ახლდა და რომლის ვაჟკაცობას ახლაც აღტაცებით იგონებდა. ფარნაოზ ტაშირელი იმით ამაყობდა, რომ თავისი ხმლით ერთგულად და თავდადებით ემსახურა ხელმწიფე-იმპერატორებს.

ნაომარ, ნაქირნახელევე და დაბერებულ აზნაურს ახლა ერთი სურვილია ასულდგმულებდა: სურდა ერთადერთი ვაჟი ვახტანგი წინაპრების კვალს შესდგომოდა და ისიც იმპერატორის ერთგული ჭარისკაცი გამოსულიყო.

როგორც ეს უცოლოდ დარჩენილ ქვრივ მამაკაცებს სჩვევიათ, ვაჟს მკაცრად ზრდიდა, აღერსისა და სიყვარულის გარეშე. შინ იგი ნამდვილ ფელდფებელად იყო გადაქცეული. პატარა ვახტანგს ხან დამბაჩის ხმარებას ასწავლიდა, ხან ხმლის მოქნევას, ხან მანუქში ცხენზე ჯდომას. სამაგიეროდ აღერსიანი სიტყვა ერთხელაც არ წამოსცდებოდა. ბავშვური გასართობები პატარა ვახტანგისათვის არ არსებობდა. მამას მისთვის მხოლოდ სამხედრო სამაშაოები მოჰქონდა: ტყვიის ჭარისკაცები, მხედრები, პაწია ზარბაზნები, სათამაშო თოფები და ხმლები, დოღები და საყვირები. თანატოლ ბიჭებთან თამაშს სასტიკად უკრძალავდა. დილაადრიან ეკლესიაში წირვის მოსასმენად მიჰყავდა, მერე გიმნაზიაში ისტუმრებდა. საღამოობით, ანთებული სანთლის შუქზე, მასთან ერთად მოსკოვში დაბე-

ჭდილ ბაქარისეულ ბიბლიას კითხულობდა. ხან მამა უკვდა ტექსტს, ხან შვილი. უფრო ხშირად შვილი კითხულობდა, რადგან როცა ამას მამა აკეთებდა, ბავშვს თვალზე რული ეკიდებოდა და ყვინთავდა.

ასე იზრდებოდა ტაშირელების გვარის ერთადერთი გამგრძელებელი.

ვახტანგი ისე გაიზარდა, რომ თეატრი ერთხელაც არ ენახა. მის მამას თეატრი სძაგდა და ახლოს არ ეკარებოდა. თუ სადმე სიტყვა მოიტანდა, იგი ყოველთვის გესლიანად დასცინოდა ხოლმე მსახიობ სანდუნოვს, ქართველი ემგრანტის შთამომავალს და მოსკოვის აბანოების ახლანდელ მფლობელს, რომელსაც სცენაზე გაეთქვა სახელი და არა ომის ასპარეზზე. ნიჟნოვსად და მაგალითად მხოლოდ ქართველი გენერლების ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა. საზოგადოდ კი ქართველის ერთადერთ მოვალეობად სამხედრო ცხოვრება და ომში მონაწილეობა მიაჩნდა.

დაბერებულები სალდაფონი მუდამ ფხიზლად იყო, რათა მისი ვაჟი მაგნე აზრებს არ აპყლოდა ამიტომ გულმოდგინედ არიდებდა იმ ნაცნობ ოფიცრებს, რომლებიც რაღაცნაირად დეკაბრისტებთან იყვნენ დაკავშირებული ანდა დეკაბრისტებს თანაუგრძნობდნენ.

მის ოთახში მხოლოდ ორი სურათი ეკიდა: ხელმწიფე-იმპერატორის და კავკასიის მთავარმართებლად ნაყოფი გენერალ ციციანოვის. ოთახების კუთხეები ხატებით იყო გავსებული. ყოველ ბედნიერ დღეს ხატების წინ გაუჭრობლად ენთოთ თავლის სანთლები. ხატებთან დანოქილი ფარნაოზ ტაშირელი ვაჟთან ერთად გულმხურვალედ ლოცულობდა. მის წარმოდგენაში რომანოვების ტახტი და მართლმადიდებლური ეკლესია მამულიშვილური მისრაფებების, ქვეშევრდომული აზრის და მიზნის უმადლესი გამოხატულება იყო, ადამიანთა კეთილგონიერნი ცხოვრების, ღვთაებრივი წესრიგის და ქრისტიანული თანხმობის შეუწყველი დასაყრდენი.

მამას ერთი რამ გამოჩნა მხედველობიდან. შეილი დიდხანს რჩებოდა ხოლმე იმ ოთახში, სადაც ტაშირელების წინაპართა ხელნაწერი წიგნები იყო დაცული. ამ წიგნებში ვოლტერის ქართულად ნათარგმნი თხზულებაც იყო. ვოლტერმა კი ახალგაზრდა ტაშირელი მოსკოვის უნივერსიტეტში მიიყვანა. მართალია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სამხედრო სამსახურზე ხელის აღებას, მაგრამ ფარნაოზ ტაშირელი მაინც სერიოზულად იყო შემფოთებული. სკოლასაც და უნივერსიტეტსაც იგი ექვის თვლით უყურებდა, რადგან განათლება მონარქიის და მართლმადიდებლობის მთავარ საფრთხედ მიაჩნდა. მაგალითად ევროპის განათლებულ ადამიანებს ასახელებდა, რომელთაც, შეძრწუნებით აღნიშნავდა ფარნაოზ ტაშირელი, თვით მეფეს გილიოტინაზე თავი გააგდებინეს.

შეფიქრიანებული აზნაური წარამარა პირჯვარს იწერდა და ყველა ხატს ცალ-ცალკე უჩოქებდა.

2. განათქიფება

თუ ბოროტება გვიდა რომ მოვსოთ, მე მხოლოდ იმის მომხრე ვიქნება: მთელ ქვეყანაზე ერთად შეეკრიბოთ და ცეცხლში დაწვათ ყველა წიგნები!

ა. გრიბოედოვი, „ვაი კეჟისიანს“

ვახტანგ ტაშირელი მოსკოვის უნივერსიტეტში სწორედ იმ დროს სწავლობდა, როდესაც ყველა სტუდენტს პირზე ბესარიონ ბელინსკის სახელი ეკერა. მოსკოვის უნივერსიტეტის ამ თამაში ნასტუდენტარის „აღმამფოთებელი საქციელის და გამომწვევი წერილების“ ამბავი ფარნაოზ ტაშირელის ყურსაც მისწვდა. შეშინებული და დამფრთხალი კაპიტანი შეიღს აფრთხილებდა შორს დაეჭირა თავი იმათგან, ვინც ახალგაზრდებს თავისუფლების მქადაგებლებად ევლინებოდნენ, ნამდვილად კი მონარქიის და მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო აზრებს ავრცელებდნენ.

ვახტანგ ტაშირელს არც ამბავი ჰყავდა, არც მეგობარი. არც რეპორტი მიდიოდა ვინმესთან სტუშოლ და არც მასთან მოდიოდნენ სტუშრები. მთელ დღეს შინ ატარებდა წიგნების თავადლებლივ კითხვაში. გარეთ მხოლოდ იმისთვის გადიოდა, რათა უნივერსიტეტში ლექციები მოესმინა. ფარნაოზ ტაშირელს თანდათან ეკვები უცხრებოდა. საფიქრებელი და შემამფოთებელი თითქოს არაფერი ჩანდა. მამა თბილელ სოვდაგრებთან ლაპარაკით ერთობოდა, შეილი ლექსიკონებს უჯდა და ევროპულ ენებს ეუფლებოდა.

ქვეა-ქუხილი ცამოწმენდილზე ატყდა.

როცა ერთხელ ფარნაოზ ტაშირელი ერთ ძველ დაკარგულ საბუთს ეძებდა, შეიღის ქაღალდებში რილევეის ხელნაწერ ლექსს წააწყდა. ჩამოხრჩობილი დეკაბრისტის ლექსი მისი შეიღის ხელით სუფთად იყო გადაწერილი. მამას თავზარი დაეცა. ჩხრეკა განაგრძო და ხედინედ აღმოაჩინა რადიშჩევის თხზულება, მარკიზ დე კუსტინის პასკვილი და რამდენიმე აკრძალული წიგნი. მოხუცს კინაღამ დაშბლა დაეცა. მისი შეილი იმ გზით მიდიოდა, რომლის ბოლოს სახრჩობელა ან ციმბირის ყინულოვანი უღრანები უნდა დახვედროდა. ტაშირელების ნაშიერი აშკარა განსაცდელის წინაშე იდგა, რადგან მესამე განყოფილების უფროსი გრაფი ბენკენდორფი ასეთი წიგნების წაკითხვისათვის არავის ინდობდა.

გამოროტებული აზნაური სკოლების და უნივერსიტეტების დამარსებლებს სწყევლიდა. მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ განათლების წყალობით შემოდიოდა ერთგული ქვეშევრდომის ოჯახში ჩამოხრჩობილი და ციმბირში გადასახლებული დეკაბრისტების აზრები, რომლებიც მას (ოპ, როგორ სცდებოდა მოხუცი კაპიტანი!) სენატის მოედანზე სამუდამოდ დათრგუნულად მიანდა. მის მესსიერებაში მისი საკუთარი შეილი აცოცხლებდა 1825 წლის ამბებს. მას ხელში ეჭირა აკრძალული წიგნები,

რომელთაც თურმე (მაინც, აქამდე სად იყო გამოჩენილი ჩეტებული ფარნაოზ ტაშირელი, ასე რომ დაუბრმავა თვალეზი?) მისი საკუთარი პირშვით კითხულობდა.

მოხუცი კაპიტანი არ ცდებოდა, როცა შვილის „გარყვნას“ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორებს და სტუდენტებს აბრალებდა, მაგრამ გულგაცეცხლებულს არ ახსენებოდა, რომ მისი უმცროსი ძმა, ბოროდინოს ველზე დაღუპული ივანე ტაშირელი, ახალგაზრდობაში ვოლტერის წიგნებით დანაპოლეონის პიროვნებით იყო გატაცებული. მას არც ის მოკვინებია, რომ თვით მისი მშობელი მამა, იზმაილის გმირი დიმიტრი ტაშირელი, ეკატერინე II-ის დროინდელ „ლიბერალიზმს“ და ვოლტერიანობას თავისებურ ხარკს უხდიდა. ეს რომ გახსენებოდა, მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის გვერდით თავისი უახლოესი წინაპრების ბიბლიოთეკასაც დააყენებდა.

ამ მოულოდნელი აღმოჩენის შემდეგ ფელდფებელი ჩაშუშად გადაიქცა. შვილის ყოველ ახალ წიგნს სინჯავდა, მის ქაღალდებს ქექდა, მისი მაგიდის უჯრებს და კედლის თაროებს ჩხრეკდა, რათა ტაშირელების ოჯახში რადიშჩევების და რილეეეების აზრებისათვის გზა გადაეღობა.

შვილისთვის მამასთან ცხოვრება აუტანელი გახდა.

განხეთქილება სიძულვილში გადაიზარდა.

მამა-შვილის შერიგება შეუძლებელი იყო.

მათს გაყრას და განშორებას მხოლოდ ის უშლიდა ხელს, რომ ორნიღა იყვნენ დარჩენილი, სხვა ნათესავი მათ არ ჰყავდათ და ტაშირელების გვარის უკანასკნელ წარმომადგენლებად ითვლებოდნენ.

ვახტანგ ტაშირელი თავისი გზით მიდიოდა, ცხოვრებაში ახალ გზებს ეძებდა: მამა კი მის იმ გზაზე გაჩერებას ცდილობდა, რომელიც XVIII საუკუნეში

ნეში პარიკებიანი ბობოლევის და კარისკაცების მიერ იყო გატაცებული.

უნივერსიტეტის დამფუძნებელთაგანვე ახალგაზრდა ტაშირელმა სასამართლოს უბრალო მოხელედ დაიწყო სამსახური. ფარნაოზ ტაშირელს გულის ძარღვი ჩასწყდა.

მამაცი ტაშირელების უკანასკნელი ნაშიერი მოხელედ იქცა და თოფის წამლის მაგიერ მელნისა და ქაღალდების სუნი ასდიოდა.

მოხუცებულ აზნაურს არ შეეძლო გულგრილად ეცქირა თავისი ვაჟის სამოქალაქო სამოსისათვის, აღშფოთებული შვილს უსიამოვნო სცენებს უმართავდა და საყვედურებით იკლებდა.

შვილი დუმდა. მამას სიტყვას არასოდეს უბრუნებდა. პატივს სცემდა და როგორც მშობელი უყვარდა კიდევ.

სამსახურის შემდეგ მისი გამართობი წიგნები იყო. შეუღამემდე კითხულობდა თავის საყვარელ ავტორებს: შექსპირს, ლესინგს, გოეთეს, შილერს, პუშკინსა და ლერმონტოვს. ფილოსოფოსებიდან ჰეგელით იყო გატაცებული, ეკონომისტებიდან ადამ სმიტით და რიკარდოთი, ისტორიკოსებიდან ოლარის და გიზოს თხზულებებით. მოცილობის ქამს ქართულად თანამედროვე ევროპელი პოეტების და მწერლების ლექსებს და ნოველებს თარგმნიდა. დროგამოშვებით საკუთარი ნააზრევი და ნაფიქრალი ქაღალდზე გადაჰქონდა, იშვიათად დღიურსაც წერდა და მას თავისი შთაბეჭდილებებით ავსებდა. მხოლოდ ამ მხრივ აგრძელებდა იგი ტაშირელების მწიგნობრულ ტრადიციებს, ოღონდ ორიგინალური ნაწერების ახალ ფორმაში სრულიად ახალ შინაარსს დებდა.

შვილის მაგიდაზე წიგნი ყოველთვის გადაშლილი იყო სასამართლოს ქაღალდების გვერდით. მამა კი მეორე ოთახში მოუხვეწრად ბოლთას სცემდა. გადამდგარი კაპიტანი აღრენილი იყო იმის გამო, რომ სტანისლავის და ვლადიმერის ორდენებით დაჯილდოებული მხედრის ვაჟი წიგნების კითხვით თვალებს

იღუპებოდა (მტერს ველარ შეებოდა), კონებას იწამლავდა (ლალატის ჩასადენად), მელანს ხარჯავდა (მავნე აზრების გასაფრცელებლად) და სანთლებს სწევავდა (ხელმოკლე ოჯახის გასალატაკებლად). ხშირად მამა ბოლმას ვერ ერთეოდა, ბრახმოზრეული შვილს ოთახში უვარდებოდა, ლანძღავდა და უყვიროდა: „შენ ეხლა მეფისა და მამულისათვის უნდა იღწვოდე ხმლით ზელში, შენ კი მარატი გინდა გამოხვიდე? ვილიოტანაზე ოცნებობ? ეჰ, რომესპიერტაშირელი! რაღაც არ გამოდის, ერთმანეთს არ უხდება“. მოხუცი ყვირილიდან დაცინვაზე გადადიოდა, ნესტარიანი კალამბურებით ლაპარაკობდა და ღვარძლიანად იცინოდა.

ვახტანგი დუმდა.
დუმდა ნაწყენი, გულნატკენი და დონებული.

8. ზაპირვეზული სოფლაბარი

ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რა ძნელია პატროსანი ადამიანი.
კლოდ ტალიფე, „ჩემი ძია ბენეაშენი“

გრიგოლ ზანდაროვი, ტაშირელების ძალი მდგმური, ბევრჯერ შეესწრო მამის შვილთან ჩხუბს. გულში იგი მოხუც აზნაურს თანაუგრძნობდა, რადგან არც მას მოსწონდა ახალგაზრდა ტაშირელის საქციელი. უყვირდა, რომ ყმაწვილი კაცი დროს უფრო ხშირად წიგნებით სავსე, ცივსა და ნახევრად ბნელ ოთახში ატარებდა. მისთვის არ არსებობდა არც ღვინო, არც ქალი, არც ქეიფი და დროს ტარება, არც ქალაღდის თამაში და არც თანატოლებთან ერთად გაართობა-მასლაათი. ზოგჯერ სასამართლოს ახალგაზრდა მოხელე სულელად მიაჩნდა (რადგან იგი მღვდელივით კითხულობდა წიგნებს, მაგრამ ანაფორა არ ეცვა), ზოგჯერ კი მისდამი სიბრაღელსაც იჩენდა.

საერთოდ ცნობისმოყვარე გრიგოლ ზანდაროვი ცდილობდა გარკვეულიყო ვახტანგ ტაშირელის მიდრეკილებებსა და მისწრაფებებში, რადგან მისი მსგა-

ვსი ადამიანი არც დუქნებში ენახა, არც ბაზრებში და არც ქარვასლებში.

ის კი არა, თავისებურად მოსწონდა კიდევ ეს თავმდაბალი, მორიდებული და თავაზიანი ყმაწვილი კაცი. რაღაცნაირად ხიბლავდა მისი არაჩვეულებრივად კეთილი სახე, როგორც მის სოფელში, აგონდებოდა სოფდაგარად გადაქცეულ ნავლუხეაკარს, დარბაისელსა და კვეციან გლეხებს ჰქონდათ, როცა ისინი განრისხებული ბატონის ლანძღვა-გინებას მღუშარედ ისმენდნენ. საკვირველი ის იყო, რომ ამ დროს თავლწინ ნათიას მამა თვედორე და პავლე მღვდელი უდგებოდა. ფანდურაანთ იოსები კი, ესეც აგონდებოდა გრიგოლ ზანდაროვს, ფეცხი იყო, გულჩქარი და შეურაცხყოფილი მალე იკიდებდა ცეცხლს. აღმოდებულის აბრიალებას კი მხოლოდ ერთი წამი სჭირდებოდა. ზანდაროვს გულში გაედიმა: ახლა იგი ვაქარივით დინჯი, აუჩქარებელი, ანგარიშიანი და საზრიანი იყო.

სოფდაგარისათვის გაუგებარი იყო მამა-შვილის უკმაყოფილები და გამწვაებული ურთიერთობის ნამდვილი მიზეზი. ამიტომ ნიაზით¹ ისმენდა მოხუცის მიერ ყვირილით წარმოთქმულ სიტყვებს და თვალს არ ამორებდა ახალგაზრდა ტაშირელს, რომელსაც გარეგნულად წყენის და ბრაზის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

სასამართლოს მოხელე დამშვიდებული იდგა მაგიდასთან, ხელი წიგნის თავფურცელზე დაედო, ცალი მხარი მაღლა აეწია, როგორც ბრისოს დავიდის სურათში, ხოლო კეთილ სახეზე და გონიერ თვლებში თავისი აზრისა და შეხედულებების ღრმა რწმენა აღბეჭდიდა. მამა კი თითქმის ღრიალებდა შვილის დუმულის გამო, ბრაზსა ჰკვირიდა მისი აუღელვებელი, ღირსებით სავსე გამოხედვა.

— ციხეში... შლისებურგში... არა საგიყეთში უნდა ჩაგამწყვდილის იმბე-

¹ ნიაზი — ინტერესი

რატორმა! — უყვიროდა შვილს რისხვისაგან ხმაჩახლეჩილი მამა.

— მე რადიშჩევი არა ვარ, — მშვიდი ხმით მიუგო შვილმა, — ჩემი გვარი ტაშირელია.

— ჰო ... ჰო ... შენც იმათთანა ხარ, ვინც ღმერთისა და ხელმწიფის დამხობის აზრსა სთესენ ... შენც ლალატის განმზრახველებს თანაუგრძნობ ...

— თუ თქვენ, უფალო ჩემო, ჩემს ბუნებასა და ხასიათს კარგად იცნობთ, გეცოდინებათ, რომ მე არ შემიძლია ლალატის ჩადენა.

— ნუ სტყუიხარ! შენ მოლალატეთა ფარული ბრბოს წევრი ხარ ...

— არ მესმის.

— ფრანკ-მასონო!

— არა, უფალო ჩემო, გულუბრყველო ქვისმთლელების დრო დიდხანია დასრულდა.

— მაშ ვინა ხარ?

— აღამიანი, რომელსაც აკრძალული აქვს მოქალაქე იყოს. — წყნარი ღირსებით უპასუხა ახალგაზრდა ტაშირელმა.

ზანდაროვი ხან გაცოფებულ მამას შესცქეროდა, ხან აულულვებელ შვილს. მათი სიტყვების აზრი არ ესმოდა და ზაქარასავით თვალუბრაყვეტილი თაყვისთვის ფიქრობდა, არც მე მესმის მაგათი ღრმა ქართულიო.

ფარნაოზ ტაშირელმა შვილს თვალი თვალში გაუყარა, მიახლოვდა, ხელიდან წიგნი უხეშად გამოგლიჯა, სათაური წაიკითხა, ირონიულად გაიღიმა, წიგნი ზიზლით მაგიდაზე დააგდო, ძველისძველ სავარძელში ჩაჭდა და დამცინავად მიმართა შვილს.

— ჩემო კარგო, ეან-ჟაკ რუსოს კითხვა ცოტათი სახიფათო გახლავთ. ნუ გაიოცებთ. 1814 წელს პარიზში მითხრეს, რომ მაგ წიგნმა მარატი და რობესპიერი დაჰბადა, რადგან შეუძლებელია ეს საზიზლარი მკვლევები დედის მუცლიდან დაბადებულნი იყვნენ. მომისმინე! შუბლს ნუ სკმუნნი, როდესაც შენს კერპებს ნამდვილ სახელებს უწოდებ. დიახ, ვინ იცის, მაგ სოფლის

ფილოსოფოსს რამდენი ყმაწვილი აუყვანია ეშაფოტზე. ჩემი დრონი ყმაწვილიყავობა წიგნებმა გარყვნა. წიგნები კოცონებზე ისე უნდა დაფრვათ, როგორც ინკვიზიცია მწვალებლებს სწვავდა.

— მამავ! — შესძახა ჰაბუკმა, — ნუ მიძულებთ თქვენდამი პატივისცემა დაფორგუნო ჩემს გულში.

მამამ ამრეზით შეხედა შვილს და მუქარით მიამახა:

— ფრთხილად ბრძანდებოდე, თორემ თუ შენს ლალატში დავრწმუნდი, ვციცავ რუსეთისა და ქართლის წმინდანებს, აღაზფერი გამაჩერებს.

— ლალატად ის მიმიჩნია, როცა მოყვასი არ ებრალებათ, როცა დაჩაგრულს და განკიცხულს ხელს არ უწვდიან. თუ გონიერება უსამართლობას აღუდგა, ეს ლალატი კი არ იქნება, არამედ აღამიანის განთავისუფლება და სიკეთის შეწყნარება.

მოხუცი კაპიტანი სავარძლიდან წამოდგა, შეუპოვარ შვილს ეანდარმის კილოთი მიმართა:

— როცა შენი ლალატის საბუთს აღმოვაჩენ, დაუყოვნებლივ მესამე განყოფილებაში წარგადგენ. მე თვითონ ვიქნები შენი პატრული. მერე თავს მოვიკლავ, რადგან, ვიცი, გვარის შერტხვენას ვერ გავუძლებ. კარგად დაიხსოვე ჩემი სიტყვები. ომში გავეთვთრი და წიგნის კაცივით ყბედი არა ვარ. რაც მოგახსენე იმას ავასრულებ კიდევ. იცოდე, იმპერატორის ჯარისკაცს ხელი არ აუყანკალდება.

ფარნაოზ ტაშირელი მხედრულად შერტილდა, შვილისაგან აღარ მოიხედა, კარი გააღო და ოთახიდან ისე გავიდა, თითქოს ეს-ეს არის აღღუმზე ხელმწიფე-იმპერატორს წინ ჩაუარაო.

ოთახში მძიმე ღუმილი ჩამოწვა. დუმის მხოლოდ კედლის საათის ტიკტიკი და შანდლის ტოტებში ჩარქობილი სანთლების ალთა წკაპუნი არღვევდა. გარეთ ქაიშიხალი მძვინვარებდა. ვახტანგ ტაშირელი დიდხანს იდგა ფეხზე, რაღაცნაირად განაბული და დაფიქრ-

ბელი. ქარიშხლის ქირვეული ხმაური მის ყურთასმენამდე ვერ აღწევდა, ვერც ზანდაროვის თანაყოფას ამჩნევდა. დიდხანს იდგა რაღაც დარდით თუ ფიქრით გარინდებული. მერე მოწყვეტით დაეშვა სავარძელში, იდაყუებით მაგიდას დაეყრდნო და სახე ხელებში ჩამალა. ოთახის კუთხეში მჯდარ ზანდაროვს მოეჩვენა, რომ იგი უხმოდ ტიროდა შეეცოდა დადარდიანებული ქაბუცი. წამოდგა ფეხბაქრეფით მიუახლოვდა. მხარზე ფრთხილად ხელი დაადო. ვახტანგი შეკრთა, სავარძელი ხმაურით გასწია და ზანდაროვს გაკვირვებით შეხედა.

— ვახტანგვან, — უთხრა მას ალერსიანად სოვდავარმა, — რათა ხარ ესეთი?

— როგორი? — ჰკითხა დაბნეულმა ვახტანგმა.

— აი ესეთი, როგორიც ესლა ხარ, დაღონებული და დაფიქრებული, თითქოს მთელი ქვეყნის ვალები შენ გემართოს. რა გაქვს სადარდებელი ან საფიქრალი? თუ ფული გაკლია, მითხარი და ჩემი ქისა შენი ჰიარის სანაცვლო იყოს! — ზანდაროვი ვახტანგის ყურთან დაიხარა და ცუდლუტურად მომღიმარემ ხმადაბლა ჩაულაპარაკა, — ჰა, გინდა „წითელ ფარინან“ სახლში გოგოებს შეუცვივდეთ...

ვახტანგმა დაუფარავი ზიზლით შეხედა მას, მკვახედ მიუგო:

— უფალო ზანდაროვი! დადლილი ვარ და მოსვენებას ვსაჭიროებ, გთხოვთ დამტოვოთ და... მეორედ მაგისთანა რჩევით ნუღარ მომმართავთ. ღამე მშვიდობისა!

ზანდაროვი დაიბნა, გაწითლდა, ვერაფერი აწამა, რაღაც წაიდუღუნა და ოთახიდან გაიბურწა.

— ვირი ვიყო თუ მაგას ჰკუა ჰქონდეს! — თითქმის ხმამაღლა წარმოთქვა მან ტალანში, მაგრამ ვაცივებით არ გაიციინა. სახეზე მხოლოდ ღიმილმა გადაურბინა, რადგან ქალაქურმა წამოძახილმა ფირუზა და თეთრი ლიხა გაახსენა.

ვახტანგ ტაშირელმა წიგნის კითხვა ველარ შეძლო. თვალი გაუშტეკდა, ფიქრმა გაიტაცა. მერე ქარიშხალს უკუი მიუგდო. მის სულშიც ქარიშხალი იყო ამოვარდნილი და სახეზეც სულიერი ტკივილის გამონაკრთომი ეხატებოდა. ფანჯარასთან მივიდა. ფარდა გადასწია. ფანჯარა გააღო. აფორაგებული სახე ღამის სივრილეს მიუშვირა. გაღებულ ი ფანჯრიდან ოთახში ქარიშხლის ძლიერი ტალღები საშინელი ზრიალით და ზათქით შემოიჭრნენ და შანდალზე სანთლები ჩააქრეს.

ვახტანგ ტაშირელი გაღებულ ფანჯარასთან იდგა და წყვილიაღში ჩაძირულ ქალაქს ვაცქეროდა. წინ არაფერი ჩანდა, მხოლოდ ტაძრებისა და სასახლეების სილუეტები გარკვეულად აღანძულიყვნენ ბნელ ღამეში. მძვინვარე ქარიშხალი, მისი ზათქი და ძახილი ისე აღანთებდა წელან ფიქრებით მოდუნებულ ახალგაზრდა კაცს, როგორც მოედანზე ავარდნილი მუამბოხეთა ყიფინა რევოლუციის მეომარს. თავდავიწყებული ხელებს ბობოქარი ქარიშხლისაკენ იშვერდა და წყვილიაღში გაუჩინარებულ ქალაქს უყიოდა:

— ოჰ, ბატონებისა და მონების ქალაქო! ოჰ მთვლემარე მონებო! ოჰ, მძინარე ხალხო! შენს გოლიათურ გულში უკვე დაანთეს თავისუფლების ნაპერწყალი, გაიღვიძე, აღსდეგ და ხანძრად გადააქციე იგი აბობოქრდი როგორც ეს ქარიშხალი ბობოქრობს. მე მრწამს!

როცა ვახტანგ ტაშირელმა ფანჯარა დახურა და შანდალზე ხელახლად აანთო სანთლები, მისი გონიერი, მაგრამ მუდამ სევდიანი თვალები ცრემლებით იყო დანამული.

4. „სილაგაფხული ივაბაბორი“

მოკლეა, გასწირეს!

მ. ლერმონტოვი, „პოეტის სიკვდილი“.

ვახტანგ ტაშირელი ადრე დგებოდა და სანამ საათი სიშხაბურში წასვლის ეამს დარეკდა, წერდა ან კითხულობდა. ოთახის კარი ამ დროს გასაღებით ჰქონდა დაყეტილი, რადგან ღვიძლი მამა ჯა-

შეშვიით უთვალთვალებდა. ერთხელ მას თვალში მოხვდა ტანისამოსის კარადის დანის წვერით ნაწვალები საკეტი. აკრძალული წიგნები სწორედ ამ კარადის ქვედა უჯრებში იყო დამალული. ვილაცას ამოდო ეცადა დაკეტილი უჯრების გაღება. ვახტანგი მყისვე მიხვდა ვინ უნდა ყოფილიყო ეს „ვილაცი“ და პირველად განისმკვალა მამის მიმართ ყრუ, შეუცნობელი სიძულვილით.

იმ დღეს მათი თვალები ერთმანეთს ხმლებივით ხედებოდნენ. ორთავე გრძნობდა, რომ მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელი იყო. ვახტანგს გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სხვაგან საცხოვრებლად გადასვლა, მაგრამ მიღებული განზრახვის შესრულებას აყოვნებდა. მამა მოხუცებული იყო, ავადმყოფი და უძლური. მას შვილის დახმარება სჭირდებოდა.

მამა-შვილი ერთად სადილობდნენ, მაგრამ ერთმანეთს ხმას აღარ სცემდნენ.

ვახტანგ ტაშირელი სამსახურშიც ჩუმი, წყნარი და მოკრძალებული იყო. გულჩათხრობილი მდუმარე და ჩაფიქრებული იჭდა სასამართლოს იმ მოხელეებს შორის, რომლებიც ადამიანთა უბედურებისა და ტანჯვის გულგრილ მასურებლად იყვნენ ქცეულნი.

სასამართლოში ტაშირელი მოვალეობის გრძნობამ მიიყვანა. ცდილობდა დაჩაგრული ადამიანებისათვის ხელი გაემართა, დახმარებოდა. ქალაქის ლატაკებსა და გლეხებს არზებს უწერდა, მთხოვნელებს ყურადღებით უსმენდა, თუ ჯიბეში რამდენიმე გროში ეგდო, გაპირვებულს უმოწყალოდ არ გაუშვებდა. სასამართლოს მლიქვნელი და მეჭრთამე მოხელენი პატიოსან და გულკეთილ ახალგაზრდას ვერ იტანდნენ, მართლმსაჯულებისათვის შეუფერებლად თვლიდნენ და მის სასამართლოდან გაძევებას ცდილობდნენ. ყველას სწყინდა, რომ ბეჯითი და დაუხარელი, კანონების კარგი მცოდნე და განათლებული ტაშირელი ამის საბაბს არ იძლეოდა.

იმ დღეს ვახტანგ ტაშირელმა სასამართლოში მისვლისას თავის კოლეგებს უჩვეულო ჩოჩქოლი შეამჩნია. ჩვეულებრივ შუბლგაყინული და მაგიდების გრძელ რიგში გაქვავებული მოხელეები რაღაცით იყვნენ გამხიარულებული და წითლებული სახეები უცინოდით და რაღაცის მოლოდინში თავიანთ სკამებზე მოუსვენრად ცქმუტუნებდნენ. ყველა ვახტანგ ტაშირელს უყურებდა. ერთი დაბალ-დაბალი მეტად სქელი, მუცელ-გადმოვარდნილი, დიდთავა და მელოტი მოხელე ტაშირელს მიუახლოვდა და შემპარავი ხმით ჰკითხა:

— თქვენ ჯერ არაფერი იცით, მოწყალო ბატონო?

— რაო? არა.

ტაშირელმა არც ცნობისმოყვარეობა გამოხატა სახეზე, არც აბეზარ მოხელესთან მუსიაფის სურვილი. მოხელემ თეთრი, დაფანჩული წარბები მაღლა ასწია. მისკენ მაკეპრალ, სულელურად თვალბდაყვებილ მოხელეებს ფლიდური ღიმილით მოხედა და ვახტანგს, რომელიც მის თანაყოფას ვერ იტანდა და კალამს ნერვიულად თვლიდა, მიახალა:

— მამ არ იცით, რომ ლერმონტოვი დუელში მოჰკლეს?

— რა სთქვით? — შეჰყვირა ტაშირელმა. გაფითრდა. საზიზღრად მომღიმარე მოხელეს მიაჩერდა. მერე, როცა მოხელის ნათქვამის აზრი მის გონებას მისწვდა, თვალბეჭე ცრემლი მოაწვა. „ნუთუ ეს მართალია... ნუთუ ეს მართალია...“, ჩურჩულებდა მწუხარებისაგან განადგურებული ყმაწვილი კაცი.

წამწამებზე ცრემლები აუბრჭყვიალდა.

მსუქანმა კაცუნამ გაკვირვებით შესძახა:

— თქვენ სტირიხართ?!

მაგიდებს შორის ფრუტუნე გაისმა. ტაშირელმა ცრემლები არ მოიწმინდა. იგი საშინლად იყო გაფითრებული. — ვინ მოჰკლა?

— აჰ, თქვენ გინდათ გაიგოთ ვინ ჩააძლდა..



მოხელემ სიტყვა ველარ დაამთავრა, რადგან განარისხებულმა ვახტანგმა მას ღონიერად მოუქნია ხელი და მაგარი სილა გააწნა. მოხელენი დაიბნენ. ასეთ რამეს მუდამ მშვიდი და წყნარი ტაშირელისაგან არავინ არ მოელოდა. სილაგარტყმულმა მოხელემ დაღდასმული ლოყიდან ხელი ველარ მოიშორა და კედელზე მიყუდებულ ტაშირელს, რომელიც მძიმედ სუნთქავდა და სულს ძლივს იბრუნებდა, კაპასი დედაკაცივით დაუყვირა:

— თქვენ იმპერატორს გააწინით სილა. მე ხომ მისი სიტყვები გავიგეორე. უცებ მსუქანი მოხელე შეჩქვიფდა, შეკრთა, თავისი ნათქვამის თვითონვე შეეშინდა, საცოდავად მოიკუნტა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო:

— არა... არა... მე იმპერატორი არ მიხსენებია... როდის ვახსენე მე იმპერატორი...

პირმსუქან, მაგრამ ახლა საშინლად გაყვილებულ მოხელეს ხმა ჩაუწყდა, თვალეზე ხელები აიფარა და ძაღლივით აცახცახდა.

5. აივნილი დანდი

ხაზვის ფრანტები... ანგლიჩნები... პირზე ბრინჯაუვარილები.

გაორგა ერისთავი

ვახტანგ ტაშირელი სამსახურიდან დაითხოვეს. მისმა მამამ ეს არ გაიკვირვა, შეიღს ნიშნისმოგებით უთხრა: „მოხდა ის, რაც თავის დროზე გიწინასწარმეტყველეთ. ეხლა კეთილი ინებეთ და თქვენს თავს ჩემს დაუხმარებლად მოუარეთ. ჩემი იმედი ნუ გექნებათ. მე თვითონ ძლივს მყოფნას პენსია, მაგრამ მდიდარიც რომ ვყოფილიყავი, ხელმწიფის მტერს ხელს მაინც არ გაუფმართავდი. მომავალი თვიდან ბინის ქირა უნდა იშოვნოთ. სიბრალული ნებას არ მამლევს ქუჩაში დაგტოვოთ. კარგად ვიცო, რომ „ფრანგული სენით“ ბრძანდებით ავად და თქვენი ჰოსპიტალი პეტრე-პავლეს ციხეა. იქ მალე ამოჰყოფთ თავს, თუ ნებისყოფას არ გამოიჩინებთ და თვითონვე არ განიკურნავთ თავს“. ჯერ ფელდფებელად, ხოლო შემდეგ ჯამუშად გადაქცეული მშობელი მამა ახლა

მსაჯულივით კითხულობდა თავის განაჩენს.

ვახტანგ ტაშირელი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამსახურში აღარსად იღებდნენ. მას შიმშილით სიკვდილი მოელოდა. გულცივი მამა მისი ტანჯვის ყურებით ტკბებოდა და იმედოვნებდა, რომ სამსახურიდან გამოგდებული, განკიცხული და სასაწყვეთი-ლებამდე მისული შვილი თავის შეცდომებს მოინანიებდა, მამას დაუჩოქებდა და პატიებას თხოვდა. მაგრამ მოხუცი კაპიტანი ცუდად იცნობდა საკუთარ პირმშოს. ახალგაზრდა ტაშირელი სრულიადაც არ საყვედურობდა თავის თავს იმის გამო, რომ მან რუსეთის დიდი პოეტის შეურაცხყოფელს გააწნა სილა. პირიქით, კმაყოფილი იყო და ამყობდა კიდევ — ერთდროულად იგი გენიოსი პოეტის მკვლელსაც აწნავდა სილას. და როდესაც ახალგაზრდა ტაშირელმა ერთადერთი გამოსავალი აღმოაჩინა, აუღელვებლად შეუდგა განზრახულის ასრულებას. მან გულგრილად ჩამოიღო დამბახა კედლიდან, მაგრამ ბედმა მოინდომა, რომ გრიგოლ ზანდაროვი სწორედ იმ დროს შესულიყო მის ოთახში, როცა იგი გატენილი დამბახით იჭდა თავის სავარძელში ვახტანგი გაწითლდა და გაბრაზებით წამოიძახა: „რა ჩვეულება არის სხვის ოთახში კარის დაუკაუნებლად შესვლა“.

— ამ ჩვეულებამ სიკვდილს გადაგარჩინა! — მიძახა ზანდაროვი.

— მხოლოდ ერთი დღით — მწარე ღიმილით მიუგო ვახტანგმა.

— ვახტანგჯან, — უთხრა გრიგოლმა დაყვავებით. — კარგად ვიცო რა მდგომარეობაშიცა ხარ. ძალიან მეცოდები... არა კი არ მეცოდები... ნუ გეწყინება გენაცვალე! გული მწყუდება, რომ შენისთანა ნასწავლი და ჰკვიანი კაცი ტყუილებრალოდ თავს იღუბავს. რათა? რათ გინდა სული ეშმაკს ჩაუგდო? თავს რათ იკლავ? თუ შენი თანხმობაც ექნება საქმეს გაგიჩენ. აქედან ნემცების და ფრანკუზების ქვეყნებში უნდა წავიდე საქონლის სასყიდლად.

ევროპეიკის და ჩვენი ქართულის მცოდნე დამპირდება. მოდი, წამომ-ყვეი.

ვახტანგ ტაშირელის დაღვრემილ სახეს სინათლე მოეფინა. მაგრამ იმწამსვე ისევ მოეღრუბლა. მოაგონდა, თუ რა დაბრკოლებებს უქმნიდა ნიკოლოზ 1-ის მთავრობა იმათ ვინც საზღვარგარეთ წასვლას ცდილობდა თავის მადლობაც და ეჭვიც სოვდაგარს უთხრა და გაუმხილა:

— მაგისტვის მადლობის მეტი რა მმართებს, უფალო გრიგოლ, მაგრამ შემჩნეული კაცი ვარ, საზღვარგარეთ ეგრე აღვიღად არ გამიშვებენ.

სოვდაგარმა არხეინად უთხრა:

— ქრთამი და მისი ჯანი!

ვახტანგი შეცბუნდა. გრიგოლმა დაასწრო:

— შენ არ გახდევინებ, ფულის დარდი შენ ნუ გაქვს.

— არა, უფალო გრიგოლ, ჩემი თქვენთან წამოსვლა ძალიან გაძნელდება. ესეც იცოდეთ, ფული ყოველთვის არ შევლის საქმეს.

გრიგოლს გაუცვირდა: „ეს კაცი სასამართლოში როგორ მუშაობდაო“. გვერდით მიუჯდა და განუმარტა:

— თუ დიდკაცებს მივმართავთ, ეგ საქმე ჩაგვეშლება, — ფირუზას ნათქვამი მოაგონდა და შთაგონებით განავრძო.

— დიდი საქმე პატარა კაცების შემწეობით კეთდება. ამდენი კანონები იმისთვის არსებობს, რომ ქისა მუდამ გახსნილი გვექონდეს. მაშ ამოდენა მოხელეებმა რითი იცხოვრონ? სამსახურის კიბეზე როგორ აცოცდებიან, თუ დიდკაცებს თავის მხრივ ფეშქაშები არ მიართვეს?

ტაშირელი უმწეოდ შლიდა ხელეებს. არც აღამ სმიტის და არც რიკარდოს თხზულებებში ის არ ეწერა, რასაც მას თბილელი სოვდაგარი ეუბნებოდა:

— ეგ მე მკითხე, როგორ უნდა გავეთდეს, — განავრძო ზანდაროვმა, — მე მარტო შენი თანხმობა მჭირდება.

— აკი მოგახსენეთ, უფალო გრიგოლ, მღმსახურეთ თუ გამოვადგებით. ევრო-

პის ქვეყნების ნახვა ნემოქსნებატელი ოცნებაა!

გეგლიჩიძე

— მაშ რაღას ვუცდით? ხელი ხელს დავკრათ. მოვიცილო თუ არა, მადრიბისკენ გავწევთ. ჯერ ქალაქში საქონელი უნდა გავგზავნო, ზაქარას მაგიერ კაცს ვეძებ. თანაც ეს ჩვენებური ვაჭრის ტანსაცმელი უნდა გამოვიცვალო, თორემ რაც აქ დაციწვა დამაკლეს, მადრიბის ქალაქებში შემისრულებენ.

ვახტანგმა გაიცინა.

— თქვენ მაგ ტანსაცმელშიც მოხდენილი ხართ, უფალო გრიგოლ.

— მუსიო ლეტელიე მარწმუნებს, რომ პარიზული ტანსაცმელი უფრო მომიხდება.

მუსიო ლეტელიეს სამკერვალო კუზნეცის ხიდის სავაჭრო ქუჩის ფრანგულ მალაზიებს შორის მდებარეობდა ყოველგვარ „ფრანგულს“ ზანდაროვი აღტაცებით უყურებდა და ათვალეერებდა. უფრო ხშირად ფრანგი მკერავის ატელიეში იჯდა და მის მდიდარ კლიენტებზე თვალი რჩებოდა.

მალე მუსიო ლეტელიემ თბილელი სოვდაგარი პარიზულად გამოაწყო ფრანგმა მკერავმა მას აზიური სამოსი გახადა და ევროპულად შორთო. მერე გაუთავებელი ქათინაურებით მიიყვანა „აზიელი დენდი“ კედლის დიდ სარკესთან. გრიგოლს თავი მოეწონა. არაჩვეულებრივად უხდებოდა ფერადი რედინგოტი, თეთრი ქილეტი და ზოლებიანი, ვიწრო შარვალი. მუსიო ლეტელიე ატლეტური აღნაგობის კლიენტის გარშემო ფუსფუსებდა და ღრმა რწმენით ეუბნებოდა:

— თუ ღარიბი ხართ, აუცილებლად გამდიდრდებით, თუ მდიდარი ხართ, მილიონერი გახდებით.

— რათა? — ჰკითხა გრიგოლმა და პასუხის მოლოდინში ცალი წარბი მალა ასწია.

— იმიტომ, რომ ლამაზი მამაკაცი ბრძანდებით. იცოდეთ და დაიხსომეთ — თუ მოისურვებთ, ყველგან წარმატებას მოიპოვებთ. ლამაზი მამაკაცისათვის კარი ყველგან ღიაა. ღმერთმა მშვიდო-

ბით გამყოფით, ბატონო, ორე ვერა!
 ზანდაროვმა თავმოწონედ გაიღიმა.
 მან მუსიო ლეტელიეს ფული გადაუთ-
 ვალა და შიგ ზედმეტეც გაურია, რად-
 გან ახალგაზრდა მამაკაცები ყოველ-
 გვარ ქებას გულუხვად ასაჩუქრებენ.

პარი მცხამება

1. ლანიციხის ბაზრობაზე

ხუთჯერ ლეიფცხს ვყოფილვარ.
 გაბრუნდ ხუნდუკიანი, „დაქვიული ოქახი“.

გრიგოლ ზანდაროვი ევროპულ ქა-
 ლაქს სანკტ-პეტერბურგში გაეცნო.

მოსკოვზე უფრო ძლიერი შთაბეჭდი-
 ლება მასზე პეტერბურგმა მოახდინა.
 თვალი განუცვიფრეს თვალმეუღლამმა
 სასახლეებმა, ლარივით სწორმა და
 გრძელმა პროსპექტმა, ნევის მძიმე
 ხიდეებმა, გრანიტის სანაპიროებმა, ხო-
 მალდებმა, სპილენძის მხედარმა, თეთ-
 რმა ლამეებმა...

მაგრამ ზანდაროვის სხარტი ბუნებისა
 და ხასიათის თვისებას შეადგენდა ყვე-
 ლაფერს აღვილად შესჩვეოდა და შე-
 გუებოდა.

სანკტ-პეტერბურგის საუკეთესო სას-
 ტუმროში მცხოვრებ გრიგოლს ეცინე-
 ბოდა, როცა ფერშანგოვების ორსართუ-
 ლიანი ქვის სახლი აგონდებოდა (ანჩის-
 ხატის უბნის ყველაზე დიდი სახლი).
 პეტერბურგელი კომერსანტების გვერ-
 დით კი ფირუზა ზანდაროვი უბრალო
 ქორვაპრად ეჩვენებოდა.

სანკტ-პეტერბურგის შემდეგ მან ვარ-
 შავაში ამოჰყო თავი, მერე ვენაში გაჩ-
 ნდა, ბოლოს ლაიპციგში.

ლაიპციგის ბაზრობაზე იგი თბილელ
 სოვდაგრებს წააწყდა, თანამემამულე
 მოქიშპეთა უცხო ქალაქში ნახვამ ისე
 გაახარა, თითქოს დიდი ხნის უნახავ
 გულითად მეგობრებს გადაჰყოფდეს.
 ყველას სათითაოდ გადაეხვია და გადა-
 კოცნა.

— თომაცან, შენც აქა ხარ?! — იმა-
 ხდა გახარებული ზანდაროვი — ვაჰ!
 ივანეს გაუმარჯოს!

თბილელი სოვდაგრები: თომა ფრი-
 დონოვი, ივანე ხარაზოვი, ივანე ჰუვი-

ნოვი, ალადატოვი, სვენიკოვი, ავეტი-
 სოვი, მანდენოვი, ეჭუბოვი, მარსაგო-
 ლოვი, ბუგდანოვი, ევანგულოვი, ამბ-
 რიციშოვი, შიოევი და კაჩაყევი გულ-
 თბილად ათმევენენ ხელს თანამოქა-
 ლაქე გრიგოლ ზანდაროვს. ძველი შულ-
 ლი და ქიშპი ერთი წამით ყველამ და-
 ივიწყა.

— ვაჰ! გორელებიც აქ მოსულან? —
 წამოიძახა გრიგოლმა და ახლა გორელ
 სოვდაგრებს აღიხანოვს და აღიეცს გა-
 დაეხვია.

— ნუხელებიც!

ზანდაროვმა სოვდაგარ ნაზაროვს ქარ-
 თულად აკოცა პირზე, პოპოვს კი რუ-
 სულად მიესალმა და ხელი ჩამოართვა.

— შემახელო, შენ ისევე კენტად და-
 დიხარ? — სიცილით შესძახა ახალგაზ-
 რდა სოვდაგარმა შემახელ დიდვაჭარ
 ტრასევს. მერე თანამემამულეებს გაბ-
 რწყინებული თვალეები მოავლო და
 დარღმინდულად შესთავაზა:

— ქალაქელებო, სადმე არ გაუ-
 ხვიოთ და ნემეცების ღვინო არ გადავ-
 კრათ?!

სომხის ვაჭრებმა უღვაშებში ჩაიცი-
 ნეს. ერთმანეთს მჭირდავი ღიმილით
 და თავების ქნევით გადახედეს.

გრიგოლმა გულწრფელად გაიცინა.

— დალოცვილებო, ევროპაში მოსუ-
 ლხარო, მაშ გული და თვალი არ უნდა
 გაახაროთ?! ნუ კრიყანგობთ, ქისები
 გახსენით.

— აი, გიჟ ვრაცუა! — ჩუმად წარ-
 მოსთქვა ჰუგინოვმა. ბუგდანოვმა კი
 ზანდაროვს გაკვირვებით ჰკითხა:

— მიკვირს, აქამდე კუტრი რატო
 არა ხარ?

— იმიტომ, რომ შნო მაქვს და ხანი-
 ვითა ვცხოვრობ!

— ვაჰ, მართლა ქართველი ხარ,
 გრიგოლჯან, მაგრამ კნიაზი ხომ არა ხარ!
 სიტყვა ჩაურთო ბაისაგოლოვმა.

— კნიაზობა რათ მინდა? თუ მოვინ-
 დომე, ჩემს ქისაში ცხრა კნიაზს ჩავსვამ,
 თავს წავეუკრავ და ქამარზე დავიკიდებ!
 რას იცინით? განა თქვენი ქისეში კი
 კნიაზების დაფასუქებით არ არის გატე-

ნილი? ისინი თქვენი ფულებით ღრის ატარებენ, თქვენ კი ყაირათში ამოგდით სული. თუ მოგების შრომა გაქვს, დახარჯვის შრომა უნდა გქონდეს. თუ კოჭი აღუჩნებ გიჭდება, შენც აღუჩნავით უნდა იყო!

გრიგოლ ამ სიტყვებს სიცილით ამბობდა და ძუნწი სოცდაგრების გაბრაზებას ცდილობდა. ისინი თავების ქნევით უგდებდნენ მას ყურს და თან ერთმანეთს თვალს უკრავდნენ, თავადივით მგლანგველ ახალგაზრდა სოცდაგარს დასცინოდნენ.

თომა ფრიდონოვმა მას ფირუზა მოაგონა და უთხრა:

— ფირუზამ რომ შენი ამბები გაიგოს, საწყალს გულიც გაუსკდება ჯაფრისაგან. იმან ღრის გასატარებლად ხომ არ გამოგზავნა ევროპეიკი გოროლებში? რანაირი კუპეცი ხარ? ტანცის უჩიტელსა ჰგებხარ!

გრიგოლმა გულიანად გადაიხარხარა. დანარჩენმა სოცდაგრებმაც გაიცინეს. მხოლოდ ივანე ჰუგინოვი იდგა კუშტად და ათვალწუნებით ათვლიერებდა «ფრანგულად გამოპრანჭულ» სოცდაგარს. ხელმოჭერილი მელქო ფრანგოვი აგონდებოდა და ჯავრი მოსდიოდა, რომ «სომხურად მონათლულ» ფირუზასთან ერთად მის ქონებაზე ეს დარღმინდი ქართველი ყმაწვილიც იქდა.

იქვე მღვარმა ვახტანგ ტაშირელმაც, რომელიც აქამდე ნიაზით აცვირდებოდა კავკასიელ სოცდაგრებს, გაიღიმა და თვითონაც ცნობისმოყვარეობით შეხედა გრიგოლ ზანდაროვს. ადამ სმიტის «ხალხის სიმდიდრით» განსწავლული ტაშირელი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ მისი ნაცნობი ქართველი სოცდაგარი ევროპულად იყო ჩამყულ-დახურული და თანდათან ევროპელ კომერსანტს ემსგავსებოდა. ევროპის თანამედროვე ისტორიის მოვლენების განვითარება მისთვის გასაგებს ხდიდა, რომ ღრო ამ კავკასიელ სოცდაგრებსაც და მევახშეებს ხვალსდელ ფაბრიკანტე-

ბად და ბანკირებად გადაქცევდა. მოუხედავად ამისა, მას მაინც პოკებდა გუენათლებელი ზანდაროვის პრაქტიკული აღღო.

მოსკოველ აზნაურს ისიც უყვირდა, რომ ზანდაროვი თავს ხალვათად და თავისუფლად გრძნობდა ევროპის დიდ ქალაქებში. ყველაფერში სწრაფად ერკვეოდა, ყველაფერს ადვილად ითვისებდა, იმახსოვრებდა და მოხდენილად იმეორებდა იმას, რაც, მაგალითად დიდკაცურ მანერებთან იყო დაკავშირებული. არჩევულებრივად ცნობისმოყვარე ღირსშესანიშნავს და დასამახსოვრებელს დიდხანს გატაცებით უყურებდა, აცვირდებოდა და ცდილობდა მხედველობიდან არაფერი გამოეჩინოდა.

ქუჩებში ხეტიალი უყვარდა, ადამიანების თვალიერება, სეირის ყურება, ხალხში ყოფნა. თვალი გაურბოდა სანახაობებზე, გატაცებით ეტანებოდა გასართობ ადგილებს. დიდხანს იჭდა ყავახანებსა და ლუღხანებში. უფრო ხშირად ოპერეტის თეატრსა და ცირკში იყო. ანდა პატარა ბაღის ღია ესტრადებზე ცეცხლოვანი ჩარდაშის ცეკვას შესცქეროდა გარნიზონის ოფიცრებთან და სქელკისერა ბურჯუებთან ერთად. ღრის გასატარებლად და გასართობად ქიხას არა ზოგავდა, მაგრამ ლამაზი როსკიების დაუსრულებელი ნაკადით თვალაჭრელებული ცდუნებას მაინც ერიდებოდა. სამაგიეროდ ხელიდან არ უშვებდა სასტუმროს წინსაფრიან მოახლეს და იმავე სასტუმროში საეჭვოდ დამართობელებულ ქალბატონს. მეზობელ ოთახში ვახტანგ ტაშირელი სენანკურის «ობერმანის წერილებს» კითხულობდა და თავისი საუყუნის ახალგაზრდა ადამიანის ბედზე ფიქრობდა.

სოცდაგარი და თარჯიმანი სულ სხვადასხვა რამეს ელტვოდნენ და როცა ერთიმეორეს საჩიციელსა და ყოფაქცევას უყურებდნენ, ერთნაირად მხოლოდ გაკვირვება ეხატებოდათ სახეზე. ოღონდ ერთი სერიოზულად იყურებოდა, მეორე კი ირონიულად.

მ გ ო ს ა ნ ი

სტამბისმიერ საგვართვედღოსთან

ამ ლამაზ ასულთ,
ქალბატონებს,
კაცებს ასოვანთ
ბუნაკალივით დახვეწიანთ
თავზე ციფრები.

ითვლიან —
ცხვარი რამდენი ძოვს
მთას ბალახოვანს,

ითვლიან —
სად რა მუხა მოჭრეს,
სად — რა იფნები.

ითვლიან —
სად რა ცეცხლი ჩაჭრა,
სად — რა სანთელი.

რამდენი მოკვდა,
დაიბადა წუხელ რამდენი.

რამდენი ძაფი დაერთეთ,
რა გვაქვს კვლავ დასართველი...

და რამდენი ვართ,
რამდენი ვართ
ნაღდი ქართველი.

და ეს ციფრები არ ასვენებთ
ამ ლამაზ ქალებს.

მიდი, მგოსანო,
და ჩააქუდე
მათ მოღლილ თვალებს.

აუმართიანთ მაგიდებზე
ციფრის გორები.
მიდი, მოწხრიკე,
იქნებ კპოვო მეტაფორები.

ციფრი ვერ იტყვის
დარდს უღმერთოდ მოჭრილ მუხათა,
ციფრი ვერ იტყვის
დაბადების დიად გალობას.

ქარი რად კენების
მიტოვებულ სახლის ბუბართან
ამის გამოთვლა
ზენაარმა შენ გიწყალობა.

თქვი, ვის რამდენი
მამულის დრო ოხრად უფანტავს,
ციფრს და ციფრს შუა
დაულოცე ყანებს ყანობა.

წუხელ დაღუპულ ქართველების
ჭირისუფალთა
ცრემლების დათვლა
ზენაარმა შენ გიწყალობა.

მიდი, მგოსანო,
სტატისტიკოს
ლამაზ ქალებთან,

მიდი, მგოსანო,
სტატისტიკოს
რაინდ კაცებთან.

წამოვშველე ციფრებს
 დარდის გასაქარვებლად,
 ფრთები შეასხი ციფრებს
 ცეცხლის გასატაცებლად.

აამეტყველე სტრიქონებში
 ციფრთა გალობა, არქანდელი
გინგლირთუქა
 რადგან ეს ნიჭი
 ზენაარმა
 შენ გიწყალობა.

ღათონური ენა

ენა ვიყავი ძლიერი ერის,
 ფილოსოფოსთა,
 პოეტთა და
 ლომგულ სარდალთა.
 გადმომელვარა მსოფლიო ფერი,
 დროც კი თავის სვლას
 ჩემი ზარის რეკვით მართავდა.
 ვაშენე მძლავრი იმპერია,
 ვანგრეე სხვათა
 ენის კოშკები,
 აზრის ბუენი,
 მიწის საზღვრები,
 მონა-მორჩილნი ყოფილიყვნენ მარადის
 რათა
 ქვეყნად ხალხები
 ჩემი ლექსის და მოსაზრების.

მსოფლიო აღმებს ამშვენებდა ჩემი
 სიტყვები,
 ჩემი მუსიკით მონუსხულნი იყვნენ
 ღმერთებიც.
 — კვერთხო, არასდროს გადამიტყდები!..
 — სულო, არასდროს დამიბერდები!..

ვაი, შაგბედო,
 გადამიტყდა კვერთხიც სამეფო,
 ვაი, შაგბედო,
 დამიბერდა სულიც ძლიერი.

წამომეპარეთ
 მეც,
 სიკვდილის მძლავრო წამებო,
 თურმე მელოდა
 მეც
 ჩემი მზის დასალიერი.

მომიკვდა ერი,
 მოგკედი შეცა, —
 მგოსანთა ენა,
 ფილოსოფოსთა და სარდალთა
 ენა განთქმული.
 მოკვდა ერი და
 ვერ მიშველა უკვდავთა ზენამ,
 დროის ურჩხულის მიერა ვარ
 ახლა ჩანთქმული.
 ველარ ველვარებ,
 ველარ ვსუნთქავ
 და ველარ ვმღერი,
 ნუთუ მგოსანი
 აწ არასდროს აღარ მეძებდეს?!
 მსოფლიო აღმებს მისაწერი
 სიტყვების ფერი
 შერჩათ ოდენლა
 პერგამენტებს
 და წერილ რეცეპტებს.
 ვაი, შაგბედო!..
 ვაი, შაგბედო!..

რ ე რ ა ს

რაც რამით გაგაზარე,
 რაც რამით გაამე
 სულ გაგატანე,
 მანდ იყოს!.. ამენ!..

რაც რამით გაწყენინე,
 რაც რამით გაწყალე,
 როს წახველ, ნისლივით
 შემოგაცალე.



ამ ქვეყნად დავითოვე,
 არ გაგაყოლე.
 ვამწყვდევე გალიაში,
 როგორც ყვავ-ყორნებს.
 გძიებდნენ, გკორტნიდნენ...
 ვგმანავ გალიას.

მანდ არ გამომეჭენენ,
 ვაი, ბრალია.
 გალიას ვაგრიხავ
 წიფლის ლატანებს...
 რაც რამით გაგახარე,
 სულ გაგატანე.

მსხვერპლი მუშათა

შალვა ღებერაძეს

სიჭაბუკეში
 მიატოვა ლექსების წერა, —
 არც ერთი პწკარი
 მიმინოსებრ არ აუფრინდა,
 მაგრამ მუშათა სამსხვერპლოზე
 გაწვა ცის ფერად,
 მირონცხებული
 პოეზიის მამა უფლითა.
 ბოქემის ქარში
 გაეცრიცა სული ანკარა
 და იმერეთის
 ატმის რტოზე ღიმი გაჰკიდა.
 ბევრჯერ ცისფერი ყანწელების
 ღვინით დამთვრალა,
 კაკალს იმცვრედა
 პოეტების ცისფერ კაკლიდან.
 ცხოვრობდა ლაღად, —
 არ აფთრობდა და არკი მგლობდა,
 მოქართულობდა
 მთიდან მომსკდარ წყლის ჩუხჩუხივით.
 ბეჭზე იტვირთა
 და ატარა დასისხლულ ლოღად
 დღემდე
 პაოლო იაშვილის
 თოფის ქუხილი.

ქონდა თავისი
 სვედის ბალი
 ღვინით იაფით,
 ოქროპირობის
 ჯიბრი კლავდა ტოლუმბაშებთან.
 აელვარებდა
 ბაზუსის და მუშის კიაფი,
 მოთენდებოდა,
 მოციხვრობდა,
 მოკაშკაშებდა.
 პროსპექტი თელა
 შკოსანკაცთა ჩრდილის მანტიით,
 გიჟი ტრფიალი
 ტიცინის და პაოლოსი.
 შუის სხივს ჩაჰკრავდა
 ოქრო სიტყვის კვესს ასანთივით
 სუფრის თავში და
 მოზეიმე ხალხის ბოლოში.
 დიდუბის მიწას მივაბარეთ
 მგოსანთა გვერდით
 მსხვერპლი მუშათა,
 ქარი ატმის თესლსაც მიაფლის.
 ცა აცახცახებს
 ამ სიგიჟის ვარსკვლავის წერტილს
 და სვედის ბაღში
 პურს ვასველებთ
 ღვინით იაფით.

მუსიკალური შესვენება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაგვლის ურო და ჩაქუჩი გრდემლთან,
აღარც მშენებლებად ვვარგვიართ და
არც მოთხვევლებად.
...აშრილდება დაკეცილი აფრები გემთა, —
მუსიკალური დაიწყება წაშს შესვენება.

მოღზე გამოტილს გიორჩულებს ყურში სამყურა,
შემოგესმება ჯადოსნური ხმები საკრავთა.
და არ გეგონა
რამე ძალა ანდამატურად
დედამიწაზე ჯვარცმულივით თუ გაგაკრავდა.

ცის სილურჯეში ჩაგიდნება თვალთა ელვანი,
გულის სიმეზზე დაფრთხებიან ხმები ჩიტებად.
და აღარ იცი,
კოლუმბი ხარ თუ მაგელანი,
და აღარ იცი,
კვლავ სიცოცხლე თულა გჭირდება.

გაოგნებული ხარ,
მუსიკა
ნა-წამ-წამ-არი,
შევა ანა ხარ რა,
არც ღამე ხარ და არც თენება.

ო,
ო,
ოსანა,
ამ ღვთაებრივ ჰანგთა ქვამარილს!..

ო,
ო,
ოსანა,
მუსიკალურ ამ შესვენებას!



სიცარიელა

მოთხრობა

ღმერთო ჩემო, როგორ საშინლად განვიცდი ჩემს ავადმყოფობას. დღე დღეს მისდევს, თვე თვეს და ჩემს განკურნებას კი არაფერი ეშველა, ჩემთვის ყველა დღე ერთმანეთსა ჰგავს, ექიმები, წამლები, უძილობა, უიმედო ფიქრები, ცრემლები. მომბეზრდა ასეთი უფერული, უშინაარსო ცხოვრება. მენატრება თბილისის ლამაზ ქუჩებში გავლა, საყვარელი საქმე, რომელსაც ავადმყოფობამ მომწყვიტა. ფეხზე დადგომა მიჭირს; როგორც კი წამოვიწევ, თავბრუ მესხმის, და თუ რამეს არ წავეტანე, დავმცვინი. ფანჯრიდან გავყურებ მზისაგან გაკაშკაშებულ მოკრიალებულ ცას და გალიაში გამომწყვდეული ჩიტის უსიხარულო ბედს ვიზიარებ. ყველაფერზე უფრო უსაქმოდ ყოფნა მკლავს. ეს ხომ ნამდვილი წამებაა.

წიგნს გულს ვერ ვუღებ. ხუთი-ათი წუთის შემდეგ თვალები მიჭრელდება. ასოები ხტომას იწყებენ, თვალები ცრემლით მევსება და იძულებული ვხდები, წიგნი დავხურო.

მეგობრები და ნათესაეები, ვინც კიდევ შემომრჩა, მეკითხებიან, რა მტკივა, რა მაწუხებს. ვანა მე ვიცი? იქნებ მოვიქნაც და ნერვებმა მოლაღატა? მაგრამ რა გავაკეთე სხვებზე მეტი? უნივერსი-

ტეტის კურსი ჩემთან ერთად სხვებმაც დაამთავრეს, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც უმცროსი ლაბორანტის მოკრძალებული თანამდებობა შეკავა. არც თუ ისე მტვირთავდნენ, რომ ამას მეტისმეტი დაღლა გამოეწვია. ბედუკუღმართობამ თითქოს ჩემთვის მოიცალა. ცხოვრების ტალღამ ნაპირზე გამრიცა. ჩემი თავი სადღაც უღაბნოში მგონია. ნუთუ მართლა ყველაფერი დამთავრდა?

შეწუხებული მოხუცი დედა თავს დამტრიალებს, ხშირად სასთუმალთან მიზის და ცდილობს რითიმე გამართოს, საქმე უამრავი აქვს. ჩემს გასართობად სცალია? მე არ ვუსმენ, საკუთარ ფიქრებს მივყვები...

ტელეფონი რეკავს. მარტო ვარ. წამოვდექი უურმილი ავიდე. ახალგაზრდა კაცის ხმა მომესმა. ვიღაც იკითხა.

— სხვაგან მოხვდით, — ვუპასუხე და უურმილი დავდე. თვალებზე ცრემლი მომადგა. ერთხანს გარინდებულ ვიდექი. ტელეფონი ისევ აწკრიალდა, უურმილს დავწვდი.

— გთხოვთ უურმილს ნუ დადებთ, ერთი წუთით ვისაუბროთ.

ნეტავ ვინ არის ეს მოცილილი, — გავფიქრე და ყურმილი დავდე.

ტელეფონი კვლავ აწკრიალდა. ყურმილი ავიღე, ისევ ის. ჯავრი მომივიდა, ყურმილი მაგიდაზე მინდოდა დამეგდო, მაგრამ უცებ გავიფიქრე, რა იქნება, რომ ცოტახანს გავერთო?

— ვინ გნებავთ? — ვკითხე მე, ოღონდ უფრო გამოცოცხლებულმა.

— თქვენი სახელი გამომხილეთ, ქალიშვილო, თუ შეიძლება, — მომესმა ამის პასუხად.

ავიღეწე. აღარ ვიცოდი გამხარებოდა თუ მწყენოდა უცნობი ვაეის ეს კადნიერება.

— რად გინდათ ჩემი სახელი?

— მამატიეთ, საწყენად ნუ მიიღებთ. მე სრულიად შემთხვევით მოვხვდი თქვენთან, მაგრამ ახლა, გამოგიტყდებით გამეორებით დავრეკე...

— რა გნებავთ?

— არაფერი... ნუ გამოიწყობით და... მინდოდა თქვენი ხმა ერთხელ კიდევ გამეგონა.

— რა ასეთი ხმა მაქვს?

— ვერ გეტყვით, აი, ახლა გისმენთ და...

შევატყვე რაღაც მეტის თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა. ჩემდა უნებურად გავინაბე, სმენად გადავიქეცი.

— შეიძლება ჩემი სახელი გითხრათ?

— მითხარით, — წამომცდა მე, — თუმცა რა საჭიროა, — ვითომ გამოვასწორო.

— ვაჟა მქვია, რედაქციამ ვემუშაობ. პატარ-პატარა ნარკვევებსა და მოთხრობებს ვწერ. იქნებ წაგიკითხავთ კიდევ...

— ვერ მოგატყუებთ. მე მხოლოდ ერთი ვაჟა ვიცი. თქვენი სახელი დღეს პირველად მესმის.

— თქვენ... თქვენ რა გქვიათ?

— ძალიან საჭიროა იცოდეთ?

— მე ზომ გითხარით!

— იქნებ სტყუით და ვაჟა არ გქვიათ?

— გეფიცებით, ვაჟა მქვია.

კარგი, მჯერა; ლალი მქვია, ახლა მეტყვით, რომ ძალიან ლამაზი სახეა.

— სიტყვა წამართვით. სწორედ ძალიან ლამაზი სახელი გრქმევიათ. ლალი... ლალი ზომ ძვირფას ქვას ჰქვია.

— უნდა მამატიოთ, ვაჟა, — შევაწყვეტინე, მეტი დგომა აღარ შემიძლია, თავბრუ მესხმის.

— როგორ თუ დგომა, — გაიცინა, — დაბრძანდით.

— თავბრუ მესხმის... — და მართლაც წავებარბაციდი. პასუხს აღარ დაველოდე ხელიდან რომ არ გამეარდნოდა, და უცხო ვაეის წინაშე არ შევერცხვინილიყავ, ყურმილი დავდე.

როგორც იქნა, საწოლთან მივედი და ლოგინში ჩავწექი. მთელი სხეული მიხურდა. ნუთუ ასე უცებ გავცივდი. და სიცხემ ამიწია? ყურთ კვლავ ის თბილი, მეგობრული, ალერსიანი ხმა ჩამესმოდა. ასე იციან მამაკაცებმა: ქალი რომ მოეწონებათ, ენად გაიკრიფებიან, შაქრად დადნებიან, თვალები აუციმციმდებათ. ეჰ, ნეტავ იმ დროს, როცა ჯანმრთელად ვიყავი და ჩემს მომავალს იმედიანად შევხაროდი. მეც მქონდა მომავლისადმი მისწრაფება. დღეს რაღაა ჩემი ცხოვრება? ვიღას ვარგვივარ? იმ ვაეას ალბათ, ტელეფონის ყურმილი ხელიდან გაუვარდებოდა, ჩემი უსასოო მდგომარეობა რომ იცოდეს, ხმა გულწრფელი ჰქონდა, რაღა თქმა უნდა, მოვეწონე, ისე ხელმეორედ აღარ დარეკავდა.

გულს დიდი ხნის წინათ მივიწყებული სიხალისე დაეუფლა. რა იყო ეს? კმაყოფილება საკუთარი თავის? არა, ეს მეტისმეტია! ასე შორს არასოდეს წავსულვარ ფიქრში. ვანზრახ არასოდეს ვცდილვარ, ვინმესთვის თავი მომეწონებინა. სიხარულს თუ ჩემ კმაყოფილებას მივინებდი. ორი თუ სამი დღე ამით ვცხოვრობდი. ჩემს ცხოვრებაში რაღაც ახალი სხივი შემოიჭრა და ჯავრით გამშრალი მოხუცებული დედის წინაშე თითქოს რაღაც საიდუმლო გამიჩნდა. გუნება როგორღაც გამომიკეთდა. ორჯერ თუ სამჯერ სარკეშიც ჩავიხედე. მეუცხოვა,

მაგრამ მაინც მომეწონა ჩემი თავი, იმ ძველი ლალისა კიდევ რაღაც შემრჩენოდა.

მეოთხე თუ მეხუთე დღეს, როცა ისევ მარტო ვიყავი, ტელეფონმა ისევ დარეკა. გული შემიფრთხილა, ნუთუ ისევ ის არის-მეთქი? კიდევ არ დაევიწყდი? ნელა წამოვდექი, საკუთარი თავი სულსწრაფობაში რომ არ დამეჭირა, მაგიდასთან სკამზე ჩამოვჯექი და ყურმილი ავიღე.

— გისმენთ!

— გამარჯობათ, ლალი! — მომესმა ვაჟას ხმა. — როგორა ხარ, თავბრუსხვევამ გაგაიარათ?

— გმადლობთ, არა მიშავს.

— იმ დღეს ძალიან შეგაწუხებთ ბევრი ლაპარაკით. მპატიეთ!

— რა საბოდიშოა.

— თქვენ თურმე შეუძლოდ იყავით.

— შე ახლაც შეუძლოდ ვარ.

— ახლაც? როგორ?

— ჩვეულებრივად, არ გინახავთ ავადმყოფი ადამიანი?

— როგორ არ მინახავს! მაგრამ...

— რა მაგრამ?

— თქვენ ისეთი ხმა გაქვთ... ნუ მიწყენთ და, ხომ არ მატყუებთ?

— არა, მართალს გეუბნებით. მწოლიარე ავადმყოფი ვარ.

— სად ცხოვრობთ, მითხარით თქვენი მისამართი!

— თქვენ მეტიხმეტად გაბედული ხართ, ვაჟა! მე შემიძლია გავბრაზდებ, ახლავე ყურმილს დაგიკიდებთ.

— ღვთის გულისათვის, ნუ იზამთ მაგას, ლალი, მე საწყენად სულაც არ მი-თქვამს! ნუთუ თქვენ მეგობრები არა გყავთ, რომლებიც ავადმყოფობის დროს გინახულებენ? მიგულეთ მეც მათ შორის.

— მე აქ მოსვლის უფლებას არავის ვაძლევ.

— მაშ, სულ მარტო ხართ?

— მე და დედაჩემი. ხანდახან უფროსი და-ძმაც მოდიან. მე ძალიან ავად ვარ, ვაჟა, ბოდიშს ვიხდი, რომ ამგვარ სამწუ-

ხარო ამბებზე ვლაპარაკობ, ჩემთვის სამწუხარო ამბებზე, რასაც ვიკვლი...

— აგრე ნუ იტყვი, ლალი! განა შე გამახარებს თქვენი ცუდად ყოფნა?

— არ ვაგახარებთ, გმადლობთ.

— მეტი არაფერი?

— თქვენი თანაგრძნობისთვის გასამრჩელოს ხომ არ თხოულობთ?

— მომეცით სიტყვა, რომ მაშინ მაინც მომცემთ თქვენი ნახვის ნებას, როდესაც გამოჯანმრთელდებით

— ეგ არასოდეს არ მოხდება.

— რა?

— ჩემი გამოჯანმრთელება. ჩემმა ავადმყოფობამ ისე შემაშინა, რომ არა მგონია ოდესმე თუ გამოვჯანმრთელდები.

— გულს ნუ გაიტებთ, ლალი, რატომ გგონიათ, რომ არ გამოვჯანმრთელდებით და სულ ავად იქნებით? ეგ შეუძლებელია. რა ვაგიჭირდათ ამისთანა?

— არ ვიცი, ვაჟა, მე აღარაფრის იმედი აღარა მაქვს.

— დიდი ხანია, ლალი, მწოლიარე ავადმყოფი ხართ? იქნებ მითხრათ რა გაწუხებთ?

ვატყობდი, რომ ასე ადვილად ვერ მოვიცილებდი და მოკლედ მოვუყევი, რაც მაწუხებდა. ვაჟა კარგა ხანს სდუმდა, ხმას არ იღებდა, ეტყობოდა, ჩემმა ამბავმა იმოქმედა. დღემილი ისევ მე დავარდვიე.

— თქვენ რა მითხარით? პატარ-პატარა მოთხრობებს ეწერო; მაშ მწერალი ყოფილხართ. სად შემიძლია შევიძინო თქვენი წიგნი?

— წიგნი ჯერ არ გამომიცია, წელს გამოდის პირველად, როცა გამოვა, აუცილებლად მოგართმევთ, მეგობრული წარწერით..

— გმადლობთ, ვაჟა, ახლა კი უნდა დავწვი, თუ არ გეწყინებათ.

— ისევ თავბრუ გესხმით?

— ცოტა.

— დაწყეთ! მე ბოდიშს ნუ მიხდით, ესე მოიქეცით, როგორც თქვენთვის უკეთესია.

— გმადლობთ, ვაჟა, ნახვამდის!

— ნახვამდის ლალი!

ასე დაიწყო ჩვენი ტელეფონით მეგობრობა, რომელიც თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა. იგი ხშირად მირეკავდა. მეკითხებოდა ჩემი ჯანმრთელობის ამბავს. ჩემზე ისე შესტკიოდა გული, როგორც ახლობელზე, ყოველნაირად ჩანდა, რომ კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანი იყო. მართალია, პირადად ერთმანეთს არ ვიცნობდით, მაგრამ ეს ჩვენს მეგობრობას ხელს არ უშლიდა. ჩემს თავს ცოტათი ბედნიერად ვთვლიდი, რომ ასეთი გულშემატკივარი მეგობარი შევიძინე. მე მასთან საუბარს მივეჩვიე. მოუთმენლად ველოდებოდი, როდის დამირეკავდა.

და აი, ერთ დღეს ტელეფონმა დარეკა. ამჯერად დედაჩემი იყო შინ და ყურმილი მან აიღო. მოუსვენრობა დამეუფლა. არაფრით არ მინდოდა ვაჟა ჩემს გარდა სხვას, თუნდაც დედას, დალაპარაკებოდა.

— შენ ვთხოვენ, შეილო, — მითხრა დედამ და ყურმილი მაგიდაზე დადო, რაიმე უხერხულედა რომ არ მეგრძნო, მიტრიალდა და დაწყებული საქმე განაგრძო.

— გისმენთ! — ჩაეძახე ყურმილს, თუმცა ვიცოდი, რომ ეს ვაჟა იყო.

— ლალი, ერთი რამ უნდა ვახაროთ.

— რა უნდა მახაროთ? ჩემს ვულს ვანა კიდევ რამე გაუხარდება?

— თქვენზე პატარა მოთხრობა დავწერე. გაზეთში უკვე დაიბეჭდა.

— ეგ მოთხრობა დღეს წაგიკითხე, ძალიან მომეწონა, მოლოცვას ვაპირებდი.

— ლალი, ნუთუ ვერ მიხვდით, რომ მოთხრობა თქვენზე იყო დაწერილი?

— კი ვაფიქვრე, როგორ ჰგავს-მეთქი ჩემს ცხოვრებას, მაგრამ რას წარმოვიდგენდი... როგორ გამახარეთ, ვაჟა, არც კი ვიცი, მაღლობა როგორ გადავიხადოთ. თქვენ ძალზე კეთილი და გულისხმიერი ადამიანი ხართ. მიხარია, რომ ასეთი მეგობარი შევიძინე.

— მაშ მოგეწონათ?

— რა თქმა უნდა, ისე წერთ, თითქოს ჩემს ცხოვრებას კარგად იცნობდეთ; მაგრამ... — უცებ დავდღუშე, რადგან ცრემლები მომერია და ყელში რაღაც მომაწვა.

— რა მაგრამ?

— არაფერი, რაღაც გამახსენდა.

— ლალი, ხომ არ ტირით? მართო ხართ?

— არა.

— მაშ ცოტა ხნის შემდეგ დაგირეკეთ.

— კარგი. როგორც გინდათ.

მართლაც დამირეკა და მთხოვა, ახლა მაინც მიმეცა ნახვის უფლება. ისე შეწუხებული იყო, ისე გულწრფელად მთხოვდა, კინაღამ დავთანხმდი. ბოლოს საღმა გონებამ გაიმარჯვა, არ მინდოდა ვინმეს, მით უფრო ვაჟას, ამ დღეში ვენახე, არა-მეთქი, გადაჭრით ვუთხარი, ამის უფლებას ვერ მოგცემთ-მეთქი.

— რატომ? ჩემი გეშინიათ? — მკითხა.

— კიდევ რას მოიგონებთ?

— აბა, რად იქცევით ასე?

— გითხარით, მე სხვა გზა არა მაქვს. ავად ვარ, გესმით?

— მაშ რა ვქნა?

— ამაზე არ ღირს ლაპარაკი.

— კარგი, კარგი.

— ვაჟა, არ გეწუინოთ, ყველაფერს სხვა დროს მოგიფიქვით.

მთელმა კვირამ ისე გაიარა, ვაჟას აღარ დაურეკავს. მოუთმენლობა დამეუფლა. დედამაც კი შეშინა.

— აივანზე გავალ, ცოტა უკეთ ვგრძნობ თავს, — ვანუგეშე.

დედას გაუკვირდა.

— ჯერ ოთახში სიარულს შესჩვეოდი, შეილო. გარეთ გრილა, ვაითუ გამიცვიდე.

მე მაინც ჩემი გავიტანე. თბილად ჩაეცივი, დიდ საერთო აივანზე ვავედი და მოაჯირს გადავეყუდე. ეზოში ვეებოთუთას ფოთლები შეჰყვითლებოდა, მთაწმინდიდან, მართლაც საამო, გრილი ნიავი ქროდა. იქნებ ვაჟაც სადმე ახლოა

და ჩემსავით მთაწმინდას ვაპყურებს. ნეტავი როგორია? რაღაც ასე მგონია — საშუალოზე მაღალი, შავგვრემანი, ცოტა გამხდარი უნდა იყოს. ოცნებაში ვაყვას ისეთად ვხატავდი, როგორც მინდოდა რომ ყოფილიყო. რატომ არ დარჩეა? იქნებ რაიმე შეეშთხვა ცუდი — ან რედაქციაში აწყენინეს, ახალი ჯავრი გამიჩნდა. ეს ჯავრი დღითიდღე მატულობდა, სანამ ვაეამ ერთ მშვენიერ დღეს ისევ არ დარეკა.

— სადა ხართ ამდენს ხანს? — თავი ვერ შევიკავე და ვუსაყვედურე, — შეიძლება ასე გადაეარგვა?

— მაპატიეთ, ლალი, თბილისში არ ვიყავი, მივლინებით გამგზავნეს. თქვენ? — თქვენი ჯანმრთელობის ამბავი მაინტერესებს, როგორ ხართ?

— ისევ ისე, როგორც ვიყავი, — თქვენი ამბები მომიყუევით.

— მოსაყოლი ბევრი არაფერი მაქვს. ამერეთში ვიყავი.

— რა ნახეთ?

— ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. ნარკვევი უნდა დავწერო. ახალ დანადგარებს მართავენ.

— საინტერესოა?

— ძალიან. ნარკვევი ხვალ მზად მექნება. ტელეფონით წაგიკითხავ.

— არ მომატყუებთ?

— მე თქვენთვის რაიმე მომიტყუებია?

— აბა დაწერეთ, დროს აღარ დაგაკარგვინებთ...

ერთ დღეს, დილის ათი საათი იქნებოდა, დედამ ახალი გაზეთი მომართა. ის იყო გავშალე, რომ ტელეფონი აწყობილდა. ვაეა იყო. გამიხარდა.

— გამარჯობა, ლალი, როგორა ხართ? თუ არ გამიწყრებით, ერთი რამ უნდა გთხოვოთ.

— რა?

— იქნებ თქვენს რომელიმე მეგობარს შეეხედროდი? მკითხაეთ რატომო? მინდა თქვენზე ყველაფერი ვიცოდე.

— ვაეა, ჩვენ ხომ ტელეფონით ვიც-

ნობთ ერთმანეთს?... ვნახოთ, მოვიფიქრებ.

მეორე დღეს, მოულოდნელად, უნივერსიტეტის მეგობარი, იამზე, მეწვია. მესიამოვნა... უცებ ვაყვას თხოვნა მომამოხდა. იამზეს გულახდილად მოვუყუევი ვაყვასთან ტელეფონით ვაცნობის ამბავი და ვთხოვე, მისთვის უხერხული თუ არ იქნებოდა, შეხედროდა. იამზეს უარი არ უთქვამს.

ის რუსთაველის მეტროსთან უნდა დალოდებოდა იამზეს. იამზეს ხელში იმხანად გამოსული ვაყვას მოთხრობების წიგნი უნდა სჭეროდა, ვაყვას კი ეურნალი. ვაყვას წიგნი მე მქონდა და მაშინვე გადაეცი. შეხედრის შემდეგ იამზეს ჩემთან უნდა გამოევილო და ვაყვას ამბები წერილად მოეყოლა.

ღამის თორმეტ საათამდე ვიცადე. შემდეგ წამალი დავლიე, სინათლე ჩაეაქრე და დასაძინებლად დავწექი.

ის იყო ჩამთვლიმა, რომ კარის კაკუნმა გამომალევიდა. იამზე იყო.

— ლალი, ვაეა გავიცანი, — სულმოუთქმელად მითხრა მან, — ძალიან მომეწონა; შესანიშნავი ახალგაზრდაა. ხუთ საათზე შევხვდით და აი ახლა, დავშორდით, აქამდე მომაცილა, — მე თვალთ მძინარე დედაზე ვანიშნე, რომ ხმადაბლა ელაპარაკა. იამზე ყვებოდა ყველაფერს. ვაყვას ჩემი სურათი ენახა და ძალიან მოეწონებოდი. კიდევაც ეთქვა, ეს რა მშვენიერი გოგონა ყოფილა, რა ნათელი და გონიერი თვალევი აქვსო. მაგრამ როგორი ნაღვლიანია, ეტყობა, დიდი ტანჯვა უნდა ჰქონდეს გადატანილიო. მერე შეპყლოდნენ, იმას თავისი ეთქვა, ამას — თავისი. ბოლოს კაფეში შესულიყვენ, იქიდან — კინოში.

— როგორი ბიჭია? ველარ მოვიტოინე და ვკითხე.

— ვადასარევი, იშვიათი საამხანავო, ჰქვიანი, გამგები.

— რა კარგია, კიდევ რომ არიან ასეთი ადამიანები, არა?

— ლალი შენ ხომ არ გეწყინება, მე რომ ვაყვას ხანდახან შეეხვდე?

— რატომ მეწყინება, პირიქით.
— იცი, ვაჟამ ჩემში მწერლობის ნიჭი აღმოაჩინა, ჩამცივებია, დაწერეო.

— რა დაწერეო?

— რასაც ამბობო.

— მერე, შენც დაწერე, მაგაზე უკეთესი რაღა უნდა იყოს!

— დაწერე და, სანამ ვაჟას ვაჩვენებდე, პირველად შენ წაგაკითხებ.

— რა თქმა უნდა, — ვუთხარი და საათს შევხედე. უკვე ორი სრულდებოდა. იაშზე წამოვდგა. მშიერი ხომ არა ხარ? — შევეკითხე.

— არა, არა, ხომ გითხარი, ვაჟამ კაფეში დამპატივა.

იაშზე თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩემთან და ვაჟასთან რეკავდა. ისინი დამეგობრდნენ, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. იაშზე ვაჟას რომ დასცილდებოდა, პირდაპირ ჩემთან მოდიოდა და გვიანობამდე გატაცებით მიყვებოდა შეხვედრის ამბებს.

— ლალი, ვაჟა ხშირად მეკითხება, რაიმე მოთხრობის წერა თუ დაიწყეო, უკვე დაიწყო იცი? ორ-სამ დღეში მოვათავებ, — მითხრა და ტელეფონის ყურმილი აიღო.

იაშზეს თითქოს ავადმყოფობად გადაეცა ტელეფონით ხალხის გაცნობა. ნეტავ საიდან გამოინახავს ხოლმე. მთელი დღე შეუძლია ტელეფონთან იჯდეს და საათობით ელაპარაკოს ხან ერთს, ხან — მეორეს. ზოგს ბეზრდება უცნობთან საუბარი და ყურმილს უკიდებენ. იაშზეს ამაზე ეცინება. ის პირველ ხანებში ყველას აქებს, ბოლოს კი ყველას წაეჩხუბება და ლანძღავს. მე ძალიან მწყინდა იაშზეს ასეთი სითამამე. ერთხელ გავაფრთხილე — იაშზე, სირცხვილია, ასეთ ონიზაზობას თავი გაანებე-მეთქი. არაფერი მიპასუხა, ისე წავიდა.

ამ საუბრის შემდეგ იაშზე მთელი ათი დღით გადაიკარგა. ვფიქრობდი, ხომ არ ვაწყენინე-მეთქი, მოლოდინი ბევრად უფრო ადვილი გადასატანი იქნებოდა, ვაჟას რომ ერთხელ მაინც დაერევა. ნუთუ ორივე მეგობარი დავკარგე, ერთი

სიყრმისა, მეორე კი შორეული და გერაც უცნობი?

ერთ დღეს იაშზე გამჩინდა და სანამ პალტოს გაიხდიდა, კარიდანვე დაიწყო. — იცი, ლალი? მე და ვაჟამ ვიჩხუბეთ. იგი საზიზღარი, ბოროტი და მატყუარა ადამიანი გამოვდა. ძალიან ვწუხებარ, რომ გავიცანი.

გავშრი. აღარ ვიცოდი ამ წუთში ამაზე უფრო რა მეწყინებოდა. კარგა ხანს ლინე არ მეყო. გამომეკითხა, რა მოხდა მათ შორის.

— იცი, რა მითხრა? — თავადვე დაიწყო იაშზემ, — მე ლალიზე არაფერი მოთხრობა არ დამიწერიაო, ავად რომ არის მეცოდება და მხოლოდ სიტყვიერად ვასიამოვნეო.

— ეგ ხომ ბავშვობაა, — როგორც იქნა ამოვიღე ხმა. — რა მნიშვნელობა აქვს. მე მაგით არც არაფერი მემატება და არც არაფერი მაკლდება.

ესა ვთქვი და მივხვდი, იაშზე ის აღარ იყო, ადრე რომ ვიცნობდი. მივხვდი, რა-ღაცას მიმალავდა და არ სურდა ჩემთვის, ადამიანისთვის, ვისაც ჭერ კიდევ გულში მეგობრად თვლიდა, გული გადაეშალა, ვაჟას მე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ის მაინც როგორღაც ჩემს კეთილ მეგობრად მიმაჩნდა. ეს, რასაკვირველია, ყველაზე უკეთ გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას ვაჟასადმი. არ მსიამოვნებდა მისი ძვირი, მისი ყოველი სიტყვის, ნაბიჯის განქიქება და გრძობების დახურდავება. იაშზე ამას არ ერთდებოდა. უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა ვაჟას, სწყევლიდა იმ დღეს, როდესაც ვაჟას პირველად შეხვდა და ამით, რასაკვირველია, მეც მკენწლავდა.

გული ჩამწყდა, ვგრძობდი, იაშზე სტყუოდა, ყოველნაირად ცდილობდა, ვაჟაზე გული მომსვლოდა, ცუდი მეთქვა. მე ვდუმდი. მისგან ყველაფერს უსიტყვოდ ვითმენდი. მიუხედავად იმისა, ეს ქალი პედაგოგი იყო, მისი სიტყვები ავადმყოფს გულს მიშფოთებდა. რა დავუშავე? ვეკითხებოდი ჩემს თავს და

ყვავილეტები ვიძირებოდი. მას ჩემი დუმილი აღიზიანებდა.

მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— ლალი, ვთხოვ, დღეიდან ვაჟას აღარ დაურეკო და საერთოდ არასოდეს არ დაელაპარაკო, თორემ შენთან აღარ მოვალ.

მე დავამშვიდე. ბოლოს მითხრა: ყველაფერი ამის შესახებ მოთხრობა დავეწერე. აგერ თანა მაქვს და, თუ გინდა, წავგიკითხავო. მაშინვე ჩანთა გახსნა და ჩემს თანხმობას არ დალოდებია, თაბახის ფურცლები ამოიღო.

მოთხრობა უფრო მე შემეხებოდა. შიგსაკუთარი სახელით ვიყავი მოხსენიებული. სახელი არც ვაქასათვის შეეცვალა; ორიოდ სიტყვით აღნიშნავდა ჩემს ავადმყოფობას და იქვე დასძენდა, რომ ავადმყოფობაში უცნაური რამ დამჩემდა: ვითომ ყოველ დილას თუ საღამოს ტელეფონს მივუჭიდები და ალაღბედზე უცხო ადამიანებს ვურეკავ, ვითომ ერთი მათგანი იყო ვაჟა. მეწყინა, ავიწურე. გადავწყვიტე მოთმინებით აღვკურვილიყავი და მოთხრობა ბოლომდე მომესმინა. შემდეგ იამზე წერდა, თუ როგორ გავგზავნე ის იმ ვაჟასთან შესახებდრად, რომელიც მიყვარდა, მაგრამ თავად შეხვედრა არ შემეძლო.

მოთხრობის ბოლო მთლიანად ვაჟას ეძღვნებოდა: იმას, თუ როგორ ვააცრუა იამზეს იმედები და როგორი „ჩვეულებრივი კაცი“ გამოდგა.

— რად მოიწყინე? — მკითხა იამზემ,

როდესაც კითხვა დაამთავრა. — არ მოგეწონა?

— დაბეჭდვას აპირებო? — მკითხე მე მცირე დუმილის შემდეგ და თვალი მოვარიდე.

— თუ დამიბეჭდეს.

— მე რას მერჩობი, იამზე, თუკი მოთხრობას წერდი, ვანა არ შეიძლებოდა მართალი დაგეწერა?

იამზე გაწიწმადდა. პირველად ვნახე ასე გამწარებული.

— რა არის აქ ტყუილი?

— მაშ, მართალია? — ამის თქმალა მოვახერხე.

— რა მოგივიდა, ავად ხომ არა ხარ? სულერთია, მე ჩემსას მაინც ვავაკეთებ.

სათქმელი სიტყვა ყელში გამეჩხირა. იამზემ მოთხრობა დაკეცა, ჩანთაში ჩადო და დაუშვდილობებლად წავიდა. მიუხედი, სამუდამოდ მიდიოდა, ამიერიდან ერთმანეთს ვეღარ ვნახავდით.

ერთი კვირის შემდეგ ვაჟამ დარეკა. არ ველოდი. არც ვამხარებია. ნაძალადევად მომიკითხა. იამზე ვახსენე, როგორ არის-მეთქი. ერთხანს დუმდა, არ უნდოდა პასუხი გაეცა, ბოლოს მოთხოვა, მის სახელს ნულარ მომაგონებო. აღარ ჩავციებებივარ. ვხედავდი, რომ ვაჟასაც სამუდამოდ ვკარგავდი. ასეც მოხდა. თანდათან, უფრო იშვიათად რეკავდა ტელეფონის ზარი, მერე სულ შეწყდა. მე ისევ მარტო დავრჩი ჩემს ფიქრებთან და ჩემს ავადმყოფობასთან, ჩემი გულის სიცარიელესთან.



„ამ მშვენიერსა და უღმრთელსა ჭუთისოვალში“

I

ტოლუბეევს დეპოში ორთქლმავლის საუკეთესო მემანქანედ აღიქვამდა ვასილიევიჩმა-მალცევი ითვლებოდა.

იგი ოცდაათი წლისა იყო, მაგრამ უკვე პირველი კლასის მემანქანის კვალითაცაა პქონდა და, დიდი ხანია, ჩქარი ნატარებლები დაჰყავდა. როცა ჩვენს დეპოში „ის“ სერიის პირველი მძღავრი სამწვანო ორთქლმავალი მოვიდა, ამ მანქანაზე საუბროდ მალცევი დანიშნეს და, რა თქმა უნდა, ვლადიმერულადაც მოიქცნენ. მალცევის თანაშემწედ მუშაობდა ხნიერი დეპოელი ზენაილი ფაოდორ პეტროვიჩი დრანაოვი, მაგრამ მან მალე მემანქანის წოდების მისაღებად გამოცდა ჩააბარა და სხვა მანქანაზე გადავიდა სამუშაოდ, დრანაოვის ნაცვლად კი მალცევს ბრიგადაში მემანქანის თანაშემწედ მდამინიშნეს; მანამდეც მექანიკოსის თანაშემწე ვიყავი, მაგრამ ძველ, მკარებელიან მანქანაზე ვმუშაობდი.

ახალ სამუშაოზე გადასვლა მიხაროდა. ჩვენს უბანზე მაშინ ერთადერთი „ის“ მანქანა გვქონდა და მარტო მისი შესახებობაც კი აღმოფრთხივანებდა. შემდეგ დიანს მეუფრებინა იმ მანქანისათვის. მის დანახვაზე მეუფრებოდა განსაკუთრებული, გულისაწარუფრებელი სიხარული, ისეთივე მშვენიერი, მაშველისის რამ შემახერხებდა ხოლმე, როცა პირველად ვიქონებულბდი პუშკინის ლექსებს. ამას გარდა, მსურდა, პირველხარისხოვანი მექანიკოსის ბრიგადაში შემუშავა, რომ მისგან მძიწერონიან ჩქარ მატარებელთა მართვის ბელოვნება მესწავლა.

აღიქვამდა, ვასილიევიჩი თავის ბრიგადაში

ჩემს დანიშნებას მწვინად და გულრილად შეხვდა: ეტუობოდა, მისთვის სულ ერთი იყო თანაშემწედ ვინ ეუოლებოდა.

რუბოში გასვლამდე ჩვეულებისამებრ შევა-მოწმე მანქანას უფელა კვანძი, გამოვცადე უკვე-ლა მოქმედი და დამხმარე მექანიკოსი და დავ-მშვიდდი, რადგან მანქანა სამგზავროდ მზად იყო. აღიქვამდა ვასილიევიჩი თვალს ადევნებდა ჩემს საქმიანობას, მაგრამ მეტრ თავად ხელახლა შე-მოქმედა მანქანა თითქოს არ მენდობოდა.

შემდეგვეც იგივე მეორებოდა და უკვე მივეჩვიე, რომ აღიქვამდა ვასილიევიჩი გამუდ-მებით ერთოდა იმ საქმეში, რაც ჩემს მოვალე-ობას შეადგენდა. მივეჩვიე, მაგრამ გულში მწყინდა. თუმცა, როგორც კი გზას გავუდგებო-დიო წუენა მაშინვე მათიწყებოდა, დროდა-დრო თვალს მოვაშორებდი სწრაფად მიმავალი ორთქლმავლის მდგომარეობას მარეენეულ ხელსაწყოებს და ჩვენს წინ გაქმულ გზას, მარცხენა მანქანის მუშაობის მეთოდუფრეობას თავს მავანებებდი და მალცევს გავხედავდი. მას შემადგენლოდა დიდოსტატის მამაცური გულდაჭრებით მიჰყავდა, გულისუფრი დეცე-ბა ზესთაგონებულს მსახიობივით, რომელიც საყოფარ განცდად გარდაქმნის მთელ გარე სა-მუაროს და ამიტომაც მასზე მბრძანებლობს. აღიქვამდა ვასილიევიჩი წინ თითქოს გამოცა-რილებულთა თვალეზით იცქირებოდა, გვგონე-ბოდათ, აქაურობას განრიდებოთ, მაგრამ ვი-ცოდი, რომ იგი ხედავდა მთელ გზას, ხედავდა მთელ გარემოს. ჩვენსენ რომ მოისწრაფოდა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ბედურად კი,

რამდენადაც სივრცეში შეტრილი მანქანისგან აჩრდილ ქარი რღვნივთან დაყრდნობი ზრუნადან ატყუებდა. მალევე წამით თავს შეაბრუნებდა, რომ დაეინახა, ბედურას რა დამართა, საიღ გაფრინდაო.

ჩვენ არახლოდ ვიგვიანებდით ჩვენი მსუხუთ, პირაქით, დრო მოგვჭარბებდა სოლივე და, შუალედურ სადგურებზე, სადაც შეუჩერებლად უნდა გაგვეყოლო, ხშირად ვუპოვებდით, რომ კვლავ ვრატყვი ჩავეყენებინეთ.

ჩვეულებრივ, უზარად ვსუშობდით მხოლოდ ხანდახან, აღექვსანდრ ვასილივიჩი ჩემგემ არც გამოხატავდა, ქვამზე ისე დააკუნებდა, რათა უფრადღება მიეცევივინებინა მანქანის მუშაობის რეჟიმში რამე უწყესრიგობაზე, ანდა, ამ რეჟიმის მკვეთრად შეცვლას აპირებდა და მანიშნებდა, რომ ღვიზლად ვუოფილიყავი. მე უკველოვის ვხედებოდი, უფროსი ამხანაგებგან უსიტყვოდ რას მოთხოვდა და გულმოდგინედ ვსუშობდი. მაგრამ მექანოკოსი კვლავინდებურად გულყრილად შეპურობდა. ასევე ტყურობდა მსუთავცეხლდარეშს; ვაჩერებებზე უკველოვის ამოწმებდა წნებ-სახუთეს, რვილის კვანთა ქანჭიკებს, ამწრად ღერძების მუქსირებს და მრავალ სხვა რამეს, ხშირად ისეთ ნაწილს მუშაობისას რომ იხებება, გვესინჯავდა და დაჯრთავდა თუ არა, მალევე იგივე ნაწილს ხელახლა განსიჯავდა და დაჯრთავდა, თითქოს ჩემი ნაშუგვარი არაფრად მიანდა.

— აღექვსანდრ ვასილივიჩ, ეს კრიტიკოთა მე უკვე შევამოწმე. — ვუთხარი ერთხელ, როცა იგი ჩემს მერე შეუდგა იმავე დებულებას.

— მე კი თავად მიწდა, რომ შევამოწმო. — მინასხუა მალევემა და ისე სედღიანად გაიღიმა, რომ გავცდი.

მოგვიანებით მივხვდი, რატომ იყო სედღიანი და მუდამ გულყრილად რატომაც ვეპურობოდა. ფე ჩვენს მიმართ უპირატესობას ვრძნობდა, რადგან მანქანა ჩვენზე უფრო უსტახად ესმოდა, და არც სჭეროდა, რომ მე ან სხვა ვინმე ჩაწვდებოდიო მისი ნიღის სადღუმლის, რისი წყალობითაც მას შეეძლო, ერთსა და იმავე დროს გაფრენილი ბედურისათვის გავეოღებინა თვალი და წინ შექნისწაყ შეეშინა, ამხანთან ერთად შეეგძნო გზაც, შემადგენლობის წონაც და მანქანის ძალაც. მალევეს, რა თქმაუნდა, ესმოდა, რომ შეიძლებოდა, მასზე მეტი გულმოდგინება და მონდობება გამოგვეჩინა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რომ ჩვენ მასზე მეტად ვუფრავებოდა ორთქლმავალი და მასზე უკეთ წაიყვანდით მატარებელს. ფიქრობდა, რომ მანქანის უკეთესად მართვა არ შეიძლებოდა. სედდა ჩვენთან ამიტომაც ეუფლებოდა. საკუთარი ნიღი მარტოობასავით ახედვინებდა და 9. „მნათობი“, № 4.

არ იყოდა, ჩვენთვის უკველივე ეს რეგორ ეთქვა, რომ გავეგონებინა.

მისი უნარის შეცნობა ჩვენი მართლაც არ შეევედლო. ერთხელ ვისოვე, რომ ნება მოვიცა, შემადგენლობა დამოუკიდებლად წაიყვანა: აღექვსანდრ ვასილივიჩმა ნება დამართო, ორმოცი კილომეტრი ვამევილო და ჩემს ნაცვლად დაქდა თანამემწის ადგილას. მე შემადგენლობა წაიყვანე და ოცი კილომეტრის შემდეგ უკვე ოთხი წუთი დავეინება მქონდა; გრძელად ამართებზე საათი ოცდაათი კილომეტრის სიჩქარით ძლივს ავლიოდი. მერე მანქანა მალევეს წაიყვანა; აღმართებზე ორმოცდაათი კილომეტრის სიჩქარით ადიოდა, მრუდ მონაკვეთებზე კი მანქანას ჩემსავით არ აძებნივებდა და დეკარგული დრო მალე ამოქანა.

II

მალევეთან თანამემწედ ერთ წლამდე ვიმუშავე, აგვისტოდან ივლისამდე, ხუთ ივლისს კი მალევემა საკურიერო მატარებლის მემანქანის მოვალეობა უკანსქენლად ვასწია...

ჩვენ ჩავინაბრეთ ოთხმოცი სამჯგუარო დერძის მქონე შემადგენლობა, მანამდე გზაზე ოთხი საათის დაგვიანება რომ მქონდა დისპეტჩერი ორთქლმავალთან მოვიდა და აღექვსანდრ ვასილივიჩს საგანგებოდ სთხოვა, რამდენადაც შეძლებდა, მატარებლის დაგვიანების დრო შეემცირებინა, სამ საათამდე მანძი დაუფრანა; თორემ დისპეტჩერს მესობდელ გზაზე ცარიელი ეგონების გადაყვანა გაუქირდებოდა. მალევე შექმარდა, დროს ამოქვანავო და გზას გავუდემიო.

სადამოს რვა საათი იყო, მაგრამ ზღვზულის დღე არ იყოდა და მზე მძღვარად სადღესასწაულად ეღვარებდა. აღექვსანდრ ვასილივიჩმა დამავადა, ქვამში ორთქლის წნევა გამუდმებით მქონოდა, ზღვარულ დონეზე მხოლოდ ნახევარი ატმოსფეროთი ნაკლები.

ნახევარი საათის შემდეგ ეღიმა მუდრო, რბელ მაროფილზე გავედით. მალევემა სიჩქარე ოთხმოცდაათი კილომეტრამდე აიყვანა და აღარ ამიცრებდა. პირაქით, მორიზონტალებსა და მტარე ჰაქანებზეზე ას კილომეტრამდე აიყვანდა აღმართს ღუმულს, რაც კი შემებლო, ვასურებლი, ცეცხლფარეშს ვაიშლებდი, სტოკარის მანქანას მიხმარებოდა და ხელით აემშევებინა საჩირტა, რადგან ორთქლის წნევა ცეცხლმოდ.

მალევეს რეგულატორი სკალის ზოლომდე ვადეწია, რვეერსი მთელ წყვეთაზე მქონდა მიცემული და ორთქლმავალს წინ მიიქანებდა, ჩვენ ახლა მძღვარი ღრუბლის საპირსპაროდ შეიწვედით, მორიზონტიდან რომ წამოიზართა. ჩვენი მხარედან ღრუბელს მზე ანათებდა, შიგნიდან კი ფიცხი, მჭინვარე ეღვა ხხრეწდა და ვხედავდით, ეღვის შუბები ვერტალოურად როგორ ესობიდა მორცულ, მდღესარე მიწას,

ხოლო ჩვენ გაშვებით მივქროდით იმ შორეული მიწისაკენ, თითქოს მის დახაკვად მივჩქაროდით. ალექსანდრ ვახლიავენი, ცტუპობა, ამ სანახაობამ გაიტაცა: იგი ფანჯრიდან გადაეკიდა, წინ იცქირებოდა და კვამლს, ცეცხლსა და სივრცეს ნაჩვევი თვალები ახლა აღფრთოვანებისაგან უფლავდა. იგი გრძნობდა, რომ ჩვენი მანქანის მუშაობა და სიმქლავრე ჭეკიჭეხილის მოქმედებას შეედრებოდა და ამითი იქნებ ამაყობდა.

მაღე მტერის კორიანტელი შევაშინეთ. ველოსილიდან ჩვენყენ რომ მოქმედებოდა, მამ ქარიშხალი საეფრო ღრუბლებსაც პირდაპირ ჩვენყენ მოაქროლებდა. ჩვენს ორგვლავ შუქი ჩაიშუქდა, გამომშრალი მიწა და ველოსი ქვიშა ორთქლმავლის რკინის სხეულზე აწივლდა და ახრამუნდა. წინ აღარაფერი ჩანდა, ამიტომ გასანათებლად ტურბოდიენამო ავამუშავე და ორთქლმავლის წინა პროექტორი ჩავრთე. სუნთქვა გავიძინელა მშურავლად მტერის კორიანტელმა, კახინაში რომ იჭრებოდა, საბირაპი, როდ მივაღლა მანქანა კი ძალას უორკეცებდა: სულს გვხოვთავდა საცეცხლირად გამოჭრილი აირი და ნაადრევად ჩამოწოლილი ბინდებუნდი, გარს რომ გვერტუშოდა, ორთქლმავალი კვდილით მოიკვლეოდა გზას სულისშემბოლაველ სინდელში და პროექტორით განათებულ ზოლს მიუყვებოდა. ჩვენ ვშუშაობდით და თან სინარეფლებიყო ვიციკირებოდით წინ.

უცებ საქარე მინას მსხვილი წვეთი დაეცა და შეიხვე ვაშრა, მშურვალე ქარმა შეიწოვა. მერე ღურქმა შუქმა ჩემს წაწმინდებთან იფეთქა და შექრითალ გულამდე ჩამირბინა. ინტექტორის ოქანს შევწვიე, მაგრამ ვუღლის ტავილენა უყვე გამოიარა და მაშინვე მალღევისაგენ გავიხედე. იგი წინ იცქირებოდა და მანქანა ისე მიჰყავდა, სახის გამოშვრეფლებს: არც შეხეცვლია.

- რა მოხდა? — ვკითხე ცეცხლფარეშს.
- მეზი ჩამოვარდა, — მიპასუხა, — ჩვენ გვპირებოდა დაცემას, მაგრამ ცოტავე ავცვდა. მალღევა ჩვენი ღამარაკი გაიკონა.
- რა მეზი? — გვეკითხა ხმამაღლა.
- ახლა რომ ჩამოვარდა, — უპასუხა ცეცხლფარეშმა.
- მე არ დამინახავს, — თქვა მალღევა და თავი კვლავ მიაბრუნა.
- არ დავინახავს? — ვაუკვირდა ცეცხლფარეშს. — ისე განათდა, შეგონა, ქვაბი აფეთქდა-მეთქი, ამას კი არ დაუნახავს.
- მეც შევეჯვადე, რომ მეზი ჩამოვარდა.
- ქუბილი რატომ აღარ გაიხმა? — ვკითხე ცეცხლფარეშს.
- ქუბილს გამოვანწარი, — ამოხსნა ცეცხლფარეშმა. — ჭეკა უოველთვის გვიან გაიხმის. სანამ დაიგრგვინებდა, სანამ ჰერს შეარყევდა.

ჩვენ იქაურობას გამოვცდიით, მგზავრება იქნებ გაიგონეს — უკან არიან.

მერე კოსისპირულ წვიმაში შევიჭერით, მაგრამ წვიმასაც მაღე გავცდიით და ჩაწმინდებულ, სინდელით მოცულ ველზე გავვდიით, რომლის შემოთავ უძრავად გაწოლილყვენ უწყინარო, ძალაგამოცლილი ღრუბლები.

ირვლავე მთლად ჩამოხნულდა და მშვიდადამე ჩამოვჯდა. ჩვენ შევიჯრამნობდით სველი მიწის სუნს, ნაწვამარი ბაღახისა და უანის სურნელებსა და წინ მივქროდით, რომ დაკარგული დრო ამოვუქანა.

შევაშინე, რომ მალღევის მანქანა უარესად მიჰყავდა. მრუდ მომავრეთებზე ვქვანქვარებდით, სიჩქარე ზან ას კალამეტრს გადააჭრებუდა, ზან ორმოცამდე დაეცემოდა. ვიფიქრე, ალექსანდრ ვახლიავენი აღბათ ძალიან დაიქანცა-მეთქი, და ამიტომ აღარაფერი ვუთხარა, თუმცა ძალიან მიჭირდა, დუშმელსა და ქვაბის მუშაობას საუკეთესო რეგეში შემენარჩუნებინა, როცა შექანეთის ასე იქცეოდა. თუმცა, ნახევაზი საათის შემდეგ, წულის ასადეხად უნდა შევჩერებულეთუთი და იქ, გარეგნებაზე, ალექსანდრ ვახლიავენი წაისაუზნებოდა და ცოტას შეისვენებდა. ორი საათი უყვე ამოვქანეთ. ჩვენი უზნის დაახრულამდე კი ერთ საათს მაინც კიდევ ამოვქანავდით.

მაგრამ მალღევის დაქანცულობამ მაინც შემაოქრინა და თავდაც უფრადღებში ვიწვე წინ უფრინა, გზასა და სინდელს ვაცირდებოდი. ჩემს მხარეს, მარცხენა მანქანის თავზე ჩამოკიდებული ელექტრონათურა რკალთან მქნევარა შექანისმს ანათებდა. მე კარგად ვხედავდი მარცხენა მანქანის დაძაბულ, მწუბურ მუშაობას, მაგრამ მერე ნათურამ ზეფტვა იწყო და სათელევაო მკრთალადღა კრთოდა. ეპინისაგენ შევტრიალდი. ნათურები ახლა იქაც მეთოხედი სიმქლავრათ ენთო და ზეღბაწყოებს ძლივს ანათებდა. გამიჯირდა, ალექსანდრ ვახლიავენი-მა ქვანვე რატომ არ დაეკაუნა, რომ ამგვარ უწინგრობაზე უფრადღება მიექცეოწებინა. აშკარა იყო, ტურბოდიენამო საქარე ბრუნვას არ იძლეოდა და ძაბვა დაეცა. მე ორთქლმავლიდან ტურბოდიენამოს რეგულირება დავიწვე და ამ მოწყობალობას დაღზინს ვუკარკიტბდი, მაგრამ ძაბვა არ მატულობდა.

ამ დროს ზეღბაწყოთა ციფერბლატებსა და კაბინის ჭერზე წითელა შუქის ბუნდოვანმა ღრუბელმა გადაარბინა. გარეთ ვავიხედე.

წინ, სინდელში — ახლოს თუ შორს, ვარჩევა ჰირდა — ჩვენი გზის გარდვიარდმო წითელა შუქის ზოლი ირხეოდა. რა უნდა უოფილიყო, ვერ მავხედე, მაგრამ ვიცოდი, რისი გავეთებაც იყო საქირი.

— ალექსანდრ ვახლიავენი! — შევძახე და ვარერბინა სპიი სიგნალი მივცეო.

ჩვენი ბორბლების არტახთა ქვეშ მებრადე-

ბის აფეთქება ვაიხმა. მე მალევეს ვეცო, მან კი თავი ჩემგან მოაბრუნა და უტყუარ წყნარით აღიღმა მომავალს. ტაქომეტრის ციფერბლატზე ისარი სამოსკილომეტრს სიჩქარეს უჩვენებდა.

— მალევე! — შეუძახებ მე. — პეტარდებსა ვსრესით! — და სამართავ ხელსაწყოებს წავებებ.

— მოქმედებ! — დაძვივებრა მალევემა და თავლებში ტაქომეტრის მბუტუტავი ნათურას არარგელმა გაუფრღვა.

მერე სწრაფად ჩართო სავანგებო მუხრუქები და რვეტრის უკან გადაწია.

მე ქვაბს მივეციქვეთ: მესმოდა, ბორბლებს არტახებო რტლსებს როგორ ხებდა და წიოდა.

— მალევე! — ვუთხარი, — ოცნაების ცალინდრება უნდა ვაიხანას, თორემ მანქანას დავამსხვრევთ.

— არ არის საქმრო, არ დავამსხვრევთ! — — ნიასლუბა მალევემა.

გავჩერდი. მე ინტექტორით ქვაბში წყალი ავჯახე და გარეთ გაიზბედე. წინ, ათოდე მეტრის მოშორებით, ჩვენს ლიანდაგზე ორთქლმავალი იდგა. ტანდერი ჩვენგან ჰქონდა მოქცეული. ტანდერზე კაცი იდგა: ხელში გრძელი გავარდარებული საჩხრტო ეჭირა და იქნებდა, რომ ჩვენი საყურეორო მატარებელი გავჩერებინა. საჩხრტეს წვერო წითლად უღვავდა. ეს ორთქლმავალი ლიანდაგზე გაჩერებულ სატვირთო მატარებელს უყანიდან მისაწოლად ჰქონდა მიხმული.

მასთანადამე, ხანამ ტურბოდინამოს ვაწესარიგებდი და წინ არ ვიციკრებოდი, ქვარ უფთოველ შუქნიშანს ჩავუარეთ, მერე კი წითელ შუქნიშანსაც ვავცდი. აღმათ არადრთ რკინაგზის მეფთავლურებსაც ჩავუქროლეთ. ვამაურთახილებულ სიგნალებს რომ ვვამდედენენ. მამ მალევემა რაღატომ ვერ შეამჩნია ეს სიგნალები?

— კოსტია! — დამიძახა ალექსანდრ ვასილივიჩმა.

მეფუახლოვდი.

— კოსტია ... რა არის ჩვენს წინ? ვუთხარი, რაც იყო.

— კოსტია ... მანქანას შენ წაიყვან. მე დავბრმავდი.

მეორე დღეს უკან გამოებრუნდით. მე სხვა მატარებელი ჩვენს საფურტზე მოვიყვანე და ორთქლმავალი დეპოს ჩავაბარე. რადგან ორ ბორბალზე არტახები ოდნავ გამრუდებოდა. დეპოს უფროსს მომხდარი ამბავი მოვახსენე. მალევეს ხელი მოკვიდე და თავისი ბინასაკენ წაიყვანე. თავად მალევევი ძალზე დამწუხრებული იყო და დეპოს უფროსთან არ გამოიყვა.

ჩვენ პალამორტულ ქუჩაზე მდგარ საბოლოან ქვერ არ მოვსულიყავით, სადაც მალევევი ცხოვრობდა, როცა მხოტვა მარტო დამტოვეო.

— როგორ დავტოვეო, — ვუბახსენე მე. —

ალექსანდრ ვასილივიჩ, თქვენ ხომ ბრმა ხართ. მან ნათელი, ფიქრანი თვლებით შემოიხედა.

— ახლა მე ვხედავ, წადი შინ... ვეფთავტრის ვხედავ — აგერ ჩემი ცოლი ჩემს შესახვედრად გამოვიდა.

იმ სახლის ქიშკართან, სადაც მალევევი ცხოვრობდა, მართლა იდგა ქალი, ალექსანდრ ვასილივიჩის ცოლი. თავშიშველი იყო და შავი თმა მწევზე უბრწყინავდა.

— შენა ცოლი თავშიშველია, თუ არა? — ვკითხე მე.

— თავშიშველია, — მიახსუნა მალევემა. — ბრმა მე ვარ თუ შენ?

— თუ ხედავ, ვე სხვა საქმეა, — ვუთხარი და დავმორდი.

III

მალევევი სამართალში მისცეს და ძიება დაიწყო. გამოძიებელმა გამოძიება და შეიძინა, რას ვფიქრობდი იმ შემთხვევის თაობაზე, საყურეორო მატარებელს რომ მოუხდა. მე ვუთხარი, რასაც ფიქრობდი, მალევევი დამანაშვე არ არისმეტკი.

— იგი ახლად მომხდარმა განმუხტვამ, მეხის ვავარდნამ დააბრმავა, — ვუთხარი გამოძიებელს. — კონტრუზია დავმართა და მხედველობის წარმართველი ნერვები დავუნიანდა... არ ვიცი, ეს წუხტად როგორ უნდა ითქვას.

— შეგიხვედი, — მითხრა გამოძიებელმა, — საოქველო წუხტად თქვით. უფველივე შენსამდეგელია, მავრამ უტკლობელი არ არის. მალევემა ხომ ჩვენებში თავად თქვა, ეღვა არ დამინახავსო.

— ეღვა მეც დავინახე და მწვთავაც.

— მამ შენი მალევევისკენ კი არა, თქვენს მხარეს ვავარდნელია, — თქვა გამოძიებელმა. — თქვენ და მწვთავს რატომ არ დავგმართათ კონტრუზია და არ დავბრმავდით, თუ კი შემანქანე მალევემა მხედველობის ნერვთა კონტრუზია მიიღო და დაბრმავდა? რას ფიქრობთ?

მე ჩიხში მოვემწვედე, მერე კი ჩავფიქრდი და ვთქვი:

— მალევეს ელვის დანახვა არ შეეძლო. გამოძიებელი გაოცებული მიხმენდა.

— მას ელვის დანახვა არ შეეძლო. იგი ფუახედად დააბრმავა ელექტრომაგნიტურმა ტალღამ. რომელიც ელვის შუქს წინ უსრტებს. ელვის შუქი განმუხტვის შემდეგია და არა ელვას გამომწვევი მიზევი. მალევევი უკვე ბრმა იყო, როცა ვაიყვდა. ბრმა კი შუქს ვერ დამინახავდა.

— საინტერესოა! — გაიღმა გამოძიებელმა. — მალევევის საქმეს შევწყვეტდი, იგი ახლაც რომ ბრმა იყოს. მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ იგი ახლა ჩვენნარად ხედავს.

— ხედავს, — დავუბოწმე.

— ბრმა იყო თუ არა, — განავრძობდა გა-

მომჩიებელი, როცა საკუთრივ მატარებელი დიდი სისწრაფით ემაჯავდა და კინაღამ სატვირთო მატარებელს მიჰყავს?

— ბრმა იყო, — ვუთხარი.

გამომჩიებელმა დაკვირვებით შემოხედა.

— მაშ ორთქლმავლის მართვა თქვენ რატომ არ ვაღმავაბარათ, ანდა ეს მაინც არ ვიბრძანათ, რომ მატარებელი გაგვირებინათ?

— არ ვიცო, — ვუპასუხე.

— უფრო მიგვეთ, — მითხრა გამომჩიებელმა, — ასაკოვანა, შეგნებული ცაცი საკურიერო მატარებლის ორთქლმავლს მართავს, ასობით ადამიანს დასაუფავად მოაქანებს, კატასტროფას შემთხვევით ვაღაურჩება, მერც ეკ თავს იმართლებს, ბრმა ვუყავო. ამაზე რას მეტყუათ?

— თუთონაც ხომი დააღებოდა! — ვუთქვი მე.

— აღმათ დაიღუპებოდა. მაგრამ მე ასობით ადამიანის სიცოცხლე უფრო მაინტერესებს, ვიდრე ერთი ადამიანისა. იქნებ მას რაიმე მიზეზი ჰქონდა, რის გამოც დაღუპვა უნდოდა.

— არ ჰქონია, — ვუპასუხე.

გამომჩიებელს ჩემთან ლაპარაკი მოზღვრდა. აღმათ ფაქრობდა, ხუთუღს ევლაპარაკებო.

— თქვენ უვლადგური იცით იმის ვარდა, რაც მთავარია, — მითხრა ფიქსში წასულმა. — შეგიძლიათ წახადეთ.

გამომჩიებელთან საუბრის შემდეგ მალევეს გაყვარე.

— ალექსანდრ ვახლივიჩ, დასასმარებლად რატომ არ მომიხმეთ, როცა დაბრმავდით? — ვკითხე.

— მე ვხედავდი, — მიპასუხა, — რაღასთვის მჭირებოდა?

— რას ხედავდით?

— უვლადურას: რკინიგზას, უტკინისებს, პურის ყანას, მარჯვენა მენქანის მუშაობას — უვლადურის ვხედავდი.

საკონებელში ჩავყარდი.

— მაშ რაღა დაგვმართათ? უვლად გამადგონებელი ნიშნის ჩაუარეთ და პირდაპირ მიემართებოდით სხვა მატარებლებს...

უსივლილი პირველი კუბასი მენქანისკენ სევდიანად ჩაუქრდა და წყნარად მიპასუხა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა:

— მე სინათლის ხილვას ვიყავ ჩვეულო და მაშინაც მეგონა, ვხედავ-მეთქი. მაგრამ მხოლოდ გონებაში, წარმოდგენით ვხედავდი. ნაშედეგად კი ბრმა ვიყავ და ეს არ ვიცოდა... პეტარებების აფეთქების ხმა გაეფარე, მაგრამ უფრო არ დავექარე. ვიფიქრე, რომ მეჩვენებოდა. როცა გაჩერების სიგნალები მომეცა და დამიფარე, იმ დროს წინ მწვანე სექსიონის ვხედავდი. რა ზედოდა, მაშინვე ვერ მივხვდი.

ახლა კი მთელი მალევეს, მაგრამ ვერ გა...

მეგონა ეს უცვლელივე გამომჩიებელს რატომ არ უთხრა, რატომ არ ვაგებინა, რომ დაბრმავების შემდეგაც ქვეყნიერება კარგე დიდხანს ხედავდა წარმოდგენით და სინამდვილედ ესაბუხოდა. ვკითხე კიდევ, რატომ არ უთხარ-მეთქი? — როგორ არ ვუთხარ, — მიპასუხა მალევეს.

— მერც რაა?

— მითხრა, მაშინ თუ ეს გჩვენებოდათ, რა ვიცო, იქნებ ახლაც რაიმე გჩვენებიათო. მე თქვენი მოჩვენებები ან ექვები კი არა, ფაქტები უნდა დავადგინოო. რა გჩვენებოდათ, ამას ვერ შევამოწმებ, რადგან მხოლოდ თქვენს თავში არსებობდა, მხოლოდ თქვენი სიტყვებია, მატარებელი კინაღამ რომ არ დაამსხვრიეთ, ეს კი არსებულა ფაქტიაო.

— მართალია, — ვუთხარი.

— ვიცო, რომ მართალია, — დამეთანხმა შემანქანე. — მაგრამ მეც მართალი ვარ და დანაშაული არ მიმიძღვის. რა მეღის ახლა? ვერაფერი ვუპასუხე.

IV

მალევეს ციხეში ჩასვებს, მე ისევ მემანქანის თანდემწევედ ვმუშაობდი, მაგრამ სხვა მემანქანესთან — ფრთხილ მოხუცთან. შენადგენლობას უვითელ შექნიწმანედ ერთ კოლომეტრზე რომ ამუსტრუებდა, ხოლო როცა იმ ადგილს მავუახლოვებოდი, მწვანე შექნიწმანი აჩნებოდა და მოხუცო მატარებელს კვლავ წინ წააჩნარებდა. ამა, ეს რა მუშაობა იყო — მალევეს შენატრებოდა.

იმ წამთარს საოღოც ცენტრში ჩავდი და ჩემს სტუდენტ ძმას ვეწვიე, უნივერსიტეტის ბეტროს საეხივრებელში რომ ცხოვრობდა. ძმამ საუბარში ახსენა, უნივერსიტეტის ფიზიკურ ლაბორატორიაში ტესტლას დანადგარი გვაქვს, რომლითაც ზელოვური ელვის მიღება შეიძლებაო. მე მაშინ თავში რაღაც ისეთმა აზრმა გამოიღვია, თავად ჩემთვისაც ჯერ ისეთელი რომ არ იყო.

შინ როცა დაგბრუნდი, ქარჯად მოვისაზრე, რაც მაშინ ტესტლას დანადგარის შესახებ ვავიფიქრე და დავასკენი, რომ ჩემი აზრი სწორი იყო. ამის შემდეგ წერილი მივწერე იმ გამომჩიებელს, თავის ფროზე მალევეს საქმეს რომ აწარმოებდა და შევთავაზე, შეემოწმებინათ. პატარა მალევეს რა მიდრეკილება ჰქონდა ელექტრულ მუხტთა შემოქმედების მიმართ. თუ დამტკიცებოდა, რომ ძმალს მომიხდარი ელექტრული განმუხტვა მალევეს უსიკარგე ან მის მხედველობით ორგანოებზე მაშინდელივით მოახდენდა ზეგავლენას, მალევეს საქმე უნდა გადგინებოდა. გამომჩიებელს ვაცნობი, სად იყო ტესტლას დანადგარი და ადამიანზე ცლა რანარობა უნდა ჩაეტარებინათ.

გამომჩიებლისაგან პასუხი დიდხანს არ მომიღოდა, მაგრამ მერც შემატუბინა, რომ ოღის



პროკურორი დათანხმდა, ჩემს მიერ შეთავაზებული ექსპერტიზა უნივერსიტეტის ტექნიკურ ლაბორატორიაში ჩატარებინათ.

რამდენიმე დღის შემდეგ გამოძიებულმა უწყებით გამოჩინა. მე მასთან აღუვლინე მხედველობა; წინასწარ ვიყავ დარწმუნებული, რომ მაღლებს საქმე სასიკეთოდ დამთავრდებოდა. გამოძიებელი მომხალა, მაგრამ დიდხანს დგომა და რაღაც ქაღალდს დავდერძიე კითხულობდა მე ამდღს ვჯარჯავდი.

— თქვენ მეგობარს ცუდი ხაზხაური გაუწიეთ, — მითხრა მერე გამოძიებულმა.

— რა? განაჩენი უცვლელად დარჩა?

ილიას მეცნიერული ნაშრომის — „ცხოვრება და კანონის“ ბეჭდვა დაიბეჭდა 1881 წელს, ხოლო „ოთარაანთ ქვრივი“ დაიბეჭდა 1888 წელს, ე. ი. შვიდი წლის შემდეგ. თუ ამ ორ თხზულებას ერთმანეთს შევადარებთ, „ოთარაანთ ქვრივი“ მართლაც შეიცავს „ცხოვრებასა და კანონში“ გამოთქმული ზოგიერთი აზრის სახეობრივ გამოთქმას. მაგალითად: „ცხოვრებასა და კანონში“ ილია წერს: „ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკრძალების წიგნში ბრწყინებულად იხსენიებოდა და ბლანში კი არა... ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილ-მადრკეილუბა სუფიერს; ერთმანეთს არაფე თუ ეუბსოვბან, არამედ ერთმანეთისაყენ მიიზიდებთან, ერთი სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესენი, რომელთა ზედაც შეიძლება ანთვიდეს სიყვით ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკლოვოდეთ და ვტაროდეთ. ამას ხელისშეწყობა მმართებს და არა ხელის შეშართვა. ამით იმის თქმა კი არ გეინდა, რომ ჩვენში გლეხი, თავადი, აზნაური, თუ მღვდელი ყველგან ეგრე მჭურად სცხოვრობდნენ, არა, — შალიან ბევრგან სუფიეს განხეთქილება, ხოლო დღეი შედგანა იქნება. ამის მიზეზი თითონ წოდებათა წყობას, მის შინაგან არსებას, წესს და ჩვეულებას და აქედან წარმოშდგარ მადრკეილუბას მივაწეროთ. ამის მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის აპი გზად, ხარბი თხადნი, ბრძალი ხელი და ნაწარმის ქვრივის ახლს“ (ი. ქუე — ტ. 6, 119-6, გვ. 54-57. საზგასმა ჩვენია — ა. ჩ.). თითქოს ამ ცნებით გამოანთქვამებს თარგმნის ილია სახეობრივ ენაზე „ოთარაანთ ქვრივიში“. გიორგიმ სცემა ომარაშვილის მოგამაგიერს კამჩენიზალში უდიერად მოპყრობისა და „ლაზიათინად ხვრინეისათვის“. ომარაშვილმა მოგამაგიერს სასამართლოში ანიულები. ნა. მოსამართლემ გიორგის ჰკითხა:

- მართლა სცემე?
- მართლა ვცემე!
- რადომ?

გიორგიმ ყველაფერი უპასო.
— სპო! — და, შენ რა დავა გქონდა?

— ის დავა მქონდა, რომ მამისთანა ნაწუს-ახილელ კამინასთან მამასთანა დაღუფული. ტატი ძანს ვეღარ მდრონი. მავის გამოთხოვით კარვს მოგამაგიერსაც სახული აქვს ვატეხილი“ (ბ. 11, 195; გვ. 280, საზგასმა ჩვენია — ა. ჩ.). ერთ მაგალითს კიდევ დავუმატებთ.

გიორგიმ არჩილის მეცნიებეს სცემა იმის გამო, რომ არჩილის ნამწავარტ ცუქრე ვრ ვაჭარ-გამოატარეო. ეს არჩილმა ვეჭვალე იმისა — როგორ მოგწონს ეს ანაზი? — ჰკითხა არჩილმა დას...

— ანაზებული გული ჰქონია, — უპასუხა დამ...

— ეს ცოტაა, ნამწუნი მქონია, ნამწუნი... ის დიდი ნამწუნი, რომელიც სხვისსასაც იმ პრინს, რომელიც თმისას“ (ქუე. გვ. 299. საზგასმა ჩვენია, ა. ჩ.).

თითქოს თავისი თეორიული ტრაქტატთან გადმოცნერის ილიას ეს სიტყვები. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ჩატეხილი ხიღის აღდგენის იდეაც გამოსუკვივის „ოთარაანთ ქვრივიდან“, მაშინ, თითქოს, მართალი არიან ის პირები, რომლებიც იყავენ ილუსტრაციის თეორიას და მსატრული სახე შიანიით ცნებებთ მოპოვებული ცოდნის პოეტურ აბსტრაქციაცო.

თუ ეს ასეა, მაშინ როგორღაც დამცირებულად მოჩანს მსატრული ლიტერატურის როლი საზოგადოებაში, იგი მინდინარების დამსხმარად ხდება და არა დამოუკიდებელ ზედ-ნამწურს მოვლენად. ნამდვილად კი მეცნიერება და ხელოვნება ცალკეულად არსებობენ და „მეცნიერებაც და ხელოვნებაც თანაბრად საქირთა, არც მეცნიერებას უფუჭლია ხელოვნების შეცელა და არც ხელოვნებას მეცნიერებისა“¹.

ამ შეუსველელობას მიზეზი ის არის, რომ ობიექტურად არსებობს აზროვნების ორი ფორმა: მართია ცნებითი აზროვნება, გიორგას-სახამებით აზროვნება. ამ ორ აზროვნებას არ შეუჭლია ერთმანეთის შეცელა და ამიტომ ვერც მეცნიერება და ხელოვნება შესცვლიან ერთმანეთს. ეს რომ კონკრეტულად წარმოვიდგავთ, ამისათვის უნდა ვიხსენიოთ თითოეული მათგანის თავისებურების შესახებ.

მეცნიერული აზროვნების თავისებურებაზე ფრ. ენგელის წერს: „უაქტიურად ყოველგვარი ნამდვილი, ამომწურავი შემეცნება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს აზრებში ერთეულადს ერთეულობიდან კერპობამდე, ხოლო ის უყანასენილიდან ზოგადამდე ავამაღლებო“² მაშასადამე ერთეული, კერპო, ზოგადი არის ის სფერო, რომელშიც მოძრაობს შემეცნება. საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესში ადამიანის გონება აბსტრაქციის საშუალებით გამოყოფს ზოგადს, რომელშიც შერებულია და ამაღლებულია ცალკეულისა და განსაკუთრებულის შთელი სიმდიდრე. ამ გზით მა-

1 ბ. ბელინსკი, რჩეული ფილ. თხზულებანი, 1948, გვ. 694.
2 ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950 წ., გვ. 240.

დებულ უზოგადეს ცნებებს ლოგიკური კატეგორია ეწოდება. სახმობრივი აზროვნების თავისებურება კი იმით ვლინდება, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ზოგადი მაქსიმალურად არის კონცენტრირებული ინდივიდუალურში, ერთეულში. ამიტომ მწერლობაში ზოგადის ჩვენება განუყოფლად არის დაკავშირებული ინდივიდუალურსაცთან, რას გამოც მთელი შემოქმედება, ყველა ტკაზზე, სახეობრივ ფორმაში მიმდინარეობს, რომელიც ცნებების საშუალებით გამოხატავს იმთ განხვავდება, რომ სახეობრივად არ სწდება ცალკეულს და განსაკუთრებულს, არამედ ზოგადი ნაწილები იმასთან ერთად, რის ზოგადიც იბნა. ეს არის მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც მოქმედებს როგორც მხატვრულ ნაწარმოების წარმომადგენელი. ასევე ნაწარმოების მასალის მონათხრობი კომპონენტი.

მხატვრულ ლიტერატურაში შემოქმედების პირველი მასალის მიმდინარეობა სახმობრივია. სინამდვილის, ცნობიერების შესწავლის დროს მწერალს თავიდან უდგას მოვლენები, საგნები, ნივთები, ადამიანები, იპოვების მათ კონკრეტულ ნიშან-თვისებებს. მწერლის მესიერებაში აღიბეჭდება ადამიანის ხანის ფერი, სხეულის აგებულება, ჩაცმულობა: აქც ხახ „ლაპარაკობს“ და არა ცნება. ამ შემთხვევაში მოვლენის არის როგორც მან-სახმობრივობაში, სახეობრივია და უპირატესად წარმოდგენების ფორმაში გვეჩვენება. ვ. ა. ლენინის დასკვნით „წარმოდგენებიდან აღებული აზროვნება, აგრეთვე, ახლავს რეალობას“.¹

მწერალთა დღიურებში, უბის წიგნებში, მიმოწერებში, მოკონებში მდიდარ მასალებს ეკუთვნის, რომლებიც იმაზე მეტყველებენ, რომ მწერალი სახეობრივად აზროვნებს მასალების შეტარების დროსაც. აი ამის რამდენიმე საგულისხმო მაგალითი.

საზოგადო მოღვაწე ილია ნაკაშიძე მოსკოვიდან სწერს ნინო ნაკაშიძეს: ლ. ტოლსტოიმ „თავის მომავალი მოთხრობის „მაგი მურატი“ შენარსი მომიყვა, დაღესტნის ცხოვრებიდან არს, განთქმული ვაჟაკი და ავაზაკი მაგი მურატი ამბავია... განსაკუთრებით იმითმ გწერ, რომ ლ. ნ. ვახოვის დაეხმარა ამ მოთხრობის წერაში. აი როგორ: უნდა შემოიაროთ თბილისის ფოტოგრაფები და თუ სადმე შეგხვდება ლეკების სახლების ფოტოგრაფები. მათი სახლის მოწყობილობის, აუციხის, ჩაცმულობის, მუსიკალური მოწყობილობის, კაბა,

ტანისამოსის, წინ-ჩვეულების, შედეგად... ესენი უნიკალური უნდა იყოს, რაც დაჭდეს და გამოგვიჩვენო. ამით კარგ სახმობრივ გაუწევთ ლ. ნ. მოთხრობის წერაში“ ყველაფერ ეს ლ. ტოლსტოიმ იმითმ სწირდებოდა, რომ მათი საშუალებით სახეობრივი წარმოდგენა შექმნოდა გამოსახატავი საგნის შესახებ. დეტალების დაგროვება არის მწერლის მუშაობის ძირითადი თავისებურება. სახეობრივი აზროვნების სპეციფიკა. ეს დეტალები მწერალს იმითმ სწირდება, რომ ამით მიიღწევა თავისი იტობა და მხატვრული ცხოველყოფილობა. ცნობილია ნ. გოგოლის მიმოწერა თავის დედასთან. 1829 წლის 21 აპრილს ვაჟაგვილ წერილში მწერალი დედას სთხოვს: „თქვენ ვაქვთ ზუსტად დამკვირვებელი პედა, თქვენ ბევრი იცით ჩვენი მღაღაღებების წინ-ჩვეულებანი. გვქვია, რომ უარს არ მეტყვეო მანდობო ამის შესახებ ჩვენი მიმოწერაში. ეს მე ძლიერ, ძლიერ სწირდება. შემდეგ წერილში მე მოველი თქვენგან სოფლის დიაცის სრული მორთულობის აღწერილობას, ზემოჩასამელოდან დანუბეული ჩვეულებები, იმის აღნიშვნით, თუ რა ეწოდებოდა მათ... ამგვარადვე სწირდება ტან-საცმელის სახელოებანი უკანასკნელ აშაპ. დე, რომელსაც ატარებდნენ ჩვენი გლეხის ქალიშვილები. აგრეთვე დანუბეულით აღწერა ქორწილის იბე, რომ არ გამოტოვო ხუდ მცირედი წერილშიც“.²

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში გოგოლის გულსური მოქცეულია ფაქტების ზუსტ ფიქსაციაზე. რასაკვირველია, რომელიმე ხალხის ეოფა-ცხოვრების შესახებ ვადა, მეცნობრსაც სწირდება ასეთი წერილშიაში, მაგრამ მეცნობერი მათგან გამოიტანს რა მათს არსს, შემდეგ ისინი მას აღარ სწირდება და ახდენს მათგან განუყენებას. მეცნობრის აინტერესებს, რომ სიბოხსაგან ყველა სხეული ფართოდება, მაგრამ ზოგად კანონში აღარ მოსწინს ის სხეული, რომელიც ფართოდება. შეიძლება ეს სხეული იყოს რკინა, ქვა, მიწა და სხვ. ზელოვანმა კი მოველის არის უნდა აიყენოს რამელიმე სხეულის კონკრეტული აღწერისა თუ დახატვის საფუძველზე. ამიტომ ვამბობთ, რომ ზელოვნებაში არ შეიძლება ზოგადი მოწუდეს ერთეულსა და ცალკეულს. ერთეულში მამ. სინამდვილად ნაბირო ზოგადი — ეს არის ზელოვნების პარადოქსული ბანონი. ეს კი სწარმოებს სახეობრივი აზროვნების საშუალებით. როგორც ვნახეთ, გოგოლის მთელი ურადდება მოქცეულია წერილშიაგნის მოპოვებასა და აღნიშვნაზე. თუ როგორია ამ წერილშიაგნის დანიშნულება, ამას ატორის

¹ სასტორიო ნომრებ, № 27-28, 1973, გვ. 205.

² Письма Горюхи, т. 1, стр. 119-120.

„აღსარება“ გვამცნობს: „რაც უფრო მაღალია აღებული პირის დირსება, მით უფრო საერ. ცნობილად, მით უფრო ხელშეხსახება უნდა ეჩვენოს იგი მითხველს. ამისათვის არის საჭირო ყველა ის ურაცები წერტილში, რომლებიც გვეუბნებიან, რომ აღებული პირი ნამდვილად ცხოვრობდა ქვეყანაზე. სხვაგვარად იგი იქნება... მკრთალი... ეს სრული ზოცუქსება, ხასიათის ეს სრული გამოკვეთა სწარმოებდა იქნებო მხოლოდ მასინ... როდესაც მქონდა რა თავში ხასიათის ყველა მთავარი ნიშანი. ამავე დროს, მის ირგვლივ შეეკრებოდა კველურის უმცირეს კინძისთავად, რომლებიც ურველდლიურად ტრიალებენ ადამიანის გარშემო. ერთი სიტყვით, მოვისაზრებ ყველაფერს მცირედან უდიდესამდე ისე, რომ არ გამოვტოვებ არაფერს.“¹ საკულტორ-რელიგიური ურფის სუ-რათონობის შესაქმნელად აღ. უაზრები „მომდევარის“ წერის დროს იყენებდა იმ მასალებს, რომლებიც მისთვის პ. კარბელაშვილს მიუწოდებოდა მრავალი ფაქტის მოტანა შეიძლება იმის ცხადსაყოფად, რომ მწერლის შემოქმედებითი საქმიანობის ურველ მომენტში, თუ ეტაპზე სახეობრივი აზროვნება ბატონობს.

მწერლის ცნობიერებაში ერთიმეორეში ორგანულად არის ჩაქოვილი და ჩახლართული. ცხოვრების, მოვლენების და მათი სახეობრივი აღქმა. ვ. ნიკოლაევა, ჩვენი აზრით, სწორად იყოთითებს სახეობრივი აზროვნების ამ თავისებურებაზე. როცა წერს: „სახეობრივი აზროვნების პროცესი თვისობრივად განსხვავდება დივიურის აზროვნებისაგან, რომდენადაც მასში (სახეობრივ აზროვნებაში — ა. ჩ.) მოვლენებს არის განზოგადება და შემცირება თავიდანვე მივიღროდ და ვანუგრედდა არის დეკავიერებული იმ გრძობად. კან. კრეტული ნიშნებისა და დეტალების შერჩევასთან, რომელშიაც ეს არის გამოიხატება ყველაზე მეტი სისრულითა და ყველაზე უფრო ემოციური შემოქმედებით.“² ეს თეორიული დასკვნა ვ. ნიკოლაევის გამოაქვს საკუთარი საშერლო საქმიანობის საფუძველზე. კოლმურწინობაზე რომანის დაწერა რომ ვადარუქტებია, მწერალი-ქალი სოფლად გამგზავრებულა: „ქვეყნობილი რა ადამიანებს, ამავე დროს, ესწავლობდა დიკუმენტაციებს. შევისწავლეს ისეთობის საკლმურწინეთ ანგარიშები, შევაღვივეთ ათეული დიდი სტატისტიკური ცხრილები. მე ვამიტაცა სტატისტიკამ, მაგრამ არა თავისთავად. როგორც იგი ვიტაცებდა მეც. ნიერს, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ იგი

აძლეოდა იმ ადამიანების საქმიანობის შესტრიცობრივ გამოხატვას, რომლებიც შე-შეყარდნენ და რომელთა შესახებ ვწერდები. მისი თბალწინ მიხედობრივ ყველა პროცესს მპლმინმამდვი ადამიანების, მათი საქმიანობის, აზრებისა და გრძინობის საშუა. ლმინი“ (იქვე, გვ. 98, ხაზგასმა ჩემია, ა. ჩ.). ვ. ნიკოლაევის ამ აზრს არ ეთანხმება მკველვატი მ. კუბლანოვი და წერს: „სტატისტიკური მასალების შესწავლა, ცხრილების შედგენა მიეკუთვნება აბსტრაქტულის სფეროს და არა სახეობრივ აზროვნებას და, მაშასადამე, მამდმადმინის პროცესში აქ ვანხორციელებულია აბსტრაქტული“.³ ეს ილუსტრაციის თეორიაა, რომლის მცდარობაზე ჩვენ შემოთ მკველათეთ; ახლა ორიოდ სიტყვას კვლავ ვიტყვით მის შესახებ „ოთარაანთ ქვრივის“ ანალიზთან დეკავიერებით.

რა მოხდა „ოთარაანთ ქვრივის“ დაწერის დროს? ილია ქვეყავაძემ მართლა თავისი „ცხოვრება და კანონი“ ვადაიტანა სახეების ენაზე? „ცხოვრებასა და კანონში“ ილია ქვეყავაძემ მშრალად ვადმოგვეცემს ცნობილ მოვლენას და აძლევა მის ახსნას. იგი სტატისტიკური ცნობებით შეიარაღებული ვვიჩვენებს, რომ „იტალიაში დღესაც წილზე ჰერა ადგილმამულისა ძალან ვახშარებულია, 1861 წელს იტალიაში წილზედ — მჭერელნი 1,284, 286 ცალი ურფილი“ (ტ. 6, გვ. 16); შემდეგ მოდის მსჭელობა თვითმართველობაზე, რომ „თვითმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთგვარად უნდა იყოს მიჩნეული“ და სხვ. თუ სადმე თვითმართველობისა და საგადასახადის სისტემის შეფასებას იძლევა ილია, ის ყველაგან ცნებების ენაზე მეტყველებს. რაც შეეხება შემოთ მითითებულ, ასე ვთქვათ, ვერხალურ დამოხვევებს წერტილსა და მითბრობის შორის, იგი სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ მამდმინი რულ ცოდნას იღობ მამრ სხამინი მამ. მონამამდმ. ასეთი ცალკეული დამოხვევების შედგენა, რომ ორივე ავტორი ერთი პირივნებაა, რომლის შეგენებაშიც ერთმანეთთან ვადახლართულია ცნება და სახე. საკვირველს სწორედ ის იქნებოდა, ახთ ცალკეულ დამოხვევებს რომ ადგილი არ ჰქონოდა. მწერლის ცნობიერებაში სახე და ცნება ერთმანეთისაგან ვათიშულია კი არ არის, არამედ მჭიდრო კავშირში არიან და თუ ჩვენ სახეობრივი და ცნებითი აზროვნების შესახებ ვლამარკობთ, ეს იმდენად, რომდენადაც მხატვრულ ლიტერატურაში სახეა მთავარი, ხოლო მეცნიერებაში — ცნება. სწორედ ეს ხან ერთის და ხან მეორის დამინირება ვაძლებს საფუძველს

¹ Русские писатели о литературном труде, т. 1, 1954, стр. 463.

² პლ. უაზრები, ტ. 11, 1948 წ., გვ. 525-526.

³ Г. Е. Николаева, О специфике, художественной литературы (Вопросы философии, 1953 г., № 6, стр. 95).

¹ В. Кубланов, глоссеологическая природа литературы и искусства, 1958, стр. 116, (ხაზგასმა ჩემია, ა. ჩ.).

პირობითად ცალკე გამოყოფით სახეობრივი აზროვნება, თორემ ადამიანის შეგნებაში ზოგჯერ და წამყვანი არის ცნებებით აზროვნება სახეობრივ აზროვნებასაც ის საწყისი და სუფთურები აქვს, რაც ცნებებია. აზროვნებაა. ცნებებით აზროვნებას მიზნად აქვს შემეცნება, შემეცნების პროცესი. ეს ლენინმა ასე დაახასიათა: „ცოცხალი ტერტიდიან აბსტრაქტულ აზროვნებაზე და მიხვან პრაქტიკაზე — ახელია ტრეშარიტების შემეცნება, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“ (ლენინი, ტ. 88, გვ. 167-168). სახეობრივი აზროვნება ამ ცოცხალი ტერტიდიან ორება, ისიც ლებულობს სინამდვილის შეგრძნებებს. მასაც გააჩნია აქტა და წარმოდგენა. სახე და წარმოდგენა განუყოფელია, სახე წარმოდგენას ეფუძნება, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაც არსებობს: წარმოდგენა ერთეულია, მხატვრული სახე — განვითარებული ერთეულია. ფიქრავად წარმოდგენას ატოპურებს. მხატვრული სახის მეორე არსებითი ნიშანი ის არის, რომ ფიქრავიერია, რასაც წარმოდგენა, უმეტეს შემთხვევაში, მოკლებულია.

სახისა და ცნების ამ მოკლე შედარებიდან აშკარად ჩანს, რომ სახეობრივი აზროვნება ეს არის ხარბთოდ აზროვნების კერძო სახე. მაგრამ მაინც აზროვნება და ახდენად დიალექტიკურ-მატრიალიური მოძღვრება შემეცნების კანონების შესახებ მასზე მთლიანად ვრცელდება. სწორედ ეს მოძღვრება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებულ იქნეს სახეობრივი აზროვნებას ზოგიერთი ის თავისებურება, რომელიც დიალექტიკურ ლოგიკაში პოვლობს თავის ტრეშარიტ ახსნას. მასშიაღმა, ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებას, თითქმის მასალების მოპოვება, სინამდვილის შესწავლა მსოფლიოდ ცნებების საშუალებით შეიძლება, არაზუსტ დებულებად უნდა ჩაითვალოს. სინამდვილის შესწავლის პროცესში თვითაწვე მოქმედებს სახე, და საბოლოოდ ირკვევა, რომ შემოქმედების პროცესში ხარბთოდ დომინირებს სახეობრივი აზროვნება. ასეთ აზროვნებას წარმოსახვით აზროვნებას, ანუ მხატვრულ აზროვნებას ეძახიან.

სახეობრივი აზროვნების უნარი ისტორიულად საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესშია გამოთქმული. ამის შესახებ შეხანიშნავად ამბობს სტალინისტური რეალიზმის ფუძემდებელი შ. ვოკო: „თავდაცვის ინტენტიმა სიცოცხლისათვის ბრძოლაში ადამიანს განუვითარა მრავალი შემოქმედებითი ძალა: შენეცნება და წარმოსახვა. შემეცნება — ეს არის უნარი იმისა, რომ დააკვირდე. შეადარო, შეისწავლო ბუნების მოვლენები და სტალინური ცხოვრების ფაქტები. მოკლედ რომ ვთქვათ: შემეცნება აზროვნებაა. წარმოსახვით აზროვნებას სახეობრივად არის აზროვნებას სახეობრივად,

მასრამ აზროვნებას უმეტესად სახეობრივ, მხატვრულში“ აზროვნება. მეორეული ისეთი პიროვნებაა, რომელიც ახასიათებს სწორედ ეს „აზროვნება უმეტესად სახეობრივ“.

მეცნიერული აზროვნების შედეგია ტრეშარიტება, სახეობრივი აზროვნებისა კი — სიმართლის მოპოვება. მაგრამ მხატვრულში სიმართლისა ამ შემთხვევაში სიმართლე შემოქმედების. „ტრეშარიტება“; სიმართლის ჩვენება, მისი გამოვლენა არის სახეობრივი აზროვნების ამოცანა, ხოლო ეს მხატვრული სიმართლე არის კლასიკად დაუფრთხილ საზოგადოებაში მუდამ კლასიკა. სწორედ აქ ვლინდება სახეობრივი აზროვნების საზოგადოებრივი დანიშნულება. ამ შემთხვევაში გადამწვევითა მეორეის მსოფლმხედველობა, მისი იდეური სამყარო.

ჩვეულებრივ, მსოფლმხედველობას უწოდებენ შეხედულებათა სისტემას, რომელიც შეიძლება იქნოს დიეტრატურული, სამართლებრივი, ესთეტიკური, ეკონომიური, ფილოსოფიური და ა. შ.

ამ შეხედულებებიდან გამოპოვდნ ფილოსოფიურ შეხედულებას და ამას უწოდებენ პიროვნების მსოფლმხედველობას. ის უფრო ზოგადია და ნიშნავს ქვეყნის კონკრეტული შინაარსის, არსებობისა და მისი განვითარების უზოგადესი პრინციპების გამოქმენს. ფიქრავი ბუნებას, საზოგადოებას და აზროვნებას. უფროდეს ამის ზოგად გამოქმენას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ეწოდება. ფილოსოფიის ძირითად საკითხს კი, როგორც ფრენკელი ამბობს, „აზროვნებისა და უფროდესი საკითხი წარმოადგენს“, ე. ი. ის, თუ რა დამოკიდებულებაა აზროვნებასა და უფროდესის შორის, სულსა და ბუნებას შორის... თუ რა არის პირველადი — სული თუ ბუნება... ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკად ვაიყვნენ იმის მიხედვით, თუ როგორ უნდა სულებდენ იმისი ამ საკითხს, ვინც აღიარებდა, რომ სული ბუნებაზე ადრე არსებობდა... მათ იდეალიზმის ბანაკი შეადგინეს. სხვები კი, ვინც ბუნებას პირველადობას აღიარებდნენ მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლას მიეშორნენ“.

ამაშია ჩვენთვის მთავარია იმაზე მოითვება, რომ მეორეული ისეთი პიროვნებაა, რომელიც გარკვეული მსოფლმხედველობა გააჩნია; მეცნიერების მიერ ფორმულირებულ კანონში აქ შეიძენ თვით მეცნიერის დამოკიდებულება ამ კანონისადმი. რასაკვირველია, რომელიც კანონის აღმოჩენა, ამა თუ იმ ცნების დედ-

1 შ. ვოკო, ტ. 12, 1968, თბილისი, გვ. 207.

2 კ. მარქსი, ფ. ენკელსი, რჩეული ნაწერები, 1950 წ. ტ. 11, გვ. 443-445.

გენის პროცესი შეიძლება ერთობ ემოციური იყოს, ახლოს ძიება და ამ ძიების შედეგები შეიძლება მეცნიერსაც აღუღლებდეს, იწვევდეს მასში სიხარულსა და ტანჯვას. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანური ემოციათა გარეშე არ უყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს კუმშვარტების ადამიანური ძიება“¹ მაგრამ თვით კანონი, ცნება, ლოგიკური კატეგორია და ცნობილია ამ სუბიექტური ემოციისაგან ცნების დასაბუთება სუბიექტურისაგან მეცნიერული შემეცნების ობიექტური კანონისა საპირისპირო მდგომარეობაა მხატვრულ შემოქმედებაში.“² შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტური მომენტის არსებობა მხატვრულ შემოქმედებაში, მისი ობიექტური კანონზომიერებაა“.¹

მაგრამ აქ კიდევ მეორე თავისებურებასთან გვაქვს საქმე. ეს ის არის, რომ ობიექტის ასახვა და მისი შეფასება, ე. ი. მისადმი ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება ცალ-ცალკე კი არ არსებობს, არამედ ერთდროულად ხდება როგორც სინამდვილის შესწავლის დროს. ისე ასახვის შედეგში, მოკლედ რომ ვთქვათ, „მხილვად ხალხმწიფისათვის არის მისაწვდომი ცხოველური მოვლენების ერთდროულად ასახვა და ასახვლის ემოციური შემოქმედება“.² მაშასადამე, ხალხმწიფის იმპრესიას არსებობს დამოუკიდებლად, რომ მხოლოდ ხალხმწიფეში ხდება ერთდროულად მოვლენის გამოსახვა და ასახვლის შემსახვა. ზოგჯერ ძნელი ხდება იმის წარმოდგენა, თუ კონკრეტულად როგორ შეიძლება გამოჩნდეს მხატვრულ სახეში ასახული მოვლენებისადმი მწერლის დამოკიდებულება. ამის ცხადსაყოფად მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითს. ლირიკული ეპიკის ნაწარმოებების მიმართ საძიებელი ბევრი არაფერია, რადგან ლირიკის საქმე აქვს მწერლის განცდებთან, ფიქრებთან, აზრებსა და ვარსებობას; მერანს რომ ვთქვათ, ბედის საზღვრის გადასალახავად, მტკვრის პირად რომ მიიღის ფიქრთა გასართვლად და ხმაშიაღია იმისი — არც კაცი ვარც ცოცხალი რომ შევდარს ვისვანსო — ეს ნიკოლოზ ბარათაშვილია და აქ უკვლავთერა გარკვევით მოჩანს, ამავე დროს ეს მისი მსოფლმხედველობაც არის და იდეური გააზრებაც. ფფრო რთული მდგომარეობაა ეპიკურა და დრამატული ეპიკის ნაწარმოებების მი-

მართ. მაგრამ თუ დავიკავებულავ შევისწავლოთ, აქაც სახეებით გასაგები ვითარებაა, მწერლის შეხედულება მხატვრულ სახეში გამოხატული მოვლენებისადმი. შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმად: პირველი ის იქნებოდეს, რომ ავტორი ზოგჯერ თავის შეფასებას უშუალოდ იძლევა. ასეთია ბარათაშვილის ამოსტროფა სოფლის მიმართ „ბედი ქართლისაში“. „რა იქნებოდა, რომ სული თქვენი ჩვენთა დედათაც გამოკოლოდაო“, ნათქვამია ტექსტში და ეს თვით ავტორის სიტყვებია. ეგნატე ნინოშვილის მთელი სიმართა დასაბუთებული ვლუბებისადმი მოცემულია „გოგია უიშვილის დასასრულს, სადაც ავტორი ავტორს, თუ როგორ მოუბრუნდა მამის კერას გოგიას უფროსი ვაჟი: „უფნატროთ, რომ მამის ბედი ამორებოდეს და უკეთესად წასულიყოს მისი ბედი“. „მგზავრის წერილებში“ ილია ჭქმის რა დაუდევარი თერგის სახეს, იქვე დასძენს: „თერგი სახეა ვალკიშხულის ცხოვრებისა... ნეტავი შენ, თერგი! იმით ხარ კარგი, რომ მოუხეცნარი ხარ, ახა პატარა ხანს დიდდეს, თუ შერალი გუბედ არ გადაიქცე და ეც შენი საშინაო ხაზრობა ბაყაყების ყუიწოდ არ შეგაეცოდოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგი, ქვეყნის ღონისა და სიკაცხლის მომკემი“. ეს არის იმის შესანიშნავი მაგალითი, თუ როგორ სრულყოფილად აფასებს ავტორი მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეს. ამ შერად საქმე რთულდება ისეთ ეპიკურ ნაწარმოებებში, სადაც თითქმის ავტორი მთლიანად გაუჩინარებულია. ასეთ შემთხვევებში ავტორის შეფასებით დამოკიდებულების გამოვლენის გაგებაში ხშირად გვეხმარება პერსონაჟთა პორტრეტები. ძალიან ხშირ შემთხვევაში მწერალი ისე აშუქებს პერსონაჟის პორტრეტს, რომ აშკარად უჩვენებს ავტორის სიძულვილი მისადმი. აქ ჩვენს წინაშეა პერსონაჟის ამტორისმული შემსახვა, რომელიც ხერხითად მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს შევკავაროს ან შეგვაძულოს ესა თუ ის პერსონაჟი. ავტორის ასეთ დამოკიდებულებას ვერ ვხვდებით ზოლოდოვისა და გეომეტრიის სახელმძღვანელოებში, ზღარბსა და გველს, გეომეტრიულ თეორემებს ავტორები მშრალი გულცივობით ვადმოსცემენ. ამიტომ არის, რომ გეომეტრიული თეორემის დამტკიცების დროს საჩვენებელი თითო შეუღლ ვაზრებთ, ხოლო როცა მხატვრულ ნაწარმოებში ბორკთა პერსონაჟი კვდება, მაშინ მჭიდს გულზე ვიჭაგუნებთ! ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა; ცნება ამტარებულია, განყენებულია, შრალია, მხატვრული სახე კი ვარსობად — კონკრეტულია, ძალზე ემოციურია, მასში ავტორის სული და

¹ Эстетика, под общ. редакцией М. Ф. Овсянникова, 1966, стр. 135.

² С. Титов, умей понимать и творить красоту, Воронеж, 1967 г., стр. 80; ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ჩემი წიგნები „აკაკი წერეთლის მხატვრული თესტატობის საკითხები“, 1969 წ., გვ. 36, „ალტერატივის სპეკულაციების ნარკვევები“, 1972, გვ. 48.

გული ჩაღებულნი. მწერლის სულთან და გულთან დაკავშირებული მსოფლივდეველობრივა გაზრებანი მწერლის სახეობრივ აზროვნებას ძლევს კლასობრივ შინაარსს, რამელიც ნაწარმების იდეის ფორმით ელინდება, ამგვარად მოცემული იდეა არის პრეტერნი იდეა. პოეტური იდეა კი ბ. ბელინსკი ასე დაახასიათა: „ხელოვნება ვერ იტანს განუწებულ ფილოსოფიურ, ხოლო მით უმეტეს განსჯილ იდეებს, ის იტანს მხოლოდ პრეტერნი იდეებს, ხოლო პოეტური იდეა — ეს სილსიზმები და დოგმატი კი არ არის, წესი კი არ არის, ეს ცოცხალი ვნება, ეს პათოსია“! პათოსი ქართულად ნიშნავს აღფრთოვანებას, აღმაფრენას, გუნებაარებას, მთელი გუნებაარებით გამოთქმული იდეა პოეტური იდეა. ეს პოეტური იდეა გამოხატავს მწერლის მსოფლივდეველობრის, მის იდეურ მიმართულებას.

მაგრამ ამ მიმართულებას ზელოვნებაში ზოგერთი თავისებურება გააჩნია: ჭერ ერთი ჰელოვნების სფეროში არავიოარი მიმართულება, ნიქის გარეშე, ვახერტილ ფარადაც არ ღირს, ხოლო, მეორე მხრივ, თვით მიმართულება მწერალს არა მარტო თავში უნდა ქონდეს, არამედ უწინარეს უოვლისა ბულში, სის ბულში, ის უწინარეს უოვლისა ვრძნობა, ინსტანქტი უნდა იყოს და შემდეგ უკვე შეგნებული აზრიც... ამოკოხული ან ვაგონილი იდეა, რომელიც თითქმის სათანადოდ ვაგებულებს კვთ, მაგრამ სპაქმობარ ნებურბში არ ვაგებარებათ, რომელსაც თქვენი პირსიზმების ბეჭედი არ აწის, შევდარი კაბიტალია არა მარტო პოეტური, არამედ უოველგვარი ლიტერატურული მოღვაწეობისათვისაც“! იდეა რომელიც სწორედ პოეტური იდეა და წარმოადგენს ხელოვნების ამ ერთ-ერთი ძირითადი თავისებურების გამოვლენას, რომელსაც ეწოდება ბაპონსახატაპნი მუბიპბინი პრთდროულად ბსბსპპ ზბ უმფსპპპპ. ეს კი უაღრესად სოციალური მოვლენაა და ამდენად კლასებად დაუოფილ საზოგადოებაში მას კლასობრივი შინაარსი აქვს. ამ მტკიცე კლასობრიობის პრინციპის გატარება სავალდებულოა თანამედროვე მოწინავე მსოფლიო პროგრესული მწერლებისათვის, საბჭოთა მწერლებისა და კრიტიკოსებისათვის. ღღებს კომუნისტური პარტიულობა ის სახელმძღვანელო პრინციპია, რომელიც მტკიცედ უნდა იქნას გატარებული როგორც ცნებითი აზროვნების, ისე სახეობრივი აზროვნების პროცესში, როგორც მეცნიერებაში, ისე ზელოვნებაში.

მაშასადამე, სახეობრივი აზროვნება მწერლის თანდაუოოილი ბუნებრივი თვისებაა. ოღონდ მთავარი ისაა, რომ ეს სახეობრივი აზროვნება განსხვიოსნებული უნდა იყოს ქვეშაირიტი მსოფლმხედველობით. ამგვარ მსოფლმხედველობას მოკლებული მწერალი მოვლენის არსს სწორად ვერ აჩვენებს, რის შედეგად სახე თვითმიწნად იქცევა და მხატვრული ნაწარმოების ბუნდოვანობა წარმოიშობა. ნათელი, იდეურად გამართული სახეობრივი აზროვნება მწერლის შემოქმედებითი გამარჯვების წინაპირობაა. იდეურობა მხატვრულობის ღერძია.

1 ბ. ბელინსკი, რჩ. თსზ, ვ. ქიბლაის რედაქციით, ტ. II, 1957, გვ. 253 (ხაზგასმა ზუენილ. ჩ.).

1 ბ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიურ კოზულუბანი, 1948, გვ. 695 (ხაზგასმა ჩვენი, ა. ჩ.).



რამაზ კატარძიძე

ქართული წარმართული კალენდარი

IV

ანბანი და კალენდარი

ქართული ასომთავრული ანბანი ერთერთი უძველესი და უველაზე მეტად სრულყოფილი ანბანური დამწერლობაა უველა სხვა ანბანურ დამწერლობათა შორის. ასომთავრულ ანბანში ზუსტად განხორციელდა ანბანური დამწერლობის ყოველი ასპექტი, უველა ნიშან-თვისება ანბანური დამწერლობისა, ქართულმა ასომთავრულმა შემოინახა ასო-ნიშნების უძველესი ანბანური მწკრივი. ქართულ ასომთავრულში დაცულია ასო-ნიშნების ორივე სათვალავი — ასო-ნიშნების რიგითი და ანბანური რიცხვითი მნიშვნელობა. რიგით და ანბანურ სათვალავებს შორის ქართულ ასომთავრულში სრული შესაბამისობაა. ქვემოთ გაიკვლევა, რომ ასო-ნიშნების რიგით და ანბანურ სათვალავებს არა მხოლოდ რელიგიური და მათემატიკური, არამედ კალენდარული მნიშვნელობაც აქვთ.

ქართული ასომთავრული ანბანის კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ქართულ ასომთავრულში განხორციელებულია სემური ანბანური დამწერლობის აკროფონიული პრინციპი — უპირველესი პრინციპი ანბანური დამწერლობისა. მაგრამ ასომთავრული ანბანის იდეოგრაფიულ ასო-ნიშნებს და ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს არა მხოლოდ ანბანურ-აკროფონიული, არამედ კალენდარული მნიშვნელობაც აქვთ. მოკლედ შეიძლება ითქვას: ქართული ასომთავრული ანბანი ერთდროულად ძველ-

ქართული წარმართული კალენდარია. ამგვარად, ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებს, ერთ შემთხვევაში, იდეოგრაფიულ-აკროფონიული ანუ წმინდა ანბანური მნიშვნელობა აქვთ, მეორე შემთხვევაში ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებს კალენდარული მნიშვნელობა ენიჭება. ასომთავრული ასო-ნიშნების წმინდა ანბანური მნიშვნელობა „ქართულ ასომთავრულში“ უკვე გარკვეულია. რაც შეეხება ასო-ნიშნების კალენდარულ მნიშვნელობას, ამ საკითხს წინამდებარე გამოკვლევა ეძღვნება.

ქართული ასომთავრული ანბანის ამ ორი ასპექტის — ანბანურისა და კალენდარულის საკითხის ნათელსაყოფად შეიძლება ერთი მაგალითი მოვიტანოთ, ვთქვათ პირველივე ასო-ნიშანი ქართული ანბანისა.

ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის ბნბნწმწმ მნიშვნელობა ასეთია:

1 ო - ან, 1.

პირველი ასო-ნიშანი ასომთავრული ანბანის რიგითი სათვალავით პირველია, ხოლო მისი რიცხვითი მნიშვნელობა რიგითი სათვალავით არის მარტივი;

პირველი ასო-ნიშანი ასომთავრული ანბანის მთავარს იდეოგრაფიაა. შესაბამისად ასო-ნიშნის სახელდება ბნ, ხოლო ბნ მთვარის ღმერთს ნიშნავს;

ანბანურ-აკროფონიული პრინციპის შესაბამისად ასო-ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობა

არის ხმოვანი ა — ბგერა, ე. ი. ასო-ნიშნის მი-
სი იდეოგრაფიული მნიშვნელობისა და სახე-
დღების პირველი ბგერის მნიშვნელობა აქვს
მნიშვნელობა;

ანბანური სათვალავით ასო-ნიშნის რიცხვითი
მნიშვნელობა არის პრაქტიკული.

ახლა რაც შეეხება ასომთავრული ანბანის
კალენდარულ ასპექტს.

ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის
კალენდარული მნიშვნელობა ასეთია:

1 Ⴀ ან 1

ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი
არის პირველი დღე კვირისა, პირველი დღე
თვისა და პირველი წელიწადი 19-წლიანი ციკ-
ლისა. როგორც ცნობილია, დროის აღრიცხვის
კალენდარულ წესს აბტრონომიული საფუძველი
განსია. ამ შემთხვევაში პირველი ასო-ნიშანი
ასომთავრული ანბანისა იდეოგრაფიულად ას-
ტრონომიული შინაარსისა; მთავარეც ცაზე
საფლვლობის უმაღლეს ზღვარს, ზედა მიწას
მიაღწია, ე. ი. სახსე მთვარე ზედა კულმინა-
ციაშია. სახსე მთვარის ზედა კულმინაცია ზუს-
ტად შუალაშეს ხდება. ცხადია, დღე-ღამის და-
საწყისად ქართულ წარმართულ კალენდარს
მინიშნულია არა, ვთქვათ, მზის ამოსვლისა ან
მზის ჩასვლის უამრავად სახსე მთვარის ზე-
და კულმინაცია — შუალამე. როცა სახსე მთვა-
რე ზედა კულმინაციაშია, მზე კვდება კულმინა-
ციაშია. ცხადია, დღე-ღამის დასაწყისად ქარ-
თულ წარმართულ კალენდარს მიაჩნია შუალამე.
შუალამის აბტრონომიული საფუძველი მინიშ-
ნულია სახსე მთვარის ზედა კულმინაცია და მზის
კვდება კულმინაცია (ქართულ წარმართულ კა-
ლენდარში დროის ათვლა ხდება მთვარიითა და
მზით).

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი
ასო-ნიშნის კალენდარული მნიშვნელობა უფ-
როს დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილულ
აქ უშუალოდ უნდა განვიხილოთ ანბანური
დამწერლობისა და დროის კალენდარული აღ-
რიცხვის ურთიერთობის საკითხი.

რა კავშირია ანბანურ დამწერლობასა და კა-
ლენდარს შორის?

საერთოდ, ანბანური დამწერლობის წარ-
მოშობის საკითხი მეცნიერული პალეოგრაფიის
ერთერთი ურთულესი პრობლემაა. ეს პრობლე-
მა ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია. ანბანური
დამწერლობის წარმოშობის სახედასხვა თეო-
რია არსებობდა. მეტამა არცერთ თეორიას არ
მისუბრავთა მეცნიერული აღიარება. რადგან
ამ თეორიების მიხედვით აუხსნელი რჩებოდა
ანბანური მწერების არსი და რაობა, ასო-
ნიშნების თანამიმდევრობის გამომწვევი მიზე-
ზები და ასო-ნიშნების სახედღების სახელ-
მძღვანელო პრინციპები.

დღეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურა-
ში გაუძლეობით დიდ პურადღებით სარგებ-

ლობს ანბანური დამწერლობის წარმოშობის
ე. წ. კალენდარული თეორიის შემქმნელის
ბ. მ. ნიშნავას უშუალოდ სამეცნიერო
მუშაოებში მითხარის თვის კალენდარული
დღეების მნიშვნელობა ბავთი.

როგორც უკვე აჩვენებდა აღნიშნა, უმ-
ველესი დროიდან დროს მთვარით ანბანობ-
დნენ; მთვარის მოძრაობა და მსვლელობა ცაზე
საფუძველად დაედო დრო-თვის დანაწილებასა
და კალენდარს.

როგორც ცნობილია, ცის დღე-ღამური ბრუ-
ნვის გამო, მთვარე ცასთან ერთად ბრუნავს.
მეტამა ამავე დროს განუწყვეტლივ მოძრაობს
დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ცარგვალის
დღე-ღამური ბრუნვის საწინააღმდეგო მიმარ-
თულებით. მთვარის გადასაცვლება ცაზე საკ-
მაოდ სწრაფად ხდება (დღე-ღამეში 13⁰-ით).
ამის გამო, ყოველ ღამეს მთვარეს ცაზე ახალ
თანავარსკვლავედში ვხვდებით. ყოველ დღე, გა-
დინაცვლებს რა ერთი თანავარსკვლავედიდან
მეორე თანავარსკვლავედში, მთვარე ვარსკ-
ვლავურ ცაზე ერთ სრულ წარწერის შემოსწერს.
დროის უშუალოდ, რომლის განმავლობაში მთვა-
რე ერთ სრულ წარწერის შემოსწერს ცაზე
(ერთი რომელიმე ვარსკვლავედიდან — იმავე ვარ-
სკვლავედამდე) ვარსკვლავური ანუ სიდერული
თვე ეწოდება (sidus — ლათინური სიტყვაა
და ვარსკვლავს ნიშნავს). სიდერული თვის
ხანგრძლივობა, როგორც ზემოთ უკვე აღი-
ნიშნა, 27 დღე-ღამე, 7 საათი და 43 წუთია.

მთვარის სვლა ცაზე ვარსკვლავედს შორის
დედამიწის ორგველზე მთვარის სრბოლის ხილუ-
ლი ანარეკლია. ამიტომ მთვარე ერთ ვარსკვლავ-
ულ დედამიწის ორგველზე ერთ ვარსკვლავურ
ანუ სიდერულ თვეს აწვდომებს.

მთვარის ვარსკვლავური გზა ცაზე, მთავლო-
ცებით, ეკლიპტიკის ზოლიაკლურ სარტყელში
ქვს. ოდნურ დროდადრო შეიძლება ეკლიპ-
ტიკის მიღმა აღმოჩნდეს, რადგან მთვარის
ორბიტა დახრილია ცის ეკვატორის მიმართ
± 5⁰-ის ფარგლებში, ხოლო ეკლიპტიკისა
მხოლოდ ± 2⁰ — ის ფარგლებში.

„თითელი“ მთვარის პერიოდი საფუძველად
დაედო სიდერული თვის კალენდარულ სისტე-
მას. ჯერ კიდევ უძველეს დროს, როცა მთვა-
რის სიდერული თვე შეიცნეს, საჭირო შეიქმნა
მთვარის ყოველდღიური ადგილ-სამუთფელი ცა-
ზე ვარსკვლავებს შორის როგორღაც აღნიშ-
ნულიყო. მთვარის ყოველდღიური მოძრაობა
ცაზე რომ ვარსკვლავით, მის ყოველდღიურ ად-
გილ-სამუთფელს ცაზე კაშკაშა ვარსკვლავით ან
ვარსკვლავთა ჯგუფით — ხომლით განაზღვ-
რავდნენ. ასე წარმოიშვა მთვარის ცაზე მოძ-
რაობის 27 სახელი-სადღიური. მთვარის ყველა 27
სადღიურს საერთო სახელი შეერქვა. ცხადია,
მთვარის 27 ციურ სახელს მთვარის სიდერული
თვის 27 დღე შეესაბამებოდა.

ძველი შუამდინარეთის ისტორიიდან ცნობილია 27-დღიანი მთვარის თვის დღესასწაული, 27-დღიანი მარხვა. 27-დღიანი კულტი შუამდინარეთში, უფოოდ, 27 მთვარის ციური სახლის არსებობის მაჟურეებელია.

გარდა შუამდინარეთისა, მთვარის 27 ციური სახლის საბელები ცნობილია ძველ ჩინეთსა და ინდოეთში; 27 ციური სახლის არსებობას ადასტურებს ებრაელთა ბიბლიური ტექსტი (მეფეთა IV, 23,5).¹

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არსებობს თვალსაზრისი, რომ პროტოსემურ ანანურ დამწერლობაში 27 ასო-ნიშანი იყო, ხოლო ეს 27 ასო-ნიშანი მთვარის 27-დღიან სიღერულ თვეს უკავშირდებოდა.

უკვე ითქვა უგარიტული 30-ნიშნანი ანანური მწკრივის შესახებ. როგორც გამოირკვა, 30-ე ასო-ნიშნს უგარიტულ ანანში საკუთარი ფონეტიკური მნიშვნელობა არ გააჩნდა, არამედ მე-19 ასო-ნიშნის ფონეტიკური ირეული იყო, ე. ი. უგარიტულ ანანში ზუსტად იმდენივე ასო-ნიშანი იყო (29 და 30), რამდენი დღეც არის მთვარის სინოდური თვეში. ცხადია, უფოოდ, ანგარიშგასაწყვეთია ის შეხედულებები, რომელიც უგარიტული ანანური მწკრივის შესახებ გამოითქვა. ამ შეხედულებებით უგარიტულ ანანურ მწკრივს კალენდარული დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია David H. Kelley-ს თვალსაზრისი. მისი ვარაუდით, სემური ანანური მწკრივის ასო-ნიშნების საბელებსა და მთვარის კალენდარული დღეების საბელებს შორის უშუალო კავშირია. ცნობილია, რომ უძველეს კალენდარულ ხანაში მთვარის თვის თვითულ დღეს თავისი სახელი ჰქონდა. მეცნიერი ფიქრობს, რომ სემური ასო-ნიშნების სახელებს არა პირველად, არამედ მეორეული მნიშვნელობა აქვთ და ცის თანავარსკვლავედებს აღნიშნავენ. მაგალითისათვის, მეცნიერის აზრით, სემური „აღღუფ“ კუროს ზოდიაკალური თანავარსკვლავედის აღნიშვნელია უნდა იყოს. და არა უბრალოდ ზარისა, სემური „მემ“ შერწეულის თანავარსკვლავედს უნდა აღნიშნავდეს და არა უბრალოდ წყალს; სემური „ნუნ“-და „სამექ“ ორი ზოდიაკალური თვეზის აღნიშვნელი უნდა იყოს და არა მარტოვად თვეზის; სემური „თუ“ სამხრეთის ჭყარის თანავარსკვლავედს უნდა ნიშნავდეს და არა მარტოვად ჭყარს და ა. შ.

მოკლედ შეიძლება ითქვას: David H. Kelley-ს თვალსაზრისით სემურ ასო-ნიშნებს ანანურ მწკრივში მთვარის კალენდარული დღეების მნიშვნელობა აქვთ.

ანანური დამწერლობის წარმოშობის კალენდარული თეორიის გამო Cyrus H. Gordon-ი დასკვნის საბით წერს: „მთვარის თვის დღეების კალენდარული მწკრივისა და კურო-

ფონიური პრინციპის შეთავსების შედეგად სემიანებმა ქვეყნობიერად უდიდეს აღმოჩენას — ანანური დამწერლობის არსს მოახვედრეს. დამწერლობის ანანური არსის მოგონება იმ გარემოებაში შეუწყო ხელი, რომ სემურ ენაში დაახლოებით იმდენივე თანხმოვანი ბგერაა, რამდენი დღეც არის მთვარის კალენდარულ თვეში“.²

აღასინიშნავია ის გარემოებაც, რომ სპირსის მ. ბორდონის აზრით, სემური ანანია არა მხოლოდ დიდი ლინგვისტური მიღწევა იყო ფინიკიელებისა, არამედ ერთდროულად ეს ანანია მათემატიკურ და კალენდარულ ფუნქციებსაც ასრულებდა.

უნდა დავასკვნათ: დასავლეთის არა თუ ერთი და ორი მეცნიერის დაბეჭდილებით მტკიცებით, სემური ანანური დამწერლობა ერთდროულად მთვარის კალენდარული სისტემა და დროის აღრიცხვის მთვარის კალენდარული სისტემის საფუძველზეა შემუშავებული.

რა თქმა უნდა, თუ სემური ანანური დამწერლობის წარმოშობის კალენდარული თეორიამ საუკველთაო მეცნიერული აღიარება მოიპოვა, ეს იმას ნიშნავს, ნათელი მოფინის ერთერთ ურთულეს მეცნიერულ პრობლემას, ზოგადსაკაცობრიო კულტურის ერთერთ მნიშვნელოვან საკითხს, საერთოდ, ანანური დამწერლობის წარმოშობის საიდუმლოს.

ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ასომთავრულ ანანს.

როგორც ახლა უკვე ცნობილია, დედანანა. ნური ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე ორად-ორი არაბემური ანანური დამწერლობა შეიქმნა: ბერძნული და ქართული.

ბერძნული დამწერლობის შემოღებას დაახლოებით X — IX საუკუნეებით ათარიღებენ. უძველეს ბერძნული წარწერები დაახლოებით VIII-VII საუკუნეებს განეკუთვნება.

ფინიკიური ანანია ბერძნებმა შექმნიერად გადაიღეს, ე. ი. ათთავის რა ფინიკიური დამწერლობის ანანური პრინციპი, ბერძნებს შეუცნობელი დარჩაო სემური ასო-ნიშნების იდეოგრაფიული მნიშვნელობა, ასო-ნიშნების სახედოდების პრინციპი ანუ მათი შინაარსეული და კალენდარული დანიშნულება და სხვ.

მოკლედ, ბერძნული ანანური დამწერლობა არ იძლევა შესაძლებლობას შეცნობილ იქნას ანანური დამწერლობის წარმოშობის საიდუმლო.

ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნის მეოთხე ძირითდად განსხვავებულ ბერძნულსაგან. ქართულ ასომთავრულში გათვალისწინებულია სემურ-ფინიკიური ანანური დამწერლობის კვება ანანური ასპექტი. ხოლო ამით შორის სემური ანანის კალენდარული მნიშვნელობაც, ეს უანასკნელი გარემოებაც იმის სახარებეოდ შეტყუვდება, რომ ქართული ანანური დამწერლობა შექმნილია

არა ბერძნული, არამედ სემურის ანბანური დამწერლობის საფუძველზე. მეორე მხრივ, ქართული ასომთავრული ანბანის კალენდარულმა სისტემამ შესაძლებელია საბოლოოდ გაარკვიოს სემური ანბანური დამწერლობის კალენდარული არს და შესაბამისად არა მარტო განამტკიცოს ანბანური დამწერლობის წარმოშობის კალენდარული თეორია, არამედ საბოლოოდ შექმნოს ანბანური დამწერლობის წარმოშობის საიდუმლოს.

ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულად ანალიზმა ცხადყო, რომ ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების გრაფიკული მოხაზულობა თანდათანობით ტრანსფორმაციაშია განვითარების შედეგი კი არ არის, არამედ რიგ შექმნილია ერთ დროს და ერთდროულად. მსგავსად სემურ-ფინიკური ანბანური დამწერლობის, სემურ-ფინიკური ასო-ნიშნებისა და ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების ფიგურაფული რაობა თავისთავად გამოირჩევა ამ ასო-ნიშნების თანდათანობითი ჩამოყალიბების პროცესს.

ამგვარად, საკითხი ასე უნდა დაისვას: როდის შეიქმნა ქართული ასომთავრული ანბანი და შესაბამისად როდის შეიქმნა ქართული ასომთავრული ანბანის ქართული წარმართული კალენდარი?

ამ თვალსაზრისით ჩვენ ხელსაყრელ ვითარებაში ვართ. ერთი მხრივ, ქართული ასომთავრული დამწერლობის ანალიზის შედეგად ნიკოტებულები ქრონოლოგიური მონაცემები იძლევიან ქართული წარმართული კალენდარის შემოღების ხანას და პირველ, ქართული წარმართული კალენდარის შესწავლის საფუძველზე მოპოვებული ქრონოლოგიური მონაცემები აღუსტებენ ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნის ქრონოლოგიურ პერიოდს.

ამჭერად ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნის ქრონოლოგიური განსაზღვრის შესახებ უნდა ითქვას.

როგორც უკვე ცნობილია, ძვ. წ. 284 წელს ქართული ასომთავრული ანბანი შემოღებულა ფარნავაზ მეფის მიერ, როგორც სატელად ქართული სახელმწიფო დამწერლობა. აგრეს, როგორც უკვე გამოკვლეულია, ქართული ასომთავრული დამწერლობა შეიქმნა გაცილებით ადრე, ვიდრე ამ დამწერლობის პირველი აღიარება-შემოღება განხორციელდებოდა. ქართული ტრადიციული ცნობით, ქართული ასომთავრული ქურუმთა დამწერლობა და იგი ფარნავაზამდე არსებობდა.

„...არა უწინგონი იყვნენ ქართველნი უწინაგონთა ეპოქაჲ შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ ივინი უხუცესთა წერილთა ესე იგი ქურუმთა მათ, რომელთაც უხუცესთა და ქვიის-ბერთა უხმობენ. ივინი იყვნენ კრპთა მღვდელნი და მესხებრძლენი ტრისანი ღმერთთა მი-

მართ და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცურთი ჩვენი.“³ ივლისსმება ასომთავრული მრგვალი, რ. პ.).

იგივე თვალსაზრისისა იყო თეიმურაზ ბატონიშვილი.⁴ ანალოგიური ვარაუდი გამოთქვა ს. გორგაძემ. მეცნიერი წერს: „...ანბანი ქართულ ხალხს, განსაკუთრებით მის მოწინავე თემს... ფარნავაზზე გაცილებით ადრე უნდა ქმნიებოდა... შესაძლოა... ფარნავაზს წერა-კითხვა დანარჩენ თემებშიაც გვევრცელებოდა... და ამგვარად, საფუძველი ჩაეყარა ქართული მწიგნობრობისათვის. ერთი სიტყვით, ფარნავაზს უნდა ეკუთვნოდეს დამწერება მწიგნობრობისა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.“⁵

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული კონკლუზიის თანახმად, ქართული ასომთავრული შემოღებული უნდა იქნას დაახლოებით VII საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით, ე. ი. გაცილებით ადრე ფარნავაზამდე.⁶

ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკის ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ ასომთავრული ასო-ნიშნების გრაფიკა გამოყვანილია კლასიკური და საშუალო ფინიკური დამწერლობის გრაფიკის საფუძველზე.

ამაღ, როცა მიკვლეულია ასომთავრული ანბანის უძველი ასო-ნიშნის ფინიკური პროტოტიპი, მათი ქრონოლოგიური მონაცემების საფუძველზე ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის მთავრობითი თარიღის განსაზღვრა ძნელი აღაჩნდა. ჩვენი საბოლოო თვალსაზრისით, ქართული ასომთავრული დამწერლობა უნდა შექმნილიყო ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის დასასრულს, ძვ. წ. V-IV საუკუნეთა მიჯნაზე, უძველ შემოხვევაში, არა უგვიანეს ძველი წელთაღრიცხვის 400 წლისა.

ამგვარად, ძვ. წ. 400 წელი უნდა მივიჩნიოთ ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნის უკიდურეს ჰვედა მიჯნად. შესაბამისად, ქართული ასომთავრული ანბანისა და ქართული წარმართული კალენდარის შემოღება ზოგადად, ძვ. წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის დასასრულით უნდა განისაზღვროს.

მარტამ შესაძლებელია თუ არა ქართული ასომთავრული დამწერლობისა და ქართული წარმართული კალენდარის შემოღების ზედა ქრონოლოგიური ზღვარის მიგნება?

უფიქრობ, შესაძლებელია. ზედა ზღვარის ქრონოლოგიური მონაცემს გვაძლევს, როგორც ქართული ასომთავრული ანბანი, აგრეთვე ქართული ასომთავრული ანბანის ქართული წარმართული კალენდარი.

„ქართული ასომთავრულის“ სტრუქტურის განხილვისას, მე გამოვთქვი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ქართულ ანბანში, ანბანის სტრუქტურული ადუცილიზაციის საფუძველზე, განხორციელებული უნდა იქნას სამხარის აჭე-

ბუღების პითაგორედა ფილოლაოსის ასტრალური კონცეფცია. შემდგომში კვლევებიც უნდა ცხადყო, რომ ქართულ ასომთავრულში უფროდ მოცემულია სამუაროს აგებულების კონცეფცია, სახელდობრ კი, ქართულ ასომთავრულში განხორციელებულია ფილოლაოსის ასტრალური კონცეფციის პითაგორაზული მოძღვრება.

პითაგორელმა ფილოლაოსმა პირველმა უარყო სამუაროს აგებულების გეოცენტრიული სისტემა. მისი ასტრალური კონცეფცია სამუაროს აგებულების ჰელიოცენტრულ სისტემას უახლოვდება. ქართული ასომთავრული ანბანის ასტრალური კონცეფციის შესახებ ვრცლად ცალკე წერილში შექნება საუბარი.

პითაგორელი ფილოლაოსი მოღვაწეობდა ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში. მისი ცხოვრების პერიოდაა ძვ. წ. 470-399 წწ. თავისი ასტრალური კონცეფცია ფილოლაოსმა გამოაქვეყნა ძვ. წ. 430 წელს.

ქართულ ასომთავრულში კი უკვე დასტურდება ფილოლაოსის სამუაროს აგებულების თეორია. ცხადია, ქართული ასომთავრული დაწერლობა ვერ შეიქმნებოდა ძვ. წელთაღრიცხვის 430 წელზე ადრე.

ამგვარად, ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნის ქრონოლოგიური პერიოდაა ძვ. წელთაღრიცხვის 430-400 წლები. შესაბამისად, ქართული წარმართული კალენდარი შემოღვევებოდა ამავე ქრონოლოგიურ პერიოდში.

ქვემოთ ცხადი ვახდება, რომ საკუთრივ ქართული წარმართული კალენდრის ქრონოლოგიური მონაცემები ამავე პერიოდით ვინაზღვრება. უფრო მეტიც, ქართული წარმართული კალენდარი ამ ქრონოლოგიურ მონაცემებს კიდევ უფრო აზუსტებს.

საკმაოდ ვრცელი ექსკურსის შემდგომ, შესაძლებლობა გვაქვს უშუალოდ ქართული წარმართული კალენდარის განხილვას შევუდგეთ. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ეს კალენდარი ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის დასასრულით თარიღდება. ამდენად, ქართული ასომთავრული დამწერლობის ქართული წარმართული კალენდარი, დღემდე ცნობილ ქართულ კალენდარულ სისტემებს შორის უძველესია. ქართული ასომთავრული ანბანი ქართული დამწერლობის პირველი წერილობითი წარმოად, ხოლო ქართული ასომთავრული ანბანის ქართული წარმართული კალენდარი პირველი წერილობითი ქართული კალენდარული ძეგლია.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ყველა 35 ასო-ნიშანი აქვს როგორც რიგითი, ასევე მწერის რიცხვითი მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით ქართული ასომთავრული ანბანი გამოაყენოსია, რადგან მწერის სხვა ანბანში ასეთი რეკვირება არა მოხერხებულა. ამ თვალსაზრისით არსებობს

გვაქვს, როგორც უკვე ცნობილია, აღმოსავლურ და დასავლურ ანბანურ სისტემებში რიცხვითი მნიშვნელობის ასო-ნიშნების ქართულობა, არ აღემატება 27-სა და 28-ს. ვარდა ამისა, თუ ბერძნულ ანბანს არ ჩავთვლით, ამ ასო-ნიშნებს მხოლოდ და მხოლოდ ანბანური რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ, ე. ი. მათი დამნიშნელობა დაიწეროს რიცხვები 1-დან 1000-მდე.

რატომ მიენიჭათ ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებს რიგითი რიცხვითი მნიშვნელობა 1-დან 35-მდე და ანბანური რიცხვითი მნიშვნელობა 1-დან 8000-მდე? ამ გარემოებას შემთხვევითობად ვერ ჩავთვლით, არამედ ამ საკითხს სპეციალური კვლევა სჭირდება. წინასწარ შეიძლება ითქვას, ეს ვითარება კალენდარულმა მოთხოვნილებამ განაპირობა.

ქართული წარმართული კალენდარი ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნით იწყება. ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის იდეოგრაფიული მნიშვნელობა უკვე ცნობილია: ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი იდეოგრაფიულად მთვარის გამოსახულებაა; ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელდება — „ან“, ხოლო „ან“ ძველი შუამდინარეთის ცის ღმერთი და ზაზილმწერი მთვარის ღმერთია. იმ დროს, როცა ქართული ასომთავრული ანბანი იქმნებოდა „ან“ — ცის ღმერთს მთვარის ღმერთის მნიშვნელობა ჰქონდა; „ან“ — მთვარის ღმერთს ცის ღმერთად იწოდებოდა. ამის შესახებ „ქართულ ასომთავრულში უკვე გვქონდა საუბარი, იქვე დაიხვა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა დარქმეოდა ქართული ასომთავრული ანბანის მთვარის იდეოგრაფიას ზაზილმწერი ხანის, წინააზიური მთვარის ღვთაების სახელი. ეს საკითხი „ქართულ ასომთავრულში“ აგრეთვე გარკვეულია.

მაგრამ აქ დამატებით უნდა ითქვას შემდეგი:

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის მთვარის იდეოგრაფია იმის მიმართ ნებაა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მთვარის კალენდარული სისტემა, ხოლო ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელდება იმის მიმართ ნებაა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მთვარის წინააზიურა კალენდარული სისტემა. ქვემოთ ცხადი ვახდება, რომ მთვარის ქართული კალენდარული სისტემა ენათესავება არა დასავლურ (ბერძნულ, რომაულ) კალენდარულ სისტემებს, არამედ მთვარის აღმოსავლურ, წინააზიურ კალენდარულ სისტემას.

ცხადია, ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის კალენდარული მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ, ვიდრე ქართული ასომთავრული ან-სის პირველი ასო-ნიშნის კალენდარულ მნიშვნელობას ბოლომდე ცხადვით დავადასტურებთ, აქ ერთხელ კიდევ უნდა ითქვას ქართული ასომთავრული „ან“ ცის ღმერთის შესახებ. ვფიქრობ, „ან“ ცის ღმერთის რაობა ქართულ ასომთავრულ ანბანში უკვე გარკვეულია. ოღონდ აქ დამატებით შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ლუის ამოცნობის, ღვთის რაობის გარკვევის კიდევ ერთი საშუალება. ეს საშუალება გახლავთ რიცხვი .

„ან“ — ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა რიცხვითი სათვალავით არის ერთი; ანბანში სათვალავით „ან“-ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა ანბანის ერთი იმის გამო, რომ ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელებია „ან“, ხოლო „ან“ თუ მართლაც ცის ღმერთია, შესაბამისად, „ან“ — ცის ღმერთის რიცხვითი მნიშვნელობა უნდა იყოს ერთი.

როგორც ცნობილია, პითაგორაინული მოძღვრების თანახმად, არსის საიდუმლო რიცხვითი ცხადდება: რიცხვი არას ნუქარატიც ცნება არისა, რიცხვი არსის კუთმარატიც რაობაა; პითაგორაინული მოძღვრებით უკვე უკვე რიცხვს ექვემდებარება, ამიტომ ამ საუკველთაო წესს სერძნული პანთეონის ღმერთებიც ემორჩილებიან. მათი ღვთაებრიობა რიცხვით ცხადდება.

საკითხის სპეციალისტი ს. ნ. ტრუბეცკოი ამს შესახებ წერს: «Все божы у пифагорейцев имеют свои числа»².

მაგრამ პითაგორაინული მოძღვრება აქ საქმეს არ შეუღობს. რადგან „ან“ — ცის ღმერთი ყველა შუამდინარეთს ღვთაებაა.

ქმონდათ კი რიცხვითი სახელები ძველი ხანის ღმერთებს? როგორც ჩანს ჰქონდათ:

ბიბლიური ტექსტებით ცნობილია, რომ ბიბლიური ღმერთის სხვადასხვა სახელებს შორის სდ. ელჰამი, ადონაი და სხვ. ერთერთი სახელი ბიბლიური ღმერთისა არის რიცხვითი სახელი ერთი. მაგ: (ზაქარია. 14.9): „და იყოს უფალი მუდმივად უკველსა ქუფანასა ზედა. მაჲ დღესა იყოს უფალი მხოლოდ ერთ და სახელი მისი ერთი“.

ღმერთების ეტიმოლოგიური პანთეონში, სხვა ღმერთთა შორის, ცნობა და ქვეყნის შემოქმედი ღმერთი — ამონ-რე იყო ერთადერთი ღმერთი ერთი სიტყვა-სიტყვით: ერთი ერთი

ძველი შუამდინარეთის ღმერთებს, რააც ზენე საკითხის ნათელსაყოფად გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს, რიცხვითი სახელები ჰქონდათ. მაგალითისათვის: ქარიშხლის ღმერთი ადადი იყო ღვთაებრივი 10; ქალღმერთი იშთარი იყო ღვთაებრივი 13; შისი ღმერთი


შამაში იყო 20; ღვთაებრივი 40 ერთი; ღვთაებრივი 50 იყო ენლილი.

რაც მთავარია, რიცხვითი სახელი ანბანშიც ღმერთისა იყო ღვთაებრივი ერთი. ამგვარად, ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელია „ან“; იგი უფოლ ცის ღმერთია (იგივე მთვარის ღმერთია) და, შესაბამისად, ღვთაებრივი ერთია .

ამგვარად, ქართულ ასომთავრულ ანბანს ცის ღმერთად სახელდებული მთვარის ღმერთი იწყებს. მისი შემერთულ-აქადური ლურსმული დაწერილობა ასეთია:



ერთ შემთხვევაში ამ ლურსმულ ნიშანს „ან“ — მთვარის ღმერთის მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამავე დროს იგივე ნიშანს შეიძლება ჰქონდეს არა ლოგოგრაფული, არამედ სილაბური (მარცხელკვანის) მნიშვნელობაც. ბაბილონურ ხანაში ამ ლურსმულ ნიშანს „ან“ და „ილ“ მარცხელის ფონეტიკური მნიშვნელობა ჰქონდა:




ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშნების სახელების პრინციპად გამოყენებულია ლურსმული დაწერილობის ეს ლოგოგრაფული და სილაბური მნიშვნელობანი. ხოლო ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების სახელების პრინციპში განხორციელებულია ქართული წარმართული კალენდარული სისტემა.

როგორც უკვე ცნობილია, ქართულ ასომთავრულ ანბანს მთვარის იდეოგრაფა იწყებს და ხარის (ქარის) იდეოგრაფა ამოავრებს; ანბანის დასასრულებს ნიშნად კი ქვარის იდეოგრაფა დასმული. ეს გარემოება იმის მანიშნებელია, რომ ქართული წარმართული კალენდარი ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშნით იწყება და უკანასკნელი მან ასო-ნიშნით მთავრდება.

ქართული ანბანის კალენდარული სისტემის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ასომთავრული ანბანის „ქარ“ ასო-ნიშანს, იმის გამო, რომ ამ ასო-ნიშნის სახელების სილაბური პრინციპი აგრეთვე ახორციელებს ქართულ კალენდარულ სისტემას. „ან“ — მთვარის ღვთაებისა და „ქარ“-ის ურთიერთიმართება უკვე ცნობილია: ხარის მთვარის ღვთაების წარმართული სახეა, მისი ამქვეყნობა სიმბოლოა და, პირაქით, მთვარის

ღვთაება ზეცური ხარია. ვარდა ამისა, როგორც უკვე ცნობილია, ძველი შუამდინარეთის ღმერთების კანონებში ხარი ითვლებოდა მთვარის ღმერთის ძედ.

ხარის შემერულ-აქადური ლერსმული და წერაილია ასეთია:



ქართულ ასომთავრულ ანბანში „ქარის“ იდეოგრაფიული ნიშანი — „ქარ“ — „ქარი-ით არაა სახელდებული. სხვა შემთხვევებში „ქარ“ ასო-ნიშნია „არ“ — შარცვალი ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნების სახელდების სიღაბურ პრინციპს ამორცილებს. ამგვარად „ან“, „ილ“ და „არ“ შარცვლებით სახელდებული ასომთავრული ასო-ნიშნები, ასო-ნიშნების სახელდების მთვარის კალენდარულ სისტემაზე მიჯანინებენ.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გამოთქმულია ვარაუდები იმის შესახებ, რომ სემურ-ფინიკური ასო-ნიშნების სახელდება მთვარის კალენდარული დღეების აღნიშვნელია. ქვემოთ გარჩევება, რომ ქართული ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი აგრეთვე კალენდარული მნიშვნელობისაა.

შვრამ, ვიდრე ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს ქართულ ანბანში ბოლომდე ცხადვარდეთ, აქ ერთხელ კიდევ უნდა ითქვას ქართული ასომთავრული ანბანის სტრუქტურის შესახებ. საქმე ის არის, რომ სტრუქტურულად ქართულ ანბანში გვაქვს ასო-ნიშნების დაჯგუფების არა ათეულნიხა ან ხუთეულნიხის სისტემა, არამედ გაცილებით რთული, შვიდეულნიხის სისტემა. სხვადასხვა ანბანურ ასპექტში ქართულ ანბანში ჩვეულებაა შვიდეულნიხის ერთი და იგივე სისტემა. როგორც ნახს, ამ სისტემის აგრეთვე კალენდარული მნიშვნელობა ენიჭება.

ამის გამო, სტრუქტურულად ქართულ ანბანში დასტურდება არა ევკლიდური კალენდარული დეკადები და პენტადები, არა ბერძნული მთვარის კალენდარული დეკადები, არამედ ძველ აღმოსავლური მთვარის კალენდარული შვიდეულნიხი.

ამგვარად, სხვადასხვა ანბანურ ასპექტში ქართული ასომთავრული ანბანის მან ასო-ნიშნის 5 შვიდეულია ანუ 5 მსგეფსია და შესაბამისად 5 წილია. უკვე ცალკეულ შემთხვევაში ჩვეულებაა ქართული ასომთავრული ანბანის 4 შვიდეული, 4 წილი, ხოლო ერთი შვიდეული ერთი წილი ცალკე გვჩრება. ვარდა ამისა ქართული ასომთავრული ანბანის 4 შვიდეული, 4 წილი 3 შვიდეულსა და 1 შვიდეულის ქამის სახით ჩვეულებაა. ამიტომ ქართული ასომთავრული ანბანის შვიდეულები სისტემა

მ+1=4 წილის კალენდარულ ფორმულას იძლევა. რაც შეეხება ქანსულს სისტემას, ანბანის მე-5 შვიდეულს, მის რაობას მხოლოდ დამატებით ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი აჩვენებს.

განვიხილოთ ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების კალენდარულ შვიდეულებად დაჯგუფების უკველი ცალკეული სისტემა:

I. როგორც ცნობილია, ქართულ ასომთავრულ ანბანში სამი ანბანური ჩვეულებაა: „სემური“, „ბერძნული“ და „ქართული“. ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჩვეულება „ან“-იდან „არ“-ადღის მნიშვნისა ანუ ასო-ნიშნისა ზუსტად სამი შვიდეულია. რაც შეეხება ქართულ ანბანურ ჩვეულს, წმინდა სახით იგი მხოლოდ ერთ შვიდეულს გამოყოფს. ამგვარად, ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჩვეულის სამი შვიდეული ქართული ანბანური ჩვეულის ერთ შვიდეულთან ერთანდება და ქართული ანბანის მ+1=4 წილის კალენდარულ ციკლს ქმნის, რაც შეეხება ქართული ანბანის შვიდეულს, რომელშიც ბერძნული-სემურ-ქართული ასო-ნიშნები ერთანდება, კალენდარული თვალსაზრისით მისი დანიშნულება სხვაგვარია.

II. წარმართული კულტის თვალსაზრისით, ქართულ ანბანს მთვარის ღვთაების იდეოგრაფია — აქროფონი იწყებს, ხოლო ეს გარემოება იმას უნდა მიჯანინებდეს, რომ ქართულ ანბანში მთვარის ციკლის შვიდეულების მწყრივი უნდა გვქონდეს. ეს მწყრივი „ან“ — ასო-ნიშნით იწყება და ქართული ანბანის „სემური“ ანბანური მწყრივის ფარგლებში სამი შვიდეულით მთავრდება იმის გამო, რომ მე-4 შვიდეული „დან“ — ასო-ნიშნის ანუ ღვთის კარისა და უხილავი ღმერთის შვიდეულია. ამიტომაც ეს შვიდეული არ განეკუთვნება მთვარის ციკლის შვიდეულებს. მთვარის ციკლის მე-4 შვიდეულს განეკუთვნება შვიდეული, რომელსაც „ცან“ — ცისკრის ფარგლის — მთვარის ღვთაების ასეღისა და ცის დეოფონის იდეოგრაფია — აქროფონი იწყებს; ამავე დროს ამ შვიდეულს მთვარის ღვთაების საწვარავნი ცხოველის „ქარ“-ის (იგივე მთვარის ღვთაების ძისა) და ქვარის იდეოგრაფია — აქროფონები ამთავრებენ.

ამგვარად, წარმართული კულტის თვალსაზრისით, ქართულ ანბანში შვიდეულების იგივე სისტემას, ქართული ანბანის მ+1=4 წილის კალენდარულ ფორმულას ვეძებდებით.

III. ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების გრაფიკის თვალსაზრისით, ჩვეულებაა რგოლური ასო-ნიშნების სამი შვიდეული და წრიულ-რკალურ ასო-ნიშნისა ერთი შვიდეული ე. ი. ქართულ მრგოლვან დაწერლობაში მრგოლვან ასო-ნიშნისა 4 შვიდეული გვაქვს.

იმის გამო, რომ ქართული ასომთავრული დაწერლობის გრაფიკას დიდი მნიშვნელობა

ნიქება (მარგოვან ასო-ნიშნებში ასახულია ციურ მნათობთა კულტი), ამ ასო-ნიშნების შეიღებულობის სისტემა შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს. მითუმეტეს, როგორც უკვე ითქვა, ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია ერთ დროს და ერთდროულად და როგორც ასომთავრულ დამწერლობას, დროთა მანძილზე, მას რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია.

ამგვარად, გრაფიკის თვალსაზრისით ქართულ ანბანში შეიღებულობის იგივე კალენდარული სისტემა დასტურდება: $3+1=4$ წილი ანბანისა. რაც შეეხება კუთხოვან ასო ნიშანთა შეიღებულს, ეს შეიღებული როგორც ზანს მთვარის კალენდარულ ციკლს არ განეუთვნება.

IV. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების სახელდების კალენდარულ პრინციპს „ან“, „ილ“ და „არ“ მარცვლები ანხორციელებენ. ასო-ნიშნების სახელდებისას „ან“ — მარცვლი ერთ შემთხვევაში ლოგოგრამაა, ე. ი. სიტყვაა და მთვარის ღმერთს აღნიშნავს. რადგან ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია ასო-ნიშნების სახელდების სილაბური ანუ მარცვლური პრინციპი, ამიტომ „ან“ — მარცვლით სახელდებულ ქართული ანბანის პირველ ასო-ნი-

შანს შესაძლოა დაფარული, საიდუმლო მნიშვნელობა აქვს, იმის გამო, რომ უკიდურესად ღვათაბრივი დაფარული და საიდუმლოა.

ამგვარად, თუ ერთ შემთხვევაში „ან“ შემარტული საიდუმლო ლოგოგრამაა, სხვა შემთხვევაში „ან“ შემარტული საიდუმლო სილაბოგრამაა. რაც მთავარია, „ან“ — მარცვლით ქართული ასო-ნიშნების სილაბური ანუ მარცვლური სახელდება სავსებით გამართლებულია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ქართული ასომთავრული ანბანის საიდუმლო ანუ ღვათაბრივი მნიშვნელობას, „ან“ — მარცვლით სახელდებულია ქართული ანბანის არა მხოლოდ თანხმოვანი ასო-ნიშნები (ბ-ან, გ-ან, თ-ან და ა. შ.), არამედ ხმოვანი ასო-ნიშნებიც; ქართული ასო-ნიშნების სახელდების სილაბური (ერთმარცვლოვანი) პრინციპის გამო, ხმოვანი ასო-ნიშნების სახელდებისას „ა“ — ხმოვანი ბგერა იყვლება: ო-ან > ონ; ე-ან > ენ; ი-ან > ინ. ამიტომ, „ან“ — ლოგოგრამის საფუძველზე ქართულ ანბანში შემუშავებულია ასო-ნიშნების სახელდების ოთხი სილაბოგრამა: ან; ონ; ენ; ინ.

ამგვარად, ქართული ასომთავრული ანბანის მთვარის ღვათების ლოგოგრამის საფუძველზე, ქართულ ანბანში სახელდებულია 21 ასო — ნიშანი:

1. ან	8. ხ-ან	14. ონ	18. ენ	20. ონ
2. ბ-ან	9. ქ-ან	15. ვ-ან	19. ზ-ენ	21. ღ-ონ.
3. გ-ან	10. ღ-ან	16. შ-ან		
4. თ-ან	11. ც-ან	17. ჩ-ან		
5. კ-ან	12. ხ-ან			
6. მ-ან	13. ჯ-ან			
7. ტ-ან				

ასო-ნიშნების სახელდების პრინციპში, ვფიქრობ, დამარტულია ქართული ასომთავრული ანბანის მთვარის კალენდარული სისტემის საიდუმლო. რაკი „ან“, „ონ“ „ენ“, „ინ“ — მარცვლებით სახელდებულ ასო-ნიშანთა რაოდენობა ქართულ ანბანში 21-ია, უნდა ვფიქროთ, რომ სახელდების მარცვლები ქართული ანბანის მთვარის კალენდარული სისტემის შეიღებულობის პრინციპს ანხორციელებენ. რომ ეს მართლაც ასეა, ამას უნდა მიგვანიშნებდეს ქართული ასომთავრული ანბანის პირველი შეიღებულ, სადაც ასო-ნიშნების ოთხივე მარცვლი დასტურდება:

1. ან, ბან, გ-ან
2. ღ-ონ
3. ენ, ზ-ენ
4. ვ-ინ

ეს ვარეშობა, ვფიქრობ, უფოოდ იმის მიანიშნება, რომ მთვარის ქართული კალენდარული სისტემით მთვარის თვე შეიღ-დლიანი კვირებით იანჭარაშება.

ამგვარად, „ან“ — ლოგოგრამა საფუძველად

დაედო ასო-ნიშნების სახელდების სამ შეიღებულს. რაც შეეხება ქართული ანბანის „ქარ“ — ლოგოგრამას, იგი ასო-ნიშნების სახელდების ზუსტად ერთ შეიღებულს ჰქმნის:

1. კ-არ, 2. ვ-არ, 3. უ-არ, 4. ფ-არ, 5. ტ-არ, 6. პ-არ, 7. ნ-არ

როგორც ცნობილია „ქარ“ — ასო-ნიშნის საიდუმლო რიცხვითი მნიშვნელობა არის შეიღ-დი. ამავე დროს იგი შეიღო ასო-ნიშნის სახელდებას ანხორციელებს.

მთვარის ღვათებისა და ხარის ურთიერთ მიმართების საკითხი უკვე ცნობილია. ამიტომ მთვარის ღვათების ლოგოგრამითა და „ქარ“ — ის მეშვეობით სახელდებულ ასო-ნიშანთა რაოდენობა სამი შეიღებულსა და ერთი შეიღებულობს ჭამით გამოიხატება.

ამგვარად ასო-ნიშნების სახელდების პრინციპის თვალსაზრისით, ქართულ ანბანში შეიღებულობის იგივე სისტემას, ქართული ანბანის $3+1=4$ წილის კალენდარულ ფორმულად ვგდებულობთ.

არ არის გამორიცხული, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ეს კალენდარული საიდუმლო, ქართული ასომთავრული ასო „წილი“-ის განცხადებული. როგორც წესით უკვე ითქვა რიგითი და ანბანური სათვალავით ასო „წილი“-ს საიდუმლო ფორმულაა: $3+1=4$.

როგორც ცნობილია, მთვარის ცაზე მოძრაობის 4 შედეგული დღე-ღამის შემდეგ, ახალი მთვარის გამოჩენამდე დღე-ნახევარს მთვარე ცაზე არ ჩანს. ამიტომ მთვარის თვის ხანგრძლივობა ხან 29, ხან 30 დღეა (კალენდარულად) გათვალისწინებულია თუ არა ეს გარემოება ქართული ასომთავრული ანბანის ქართული კალენდარით? როგორც ჩანს, გათვალისწინებულია.

როგორც წესით აღინიშნა, ცის ღმერთისა ანუ მთვარის ღმერთის იდოგრაფიულ ღერსმულ ნიშანს გარდა „ან“ — მარცვლის მნიშვნელობისა „ილ“ — მარცვლის მნიშვნელობაც ზეინდა. ამის გამო, წესით უყვე ეჭვით, რომ ქართული ანბანის მთვარის კალენდარულ სისტემა „ან“, „ილ“ და „არ“ მარცვლებით სხედლებული ასო-ნიშნები ჰქმნიან.

ცხადია „ილ“ — მარცვლი კვლავ მთვარის დეოტეზას უკავშირდება. („ილ“) — აქედურ ღერსმულ დამწერლობაში ზოგადად ღმერთის ნიშნავს).

ქართულ ასომთავრულ ანბანში „ილ“—მარცვლით ორად-ორი ასო-ნიშანი: სახელდებულია, ძილ და წილ. ცხადია „ილ“ — მარცვლით სახელდებული ეს ორი ნიშანი კვლავ მთვარის კალენდარულ თვის განეყოფნება.

რაც „ან“ და „არ“ მარცვლების საფუძველზე $4 \times 7 = 28$ ასო-ნიშანი სახელდებული, ხოლო 28 ასო-ნიშანი მთვარის ოთხი კალენდარული კვარა და ცაზე მთვარის მოძრაობის 28 დღე-ღამეა, ორი ასო-ნიშანი ეს ორი კალენდარული დღე-ღამეა, რომელიც 28 კალენდარულ დღე-ღამეს ემატება, რათა მთვარის სრული სინოდური თვე შეიღოს. როგორც ცნობილია, ახალი მთვარის გამოჩენამდე დღე-ნახევარს მთვარე ცაზე არ ჩანს, ხოლო მთვარის სინოდური თვის ხანგრძლივობა კალენდარულად დაახლოებით 29 და კიდევ დღე-ღამეს ნახევარს შეადგენს, ამიტომ მთვარის კალენდარით თვე-გამოშვებით, მორიგებით ხან 29 დღეს, ხან 30 დღეს ანგარიშობენ. შესაბამისად, ქართული ასომთავრული ანბანის 28 ასო-ნიშანს ხან ერთი ასო-ნიშანი (ძილ) შეემატება, ხან კი — 2 ასო-ნიშანი (ძილ და წილ).

ცნობილია, ყველა ხალხის მთვარის კალენდარული სისტემა მთვარის თვეში მორიგებით 29 და 30 დღე-ღამეს ანგარიშობს. ცხადია, მთვარის ქართული კალენდარული სისტემაც ახვევ უნდა ანგარიშობდეს და ანგარიშობს კიდევ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ასომთავ-

რულში მთვარის თვის შეადგენლები სისტემა ყველა ანბანურ ასეტქში დაფარულია არის განცხადებული. შესაძლოა ეს ანბანური ასეტი-ლებლობით არის გამოწვეული. ამავე დროს, დაფარულია განხორციელებული მთვარის კალენდარული სისტემა იმაზე უნდა მიგვაჩვენებდეს, რომ ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების რიგითი სათვალავით უფლება გვეძლევა მთვარის თვის კალენდარული დღეები ანბანში თანამიმდევრულად ვიანგარიშოთ.

მაგრამ, რაც მთვარის თვის კალენდარულ ოთხ შედეგულს — 28 ასო-ნიშანს, ორი ასო-ნიშანი „ძილ“-ი და „წილ“-ი ემატება, ამიტომ ასომთავრულ ანბანში მოსალოდნელია 29-ე ასო-ნიშნად „ძილ“-ი იქდეს, ხოლო 30-ე ასო-ნიშნად „წილ“-ი. ასეთ შემთხვევაში ეს იმაზე მიგვაჩვენებდა, რომ ქართული მთვარის კალენდარული სისტემით 28 ასო-ნიშანს მართლაც 29-ე ასო-ნიშნად „ძილი“ ემატება, ხოლო 30-ე ასო-ნიშნად — „წილი“.

ქართულ ასომთავრულ ანბანში „ძილი“ 30-ე ასო-ნიშანი, ხოლო „წილი“ 31-ე ასო-ნიშანი. რა თქმა უნდა, ქართული ასომთავრული ანბანის მთვარის კალენდარული სისტემა ძალიან რჩება, რადგან ქართული ანბანის 33 ასო-ნიშნიდან 30 ასო-ნიშანი ასო-ნიშნების სახელდების პრინციპის საფუძველზე მთვარის კალენდარულ დღეებს განეყოფნება.

აქ საკითხი ასე დგას: რა ანბანურმა ასეტი-ლებლობამ გამოიწვია „ძილ“-ისა და „წილ“-ის სახელდება და ანბანში 30-ე და 31-ე ასო-ნიშნებზე სხდობა. ხომ შეიძლება, მაგალითისათვის „ილ“ — მარცვლით სახელდებულაოც არა „ძილ“ და „წილი“, არამედ ასე:

29. „ცილ“-ი, და არა „ცან“-ი

30. „ძილ“-ი

31. „წან“-ი, და არა „წილ“-ი

სახელდების ასეთი მეთოდი არ დაარდვედა ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს.

ვფიქრობ, ასო-ნიშანი „წილი“ რაღაც ხაი, დემლო ფუნქციას უნდა ასრულებდეს. წესით უყვე ითქვა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის მთვარის კალენდარული სისტემა ქართული ანბანის ოთხი შედეგულია, 4 წილია. მაგრამ ეს ოთხი წილი, კალენდარულ ყოველ ასეტქში, ჰქმნის სამი შედეგულია და ერთი შედეგულის ძამის ფორმულას, ანუ ქართული ანბანის $3+1=4$ წილის ფორმულას. ქართულ ანბანში რიგითი და ანბანური სათვალავით „წილი“-ს საიდუმლო ფორმულაც იგივეა:

31. წილ-ი 4.000

თუ 31 და 4.000 ერთეულებში გადავიყვანეთ, რაც პითაგორასული მოძღვრების ერთერთი ძირითადი კანონია, ქართული ანბანის „წილი“-ის რიგითი და ანბანური სათვალავების შესაბამისობის გამო, ვდებულობთ ტოლობის იმავე ფორმულას:

$$3+1=4$$

ვეიქრობ. „წილ-ის“ ერთერთი საიდუმლოც ეს უნდა იყოს. მაგრამ არა ერთადერთი. „წილ-ის“ საიდუმლო მნიშვნელობის საბოლოო ამოცნობა ქართული ასომთავრული ანბანის შუის კალენდარული სისტემის ამოცნობის გარეშე შეუძლებელია.

ამგვარად, ზემოთ განვიხილეთ ქართული ასომთავრული ანბანის მთვარის კალენდარული სისტემის ოთხი სხვადასხვა ასპექტი. უოველი ასპექტი იძლევა მთვარის ქართული კალენდარის ერთდივივე სისტემას, კერძოდ მთვარის თვის შეიდ-დღიანი კვირების სისტემას.

ქართული ასომთავრული ანბანის მთვარის კალენდარული სისტემით მთვარის თვე ოთხი კერაა, ე. ი. 28 დღე-ღამეა, რომელსაც რიგ-

რიგობით ერთი ან ორი დღე ერწყმტება (ე. ი. $28+1=29$ და $28+2=30$). **სიზღაღირსებას** ქართული მთვარის კალენდარი ჰველი აღმოსავლეთის მთვარის კალენდარული სისტემაა. არსებობს ქართული ასომთავრული ანბანის მთვარის კალენდარული სისტემის კიდევ ერთი, მე-4 ასპექტი.

V. მთვარის კალენდარული დღეებისა და შეიდ-დღიანი კვირების ათვლა, როგორც ჩანს, ხდებოდა ქართული ასომთავრული ასონიშების რიგითი სათვალავით. თვლა იწყებოდა ანბანის პირველი ასონიშით, ხოლო მთავრდებოდა 28-ე „ცან“ ასონიშით ან 30-ე „ძილ“ ასონიშით. ქართული ასომთავრული ასონიშების რიგით სათვლავს, როგორც ჩანს, კალენდარული მნიშვნელობა ჰქონდა.

ახლა ქართული ასომთავრული ანბანის შუის კალენდარული სისტემა განვიხილოთ.

შეჯამებები

¹ იხ. F. Ginzel, Handbuch der mathematischen und technischen Chronologie I, გვ. 70—75.

² Cyrus H. Gordon. The accidental invention of the phonemic alphabet. Near Eastern Studies.

ტომი 29, № 3, ჩიკაგო, 1970 წ. გვ. 197.

³ გურამ შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, თბილისი, 1972 წ. გვ. 125.

⁴ თეიმურაზი, ისტორია დაწვებითგან ივერისა ე. ი. ვიორგისა, სპ; 1848 წ; გვ. 116.

⁵ ს. რ. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ნაწ. 1, თბ. 1906 წ; გვ. 74.

⁶ ივანე ყავაშიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ; 1949 წ. გვ. 234.

⁷ Г. А. Гурев. Системы Мира от древнейших времен до наших дней. М., 1950 წ. თავი VIII — Пифагорейская система мира. გვ. 80.

⁸ С. Н. Трубецкой. Собрание сочинений, т. III. М., 1910 წ. გვ. 191.

⁹ С. Н. Gordon. His name is «One». Near Eastern Studies. ჩიკაგო, 1970 წ. № 3, გვ. 198, 199.

□ ბაგრძიშვილი იმედიანი □



გომრები გოზალიშვილი

ფიქრები „ღიგენის აკრიტასის“ ი რ ბ ვ ლ ი ვ

ბიზანტიის ვრცელი იმპერიის საზღვრებში მოქცეული აღმოსავლეთის რაიონების მოსახლეობა ძირითადად არაბერძნებისაგან შედგებოდა. ამიტომაც ამ რაიონების მოსახლეობაში მუდამ ტრიალებდა ბიზანტიის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების განწყობილება, რაც დაძაბულ მდგომარეობას ქმნიდა. მდგომარეობა უფრო გამძაფრდა არაბების ძლიერპოლიტიკის შემდეგ, რაც, თუმცა ღიგენის ასურელის დროს (VIII ს.) შენედა, მაგრამ არაბთა საფრთხე ამით საბოლოოდ თავიდან აცილებული არ იყო. ისინი კიდევ კარგა ხანს აწუხებდნენ თავიანთი მოულოდნელი თავდასხმებით ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებს. აღნიშნული ვარშობა აიძულებდა, ერთი მხრივ, ბიზანტიის ხელისუფლებას და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთი პროვინციების მოსახლეობას მუდმივ შინა უფლებო თავდაცვითი ბრძოლებიანათვის. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცალკეულ პირთა სიმამაცესა და თავგანწირვას, რის თვალსაზრისით მაგალითები ზალბში ცხოველდა და მადლურების გამოძახილს მოეცა. ამის შედეგად, ზალბის წარმოდგენაში შეიქმნა მებრძოლის ტიპი, რომელიც იცავდა მშობლიურ საზღვრებს შემოტეულ მტერთაგან. ასეთმა ტიპმა შიღო და ხელწოდება „აკრიტას“ (ბერძნული სიტყვიდან აკროს — საზღვარი, კედელი). ასეთი ტიპები რიცხვი დროთა განმავლობაში გაიზარდა. მთიარველი ახზავდნენ ზალბურ ხოტბა-ლექებს — აკრიტასებს. ამგვარი ლექსების საფუძველზე ბიზანტიაში შეიქმნა ერთი ასეთი ტიპის შესახებ პერსონიფიკირებული მოეტური თბრო.

მოემის მთავარი გმირის სახელია ბასილა დიგენის აკრიტასი. „დიგენისი“ აკრეთვე შერქმეული სახელია და ნიშნავს „ორმაგად“, „ორჯერ“ შობილს. ასე ეწოდება მას, რადგან პოემის მიხედვით, იგი მამის მხრით მამამდიანია, დედის მხრით კი — ქრისტიანია.

მოემში მოთხრობილია ბასილი დიგენის აკრიტასის უჩვეულო ხაგმარო საქმეები, რაც მას ჩაუღენია გარეშე მტრებისა და შინაურ პორტოქმედთა წინააღმდეგ.

დიგენისთვის ცნობილია მოემის ტექსტის რამდენიმე ზღაპრული. პირველი მთავანი აღმოჩნდა ტრაპიზონის ერთ-ერთ მონასტერში 1868 წ. და გამოქვეყნებულია 1875 წ., ზღაპრული XVI საუკუნით თარიღდება და შეიცავს 3185 ტაქსს. იმავე ხანებში კენძულ ანდროსზე აღმოჩნდა მოემის მეორე ზღაპრული რომელიც ანდროსის ვერსიით არის ცნობილი იგი ტრაპიზონის ზღაპრების ზანისად ითვლება და 4778 ტაქსს შეიცავს. ამას მოჰყვა რომი მახლობლად, გროტა-ფერატის მონასტერში პოემის ახალი ვერსიის აღმოჩენა, რომელიც XIV საუკუნის განეყოფნება და 2448 ტაქსს შეეყვლია. ცნობილია, აკრეთვე, ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცული ზღაპრული, რომელიც XVII საუკუნით თარიღდება და შეე 2004 ტაქსა წარმოადგენილი.

ამ ზღაპრების აღმოჩენამდე აკრიტასი ცნობილი იყო პონტო-კაპადოკიის ზალბში ფართოდ გავრცელებული ზალბური შიარ-სამდურების საშუალებით, რომელთა საფუძველზეც, როგორც შევნიერებო ფიქრობენ, შეიქმნა მოემი!

მოემის მიხედვით: „დიგენისი“ აკრიტასი... მოემის შექმნის დროის შესახებ შევნიერ...

თავან სხვადასხვა ვარაუდი იყო გამოთქმული, მაგრამ აზრი უფრო იკითხვენ იხრება, რომ იგი IX-X საუკუნეების ძველად უნდა ჩაითვალოს. ს. უაუხნიშვილის თქმით: „პოემა „დიდების აკრიტას“ შექმნილია IX-X საუკუნეებში, მაგრამ ამის შემდეგ იგი მუშავდებოდა, მას ემატებოდა ახალ-ახალი ეპიზოდები“.² ა. სირკინის წიგნისათვის რედაქციის მიერ წამოღებული მოკლე წერილი ნათქვამია: „პოემა დიდების აკრიტასზე, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე უფრო გვიანდელი რამდენიმე ვარიანტით, როგორც ჩანს, შექმნილი უნდა იყოს თავისი პირვანდელი რედაქციით X საუკუნეში“ (გვ. 5). ამასთანავე, პოემა გავერუღი, როგორც „ფეოდალური-არისტოკრატიული მწერლობის ძეგლი, რომელიც ასახავს IX-X საუკუნეთა ფეოდალური წარების ზრახვებს“.³

მაგრამ პოემის ძირითადი საკითხები: ავტორის სადღეობა-ვიწიობა, შინაარსის მიზანდასახულობისა და აგრეთვე იმ ეთნიკური გარემოს შესახებ, სადაც შეიქმნა იგი, ჭრჭრებით გადაწყვეტილი არ არის.

ა. სირკინი თავის ერთ გამოკვლევაში წერს: „...ძველის შესწავლის ირგვლივ აღმოცენებულ პრობლემათაგან მხოლოდ მცირედი არ იწვევს სერიოზულ დებას. „დიდების აკრიტასის“ მნიშვნელოვან პრობლემათა უმეტესობა კი, ასე თუ ისე კამათის საგნად არის ქცეული“.⁴

შეიძლება ითქვას, ყველაზე ძირითადი საკითხია, თუ ბიზანტიის იმპერიის რომელ რეგიონში და რომელ ეთნიკურ გარემოს მასალის სუბსტრატზეა შექმნილი პოემა „დიდების აკრიტას“. იგი მინდელია, როგორც „...ბერძნული ეპოსის ერთგვარად ერთადერთი ძეგლი, რომელიც ბერძნულ ენაზე შეიქმნა პომეროსის შემდეგ“.

პოემის შინაარსი არ იძლევა საჭიარის კონკრეტულ მასალას საიმისოდ, რომ უფროწინად გადაიჭრას საკითხი, რომელ ეთნიკურ გარემოში შეიძლება იყოს იგი შექმნილი. ამ უფრო კრებითი ხასიათის მასალა მოცემული, სადაც მცირე აზრის სხვადასხვა რაიონების მნიშვნელოვანი ამბები და პერსონაჟებია გამოყენებული. საქმეს განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ, სირკინის სწორი დასკვნით, პოემაში: „...ისტორიული სინამდვილე განუარტლად ჩაქსოვილია გამოგონილით“. აგრეთვე, არაფრის გარკვევითა და დაბეჭდებით თქმა არ შეიძლება პოემის გმირთა ისტორიულ პიროვნებებთან გაიკვებოს შესახებ.

იმისდა მიუხედავად, რომ პოემის ირგვლივ უკვე ბლომად მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურა, აღნიშნული საკითხები საბოლოოდ მაინც გადაწყვეტილი არ არის. ამ წერილს მიზანია, წარმოადგინოს ზოგი მასალა და მსჯელობა, რომელთა გათვალისწინებამაც შეიძლე-

ბა ერთგვარად ხელი შეუწყოს პოემის ირგვლივ წარმოებულ მუშაობის წარმტყნებს.

კარგა ხნის წინათ ფრანგმა მეცნიერმა ა. გრეგუარის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ პოემა პავლიკიანელთა წრიდან მომდინარეობს, უარყოფილია ახალი დროის მეცნიერთაგან. ა. სირკინი აღნიშნავს, რომ გრეგუარის თეორია „...ვერს პოულობს დადასტურებას ძველი ბერძნულ ტექსტებში“. მეორე იდეალს კი გადაჭრით ამბობს: „...ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პოემა სპეციფიკურ პავლიკიანურს არაფერს შეიცავს... თუკი პავლიკიანელებს მიუღებელი იქნება რამე მონაწილეობა ბიზანტიური ეპოსის შექმნაში, „დიდების აკრიტასის“ ჩვენთვის ცნობილი ტექსტის არ იძლევა არავითარ საფუძველს ამისათვის, რომ შეიძლება მსჯელობა ამ მონაწილეობის ხარისხზე“.⁵

თავის სხვა ნაშრომში ა. სირკინი კვლავ ხაზს უსვამს, რომ „დიდების აკრიტასში“ სრულებით არ მოიპოვება, სპეციფიკური, პავლიკიანელობისათვის დამახასიათებელი რამე“.⁶ უფრო მეტიც, „...პოემა არ იძლევა არავითარ საფუძველს იმისათვის, რომ ჩაითვალოს პავლიკიანობასთან რამენიარად დაკავშირებულად“ (გვ. 205), ამბობს ა. სირკინი პოემის ავტორზე.

როგორც ეტყვიანთ, სირკინი უარყოფს პავლიკიანურ ეტიმებას არა მხოლოდ პოემაში, არამედ საერთოდ ბიზანტიურ ეპოსში... და სირკინს კი დაეჭვება, რადგან დიდი ხანია პოემის შინაარსი მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენს. მას იგი ყოველ მხრავ დეტალურად აქვს შეწვდილი ამ პრობლემისადმი მიძღვნილ არა ერთ ნაშრომში.⁷ ა. სირკინი გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას, რომელიც ადრე ჰქონდა გამოთქმული (1960 წელს) და შემდეგში უფრო დაზუსტა: „ჩვენთვის ცნობილი ვერსიები ლაპარაკობს იმაზე, რომ პოემის ავტორი ცხოვრობდა მცირე აზიაში, სხვებით შესაძლებელია — კაპადოკიაში, იგი ამ ედევნებს იმპერიის აღმოსავლეთის ხასაღერო თემთა, განსაკუთრებით კაპადოკიის, კარგ ცოდნას“ (Поэма о Дигенисе Акрите, გვ. 204). მართალია, ეს მოსაზრება ზოგადად ხასიათის შთაბეჭდილებასა სტოვებს, მაგრამ ამით ა. სირკინი ძალიან ახლოს მივიდა იმ სინამდვილესთან, რომელიც დაკონკრეტებს მოითხოვს.

დაახლოებით ანალოგიური შეხედულებისაა ს. უაუხნიშვილი, რომლის აზრითაც: „...ბიზანტიური პოემა დიდების აკრიტასზე შეთხზულია ბიზანტიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე მდებარეობდა, და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელთა თანამონაწილეობითაც“ (ს. უაუხნიშვილი, ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია, 183).

ს. უაუხნიშვილს თავისი მოსაზრების საფუძველად „შინაარსის“ რამდენიმე ბიზანტიის

აღმოსავლეთი საზღვრების ამბებს ეხება; ქალღმის თემი, კაპადოკია, ტრაპიზონი, — აი, ის ტერიტორია, სადაც პოემაში აღწერილი ეპიკოსები ზღვება; იგი მთლიანად გაუღწეოდა აღმოსავლური ელემენტებით" (იქვე). აქაც სინამდვილე ძალიან ზედშესაზღვრად არის მოცემული, მაგრამ ჭერ კადეე არის სათქმელი, ამ დებულების საბაზოოდ დაკონკრეტება-განსამტკიცებლად.

როგორც ზემოთ ითქვა, პოემის შინაარსი არ იმდენა საქმარის კონკრეტულ მასალას საინისოდ, რომ უყოყმანოდ გადაიჭრას საკითხი, თუ რომელ რეგიონსა და ეთნიკურ სამყაროში შეიძლება იყოს იგი შექმნილი. როგორც მოსალოდნელი იყო ეპიკურ ნაწარმოებში, აქ უფრო ნაყრები მასალა მოცემული, სადაც მცირე აზიის სხვადასხვა რაიონების მნიშვნელოვანი აზიები და პერსონაჟებია გამოყენებული.

ის გაჩნდება, რომ მოქმედება ძირითადად კაპადოკიის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, შეიძლება არ იყოს ურყევი საბუთი და მასალა იმისათვის, რომ გადაჭრით ხასიათის ვარაუდი აღმოცენდეს ძველის გარკვეულ ეთნიკურ სამყაროში შექმნის შესახებ, რადგან კაპადოკიაში, ქართველ ტომებთან ერთად, სხვადასხვა ეთნიკური ელემენტები ბინადრობდა, თუმცა მის, განსაკუთრებით კი ტრაპიზონის ოლქის, ძირითად მოსახლეობას სწორედ ქართველი ტომები შეადგენდნენ.

მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ამ მასალაში გარკვეულად სჭარბობს კაპადოკიური, და პოემის შინაარსის მთავარი ფაბულა, სწორედ კაპადოკიურ სამყაროში არსებულ ვითარებაზე უნდა იყოს ამოზრდილი. ამის მანიშნებელი მასალა საქმოდ მოიპოვება პოემის შინაარსში.

პოემაში უდავოდ ამოიკითხება ერთი ფრაზა მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ: ერთი მხრივ, მითითებულია ცენტრი იმ გეოგრაფიულ არსი, სადაც იგი აღმოცენდა და ძირითადი მოქმედება მიმდინარეობს; მეორე მხრივ, ხაზი აქვს გასმული იმას, რომ აქ მთავარი მოქმედებები ეთნიკური ელემენტის კაპადოკიელები წარმოადგენენ. პოემაში ძირითადი მოქმედი პირნი კაპადოკიის მკვიდრნი არიან, დაწვრილები აკრიტასის წინაპრებთან, ხოლო თუი მთავარი გმირი აკრიტასი უვლევან იხსენიება როგორც კაპადოკიელი.

ამირა ნადირობის დროს ჰელავს ღომს და უბრძანებს თავის ეშა მზღებლებს, დააძრონ მხეც კბილები, აგრეთვე მარჭვენა თათის ბრქუალები, რომლებიც მან, რომანიაში დაბრუნებისას, უნდა აჩუქოს... „თავის უმწვენიერეს ძეს, სახელვან კაპადოკიელს, დიგენის აკრიტასს“ (ა. სიციხის თარგმანით: «Прекраснейшему сыну. Каппадокийцу, славному Акрату Дигенису»).

მართალია, აკრიტასი სხვა ადგილას იწოდებ: დიგენისად (ორმაგად შობილად) [ἰδιόγενής, რომ არ შეი იყო იგი დედით, ხრამს ἰδιόγενής, რომ მართი (წ. IV, სტრ. 50-51), მაგრამ ამ შემთხვევაში აკრიტასის დედის არა ეთნიკური შთამომავლობა აღნიშნული, არამედ მისი რომელების (ბიზანტიელით) ქვეშევრდომობა მითითებული. პონტო-კაპადოკიის „რომელების“ სახელწოდებით მოხსენიება „არა თუ ამ ძველის შექმნის ხანაში, არამედ გაცილებით გვიან, XIX საუკუნეშიც კი ჭერ იხვე ცოცხალი იყო მცირე აზიელ ბერძენთა შეგნებაში. პაპადოპულოკერასიუსი გვაუწყებს: „იგენ თეთროს, როდესაც 1884 წელს ვიყავით ზღვიდან ძალიან დიდად დაშორებულ სოფელ სოლოხენაში, განცვიფრებულმა მოვისმინეთ, წერა-კითხვის უყოღინარი სოფელი, რომელსაც ზღვა არასოდეს უნახავს, როგორც იხსენიებდა ტრაპიზონის სახელქთან სამეფო დედაქალაქად, ჰოლო მთელ ეპარქიას კი იხსენიებდა არა თურქული სახელწოდებით, არამედ მის უწოდებდა რომანიაში, რომ პოემაში რომანია ბიზანტიის სახელმწიფოს (იმპერიის) აღსანიშნავად არის ნაშვარი და მას ეთნიკური შინაარსი არა აქვს, ამის მაგალითია პოემის ის ადგილი, სადაც მოხსენიებულია, ამირას მიერ დეკა საგვარეულოს ასულის მოტაცებასთან დაკავშირებით, სირიის ამირას რომანიაში დაშქრობაზე; იქ ნათქვამია, რომ ამირა „შეიგნა რომანიაში; აიღო არა მცირედი ციხენი, პერაკელთა მიწა-წყალი“ (წ. IV, სტრ. 40-48). აქაც რომანია ზოგადი პოლიტიკური ტერმინია, ხოლო ის ქვეყანა, საიდანაც ამირამ ასული გაიტაცა, არის კაპადოკიელები ის მიწა-წყალი.

სხვათა შორის ეს უაღრესად საინტერესო მითითება დეკათა საგვარეულოს სადავრობისა და ადგილსაცხვარისის, აგრეთვე, აღბათ, ეთნიკური წარმომავლობის შესახებაც. იქ ხომ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ამირამ დაარბია, ააოხრა კაპადოკიელთა მიწა-წყალი ზარსინი და „დეკათა საგვარეულოდან გაიტაცა მშვენიერი ასული“ (წ. IV, სტრ. 41-42). მასა-სადამე, ზარსინი, კაპადოკიის ცენტრალური რაიონი, არის დეკათა საგვარეულოს საცხოვრისი.

არ უნდა შეგვაფიქროს იმ გარემოებამ, რომ ცოტა ქვემოთ აკრიტასი მოხსენებულია როგორც „ეთილშობილი რომეების ტომის ნაშვირი“, რადგან აქ ეს შედეგია ბიზანტიური სამყაროს არსებულ საქაროსთან დაპირისპირებისა და უშუალოდ ეთნიკურ მომენტის აღნიშვნასთან არ არის დაკავშირებული. მთი უმეტეს, რომ სხვა ადგილას იგი მოხსენებულია როგორც „კაპადოკიელთა მშვენიერი (მომწავრებელი) შთამომავალი“ (წ. VII, სტრ. 2), და მკვეთრად აქვს ხაზი გასმული სწორედ

ეთიკურ მომენტს, ამასთანავე, ხარისხი-
ლებს სხვა ადგილასაც იწოდებინ კაპადო-
კიელებად (წ. VIII, სტრ. 204). აქ მოთხ-
რობილია აკრიტასისა და მისი შვილების (კაპა-
დოკიელი დეკას ასულის) ერთდროულად გარ-
დაცვალების გამო (აკრიტასის ვაჟს მიხბა შე-
უღღამე — როგორც ეთერში აბსალიომს, დაკ-
ლა თავი) სხვადასხვა კუთხიდან ხალხის თავის
მოყარვზე, სადაც ხარისხიანი კაპადოკიელები მ-
სობრავად არიან.

რომანია და რომაელი (რომეი) რომ ზოგად
გეოგრაფიული (პოლიტიკური) ცნებად იმხარე-
ბოდა და არა ეთნიკური შინაარსის, ამა ისიც
ადასტურებს, რომ დიგენის აკრიტასის დედა —
დეკათა საგვარეულოს წევრა, რომელიც არის
შეიშობილი თვით გმირისა, ვაჟი იქნეილი
კაპადოკიელებსა (წ. III, სტრ. 116) —
პოემის სხვა ადგილას იწოდება რომელიად (წ.
III, სტრ. 157). როდესაც ამირა, დედის ვედ-
რების უფლებებზე უფრო, ვადაწევებს
დაბრუნდეს უკან, თავის საცოფესთან,
„რომანიაში“ (წ. III, სტრ. 208), მისი მშობე-
ლნიც უფინით აცხადებენ სურვილს მასთან
ერთად წავიდნენ „რომანიაში“ (წ. III, სტრ.
239). „რომანიის“ მიმართულებით ერთად წა-
მოსულნი მადიწვენენ „კაპადოკიის ქვეყნებს“
(სტრ. 247-248). როგორც უნდა იქვეც, ხარ-
ხიანი, აგრეთვე იწოდება „კაპადოკიელთა ქვე-
ყნად“ (წ. IV, სტრ. 42).

აქედან აშკარად ჩანს „რომანიის“ ზოგადი
მნიშვნელობა. მართალია, ერთ ადგილას ამირა-
ზე ნათქვამია, რომ „იგი მშვენიერად ფლობდა
რომელად ენას“ (წ. I, სტრ. 116), მაგრამ აქ
იგულისხმება რომეების სახელმწიფოში (ბიზან-
ტიაში) საერთო სახმარი ბერძნული ენა და
ამ შემთხვევაში ის არ არის ცალკეული ეთნი-
კური მომენტის მარჯვენელი.

ჩვენ ერთი დეტალიც ვარკვეული მანიშ-
ნებელი იყოს: აკრიტას დიგენის სტანკავდა სი-
ნდისის ქვეყნა სიპატეში არაბეთის ტრამა-
ლებში მიქნურის მიერ მოტყვებული მომხიბ-
ლავი სილაშაის ასულთან ჩაღნილი უნებური
შეცდომის გამო, და, რათა ამით გამოწვეული
სედა შეეზღუებინა, თავის ცოლას გან-
იდობს არა სხვა ვინმეს, არამედ, რაც ბუნებრი-
ვია, თავისსავე თანამომხე-თანამემამულეს, თა-
ნატომს კაპადოკიელს (წ. V, სტრ. 18).

აქაც ხაზი უნდა ბქონდეს გახშილი აკრი-
ტასის კაპადოკიური ეთნიკური ელემენტისად-
მი (რაც ქართული ეთნიკური სამყაროსათვის
ესოდენ მახლობელი იყო) კუთვნილებას.

დეკების საგვარეულოს ადილობრივი, კა-
პადოკიური შთამომავლობისა და დიგენისისა და
დეკების ნათესაობის მიუწევებელი მასალაც
მოიპოვება პოემში.

ამირას მიერ მოტყვებული დის გამოსახნე-
ლად მახული ზუთი ძმა ამირას შევიხივავზე

უხსენებს, რომ მათი მამა კინამადების გვარის
შთამომავალია, ხოლო დედა — მუდგანს სხვა-
რეულოსი, რომელსაც წინამძღვრ — მუდგანს
ტანტონე პარკელი (წ. I, სტრ. 266-267).

ამ ცნობის მიხედვით, დეკას საგვარეულო
ადგილობრივი, კაპადოკიურია.

დეკების შთამომავლად იხსენიება აგრეთვე
დიგენის აკრიტასი მის მომავალ მუდგანსთან
ერთად (რომელიც, პოემის მიხედვით, დეკას
საგვარეულოს ახულია). კაბუკის მიერ მოქა-
დობილი ქალწული ეუბნება მას: თუ შენ ხარ
ბასილი, აკრიტას დიგენისი... მაშ, ჩვენ ნათესა-
ვები ვყოფილვართ. — ჩვენ ხომ დეკების
შთამომავალი ვართო (წ. IV, სტრ. 324-326).

ეს მომენტიც იმას უნდა მიუთითებდეს, რომ
საგვარეულო დეკა ადილობრივი კაპადოკიუ-
რი ეთნიკური სამყაროს წარწლია, რადგან, რო-
გორც უნდა ვნახეთ, დიგენის აკრიტასი კაპა-
დოკიელია ტომობრივი შთამომავლობით. დი-
გენისისა და მისი საპატარძლოს ნათესაობა:
სწორედ ამ ტომობრივ ნათესაობას გულისხ-
მობს.

შეიძლება არც ის იყოს უყურადღებოდ და-
სატოვებელი, რომ პოემის გმირის ნამდვილი სა-
ხელია ბასილი: მას, ახლად დაბადებულს, ბასი-
ლი უწოდებ, შემდგომში დიგენისი მიუმატებს
ორმავა შთამომავლობის (ადგილს ქრისტიანს,
მამით მუსლიმანის) გამო. შერე კა, გამოწვეული
გმირობისათვის, კვლავ მიუმატებს სახალხო გმი-
რის აღმნიშვნელი ეპითეტი აკრიტას. მამაკაცის
სახელი ბასილი ვარკვევებულად იყო კაპადოკი-
ელთა ეთნიკურ სამყაროში.

დეკას საგვარეულოს მსგავსი ადილობრი-
ვი კაპადოკიურ-ქართული ეთნიკური სამყა-
როდან გამოსული ძლიერი საგვარეულოები აქ
სხვაც უნდა უოფილიყო, რის განსაკუთრებულ
თვალსაზრის დადასტურებასაც წარმოადგება
საგვარეულო ვაზრა.

როგორც ცნობილია, ეს საგვარეულო მრ-
ვალიციხოვანი იყო და ამ რეგიონის პოლი-
ტიკურ ცხოვრებაში ფრიად თვალსაზრის
როლს ასრულებდა.

ამ საგვარეულოს ერთ-ერთ მსვეურზე,
თეოდორეზე ანა კომნენე ვაღმოვკვეძებს, რომ
მისმა მამამ, ალექსი კომნენოსმა, ეს თეოდორე
ვაზრა დანიშნა ტრაპიზონის დეკად, რომ „ეს
ქალაქი წინათ თვით ვაზრამ წართვა თურ-
ქებს... ვაზრა წარმოშობით ქალღიადი იყო!“...
ხოლო თავისი გონიერებით და მამაცობით
უფელას სჭობდა და აიძობდა დაიხსახურა გამო-
წენილი მეომრის სახელად. მუდამ ყველა მოწი-
ნაღმდეგებს სძლედა და თვით ტრაპეზუნდი
რომ აიღო და როგორც საყუთარა წილებდარი
მოიხიოს, უძლეველი ვაზრა“ (ანა კომნენე,
VIII, 9, ს. უაზნიშეილი, გეორგიკა, VII,
23-11).11

შემდგომში ანა კომნენოსმა თეოდორეს შეი-

ლა გრიგოლი ღანიშნა ტრაპიზონის დუკად (1108-4 წ.). უფრო გვიან კი, ამ თანამდებობაზე ეხედებოდა ახალ პირს — კონსტანტინე ვაბრას. ვაბრათა წინაპარი შოთაშაველიძენ კალდისი, კლდონისა და მათი მეზობელი რაიონებიდან, თ. უსპენსკის თქმით, თეოდორე ვაბრამ ქალაქის ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეერბილი ძალებით ხელთ იგდო ტრაპიზონი და მას დამოუკიდებლად განაგებდა.¹² ისტორიკოსი ვიორგო პაზიშერი გვამყვებს, რომ „ვაბრა ნამდვილი ღანი იყო“.¹³

ქალაქის დღესაც ძალიან უფორმა ვაერცე-ლებული გვარი ვაბრას და ვაბრძღეს.¹⁴

თუ რამდენად რეალურია მცარე აზიის ვარკვეული რაიონების უძველესი მოსახლეობისა და ქართველ ტომთა ეთნიკური იგივეობა-ნათესაობის შესახებ ლებულება, რასაც პაზიშერის მცირე რეალიაც — „ვაბრა ღანი“ უდგოდ ადასტურებს, მოწმობს თანამედროვე სინამდვილეს.

უფროდ „მნათობის“ 1872 წ. მერვე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „კომუნისთა დანახტის ეთნიკური წარმომავლობის საკითხისათვის“, სადაც ვაბრას საგვარეულოზე ვრცლად მაქვს საუბარი.

უფროდის გამოსვლიდან რამდენიმე ხანის შემდეგ მივიღე პროფ. მ. შენგელიას წერილი, რომელიც მწერს: „...ვაბრას კლდობა იმპერატორ იწვევს, თქვენ მოგვაცო ამ გვარის დღევანდელი ფორმა. მაგალითად: ვაბრძღე, ვაბრძღელი. ეს მართალია, მაგრამ სამეგრელოში არსებობს პირდაპირ ეს გვარი — ვაბრავას სახით. ოღონდ საქმე ის არის, რომ „ვა“ დაბოლოების მეტრული გვარები მხოლოდ იწერებიან „ვაითი“, თორემ გამოითქმებიან „ეას“ ვარეშე. მაგ: კანკა (კანკავა), ქაწქლა (ქაწქლავა), ცუშლა (ცუშლავა), რიჯვა (რიჯავა) და ა. შ.

ლ. ქიანელის „გვადი ბაგვა“ ავტორმა დაასათურა ვვარის ძველმეტრული ფორმით. თორემ ამჟამად ეს გვარი ბიგვაჯად იწერება, ავტორმა ამით ხაზი გაუსვა ამ გვარის ხალხურ გამოთქმას, საბჭოელის კლდორიტს. მის ნამდვილ ძველ ფორმას. ამჟამად, ამო მსგავსად, სამეგრელოში ბევრია ვვარი ვაბრა (იგივე ვაბრავა). ისინი ცხოვრობენ სოფ. ზეთაში 100-მდე კომლი (ზუგდიდის რაიონი). ერთ-ერთ ვაბრავას, სტუდენტს ველაპარაკე ამას წინათ და მოხბრა, ჩვენ ტრაპიზონის (თურქეთის ღანიტანის) ვაბრების მონათესავენი და შოთაშაველები ვართო. მათ ვვარში იყიან, რომ მათი წინაპრები „ვაბრები“ შეუდები იყვნენ ტრაპიზონში და ა. შ.

თურქეთის ღანიტანში ამჟამად ძალიან ბევრი არის ზენი ვვარისა და სხვა. თბილისი, 27 X-72“.

აკო ლიუბარსკის მოწმობითაც, იქ ვაერცე-ლებულია ვაბრას ვვარი. ღუყა: საგვარეულო-ზე ამ ამქვეშე, როგორც ვაბრას ვვარზე უდღეს

დადგურთ ღანიტანში შეიძლება ნაღრევი იყოს, მაგრამ ამ საგვარეულოს ვაერცელები (ქართველ) ეთნიკურა საშუალებადმე ქვეყნებდების ვარაუდი რეალობას მოყლებული არა ჩანს.

თუ ღუყას საგვარეულოს ადგილობრივ (კაპადოკიურ) ელემენტად მივიჩნევდით, მაშინ უფრო განმტკიცდებოდა აზრი პოემა „ღიგენის აკრატასის“ შინაარსის ძირითად მასალად ადგილობრივი-კაპადოკიური სუბსტრატის გამოყენებას შესახებ, რადგან ფაბულის ძირითადი გმირის წინაპარი კაპადოკიის ხელისუფალია: კაპადოკიისა, რომელიც ძველში მოხსენებულია რომანიის ნაწილად (11, სტრ. 102). სწორედ ამ ღუყას საგვარეულოს შეიძლება არიან დიგენისიკა და მისი საცოლეს, რომელიც ეუბნება მას, როგორც ზემოთ ითქვა, რომ მე და მენ: ნთესახები ვართ, რადგან ღუყების შოთაშაველნი ვართ.

ხოლო იქ, სადაც ღანიტანია დიგენისის წინაპარზე, ნათქვამია, რომ მისი ბებია ღუყების ოქაბოდა იყო. მართალია, დიგენისის პაპად დასახელებულია კინაზაღების საგვარეულოს წევრი, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის არის, რომ ღუყათა საგვარეულო მოსინას ადგილობრივ წარჩინებულ საგვარეულოდ.

ამავე ადგილობრივ ეთნიკურ წრეშია საგულისხმებელი ამჟონ ქალ მაქსიმოს მეომართა შორის უმრავლესი მედიკოსისი (წ. I, სტრ. 427, 472, 488), რომელსაც მაქსიმო ავალებს მოიყვანოს ანელათა მესვეურის ფილოქანის დასამარებლად მაქსიმოს ღაშქრიდან 100 რჩეული მეტროლი. ხოლო ამჟონთა და ანელატთა გაერთიანებული ღაშქრის წინამძღოლი თავისთან პირველ რიგში იაბლებს მედიკოსს, ამ უყანასყენელის რომელიც ისტორიულ პიროვნებასთან ოდენტოციტირების ცდას შედეგი არ მოჰყოლია.¹⁵ უფრო ადრე ვით ა. სირკინს უშედეგოდვე უცდია დეკავშირება იგი ერთ სოჭეს ისტორიული პიროვნების — მედიკოსის სახელთან, მაგრამ მასვე არ მიანიჭა ეს დამაქრებლად. ამასთანავე, იგი სინტერესო ცნობას გვაწვდის: „საქარაო მხედველობაში გვკონდებს, რომ სახელი შეუდგენილია ეხლაც გვხვდება მცირეაზიულ ონომასტიკაში. ანტ, დღემდე არსებობს ანტიკვაროზის მიდამოებში მომთაბარე ტომი, რომელსაც ეწოდება მედენმოდლუ (შელეშენის შეილება). ამასთანავე, ჩვენ არა ვვაქვს საფუძველი ვამტიკოთ, რომ ეს სახელი უნათოდ ზემოთ მოხსენებული მედიკოსისაგან მომდინარეობს“¹⁶.

ძველი არ უნდა იყოს იმის დანახვა, რომ ზევს წინაშე გათურქებული (თურქულის მიხედვით გადკეთებული) რომელიღაც არათურქული ვვარი. — შეიძლება ითქვას, იგი პირდაპირ თარგმნილია და ნიშნავს მედენმოდის შეილს. — ძეს — შე ე ღ ე მ ი ძ ე ს და იგი ქარ-

თულია აშკარად. აშკარად, ეს მელემიძის (ქართულად მელემიძე ან მელიმიძე) ამჟინ მაქსიმოს ლაშქრის მესვეურის (სარდალს), ადგილობრივი კაპადოკიური (ქართული) მოსახლეობის შთამომავალი ჩანს. და რომ ეს ასეა, რომ იგი ადგილობრივ ეთნიკურ ელემენტს განეკუთვნება და არა ბერძნულს, ეს თვით ძველშია დადასტურებული.

აქ მოთხრობილია შემდეგი ეპიზოდი: როდესაც ამჟინთა და აბელატის გავრთიანებული ლაშქარი ვაქსართა, რათა დიკენისისათვის საცოლედ წაერთმიათ და იგი ფილოპასის ვაჟისათვის მოეპოვებინათ, მოუბლოკდნენ კლდეს, რომლის თავსაც საღარაჭოდ იყო გასული თვით აკრატისი. მის დანახვზე, ფილოპასმა უთხრა მელემიძეს, რომ ეს ის კაცია, რომელითაჲც მისი ბრძოლა მოუხდებოთ, მაგრამ რადგან იცნობს მას გვირობას, ამიტომ მათან პირისპირ შეხმას ნუ გაბედავთო. ეს რჩევა მოიწონა კანამმა (ფილოპასის მეორე ვაჟმა), მაგრამ წეროშით უყვარდო მელემიძესმა. მან უპასუხა ფილოპასს, რომ იგი მისი რჩევის მიღებით თავს არ შეირცხვენს და უწინ ათას ჰტერზე მარტო მიხვდელია, ეხლაც დახმარებას არ საკიროებს.

მერე ნათქვამია, რომ მელემიძისი არ გაჰყვა მოხუცის რჩევას, რომ ცბიერება გამოეყენებინათ, რადგან „მოელი ბარბაროსთა მოდგმა უნდობლობით არის აღსავსე“ (წ. VI, სტრ. 429). ე. ი. მელემიძისი არ ენდო ფილოპასს, მანასადაჲ, მელემიძისი ბარბაროსთა და მარტოლად, მელემიძეს, თუნდაც მელემენტესს, როგორც სხვადასხვა ვარიანტებშია მოცემული (უფრო სწორი უნდა იყოს პირველი ფორმა, რომელსაც ტრაპიზონული ვარიანტი შეიცავს) — ბერძნულად გამოთქმული ქართული გვარი არ არის, როგორც, მაგალითად, ფარტაქეს — ფარტაქე? ან ქართულ გვარებსაც ამის მსგავსადვე არ აკეთებდნენ რუსულ უილაზე-როგორც მაგ. Чавчаваძეს და სხვა? XIX საუკუნეში რუსეთში ცნობილი იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის სოლომონ ჩაშაძის შვილი, მუსიკოსი Размаძის.

ნათქვამის მიხედვით, შესაძლებელი უნდა იყოს ძველში მოხსენებული ერთ-ერთი თვალსაზრისი გვირი, რომელსაც თვით წყარო იხსენიებს როგორც უშიშარს („უშიშარი მელიმიძისი“, წ. VI, სტრ. 420), — გაგებულ იქნას როგორც კაპადოკიური მოსახლე ქართული ეთნიკური სამყაროს შთამომავალი. მელემიძეს სავარაუდოდ, შესაძლებელია, ისეთივე შრავალ-რიცხოვანი და მძლავრი იყო, — რაზედაც მტკიცელებს ა. სირკინის მიერ მოწოდებული ცნობა, სადაც მელემიძისადგენ სავარაუდოდ მოხსენებულია როგორც — ΠΑΕΜΑ. — როგორც ჩვენთვის ცნობილი იქნა ქართული სავარაუდოებები: გაბრა, კანახიტები, კომახიტები,

კავახიტები, კომენოსები და კლუბოუსტები-ზიც. ამთვან კანახიტებზე უკვე მტკიცებულა კავახიტები, რომელთა შთამომავლნიც არიან დღევანდელი კანახიტები, კომახიცი — კომახიცი — კომახიტები, კავახიტები, ოუ რა წამყვან როლს ასრულებდნენ კაპადოკიის სამყაროს — განსაკუთრებით კი ტრაპიზონის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვრცლად არის გადმოცემული აუგემიკოსის თ. უსპენსკის შრომაში очерки из истории Трапезунтской империи, (გვ. 110-128, იხ. აგრეთვე გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტიკელი, თბ: 1963, გვ. 198-200).

მოსახლეობის ეთნიკური ფრაგმენტის გარკვევის ასპექტში მნიშვნელობა აქვს კიდევ ერთ მომენტს.

პოემში მოთხრობილია, რომ აბელატის ცხოველთა მტაცებელი, ბორცოქოქმედი მებრძოლი ბრძოების ბელადის ვასილიანოსის, როგორც წემით იყო ნათქვამი, ჰქონია სურვილი შეერთო დუკას ასული, მაგრამ მოასწრო მის დიკენის აკრატისმა. ბელადი ფილოპასი ამირებს ბრძოლით მოუპოვოს ვაჟს საცოლედ და დახმარების სათხოვნელად მიემგზავრება ანაქონს (ამოქმად) ქალ მაქსიმოსთან (წ. IV, სტრ. 415-420).

ა. სირკინის კომენტარით, მაქსიმოს სახით „...პოემშია გამოყვანილია სხვადასხვა ხალხის ეპიკური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მებრძოლი ქალწულის სახე“ 17.

მაგრამ აქ შეიძლება სხვა მოსაზრებაც გარდევს.

საუფრადებოა, რომ ფილოპასი მოუწოდებს, რათა მაქსიმომ აღმოუჩინოს დახმარება იონაციის: „თუ მას არ სურს დივიწყის თავისი ძვირფასი ნათესავი“ (წ. VI, სტრ. 418). ხოლო როდესაც ერთობლივი ბრძოლისათვის შეიყარა აბელატთა და მაქსიმოს ლაშქარი, მაშინ მაქსიმო ხიზარულით გამოეცხა აბელატებს: „ახათვი სცა, როგორც მოკავშირეებსა და ახლო ნათესავებს“ (წ. VI, 454).

ამგვარად, ამჟინები და აბელატები ახლო ნათესავები არიან. მაგრამ პოემის სიტყვით, ამჟინები შთამომავლნი არიან იმ ამჟინ ქალებებისა, რომლებიც აღექსნდნენ მაკედონელ ბრახმანთა მხარეებიდან მოუყვანია (წ. VI, სტრ. 455-457). რადგან აღექსნდნენ მხოლოდ ქალეზი მოუყვანია (ამჟინთა სახით), ხოლო ამჟინები, როგორც ცნობილია, ვაჟების ხალხი შთამომავლობას არ იჩენდნენ, ამიტომ აბელატები სისხლით, ტომით ნათესავები ვერ იქნებოდნენ ამჟინთათვის.

აქ საქმე უნდა გვექნოდეს იმ რემინისცენციასთან, რომელიც კაპადოკიის მოსახლეობის ადგილობრივ წარმომავლობის გადმოცემათაჲს არის დაკავშირებული და რასაც დიკენდარულ ხალხობრივ გახვეულის გადმოცემაში ძველი პოეტმა როგორც „პართოდ მოღებულთა, ამჟინ ქალწულების მოსახლეობის“ მიხედვით, მტკიც-

ტორად ზღის — თერმოლონტის მიდამოებია მიჩნეული. მასხადაძე, მაქსიმე ამპონი სწორედ აქაური პერსონაჟია. აქელატებიც ადგილობრივ ელემენტს წარმოადგენენ. მკორე აზიის ამ რაიონების მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხებენ ლეგენდები, რომელიც უშუალოდ ქ. სინოპის მოსახლეობის წარმომადგენლებს არის დაკავშირებული, მოთხრობილია, რომ აზოპის ასულ სინოპთან (რომლის სახელთანაც, ვითომდა დაკავშირებულია ქ. სინოპის სახელწოდებაც), სარკელის გაზიარება მოუსურვებია ჯერ ზევსს, მერე აპოლონს და ბოლოს მდ. ჰლისის.18 ლეგენდის მიხედვით, ვერცერთ მოტარფიანებს სურვილი ვერ შეუძრულებია, თუცა პლუტარქის მოწმობით, ქალაქი ჰეოფენებით აპოლონისა და სინოპს შთამომავალი.¹⁹

ამგვარად, აზოპის ასულს შთამომავლობა მიიწეოდა და რადგანაც აპოლონი უფრო გვიანდელი მოვლენაა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აპოლონი და ჰლის-ჰალისელი კაადოკიელი ჰაბუკი ერთი და იგივე პერსონაა. ჰალისელი ჰაბუკი, რომელიც მდ. ჰლისის სახით არის პერსონიფიცირებული (როგორც ეს ლეგენდას შეეფერება), ბერძენთა ფანტაზიაში აპოლონთან გაიგავდა, შით უმეტეს, რომ ბერძენებს აპოლონი აღმოსავლეთიდან აქვთ შეთვისებული და ჰლისის ადგილი ადვილად შეეძლო დაეკავებინა აპოლონს. ქ. სინოპის მოსახლეობას ეთნიკური ნათესაობა უნდა ჰქონდეს მდ. ჰლისის ირგვლივ მოფენილ მოსახლეობასთან, რაც მხატვრული ფორმით არის ლეგენდაში არტყლილი. სწორედ ამ მომენტის რემინისცენცია უნდა წარმოადგენდეს მაქსიმოს და აქელატების ნათესაობის შესახებ შორეულ გამოქაბილს.

პოქსის შინაარსის ძველ კაადოკურ სამყაროსთან ორგანულ კავშირზე მიუთითებს აგრეთვე ზოგადი ბიოგრაფიული პუნქტის იქ მოხსენება, მაგ: II წ. 78 სტრ. სხვებთან ერთად მოხსენებულია ტიპონიში ჰექსაკომია, რომლის შესახებაც ა. სირკინის კომენტარში ნათქვამია, რომ ადგილის ასეთი სახელწოდება უცნობია და რომ სწორია უნდა იყოს პოქსის ტრაპიზონურ ვარიანტი ამ ადგილას მოხსენებული ჰექსაკომია.²⁰

ტრაპიზონის ვარიანტი ფიქსირებული ჰექსაკომია უნდა იყოს ადგილობრივი წარმომადგენლისა, რადგან ასეთი სახელწოდების პუნქტი სწორედ აქ არის ცნობილი. ამისათვის საკმარისია მოვიტანოთ შემდეგი.

საქართველოს შესახებ სტრაბონის ცნობებისათვის დართულ კომენტარებში თ. ყაუხჩიშვილი სათანადო ადგილას ამბობს: „ჰექსაკომეტები სკადების მწვერვალებში მცხოვრებ ტომს, რომელიც იგივე მოხინიებია... ივ. ჯავახიშვილის აზრით, ჰექსაკომეტები ხალხის სახელი არაა, ესენი მინდაც „შეიღობი“ ხოლმის

მცხოვრებლებს“ (თეთრ სედეზიცი-სევილიში, მეგრულად შეადრ). რასაც ადვანტიურებს სამავე რაიონში შემდეგი დროს *სტრაბონის* სახელწოდება „ეურანგია“, ჰექსაკომეტები ანუ შეიღობულენი მოხინიებები, ანუ მეგრულკენური შტოს წარმომადგენლები არიან.“²¹

როგორც ცნობილია, ტრაპიზონის ოლქის ძირითად მოსახლეობას იმთავითვე ქართული მოღვმის ტომები შეადგენდნენ, ხოლო მ. ფრუნზე ლაზებზე ამბობს. «Это главная масса сельского населения, всего юго-восточного турецкого Черноморья». М. В. Фрунзе. Собр. соч., т. 278.

ჰექსაკომიასთან ერთად, რაც გარკვეულად ძველ კაადოკურ-ქართულ სამყაროს ეუფენოდა, ყურადღებას აქცევს კაადოკიის სამხრეთ რაიონში მდებარე მეორე პუნქტი, თანამედროვე — მელეგოზი, რომელიც „ლეგენის აკრიტასში“ მოხსენებულია მელეგოპიადა; ორ სხვა ვარიანტში ოდნავ განსხვავებულია: ხოლო ტრაპიზონურ ვარიანტს ეს ადგილი აქვია.

სოფ. მელეგოზში უყანასკელ ხანებში ბერძნებს უცხოვრობთ, მაგრამ არსებული ცნობების მიხედვით, იგი უწინ დასახლებული ყოფილა კაადოკიელებით, რომელთა ნაწილიც და მათი ენის მხალაც უხვად წარმოადგენილი ნაწეს აქ გერმანელმა მეცნიერებმა ობერ-ჰუმერმა და ციმმერერმა თავიანთი მოგზაურობის დროს. ამ ავტორთა მოწმობით, მელეგოზსა და სინასოსში: „გაოცებთ ძველ კაადოკურ გამოქმთათა უდიდეს პროცენტს, რაც ბერძნულისათვის სრულიად უცნობა და მათ კავკასიის ხალხებისაყენ მიეჯავართ.“²²

ეს იქ ენის ნაშთია, რომელზეც, სტრაბონის მოწმობით, მეტყველება კაადოკიის მოსახლეობის ძირითადი მხაა (XII, 1). ამ მხას, იოსებ ფლავიოსის ცნობით, დაახლოებით პირველ საუკუნეში, მესხების მაგიერ ეწოდა კაადოკიელები. ხოლო ბერძნული ენის ახალი დროის მკვლევარს ა. კაროლინის სიტყვით, ის ენა, რომელზედაც სტრაბონის მოწმობით, მეტყველებდნენ კაადოკიელები, იქ ვახიზოდა ისტორიის მანძილზე, მაშინაც კი, როდესაც კაადოკიაში შეიჭრა და გაერყილება მათა ბერძნულმა, რომელმაც უშთავრესად ქალაქებში მოკიდა ფეხი და სხვაგან კი ავტობოთნი კაადოკიელები ან კაადოკურ ენაზე მეტყველებდნენ, ან კაადოკურისა და ბერძნულის ნარევი დიალექტზე (დაწერალებით გ. ვოზლიშვილი, ორი ეტიული პონტოსა და კაადოკიის წარსულიდან, გვ. 82-87).

იქნებ ასეთივე მნიშვნელობისა იყოს „ლეგენის აკრიტასში“ მოხსენებული ტიპონიში „ხალყურგია“ (წ. V, სტრ. 238), რაც ნიშნავს „სააღმოსავლეთის საბაღოს“. რომელიც, სირკინის აზრით, შეიძლება იგივე იყოს, რაც კაადოკიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე „ხალ-

ცვოს ტოპოგრაფია. ეს ადგილებზე იმავე ქან-
დაზების ძველი საცხოვრისი ოფო.

ამგვარად, კოვმის შინაარსი საკმაოდ თვალ-
საჩინოდ ავლენს კავშირს კანადოკიურ-ქარ-
თულ საშუარსთან.

ამვე დროს იქ მოიპოვება ისეთი მასალა,
რომელიც კანადოკიურს, და, შეიძლება, სა-
კუთრისე საქართველოსაც უკავშირ-
დება. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას
იპყრობს ძველში მოხსენებული წაღა.

წაღა — მამაკაცის უდიდანი ფეხსაცმელის
აღმასწავლებელ დღესაც იხმარება და იგი ქარ-
თული უოფისათვის დამახასიათებელი ჩანს.

აგათია სქოლასტიკოსი მოვეითბრობს, რომ,
ლაზიკის მეფის ვუბაზის მკვლელთა ვასანართ-
ლების შემდეგ, ლაზთა თხოვნის შესაბამისად,
იმპერატორმა იუსტინიანემ ლაზთა მეფედ და-
ამტკიცა, იმ დროს ბიზანტიაში მყოფი ვუბაზის
ძმა; წათე, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა
სამეფო ნიშნების კომპლექტით შემუშავდა. ამ
კომპლექტში მოიხსენიება აგრეთვე წითელი
წაღები (III, 15, ს. უაუხნიშვილი, გეორგია,
III, გვ. 84). ამასთანავე, წაღები მოხსენებულია
ბიზანტიურ სამხაროში მიღებული ბერძნული
სიტყვით „პედელა“, მაგრამ სხვა ტექსტებში
(შაღა და სხვა) გვხვდება „ცტაგა“. „დიგე-
ნის აკრიტასში“ კი იგი იწოდება ტც(ა)გავა-
დ ა. სარკიანის აზრით, ტცაგავა შეიძლება იყოს
წითელი ტყავის ფეხსაცმელი; ასეთ ფეხსაც-
მელს ატარებდნენ ბიზანტიის იმპერატორები
(ა. სარკიანი, იქვე, გვ. 193).

ერთი შეზღუდვითაც კი ცხადი ხდება, რომ
ბერძნული დაწერილობის ტც(ა)გავა — არის
ქართული წაღა... და საყურადღებოა, რომ იგი
ასეთად იხსენიება იმ ძველში, რომელიც კანა-
დოკიაში (ძველ ქართულ ტომთა საცხოვრის
ადგილას) უნდა იყოს შექმნილი ადგილობრა-
ვო მასალის სუბსტანსის გამოყენებით. ბიზან-
ტიურ ტექსტებში რომ ამ შემთხვევაში კომპ-
ლექსი ტც ქართულ ბგერა წ-ს გადმოგვცემს, ამას
ისიც მოწმობს, რომ იმავე ვარაუდების ლაზიკის
მეფის წათეს, სახელიც სწორად ახლა ვადმოცუ-
მული. ტაათოს, ტაათიოს ზილს ს. უაუხ-
ნიშვილმა ვაარკვია, რომ: „ძველ ბერძ-
ნულ აფრიატებში არ მოეპოვებოდა, მაგრამ
დღეი ხნის განმავლობაში სლავოტიკურთა ენა
გაურბოდა ახალი გრაფიკული კომპლექსის
შემოღებას... შემდეგ ბიზანტიურ ეპოქაში,
როდესაც ლიტერატურაში საზოგადოდ ხალ-
ხური ელემენტები შემოიჭრება, თანდათან ეთ-
ნობა ადგილი ახალ ასოთ კომპლექსებს და
ჩვენ ვხედავთ, რომ ბიზანტიელ მწერლებს შე-
მოიჭრება ტც(ა). რომელიც ერთ ვარაუდს ბგე-
რას კი არ გამოხატავს, არამედ ეჭვს სხვადას-
ხვას“ (ც. რ. წ. კ. შ. გეორგია, II, თბ: 1934,
გვ. 99-100, შენ. 1). მართლაც, წათეს მხვა-
ხად, ქანების სახელსაც ასე წერდნენ ტაათიო.
ს. უაუხნიშვილს სხვა ადგილას ისიც ვაარკვევ

ვითა აქვს მოქმედი, რომ ტც(ა)გავა ბერძნული
არ არის. იგი წერს: „ჩვენის ტც(ა)გავა
(შ. რ. ტც(ა)გავონ), იგივეა რაც ქართული წა-
ღები („წაღა“). ც. ი. ბერძნულ საღამაარაო ენას
ეს სასესტები აქვს“ („გეორგია“, III, გვ. 265).

რომ ტც(ა)გავა ტც(ა)გავა — ქართულ სამ-
უაროდან წარმოშობისა, ამას ისიც ამტკი-
ცებს, რომ იოანე მაღალა, აღწერს რა ბიზან-
ტიაში მეფედ ნაყროსსა და სამშობლოში გა-
მოგზავნილ ლაზიკის მეფის წათეს სამოსელს,
ამბობს: „...წაღები, რომელთაც იგი ატარებდა,
თავისი საყოფიარი ქვეყნიდან ჩამოტანა და
მარგალიტებით იყო შემკული“ (გეორგია, III,
1936, გვ. 264-265). ეს ადგილი, რომ წაღები
თავის ქვეყნიდან მქონდა ჩამოტანილი, ეჭვს
არ იწვევს, რომ წათეს თავის სამშობლოდან
ჩამოტანილი წაღები აქვებდა და იგი არ შედი-
ოდა ბიზანტიის იმპერატორისაგან მოქმედულ
სამეფო რეგალიების კომპლექტში. ამასვე იმე-
ორებს მეორე ბიზანტიური წყარო „სარონიკონ
პასხალე“ (VII საუკ.). სადაც წათეზე ნათქვა-
ნია: „მისი წაღები მისივე ქვეყნიდან ჩამოტა-
ნილი, წითელი ფერისა იყო, სპარსულ წესზე
მარგალიტებით შემკული“ (გეორგია, IV, 1940,
გვ. 12).

ორივე ამ შემთხვევაში წაღები მოიხსენიება
როგორც მამაკაცის ლაზურ-კოლხური სამოსის
თავისებური ნაწილი, რაც ბიზანტიაში ჩვეუ-
ლებრივ მოვლენად არ მოჩანს. ს. უაუხნიშვი-
ლის თქმით: „განსაკუთრებით მოწონება დამი-
სახურა ბიზანტიის სამეფო კარზე წათეს წა-
ღებმა, რომლის მიხედვით, ამიერდან სამეფო
კარის წევრები უკეთაოდნენ ხოლმე თავიანთ
ფეხსაცმელს“ (ს. უაუხნიშვილი, რას გვიამბობენ
ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ:
1964, გვ. 28).

შემდგომში წითელი წაღების ტარება ბიზან-
ტიის იმპერატორების მიერ მინიჭებული იქნა
როგორც მათი უწინაესობის პრეროგატივა,
და როგორც ბიზანტიელი ისტორიკოს გიორგი
პასხიერის გვაუწყებს, ბიზანტიის იმპერატორი
მიზელ პალეოლოგოსი /1255-1282/ ძალიან
ცდილობს ტრაპიზონის იმპერატორ იოანეს
ხელი ააღებინოს წითელი წაღების ხმარებაზე,
რაც მიზელს ბიზანტიის იმპერატორთა პრი-
ვილეგიად მიანიჭა. მაგრამ იოანე ჩიუტად უარ-
ზედა და აცხადებს, რომ მას არ შეუძლია ამაზე
ხელი ააღოს, მას საიმპერატორო რეგალიები
დამყვიდრებული აქვს წინაპართაგან და ამის
ნებას არ მოსცემენ მისი კარის წარჩინებულები
ც. ი. ადგილობრივი მოსახლეობის წარმომად-
გენლები.²³

ამგვარად, ტც(ა)გავა კიდევ ერთხელ მიუ-
თითებს იმ საშუარს, სადაც უთუოდ ჩაიხა-
ბა, „დიგენის აკრიტასის“ ლიტერატურული
სიუჟეტი... ამ დღემამტკიცებსაზრებებსა... კიდევ... ერთ...
მნიშვნელოვან ფაქტს... მისი... უცნაურ... უცნაურ...

პოემის სხვა რელიგიო-ფილოსოფიური შორის აღ-
სანიშნავია შემდეგი: დიკენის აკრიტასის მიერ
ქორწილის დღეს პატარძლის მშობლებისა და
მამლობელთაგან მიღებულ ძველ-სამწებებს
შორის მოხსენებულია, რომ სიღვიძრმა მას
უბოძა აგრეთვე ოქროს „კაბა(ღეს)“ (წ. IV,
სტრ. 928). ა. სირკინს იგი ნათარგმნი აქვს რუ-
გორც პლაშნი (გვ. 68), ზოლო კომენტარში უწი-
ერია: „კაბა(ღეს) ბიზანტიელების სამხედ-
რო სამოსი. რომელიც ფართო წამოსახმის
წარმოადგენდა“ (გვ. 203). თავის სხვა ნაშრომ-
ში კი, კაბაზე წერს: „ოქრომკედლი მოქარგუ-
ლი ფართო წამოსახმაში “და შენიშვნაში ამ-
ბობს: „როგორც ჩანს, სპარსულიდან მომდის
ნარეობს. შეად. სპარსული ხატვანი“ (ა. სირკი-
ნი, იქვე, გვ. 194).

ბერძნული ენის სპეციალურ ლექსიკონებში
ეს სიტყვა ამ ფორმით არ ჩანს. საუბრაღვე-
ბოა, რომ კაბა ქართულში არა მხოლოდ ქალის
ძირითადი სამოსია, არამედ იგი მაღალი
წოდების მამაკაცის სამოსიც არის. სწორედ
ასეთად არის იგი არა ერთხელ მოხსენებული
„ვეფხისტყაოსანში“. იქ ერთ შემთხვევეში
ტარიელზე ნათქვამია: „მას ტანსა კაბა ემოსა,
გარე თმა ვეფხის ტყეისა“ (ტაბი 88, კონს.
ჭიჭინაძის გამოცემა), ზოლო მიჯნურის შესა-
ხვედრად მოწავალი ავთანდილი „ადგა ... და
კაბა ჩაიცვა, მჭობი უოვლნა კრელისა“ (128).
ფატმანთან გატარებული ღამის შემდეგ საბა-
ნაოდ განწმადებულ ავთანდილს ფატმანმა
„უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდეები“
(1318). ზღვათა მეფემ ავთანდილსა და ფრი-
დონს უძღვნა: „თვითი კაბა თვალანი, უცხო
ფერთა შუთა მფენი“ (1507). კაბა მოხსენ-
ებულია აგრეთვე ტაბეშში: 520, 528, 705.

„ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ კაბასა და
დაეწინს აკრიტასის მიერ სიღვიძრისაგან მიღ-
ებულ კაბას შორის, რომელიც ოქრომკედლი
ყო მოქარგული, იგივეობის წიშნი შეიძლება
დაიხვას. ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ
კაბა წამოსახმაში კი არ უნდა უფილიყო,
როგორც ამას ა. სირკინი ვარაუდობს, არამედ
იგი ჩასაცმელაა. ავი „ვეფხისტყაოსანში“
ნათქვამია, რომ ტარიელს „ტანსა კაბა ემოსა“,
ზოლო ავთანდილმა „კაბა ჩაიცვა“. კაბა რომ
წამოსახმაში უფილიყო, შ. რუსთაველი მას
ასეთად წარმოგიდგენდა და არა ჩასაცმელად.

კაბა ხმარებული უნდა უფილიყო კაბა-
დოკიურ ქართულ სამუაროში და იქიდან არის
შესული პოემის შინაარსში.

კიდევ ერთი დეტალია საუბრაღვებო:

ა. სირკინის ერთ ნაშრომში ვკითხულობთ:
რომ, დიკენის აკრიტასი დათვებთან შერკინე-
ბის დროს იხსნის ქამარს (ბერძნულად „ჴონა-
რინი“, წ. 14, 114). ბერძ. სტარტეგოს დეკას

ასული გაღვიძებისას ღებმა დიკენიდან და
შემორტყამს ჴონარს („ჴონარინი“, იქვე, 487).

ქამარი თუ სარტყელი აღნიშნული ფორმით
არ ჩანს ბერძნულში. საფიქრებელია, რომ იგი
წარმომდგარია სიტყვიდან ჴონე — ქალის
ნარტყელი. შესაძლებელია, ამ სიტყვამ კაბა-
დოკიაში მოსახლე ბერძენთა შორის მიიღო
ასეთი სახე „ჴონარი“ და ამ შემთხვევაშიც
პოემის შინაარსში კაბადოკიურა ელშენტის
სიუხვეზე მიუთითებს, მაგრამ, ამასთანავე,
საუბრაღვებოა, რომ ჴონარს პირდაპირ
ეხმარება ქართულ სიტყვას ჴონარი, რომე-
ლიც დღესაც ფართოდ არის გავრცელებული
მთელ საქართველოში და აღნიშნავს არა უოვე-
ღვეარ ქამარ-ნარტყელს, არამედ ნაქოსს.
სულხან-საბა ორბელიანის უწერია: ჴონარი —
თითი ქსოლი. შეიძლება ეს სიტყვა კაბადო-
კიაში ბერძნულიდან იქონ შემოსული, მაგრამ
მას იქ ქართული ფორმა და იერი ჰქონია
მიღებული, იქიდან კი მთელ ქართულ სამ-
უაროში სახმარ სიტყვად ქცეულა.

განხილულ ასექტში ისიც მნიშვნელოვანია,
რომ, სხვა საუბრათა შორის, დიკენისმა
მიიღო აფხაზური სანადირო ფრინველები (წ.
IV, 905).

პოემის შინაარსში უბრაღვებას აუბრობს
ერთი თვალსაჩინო მომენტო. იქ, საზღვრების
დაცვასთან ერთად, წარმოადგენილია შინა-
წერბიგის დაცვის თემა. აკრიტასი, სავარტო
მტრების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად,
ებრძვის აგრეთვე ადგილობრივ, საშინაო
მტრებს, მავნებლებს — აელატებს. ეს გარე-
მოება შინაარსს გარკვეულად ადგილობრივ
კოლორიტს ანიჭებს: შინა წერბიგის დაცვა
უშთაგრესად ადგილობრივი მოსახლეობა უნდა
ყოფილიყო დაინტერესებული.

ზემოაღნიშნულის შემდეგ მართებულად
გვეჩვენება ა. სირკინის სავარაუდო მოსა-
ზრება, რომ პოემის ავტორი უნდა იქონ
კაბადოკიის მკვიდრი, თუ გავითვალისწინებთ.
რომ კაბადოკიის მოსახლეობა ბიზანტიის სახელ-
მწიფოებრივისა და საზოგადოებრივ ცხოვრე-
ბის დიდ როლს ასრულებდა IV საუკუ-
ნიდან მოყოლებული, შეიძლება შორს არ
ვიყოთ სინამდვილისგან, გაივიჩარებთ რა იმ
აზრს, რომ პოემა „დიკენის აკრიტასი“, რო-
გორც ის ჩვენამდეა მოსული, ერთი მთლიანი
ნაწარმოების სახით შეიკრა კაბადოკიურ
წიაღში, ადგილობრივი ავტორის მიერ, რომე-
ლმაც მის ხელთ არსებული ჴეპირისტევაო-
ბის მხალიდან შექმნა ერთიანი სიუეტურა
თსწულება, რომელშიც არეკლილია სხვადა-
სხვა ეპოქების ფაქტოლოგენები, თავის დრო-
ზე რომ უფილა შექებულ-დამღერებულ
ფოლკლორული ან ინდივიდუალურ ავტორ-
ული შემოქმედების გზით.

უანთუხვთი

1 დიგენის აკრიტ. პერვოდ, სტატი ნ კომენტარიი ა. ი. სურკინა, მ., 1960, გვ. 131.

2 ს. ყუხნიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963, გვ. 182.

3 ს. ყუხნიშვილი, ივე, გვ. 193.

4 Византийский Временник, XVII, А. Я. Сыркин, К истории изучения «Дигениса Акрита», გვ. 225.

5 А. Сыркин, Дигенис-Акрита, გვ. 142.

6 А. Сыркин, Поэма о Дигенисе Акрите, გვ. 103.

7 თუმცა ქურნალ „ვიზანტიისკი ვრემენნიკის“ 33-ე ნომერში გამოქვეყნებულ, 1971 წელს ერევანში შემდგარ მეცხრე საკავშირო ბიზანტიოლოგიური სესიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პოემა „დიგენის აკრიტის“ შექმნილია X საუკუნის ნახევარში დასავლეთ არმენიის გრეციაზირებულ მოსახლეობის წრეში და მისი შინაარსი მიხრითადად პავლიკიანელთა მოძრაობის გმირობის ხოტბაა“ (გვ. 262).

8 А. Сыркин, Дигенис Акрит წ V სტრ. 105-106. მიითთება ყველან ამ წიგნზეა, რადგან იგი ყველა ვარიანტთან შედარებული და ყველაზე უფრო ხელმისაწვდომია ამჟამად.

9 Пападопуло Керамевс, Сборник источников по истории Трапезундской империи, I. СПб, 1897. Предисловие, XIII. Записки историко-филологического факультета императорского С. Петерб. Университета. Часть сорок четвертая, 1897.

10. ტრაპიზონი ქალღიის მთავარი ქალაქი იყო. ივ. ჯავახიშვილის თქმით: „შავი ზღვის სანაპირო, ეხლანდელი ქანეთი, ანუ ლაზისტანი ეკუთვნოდა ქვეყანას „ქალღიისა“ მას უწოდებდნენ „ქვეყანასა ხალღისა“ (ქართული

ერის ისტორია, II, გვ. 64). ხოლო ამო თბილელის ცხოვრებაში ხალღის შესახებ ნათქვამია, რომ: „ტრაპეზუნტით მენ არს“ (ქ. ეკელიძე, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ; 1935, გვ. 66).

11 Я. Любарский, Анна Комнина, Александра. Вступительная статья, перевод и комментарий, გვ. 545.

12 Ф. Успенский, История Византийской империи, III, გვ. 600.

13. ს. ყუხნიშვილი, გეორგია, VII, გვ. 63.

14 Я. Любарский, Мит. შრ. გვ. 545.

15 А. Сыркин, Дигенис Акрит., გვ. 143.

16 А. Сыркин, Об историчности персонажей. «Дигениса Акрита», ქურნ. Византийский Временник XVIII, გვ. 147.

17 ა. სირკინი, დიგენის აკრიტას, გვ. 208.

18 ამოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ავ. ურუშაძის თარგმანი, თბ; 1948 წ; გვ. 99.

19. პლეტარქე, ლეკელესი, 23, ავ. ურუშაძის თარგმანი


20 წაითხვა ჰეპტაკომია უფრო გისაგებია, ვიდრე ჰექსაკომია, ვარაუდობენ, რომ ეს საზღვროღება დაკავშირებულია ჰეპტაკომიტების ტომთან, რომელიც ბინადრობდა სკირდისის მთავორიან ნაწილში, ტრაპიზონის სამხრეთით“.

А. Сыркин, Поэма о Дегенисе Акрите, გვ. 105.

21. თ. ყუხნიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 266.

22 R. Oberhummer und H. Zimmerer, Durch Syrien und Kleinasien. Berlin, 1899, გვ. 125.

23. გ. პაპიფერი, წ. III, თ. უსპენსკი, მით. შრ.; გვ. 68.



სოცხალი ხასიათები

„ქალაქი ადრე იღობებდა, გრილოდა, ტრამ-
ვაი გრუხუნით გამოგორდა პარკიდან და კონ-
დუქტორის მოლოდინში ცოტა ხნით შეჩერდა.
ვატმანი წაშოვდა, კიბის სახელურს ხელი ჩას-
ჭიდა და ვარეთ გაიხედა. კონდუქტორი არსა-
ზანდა. ნეტა რას აკეთებს ამდენ ხანსო, —
და ისევ სკამს დაუბრუნდა. ქუჩაში მანქანამ
ზოხინით ჩაიარა და წყლის მძლავრი ქველით
ასფალტი გადაარეცხა, ვამზარია ფოთლები წა-
ხვეტა და აატრიაკა“ — ასე იწყება კარლა
ტაბატაძის მოთხრობების ახალი კრებული „გა-
დაარჩენილი ხელადა“. ჩვენ იმითომ ამოვეყურეთ
ეს ადგილი, რომ თავისი დინამიკობით, უო-
ფითის სერიაობებით ადამიანის ხასიათის გამოყოფი-
ლებით, მკვრივი, მტკიცე ლიტერატურული
ქსოვილი მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს, სა-
ერთოდ, მწერლის სტილზე, თემის ორიგინა-
ლურ გააზრებასა და ყოველივე იმის ღრმად
კონცხზე, რაზედაც ავტორი მოვიხატობს.

„გადაარჩენილი ხელადა“ კ. ტაბატაძის მო-
თხრობების მეოთხე კრებულია. ლირიული
სიბოთა, დღი გულწრფელობით აღბეჭდილი
ფოთოვანი მოთხრობა. ისე მოედინებოდა
წყდება, თითქოს ცხოვრების ერთ პატარა კუთ-
ხეს წუთით, დარღვა ავება და უშედეგად დაეშვა...
თითქოს ამ სერიაში ცხოვრებისას მხოლოდ წა-
მიერად შევსდეთ თვალი.

ათოთუე გვერდს მოიცავს, მაგალითად,
მოთხრობა „სასიძო“, მაგრამ რამდენი აშბის და-
მტკიცეა იგი! ხსოვნაში დიდხანს გრჩებათ ხელგე-
დაყოფილი ძველი მშენა — ვატმანი, შველი-
შვილი რომ ავად გახდომია და წესს ან კონ-
დუქტორი, გასათხოვარი ქალიშვილის დედა,
ზოგიერთი თანამედროვე ახალგაზრდის შეშე-
რე, შიშით რომ ფიქრობს შვილის მომავალზე.
აქ დიდი ადგილი უკავია ახალგაზრდობის თემას,
საგანგებოთ — ახალგაზრდობის ფიციურთ პო-
ტენციალის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ეს
მზარე, ძალიან ხშირად, დამოუკიდებელ სიუ-
ჟეტურ ნაყოფში კი არაა გამოვლენებული, არა-
მედ ამბისა და პერსონაჟთა მოქმედების საერ-
თო დინამიკა. ერთი კმატვის უწყესო საქციელს
კმნდუქტორია აღფხავს. იმეჯავს ქაიოწარცხებულ
წამოაშბილამდე: „ნეთე ის არის, ნეთე ის

უნდა იყოს ბემი სიძე!“ ეს შემთხვევა ისე არ-
უვეს კონდუქტორის სულიერ წონისწორობას,
რომ დაახებლობა ოქახსაც გადაედო, დედა-
შვილს შუა გაუკვებობის მიზეზად იწყევა. ანა-
ლოგიურ ეპიზოდებში კარგადაა ნაჩვენებო პი-
როვნულისა და საზოგადოებრივის განყოფი-
ლობა.

დინამიური, სპარტი დიალოგები, ცოცხალი
სახეები და სერიაობები... აქ ყველა გმირს ხელ
ავ, თითქოს იცნობ, ბეჭეჭერ გინახავს, ვისა-
ბრია მათთან.

მოთხრობაში „თალიკო“ მწერალი გვიხატავს
სოფლის სიღამაზესა და მომზინებლობას. იგი
„წივეს შიტოვებელი სოფლის სეცდასა ყმა-
ვილკაცობას მიეტოვებოა სოფელი, ქალაქად
წასულან ფულიანი სამუშაოს საძებნელად. თა-
ლიკო ქორწინების პირველი დღეების შობაბეჭ-
დილებებშია იმ შობანი სიყვამილეთ არის ვა-
სხივისნებელი მისი შრომა, ყოველდღიური საქ-
მიანობა. ყანაში ერთად გამოსულან თალიკო და
ბერიკაცები. ბერიკაცებს ეცოდებოთ შინ მარტო
დარჩენილი ყმაწვილი ქალი. ქალს შორს წასუ-
ლი ქმარი გლანდება მარად და ყველგან... რა
გინდათ თქვენს კარ-მიდამოს, თქვენს ღამბ-
ოქახს. აქ სამუშაო ბეჭერია, სიამოვნებაც დი-
ლია და სიღამაზეც უხეოა ნუ შიტოვებთ სო-
ფელს, ოქახს — ასეთია ამ მოთხრობის აზრი.

მწერალი შორტალებით გვთავაზობს ცხო-
რების სერიაობებს. დავიკრებოა, ფიქრი და დან-
ეხია კი მკითხველისათვის მიუდღეოა.

სეცდამი ირონია აღბეჭდილი მოთხრობაში
„ქალი კოსმოსში“. სამაროქტო ინსტიტუტის
თანამშრომელს, დარბ ყმაწვილს, დედასთან
ერთად რომ ცხოვრობს ერთ პატარა ოთახში,
ვერა და ვერ გაუბედოდა კორექტორ მანანას
უფხრას. მომწონხარო. აშასობამი კი ქალი... გა-
ფრინდა კოსმოსში... არა, მეტე სითამამე. გაბე-
დულებოა საქარო, თორემ ყოყმანი წაახდენს
კაცს ძველებურად აღარ დამორცხვებს, ხელ
უეკოვოდ გამოტყუებოა მანანას სიყვარულში.
ან თინდა „გადამჩინელი ხელადა“ ავი-
ლოთ. აქო; იგივე სეცდაა. შიტოვებელი სოფ-
ლის სეცდა. სწყინს სერაფიონს, სწყინს სა-

ვლეს, რომ „მამაპატრი ხელობა დავიწყებას მივცა“.

თიხის „მოხელა“ — მამაპატრი ქოთნების, დოქების, ხელადების აღწერა — არ, რა იყო მათი ცხოვრების ხალისი. ახლა ეს ქოთნებსა და დოქებს უცხოელი ტურისტებია უიფლებოდნი საშუალებითი გეგმონანტებად. მაქსიმალურ ლაკონიკობამდეა დაყვანილი მოთხრობის სიტყვიერი ქსოვილი. უფრადღებას აქცევს ბენებრთი, დახვეწილი დიალოგი. შწერალს აქვს ლოგიკური მახვილის ხუსტი ალღო, ეს განსაკუთრებით იგრძნობა დიალოგში. დადი სიზუსტით სარგებლობს შწერალი დაუთავრებელ წინადადებათა სტილისტური შენაცვლებით. ზემოაგზილურ მოთხრობაში „სასიძო“ ვაჭმანი და კონდუქტორი ერთნაგვის ესაუბრებიან. კონდუქტორს აღეღვეს მგზავრო კაბუეების უტაქტი საქიეოლი, სიტლანქე. ამას იგი განსაკუთრებით მტკიუნეულად განიცდის, რადგან განსათხარი ქალიშვილის დედაა. ვატმანის სიტყვებზე: „რას იზამ, ბედს ვერსად გეცქევი, ისე კი, სიტრთხილუ გმართებს“, კონდუქტორი პასუხობს: „პე, ზოგ ახლავარდს რომ ვეუფრება...“ აქ ვედება სათქმელი, რადგან ვერავითარი სიტყვა ვერ გამოხატავს იმას, რაც ამ პატრში იგულისხმება.

აღამიანი ყოველგვარ საქმეში სრულყოფის უნდა ეძიებდეს ვანა ცოტა რამ ვეალებს, თუნდაც, დალაქს? ბავშვობიდანვე თავბედს ეიწყველიდიო. — ვეეებნება მოთხრობის გმირი, — დალაქები, როგორც უნდოდათ, ისე უჩიჯნიდნენ. ჩემი თავის დანახვა მეზარებოდა სარკეშიო... გაეილა ხანი. ეს კატი შწერალი ვაბა. დაწერა მოთხრობა. ამ მოთხრობას ზოგმა (იმ დალაქებით) თავი მოაცალა, ზოგმა ბოლო მოაკვეთა, ზოგმა შეაწაწილი და უთავბოლოდ ვარეგმელ თმას დაემსკავება მისი მოთხრობა, ავირედაქტორიც ასე ეუბნება: „შენი მოთხრობა ცუდად ვარეგმელ კაცს მავონებს, არც ისე ულანაზო კაცია, მავრამ ვარკაუებს და დაუთხრევეს. ვამონრდა მათლავებოვით უტრები, წაბარტყელეებური კევა. — რედაქტორი დამაცკვრდა, თითქოს ჩემი თავის ფორმა უნდა ვამოცნოსო და დამძინა: — შენი მოთხრობა ცუდი არ იქნებოდა, მავრამ...“ გუღღაფყვიტლ შწერალს ავონდებდა ის დალაქი, მისი ბავშვობის ქალათი. დიხა, ადამიანებოსაღში მეტი გულისყური, მეტო სხსათუთება საჭირო. სიტრთხილუ მართებს დალაქსაც. დიდი იქნება თუ პატარა საქმე, სრულყოფილიავენ სწრაფეა უნდა ასულდგმულეებდეს მას.

საქმისაღში გულმოდგინებით. მონდომებით და ვარჯის წყალობით, სამსახურში დაწინაურდა ბიენტი („ვაშოგენა“). ყველა ყველაფერს ზოხობს ბიენტის, ისიც ესმარება ყველას, მავრამ არავან ჰყავს მფდიერი. „არ უნდა ვამეციანა“. „მხარზე არ უნდა დამტრტვა ხელი“. ფტრობს ბიენტი, და ასე, თანდათან, იერს

იცვლის, თავის თავში უკეტება, ვეღწაფტრობილი ხდება.

და არ, ვთხზელ ერებზე. მეტად რიგონაღური პლაკატი მოიფიტრა: „ლიმილი ავრპაღლილი“, „ნათესაურა სითბო ავრპაღლილი“. ევება, ამ პლაკეტებს რომ მოიგონებს, კუეაზე მოეგოს, თორემ რა ვამოვიდა: ყველა სარგებლობს მისი თვემდაბლობით. სხვესს რაღა უნდა მოსთხოვოს, როცა ცოლიც კი თავზე დააქდა, აღარაფერი არ ერიდება და ბარად საკუთრებად ვაუხვია მისი სამსახურებრივი მანქანა. დიხა, უამალაკეტებოდ, ბიენტი უძღვრია შეებპროლოს თავს ადამიანერ სისუსტეს, ვარდაქმნას თავისი ხასიათი. ერახელ ქრთამიც კი შეაძლიეს და ამაზე მთლად ვადარია ბიენტი... მერე იმ პლაკეტებმა ვაბრახებმა თერამდაღეს. ბოლოა და ბოლოს, ბიენტი ვაიტაცა ამ ნახატმა. შეიყვალა მასი შინაგანი საყაროც და ვედარავინ სესხობდა ბიენტსაც. მას აღარც გული მოსულითა და რამეზე, აღარც ბრახობდა, აღარც უხაროდა რამე. ერთთავად სულ ის პლაკეტები ეღვა თვალწინ... ისინი ხან ვალიშებას უკრძალავდნენ, ხან ვაცივებებს და ასე თანდათან ჩატვა მას არსებაში ყოველგვარი ემოცია.

საგონებელში ჩავარდნილმა კოლმა შინ ექიმი მოიწვია და „ხატვა დაუღუპა“, უესჩიედა მას. ექიმი ტიშოთე ფსიქოპატრი ვახლდათ, მან ბიენტის ვამოუენა მოუფრო... ფსიქოპატრულ საავდმყოფოში. თეთრ, ქათობა დარბაზში შემოდოიენენ ლურჯბიამიანი თამაწეწილი, თვალრეველი დამფასებლები და, ამომრავდნენ უნოტოებოთ“, წეწუნებდნენ ისინი. აი, ბოლოს და ბოლოს, სამადმე მიიყვანა უნებისყოფობამ ჩინოფრეტი ბიენტი, მან ვერ ვაერღო ცხოვრების ვამოცუას.

ალეგორიული და რეალური პლანების ერთიანობით ვერადღებას იქცევს „ნო“, რელიეფურად ბიბლიური ფონის და საოცრად თანადროული მოთხრობა საზოგადოვრინი ცხოვრების ურყოფითი ტენდენციებზე, ადამიანთა მოვალეობასა და უფლებებზე. ავტორს მოძებნილი აქვს მორალურ მანიერებათა მხილება — დავკმობის ორიგინალური და ეფექტური ეუთხერ, რომელიც მოქალაქეობრივ — ლიტერატურული სიამამის შესაძლებლობას უქმნის. ძალიან ფასოვანია აქ იმ საზოგადოებებს სურათი, სადაც სიტყვას ღირსება დაუეარავს. შწერალს ბევრი საყურადღებო ეპიტი შემოაქვს თხრობაში, რაც ალიერებს მხილების პათოსს. უარსებობითი შტრწილად მინაგან დიალოგებსა და ქვეტექსტშია განსახიერებელი.

ნოეს პატიოსნება უნდოდა ექადგანა, მავრამ არავის სცალია მისთვის. ნოემ იცის, როგორ ატუებენ ვაქრები მდიდველებს, მავრამ ხმას არ იღებს, ისედაც ყველას თავისა მიეზღვება, ღმერთი დასჯისო მათ. ნოეს ყოიენით ხედვებთან ადამისქალის მოქალაქისის მართალია, მათი არაფრისა სტრატეგიაში ცოტად, კარა სი ცოტემ, ცენდუტობისაში

გრამ ქადაგების მოსმენა მაინც უყვართ. ამა, რა ქნან, უსაქმურები არიან, დღაბუტყობენ, პატრიარქს ათავაჯვარ საწოთირო კოთხეს უსვა- მენ და მერე ხარხარებენ... ეს დღეც ხომ უნდა მოჰქლან როგორმე. მაგრამ ამჯერად ნოემ კრი- კამშვრულმა ჩაუარა მათ. მთის ამწვანებულ ფერდობს აუყუა. იქ მწვეწმისი სალაშტის უტრა- ვედა და ესამოვნა ნოეს ეს სალაშტის სმა. ნოე ხალხს გაეცალა, ტაძარში განმარტოე- და; ერთხელ ნოეს იმ ტაძრის დასათავლი- ერებლად ტურისტო ვოვო-ბიშევა ესტუმრნენ. დათრგნენ ლინითა და კონიაკით, აიკლეს ყვე- ლაფერი, ნოეც დაათრგეს, აცეცეს... შეფთავს მთვარა ნოე... ღვთის საევედღრს აშობს, რად შეუშალე შენს მოდგმას ჭეუ-გონებათ. და ჰყვება უველა იმ ეოდვას, რაც ჭეუწნად ტრიალებს... და აი, ნოეს მეორედ მოსვლა ეზ- მანა. წარტენა დაიწყო. მას უნდა ხალხი გამო- ფიხილოს. წამობარბაცდება, ეჭვებება ზარს. ტურისტებმა საძილე ტომარებიდან წაიოშალნენ და შემდეგი სურათი წარმოუდგაჲ თვალწინ „თფთარ საეცელების ამბრა, თმავეწწწილი, ნოე ორივე ზელი ჩაფრენოდა თოქს და გამბრო- ტებელი თვალებით, გამჰაგებით სცემდა ზარს, ლითონის ელარუნი თანდათან ძლიერდებოდა, მკერივდებოდა და შემზარზენი ვრალით მიძი- ნებულ მთას და ჭალას ეხეტყებოდა“.

იქნებ ე. ტაბატაძის მოთხრობების ყველა- ზე დამახასიათებელი თვისება იყოს მათი ინტი- მური უშუალობა, სწორედ ამ ინტიმურობაშია, რომელიც ელირდება თხრობის მანერაში, პერ- სონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებაში, მოკლე- ნებისაღში, სიტუაციებიაღში მათ ურთიერთი- ბაშია რეალიზებული ეს თავისებური ლირიკე- ლობა და რომანტიკულობა.

ამ მოთხრობების ერთ უმთავრეს ღირსებად მიგვაჩნია ახალი სოფლის უფთო სურათები, რომლებშიც კოლორიტულადაა შეზავებული ტრადიციული და თანადროული.

სასამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მოკლე,

მოკვეთილი წინადადებებით თხრობა, რომელიც შედგმწველად მოიცავს, ისრუტყეს სდნაწყქისამ- ბის, მოყლენის სხედასხვა მარტანსი მარტანსი- სების მხატვრული ფუნქცია კი განუზომელია, რადგან ცხოვრება წერილმანებისაგან შედგება, ყველაფერი წერილმანებისაგან შედგება, წერი- ლმანების გარეშე არაფერი არ არსებობს, ყველაფრის დახასიათება ამ წერილმანების შემ- ნიწვის, განსაკუთრებით, საუკუელთოდ შეიწ- ვდომელია წერილმანების შემწნივის ზუსტად გადმოცემის, ორიგინალურად, თავისებურად აღწერას გულსხმობს.

ლიტერატურაში დეტალების შინაარსობრივ თავისებურებასა, აღწერის მანერასა, მათ მი- მართ დამოკიდებულებაში განსაკუთრებით ნათ- ლად მელანდება შემოქმედის თვითმყოფო ხასი- ათი, სამეაროსაღში მისი დამოკიდებულება. კა- რლო ტაბატაძის შტორე მოცულობის მოთხრო- ბაში კი იმდენი თავისებური, ორიგინალური დეტალია შემწნიელი და მხატვრულად წარმო- დგენილი, რომ ბევრ სქელტანინ რომანსაც უყოფოდა.

ე. ტაბატაძე წერს უბრალო აღმინათა უ- ველღღაურ ცხოვრებაზე. ეს ცხოვრება ჩვეუ- ლურივე ცხოვრებაა, მაგრამ ეს აღმინაები მარტივი აღმინაები როდი არიან, ან ეს ცხო- ვრება ბანაღღაურა როდღა პირიქით, იგი მდიდარ- ია ზოგჯერ ჩუმი, ძლიერ შესამწწვე კონფლი- ქტებით, წინაღმდეგობებით, ინტერესებით. გა- აჩნია თავისი საკუთარი რომანტიკა, თავისი მომხიბვლელობა, ესთეტიკური იერსახე. ის გა- მსკვალულაა უბრალო აღმინათა ცხოვრებისე- ული ოპტიმიზმით, აღმინაური ბუნების ამ უპოვებელი და განუყოფელი თვისებით. მყოხველს უფთოდ ამტომავ მოსწონს ე. ტაბატაძის მოთხრობები და მისი ეს კრებულოც სულ რაღაც ორიოდღ დღეში გაქრა წიგნის მალაზიების თაროებიდან.

ნუნუ ხომარიაძე

გარდასულ დღეთა გახსენება

არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენი საფე- ნის ვარკარეზე დაეაყავდნენ. გამოიარეს მთელი მისი ქარიშხალიანი დრო და მშვიდო- ბიან დღეებამდე მიადწიეს. რა არ უნახავთ ამ ადამიანებს, რა არ განუცდიათ, საიდან არ უბე- რავდათ ქარი! ყველაფერი მათი გადატანილია — რევოლუციამდელი ამბებიც, რევოლუციაც, ინტერესიცა და კინტრეკოლუციაც, ახალი ქვეყნის მშენებლობითი აღტყინება, დიდი სა- მამულო, ომის სამინდლებებიც, გამორტლ ბრძო- ლაც და ომის შემდგომი აღმშენებლობა და

წინვლა. ასეთი ადამიანები ჩვენი ცხოვრების ყველა ფრონტზე მოღვაწეობდნენ, მათ რთუ- ლი ვხა ვიარეს, რადგანაც, როგორც პოეტი იტყოდა, „ცხოვრებას ყველა ზვირთში ერი- ენენ“. სამჭოთა მწერლობის ეალი იყო და არის ამჯერო ადამიანების დახატვა. მრავალი ფარ- თოლანინი რომანი, მრავალსერიიანი კინოფი- ლმი თუ ტელუდადგმა გვიყვებიან ასეთ ად- მინებზე და მაინც განსაკუთრებით სასიხარუ- ლოა, როდესაც ვაქაუტრად ვაღმობდილი კა-

ცი, ნაშრომი, და ნაშრომდამდეგნი, თავის ცხოვრებაზე თვითონ მოვეითბრობს.

უბრალო და დინამიურა მისი თბრობა, თითქოს მხედარმა ცხენს სადავე მიუშვა და ისიც აუჩქარებლად ლეხს გასავლელ მანძილს. „დავინაბდე ახლანდელი ვანის რაიონში, სოფელსა-ლომინაოში, ჩემი დედ მამა მკვირე განათლების მქონე ადამიანები იყვნენ... როგორც დედამეცისაგან ვამიგონია და ნათესაუბნიდან მსმენია, მამას მემკვიდრეობით კარგი ადგილ-მამულეები რჩებოდა, მაგრამ მალე გაუნიაებოდა ცხენ-უნაგირისა და საერთოდ ისეთ ხელკაშლილ ცხოვრებაში, რაც არ შეეფერებოდა მის შემოსავალს. ოთხი წლისა ვიყავი, მამა რომ ვარდაიცვალა“.

— ასე იწყება სოციალისტური შრომის გმირის, აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის წიგნი „მოგონება“, რომელიც ამ სამი წლის წინ გამოსცა გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

მთელი წიგნი ისეა დაწერილი და ისე შეადგოდა მასში ადამიანები და მოვლენები გამოკვეთილი, რომ გვეჩვენება — სპეციფიკური ლიტერატურული ხერხებით რომ ვაკვივს მას მწერალი და შემოქმედებითად რომ ჩაერის, მკითხველის თვალწინ შესანიშნავი მხატვრული ტილო გადაიშლება, ნაწარმოები რომელშიც ნაჩვენები იქნება ქართველი ხალხის რამდენიმე თაობა — ცხრაასინი წლებიდან ჩვენი დრომდე. — როდესაც ასეთ ფიქრებს ვაკვირვს წიგნი, რომელიც სულაც არაა ამ მიზნით დაწერილი, ეს ამ წიგნის, მთხრობელის დიდი გამარჯვებაა.

კონსტანტინე ერისთავი 1900 წელს შეუყვანიათ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში. „ქალაქში წასვლამ და უცხო ბავშვებში ვარემ ამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სკოლაში გატარებული წლები სამუდამოდ დამრჩა მესივრებაში. ჩვენი მასწავლებლები კარგი პედაგოგები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. ისინი ცდილობდნენ აემიღებინათ ჩვენი საერთო განათლების დონე, ჩაენერგათ ერისა და სამშობლოს დიდი სიყვარული“. ქუთაისში სწავლის პერიოდიდან იწყება ის რთული გზა, რომელიც ამ დეაქლმოსილ მამულშივეს ვაუვლია. სათავადაზნაურო სკოლა... ქუთაისის ქართული გიმნაზია... ცხრაასინი წლებისათვის დამახასიათებელი არამდგრადი გარემო... ახალი სიო... ახალი იდეები... ქუთაისში რამდენიმე პოლიტიკური პარტია არსებობდა: სოციალ-დემოკრატიკი, ნაციონალ-დემოკრატიული და სხვ. რომელთა შორის, იდეოლოგიური ბრძოლა წარმოებდა, მაგრამ პოლიტიკური გამოხატულების და შედეგის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ისინი ერთიანდებოდნენ... პოლიცია აშკარა რეპ-

რესიებს ერიდებოდა და შენიღბულად მოქმედებდა. მაგალითად იმ პერიოდში მოკლეს ახალგაზრდა ნიჭიერი პროპაგანდისტის სტეპანოვი-ნაშვილი... ეს იყო აღიზანოვის მკინეარების პერიოდი... მასხოვე, ქუთაისში 1907 წელს ერთ კერა დღეს „კვი ვრკივი“ კადიოდა ლადო! მესობვილის მონაწილეობით... სანამ თვებრში შევიდოდიოთ ხმა ვავარდა „ილია ჭავჭავაძე მოუვლავო“. ახიხა და რარდა, გამოვლი კვი ვრკივის ტანსაცმელში ჩაკმული მესხიშვილი და განაცხადა: „წოწამერის ვზაზე მოკლეს საქართველოს დიდებმა ილია ჭავჭავაძე. წარბოდგენა გადაიდება“. მოსწავლეები თავზარდაცემული გამოფეფინეთ ვარეთ და დიდხანს ველარ დავიშალეთ“. ციტატების ეს ამონაწერები იმართომ მოგიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა თუ რა ვითარებაში ვალიბდებოდა მომავალი დიდი დასტაქარის სულერი საქარო, მისი შეგნება. კონსტანტინე ერისთავის ქუთაისში სწავლის პერიოდში მოხდა ცნობილი ფაქტი ქართული რევოლუციური მოძრაობის იტორიიდან — 37 პოლიტიკური პარტიის ქუთაისის ციხიდან გაპარვა. რევოლუციონერებმა ციხის ვალავის ქვეშ ვერაბი ვაზხარეს და ისე ვაპოვოდნენ საშვიდობოზე. ეს ადგილი ერთ-ერთი დრამატული ნაწილია კ. ერისთავის „მოგონებაში“ და არცაა გასაკვირი: ახალგაზრდა კ. ერისთავი ეზმარებოდა ციხიდან გამოქცეულებს, რომ ისინი საიმედოდ დამალულიყვნენ, ეზმარებოდა და-და რისკის ხარჯზე, თავდადებულად და გონებასამხვილურად.

ქუთაისის პერიოდში კ. ერისთავი წარჩინებულ სწავლის უხამებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მას თავის ორ ამხანაგთან ერთად დეუარსებოდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ვაზეთი „ვარსკვლავი“, რომელშიც აქტიურ პოლიტიკურ და სოციალურ საქმიანებას აშუქებდა. „ ვარდა ჩვენი ვაზეთისა სხვა ვაზეთებშიც ეთანამშრომლობდი. ეტრანალისტობით გატაცებულმა ვერც კი შეგნიშნე როგორ ვავიდა ერთი წელი.

მოახლოვდა ჩემი წასვლის დრო, ვავემგზავრე ქალაქ იურიევში (დღევანდელი ტარტუ), ჩავიბრუნე უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე... აქედან უკვე იწყება ჩემი ახალი ცხოვრება“. იურიევში სემინარიულების და უოფილი პოლიტიკური პარტიზების თავმოყრა სტუდენტთა პოლიტიკურ და რევოლუციურ აქტიუობას განაპირობებდა. კ. ერისთავი ამ მარქსისტული მიმდინარეობის „კავასიელ სტუდენტთა საზოგადოების“ თავდომარე და „რუს სტუდენტთა საზოგადოების“ გამკვეობის წევრად აურჩევიათ. იურიევში სწავლის პერიოდში კ. ერისთავმა თავი გამიჩინა, როგორც მარქსისტული იდეების მიმდევარმა და ამავე დროს როგორც ბეჩეთმა და უდარესად ნიჭიერმა სტუდენტმა უმსტანტინე ერისთავი-უკვენიშხეთში... (დემოკრატიული) იდეებში სინთ ად კოუ

ქრისტე, როგორც განსაკუთრებით გამოჩნეული, სხვა სამ სტუდენტთან ერთად სპარსეთში იგზავნება. აქ „მოსახლეობის კულტურული დონე ძალზე დაბალი იყო, მაგალითად, სპარსი მოგიყვანდა თავის ერთ-ერთ ცოლს და გეტყუოდა: რასაც ვინდა მოგცემ, ოქროში ჩავსვამ, ოღონდ ჩემს ცოლს მხოლოდ მაყა ვაუბნენ, მეტი არაფერი, და ისე მოარჩინეო“.

სპარსეთიდან კ. ერისთავი ისევ იტრივეში მიემგზავრება, ხოლო 1914 წლიდან იგი ახლად დაწყებულ ომში მონაწილეობს სამხედრო ეჭიმიად. ფრონტზე, პოსიტალებში გაწველმა მუშაობამ ბევრი რამ მისცა კ. ერისთავს როგორც ქართველს, აქ აიღო დასაბამი მისმა არაჩვეულებრივმა ხელოვნებამ და ქვეშაირტმა ქემანიზმმა.

„102-ე პოსიტალებში ძალზე ბევრი სამუშაო აღმოჩნდა, ყოველი მხრიდან მოჰყავდათ დაქრილები. აქ ხდებოდა ჭრილობების დამუშავება, კეთლებოდა ყოველგვარი ოპერაციები. გამოჯანმრთლებული ჯარისკაცები კვლავ წინა ხაზზე ბრუნდებოდნენ. ოპერაციებს ძირითადად მე და მახელოვსკი ვაკეთებდით როგორცობით... სამუშაო როგორც აღენიშნე, იმდენი იყო, რომ თითქმის დასასვენებელი დრო აღარ რჩებოდა. მე ძალიან კარგი სკოლა გავიარე ბურდენკოსა და ცხვე ფონ მანტიფელთან მუშაობის პერიოდში, ამან კი პოსიტალებში მუშაობისას განსაკუთრებით იჩინა თავი, ერთი წუთითაც არ ვტოვებდი მიმივ ავადმყოფს, ვიდრე მდგომარეობიდან არ გამოვიყვანდი, ჩემთვის მოსვენება არ იყო, სულ ავადმყოფზე ვფიქრობდი. რასაკვირველია ეს მოეწონათ პოსიტალებში და ბერზინს სწორად უთქვამს, მაგალითი ამ ქართველისაგან აიღეთო.“

1918 წლიდან კ. ერისთავი საქართველოშია იგი თბილისში, რკინიგზის საავადმყოფოში იწვევს მუშაობას. ამ დროს ხდება მის ცხოვრებაში ერთი უფალზე საინტერესო შემთხვევა. 1919 წელს იგი ოპერაციას უტოებს სამს გუგუქორს. „ერთ ღამეს, დაახლოებით პირველ საათზე, ჩემთან მოვიდნენ პეტრე ჯიანი და ელადიმერ გუგუქორი, და მთხოვეს ავადმყოფთან წავყოლოდი. მანქანით მიმიყვანეს შაუმიანის პოვდამდე და იქიდან ფეხით გავუშავეთ მილიკს. ღარიბულ ბინაში შევედი. ოთახში დგებოდა მწოლიარე ავადმყოფი, ახალგაზრდა ქალი და 8-9 წლის ვაჟი. მისალმების შემდეგ ავადმყოფმა შუა ზარდაყის არეში ნაამპლტაციები ფეხი მიჩვენა — კონაური ტყვი. ამ შემთხვევაში გამოსავალი იყო მხოლოდ ოპერაცია. გამოირკვა, რომ ეს იყო სამა გუგუქორი. ამის შესახებ მე წინასწარ არაფერი ვიცოდი, რასაკვირველია, მის წყევანს საავადმყოფოში დაპატრონებას ნიშნავდა, ამიტომაც იქნებოდა, ვეფხვე დედამამეშველმა ოპერაცია, ტინაზე, გამკაცრებინა, მხოლოდ ღამით

მართომ ვაუთყუე ფართო რეამენტაციას: ყოველ დღე, შუალამისა და დედამამეშველმა შეხვევაზე. სამა და მე ძალიან დამეფიქრებინა. ყოველ ღამე, როგორც მას სჩვეოდა, პურ-მარილით მხვდებოდა და თავის რევერენციურ თავდაბნაველებს მიყვებოდა“.

მენშევიეური მთავრობის დაშობის შემდეგ საქართველოში დიდი გაქანება მიეცა მრავალმხრივი სამეცნიერო ძალების მოღვაწეობას. საქართველოში დაბრუნდნენ გამოხდელი მეცნიერები, რომლებიც მანამდე რუსეთში მოღვაწეობდნენ. აქ, თბილისში უნივერსიტეტში მოიყარეს თავი ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან ივ. ჯავახიშვილი, პ. შელიაშვილი, ივ. ბერიტაშვილი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ვ. ახველიანი და ბევრმა სხვამ. ამავე დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მედიკოსები ივ. თაყაიძე, სპ. ვერსალაძე, ალ. ნათიშვილი, გრ. მუხაძე, ალ. მაჭავარიანი, ნ. კაციანი, ალ. აღადაშვილი და ბევრი სხვა. თუ აქამდე კ. ერისთავის მოღვაწეობა მეტწილად უფრო პრაქტიკული იყო, ახლა იგი მუშაობას იწვევს როგორც მეცნიერი და 1926 წელს იცავს კიდევაც დისერტაციას. აქედან მოყოლებული კ. ერისთავის პირადი კვლევებიც და საქმიანობაც აღმავლობის გზით მიდის. 1930 წელს მას ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1938 წელს იგი საქართველოს პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ამავე წელს კ. ერისთავი ინიშნება რკინიგზის საავადმყოფოს უფროს ექიმად. 1941 წელს კ. ერისთავი სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორად ინიშნება. 1965 წელს ავადმყოფის კონსტანტინე ერისთავის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

— ეს იყო ამთფიოხი კ. ერისთავის გმირული ცხოვრებისა, პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასა მისი ღვაწლი, უანგარო და თავდაზოგავი შრომა.

გულბრწყველობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ პატარა რეცენზიაში ჩაეტყუოდა ყველა ის ლირსშესანიშნავი ფაქტი, რომელიც პარტიულ-ტექნიკით ამკობს დიდი ქართველი დისტაქრის ცხოვრებას, ის კი არა და თვით „მოგონების“ ფურცლებიც ვერ იტყვენ მათ, თუ სპარსისა და თუ შათი ავტორის თავმდაბლობის გამო. კ. ერისთავი ცდილა თავისი „მოგონების“ ფურცლებზე მოკლედ და სიტყვატუნად ეამბა მკითხველისთვის თავისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.

კ. ერისთავის „მოგონება“ მხოლოდ ავტობიოგრაფიული ტიპის ნაწარმოებია როდია. „მოგონება“ შესასურრი სიხუსტით გვიხატავს ჩვენი სუფურის მრავალ საკვანძო პერიოდს და ვადმოგვაცემს თვითველი პერიოდისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. „მოგონება“

შეიცავს არა მარტო მრავალი ცნობილი პიროვნების უბრალო ჩამოთვლას, არამედ მათ ლაქონიურ და ზუსტ დახასიათებას. — რამდენიმე შტრიხით ავტორი თითქოს გვიხატავს მისთვის ახლობელი ადამიანების პორტრეტებს. მავალითისათვის შეიძლება აღინიშნოს 900-იანი წლების ქუთაისის დახასიათება. ავტორი ფსიქოლოგიური წყდომით გადმოგვცემს იმდროინდელი ქუთაისის ცხოვრებას, გვიხატავს ქუთაისურ ინტელიგენციას, რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას და პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებს. პროფესაუ ჩემი დროის ახალგაზრდებს ვეხები არ შეიძლება არ გაეხსენოთ ვალოდია მიაკოვსკი. ის კლასიკურ ვიმანიაში სწავლობდა, ვალოდია ძალიან ცოცხალი, მოწინავე მოწაფე იყო და შეიძლება ითქვას, შეუპოვარი და უშიშარი. ჩვენში არსებობდა ასეთი გამოთქმა — „ცხვირი რომ დააცვიზო, ვალოდიას გულ მოუფაო“. სწორედ ასეთი იყო ვალოდია მიაკოვსკი“.

ბატული თავისი ცხოვრების ტრაქტუს „გეგმობილ სტუდენტური მოძრაობები უკანა-გეგმობილ მეცნიერი მედიკოსები. თბრობა განსაკუთრებული ეპიური სიღინჯით და უმარავე საქმიანი ფაქტების მოტივით ვითარდება. როდესაც საქმე ეხება ე. ვრისთავის მოღვაწეობას ოპიანდ და ოპის შემდგომპერიოდში. აღვლი წარმოსადგენია თუ როგორი დამატული იქნებოდა ქართველ დასტაქართა ერთ-ერთი ლიდერის შრომა ამ დროს. ე. ვრისთავი უველგან გველინება როგორც უანგარო, უაღრესად კეთილშობილი და პრინციპული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. აწ გარდევნილ აკადემიკოსს კონსტანტინე ვრისთავს უთვოლ ღვაწლად უწადა ჩეთვალის შესანიშნავი წიგნის, „მოგონებების“ შექმნა. ამ წიგნის საშუალებით ქართველი მეთხველი დაინახავს თუ რა ღიღი შედინებრება ემსახურებოდე სამშობლოს, ხალხს, თუ როგორი სიხარულის მომგვრელია თავისი საქმის სიყვარული.

შესანიშნავად აქვს ე. ვრისთავს აგრეთვე და-

ბ. ჩიბაური

„მზა ღრუბლებში“

ეს მოქმედა. ავისმადწვებელი ღრუბლები უკუნ ღამესათით ჩამოაწვა დედამიწას. ზეცა დაბინდა. მზის სხივი აქა-იქ თუ გაკვეთდა სიზნელს, მაგრამ ქუთუი ღრუბლებ თავისი გაქონდა. უმზეო დღე იდგა ამქვეყნად...

სამკედრო-სასიკოცხლოდ შერკინებულ ადამიანებს დღისა და ღამის მონაცვლეობაც ვერ ჰყრიდა ერთმანეთისაგან.

დედამიწა ზანზარებდა, ყველა კუთხეში ისმოდა ეს ხმა. კენესოდა დედამიწა, კენესოდა და გოდებდა ადამიანი.

დედამიწას ისე ჰქონდა მეგრები დაფლეთილი; ისეთი ბელი ასდიოდა ნოტიო მიწსაც კი, რომ გვალვისაგან დამაშრული გეგონებოდათ.

მზე კი დედამიწამდე ვერ ატანდა.

უმზეო დღე იდგა ამქვეყნად...

საუკუნეების მანძილზე ომი ადამიანთა და ერების ბედის სასწორზე დადების ვინ ვის სკობნის ასპარეზად და სიზბოლოდ იქცა. გადიოდა წლები, გადიოდა საუკუნეები. ომები კვლავ ბოულობდნენ თავის გასასმართლებლად ობიექტურად ქვეულ სუბიექტურ მიზეზებს. ომი ომია. იქნება იგი თავდაცვითი თუ შეტევათი ომი. ყველა ომს ცრემლი და გოდება ახლავს თან. ყველა ომს მკვლელობის „ხოცვა-

ელტის, საკუთარი რაფინირებულ ხერხებს გაიწინა.

ასე იყო ყოველთვის.

ასე იყო ამ ომშიც.

მხოლოდ სხვა ომებისაგან განსხვავებით ერთი რამ მოხდა, ამერად ომმა ადამიანებს თავისი შესაძლებლობის და იმ დროისათვის ტექნიკური პროგრესისა და განვითარების ზენიტში მოუწარო და მისივე მოდემის შეიღმა ადამიანის, როგორც ბუნების ერთი ნაწილის, უთველნიარად გამოყენება იწყო: იგი იქცა უფასო სამუშაო ძალად. იქცა უფასო დაცინვის ობიექტად, უფრო მეტიც, ადამიანმა ადამიანს საზნარი ღირებულება შეანიჭა... და მერე როგორი საზიზღარი, დაიწყო ადამიანის კანის, ქონის, თმის და სხეულის ცალკეული ნაწილების წარმოება... ფაშისტურ გერმანიაში მთელი რიგი ინსტიტუტები ჩამოყალიბდა, რომლებიც ამ მიმართულებით სერაიზულ კვლევებივებს აწარმოებდნენ.

და დაიწყო გოლგოთა, ექვსწლიანი გოლგოთა, აჩნახული წამება, ტანჯვა. საკონცენტრაციო ბანაკებით მოიფინა მთელი გერმანიის კონტინენტი, მაგრამ ბანაკები ტყვეებს მაინც ვერ იტევდა. ყველა ერთგების ხალხი აღმოჩნდა დამნაშავე და სიკვდილმსიკილი, ბრალმდებელი კი ერთადერთი ვრი — ფაშისტური ბრთვა. მიზეზი კი უცნობი. თბმეცა რატომ უცნობი არსებობდა მხოლოდ ერთი „ლოგიკური სანბობა“ —

გორაკი ქავთარაძე. „მზე ღრუბლებში“, „სახლითა საქართველო“, 1974.

გერმანელი ერის უზიარებლობა სხვა ერებთან შედარებით, მათი „ზედამიანობა“ და ყოველსაშემსრულებლობა.

ოქს უმარავე დაუწერელი კანონი აქვს, თავისი სტეკილური თუ ღრმა დილოსოფიური საწყისები, მაგრამ არსებობს ერთადერთი კვამარტება — მველულობა ცოდვია, ე. ი. არაკვაკვა.

ამიტომ ყოველთვის საინტერესოა ოქსის მონაწილე ადამიანის მოსმენა, თუ როგორ აღიჭვამს თეოთხილველი ოქსი, აქვს თუ არა მას სურვილი კვამარტება ობიექტურად გაარკვეოს და ოქსის ნამდვილი სახე გვიჩვენოს?!

ახლა უკვე ვეულისათვის ნათელია, რომ ეკობრაობის თავზე დატვილი ვერავითარი „ლუთის რისხვა“ და „ზებუნებრივი ძალა“ ვერ ანადგურებს და აწანავებს ადამიანებს, როგორც ამას ომი აცემს.

ეს რომ გუარკვეოთ, ამიტომ უნდა მიმოვიხილოთ გიორგი ქავთარაძის წიგნი „ზე ღრუბლებში“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო დოკუმენტური წიგნია. მათ შორის რაც კი ქართულ სინამდვილეში ომზე შექმნილა და ამ თემისადმი მიძღვნილი.

ღიბს „ზე ღრუბლებში“, დოკუმენტური რომანია, თავიდან ბოლომდე ერთი კაცის თავზე გადავლილი ამბების კრებულია.

გ. ქავთარაძემ თავისი მოგონებების წიგნი სხვადასხვა სახით დაბეჭდა: ჯერ პერიოდულ პრესაში, შემდეგ ცალკე წიგნად გამოსცა და ახლა მეორე გამოცემა უფრო სრულად სახით გამოვიდა.

ავტორი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეზიარა ამა ქვეყნის ვაების ანა-ბანას. ომში ვაწვეული ზარკოეთან ალუის დროს ტყვედ ჩაეარდა... აქედან იწყება მისი და მისი მეგობრების ოდიესა. წიგნს მიწერილი აქვს — ჯარისკაცი წინაწერები. ის რაც წიგნშია მოთხრობილი, მართლაც დღიურის სახით იწერებოდა. ტყვე მას დღითიდღე ავსებდა. ტყვეთა ერთი ბანაკიდან მეორეში მალულად თან დაჰქონდა. რამდენჯერმე დღიური ტყვეთა ბანაკში შევზავინილი ჯაშუშების მეშვეობით ტყვეთა ბანაკის ავტორის ერთადერთი ნუტეში უცხოეთში ყოფნის ეამს, თუმცა თვით არა უწყობდა, გადაურჩებოდა კი ამ ვოლგოთას?! ამ დღიურში ინიშნავდა ავტორი ყველაფერს, რასაც საეულისხმოდ თვლიდა. ამიტომ ამ წიგნს არც აქვს პრეტენზია რაიმე ერთიანი, სიუჟეტური ნაწარმოებისა, ეს მხოლოდ ჯარისკაცის ჩანაწერებია. რამდენად დამაჩერებლად, თანმიმდევრულად და მხატვრულად არის ეს მოგონებები დაწერილი — ეს უკვე მედლის მეორე მხარეა.

„ზე ღრუბლებში“ ცალკეული თავებისაგან შედგება, ყველა თავს თავისი სათაური აქვს და ზოგს ეპიგრაფიც უძღვის, რომელშიც ვახს-

ნილია ამა თუ იმ თავის ძირითადი იდეა. ყველა თავი ფაქტურად წინა თავის გაგრძელებაა წარმოადგენს, მაგრამ თითოეულ მათგანში ახალი ამბავია მოთხრობილი. სიუჟეტურად და ლოგიკურად ახალი ამბავი იწყება ერთ თავში და მთავრდება კიდევ მხოლოდ ყოველ ახალ ამბავს ერთი ბანაკი, ერთი ადამიანი — მთხრობელი აერთიანებს.

ავტორი მოკვითხრობს რაიმე ამბავს, იქვე კომენტარს ურთავს (ზოგჯერ დამილულ მორალურ სენტენციებს რომ ჩამოეგას), თუმცა ადამიანების ფსიქოლოგიური განცდების გადამოცემას, ესე იგი, ე. წ. შინაგანი განცდების აღწერას. შინაგან მონოლოგს ნაკლებ მიმართავს მწერალი, რითაც აუცილებლად უფრო მოგვება ეს ნაწარმოები, მაგრამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, მთლიანად წიგნი ფსიქოლოგიურ დამაჩერებლობას როგორ მოკლებული, ზოგჯერ მეტრისებრად გამიშვლებული აღწერის ნატურალისტური ხერხი უფრო დამაჩერებულს ზღის, რომელიმე ამბავს ან დეტალს. წიგნში ბევრი ცხოველი სურათია აღწერილი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ტყვეთა ცხოვრებას, მათ უფლებობას.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია და ამას ამ წიგნის ავტორიც არაერთხელ აღნიშნავს, გერმანელები განსაკუთრებით ებრაელებს და კომისარებს ემტერებოდნენ. თვით ავტორმა ეუკრაინაში ტყვეთა გადარჩევა „დაბარისების“ დროს სანატარიის ტერმინით რომა „დაბარალა“ (ის ზურგჩანთაში ბევრი წამალი აღმოუჩინა გერმანელმა ოფიცერმა) და ასე გადარჩა ებრაელობასაც და კომისარობასაც.

...ხარკოვი დატყვევებულებმა ნახევარი უკრაინა გავიარეთ, თითქმის არცერთი დაჭრილი და ავადმყოფი არ მოგვეყლია ვლუბოკამდე. ვინაც სიარული არ შეეძლო, ავგაღვივე ხერხეტიდნენ... მალე ვოლოშინოსკენ წავივითვინებ. ტრკაინელები გზაზე გადამომდგარიყვნენ. არაფერს არ ერიდებოდნენ, გერმანელებსაც კი. ქალები ოსტატურად იტყუოდნენ. ბადრავს ათრობდნენ და ისე გვაძლევდნენ ფეტვის პერს, ასე ჩავედი ვოლოშინოში.

ვოლოშინოში ტყვეთა ბანაკში მოუყარეს თავი ტყვეები. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, მალე იჭიდანაც აუტრეს ვლდა-ნაბადი... ბოლოს ტყვეები, დიდი ზნის ხეტიალის შემდეგ გერმანიაში ერთ ტყვეთა ბანაკში დაბინავდნენ. ფაქტურად, წიგნი აქედან იწყება. იწყება იმ ამბების თხრობა, რომლებიც სწორად დაუჭერებლობის საზღვრამდე მიდის, მაგრამ ახლა უკვე ვეულისათვის ნათელია, რომ გერმანელმა ნაცისტებმა დაუჭერებელი და უჩვეულო დასაჭერებელი და ჩვეულებრივი გახადეს.

...და სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ტყვეები, მათ შორის გერმანელები მონაღურე ძალის გემით ყოველთვის ებრაელებს ეძებდნენ, იპო-

ენიდან და მათ სიზარტულს საზღვარი არ ჰქონდა... ხუთქმიანი ვარსკვლავით უშნაოდადნენ ზურგს, ხოლო შემდეგ უმოწყალოდ ნაწამებებრალებს უდაბნოს უწყოთ ქვიშაში დარბული ავადილებილი ჩაქონდრათ თავები. ორმოში ავადმდე ჩაფლული ებრაელები დახოცილიყვნენ.

ანდა ასეთი ეპიზოდი:

ბანაკში შლამიანი წყლით სავსე დიდი აუზი იყო. როგორც ბანაკში ებრაელი აღმოაჩინეს და აიძულეს იმ შლამიანში ჩაეყვრებოდა. შემდეგ ყაზარმის საბურავზე ასვლა ებრაძანეს. იქიდან ტყვე ებრაელი სუწიშარ მიღს უნდა ჩამოჰყოფოდა. თუ ამას ვაჯყეთებდა სამი დღის სიცოცხლეს ჩეჭნიდნენ. ამ სურათის მავურებელი გერმანელები ყოფინით ეკლებდნენ იქაბრობას. ტყვეები კი ვაოჯნებულელები იადნენ. ტყვემ ძლიეს მოაღწია მეორე სართულამდე და მიწაზე დაეწარცხა.

ამაზე მეტი დაბეწვილი და არაფინირებული მეკლულობა ვსმენიათ? თუ შუა საუკუნეების ინკვიზიტორები ცეცხლზე წვადნენ ადამიანს, ახლა მე-20 საუკუნეში, ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანი, შანთავს, ცოცხლად მარხავს, იგონებს ათასგვარ მანქანებს, რათა, რაც შეიძლება გახანგრძლივებული წამებით მოეღოს ბოლო, ადამიანს, დიდსა და პატარას, მოხელესა და ხეიბარს.

არავითარი სინდისის ქენჯნა. თვით პიტლერი ასწავლიდა მათ: „სინდისი, როგორც წინადაცუვთა ამბიჩეებს ადამიანს. სინდის-ნამუსი რა სპირია“.

შემარბნენი ამბებიოთა და ფაქტებით სავსეა გ. ქეთათარძის წიგნი და თვითყული მათგანი გაზიზღებს და უსაზღვრო სიძულელის ვინერავს მათ მიმართ, ვინც გერმანულ ერს, თუ ერის ვარყვეულ ნაწილს, ადამიანის მოღვმისადმი ასეთი ბრმა სიძულელი ასწავდა. გაზიზღებს მათ, ვინც ადამიანთა ზოცვა-ყლეტა პროფესიოდ გაიზადა, გაზიზღებს პროფესიონალ ქალათებს, რომლებიც მეკლულობის შემდეგ დასმეოდებულ სინდისით, რომ უხრან წინამე ვალი პირნათლად მოიხიდა“. ეს სხლიან ზელი იშრალეზბდა, ბუნების წიაღში ვადიოდა მისი ცქერით რომ დამტკბარყო.

ცხადია, ისე როგორც თანამედროვეებს, ასევე მომავალ თაობას ვაოცებს ის შეუთავსებლობა, რაც გერმანელებს პიტლერული დეიტატურის ხანში ახასიათებდათ. ყველას აოცებს და აკულავ ვაოცებს, თუ როგორ შეძლეს ნაციისტებმა გოეთესა და შილერის, ბახისა და ბეთხოვენის სამშობლოს ასე დამბიჩეება, თქმვა სარეცენზიო წიგნი სწორედ ამითადაა საინტერესო, რომ ომის თემაზე დაწერილი წიგნებიდან ერთი რაიმეთი ვამოიჩინება.

„მზე ღრღბლებში“ არის საშხილებელი აქტი გერმანული უამისტების მიმართ, რომლებმაც

გერმანია და გერმანელი ხალხი სალდაფრენებად აქციეს, რომლებმაც არა თუ ტყვეყვრებულნი დაინდეს, არამედ მოყვეთეს დამტკბარულნი დალქახეს გერმანული ეკლტურის კლასიკური შემეკიდრეობის მრავალ წარმომადგენელს. მაგრამ გ. ქეთათარძის წიგნის ღირსება ისიც, რომ მან როგორც თვითმიხილველმა გვიჩვენა დადავიზბა ის ადამიანები, რომლებიც თურმე სხვაგვარად ფიქრობდნენ, სხვაგვარად სწამდათ, თურმე არსებობდნენ სხვა გერმანელები, ფარაქავადაცული კომპოზიტორები, მხატვრები, კეთილი ნების ადამიანები, რომლებიც მხოლოდ დროებით იყვნენ ქარისკაცები და მუნჯებამტყვეულები.

მაგრამ მანამდე კი ჰაინერისთან წერა-კითხვის უყოღინარებს ჰქონდათ უფლება... ტყვეებზე ეყარათ ჭავრი, ტყვე იყო ერთადერთი ობიექტი, რომლითაც მუდამამ, უოველ წუთს ვამოტყენილი იყო ჰაინერის ვონება, მისთვის საწყარო იწყებოდა და მთავრდებოდა ტყვეთა ბანაკის ტერიტორიაზე. ავტორი ჰაინერთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს იგონებს: ბელიაცკოყვის ბანაკში ჰაინერის კომენდანტად ყოფნისას ბადრავს ტყვე ვაქცვა. ჰაინერის შიშით ბადრავმა ვაქცველი ტყვის ნაცულად უწოლენი უყარინელი ბიჭი ზაყენა ტყვეთა რიგში: დედა ვაფთვრებით ადებებდა შეიღს. იგი ვერაფერმა შეეშინა, ვერც სიტყვეერმა მუჭარამ, ვერც მოღვრებულმა რევოლვერმა. მაგრამ სროლა კი ვერაინ გაბედა, რომ დედა მოყელა. დედა შეიღს იცავდა, შეიღს სიცოცხლეს ებლაუქებოდა. მხოლოდ ჰაინერმა დაახალა ტყვია დედას, მხოლოდ მას ეყო ამისთვის ვამბედობა.

ჰაინერები ერთყულეები როდი იყვნენ? მაგრამ იქაც კი, სადაც ჰაინერებისთანა კომენდანტები პატრონობდნენ, იქ სადაც უმბედურა ტყვეებისათვის არავითარი გზა ხსნისა არ არსებობდა, თურმე თავისტყულეებისათვის ბრძოლაზე ფიქრობდნენ. თურმე ყოველ დღე და უოველ წამს სიცვილიან მიმლოდინე ტყვეები ბრძოლისათვის ეზაადებოდნენ. ბანაკში მყოფ რუს და უყარინელ ოფიცრებს დაუარსებიათ ორგანიზაცია „ევილოს“ (შებრუნებით — მზე) საწწუხაროდ ავტორი დაწერილეებით არ ჩერდება ამ ორგანიზაციის საქმიანობაზე, თქმვა თვით ეს ფაქტი, რომ ასეთ ბანაკებში ასეთი ორგანიზაციები უაღივლებოდა საპქოთა ადამიანებს სტლისმეფრჩეივლობასა და გამარჯვების ურყვე რწმენაზე მეტყველებს.

ერთყულე ტყვე აღვინშნეთ, რომ გ. ქეთათარძის წიგნი ცოცხლად აღადგენს უუფლებო და სასიყვედლოდ ყველზე უფრო ვამტებელი ადამიანებს ცხოვრებას. წიგნში ერთმანეთს ენაცვლება მეტყველები სიმადრის ფაქტები. ასეთი წიგნის და ამგვარი ფაქტების ლიტერატურულ და მხატვრული ანალიზი შეძლებ-

ლია. ამ შეიძლება „იმსჯელო“ ფაქტების სიმკაცრესა და ლმობიერებაზე. აქედან გამომდინარე კი, ზვენი წიგნის ერთ-ერთ ცენტრალურ თეზად მიგვაჩნია „ადრემთავრებელი სამარე“ (თქმეა აღრიწდელი „გაუთხრებელი სამარე“ სჯობდა). იმიტომ კი არა, რომ წიგნში აღწერილ რომელიმე დეტალს ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა აკლია (ავტორი ხომ ხშირად იმეორებს ადამიანებს, რომლებმაც მასთან ერთად გამოიარეს ტყვეობის ყოჩხობები), სრულებითაც არა, შეიძლება სწორედ იმიტომ რომ რაღაც „დრეჯარებელი“, პოეტური, ომისა და ბანაჟის ფარგლებიდან გასული, უფრო გვაქვრებს და უფრო გვზარავს.

ასე იყო მუდამ, ასე იყო მთელი ომის მანძილზე. წამებით სიყვდილის, სამშობლოს საძილეად მიტოვების საშინოოება ვაილბურტში ჩსენდის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. მაგრამ ადამიანი უზომო სასოწარკვეთილების დროსაც რაღაც იმედს ებღიღუება და ეს იმედის ნაებრქალი უფრო დიდი აღმოჩნდა ვიდრე ეს გ. ქავთარაძეს შეეძლო წარმოედგინა. ესენი იყვნენ გერმანელები, რომლებსაც ისევე აძულდათ ომი, როგორც მრავალ რუს, ქართველს, უზბეკს თუ თათარს. ერთ ავსტრიელ ქარსსაკაცს ტყვესთან საუბარში აღმოხდა, რუსეთი კარგია, მაგრამ შე ჩემი სამშობლო ყველაფერს მირჩევნიაო.

უფრო აბოზელი და სულიერი მეგობარი გაუხდება ტყვე ვიორგი ქავთარაძეს შარლოტა შტოლი, შარლოტას მამა, დედა, და. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მასავით მშვიდობას, სიყვარულზე და სამშობლოზე ოცნებობდნენ.

ვაილბურტის ბანაჟის კომენდანტი მასი პროფესიით კომპოზიტორია. მის ოთახს ბეთმოყვინისა და მოცარტის სურათები ამშვენებს. იგი დღენიადაგ საყუთარ კონცერტებზე ოცნებობს და ოთახში ზაქეტალი მუსიკას თხზავს. ასეთი კაცო მგელლი ძნელად თუ იქნება. ამიტომაცაა მისმა გულგრილობამ და ლიბერალიზმმა არაერთხელ იხსნა ტყვეები და თვით გ. ქავთარაძე გარდაუდელი სასწავლისაგან. ასეთები არიან სხვებიც. მხატვარი კარლ შვიდტი, სამხედრო სკოლის უფროსი, რომელიც პირდაპირ აცხადებს: — სადღაა გერმანია, გერმანია აღარ არსებობს, ამგვად არაზადები მართავენ გერმანიას.

ცნობილია, რომ გერმანელი ფაშისტების ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გერმანიის კო-

მუნისტური პარტია იატაკებზე გადავიდა სამშენაოდ და დათლავად იბრძოდა ფაშისტის წინააღმდეგ. მათ აურაცხელი თანამგრძობი და თანამებრძოლი ჰყავდათ, რომლებიც წინაგან ემიგრანტებად ითვლებოდნენ და რომლებმაც ძალა შესწევდათ მოსახლეობაში აგიტაცია ეწარმოებინათ ფაშისტის წინააღმდეგ. ბევრი მათგანი ცხებებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დაიხოცა, მაგრამ მათ საქმეს სხვები აგრძელებდნენ. მათ შესახებ რეალისტრადია აღწერილი ანა ზეგერსის, ვილი ბრედელის, არნოლდ ცვაიგისა, მაქს ციმერინგისა და სხვათა წიგნებში.

ამიტომაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გ. ქავთარაძის მოგონებების კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი თვისება ისაა, რომ სხვა წიგნებთან შედარებით, მის მონათხრობში გამოჩნდა სწორედ ეს ადამიანები, რომლებიც მე ცოტა ზევით „წინაგან ემიგრანტებად“ მოიხსენიე. რა გაანელეს იმ ზიზსს, რომელსაც ამ წიგნის ყველა მკითხველი გერმანელი ფაშისტებისადმი ვანიციდს, მაგრამ იმაშიც დამერწმუნებით, რომ იმედს ვინერგავთ და უფრო მეტიც. ბატოლისავე მოგიწოდებთ ისეთი ადამიანების არსებობა, რომლებიც თვით ყოჩხობებშიც თავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

გ. ქავთარაძის წიგნის „მზე ღრუბლებში“ ერთადერთი მინანია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი გულწრფელობით დაგვიხატოს ომის საშინელება. მართალია, წიგნი მოთხრობილია მრავალი ადამიანის „მოკლე ბიოგრაფია“, აღწერილია მათი სულიერი განცდანი და ფიზიკური ტყვეობები, რაც მათ ერთგვარად ერთმანეთს ამსგავსებს კიდევ, მაგრამ კარგია ის, რომ წიგნში ერთი კაცის ტრაგედია ქვეყნულია მრავალი ადამიანის ტრაგედიადა, ხოლო მრავალი ადამიანის ტრაგედია ერთი ადამიანი-სადა.

ყველაფერს აქვს დასასრული, დასრულდა გ. ქავთარაძისა და მისი მეგობრების ტანჯვა-წამება, ზოგი დარჩა უცხო მიწაში, ზოგმა ძლიერს მოატანა სახლამდე, მაგრამ ავად თუ კარგად მინც დასრულდა მათი გოლგოთა...

როგორც იქნა გადაიღარა. მზე გაუბედავად გამოეცხადა ადამიანებს და მათ დედას, მიწას დააქვერდა-

დაე, მუდამ იყო ცხრათვალა მზე...

ნოდარ მზილდაძე

0 7 7 3

№ 010 ВО 033.

И Д Е К С
76129
0610367000
202-20101033

„МНАТӨБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ